9 (с 41)
ს 451

მონოგრაფიაში აღმოსავლური და ევროპული წყაროების საფუძველზე გამოკვლეულია XVI—XVII სს-ში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ძირითადი ფორმები, ოსმალთა ლაშქრობანი საქართველოში, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; შესწავლილია ოსმალეთთან დიპლომატიური და სამშვიდობო მოლაპარაკებანი, სტამბოლში ქართველთა ელჩობანი, დადებული ზავის პირობები და მათი შედეგები საქართველოსათვის.

წიგნში ნაჩვენებია ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს თანდათანობითი დაპყრობა, აქ ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს დაარსება და საათაბაგოს გაუქმება. შესწავლილია ახალციხის საფაშოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური ორგანიზაცია. გამოვლენილია ამ მხარისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა განხილულია მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობის ფონზე. ამასთან ერთად ხაზგასმულია, თუ რაოდენ მწვავედ იდგა „გურჯისტანის საკითხი“ XVI—XVII სს-ის ოსმალეთ-ირანის ომებისა თუ დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს.

შესავალი

XVI—XVII საუკუნეებში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორია დღემდე მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი. თუმცა, საისტორიო ლიტერატურაში ამ საკითხებს მიეძღვნა მრავალი ცალკეული წერილი, რომლებშიაც გამოთქმულია მეტად საყურადღებო მოსაზრებანი და გაანალიზებულია მნიშვნელოვანი ფაქტები.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას XVI—XVII საუკუნეების საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის მონოგრაფიულად შესწავლისა. იგი დაწერილია აღმოსავლური და ევროპული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე. მონოგრაფიაში შეფასებული და შეჯამებულია იმ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ღვაწლი, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს საქართველო-ოსმალეთის რიგი საკითხების შესწავლის საქმეში.

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესწავლისას გათვალისწინებულია როგორც საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ვითარება (რადგანაც ოსმალეთს თითოეულ მათგანთან ამის შესაბამისად ჰქონდა შემუშავებული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა), ისე ოსმალეთის საერთო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

შრომაში შესწავლილია საქართველოს სამეფო-სამთავროების ოსმალეთთან პოლიტიკური ურთიერთობის ფორმები, ოსმალთა ლაშქრობები საქართველოში, ქართველი ხალხის ბრძოლის საშუალებანი: შეიარაღებული ბრძოლა, პარტიზანული ომი, აჯანყებები და სხვ.

მონოგრაფიაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ოსმალეთთან პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს: მასში გაშუქებულია დიპლომატიური და სამშვიდობო მოლაპარაკებანი, ქართველთა ელჩობანი სტამბოლში, ოსმალეთთან დადებული ზავის პირობები, მათი შედეგები საქართველოსათვის და სხვ. ნაჩვენებია, თუ რაოდენ მწვავედ იდგა „გურჯისტანის საკითხი“ XVI—XVII საუკუნეებში ოსმალეთ-ირანის ომებისა თუ დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს

და როგორ ცდილობდნენ ქართველი პოლიტიკოსები მათ შორის არსებული წინააღმდეგობის გამოყენებას თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. ამასთანავე აღნიშნულია ისიც, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფა და ქართველ ფეოდალთა შორის არსებული ქიშპი და მტრობა ასუსტებდა მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს.

მონოგრაფიაში შესწავლილია ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს თანდათანობითი დაპყრობის, ამ ტერიტორიაზე ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს დაარსებისა და საათაბაგოს გაუქმების ისტორია. ნაჩვენებია საქართველოს ამ მხარის გაოსმალების პროცესი, მისი პოლიტიკური ორგანიზაცია და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, მისი თავისებურებანი და სხვ. საჭიროა ხაზი გაესვას იმ მდგომარეობას, რომ ქვეყნის გაოსმალების წარმატება, უპირველესად ყოვლისა, ოსმალური მიწათმფლობელობის შემოღებაზე იყო დამოკიდებული, რადგან ოსმალური მიწათმფლობელობის წესები მკვეთრად განსხვავდებოდა ფეოდალური საქართველოს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებისაგან. ამრიგად, ოსმალთა მფლობელობის პოლიტიკური ორგანიზაციის დამკვიდრება განპირობებული იყო ქართული ფეოდალური ურთიერთობის რღვევითა და მისი გარდაქმნით ოსმალურ ყაიდაზე. ამ მიზნით სამცხე-საათაბაგო არაერთხელ იქნა აღწერილი, როგორც XVI საუკუნეში, ისე XVII საუკუნის პირველ ნახევარში და უფრო გვიანაც.

წიგნში დადგენილი და ახლებურადაა გაშუქებული საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის მნიშვნელოვანი საკითხები. გამოვლენილი და შესწავლილია ახალი მასალები სიმონ პირველის, თეიმურაზ პირველის, დავით ბატონიშვილის, გიორგი ბეგის, მანუჩარ მეორე ათაბაგის, საფარ ფაშას, კოკოლა შალიკაშვილისა და სხვათა შესახებ. აგრეთვე დადგენილი და დაზუსტებულია საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის მრავალი მნიშვნელოვანი თარიღები და სხვა.

წინამდებარე შრომაში ჩვენ ვცადეთ შეგვესწავლა, ერთი მხრით, XVI—XVII საუკუნეებში საქართველო-ოსმალეთის პოლიტიკური ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარების ფონზე, ხოლო, მეორე მხრით, ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს თანდათანობითი დაპყრობისა და მისი გაოსმალების პროცესი.

თავი I

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

I. წყაროები

XVI—XVII საუკუნეებში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად მრავალფეროვანი დიპლომატიური და ნარატიული წყაროები მოგვეპოვება (ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ, სპარსულ და დას. ევროპულ ენებზე). საქმე გვაქვს სრულიად სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ვითარებაში წარმოშობილ წყაროებთან, როგორიცაა სულთნის ფირმანები, დიპლომატიური დოკუმენტები, საზავო ხელშეკრულებები, კერძო წერილები, პოლიტიკური აგენტების ჩანაწერები, კათოლიკე მისიონერთა რელაციები, ვაჭრებისა და მოგზაურების აღწერილობანი, თვითმხილველთა მატიანეები და მათ გამგრძელებელთა საისტორიო თხზულებანი.

სამწუხაროდ, წყაროთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია, ხოლო ის, რაც უკვე ცნობილი ან გამოქვეყნებულია, არ არის სათანადოდ გაანალიზებულ-განზოგადებული. ეს იმით აიხსნება, რომ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების მონოგრაფიული შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ დროს დაიწყო.

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესწავლა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან საქართველოს სამეფოების არქივები ჟამთა სიავის გამო განადგურდა. ჩვენ არ მოგვეპოვება ოსმალეთის სულთანსა და მის მოხელეებთან მოლაპარაკების ჩანაწერები, სტამბოლში გაგზავნილი ქართველი ელჩებისათვის მიცემული ინსტრუქციები, არც ქართველი დიპლომატების მოხსენებითი ბარათები თავისი მეფისადმი და სხვ.

ამავე დროს XVI საუკუნისა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული წყაროები (აღწერილობითი ხასიათისა) არ მოგვეპოვება.

XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის დამდეგს შედგენილი საისტორიო თხზულებანი, რომლებშიაც წინარე საუკუნეებში მომხდარი ამბებია გადმოცემული, ფოლკლორული ხასიათის ცნობებსაც შეიცავენ. ამიტომ ამ ცნობებს ფრთხილად და კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ. მიუხედავად ამისა, ქართულ წყაროებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესასწავლად.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა მფლობელობის შემოღება-დამყარების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „მესხური დავითნის ქრონიკას“[1]. ეს ქრონიკა XVI საუკუნის ძვირფასი საისტორიო წყაროა. სამწუხაროდ, მისი დიდი ნაწილი დაკარგულია — ჩვენამდე მხოლოდ მეტად მცირე ნაწილმა მოაღწია, რომელიც ქრონოლოგიურად 1561—1587 წლებს მოიცავს. „ვახუშტის, რომელსაც ეს წიგნი ხელთ ჰქონია, აღნიშნული აქვს, რომ ეს თხზულება ხუთ წიგნად უოფილა გაყოფილი“[2].

„მესხური დავითნის ქრონიკა“ ძირითადად სამცხე-საათაბაგოს ეხება, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეების შესახებაც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. მესხური ქრონიკა მთლიანადაა შეტანილი ვახუშტის ისტორიაში, ქართლის ცხოვრების გადაკეთებულ გაგრძელებაში და პარიზის ქრონიკაში[3].

მესხური დავითნის ქრონიკის ავტორი მის მიერ აღწერილი ამბების თანადამხვდურია, ამასთან, ჩანს, იგი ათაბაგის ოჯახის წევრი უოფილა. აღნიშნული გარემოებანი საფუძველს გვაძლევს „მესხური ქრონიკის“ ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ.

მესხურ ქრონიკაში მოთხრობილია სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ცხოვრება XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. აქვე საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი სამცხე-საათაბაგოს ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ნაჩვენებია, თუ როდის, როგორ

---

[1] სამი ისტორიული ქრონიკა ე. თაყაიშვილის გამოც.. თბ., 1890 ; „მესხური დავითნის მატიანე“, ხელახლა გამოსცა ქრ. შარაშიძემ. იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბ., 1961, გვ. 36—56. ჩვენ ამ ბოლო გამოცემით ვსარგებლობთ.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V—XVIII სს., წიგნი, 1, თბ., 1945, გვ. 271.

[3] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. CXXXI, CXXXVIII; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 276, 277; ს. ქ ა ყ ა ბ ა ძ ე, ვინაობა მესხური დავითნის ქრონიკის ავტორისა, თბ., 1912, გვ. 12; ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 102—133.

და რა სამუალებებით ცდილობდნენ მოძალადენი ქვეყნის გათურქებას და სხვ.

საინტერესოა, რომ ქრონიკაში დაცული ცნობები აღმოსავლური და ევროპული წყაროებითაც დასტურდება.

XVI ს-ში სამცხე-საათაბაგოს ისტორიისა და მისი ოსმალეთთან ურთიერთობის რიგი საკითხების გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ქრ. შარაშიძის მიერ გამოცემულ საბუთებს[4].

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ქრონოლოგიის დაზუსტებისა და ზოგიერთი სხვა საკითხების შესასწავლად საყურადღებო ცნობები მოიპოვება თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ „ქრონიკებში"[5].

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ჯ. ოდიშელის მიერ ახლახან გამოცემული „მცირე ქრონიკები"[6].

ჩვენთვის საინტერესო ხანასთან უველაზე ახლოს დგას ფარსად.ნ გორგიჯანიძის „ისტორია"[7].

ფ. გორგიჯანიძე, როგორც ცნობილია, XVI საუკუნის და ნაწილობრივ XVII საუკუნის ამბების გადმოცემისას უმთავრესად სპარსელი ისტორიკოსის ისჭანდერ მუნშის თხზულებით სარგებლობდა[8]. ეს გარემოება გვიკარნახებს ფრთხილად მოვეკიდოთ სპარსოფილურად განწყობილ ისტორიკოსის ცნობებს და კრიტიკულად განვიხილოთ ისინი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფ. გორგიჯანიძე უბრალოდ კი არ იწერს ისჭანდერ მუნშის ისტორიაში მოთხრობილ ამბებს, არამედ ზოგჯერ აანალიზებს მათ და თავის საკუთარ დასკვნებსაც იძლევა ამა თუ იმ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით.

მაგალითად, ფ. გორგიჯანიძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა და ირანმა 1555 წლის ზავით „საქართველოს მეფეთ

---

[4] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს ა, თბ., 1961.

[5] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ, ტ. 11, 1912.

[6] მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.

[7] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე", ნაკ. II, 1925.

[8] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 295—298; დ. ქ ა ც ი ტ ა ძ ე, ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს „ისტორიის"... XVI — XVII სს. სპარსული წყაროები, „მოამბე", 1960, ტ. 2, გვ. 61.

უნებურათ და შეუკითხავათ საქართველო გაიყვეს"[9], რომ საქართველო ამ მტაცებლურ ზავს არ სცნობდა და, კიდევ უფრო მეტი, თავგამოდებით იბრძოდა ოსმალო თუ ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

„მეფე ლუარსაბს არ სჯერიყო, — წერს გორგიჯანიძე, — და კიდეც თაკილობდა, ამისათვის უფრო ურჩობდა და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს"[10].

ფ. გორგიჯანიძე დაწვრილებით მოგვითხრობს სიმონ მეფის მეთაურობით ქართველი ხალხის დაუცხრომელ ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ და სამართლიანად შენიშნავს, რომ, მართალია, ქართლის ციხე-სიმაგრეებში ოსმალები ისხდნენ, „მაგრამ თემი (ქვეყანა — მ. ს.) მეფე სვიმონს ჰქონდა და მეფის შიშით ურუმნი ციხით ვერ გავიდოდნენ"[11].

ფ. გორგიჯანიძის ისტორია XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. იგი თავის ისტორიაში საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ოსმალებისა და ირანელების შემოსევებს საქართველოში და მათ წინააღმდეგ ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას. განსაკუთრებით საყურადღებოა ფ. გორგიჯანიძის ისტორიის ის ნაწილი, სადაც XVII საუკუნის პირველი მეოთხედის ამბებია აღწერილი, კერძოდ, ირანელთა და ოსმალთა ბრძოლა ახალციხისათვის.

აღებული ხანის ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი საყურადღებო საკითხის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს სხვა ქართულ წყაროებსაც: არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება", ქართლის ცხოვრების გაგრძელებები და სხვ. დასახელებული წყაროები საინტერესოა, უპირატესად, საქართველოს თურქეთთან დამოკიდებულების ქართული თვალსაზრისის გამოსარკვევად.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესასწავლად თავისთავად ცხადი უნდა იყოს საკუთრივ თურქული წყაროების მნიშვნელობაც, მიუხედავად მათი აშკარა ტენდენციურობისა და მოვლენების ცალმხრივად გაშუქებისა. ამასთან საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო საქართველოს შესახებ ცნობები თურქულ საისტორიო მწერლობაში, არამედ მთლიანად საქართველოს შესახებ დაწერილი თურქული თხზულებებიც („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", ალის „ნუსრეთ-ნამე" და სხვ.) ამგვარ

---

[9] ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[10] იქვე.

[11] იქვე, გვ. 13.

წყაროთა ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გაეერკვეთ ოსმალთა მფლობელობის ხასიათში და ვუჩვენოთ ამ მფლობელობის თანდათანობით გავრცელება სამხრეთ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული მიმართულებით.

თურქული დოკუმენტური წყაროებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი"[12].

„გურჯისტანის დავთარი" ოსმალო მოხელეებმა 1595 წელს შეადგინეს სამცხე-საათაბაგოზე გადასახადების გაწერის მიზნით.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია. იგი პირველხარისხოვანი წყაროა XVI საუკუნის დამლევის სამცხე-საათაბაგოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად.

„გურჯისტანის დავთარი" სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლილი აქვთ ვ. გაბაშვილს[13], გ. ტივაძეს[14], გ. გამყრელიძეს[15], ალ. ასლანიკაშვილს[16], ნ. შენგელიას[17], მ. სვანიძეს[18] და სხვ.

ოსმალეთის იმპერიის პროვინციათა კანუნ-ნამეები (კანონთა წიგნები) ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა არა მარტო საკუთრივ ოსმალეთის ისტორიის, არამედ აგრეთვე, ერთ დროს ოსმალეთის მიერ დაპყ-

---

[12] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", თურქული ტექსტი გამოსცა და თარგმნა ს. ჯიქიამ. თურქული ტექსტი, წ. 1, თბ., 1947; წ. 11, თარგმანი, თბ., 1941; წ. 111, თბ., 1958; გამოკვლევა, 1. ხელნაწერის აღწერილობა. 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის; С. С. Джикия, Пространный реестр вилайэта Гюрджистана, Труды XXV международного конгресса востоковедов, т. II, М., 1963; стр. 467—471; რეცენზიები: ს. კაკაბაძე, „მნათობი", 1945, № 9, გვ. 153—160; ი. მაისურაძე, „მნათობი", 1959, № 4, გვ. 179—187; ი. სიხარულიძე, „ლიტერატურული აჭარა", 1959, № 4, გვ. 90—92; L. Fekete, Acta Orientalia, Hung., t. VII, fasc. I, Budapest, 1957, s. 1—10; Ц. Абуладзе, Acta Ethnographica Akademiae Scientiarum Hungaricae, t. IX, f. 3—4, Budapest, 1960, pp. 433—444.

[13] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი"., თბ., 1958, გვ. 326—345.

[14] გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის დიდი დავთრის მიხედვით", „მნათობი", 1946, № 6, გვ. 117—144.

[15] გ. გამყრელიძე, „გურჯისტანის დიდი დავთარი", როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი, თსუ შრომები, ტ. 34, 1948, გვ. 77—89.

[16] ალ. ასლანიკაშვილი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" კარტოგრაფიული შესწავლის ზოგიერთი შედეგი, თსუ შრომები, ტ. 58, 1956, გვ. 175—198.

[17] ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 91, გვ. 277—304.

[18] მ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა „გურჯისტანის ვილაიეთის" დიდი დავთრის მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 291—308.

რობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური და, კერძოდ, აგრარული ურთიერთობის საკითხების შესასწავლად. ეს სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ იყო აღნიშნული და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

პირველად ოსმალური კანონ-ნამეების შესწავლას ყურადღება მიაქცია ცნობილმა ავსტრიელმა მეცნიერმა იოსებ ჰამერმა, რომელმაც გამოაქვეყნა ზოგიერთი კანონ-ნამეს გერმანული თარგმანი[19]. შემდეგ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე კანონ-ნამეების შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

ამჟამად ოსმალეთის იმპერიის პროვინციათა კანონ-ნამეების შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა როგორც საკუთრივ თურქეთში, ისე დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით კი ბალკანეთის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში.

ოსმალური კანონმდებლობის კვლევა-ძიების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ო: ბარკანის მიერ თურქულ ენაზე გამოცემულ კანონ-ნამეებს[20]. ო. ბარკანის კრებულის გამოქვეყნებას დიდი ინტერესით შეხვდნენ როგორც თურქეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, რადგან მის მიერ გამოცემული „კანონ-ნამეები" საუკუნეთა მანძილზე ინახებოდა თურქეთის არქივებში და ხელმისაწვდომი არ იყო ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

საბჭოთა კავშირში ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული ა. ტვერიტინოვას. მან რუსულ ენაზე თარგმნა ოსმალეთის პროვინციების რიგი კანონ-ნამეები, რომლებიც საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას განეკუთვნება[21].

სომეხმა თურქოლოგებმა ა. საფრასტიანმა და მ. ზულალიანმა სომხურ ენაზე თარგმნეს თურქული კანონ-ნამეები, რომელთა შინაარსი ეხება დასავლეთ სომხეთსა და მის მომიჯნავე ქვეყნებს[22].

---

[19] J. Hammer, Des Osmanischen Reiches Staatsverfassung und Staatsverwaltung, Bd. I—II, Wien. 1815, 1816.

[20] Omer Lütfi Barkan, XV ve XVI-inci asirlarda Osmanli Imparatorluğunda Zirai Ekonominin Hukukî ve Malî Esaslari, Birinci cilt. Kanunlar, Istanbul, 1945.

[21] Аграрный строй Османской империи XV—XVII вв. Документы и материалы, составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой. М., 1963, стр. 38—92; А. С. Тверитинова. Законоположения о провинциях Османской империи в XV—XVI вв. Краткие сообщения Института востоковедения АН СССР, т. XXVI, М., 1958, стр. 92—108; Ее же, Книга законов султана Селима I, М., 1969.

[22] Османские законы в Зап. Армении (свод законов XVI—XVII вв). Перевод, предисловие и комментарии А. Я. Сафрастяна и М. К. Зулаляна, Ереван, 1963 (на армянском языке). რეცენზია ამ წიგნზე იხ. კ. კუცია, მ. სვანიძე, თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 347—354.

კაზუნ-ნამეების შესწავლის საქმეს ყურადღებას უთმობენ აგრეთვე ქართველი თურქოლოგები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა პროფ. ს. ჯიქიას მიერ გამოცემული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელსაც წამძღვარებული აქვს კანუნ-ნამე, შედგენილი 1595 წელს[23], ამ წყაროს გამოცემით, ჩვენში ფაქტიურად საფუძველი დაედო კანუნ-ნამეების მეცნიერულ შესწავლას. საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ნ. შენგელიასა და ც. აბულაძის გამოკვლევები.

ნ. შენგელიამ ქართულ ენაზე თარგმნა „1573/4 წლის გურჯისტანის ვილაიეთის კანუნ-ნამე“ და „1727 წლის განჯის ვილაიეთის კანონის არსი“[24].

ც. აბულაძემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში მოიძია „არზრუმის ვილაიეთის 1592 წლის კანუნ-ნამე“. ეს კანუნ-ნამე მან გამოსცა თურქული ტექსტით, ქართული თარგმანითა და კომენტარებით[25].

ჩვენ გამოვაქვეყნეთ „1595 წლის ახალციხის კანუნ-ნამესა“ და 1595 წლისა და 1620 წლის ახალციხის კანუნ-ნამეების ფრაგმენტების ქართული თარგმანი, შენიშვნებითა და კომენტარებით[26]. ამ დოკუმენტების ორიგინალები ინახება ანკარის კადასტრების გენერალური სამმართველოს არქივში.

ზემოთ დასახელებული საბუთები, ოსმალეთის პროვინციების მთელ რიგ სხვა კანუნ-ნამეებთან ერთად, თანამედროვე თურქულ ენაზე გამოსცა ჰ. თუნჯერმა[27].

„გურჯისტანისა“ და „ახალციხის“ კანუნ-ნამეების შესწავლა და მათი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა სათავე მოვუძებნოთ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების გავრცელებას სამცხე-საათაბაგოში. ამგვარი ხასიათის ცნობებს ის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ „ქართველობის“ (ქართული სო-

---

[23] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, კანუნ-ნამეს თურქული ტექსტი, წ. 1 გვ. 1—5; ქართული თარგმანი, წ. 11, გვ. 1—5.

[24] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალური დოკუმენტური წყაროები ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, ტ. 11, თბ., 1962, გვ. 219—234.

[25] ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, არზრუმის ვილაიეთის 1592 წლის კანუნ-ნამე, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბ., 1961, ტ. III, გვ. 55—85.

[26] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ახალციხის ღივას „კანუნ-ნამეები“, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის ნარკვევები, თბ., 1948, გვ. 149—175.

[27] Hadiye Tuncer, Osmanlı Imparatorluğunda Toprak Hukuku, Arazî Kanunları ve Kanun Açıklamaları, Ankara, 1962.

ციალურ-პოლიტიკური სისტემის) „ოსმალობით“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემით) შეცვლის პირობას ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის გაუქმება წარმოადგენდა.

ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVII ს-ის პირველი ნახევრის ოსმალური სოციალ-პოლიტიკური ტრაქტატები, როგორიცაა აინი ალის[28], კოჩი ბეი გორიჯელისა[29] და ალი ჩაუშის რისალეები[30].

ამ წყაროების ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება გავარკვიოთ საქართველოს ამ მხარეში ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმები, საგადასახადო სისტემა, შემოსავალი, ადმინისტრაციული დაყოფა, მართვა-გამგებლობა და სხვ.

ოსმალურ დოკუმენტურ წყაროებს შორის ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის რიგი საკითხების გარკვევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აჰმედ ფერიდუნ ბეის „სულთანთა ეპისტოლეების კრებულში“ დაცული ოსმალეთის სულთნებისა და დიდი ვეზირების მიერ გაცემული ფირმანები საქართველოს მეფე-გამგებლებისადმი.

აჰმედ ფერიდუნ ბეის (გარდაიცვალა 1583 წ.) სხვადასხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა[31]. მაგალითად, იგი იყო რეის-ულ ქუთთაბი (სახელმწიფო მდივანი). ამ თანამდებობაზე ყოფ-

---

[28] Aynî Ali, Osmanlı Devleti Arazi Kanunları, çeviren H. Tuncer, Ankara, 1962. შემოკლებით: Aynî Ali risalesi. რეცენზია ამ წიგნზე: მ. სვანიძე, თსუ, შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 253—301.

[29] В. Д. Смирнов, Кучибей Гёмюрджинский и другие османские писатели XVII в. о причинах упадка Турции, СПб, 1873; Koçi Bey risalesi, Istanbul, 1939; თარგმანი; А. С. Тверитинова, Второй трактат Кочи бея, УЗИВ АН СССР, 1953; т. VI, стр. 219—268; რეცენზია ამ თარგმანზე: გ. ფუთურიძე, თსუ შრომები, ტ. 73, 1959, გვ. 231—236; გამოკვლევა: გ. ფუთურიძე, კოჩი ბეი გორიჯელის „რისალე“, როგორც წყარო თურქეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თბ. 1953 (საკანდიდატო დისერტაცია), ხელნაწერი.

[30] Трактат Али Чауша из Софии о тимариотской организации в Османской империи, см. Аграрный строй Османской империи XV—XVII вв., документы и материалы составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой, М., 1963, стр. 92—128.

[31] აჰმედ ფერიდუნ ბეის შესახებ იხ. Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, Leipzig, 1927, S. 106.

ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, „ენიმკის“ მოამბე, ტ. XIII, გვ. 233—235.

ნის დროს მას ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო არქივებში დაცული ოფიციალური მიმოწერის მთელ მასალაზე და როგორც ჩანს, ამ დროიდან იგი შეუდგა დოკუმენტების შეგროვებას და შეადგინა საბუთების კრებული, რომელიც შეიცავს ოსმალეთის სულთნებისა და მაღალი თანამდებობების პირთა მიმოწერას უცხო სახელმწიფოების მეფეებსა და გამგებლებთან. ფერიდუნ ბეის ეს კრებული გამოცემული იქნა ორჯერ ორ ტომად 1848 და 1858 წლებში[32]. ფერიდუნ ბეის გარდაცვალების შემდეგ მის „კრებულს“ ავსებდნენ სხვები, გვიანდელი პერიოდის დოკუმენტებით. ამჟამად გარკვეულია, რომ „კრებულში“ შეტანილია აგრეთვე ნატყუარი საბუთებიც.

ფერიდუნ ბეის „კრებულში“ საქართველოს შესახებ დაცულ დოკუმენტებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შემდეგი: სულთან სულეიმან I მიერ ლევან კახთა მეფისადმი გაგზავნილი წერილი[33], სულთან მურად III მიერ სიმონ I-სადმი გაცემული უავგუსტოესის ხელშეკრულების პირი[34], სულთან მურად IV მიერ გ. სააკაძისადმი გაცემული სიგელი[35], დიდი ვეზირის მეჰმედ ჭოფრულუს მიერ დადიანთა სახლისადმი გაგზავნილი წერილი[36] და სხვ.

ოსმალურ წყაროთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, თურქი ისტორიკოსის ა ლ ი ს „ნუსრეთ-ნამე“[37].

„ნუსრეთ-ნამეში“ აღწერილია 1578—1579 წლებში ოსმალეთის სერასკერის ლალა მუსტაფა-ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში[38].

ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ავტორი თან ახლდა ლალა მუსტაფა-ფაშას ამ ლაშქრობაში[39]. ამ თხზულების ღირსებასა და ფასს

---

[32] فريدون بک مجموعه منشأت السلاطين، ج۲—۱، استانبول، ۱۲۷٤

[33] ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI ს. 60-იან წლებში, თსუ შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 243—260.

[34] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ს. ჯ ი ქ ი ა, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588—1590 წწ., „მაცნე“, 1966, ტ. 6, გვ. 223—236.

[35] ს. ჯ ი ქ ი ა, ხონთკრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, „ენიმკის“ მოამბე, 1943, ტ. XIII, გვ. 233—243.

[36] ს. ჯ ი ქ ი ა, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 294—298.

[37] تصرتنامه علی, ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან გადმოღებული ხელნაწერის ფოტოპირები. ეს წყარო თარგმნა პროფ. ს. ჯიქიამ. ვსარგებლობთ მისი თარგმანით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

[38] Fr. B a b i n g e r, op. cit. p. 131; J. H a m m e r, v. VII, p. VI.

[39] იქვე.

ზრდის ის, რომ მისი ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანადამხვდური იყო.

მიუხედავად წყაროს ტენდენციურობისა და ცალმხრივობის, მასში საქართველოს შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება. ამ წყაროდან ნათლად ჩანს ოსმალეთის დაპყრობითი პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

„ნუსრეთ-ნამეში" დაწვრილებითაა მოთხრობილი ლალა მუსტაფა-ფაშას ლაშქრობა საქართველოში. ალის აღწერილი აქვს მანუჩარ II ათაბაგის ხლება ლალა მუსტაფა-ფაშასთან და მისთვის მორჩილების გამოცხადება, ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობა, ლალა მუსტაფა ფაშასთან ალექსანდრე კახთა მეფის ელჩების მისვლა და მათთან მოლაპარაკება, ლალა-ფაშას შირვანში გალაშქრება და სხვ.

ალის „ნუსრეთ-ნამე" გამოყენებული აქვს აკად. ი. ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიაში"[40], მაგრამ იგი ამ წყაროს იცნობდა მხოლოდ ჰამერის „ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში" მოტანილი ფრაგმენტებით.

ალის „ნუსრეთ-ნამე" სტამბური წესით დღემდე არ არის გამოცემული. „ნუსრეთ-ნამეს" ხელნაწერები დაცულია ვენის, ლონდონის, პარიზის, სტამბოლისა და კაიროს მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში[41].

ოსმალეთის ურთიერთობის შესასწავლად მის მეზობელ ქვეყნებთან XVI ს-ის მეორე ნახევარში ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა მ უ ს ტ ა ფ ა ს ე ლ ა ნ ი ჭ ი ს „ისტორია" („თარიხი სელანიქი"), რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1564—1599 წწ.[42].

მუსტაფა სელანიქი მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველია. კერძოდ, იგი მონაწილეა 1578—1590 წწ. ირან-ოსმალეთის ომისა და მის თხზულებაში ამ ომთან დაკავშირებით არა ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. ამავე დროს, მ. სელანიქი სარგებლობდა სხვადასხვა სახის საბუთებით. მას აგრეთვე საშუალება ჰქონდა გასცნობოდა საგარეო საქმეების დოკუმენტებს და ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა მის საისტორიო თხზულებაში.

---

[40] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, ნ. II, გვ. 272—275, თბ., 1948.

[41] Fr. B a b i n g e r, op. cit., p. 131.

[42] მ. სელანიქის ბიოგრაფიისა და მისი „ისტორიის" შესახებ დაწვრილებით იხ. Fr. B a b i n g e r, op. cit. p. 136—137; გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, მუსტაფა სელანიქის ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 255—257.

მუსტაფა სელანიქის „ისტორიაში“ გვხვდება საქართველოს შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა, რაც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ საქართველო-ოსმალეთის ურთიერობის არა ერთი საკითხი. მათ შორის: სიმონ და ალექსანდრე მეფეებზე, დაუდ ხანზე, მანუჩარ ათაბაგზე, ვარაზა შალიკაშვილზე და სხვ.

სელანიქის ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნა და გამოსცა გ. ფუთურიძემ[18].

ოსმალურ წყაროებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი ს (1574—1650 წწ.) „ისტორია“. ფეჩევის „ისტორია“ ორი ტომისაგან შედგება და 1520—1640 წლების ამბებს შეიცავს[44].

ფეჩევის მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თურქულ ისტორიოგრაფიაში. მას თავისი „ისტორიის“ აღრინდელი პერიოდის დაწერისას გამოყენებული აქვს თურქული მატიანეები, უნგრული ქრონიკები, აგრეთვე სხვა დოკუმენტური წყაროები. ი. ფეჩევის სხვადასხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა, რაც მას საშუალებას აძლევდა ყოფილიყო თავისი დროის მნიშვნელოვანი ამბების კურსში.

ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ ფეჩევის ამოღებული აქვს, ერთი მხრივ, ოსმალური წყაროებიდან, ხოლო, მეორე მხრივ, იგი მომსწრე და თვითმხილველია „ისტორიაში“ აღწერილი ამბებისა. ამ წყაროს ღირებულებას ზრდის ისიც, რომ მასში დამოწმებული მრავალი ფაქტი დადასტურებას პოულობს ქართულ და სხვა წყაროებშიაც.

განსაკუთრებით საინტერესოა ი. ფეჩევის „ისტორიაში“ დაცული ის ცნობები, რომლებიც საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობას შეეხება. ცნობათა ერთი ნაწილი ეხება ოსმალეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული პროვინციების დაპყრობას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ოსმალთა მიერ ქართული ოლქების დაპყრობის თანამიმდევრობისა და გაოსმალების პროცესის დადგენა.

მნიშვნელოვანია ი. ფეჩევის ის ცნობები საქართველოს შესახებ, რომელთა თვითმხილველი და თანდამხვდური თვითონ იყო. მაგალითად, მას აღწერილი აქვს გ. სააკაძის ელჩების მისვლა ოსმალეთის მთავარსარდალ ჰაფიზ-ფაშასთან (1625 წ. 3.VII). ამ დროს ავტორი დიარბექირის მახლობლად ჰაფიზ-ფაშას ამალაში იმყოფებოდა და პირადად იღებდა მონაწილეობას ქართველებთან მოლაპარაკებაში და სხვ.

---

[43] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 255—275.

[44] تاريخ چلبى, ტ. I—II, სტამბოლი, 1864, 1866 წწ.

ი. ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ თარგმნა ს. ჯიქიამ[45].

საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა მოეპოვება გამოჩენილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების.

ევლია ჩელები (1611—1679) თითქმის 50 წლის განმავლობაში მოგზაურობდა ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ეს მოგზაურობა მან აღწერა „მოგზაურობათა წიგნში"[46].

ევლია ჩელების ამ ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო ოსმალეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამ წიგნს მაღალი შეფასება მისცა აკად. ი. კრაჩკოვსკიმ[47].

1646 და 1649 წლებში ევლია ჩელებიმ ორჯერ იმოგზაურა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში და ამ ქვეყნების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნის" ის ადგილები, რომელიც ახალციხის საფაშოს შეეხება. იგი გვაწვდის ცნობებს ახალციხის საფაშოს სანჯაყებად დაყოფის, მისი შემოსავლის, თითოეული სანჯაყის ზეამეთებისა და თიმარების რაოდენობის შესახებ, მითითებული აქვს სანჯაყების ხასების შემოსავალი, ომის დროს გამოსაყვანი ლაშქრის რაოდენობა და სხვ. ევლია ჩელების აღწერილი აქვს აგრეთვე ახალციხის საფაშოს ციხე-ქალაქები, მათი მოსახლეობა, ყოფა-ცხოვრება და სხვ. ასე, მაგალითად, იგი ახალციხის მოსახლეობაზე წერს: „ხალხი ჯანიანი, მამაცი და სახელოვანია", ...ხოლო „შავშეთი მიუდგომელი და მეამბოხე ადგილია" და სხვ.

ერთი სიტყვით, ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნი" საუკეთესო წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად.

---

[45] ს. ჯიქია. ი. ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ, „ენიმკის" მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 369—389; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964. რეცენზია ამ გამოცემაზე: მ. სვანიძე, „მაცნე", 1965, № 3, გვ. 286—290; ნ. შენგელია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1965 წ., 26, III; Mihail Guboglu, Studia et Acta Orientalia, V—VI, Bucurest, 1967, pp. 443—444.

[46] ევლია ჩელების ბიოგრაფიისა და მისი მოგზაურობათა წიგნის შესახებ დაწვრილებით იხ. И. Ю. Крачковский, Избр. соч., т. VI, М.-Л., 1957, стр. 624—636; Islam ensiklopedisi, c.IV, Istanbul, 1947, s. 400—412.

[47] იქვე.

ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნი“ მრავალ ენაზე ითარგმნა. მათ შორის ქართულ[48], რუსულ[49] და სომხურ ენებზედაც[50].

საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება XVII ს. მეორე ნახევრის ისტორიკოსს აჰმედ ლუთფულაჰს, რომელიც მუნეჯიმ-ბაშის სახელით არის ცნობილი (გარდაიცვალა 1702 წ.)[51].

მ უ ნ ე ჯ ი მ-ბ ა შ ი ს სამტომიანი თხზულება („საჰაიფ ალ-ახბარ“) წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ხასიათის ნაწარმოებს. მაგრამ მისი ნაშრომის ღირებულებას ზრდის ის, რომ მას გამოყენებული აქვს 70-ზე მეტი დასახელების პირველწყარო, რომელთაგან ზოგიერთი დღეისათვის დაკარგულად ითვლება.

XVI—XVII სს. ისტორიის გადმოცემისას მუნეჯიმ-ბაში სარგებლობს ი. ფეჩევის, სოლაქ ზადეს, ჩელები-ზადეს, სელანიქისა და სხვათა საისტორიო თხზულებებით.

მუნეჯიმ ბაშის თხზულებაში მრავალი საყურადღებო ცნობა მოიპოვება საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ცალკეული საკითხების გასარკვევად. მას ვრცლად აქვს აღწერილი ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობა, სიმონ I-ის ოსმალეთთან ურთიერთობა, ირან-ოსმალეთის ომების მსვლელობა. საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გ. სააკაძის შესახებ და სხვ.

მუნეჯიმ-ბაშის საისტორიო თხზულების ადგილები თარგმნილია ქართულად[52].

---

[48] ს. ჯ ი ქ ი ა, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზუთის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, 1954, გვ. 243—256; გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ, თბილისის 1500 წლისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1958, გვ. 39—47; მისივე, ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“, ტ. II, თბილისი, 1971.

[49] Ф. Б р у н, Путешествие турецкого туриста вдоль по восточному берегу Черного моря. ЗООИД, т. 9, 1875, стр. 161—188; Примечания к путешествию Эвлия Эфенди, ЗООИД, т. 10, 1877, стр. 501—503; Эвлия Челеби, Книга путешествия, вып. I, земли Молдавии и Украины, Перевод и комментарии, М., 1961.

[50] Эвлия Челеби об Армении, перевод и комментарии Т. А. Сафрастяна, Ереван, 1967 (на арм. яз.).

[51] მუნეჯიმ ბაშის ბიოგრაფიისა და მისი თხზულების შესახებ იხ. ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. II, თბ., 1968, გვ. 133—135.

[52] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 133—152; მისივე, მუნეჯიმ ბაშის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს შესახებ არსებული უცხო წყაროთა კომისია, თბ., 1968, ტ. I—II.

არანაკლებ საყურადღებოა თურჩი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას (1655—1711 წწ.) „ისტორია“. მუსტაფა ნაიმა ოსმალეთის იმპერიის ოფიციალურ ისტორიკოსადაა აღიარებული. მისი ისტორია მოიცავს 1592—1659 წლების ამბებს[53].

ნაიმა თავისი ისტორიის შედგენისას უმთავრესად ყარაჩელებიზადეს, ი. ფეჩევის, ჰასან ბეგ ზადეს, მ. სელიანიქის საისტორიო თხზულებებით სარგებლობდა[54].

ნაიმას თხზულება ოსმალეთის ისტორიის მკვლევართა მიერ ერთერთ საყურადღებო წყაროდ არის მიჩნეული. მას ახასიათებს სადა, დახვეწილი სტილი, ცოცხალი სახეები და თხრობის დიდი ოსტატობა, რაც მის ისედაც მნიშვნელოვან თხზულებას დიდ ღირსებას მატებს და სათანადო ადგილს უთმობს თურქულ საისტორიო მწერლობაში.

ნაიმას „ისტორიაში“ არა ერთი საინტერესო ცნობა მოიპოვება საქართველოს შესახებ. მას მოთხრობილი აქვს შაჰ-აბასის მიერ ქართლ-კახეთის აოხრება და ქართველების აჯანყება ყიზილბაშების წინააღმდეგ, აღწერილი აქვს გ. სააკაძის მიერ მარტყოფის ველზე ყიზილბაშების გაჟლეტა. იგი დაწვრილებით მოგვითხრობს აგრეთვე ოსმალეთსა და ირანს შორის XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ახალციხისათვის გამართულ ცხარე ბრძოლებთან დაკავშირებულ ამბებს და სხვ.

ნაიმას „ისტორიიდან“ ზოგიერთი ადგილი, რომელიც საქართველოს შეეხება, თარგმნილია ქართულ ენაზე[55].

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალური წყაროები მეტად ცალმხრივი და ტენდენციური ხასიათისაა. ოსმალური წყაროების ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს ოსმალეთი საქართველოს „იცავდა“ ყიზილბაშური ირანისაგან და „მფარველობას“ უწევდა მას. ამით ოსმალთა მწერლები ცდილობენ შენიღბონ ოსმალეთის სულთნის დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ოსმა-

---

[53] تاريخ نعيما، ج ۲—۱، استانبول، ۱۱٤۷

[54] მ. ნაიმას ბიოგრაფისა და მისი „ისტორიის“ შესახებ იხ. Fr. Babinger, op. cit., p. 138; ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. „ენიმკის“ მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 208.

[55] ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 207—217; მისივე, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან (ნაიმას ერთი ცნობის განმარტება), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბ., 1954; გვ. 53—58; ნ. შენგელია, მუსტაფა ნაიმას ცნობები გ. სააკაძის შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 33, თბ., 1960, გვ. 253—264.

ლური წყაროების გამოყენება მხოლოდ დიდი სიფრთხილით შეიძლება.

თუ ოსმალეთის საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისი მკაფიოდაა აღბეჭდილი ოსმალურ წყაროებში, სამაგიეროდ ირანული თვალსაზრისი საქართველოს მიმართ ასევე ნათლადაა ასახული სპარსულ წყაროებში. ოსმალური და სპარსული წყაროების სათანადო ცნობების ურთიერთ შედარება, მათი კრიტიკული ანალიზი, შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ საქმის ნამდვილი ვითარება.

XVI საუკუნის სპარსულ წყაროებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჰასან-ბეგ რუმლუს, რომლის საისტორიო ნაწარმოები „აჰსან ათ-თავარიხ“ („უმშვენიერესი ისტორიათაგანი“) საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს ირანისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის[56].

ჰასან რუმლუ ახლო იდგა შაჰის კართან. იგი თან ახლდა შაჰ-თამაზ I-ს (1524—1576) ომებსა და ლაშქრობებში, ყოფილა საქართველოშიც და პირადად მიუღია მონაწილეობა ერთ-ერთ ბრძოლაში. ამდენად, მას საკუთარი თვალით უნახავს წყაროში აღწერილი ამბების უმეტესობა. ხოლო იმ ამბების აღწერისას, რომელთაც პირადად არ დასწრებია, ავტორი სხვა სანდო პირთა ნაამბობს ეყრდნობა. გარდა ამისა, მას თავის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებითაც უსარგებლია.

ჰასან რუმლუს მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება ირან-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად. მას ვრცლად აქვს აღწერილი შაჰ-თამაზ I-ს შემოსევები საქართველოში. იგი დიდ ყურადღებას უთმობს, აგრეთვე, ირან-ოსმალეთის ომების მსვლელობას XVI ს-ის პირველ ნახევარში. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომლებიც შეეხება სამცხე-საათაბაგოსა და მის ურთიერთობას ირან-ოსმალეთთან.

სპარსულ დოკუმენტურ წყაროებს შორის ყურადღებას იპყრობს ირანის დიდმოხელეების სევინდუქ ბეგისა და უსტანჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზა მირზას მიერ არზრუმის გამგებლის აიას ფაშასადმი გაგზავნილი წერილი. ამ საბუთიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „გურჯისტანის საკითხს“ ირან-ოსმალეთის ურთიერთო-

---

[56] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, რეცენზია ამ წიგნზე, კ. ტაბატაძე, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. II, გვ. 201—206. A Chronicle of the early Safawis being the Ahsanu't-tawarikh of Hasan-i Rumlu, ed. by C. N. Seddon, (English translation), Baroda, 1934.

ბაში ამასიის ზავის (1555 წ.) დადების წინ. ეს წერილი აღმოაჩინა ოსმალეთის არქივში ცნობილმა უნგრელმა ორიენტალისტმა ლ. ფეკეტემ და გამოსცა იგი გერმანული თარგმანით, შესავალითა და კომენტარებით[57].

XVI საუკუნის სპარსულენოვან წყაროთა შორის ერთ-ერთი საყურადღებო ადგილი უჭირავს შერეფ-ხან ბითლისელის თხზულებას „შერეფ-ნამეს".

შერეფ-ხანი წარმოშობით ქურთი იყო. იგი ირანის შაჰის ისმაილ I-ის კარზე აღიზარდა, ხოლო შემდგომ შერეფ-ხანი ოსმალთა მხარეზე გადავიდა და სულთნის სამსახურში ჩადგა.

„შერეფ-ნამეში" უხვი ცნობები მოიპოვება საქართველოს შესახებ. შერეფ-ხანი მონაწილე იყო 1578—1590 წწ. ირან-ოსმალეთის ომისა და ამასთან დაკავშირებით არა ერთი საყურადღებო ცნობა მოაქვს სიმონ I-სა და მანუჩარ ათაბაგის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. საჭიროა აღინიშნოს: რომ შერეფ-ხან ბითლისელი, სპარსელი და ოსმალო ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო ობიექტურად აღწერს ამა თუ იმ ამბავს. ეს გასაგებიცაა, რადგან მან საკუთარ თავზე გამოსცადა ოსმალო და ყიზილბაშ დამპყრობთა დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართ.

„შერეფ-ნამე" მრავალ ენაზეა თარგმნილი[58].

ყველაზე საყურადღებო სპარსულ წყაროს ისქანდერ მუნშის სასტორიო თხზულება წარმოადგენს[59]. ისქანდერ მუნში შაჰ-აბასის (1587—1629) ოფიციალურ ისტორიკოსად ითვლება.

ისქანდერ მუნში ირანის სახელმწიფო კარის მოხელე იყო და ბევრ ლაშქრობაშიც მიუღია მონაწილეობა. 1586—1587 წელს იგი სახელმწიფო დივანხანაში გაამწესეს, ხოლო 1592 წელს შაჰმა მას მუნშის (მდივნის) თანამდებობა უბოძა. ამის შემდეგ იგი ირანის შაჰს ახლდა

---

[57] L. Fekete, Zur Geschichte der Grusiner des 16 Jahrhunderts, Acta Orient. Hung. t. 1, fasc. 1, 1950, S. 93—133.

[58] კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, ტ. II, გვ. 159—188; Шереф-хан Бидлиси, Шараф-наме, перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М., 1967, т. I; Scheref-nameh ou fastes de la Nation Kourde, par Scheref ouddin, traduits et commentés par F. B. Charmoy, v. 1—11, SPb., 1868—75; შერეფ-ნამე თარგმნილია აგრეთვე თურქულ ენაზე.

[59] تاریخ عالم آرای عباسی تالیف اسکندر بیک ترکمان، ج۲—۱، تهران، ۱۳۲۰. რეცენზია ამ გამოცემაზე, კ. კუცია, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 235—239.

თითქმის ყველა ლაშქრობაში, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაშიც. ასე რომ ავტორს მოთხრობილ-აღწერილი ამბების უმეტესი ნაწილი ან თავის თვალით უნდა ენახოს, ან თვითმხილველებისაგან გაეგონოს. ამას გარდა, მის ხელთ იყო სახელმწიფო საბუთები და მიწერ-მოწერა. ამიტომ ისქანდერ მუნშის ისტორიაში გვხვდება მრავალი მეტად საყურადღებო ცნობა.

ისქანდერ მუნში 1616 წელს შესდგომია თავისი საისტორიო თხზულების წერას და 1629/30 წელს, უკვე სამოცდაათი წლის მოხუცს, დაუმთავრებია.

ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულებას დიდად აფასებდა აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი. იგი მის შესახებ წერდა: „ისკანდერ მუნშისთანა ისტორიკოსი იშვიათია და მის თხზულებასაც დიდი ღირსება და მნიშვნელობა აქვს“[60].

ისქანდერ მუნშის ისტორია ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა აღებული ხანის ირან-საქართველოს, ირან-ოსმალეთის და ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად.

ისქანდერ მუნშის „ისტორიიდან“ კარგად ჩანს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა შაჰ-აბასი „გურჯისტანის საკითხს“ და როგორ მწვავედ იდგა „გურჯისტანის საკითხი“ ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში.

ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულების ის ადგილები, რომლებიც ამიერკავკასიასა და საქართველოს შეეხება, თარგმნილია მ. ბროსეს, ბ. დორნისა და ვ. ფუთურიძის მიერ[61].

თურქეთთან ურთიერთობის საკითხების გასარკვევად მნიშვნელოვან და საყურადღებო ფაქტობრივ მასალებს ვპოულობთ XVII საუკ. სომხურ საისტორიო მწერლობაში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის საისტორიო თხზულება[62].

არაქელ თავრიზელი ბერი იყო და მუდმივად ეჩმიაძინში ცხოვრობდა, მაგრამ თავისი „ისტორიის“ მასალების შესაგროვებლად ხშირად აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა. მისი „ისტორია“ 1602—1662 წლებს მოიცავს, მაგრამ მასში უფრო ადრინდელი პერიოდის ამბებიც არის მოთხრობილი. არაქელ თავრიზელი თანადამხვდურია მის მიერ მოთხრობილი ამბებისა.

---

[60] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, გვ. 298

[61] M. B r o s s e t, Histoire de la Georgie, II partie, Histoire moderne, 1, livraison, SPb., 1856, pp. 445—509; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო დ. კაციტაძემ, თბ., 1969.

[62] Collection d'historiens Armeniens, traduit par M. Brosset, t. 1, SPb., 1874.

არაქელის „ისტორია“ ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა საზოგადოდ XVI—XVII სს. ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის შესასწავლად. არაქელის „ისტორია“, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა იმით, რომ მასში უხვი ფაქტობრივი მასალა მოიპოვება ამიერკავკასიაში ოსმალთა ბატონობისა (1578—1606 წწ.) და დაპყრობილ ხალხთა მდგომარეობის დასახასიათებლად.

არაქელის ისტორიაში ვრცლად არის აღწერილი ქართველი ხალხის შეუპოვარი ბრძოლის არა ერთი ეპიზოდი ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამით აიხსნება, რომ ამ საისტორიო თხზულების ის ნაწილები, რომლებიც საქართველოს შეეხება, ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევაც[63].

საინტერესო წყაროა, აგრეთვე, მეორე სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის (1626—1699 წწ.) „ისტორია“[64]. მართალია, ზაქარია სარკავაგი თავის „ისტორიაში“ ხშირად იმეორებს არაქელ თავრიზელის მიერ მოთხრობილ ამბებს, მაგრამ ალაგ-ალაგ ზოგჯერ ავსებს და ასწორებს დამოწმებულ ცნობას. ამასთან იგი გადმოგვცემს ახალ და ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეული თვალსაზრისით, მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტებს.

XVI ს. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იზრდება ჩვენთვის საინტერესო მასალების შემცველი რუსული დოკუმენტური წყაროების რაოდენობა. რუსეთი, თავისი ელჩებისა და ვაჭარ-მოგზაურების საშუალებით, უკვე XVI ს. დამდეგიდან კრებს მისთვის საჭირო ცნობებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციას XVI ს. 80-იან წლებში. ეს ის დროა, როცა რუსეთი აქტიურად გამოდის კავკასიის საქმეების მონაწილედ და ახლო აღმოსავლეთში ირანსა და ოსმალეთს უპირისპირდება.

რუსული წყაროები, უმთავრესად, დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტებია, რომელნიც შეეხებიან რუსეთის ურთიერთობას კავკასიის ქვეყნებთან და განსაკუთრებით კი საქართველოს სამეფო-სამთავროებთან. ამ წყაროებში საინტერესო ცნობები მოიპოვება ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხისა და, აგრეთვე, ოსმალეთის შინაგანი მდგომარეობისა და ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის გასათვალისწინებლად.

---

[63] ჟურნალი „ივერია“, 1885, № 6, 7; კ. კ უ ც ი ა, არაქელ თავრიზელის „ისტორია“ (ცნობები საქართველოს შესახებ), სომხური ტექსტი, ქართული თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები. (იბეჭდება).

[64] Collection d'historiens... Arméniens. II, SPb., 1876, pp. 1—193.

ასეთი ხასიათის წყაროებს განეკუთვნება ს. ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ი ს[65], ნ. ვ ე ს ე ლ ო ვ ს კ ი ს[66], მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი ს[67] რუსული დიპლომატიური დოკუმენტთა პუბლიკაციები[68]. ვსარგებლობთ აგრეთვე ე. ზ ე ვ ა კ ი ნ ი ს მიერ შეგროვებული, მაგრამ ჯერ გამოუქვეყნებელი მასალებითაც[69].

ნაგვიანევი ხანის ოსმალეთის და ირანის ისტორიისათვის დიდი რაოდენობით მოიპოვება წყაროები დასავლეთ ევროპულ ენებზე. ევროპული წყაროების წარმოშობა, ერთის მხრივ, დაკავშირებულია „თურქთა საფრთხესთან“, ხოლო, მეორეს მხრივ, კაპიტალის პირვანდელი დაგროვების კარგად ცნობილ პროცესთან. „თურქეთის საფრთხის“ გაძლიერება (კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ) ევროპულ სახელმწიფოებს იძულებულს ხდიდა ზედმიწევნით გაეცნოთ ოსმალეთის იმპერია (გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო-სავაჭრო თვალსაზრისით). ამავე მოვლენას უკავშირდება ირანის შესახებ ევროპული წყაროების წარმოშობაც, რამდენადაც დასავლეთ ევროპის პოლიტიკური მოღვაწეები ირანში ხედავდნენ ოსმალეთის ერთადერთ პოტენციურ მეტოქე-მოწინააღმდეგეს აღმოსავლეთში და უკვე XV საუკუნიდან მოყოლებული დაჟინებით ცდილობენ მის ჩაბმას ანტიოსმალურ კოალიციებში. ამას გარდა, ირანს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, როცა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, ევროპელები შეუდგნენ ახალი სახმელეთო გზების ძიებას აღმოსავლეთთან დასაკავშირებლად, ოსმალეთის გვერდის ავლით. საქართველო, რომლის საკითხი მუდამ მწვავედ იდგა ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში და მათი ომების მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა, უნებლიეთ იქცევდა ევროპელი პოლიტიკური დამკვირვებლების, აგრეთვე,

---

[65] С. А. Б е л о к у р о в, Сношения России с Кавказом 1578—1613 гг., Москва, 1889. ამ დოკუმენტების ნაწილი რომელიც საქართველოს შეეხება თარგმნილია ინგლისურად: Russian Embassies to the Georgian kings (1589—1605). Edited with Introduction, Additional Ntotes, Commentaries and Bibliography by W. E. D. A l l e n. Texts translated by A. M a n g o, v. I—II, Cambridge 1970.

[66] Н. И. В е с е л о в с к и й, Памятники дипломатических и торговых сношений России с Персией, I—II—III, Петербург, 1890—1898

[67] М. А. П о л и е в к т о в, Материалы по истории русско-грузинских взаимоотношений 1615—1640 гг., Тбилиси, 1937.

[68] Памятники дипломатических сношений древней Руси с державами иностранными, Сношения царя Федора Иоановича и Бориса Годунова с императором Рудольфом II, 1594—1604 гг., Петербург, 1852, т. VI—X.

[69] Е. С. З е в а к и н, Материалы по истории Азербайджана XVII в., ч. I—II, Москва, 1929, ინახება ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივში.

სავაჭრო აგენტების ყურადღებას. ამით აიხსნება, რომ ოსმალეთის თუ ირანის შესახებ ევროპულ წყაროებში, როგორც წესი, საქართველოს შესახებაც გვხვდება ცნობები[70].

ევროპული წყაროებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფრანგული დიპლომატიური ხასიათის წყაროები. ასეთებია: კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩებისა და დიპლომატების რელაციები და წერილები საფრანგეთის მეფეებისა და მთავრობისადმი, ფრანგ დიპლომატთა მოგზაურობათა ჩანაწერები და სხვ. ამ წყაროების სარგებლობისას უნდა გვახსოვდეს, რომ საფრანგეთის ურთიერთობა ოსმალეთთან განსხვავდებოდა ევროპის სხვა სახელმწიფოების პოლიტიკისაგან ოსმალეთის მიმართ. საქმე ისაა, რომ საფრანგეთი ოსმალეთის მოკავშირედ გამოდიოდა ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ ომში. ამის გამო საფრანგეთი არ იყო დაინტერესებული ირან-ოსმალეთის ომებით და როცა ოსმალეთსა და ირანს შორის ომი დაიწყებოდა, იგი ცდილობდა რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო და ზოგჯერ ოსმალეთს დახმარებასაც კი უწევდა ირანთან ზავის დადებასა, თუ სამხედრო კონსულტაციის საქმეში, რათა ამის შემდეგ ოსმალეთს კვლავ შეეტია ევროპაში ავსტრიის იმპერიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ფრანგი დიპლომატები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობას და ზოგჯერ თან ახლდნენ სულთანს ირანის წინააღმდეგ ომში.

ფრანგული დიპლომატიური დოკუმენტებიდან ყურადღებას იმსახურებს ე. შარიერის მიერ გამოცემული საფრანგეთის ელჩებისა და დიპლომატების რელაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან და მათ შორის ოსმალეთიდანაც[71].

ამ დოკუმენტთა კრებულში არა ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება XVI ს-ში ირან-ოსმალეთის ომებზე, ამიერკავკასიის ქვეყნებსა და საქართველოზე.

ირკვევა, რომ ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობით და საქართველოს მდგომარეობით დაინტერესებული იყვნენ არა მარტო კონსტანტინოპოლში, არამედ ვენეციაში მყოფი საფრანგეთის ელჩიც. ასე, მაგალითად, ვენეციაში მყოფი საფრანგეთის ელჩი 1549 წ. 4 მარტს ჰენ-

---

[70] მ. სვანიძე, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო-თურქეთის ურთიერთობის წყაროები. რუსთაველის სახ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1958, გვ. 47.

[71] Charrière, E., Negotiations de la France dans le Levant, ou correspondances, memoires et actes diplomatiques des ambassadeurs de France à Constantinople et des ambassadeurs... à Venise, Raguse, Rome etc. v. 1—IV, Paris 1848—1868.

რიჰ II ატყობინებდა, რომ სულთან სულეიმანს განზრახული ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა და მისი დაპყრობა[72].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობები, რომლებიც შეეხება 1579 წელს სტამბოლში მანუჩარისა და ყვარყვარეს ჩასვლას, სულთნისმიერ ჩილდირის საფაშოს დაარსებასა და მის გამგებლად გამაჰმადიანებული მანუჩარის (მუსტაფა) დანიშვნას.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩის დ'არამონის მდივნის ჟან შესნოს მოგზაურობის ჩანაწერები, რომელმაც დ'არამონთან ერთად მონაწილეობა მიიღო სულთან სულეიმან I ირანის წინააღმდეგ (1548—1549) ლაშქრობაში[73].

ჟ. შესნოს დაწერილებით აქვს აღწერილი 1548—1549 წლების ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ და ამასთანავე იგი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს შესახებ. კერძოდ, მას აღწერილი აქვს ამ ლაშქრობის დროს სამცხის ათაბაგის ელჩების ჩასვლა სულთნის ბანაკში, მათი შეხვედრა საფრანგეთის ელჩთან, რომელშიაც თვით ავტორიც იღებდა მონაწილეობას და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ წიგნისათვის დართული დამატება. კერძოდ, აქ მოთავსებულია სულთან სულეიმან I წერილი (1549 წ.), გაგზავნილი საფრანგეთის მეფე ჰენრიჰ II-სადმი, რომელშიაც აღწერილია ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა. ამ წერილში სულთანი დაწვრილებით აუწყებს საფრანგეთის მეფეს საქართველოში ლაშქრობის ამბავს და მის მნიშვნელობას ოსმალეთისათვის[74].

გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე 1605—1610 წლებში ოსმალეთში მყოფი საფრანგეთის ელჩის გონტო ბირონ დე სალინიაკის დიპლომატიური კორესპონდენცია[75]. მას საინტერესო ცნობები მოეპოვება სიმონ მეფის განთავისუფლების მიზნით სტამბოლში ჩასულ ქართველებზე, და, კერძოდ, უფლისწულ დავითის შესახებ და სხვ.

იტალიური წყაროებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ე. ალბერის[76] და აგრეთვე ბაროციისა და ბერშეს[77] მიერ გამოცემული

---

[72] Charrière, E., op. cit. v. II, p. 96.

[73] Chesneau, J., Le Voyage de monseigneur d'Aramon ambassadeur pour le roy en Levant, Paris, 1887.

[74] Chesneau, J., op. cit., pp. 261—266.

[75] Salignac, Jean Gonto Biron de, L'Ambassade en Turquie 1605—1610, correspodances diplomatiques et documents inedits, v. I—II, Paris, 1889.

[76] E. Alberi, Relazioni degli ambasciatori Veneti al Senato, t. I—III, Firenze, 1839—1863.

[77] Barozzi e Berchet, Relazioni degli ambasciatori e baili Veneti à Constantinopoli. Venezia, 1873, v. I—II.

კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის კონსულების (ბაილო) რელაციები.

კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩებს საყურადღებო ცნობები მოეპოვებათ არა მარტო საკუთრივ ოსმალეთზე, არამედ მის მეზობელ ქვეყნებსა და საქართველოზედაც. მათ განსაკუთრებით ვრცლად აქვთ აღწერილი ირან-ოსმალეთის ომები XVI ს-ში.

ევროპული წყაროებიდან, რომლებიც საქართველოს შესახებ ცნობების სიუხვით იქცევენ ყურადღებას პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ტომაზო მინადოის ნაშრომი „ისტორია ომისა სპარსელებსა და ოსმალებს შორის"[78]. ეს ნაშრომი გამოქვეყნდა ვენეციაში 1588 წელს იტალიურ ენაზე.

მინადოის ამ საისტორიო თხზულებიდან საკმაოდ მკაფიოდ ჩანს მისი დამოკიდებულება ირან-ოსმალეთის ომისადმი. იგი წერს: „ეს ომი იყო არა მარტო ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი, არამედ ქრისტიანული სამეფოებისათვის მეტად ხელსაყრელი და ძალიან სასურველი, ვინაიდან მან მისცა დრო ქრისტიანებს (ევროპელებს) გაეძლიერებინათ და გაეზარდათ თავისი ძალები"[79].

ტ. მინადოის ასეთი პოზიცია სავსებით გასაგებია.

ტ. მინადოი მრავალი წლის განმავლობაში მსახურობდა ევროპად აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ ხნის განმავლობაში ის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ კი ირან-ოსმალეთის მეორე ომის მსვლელობას. იგი პირადად იცნობდა ამ ქვეყნებში ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ირან-ოსმალეთის ომის უშუალო მონაწილეებს და, როგორც ჩანს, ძირითადად სწორედ მათი ცნობების მიხედვით აქვს შედგენილი თავისი შინაარსიანი თხზულება.

ტ. მინადოი თავის „ისტორიაში" დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობამდე; ცალკე განიხილავს საქართველოს სამეფო-სამთავროების დამოკიდებულებას ოსმალო დამპყრობლების მიმართ. „ისტორიაში" ვრცლად არის მოთხრობილი ოსმალო დამპყრობლების

---

[78] T h o m a s o M i n a d o i, Historia della guerra fra Turchi et Persiani, Venezia, 1588; ქართული თარგმანი, ბ. გიორგაძე, ჯოვანი ტომაზი მინადოი და რივიგო. ოსმალო თურქებსა და სპარსელებს შორის წარმოებული ომის ისტორია (ხელნაწერი), ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხო წყაროების კომისიაში. არსებობს აგრეთვე რუსული თარგმანი, შესრულებული ფ. ავიღოვის მიერ, ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

[79] T. M i n a d o i, op. cit., p. 2.

წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეუპოვარი ბრძოლის ამაღელვებელი ეპიზოდები და სხვ.

ინგლისური წყაროებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ 1597—1606 წლებში კონსტანტინოპოლში მყოფი ინგლისის ელჩის ლელოს რელაცია[80] და XVII ს-ის დამდეგის ინგლისელი ისტორიკოსის რ. კნოლზის „თურქთა ვრცელი ისტორია“[81].

ამ წყაროებში საყურადღებო ცნობები მოიპოვება საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გასარკვევად.

სხვა ევროპული წყაროებიდან აღსანიშნავია დონ ხუან სპარსელის „რელაცია[82]. ეს ევროპული წყარო ძირითადად ირან-ოსმალეთის მეორე ომს (1578—1590 წწ) ეხება და მასში გზადაგზა საინტერესო და საკმაოდ ვრცელ ცნობებს ვხვდებით საქართველოს შესახებაც. თხზულებიდან ირკვევა, რომ ავტორი ირან-ოსმალეთის ომის მონაწილე ყოფილა. დონ ხუან სპარსელი 1599 წელს, შაჰ-აბასის დავალებით, ანტონ შერლთან ერთად, ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის მიზნით, ევროპაში გაემგზავრა. ევროპაში მან კათოლიკობა მიიღო და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

დონ ხუან სპარსელის ამ თხზულების შედგენაში, ჩანს, აქტიური მონაწილეობას იღებდნენ ესპანელი სწავლულები, რომელნიც დონ ხუან სპარსელის ცნობებთან ერთად სათანადო ევროპულ თხზულებებსაც იყენებდნენ; როგორც ირკვევა, დონ ხუან სპარსელს „რელაციის“ შედგენისას ტ. მინადოის ნაშრომითაც უსარგებლია.

დონ ხუან სპარსელი საკითხებსა და მოვლენებს ირანული ორიენტაციის თვალსაზრისით აშუქებს. მისი თვალსაზრისი ევროპელებისათვის საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ იგი საგრძნობლად აძლიერებდა ანტიოსმალურ განწყობილებას დასავლეთ ევროპაში.

სხვადასხვა თვალსაზრისით საყურადღებოა ის ცნობები, რომელთა ავტორები არიან შაჰ-აბასის კარზე მყოფი ევროპელი ელჩები და კათოლიკე მისიონერები. ეს ცნობები იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მათი ავტორები ყურადღებით სწავლობდნენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებას, დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობას, სწავლობდნენ ირანისა და ოსმალეთის დამოკიდე-

---

[80] The Report of L e l o, Third english ambassador to the Sublim Porte 1597—1606, ed. O. Burian, Ankara, 1957.

[81] K n o l l e s R., The Generall Historei of the Turks, Oxford, 1631.

[82] D o n J u a n of P e r s i a, Relaciones, trad. of espanol, London, 1926.

ბულებას მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიასთან, საქართველოსთან და სხვ.

ასეთი ხასიათის ევროპული წყაროებიდან აღსანიშნავია ირანში მყოფი რომის პაპის აგენტების კარმელიტი მისიონერების წერილები[83]. ასევე საინტერესოა ანტონიო გოვეას[84], ანტონ შერლის[85], დონ გარსია დე სილვა ფიგეროას[86], ტეტ-კანდერის[87], პიეტრო დელა ვალეს[88] და სხვა თხზულებებში დამოწმებული ცნობები.

ევროპული წყაროები იმ მხრივაც იქცევენ ყურადღებას, რომ ისინი ავსებენ და ზოგ შემთხვევაში კიდევაც ასწორებენ ქართულსა და აღმოსავლურ წყაროებში დამოწმებულ ცნობებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ წყაროებში საქართველოს შესახებ ბევრი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. ეს წყაროები ერთხმად აღნიშნავენ ოსმალეთისა და ირანის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ და ქართველი ხალხის დაუცხრომელ ბრძოლას ოსმალო თუ ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ევროპული წყაროების კრიტიკულად შესწავლის საჭიროება იმითაც აიხსნება, რომ ანტიოსმალური კოალიციის შედგენის ზოგი გულწრფელი მომხრე შეგნებულად ან ვიწროდებდა ირანის ძლიერებას, ხოლო საკუთრივ თურქეთის მდგომარეობას ტენდენციურად აშუქებდა. ეს ჩანს უპირატესად აღწერილობითი ხასიათის იმ თხზულებებში, რომელნიც დასავლეთ ევროპის ფართო მკითხველებისათვის იყო გათვალისწინებული. უფრო სანდო ცნობები, ცხადია, მოიპოვება პოლიტიკური აგენტების საიდუმლო წერილებსა და რელაციებში.

ჩვენს შრომაში გამოყენებული წყაროების ნაწილი დღემდე უცნობი იყო და სამეცნიერო მიმოხილვაში არ იყო წარმოდგენილი.

---

[83] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, London, 1939.

[84] Gouvea, Antonio, Relations des grandes guerres et victoires obtenues par le roi de Perse de Chah Abbas contres les empereurs de Turquie, Muhamed et Ahmed et son fils., trad. de portugais, Rouen, 1646.

[85] Sir Anthony Sherley, His Relation of his Travels in Persia, London, 1613.

[86] Don Garcia de Silva Figueroa, L'Ambassade en Perse, Paris, 1669.

[87] Iter Persicum du description du voyage en Perse, entrepris en 1602 par Etienne Kakasch Zalonkemeny, Paris, 1877.

[88] Pietro della Vallé, Informazione della Giorgia data alla Papa Urbano VIII, Rome, 1627; Voyages, V. I—VIII, Rouen, 1745.

2. ლიტერატურა

საქართველო-თურქეთის ურთიერთობა XVI—XVII საუკუნეებში დღემდე სპეციალურად არავის შეუსწავლია. არ არსებობს, კერძოდ, მონოგრაფიული გამოკვლევა ახალციხის საფაშოს წარმოშობასთან დაკავშირებით. თუმცა, საჭიროა აღინიშნოს, ზოგადი ხასიათის ლიტერატურაში არა ერთი საყურადღებო დებულება მოიპოვება როგორც აღებული ხანის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენის შესაფასებლად. ისე ახალციხის საფაშოს წარმოქმნის ისტორიული პროცესის და მისი ჩამოყალიბება-წარმოშობის შედეგების გასათვალისწინებლად.

უკვე ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს ნათლად აქვთ აღნიშნული, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახალციხის საფაშოს წარმოქმნას ფეოდალური საქართველოსათვის.

ვახუშტი ბაგრატიონი პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომელსაც მეცნიერულად აქვს შესწავლილი სამხრეთ საქართველოს თურქთა მიერ დაპყრობა, მისი გაოსმალების პროცესი და დაპყრობილი ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის ოსმალურ საფუძველზე გარდაქმნა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი ახალციხის საფაშოს დაარსების საკითხს[89].

ვახუშტის საისტორიო თხზულების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს „საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა"[90], სადაც, ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება. ვახუშტის შრომა შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ სამცხე-საათაბაგოს მეურნეობის დარგები და ეკონომიური მდგომარეობა XVI—XVII საუკუნეებში.

ვახუშტის მიერ ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების გამგრძელებელი ქართულ საისტორიო მწერლობაში დიდხანს არ ჩანდა. ეს, რა თქმა უნდა, აიხსნება ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობით, რომლის განვითარება და დაქვეითება მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასთან.

დ. ბაქრაძე XIX ს. 70-იან წლებში იყო არა მარტო ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობის აღმდგენელი, არამედ მისი უშუალო გამგრძელებელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხში.

---

[89] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წწ. ზ. ჭიჭინაძის გამოც., თფ., 1913.

[90] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

დ. ბაქრაძემ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისა და თურქული დოკუმენტური წყაროების შესწავლის შედეგად არა ერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა[91].

ოსმალურ მიწათმფლობელობის ფორმების შედარებითი შესწავლის საფუძველზე, დ. ბაქრაძეს ნაჩვენები აქვს სამცხე-საათაბაგოში ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღების შედეგად მომხდარი ცვლილებები. საკითხის ამგვარად კვლევა-ძიებამ მას საფუძველი მისცა აღენიშნა, რომ ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის გაუქმება ერთბაშად არ მომხდარა და ოსმალთა ბატონობის პირობებში მიწათმფლობელობის ქართული ფორმები კიდევ დიდხანს ინარჩუნებენ ოსმალურისაგან განსხვავებულ თავისებურებებს.

დ. ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების მეცნიერულ შესწავლას. თუმცა, იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური შეზღუდულობის გამო, მან ვერ შესძლო ამ საკითხების ყოველმხრივი გაშუქება.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XX საუკუნის დასაწყისში „სამაჰმადიანო საქართველოს“ მრავალი ნარკვევი და საგაზეთო სტატია მიეძღვნა. მათ შორის გ. ყაზბეგის „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“, პეტრე უმიკაშვილის „სამაჰმადიანო საქართველო“, ალ. ფრონელის „დიდებული მესხეთი“, ზ. ჭიჭინაძის „ქართველების გამაჰმადიანება“ და სხვ. აღნიშნული ნარკვევები და სტატიები უმთავრესად პუბლიცისტურ-პოპულარული ხასიათისა იყო; მათ აკლდათ სათანადო მეცნიერული საბუთიანობა და ხშირ შემთხვევაში საკითხის ღრმა ცოდნა.

დამახასიათებელია, რომ ამ ხასიათის ლიტერატურა უპირატესად რუსეთ-თურქეთის ომებთან დაკავშირებით ქვეყნდებოდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების მეცნიერულ შესწავლას ნამდვილი და მყარი საფუძველი შეექმნა მას შემდეგ, როცა ისტორიულ კვლევა-ძიებაში მომარჯვებულ იქნა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია. თუმცა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსარკვევი და გასაკეთებელი.

---

[91] Д. З. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб., 1878; его же, Заметки о Батумской области, ИКОИРГО, т. VI, 1879—1881; его же, Историко-этнографический очерк Карской области, ИКОИРГО, т. VII, 1881, № I; его же, О землевладении по турецким законам, Юридическое обозрение, 1884, № 150; его же, Исторический очерк турецкой системы землевладения, Прилож. к прот. Кав. юридич. общества, 1889, № 9.

საბჭოთა ისტორიკოსებიდან საქართველოსთან ოსმალეთის დამოკიდებულების საკითხებზე პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაამახვილა ყურადღება. მართალია, ამ საკითხებისადმი სპეციალური გამოკვლევა მას არ მიუძღვნია, მაგრამ მის „ქართველი ერის ისტორიაში“ საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და ოსმალების წინააღმდეგ ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის ცდანი საქართველოს მონაწილეობით. სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს საქართველოში ოსმალეთის დაპყრობითი ომების მხოლოდ დასაწყისი (1578 წ. ჩათვლით) აქვს განხილული და შემდგომი პერიოდი მას, როგორც ჩანს, დაუწერელი დარჩა.

„ოსმალობა“, როგორც გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა და „ქართველობის“ გამომრიცხველი მოვლენა, მკვეთრადაა დახასიათებული ნ. ბერძენიშვილის შემდეგ გამოკვლევებში: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, „ნარკვევი საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ისტორიიდან (XIII—XVI სს.)“, და სხვა.

XVI—XVII საუკუნეებში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის არა ერთი საკითხი აქვს შესწავლილი ვ. გაბაშვილს თავის სხვადასხვა ნაშრომში, განსაკუთრებით კი ფუნდამენტალურ გამოკვლევაში „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს-ში“.

ვ. გაბაშვილს ქართული ფეოდალური წყობილების ოსმალურ ფეოდალურ საზოგადოებასთან შედარებითი შესწავლის შედეგად მრავალი საყურადღებო დებულება აქვს გამოთქმული.

სამცხე-საათაბაგოს ოსმალთა მიერ დაპყრობას და მის პოლიტიკურ მდგომარეობას მიეძღვნა გ. ტივაძის რამდენიმე ნაშრომი[92].

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ცალკეული საკითხები შესწავლილი აქვთ ა. ავალიანს[93], ვ. ჩოჩიევს[94], ნ. შენგელიას[95].

---

[92] გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს., „მნათობი“, 1947, № 10; მისივე, ოსმალეთის დერეფნობა და გლეხთა აჯანყებანი XVI ს., თბ., 1947 და სხვა.

[93] ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960.

[94] ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 335—337; მისივე, Документы по истории агрессивной политики Турции и Ирана, ცხინვალის პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1958, გვ. 251—255; მისივე, სამცხე-საათაბაგო მე-17 საუკუნის მეორე მეოთხედში, იქვე, ტ. VI, 1958, გვ. 317—338; მისივე, ოსმალეთის სულთნის მურად IV მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელის თარიღის შესახებ, იქვე, ტ. VII, 1959, გვ. 101—104; მისივე, შაჰ-თამაზის საქართველოში შემოსევისა და ირან-ოსმალეთის დაზავების თარიღების გამო, იქვე, ტ. VII, 1959, გვ. 95—100.

[95] ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ქართველი ისტორიკოსების ი. ანთელავას, ზ. ანჩაბაძის, დ. გვრიტიშვილის, ვ. დონდუას, მ. დუმბაძის, შ. მესხიას, ნ. ნაკაშიძის, კ. ტაბატაძის, ი. ცინცაძის, გ. ჯამბურიას და სხვათა შრომები.

საბჭოთა ისტორიკოსების მ. ზულალიანის[96], უ. ნაჯარიანის[97], ა. ნოვოსელცევის [98], ი. პეტრუშევსკის[99], ა. რახმანის[100], ო. ეფენდიევის[101] შრომებში შესწავლილია ოსმალეთთან აზერბაიჯანისა და სომხეთის ურთიერთობის რიგი საკითხებისა.

ნ. სმირნოვისა[102] და ე. კუშევას[103] შრომებში გაშუქებულია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა XVI—XVII საუკუნეებში. ავტორები გარკვეულ ადგილს უთმობენ ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობას რუსეთსა და თურქეთთან და ამ თვალსაზრისით მათი შრომები საინტერესოა ჩვენთვის.

XVI—XVII საუკ. ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მ. გორდლევსკის, ა. მილერის, ა. ნოვიჩევის, ვ. სმირნოვის, ა. ტვერიტინოვას, გ. ფუთურიძის და სხვათა შრომებს.

ევროპელ მეცნიერთა შორის, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტა-

ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 277—304; მ ი ს ი ვ ე, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ., 1962; გვ. 123—157; მ ი ს ი ვ ე, გურჯისტანის 1573/4 წლის კანონ-ნამე, აღმოსავლური კრებული, ტ. I, 1960, გვ. 183—206.

[96] М. К. З у л а л я н, Движение джелалиев, и положение армянского народа в Османской империи (XVI—XVII вв)., Ереван, 1966 на армянском языке.

[97] У. Х. Н а д ж а р я н, Турецко-иранские отношения в XVI в. и в первой половине XVII в. и Армения, Ереван, 1961 (на армянском языке).

დასახელებულ სომეხ ავტორთა ნაშრომები გვითარგმნა დოც. კ. კუციამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[98] А. П. Н о в о с е л ь ц е в, Борьба народов Закавказья за национальную независимость в XVI—XVII вв. «Вопросы истории», 1969, № 9, 10.

[99] И. П. П е т р у ш е в с к и й, Азербайджан в XVI—XVII вв., Сб. по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949 и др.

[100] А. А. Р а х м а н и, «Тарих-и алем арай-й Аббаси», как источник по истории Азербайджана, Баку, 1960.

[101] О. А. Э ф е н д и е в, Образование Азербайджанского государства сефевидов в начале XVI века, Баку, 1961.

[102] Н. А. С м и р н о в, Россия и Турция в XVI—XVII вв. вып. 93—94, МГУ т. I—II, Москва. 1946.

[103] Е. Н. К у ш е в а, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI—XVII вв., Москва, 1963.

ნეს ოსმალეთის ისტორიის შესწავლის საქმეში, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი ავსტრიელი ორიენტალისტი ჟ. ჰამერი, რომელმაც გამოაქვეყნა მრავალტომიანი ფუნდამენტალური ნაშრომი „ოსმალეთის იმპერიის ისტორია“[104]. ჰამერის ამ შრომამ დაიმსახურა კ. მარქსის მაღალი შეფასება.

მართალია, ჰამერი სპეციალურად არ ეხება საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობას, მაგრამ ირან-ოსმალეთის ომების მსვლელობის აღწერისას, მას აღნიშნული აქვს საქართველოს საკითხის მნიშვნელობა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში. მას მოთხრობილი აქვს ოსმალთა ლაშქრობანი საქართველოში და ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ და სხვ.

მეტად მნიშვნელოვანია და დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიას“[105] და, აგრეთვე, მის სხვა შრომებს, რომლებშიაც ავტორს, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით, არაერთი საინტერესო დაკვირვება და მოსაზრება აქვს გამოთქმული.

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ვ. ალენის[106], ლ. ბელანის[107], ა. ლამარტინის[108], თ. ლავალეს[109], მ. დ'ოსონის[110] და სხვათა შრომებში.

XVI—XVII საუკ. მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობის გასათვალისწინებლად და, აგრეთვე, ოსმალეთის ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია ს. ფიშერის[111], კ. ბაიანის[112], ე. ტონგას გამოკვლევები[113].

საყურადღებოა ბალკანისტ-თურქოლოგების (ვ. მუტაფჩიევას, ბ. ცვეტკოვას, ლ. ფეკეტეს, ლ. ტარდის, ჰ. ფილიპოვიჩის, ჰ. შაბანოვიჩის, დ. ლუკაჩისა და სხვათა) ის შრომები, რომლებშიც განხილუ-

---

[104] J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, v. IV—IX, Paris, 1834—1849.

[105] M. Brosset, Histoire de la Georgie, t. I—II, SPb., 1856—1858.

[106] W. E. D. Allen, A History of the Georgian People, London, 1932.

[107] L. Bellan, Chah-Abbas I, sa vie, son histoire, Paris, 1932.

[108] A. Lamartine, Histoire de la Turquie, v. I—VIII, Paris, 1854—1855.

[109] T. Lavallé, Histoire de L'Empire Ottoman, Paris, 1855.

[110] M. D'Ohsson, Tableau general de L'Empire Ottoman, v. I—VII, Paris, 1818—1824.

[111] S. Fisher, The Foreing relations of Turkey 1481—1512, Urbana, 1948.

[112] K. Bayani, Les relations de L'Iran avec l'Europe Occidental à l'epoque Safavides, Pariss, 1937.

[113] G. Tongas, Les relations de la France avec L'Empire Ottoman, (1613—1640), Paris, 1942.

ლია ოსმალეთის ურთიერთობა დაპყრობილ ბალკანეთის ქვეყნებთან XVI—XVII საუკუნეებში, პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულებების ფორმები, დაპყრობილი ქვეყნების სოციალური წყობა და სხვა. ეს გამოკვლევები შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ საერთო ნიშნები და განსხვავებანი, დამახასიათებელი საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობისათვის იმ ხანაში, რაც, თავის მხრივ, უფრო სრულყოფილს ხდის პრობლემის კვლევას.

განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორ აშუქებენ თანამედროვე თურქი ისტორიკოსები ოსმალეთის საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებს.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ნაშრომების ღირსება არის მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. მათი შრომების უმეტესობა დაფუძნებულია თურქულ პირველწყაროებზე. ისინი იყენებენ თურქულ ქრონიკებს არა მარტო ცნობილს, არამედ გამოუქვეყნებელსაც. ფართოდ სარგებლობენ აგრეთვე საარქივო მასალებითაც, რომლითაც ესოდენ მდიდარია ოსმალეთის არქივები. მაგრამ მათი მეთოდოლოგია და ისტორიული კონცეფცია ჩვენთვის მიუღებელია. საერთოდ, მათი შრომების გამოყენება შეიძლება კრიტიკულ ასპექტში, დიდი სიფრთხილით.

ამ მხრივ აღსანიშნავია შ. ალთუნდაღის[114], ი. დანიშმენდის[115], ჰ. ინალჯიკის[116], ი. უზუნჩარშილის[117], ბ. ქუთუკოღლუს[118], მ. გოქბილგინის[119], მ. ჯეზარისა და მ. სერთოღლუს შრომები[120].

მარქსიზმის კლასიკოსებს მრავალი დებულება აქვთ გამოთქმული ოსმალეთის სახელმწიფო წყობილების, მიწათმფლობელობის წესების, სამხედრო ორგანიზაციის, კაპიტულაციების, დაპყრობითი ომების ხასიათისა და სხვ. შესახებ. ეს დებულებები სათანადოდ არის გამოყენებული ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლა-დამუშავებისას.

---

[114] Şinasi Altundağ, Osmanlı Idaresi ve Gürcüler, DTCFD, Fak., Ankara, X, 1—2, 1952. s. 79—90.

[115] I. H. Danişmend, Izahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, Istanbul, c. I—III, 1948—1956.

[116] H. Inalcik, Ottoman methods of conquest, «Studia Islamica», t. II, Paris. 1954.

[117] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. I—IV, Ankara, 1946—1959.

[118] B. Kütükoğlu, Osmanlı-Iran syası münasebrtleri 1578—1590, Istanbul, 1962.

[119] M. T. Gökbilgin, XVI yüzıl başlarında Trabzon livası ve doğu Karadeniz bölgesi, «Belleten», Ankara, 1962, c. XVI, f. 107 s. 293—339.

[120] M. Cezar, M. Sertoğlu, Mufassal Osmanlı Tarihi, Istanbul, c. I—IV, 1957—1959.

თავი II

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს-ის პირველ ნახევარში

1. „გურჯისტანის საკითხი" ოსმალეთ-ირანის ომის დროს XVI ს-ის პირველ ნახევარში

XVI საუკუნის დამდეგისათვის ოსმალეთის იმპერია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო. სულთან მეჰმედ ფათიჰის (1451—1481) დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთის სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპასა და აზიაში. მას ეკავა ვრცელი ტერიტორია: აღმოსავლეთით — ტრაპიზონიდან და დასავლეთით ადრიატიკის ზღვის სანაპირომდე, ქ. ბელგრადამდე, ხოლო ჩრდილოეთით ყირიმის ნახევარკუნძულიდან და მდინარე დონის შესართავიდან, სამხრეთით ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე, და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩათვლით. ოსმალეთი შიშის ზარს სცემდა იმდროინდელ ევროპისა და აზიის ქვეყნებს.

XVI საუკუნის დამდეგიდან ძლიერდება ოსმალეთის შეტევა ირანის, ამიერკავკასიისა და არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

ამ დროიდან იწყება ოსმალეთსა და ირანს შორის ხანგრძლივი ბრძოლა მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის. ამ სისხლის მღვრელი ომის დროს საომარი მოქმედების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ამიერკავკასია იყო. ოსმალეთი, ისევე როგორც ირანი, დაჟინებით ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას. ოსმალეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების დაპყრობით და იმ სავაჭრო-სატრანზიტო გზების ხელში ჩაგდებით, რომლებიც ამ ქვეყანაზე გადიოდა. ოსმალეთის ამ მისწრაფებას, თავის მხრივ, წინ ეღობებოდა ირანი, რომელიც აგრეთვე ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას.

ირან-ოსმალეთის ომი გარეგნულად რელიგიურ საბურველში იყო გახვეული, მაგრამ რელიგიური მოტივები ამ ომის მხოლოდ იდეოლოგიური დასაყრდენი იყო.

სწორედ ამ დროიდან განსაკუთრებით ძლიერდება ოსმალეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

XVI საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მდგომარეობა მეტად გართულდა. ამ დროისათვის საქართველოს დაშლის პროცესი, დაწყებული ჯერ კიდევ XIII—XIV საუკუნეებში, კიდევ უფრო გაღრმავდა. ფეოდალური საქართველო საბოლოოდ დაიყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამთავროებად. ერთ-ერთ ასეთ სამთავროს წარმოადგენდა სამცხის საათაბაგო. პოლიტიკურმა დაშლილობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი დასავლეთ საქართველოში მიიღო. იმერეთის სამეფო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიყო: სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის სამთავროებად. „თუ პოლიტიკურ კრიზისს XIII ს-ის საქართველოში მონღოლთა შემოსევამ მოუსწრო, საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას (XV ს-ის დასასრულს) დაემთხვა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა (XVI ს-ის დამდეგს). ასე რომ ფაქტიურად XVI ს-ში შეიკრა საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის რკალი“[1].

საქართველოს დაყოფა-დანაწილებას ხელს უწყობდა ყიზილბაშთა და ოსმალთა შემოსევები. უცხო დამპყრობლები მოხერხებულად იყენებდნენ ცალკეულ სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის მმართველთა შინაურ განხეთქილებებს და კიდევ უფრო ამწვავებდნენ მათ შორის კონფლიქტს. არც ირანისათვის და არც ოსმალეთისათვის პოლიტიკურად სასარგებლო არ იყო ძლიერი ცენტრის არსებობა შორეულ ამიერკავკასიაში, და თავიანთი ინტერესების უზრუნველსაყოფად საჭიროდ თვლიდნენ ფეოდალური დაშლილობის შენარჩუნებას[2]. საამისოდ ყიზილბაშები და ოსმალები ფიზიკურ საშუალებებთან ერთად (ომი, რბევა-თარეში...) მარჯვედ იყენებდნენ თითოეულ ქართულ სამეფოს პოლიტიკურ სტრუქტურას, აქ არსებულ სოციალურ ურთიერთობას[3].

---

[1] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958, გვ. 61, 62.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965, ტ II, გვ. 93—95; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

[3] იქვე.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს გაერთიანება და ქართველი ხალხის დარაზმვა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად დიდ დაბრკოლებას აწყდებოდა. თავადი თავადურ საქართველოში საკუთარი ფეოდალური ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მეფის ხელისუფლების შესუსტების მიზნით თავადი ზოგჯერ თავისათვის უფრო სასარგებლოდ თვლიდა გარეშე მტრისათვის მხარის დაჭერას ან მის გამოყენებას მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. მეფის ხელისუფლება უაღრესად დასუსტებული იყო.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან ახალი საშიში მტერია ოსმალეთის სახელმწიფო. 1453 წელს ოსმალეთმა დაიპყრო ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და საბოლოოდ გაანადგურა ბიზანტიის იმპერია, ხოლო 1461 წელს კი — ტრაპიზონის სახელმწიფო. ამის შემდეგ ოსმალები უშუალოდ საქართველოს საზღვრებს მოადგნენ. „ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს თანდათანმა გაძლიერებამ და საქართველოს მეზობლად ქრისტიანული სახელმწიფოების გაქრობამ (ბიზანტიის და ტრაპიზონის საკეისროები) უდიდესი საფრთხე დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შეუქმნა“[4].

1475 წელს ოსმალეთმა ყირიმი დაიპყრო და ფაქტიურად შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ გადააქცია. ოსმალეთის გაბატონებამ მცირე აზიასა და შავ ზღვაზე გამოიწვია საქართველოს შემდგომი ეკონომიური დაქვეითება, რამაც, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე[5].

XV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთი ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ინკორპორაციას და მხოლოდ მოხარკეობით კმაყოფილდებოდა.

XVI საუკუნის დამდეგიდან თანდათან იცვლება ოსმალეთის პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართ. მას აღარ აკმაყოფილებს სამცხე-საათაბაგოს მოხარკეობის დამოკიდებულების ფორმა და მის ინკორპორაციას ცდილობს.

XVI საუკუნიდან ოსმალეთმა საქართველოს სხვადასხვა მხრიდან შემოუტია: დასავლეთ საქართველოში იგი ტრაპიზონის მხრიდან მოიწევდა. ჭანეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალები დასავლეთ საქარ-

---

[4] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 169.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 194—207.

თეელოში მოდიოდნენ მდ. ჭოროხის შესართავისა და გურიის მხრიდან[6].

ოსმალეთის შეტევის ერთ-ერთი გზა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო იყო. ამ მიმართულებით ოსმალეთის აგრესიის მთავარ დასაყრდენს ყირიმის სახანო, ქალაქი აზოვი და მდ. ყუბანის შესართავთან განლაგებული ოსმალთა გარნიზონები წარმოადგენდა. ოსმალეთი ამ მხრიდანაც უტევდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს და თანდათანობით იპყრობდა მის ტერიტორიას. ამავე დროს, ოსმალეთი ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებას, კავკასიის მთის მოსახლეობაში ისლამის გავრცელებასა და ჩრდილოეთიდანაც საქართველოს მტრულ გარემოცვის რკალში მომწყვდევას.

ოსმალები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროდანაც უტევდნენ. შავი ზღვის „ოსმალეთის ტბად" გადაქცევის შემდეგ, ოსმალეთმა შავ ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაუპყრობელი ადგილების დამორჩილებაც სცადა. ამ მიზნით მან 1579 წელს ქ. ფოთი და ქ. სოხუმი დაიპყრო და აქედან შეტევის განვითარებას დაუკავშირა მთელი დასავლეთ-საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ეს ცდები იმ დროს მარცხით დამთავრდა.

საქართველოს წინააღმდეგ ოსმალთა შეტევის მთავარი მიმართულება მაინც სამცხე-საათაბაგო იყო. ოსმალეთის დაპყრობით გეგმებში სამცხე-საათაბაგოს უაღრესად დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სამცხე-საათაბაგო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გზას უკრავდა სამხრეთ-დასავლეთიდან მოსულ მტერს. მისი დაპყრობით ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა შეტევა დაეწყო, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოს, მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგ. მაგრამ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობით ოსმალეთს გზა ეხსნებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენაც. ამიერკავკასიის დაპყრობა-დამორჩილება კი მას ჩრდილოეთ კავკასიაში შეჭრისა და ირანისათვის ჩრდილოეთის მხრიდან დარტყმის შესაძლებლობას აძლევდა. „სამცხე-საათაბაგოში თურქთა დამკვიდრება უდიდეს სტრატეგიულ უპირატესობას აძლევდა თურქ აგრესორებს საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის დაპყრობის საქმეში. სამცხე-საათაბაგოს, შეიძლება ითქვას, თითქმის ისეთივე ადგილი ჰქონდა დათმობილი კავკასიის მიმართულებით თურქეთის აგრესიის ერთიან

---

[6] საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1958, ტ. I, გვ. 283, 284.

სისტემაში, როგორც დონის შესართავთან მდებარე ციხე-ქალაქ აზოვს ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთის დაპყრობისათვის. ორივე, აზოვი და სამცხე-საათაბაგო, უმნიშვნელოვანეს პლაცდარმებს წარმოადგენდნენ თურქეთის ექსპანსიის წარმატებისათვის კავკასიის და ჩრდილოეთ ირანის მიმართულებით. თურქეთის პოლიტიკის მესვეურთა ვარაუდით სწორედ ეს ბაზები საუკეთესოდ უზრუნველყოფდნენ მთელი საქართველოს დაპყრობასა და ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების აქტიურად წარმოებას... მოკლედ, ორივე პლაცდარმს თურქეთის ერთიან სამხედრო-სტრატეგიულ გეგმაში გადამწყვეტი ადგილი ჭონდა დათმობილი, რამდენადაც ისინი ზემოთ აღნიშნული მიმართულებით მთავარ ფლანგებს წარმოადგენდნენ. სწორედ ამით აიხსნება სულთნის თურქეთის ის შეუპოვრობა, რომელსაც იგი სამცხე-საათაბაგოს სრული და საბოლოოდ დამორჩილებისათვის ბრძოლაში იჩენდა“[7].

საქართველოს წინააღმდეგ თავის აგრესიული გეგმების განხორციელებისას ოსმალეთი მარჯვედ სარგებლობდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობით.

XVI საუკუნის დამდეგისათვის სამცხის ათაბაგების ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმიდან გამოყოფისათვის მათი გამარჯვებით დამთავრდა[8].

ამან მნიშვნელოვნად დაასუსტა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ქვეყნის თავდაცვის უნარი. მით უმეტეს, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისათვის. ასეთ ვითარებაში ათაბაგის წინაშე მეტად სერიოზული პრობლემა დადგა: ან იგი უნდა შეერთებოდა საქართველოს და ერთიანი ძალით ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ, ან არჩევანი გაეკეთებინა ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოს შორის, რაც ფაქტიურად სამცხეს დამოუკიდებლობას დაუკარგავდა და ათაბაგს ირანის ან ოსმალეთის მორჩილად აქცევდა. ბუნებრივია, სამცხისათვის, შექმნილ ვითარებაში, ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იყო საქართველოსთან გაერთიანება, მაგრამ ათაბაგი ამ გზას არ დაადგა[9].

---

[7] ს. რ ო დ ო ნ ა ი ა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIIს. პირველ ნახევარში, თბ., 1961, გვ. 8.

[8] დაწვრილებით იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 55—61, 166—172, 176—179. გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში, „მნათობი“, 1947. № 10. ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბ., 1961, გვ. 85—93, 145—147.

[9] გ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 130, 131.

სამცხე-საათაბაგოში ფეოდალებს შორის ქიშპი და მტრობა სუფევდა. ისინი ერთი მეორეს უსისინებდნენ ხან ოსმალებს და ხან ყიზილბაშებს. სამცხეს საკუთარი ძალებით არ შეეძლო ოსმალეთსა და ირანს გამკლავებოდა. ამავე დროს იგი ვერც საქართველოს სხვა ნაწილებთან შეერთებას ახერხებდა. „ათაბაგს ეშინოდა, რომ გარეშე მტრის წინააღმდეგ დასახმარებლად მოწვეული ქართლის ან იმერეთის მეფე მას სამფლობელოს ჩამოართმევდა და ქვეყანას თვით დაიპყრობდა. ამიტომ სამცხის მთავარი უცხოელ თავდამსხმელებთან მოლაპარაკებას ირჩევდა, თავდამსხმელს მორჩილებას აღუთქვამდა, მდიდარი მისართმეებით მშვიდობიანობის ყიდვას ცდილობდა, ათაბაგთა ასეთი პოლიტიკა დამღუპველი აღმოჩნდა. მათ ვერავის ასიამოვნეს: ხან ირანი სწამებდა ათაბაგს ორგულობას, ხან ოსმალეთი და რიგრიგობით არბევდნენ გზადაბნეულ ფეოდალის ქვეყანას. ამავე დროს, ირან-ოსმალეთის სამსახურით ათაბაგები მთელი საქართველოს დამონების ძალაუნებური აგენტები ხდებოდნენ. მორჩილ სამცხეზე გამოვლით და ათაბაგთა შემოძღოლით ოსმალები თუ ყიზილბაშები ხან ქართლს აოხრებდნენ, ხან ლიხთ-იმერეთს“[10].

ოსმალებმა ჯერ კიდევ ქაიხოსრო I (1498—1500 წწ.) ათაბაგის დროს სამცხესა და ჰანეთს შემოუტიეს. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: „ჟამსა ამისსა იწყეს კირთება არზრუმ-ტრაპიზონის ფაშათა საათაბაგოსი და ჰანეთისა და ამშვიდებდა ქაიხოსრო ათაბაგი მორჩილებასა პირსა ზედა და სძღვნობდა მარადის“[11].

მართალია, ამ ცნობიდან ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია ის, რომ ამ დროს არზრუმის ფაშას მონაწილეობა მიეღო საქართველოს ამ მხარეზე თავდასხმაში, რადგან ამ დროს ოსმალებს არზრუმი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაპყრობილი და, ბუნებრივია, არც არზრუმის საფაშო არსებობდა. მაგრამ ტრაპიზონის საფაშო ამ პერიოდში მართლაც იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე თავდასხმის ბაზა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოსმალების მიერ ტრაპიზონის საკეისროს დაპყრობისა და იქ საფაშოს დაარსების შემდეგ, ტრაპიზონი ოსმალეთის უფლისწულების სახასოდ იქცა. ჯერ კიდევ მეჰმედ II ფათიჰმა (1451—1481 წწ.) ტრაპიზონის გამგებლად დანიშნა უფლისწული ბაიეზიდ (1481—1512 წწ.), ხოლო შემდგომში — სელიმ I (1512—1520 წწ.) ვიდრე სულთანი გახდებოდა, ისიც ტრა-

---

[10] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, გვ. 319.

[11] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, თფ., 1913, გვ. 241.

პიზონის გამგებელი იყო. სელიმ I-მა თავისი ვაჟიშვილი სულეიმანიც ტახტზე ასვლამდე ტრაპიზონის მმართველად დანიშნა[12].

სწორედ სელიმ I-ის ტრაპიზონის ფაშად ყოფნის დროს მოხდა ოსმალების პირველი თავდასხმა საქართველოზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოზე ოსმალთა ეს თავდასხმა არა ერთხელ ყოფილა განხილული. განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება ამ საკითხზე ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ ზოგიერთი საკითხი ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „ისტორიაში" აგვიწერს იმერეთში ოსმალთა ორ შემოსევას: პირველი — 1509 წ., რომელმაც ალექსანდრე მეფე აიძულა ქართლიდან აყრილიყო და იმერეთში დაბრუნებულიყო, მეორე — 1512 წ. ბაგრატ მეფის დროს, როდესაც, სამცხეზე გავლით, ოსმალებმა გელათი და ქუთაისი აოხრეს. ამასთან, პირველ თავდამსხმელთ ვახუშტი „ჩიხებს" უწოდებს, მეორე კი ოსმალთა შემოსევად აქვს მოხსენიებული. მაგრამ რატომღაც თვით ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც მოგვითხრობს 1512 წელს სამცხეზე გავლით, ოსმალთა შემოსევაზე იმერეთში, წერს: „ამან მზე-ჭაბუკ აღასრულნა ყოველნი და წარუძღვა (ოსმალთა ლაშქარს — მ. ს.) იმერეთს, ჩავიდნენ და ჰყვეს რა იგი აღვსწერეთ"[13].

ვფიქრობთ, რომ ვახუშტი „რა იგი აღვწერეთ"-ში გულისხმობს „ქართლისა" და „სამცხის" ისტორიაში მოთხრობილ 1509 წელს იმერეთში „ჩიხთა" შემოსვლას. ცხადია, აქ აშკარა წინააღმდეგობაა. შეუძლებელია, რომ სხვადასხვა დროს (1509 წ. და 1512 წ.) იმერეთში მომხდარი შემოსევა ერთი და იგივე იყოს. სინამდვილეში, ჩანს ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთ შემოსევას და, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ივ. ჯავახიშვილმა, „... თუ ყველა წყაროების ცნობას ჩაუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ თარიღებისა და თავდამსხმელთა ვინაობის განსხვავებისდა მიუხედავად, ყველანი ერთს ამბავს მოგვითხრობენ"[14].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ვახუშტის ეს შეცდომა აიხსნება იმით, რომ იგი ამ ამბის აღწერისას ეყრდნობოდა საეჭვო ღირსების წყაროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახუშტი იმერეთში პირველ შემოსევლებად „ჩიხებს" თვლის. მარი ბროსეს აზრით, „ჩიხნი" იგივე

---

[12] Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 703.

[13] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 241.

[14] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 216.

„ჯიქნი“ იყენენ[15], რასაც არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილი: „მაგრამ ჯერ ერთი ჯიქნი არსად ქართულ წყაროებში ჩიხებად არ იწოდებიან და მეორეც, ისა, რომ „ჩიხთა“, გინდ ჯიქთა, შემოსევას არც ერთი ქართული კინკილოსი ამ დროს არ იხსენიებს“[16].

„ჩიხთა“ შემოსევის შესახებ „ქრონიკებში“ ვკითხულობთ: „ქ“კს რაზ (1509 წ.) ალექსანდრე მეფემან, ძემან ბაგრატისამან, გორი დაიჭირა და ჩიხთ მოარბიეს იმერეთი“[17].

თ. ჟორდანიას აზრით, „ჩიხნი უნდა იყვნენ თათარნი (თურქნი) და არა ჯიქნი, როგორც ჰგონებდა ბროსე“[18].

ოსმალური წყაროების მიხედვით, თავდასხმა იმერეთზე და ოსმალების მიერ ქუთაისისა და გელათის დარბევა მოხდა იმ პერიოდში, როდესაც სელიმი, შემდეგში ოსმალეთის სულთანი (1512—1520), ტრაპიზონის გამგებელი იყო.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ დროს ტრაპიზონის საფაშო სხვადასხვა ხალხებით იყო დასახლებული. ევლია ჩელების ცნობით, რომელმაც XVII ს-ის 40-იან წლებში ტრაპიზონის საფაშოში იმოგზაურა, აქ სამოცამდე ტომი იყო[19].

საფიქრებელია, რომ სელიმის ლაშქრობაში დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობას იღებდა ტრაპიზონის საფაშოში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობაც. შესაძლებელია, „ქრონიკებში“ მოხსენიებული „ჩიხებიც“ ერთ-ერთი ამ ტომის დამახინჯებული სახელწოდება იყოს.

დაზუსტებას მოითხოვს ამ ლაშქრობის თარიღიც, რადგან წყაროებში სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული: 1508, 1509, 1510, 1512, 1513 და 1514 წ

აქედან პირველი თარიღი (1508 წ.) ივ. ჯავახიშვილისა და თ. ჟორდანიას მოსაზრებით, არ უნდა იყოს მისაღები[20].

---

[15] M. B r o s s e t, Histoire de la Georgie, II p., I livraison, SPb., 1856, p. 18, n. 2.

[16] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 214.

[17] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 326.

[18] იქვე.

[19] سیاحتنامه اولیا چلبی, ტ. 11, გვ. 123; თარგმანი გვ. 104 ს. ჯ ი ქ ი ა, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზეთის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, 1954, გვ. 243—256.

[20] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 216; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 327.

რაც შეეხება 1512, 1513 და 1514 წლებს, ჩვენი აზრით, არც ესენია მისაღები, რადგან სელიმმა დასავლეთ საქართველოში იმ დროს ილაშქრა, როდესაც იგი ტრაპიზონის გამგებელი იყო. 1511 წ. მარტში სელიმმა ტრაპიზონი დატოვა და დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა. 1512 წ. 25 აპრილს სელიმი თურქეთის სულთანი გახდა[21].

მაშასადამე, სელიმის მიერ საქართველოს დალაშქრა უნდა მომხდარიყო 1512 წლის აპრილამდე.

ი. ჯავახიშვილი ქართული წყაროების დეტალური ანალიზის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ოსმალთა დასავლეთ საქართველოში შემოსევის ნამდვილ თარიღად 1509 წ. ან 1510 წელი უნდა ყოფილიყო[22]. მისი აზრით, უკანასკნელი თარიღის შემცველ ხელნაწერებს ის დიდი უპირატესობა აქვთ, რომ ისინი XVI საუკ. და გელათში არიან დაწერილი, მაშასადამე, როგორც ქრონოლოგიურად, ისევე გეოგრაფიულად ამ ამბავთან დაახლოებული არიან და ამიტომ იქ უნდა უკეთესად იყოს სინამდვილე დაცული[23]. ქც-ის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელებების ცნობა (1509 წ.) სამაგიეროდ მტრის ამ შემოსევის შესახებ უფრო დაწვრილებითს ცნობებს შეიცავს და თარიღიც უფრო ზედმიწევნილობით არის აღნიშნული, რადგან გელათის აღების თვე და რიცხვი არის დასახელებული. ეს გარემოება თავისთავად მეტ ნდობას იწვევს[24].

სამწუხაროდ, თურქულ წყაროებში (ი. ფეჩევი, სოლაკ-ზადე ჰუსეინი, მუნეჯიმ ბაში, ევლია ჩელები და სხვ.) არ მოიპოვება ცნობა, რომელიც ამ თარიღს საბოლოოდ გაარკვევდა. ეგების ამის მიზეზი ის იყო, რომ ამ ლაშქრობის სათავეში იდგა უფლისწული და არა სულთანი, ხოლო უფლისწულის მოღვაწეობას იმდროინდელი თურქული წყაროები დეტალურად არ აღწერდნენ. მაგრამ ამ წყაროთა სათანადო ცნობების ანალიზის შედეგად, ჩვენ საშუალება გვეძლევა დავადგინოთ უფლისწულ სელიმის შემოსევის თარიღი. თურქული წყაროების მიხედვით, ოსმალების დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის წინ აღწერილია 915 (1509/10 წ.) სტამბოლში მომხდარი მიწისძვრა და სელიმის ლაშქრობა ერზინჯანის წინააღმდეგ, ხოლო და-

---

[21] Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 716.

[22] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

[23] იქვე.

[24] იქვე.

სავლეთ საქართველოში ოსმალეთის უფლისწულის ლაშქრობის შემდეგ მოთხრობილია ტრაპიზონიდან მისი გამგზავრება კაფაში (ყირიმი). 1511 წ. მარტში[25].

როგორც დავინახეთ, თურქულ წყაროებში სელიმის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში აღწერილია 1509 და 1511 წლებში მომხდარ ამბებს შორის.

ყურადღებას იპყრობს ს. ფიშერის მიერ იტალიური წყაროებიდან მოტანილი ცნობაც უფლისწულ სელიმის ლაშქრობის შესახებ ერზინჯანში, 1510 წელს[26].

ეს ცნობა აზუსტებს სელიმის ლაშქრობის თარიღს. როგორც ირკვევა, ერზინჯანში მან ილაშქრა 1510 წელს, ხოლო 1511 წლის მარტში კი კაფაში მიემგზავრება და იწყებს ბრძოლას ტახტისათვის. მაშასადამე, ამ წელს საქართველოში მისი შემოჭრა გამორიცხულია. მან ყურადღება სულ სხვა მიმართულებით წარმართა. ამრიგად, ყველაზე უფრო რეალურ თარიღად გვრჩება 1510 წელი. საფიქრებელია, ოსმალები სწორედ ერზინკას დალაშქვრის შემდეგ შემოვიდნენ დასავლეთ საქართველოში. ამდენადვე სავსებით სარწმუნოდ ჩანს ქართული წყაროების ის ცნობა, რომელთა მიხედვით ოსმალთა შემოსევა 1510 წლის ოქტომბრით არის დათარიღებული.

თურქი ისტორიკოსი ი. უზუნჩარშილი ამ შემოსევას „ოსმალების ქართველებთან პირველ (კონტაქტს) უწოდებს"[27]. ასე დაიწყო ოსმალების „პირველი შეხვედრა" ქართველებთან და, ცხადია, მას საქართველოსათვის არაფერი საკეთილდღეო არ მოუტანია.

1500—1515 წწ. სამცხის გამგებელი იყო მზეჭაბუკი ქაიხოსრო ათაბაგის ძმა[28].

ივ. ჯავახიშვილს დაწვრილებით აქვს შესწავლილი მზეჭაბუკის მმართველობა სამცხეში და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მზეჭაბუკის საეკლესიო პოლიტიკას და მის ბრძოლას საქართველოსაგან სამცხის ეკლესიის გამოყოფისათვის.

---

[25] გვ. 52—53; ტ. III, منجم باشی صحائف الاخبار، გვ. 324. تاریخ صولاق زاده Хюсейн Бедаи ул-векан (Удивительные события), издание текста, введение и общая редакция А. С. Тверитиновой, М., 1961, т. II, стр. 373а—376б.

[26] S. Fisher, op. cit., p. 97.

[27] I.H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. III. Kism. 2. s. 105.

[28] ათაბაგთა ზეობის წლები ყველგან მითითებული გვაქვს ქრ. შარაშიძის შრომის მიხედვით „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები", (XV—XVI სს)., თბ., 1961.

მართალია, მზეჭაბუკის საეკლესიო პოლიტიკამ მარცხი განიცადა[29], „მაგრამ შხამიანი თესლი ნიადაგში მაინც ჩანერგილი იქნა და საძრახისი მაგალითი უკვე ნაჩვენები იყო. პირველსავე ხელსაყრელ პირობებში, გარეშე მტრის მძლავრებისა და კირთების ქვეშ ეს შხამიანი თესლი კვლავ აღმოცენდებოდა და მესხეთში მცხოვრებ ქართველებისათვის საბედისწერო შეიქმნებოდა“[30].

მზეჭაბუკის მოღვაწეობაში არანაკლები ყურადღება ექცეოდა აგრეთვე სამცხის ტერიტორიულ ზრდას. ამ მიზნით მან გურიის მთავრის წინააღმდეგ გაილაშქრა და მისი სამფლობელოების ნაწილი დაიპყრო. ამის შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „მიუხნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრო თვით“[31].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ვახუშტის ეს ცნობა სანდო უნდა იყოს, რადგან ერთ-ერთი საბუთის მიხედვით მზეჭაბუკის მიერ აწყურის საყდრისათვის შეწირულ მამულებს შორის მოხსენებულია აჭარელთა და გურიელთა მამული[32].

ვახუშტის ცნობიდან არ ჩანს, თუ როდის დაიპყრო მზეჭაბუკმა აჭარა-ჭანეთი, მაგრამ ირკვევა, რომ მან აღნიშნული მხარეები ოსმალეთთან დაზავებამდე იგდო ხელთ, რადგან XVIII ს. ისტორიკოსის თანახმად, აჭარა-ჭანეთის დაპყრობას დაუყოვნებლივ მოსდევს სულთანთან დაზავება. „მზეჭაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილებას პირსა ზედა“[33].

მზეჭაბუკის საგარეო პოლიტიკის მთავარი საზრუნავი ოსმალეთთან ურთიერთობა იყო. XVI ს. დამდეგიდან ოსმალეთსა და ირანს შორის გაჩაღებული ბრძოლა არ შეიძლებოდა არ შეხებოდა სამცხესაც, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ადგილმდებარეობის გამო. ასეთ პირობებში ოსმალეთის სულთანი აძლიერებს თავის პოზიციებს სამცხეში და ცდილობს მის დაპყრობას.

1512 წელს სელიმმა ხელთ იგდო ძალაუფლება. სულთან სელიმ I (1512—1520) დროს განსაკუთრებით ძლიერდება აგრესიული პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

სელიმ I სულთნად გახდომისთანავე ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა.

---

[29] ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.
[30] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 172.
[31] ვახუშტი, გვ. 241.
[32] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 172.
[33] ვახუშტი. გვ. 241.

ირანთან ომის დაწყებამდე სელიმ I მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებანი განახორციელა. უპირველესად ყოვლისა მან ზავი და სამშვიდობო ხელშეკრულებები დადო ევროპის სახელმწიფოებთან: რუსეთთან, უნგრეთთან, მოლდავეთსა და ვალაჰეთთან[34]. ამგვარად, ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან დროებით შეწყვეტილ იქნა საომარი ოპერაციები, ზოგთან კი პოლიტიკური-დიპლომატიური ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ირანთან ომის წარმატების ერთ-ერთი ღონისძიება იყო ავრეთვე ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები შიიტების მასობრივი ყლეტა. ამ მიზნით შიიტებით დასახლებულ ოლქებში შედგენილი იქნა სიები მამაკაცთა სქესისა 7-დან 70 წლამდე. შიიტების ხოცვა-ჟლეტა ამ სიების მიხედვით ხორციელდებოდა და სულ 1513 წლის განმავლობაში გაწყვეტილ იქნა 40 ათასი კაცი. დახოცილთა ოჯახები და ყველა საეჭვო პირები გადასახლებულ იქნენ იმპერიის ევროპულ სამფლობელოებში. ამ ღონისძიებით სელიმ I თავიდან აიცილა ყიზილბაშთა აჯანყებების საფრთხე მცირე აზიაში[35].

1514 წლის გაზაფხულზე ედირნეში შეიკრიბა საგანგებო დივანი, რომელზედაც ყველა მუსლიმანის საღვთო მოვალეობად გამოცხადდა ომი ყიზილბაშებთან. ვეზირები და სელიმის უახლოესი მრჩევლები ირანთან მომავალ ომს თვლიდნენ მეტად საშიშ საქმედ. მათი აზრით, ეს გამოიწვევდა დიდ მსხვერპლსა და ზარალს. მაგრამ სელიმ I-მა თავისი გაიტანა და გადაწყდა ირანთან ომის დაწყება.

1514 წ. 20 აპრილს სელიმ 1 დასტოვა სტამბოლი და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. ანატოლიაზე გავლით სულთანი სივასში ჩავიდა. აქ მან მოაწყო აღლუმი. მისი ჯარის საერთო რაოდენობა 140 000 კაცს შეადგენდა. მაგრამ აქედან მან 40 ათასი კაცი მცირე აზიაში დატოვა იმ შემთხვევისათვის, თუ დაიწყებოდა ადგილობრივი შიიტების აჯანყება, ანდა ეგვიპტის ლაშქარი მოულოდნელად შემოიჭრებოდა ოსმალეთში. მცირე აზიაში დატოვებულ ლაშქარს ევალებოდა აგრეთვე მებრძოლი ლაშქრის სამხედრო საჭურველითა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება. სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო აღჭურვილობა უნდა გაეგზავნათ ოსმალეთის ევროპული ნაწილიდან

---

[34] J. Hammer, v. IV, pp. 154—160; Mufassal Osmanli Tarihi, c. 11, s. 722, 3.

[35] А. Д. Новичев, История Турции, Ленинград, 1963, т. I, стр. 82; О. А. Эфендиев, Образование Азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, Баку, 1961, стр. 112.

და დასავლეთის ოლქებიდან ზღვით ტრაპიზონამდე, ხოლო შემდეგ სახმელეთო გზით საომრად გამზადებულ ლაშქარში მოეტანათ[36].

ოსმალეთის სამხედრო პოტენციალი აღემატებოდა ირანის სამხედრო შესაძლებლობას. შაჰ-ისმაილ I ამას სათანადოდ ითვალისწინებდა და უპირატესად ომის თავდაცვით საშუალებებს მიმართავდა და იყენებდა.

ყიზილბაშთა ლაშქარი შაჰ-ისმაილის მითითებით ანხორციელებდა უკან დახევის სტრატეგიულ მანევრს. უკან დახევისას ყიზილბაშები ანადგურებდნენ გზებს, ხიდებს, სპობდნენ სურსათ-სანოვაგის მარაგს და სხვ. შაჰ-ისმაილი ატარებდა „გადაბუგული მიწის“ ტაქტიკას, ცდილობდა შეეტყუებინა ოსმალეთის ლაშქარი ქვეყნის სიღრმეში, დაექსაქსა, დაესუსტებინა და გაენადგურებინა იგი.

ლაშქრობის დაწყების წინ სულთან სელიმმა გაუგზავნა შაჰ-ისმაილს ორი წერილი, რომლითაც შაჰს იგი ატყობინებდა თავის მტკიცე გადაწყვეტილებას ბოლომდე მიეყვანა ირანთან ომის საქმე. წერილები შაჰ-ისმაილმა უპასუხოდ დატოვა. ყიზილბაშები, როგორც აღვნიშნეთ, შაჰის მითითებით, ქვეყნის სიღრმეში უკან იხევდნენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. ისმაილის ამგვარმა პოლიტიკამ გამოიწვია სულთნის დიდი განრისხება. მან გაუგზავნა შაჰ-ისმაილს მესამე, მეტად ქედმაღლური ტონით დაწერილი წერილი, რომელშიც შაჰ-ისმაილს უწოდებდა მხოლოდ „მხედართმთავარს“ და აბრალებდა სილაჩრეს. წერილს ერთვოდა ძონძები, შაბი, კბილის საწმენდი, კრიალოსანი და ქოქოსის კაკლის თასი — დერვიშთა კუთვნილებანი. ამით სელიმი თითქოსდა ეუბნებოდა ისმაელს: „თუ შენ მშიშარა არა ხარ, გამოდი ბრძოლაში, თუ არა და დაიწყე დერვიშობა, როგორც ამას აკეთებდნენ შენი წინაპრები“.

შაჰ-ისმაილმა ამ წერილზე თავშეკავებული პასუხი გასცა, მაგრამ, თავის მხრივ, არც მან დაასახელა სელიმი სულთნად და ფადიშაჰად. ყიზილბაშთა ელჩმა შაჰ-ყული ბოინუქერმა წერილთან ერთად სულთანს გადასცა თრიაქით გავსებული ოქროს ლარნაკი. ამით ისმაილი აფრთხილებდა სულთანს, რომ თუ ის ომს დაიწყებდა, მას ეწეოდა იგივე ბედი, რომელიც წილად ხვდა მის ბაბუას ბაიეზიდს (1389—1402). ყიზილბაშებზე გამარჯვებას კი მიაღწევდა ოცნებათა სამყა-

---

[36] Muſassal Osmanlı Tarihı, c. II, s. 727; J. H a m m e r, v. IV, pp. 184—185.

როში (ოპიუმის გამოყენების შედეგად), და არა სინამდვილეში. განრისხებულმა სელიმმა სიკვდილით დასაჯა შაჰ-ისმაილის ელჩი[37].

ოსმალთა ლაშქარი გზაში დიდ სიძნელეებს აწყდებოდა და ამიტომ წინ ძალიან ნელა მიიწევდა. იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. მართალია, სელიმის ჯარმა მიიღო ტრაპიზონიდან გამოგზავნილი სურსათ-სანოვაგე და მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. სულთნის ბრძანებით, ქართველ გამგებელს წიგნი გაეგზავნა სურსათ-სანოვაგის გამოგზავნის მოთხოვნით[38].

მართალია, ამ ცნობიდან არ ჩანს, თუ სახელდობრ ვის გაეგზავნა ეს მოთხოვნა, მაგრამ შემდგომი ამბებიდან ირკვევა, რომ ეს წერილი სამცხის ათაბაგის — მზეჭაბუკის მისამართით იყო გაგზავნილი.

ყიზილბაშთა ლაშქრის ტაქტიკურმა ხერხმა ომი გაახანგრძლივა. გარეგნული წარმატების მიუხედავად ომს ბოლო არ უჩანდა. ამან ოსმალთა ლაშქრის საბრძოლო განწყობილებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. უკმაყოფილებამ თავი იჩინა იანიჩართა რიგებში. მით უფრო, რომ სურსათ-სანოვაგის მარაგი იწურებოდა. უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე სელიმ I-ის უახლოესი პირებით — დიდი ვეზირი და მრჩევლები. ბოლოს მათ ყარამანიის ბეგლარბეგს ჰამად ფაშას, რომელიც სელიმ I ბავშვობის მეგობარი იყო, დაავალეს ეთქვა სულთანისათვის, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ოსმალთა ლაშქარი და ერჩია სელიმისათვის შეეწყვიტა ლაშქრობა. განრისხებულმა სულთანმა სიკვდილით დასაჯა ჰამად ფაშა და უბრძანა ლაშქარს გაეგრძელებინა გზა[39].

ასეთი იყო ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა, როდესაც სულთანთან გამოცხადდა სამცხე-საათაბაგოს ელჩი.

1514 წლის 10 აგვისტოს სოგმენში სულთანმა მიიღო მზეჭაბუკის ელჩი, რომელმაც თან ჩაიტანა სურსათ-სანოვაგე: თაფლი, ერბო და ორი ათასი ცხვარი. მის ამალაში იყო აგრეთვე შაჰ-ისმაილის ძმის ჰა-

---

[37] სელიმ I მიმოწერა შაჰ-ისმაილთან მოთავსებულია ფერიდუნ ბეის კრებულში مجموعة منشآت السلاطين ტ. I, გვ. 379—383; ამ წერილების ფრაგმენტები მოტანილია აგრეთვე Mufassal Osmanlı Tarihi, c. 11, s. 727,—728,; E. G. Browne, A History of Persian Literature in Modern Times, pp. 73—75; О. А. Эфендиев, стр. 145.

[38] Mufassal Osmanlı Tarihi, c. 11, s. 727; I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. 11. s. 234.

[39] Mufassal Osmanlı Tarihi, c. s. 728, 729; J. Hammer, v. IV, pp. 188, 189.

დიდ ოღლუს ორი შვილი. ეს ირანელი უფლისწულები შაჰს გაექცნენ და ახალციხის ათაბაგს შეაფარეს თავი. სელიმი მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ სამსახურით[40]. მან თავისი ელჩი გაგზავნა მზეჭაბუკთან, მადლობა შეუთვალა და საპატიო ხალათი უბოძა[41].

ჩანს, რომ მზეჭაბუკმა დააკმაყოფილა სელიმ I მოთხოვნა და მის ლაშქარს სურსათ-სანოვაგე მიაწოდა. მზეჭაბუკს კარგად ესმოდა, რომ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, სულთანი დაარბევდა და ააოხრებდა სამცხის მიწა-წყალს. ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრისათვის წინააღმდეგობის გაწევა არარეალური ჩანდა, მით უფრო, რომ მზეჭაბუკს საქართველოს სამეფო სამთავროებიდან დახმარების მიღების იმედი არ ჰქონდა. პირიქით, შესაძლებელი იყო იმერეთის მეფესა და გურიელს ესარგებლათ სამცხის მძიმე მდგომარეობით და მისთვის სამფლობელოები წაერთმიათ. ირანი კი ამ დროს თავისი ქვეყნის დაცვაზე ზრუნავდა და სამცხისათვის არ ეცალა.

ამასთანავე ირკვევა, რომ მზეჭაბუკი ოსმალეთის ლაშქრის მოახლოებას სამცხის საზღვართან მომზადებული შეხვდა და თუ სულთანი არ დაკმაყოფილდებოდა მისი „სამსახურით", მაშინ მზეჭაბუკი მზად იყო დაეცვა ქვეყანა მტრის შემოსევისაგან. „1512 წ. წარმოავლინა სულტან სულეიმან სარასკერი, რომელ არს თავი სპათა ანუ სპასალარი, სპითა დიდითა და ძლიერითა დაპყრობად გიორგიისად. ესენი მოვიდნენ და მოადგნენ საათაბაგოს. მაშინ მზე-ჭაბუკ განამაგრა ციხენი და დაახიზნა ხიზანნი და თვით განზრახვითა მესხთათა ეზრახა სარასკარსა და მივიდა წინაშე მისსა"[42].

ვახუშტის ამ ცნობაში ბევრი რამ სწორად არ არის გადმოცემული. მაგალითად, სელიმის მაგივრად სულთნად სულეიმანია დასახელებული. ასევე შეცდომითაა აღნიშნული ამ ლაშქრობის თარიღი — 1512 წელი, ნაცვლად 1514 წლისა. მაგრამ სარწმუნოა ის, რომ ათაბაგი მომზადებული შეხვდა ოსმალთა ლაშქრის გამოჩენას საქართველოს საზღვრებთან. თუ სულთანი სამცხის დაპყრობას მოინდომებდა, სიფრთხილის ეს ღონისძიება გამართლებული იქნებოდა. მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (უკმაყოფილება საკუთარ ლაშქარში, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობით რომ იყო გამოწვეული, შაჰის სტრატეგიული გეგმა — ქვეყნის შიგნით ოსმალების შეტყუება და სხვა), სულთანს მიზანშეწონილად არ უნდა მიეჩნია სამცხის ათაბაგთან ურთიერთობის გაუარესება. პირიქით, იგი ათაბაგისაგან დახმარე-

[40] I. H. Danişmend, op. cit., c. II, s. 10.

[41] J. Hammer, v. IV, p. 191.

[42] ვახუშტი, გვ. 241.

ბას მოელოდა სურსათ-სანოვაგის სახით და სწორედ ამიტომ, როგორც ვახუშტი წერს, სულთანმა მზეჭაბუკი „პატივით შეიწყნარა“[43].

სოგმენიდან სელიმ I თავრიზისაკენ გაემართა. როდესაც ოსმალთა ლაშქარმა შეიტყო ის, რომ სელიმი თავრიზისაკენ მიიწევს, ლაშქარში კვლავ უკმაყოფილება დაიწყო. იანიჩარებმა თოფები ძირს დაუშვეს და მათზე წაღები წამოაცვეს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ისინი ერთ ნაბიჯსაც კი აღარ გადადგამდნენ. ლაშქარმა სულთანს წინადადება მისცა ირანთან ზავი დაედო და სამშობლოში დაბრუნებულიყო. სელიმმა დაპირებებითა და მუქარით აიძულა ლაშქარი გაეგრძელებინა გზა[44]. ამ დროს სელიმს მოუვიდა ცნობა, რომ ისმაილი მზად იყო მასთან საბრძოლველად. სულთანი ჩალდირანის ველისაკენ გაემართა.

1514 წ. 23 აგვისტოს ჩალდირანის ველზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის ლაშქარს შორის. ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. შაჰ-ისმაილმა გაქცევით უშველა თავს.

ჩალდირანთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, სელიმ I-მა ეგვიპტის სულთანს, ოზბეგებისა და ყირიმის ხანებს, ვენეციის დოჟსა და თავის შვილს უფლისწულ სულეიმანს წერილები გაუგზავნა, რომლითაც იგი შაჰ-ისმაილზე თავის გამარჯვებას იუწყებოდა[45].

1514 წ. 6 სექტემბერს ოსმალეთის ლაშქარი ირანის დედაქალაქ თავრიზში შევიდა და ქალაქი გაძარცვა.

1514 წ. 15 სექტემბერს სელიმ I იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავრიზი და უკან გაბრუნებულიყო.

ირანის გადაბუგულ მიწა-წყალზე ოსმალებს დიდხანს გაჩერება არ შეეძლოთ. ამასთან სელიმს ეშინოდა, რომ მისი ლაშქრის მძიმე მდგომარეობით ისარგებლებდა ეგვიპტის სულთანი და ოსმალეთს შეუტევდა. ამიტომ თავისი ლაშქარი მან ირანიდან გამოიყვანა. ამან

---

[43] იქვე, ვახუშტი ბატონიშვილს და ბერი ეგნატაშვილს თავიანთ „ისტორიებში“ მოუპოვებიათ ცნობა, რომ მზეჭაბუკის დახმარებით, ამ დროს, ოსმალთა ლაშქარმა, სამცხეზე გავლით, იმერეთი დაარბია (ვახუშტი, გვ. 241; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 350). ეფიქრობთ, რომ ეს არ უნდა იყოს სწორი, რადგან სელიმმა, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, დასავლეთ საქართველოში ილაშქრა 1510 წ., როდესაც იგი ტრაპიზონის გამგებელი იყო. ამას გარდა საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ირანთან ომით დაკავებული სულთანი იმერეთის წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

[44] J. Hammer, v. IV, p. 191.

[45] იქვე, გვ. 203.

ირანს სულის მოთქმის შესაძლებლობა მისცა[46]. სამაგიეროდ, სულთანმა მთელი თავისი ყურადღება ყიზილბაშთა შესაძლებელ მოკავშირე ეგვიპტეზე გადაიტანა.

შაჰ-ისმაილის დამარცხების შემდეგ სელიმ I ეგვიპტის წინააღმდეგ გაილაშქრა. წინასწარ სულთანმა ორი ღონისძიება განახორციელა: გააძლიერა ფლოტი, დაიპყრო სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლია და ქურთისტანი (დიარბექირი, მოსული და მარდინი).

სელიმ I უზრუნველყო რა თავისი ფლანგი, სირიისაკენ გაემართა. 1516 წ. 24 აგვისტოს სელიმ I ალეპოს მახლობლად დაამარცხა ეგვიპტის სულთნის ლაშქარი და დაიკავა ალეპო, შემდეგ დამასკო. სულთანმა დაიპყრო პალესტინა და ეგვიპტისაკენ გაემართა. 1517 წ. 31 იანვარს სელიმმა ეგვიპტის დედაქალაქი კაირო აიღო და ეგვიპტე დაიპყრო. ამ დროს ოსმალეთს დაუმორჩილდა აგრეთვე ჰიჯაზი (დასავლეთ არაბეთი) წმინდა ქალაქებით მედინათი და მექათი, რომელნიც ეგვიპტეს ეკუთვნოდნენ.

1518 წელს ოსმალებმა ჩრ. აფრიკის სანაპიროზე ხელთ იგდეს ქ. ალჟირი და მის მახლობლად მდებარე ადგილები. დაპყრობილ ტერიტორიაზე სულთანმა ალჟირის საბეგლარბეგო დააარსა[47].

სელიმ I დაპყრობათა შედეგად ოსმალეთის იმპერია ერთიორად გაიზარდა. ამიერიდან ოსმალეთი ფლობდა ტერიტორიას არა მარტო ევროპასა და აზიაში, არამედ აფრიკაშიც. ოსმალეთის ერთმა ძლიერმა მეტოქემ — ეგვიპტის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, ხოლო მეორე — ყიზილბაშური ირანი დამარცხებული იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ოსმალეთის სამხედრო პოტენციალი, განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება. ოსმალეთის შემდგომმა გაძლიერებამ შექმნა ახალი ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობის საფრთხე.

მოვლენების განვითარებას მახლობელ აღმოსავლეთში ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს სამეფო-სამთავროებში, სამცხე-საათაბაგოში.

---

[46] ამ დროს შაჰ-ისმაილ I-მა გადადგა ნაბიჯი ევროპის სახელმწიფოების მონაწილეობით ანტიოსმალური კოალიციის შესადგენად. 1515 წელს ამ მიზნით შაჰმა იოანიტების ორდენის მაგისტრს კ. როდოსზე შესთავაზა დადებულიყო კავშირი ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ კოალიციაში ევროპის სხვა ქრისტიანული სახელმწიფოებიც ჩაებათ. შაჰ-ისმაილის ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა (A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 15); О. А. Э ф е н д и е в, указ. соч., стр. 121, 122.

[47] Mufassal Osmanli Tarihi, c. 11, s. 747—775; G. Stripling, The Ottoman Turks and the Arabs 1511—1577, Urbana, 1941, pp. 1—57; J. H a m m e r, v. IV, pp. 245—340.

1516 წელს გარდაიცვალა მზეჭაბუკი და სამცხის ათაბაგი გახდა ყვარყვარე III (1516—1535 წწ.) ქაიხოსრო I-ის ძე.

მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. სამცხის ათაბაგი თუ მისი მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ამ ბრძოლაში გამოეყენებინათ გარეშე ძალები (ირან-ოსმალეთი) და მათი შემწეობით ხელთ ეგდოთ ხელისუფლება. ცხადია, ასეთი პოლიტიკა კარგს არაფერს უქადდა ქვეყანას.

1516 წ. ყვარყვარე III-ს აუჯანყდა მანუჩარი, რომელიც ყვარყვარე II-ის მეექვსე ვაჟი და ყვარყვარე III-ის ბიძა იყო[48].

1516 წელს მოხდა ბრძოლა ყვარყვარე ათაბაგსა და მანუჩარს შორის. ყვარყვარე დამარცხდა, თავრიზში გაიქცა, შაჰთან მივიდა და მას დახმარება სთხოვა. შაჰმა შეიწყნარა ყვარყვარე ათაბაგი და მას დახმარება აღმოუჩინა. შაჰ-ისმაილ I-მა სამცხეში მანუჩარის წინააღმდეგ ლაშქარი გამოგზავნა დივ-სულთან რუმლუს სარდლობით[49].

მანუჩარმა ყიზილბაშთა ლაშქრის მოახლოვებისთანავე მოციქულები გაუგზავნა დივ-სულთანს და ზავი შესთავაზა. ყიზილბაშებმა მანუჩარის მოციქულები დახოცეს და მის წინააღმდეგ გაემართნენ. მანუჩარი ოსმალეთში გაიქცა[50].

სპარსელებმა თმოგვის ციხეს ალყა შემოარტყეს და 14 დღეში ციხე აიღეს. ამის შემდეგ დივ-სულთანმა სამცხე-საათაბაგოს გამგებლობა ყვარყვარეს მისცა და თვითონ ირანში დაბრუნდა[51].

ამგვარად, ყვარყვარე III-მ, ირანის დახმარებით, დაამარცხა მანუჩარი და აღადგინა ხელისუფლება სამცხეში, ხოლო ოსმალეთში გაქცეული მანუჩარი ოსმალთა დახმარებით ცდილობდა ხელთ ეგდო ძალაუფლება სამცხეში. ყვარყვარე III ათაბაგსა და მანუჩარს შორის დაწყებული ბრძოლა ასუსტებდა სამცხის ფეოდალურ სამთავროს და მის თავდაცვის უნარიანობას. ოსმალეთი და ირანი მარჯვედ იყენებდნენ შინაფეოდალურ ომს სამცხეში და „დახმარების“ საბაბით იპყრობოდნენ და არბევდნენ მას.

ოსმალეთში ჩასული მანუჩარი დაუკავშირდა სელიმ I-ის ამირას ყიზილ-აჰმედ ოღლუს და მისი დახმარებით მოინდომა ყვარყვარეს წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება.

---

[48] ქრ. შარაშიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 99—101, 134—138.

[49] ჰასან რუმლუ, გვ. 20.

[50] იქვე.

[51] იქვე.

1518 წ. ოსმალთა ლაშქარი ყიზილ-აჰმედ ოღლუს სარდლობით სამცხისაკენ გამოემართა, რათა „ყვარყვარესათვის ქვეყანა წაერთმია და მისთვის (მანუჩარისათვის — მ. ს.) მიეცა“[52]. ბრძოლა ყვარყვარე ათაბაგსა და ოსმალთა ლაშქარს შორის ყარა-არდაჰანში მოხდა. ამ ბრძოლაში ოსმალები დამარცხდნენ[53].

როგორც დავინახეთ, მანუჩარის ცდა ოსმალთა დახმარებით დაემარცხებინა ყვარყვარე III და ხელთ ეგდო ძალაუფლება სამცხეში, მარცხით დამთავრდა.

ამ დროს სელიმ I გამალებით ემზადებოდა ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ ომისათვის და აღმოსავლეთისათვის აღარ ეცალა. იგი არც იყო დაინტერესებული აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავებით. ამიტომ ოსმალების მიერ მანუჩარისათვის გაწეული დახმარება არაარსებითი იყო, იგი ლოკალურ ხასიათს ატარებდა და, ცხადია, არც აღმოჩნდა საკმარისი ყვარყვარეს დასამარცხებლად.

1520 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა სელიმ I და ტახტზე ავიდა მისი შვილი სულეიმან I (1520—1566). მის დროს ოსმალეთის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია, მაგრამ სულეიმან ბრწყინვალის მეფობის დასასრულს უკვე შესამჩნევი გახდა იმპერიის დაცემის სიმპტომები.

სულეიმანის მეფობის წლებში ოსმალეთი აწარმოებდა დიდ დაპყრობით ომებს ევროპასა და აზიაში, რის შედეგადაც იმპერიის სამფლობელოები მნიშვნელოვნად გაიზარდა. სულეიმან I უპირველესად ყოვლისა მიზნად დაისახა გაეჯართოვებინა იმპერიის სამფლობელოები ევროპაში და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო დიდი ომი ირანის წინააღმდეგ.

1521 წელს ოსმალეთმა უნგრეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. უნგრეთის დაპყრობით ოსმალეთს გზა ეხსნებოდა ცენტრალურ ევროპაში. 1521 წ. სულეიმანმა დაიპყრო უნგრეთის სახელმწიფოში შემავალი ქ. ბელგრადი, მაგრამ უნგრეთზე გამარჯვების მისაღწევად მას ესაჭიროებოდა თავისი ზურგის უშიშროების უზრუნველყოფა. სახელდობრ, ხელთ ეგდო კ. როდოსი, საიდანაც ოსმალეთის ფლოტს გამუდმებით თავს ესხმოდნენ და ხელს უშლიდნენ თურქეთის კავშირს არაბულ სახელმწიფოებთან. 1522 წ. სულეიმანმა კ. როდოსი დაიპყრო.

1526 წ. აპრილში, ქვეყნის შიგნით საქმეების მოგვარების შემდეგ, სულეიმან I 100 000 ლაშქრით და 300 ზარბაზნით უნგრეთის წინა-

---

[52] ჰასან რუმლუ, გვ. 21, 22.

[53] იქვე.

აღმდეგ სალაშქროდ გაემართა. ოსმალებმა ალყა შემოარტყეს უნგრეთის დედაქალაქ ბუდას და აიღეს იგი.

ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ავსტრია და დაიწყო ბრძოლა ავსტრიასა და ოსმალეთს შორის უნგრეთისათვის.

1529 წლის მაისში სულეიმანი გაემართა ავსტრიის წინააღმდეგ საომრად. ოსმალეთის ლაშქარი „250 000 კაცს ითვლიდა". 28 სექტემბერს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ავსტრიის დედაქალაქ ვენას, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლეს. 14 ოქტომბერს სულეიმანი იძულებული შეიქნა ვენისათვის ალყა მოეხსნა და სტამბოლში დაბრუნებულიყო. ამგვარად, ვენა, ავსტრია და მთელი ევროპა ოსმალეთის საფრთხეს გადაურჩა. ამ დროიდან სულ უფრო მეტად ძლიერდება ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობა ოსმალეთის მიმართ. სულეიმანმა კიდევ ერთხელ სცადა ახალი ლაშქრობის მოწყობა უნგრეთში. მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. სულეიმანი იძულებული გახდა 1533 წ. 22 ივნისს ზავი დაედო ავსტრიასთან[54].

ევროპაში ოსმალეთის წარმატება-გაბატონების შესაძლებლობანი სულ უფრო და უფრო მცირდება. ამის გამო, ჰამერის ცნობილი შენიშვნის დამოწმებით, ვ. გაბაშვილს აღნიშნული აქვს: „ოსმალეთი XVI ს-ის 30-იან წლებიდან მოყოლებული არჩევანის წინაშე იდგა: ომი აღმოსავლეთში ან დასავლეთში. ერთდროულად ორ ფრონტზე ომის წარმოება ოსმალეთს უკვე აღარ შეეძლო. ასე რომ ირანთან ზავი ფაქტიურად აპირობებდა ოსმალეთის ომს დასავლეთში და, პირიქით, ევროპულ სახელმწიფოებთან ზავი აპირობებდა ოსმალეთის ომს ჯაჭილბაშთა სახელმწიფოსთან"[55].

ასეთ ვითარებაში ოსმალეთის სულთანი მიისწრაფვის გააძლიეროს თავისი ექსპანსია აღმოსავლეთის მიმართულებით და გააფართოოს აქ თავისი იმპერიის საზღვრები: „1529 წლის ვენის პირველი უშედეგო ალყის შემდეგ, თურქეთი თანდათანობით იწყებს ევროპაში თავისი შეტევის მიმართულების შეცვლას. ვენა სამუდამოდ დარჩა ყველაზე უკიდურეს წერტილად თურქეთის წინსვლისა დასავლეთ ევროპის მიმართულებით. არ ანებებს რა შემდგომშიც ცდებს ხელთ

---

[54] დაწვრილებით იხ. Mufassal Osmanli Tarihi, c. II, s. 794—865; J. Hammer, v. V, pp. 15—49, 75—136; А. Д. Новичев, История Турции, стр. 84—89.; მიუხედავად ამისა, „ოსმალეთის საფრთხე" დას. ევროპის წინაშე XVI ს. მთელ. მანძილზე კვლავ მკვეთრად იდგა. მხოლოდ XVII ს-ის დამდეგს (1606 წ.) ოსმალეთ-ავსტრიის ზავი ოსმალეთისათვის ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში დაიდო.

[55] ე. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 77.

იგდოს „რომის კეისრის“ დედაქალაქი, თურქეთს თავისი სამხედრო დარტყმების მთავარი მიმართულება თანდათანობით გადააქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე, რუსეთის სახელმწიფოზე, ამიერკავკასიასა და ირანზე“[56].

ავსტრიასთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთი ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. ახლა ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა მთელი ძალები ირანის წინააღმდეგ მიემართა.

1533 წ. 21 სექტემბერს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა იბრაჰიმ ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაეშართა. ოსმალეთის ლაშქარი, კონიაზე გავლით, ალეპოს მიეიდა და საზამთროდ იქ დაბანაკდა.

1534 წლის ზაფხულში ოსმალები იწყებენ შეტევას სომხეთის წინააღმდეგ, მთელ რიგ ქალაქებს იპყრობენ; მათ შორის ვანს, ავნიკს, აჰლათს, არზრუმს, ყარსსა და სხვ. სომხეთზე გავლით, ოსმალეთის ლაშქარი აზერბაიჯანშიც შეიჭრა და თავრიზი დაიკავა, ხოლო შემდგომ კი — მთელი სამხრეთ აზერბაიჯანი.

ამ დროს ოსმალეთის ლაშქარს სათაეში ჩაუდგა სულეიმანი და მან ბაღდადის წინააღმდეგ გაილაშქრა.

1534 წ. 23 ნოემბერს ოსმალებმა ბაღდადი აიღეს. სულეიმან I რამდენიმე თვეს დარჩა ბაღდადში. ოსმალებმა დაპყრობილი ქვეყნები სანჯაყებად დაჰყვეს და იქ ოსმალური მართვა-გამგებლობა შემოიღეს. მათ აქ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები დანერგეს: თიმარები და ზეამეთები თურქ სიფაჰებსა და ჯარისკაცებს დაურიგეს[57].

---

[56] Н. А. Смирнов, Россия и Турция в XVI—XVII вв., т. I, стр. 6.

[57] სულეიმან I ბაღდადში ყოფნის დროს მასთან გამოცხადდა საფრანგეთის მეფის ფრანცისკო I ელჩი ლა ფორე. მას მეფისაგან დაეალებული ჰქონდა მოლაპარაკებოდა ოსმალეთს ავსტრიის იმპერატორ კარლოს V წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს ლა ფორეს უნდა ეთხოვა სულთანისათვის, რათა მას ფრანგი ვაჭრებისათვის მიენიჭებინა გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ვაჭრობის საქმეში. ირანთან ომში მოპოვებული წარმატებების შემდეგ სულეიმანი კვლავ ევროპის საქმეებით დაინტერესდა. ევროპაში კი მისი მთავარი მოწინააღმდეგე ავსტრიის იმპერია იყო. ამიტომ სულთანი დაუახლოვდა საფრანგეთს, საერთო მტრის კარლოს V წინააღმდეგ საბრძოლველად. 1535 წ. თებერვალში ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ისტორიაში ცნობილია „კაპიტულაციის“ სახელწოდებით. Reşat Ekrem, Osmanlı muahedeleri ve Kapitülasiyonlar 1300—1920, Istanbul, 1934; S. Vincent, La Capitulation de 1535, Paris. 1914; Г., Жордания, Очерки из истории франко-русских отношений, Тб., 1953, ч. II, стр. 60—62.

იმ დროს, როდესაც ოსმალები სამცხე-საათაბაგოს კარზე იყვნენ მიმდგარი და დაპყრობით ემუქრებოდნენ მას, ქვეყნის შიგნით მდგომარეობა კატასტროფული იყო. სამცხის ათაბაგის ხელისუფლებას ეცილებოდნენ არა მარტო ადგილობრივი ფეოდალები, არამედ ამჯერად, მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც, სამცხის ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლის პოტენციალი იმერეთის მეფე ბაგრატ III გამოვიდა. მან გურიელისა და დადიანის დახმარებით გაილაშქრა ყვარყვარე III-ის წინააღმდეგ და 1535 წ. 15 აგვისტოს ახალქალაქის მახლობლად, მურჯახეთთან დაამარცხა ყვარყვარე III და ტყვედ იგდო იგი. ბაგრატმა საათაბაგო დაიპყრო და ამით საათაბაგოს არსებობა ათი წლით (1535—1545 წწ.) შეწყდა და იგი იმერეთის სამეფოს შეუერთდა. მაგრამ ათაბაგის მემკვიდრე ქაიხოსრო და მისი მომხრე სამცხის ფეოდალები სხვადასხვა საშუალებებით იბრძოდნენ სამცხეში ათაბაგის ხელისუფლების აღდგენისათვის. ცხადია, ეს გარემოება მნიშვნელოვნად ასუსტებდა საქართველოს ამ მხარის თავდაცვისუნარიანობას. ჩანს, ოსმალეთში კარგად იცოდნენ სამცხეში მომხდარი ამბები. ეს გარემოება სულთანს საშუალებას აძლევდა უფრო აქტიურად ჩარეულიყო სამცხის შინაურ საქმეებში და დაეწყო მისი დაპყრობა.

ოსმალეთის მიერ აღებული არზრუმი მათთვის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გახდა სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ იერიშის მისატანად. ოსმალები აქედან უტევდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ სომხეთსა და ირანს. არზრუმი საუკუნეთა განმავლობაში იყო ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარზე მდებარე მთავარი ციხე-ბურჯი.

1536 წ. 4 ივლისს არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ხანი თავისი ლაშქრით საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა და შეუდგა მის დაპყრობა-დარბევას[58].

„დიდი ომისა და ბრძოლების შედეგად, წერს ი. ფეჩევი, გამარჯვება ისლამის (ლაშქარს) ერგო. აურაცხელი დასამიწებელი ურჯულო გაწყდა. გადარჩენილები რომ გაიფანტნენ, ასკერები ეძგერნენ საშოვარს და იმდენი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, რომ გადმოცემა ძნელია. ასეთი მაგალითის შემდეგ სამმა-ოთხმა სასანჯაყო ადგილის (მოსახლეობამ) მორჩილება გამოაცხადა და სულთანს ვალისა და მმართველის დანიშვნა სთხოვა“[59].

---

[58] ჯუჯუ ჩელებ, ტ. I, გვ. 191; თარგმანი, გვ. 25.

[59] იქვე.

გასარკვევი რჩება ამ ლაშქრობის დროს სამცხის რომელი ნაწილი დაიპყრეს ოსმალებმა. სამწუხაროდ, ი. ფეჩევი არ მიუთითებს, სახელდობრ, სად იქნა აქ დაარსებული სანჯაყები. თანამედროვე თურქი ისტორიკოსის დანიშმენდის ცნობით, ოსმალებმა ამ დროს საქართველოში დაპყრობილი ადგილებიდან შემდეგი სანჯაყები დააარსეს: ოლთისის, ართვინის, კისკიმის (Kiskim) და ნარმანის (Narman)[60].

აქედან ორი სანჯაყის — ოლთისისა და ართვინის სახელწოდება და მათი ადგილმდებარეობა კარგადაა ცნობილი. ოლთისი ტაოში მდებარეობს, ხოლო ართვინი — კლარჯეთში. კისკიმი დამახინჯებული ქართული სახელწოდება უნდა იყოს. ი. ჰამერის მიერ შედგენილი ჩუკის მიხედვით კესკინი (და არა კისკიმი) ისპირსა და თავასკერს შორის, ისპირის ჩრ.-აღმოსავლეთით მდებარეობს[61] და ისიც ტაოში იმყოფება. რაც შეეხება ნარიმანს, იგი მდებარეობს ოლთისის სამხრეთით მდ. ოლთისის წყალზე. ნარიმანი მამერავანის სახელწოდებითაც იხსენიება[62].

ამგვარად, ზემოთ დასახელებული სანჯაყები ოსმალებს ტაოსა და კლარჯეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე დაუარსებიათ.

ყურადსაღებია ის, რომ ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ოსმალები სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე სანჯაყებს აარსებენ. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ოსმალებმა დაიწყეს სამცხეში დაპყრობილ ტერიტორიაზე თავისი მმართველობისა და წესების დანერგვა — ქვეყნის გაოსმალება.

XVI ს.-ის 40-იან წლებში სამცხეში განახლდა ბრძოლა ათაბაგის ხელისუფლების აღდგენისათვის.

იმერეთის მეფის ტყვეობაში მყოფი ყვარყვარე გარდაიცვალა. ყვარყვარე III ვაჟიშვილმა ქაიხოსრომ სცადა თავისი მომხრე მესხი ფეოდალების დახმარებით ხელთ ეგდო ძალაუფლება სამცხეში, მაგრამ ეს ცდები, ჩანს, უშედეგო გამოდგა. სწორედ ამ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალები იწყებენ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის დაპყრობას და აქტიურად ერევიან მის საშინაო საქმეებში. ქაიხოსრომ გადასწყვიტა ოსმალთა დახმარებით დაემარცხებინა ბაგრატ III და აღედგინა ათაბაგის ხელისუფლება სამცხეში. ამ მიზნით ქაიხოსრო სტამბოლში გაემგზავრა და სულთანს დახმარება სთხოვა.

---

[60] I. H. Danişmend, op. cit., c. II, s. 190.

[61] J. Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, Bd. II, S. 304—305. გვერდებს შუა ჩაკრული რუკა.

[62] იხ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, გვ. 593, აგრეთვე მასზე დართული რუკა.

სულთან სულეიმანი სიამოვნებით გამოვიდა ქაიხოსროს მფარველის როლში, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ ოსმალთა დახმარებით ქაიხოსროს გაათაბაგება სამცხეში გააძლიერებდა ოსმალთა გავლენას. სულეიმანმ I-მა, ქაიხოსროს თხოვნით, 1543 წელს ოსმალთა ლაშქარი გაგზავნა სამცხეში.

ქართველები მომზადებული შეხვდნენ სამცხეში მოსულ ოსმალთა ლაშქარს. სასტიკად დაამარცხეს და უკუაგდეს იგი[63].

ამ დამარცხების შემდეგ ქაიხოსრო კვლავ მიდის სულთანთან დახმარების სათხოვნად. სულთანმა ქაიხოსროს ეს თხოვნაც შეიწყნარა და კვლავ გამოგზავნა სამცხეში თავისი ლაშქარი: „ამისა შემდგომად კუალად წარვიდა ხვანთქართანა ოთარი შალიკაშვილი, და ქაიხოსრო ძე ათაბაგისი, ესმა რა ხვანთქარსა, დაუმძიმდა ფრიად და კუალად წარმოავლინა არზრუმისა ფაშა, და დიარბექირისა, და სხუანიცა მრავალნი, და შეკრიბა სპათა სიმრავლე ურიცხუ“[64].

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ იყო დაინტერესებული სულთანი სამცხეში თურქული გავლენის გაძლიერებით.

იმერეთის მეფემ ბაგრატ III დახმარებისათვის ქართლის მეფეს ლუარსაბსა და გურიელს მიმართა.

1545 წელს ბასიანში სოხოისტასთან მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალებსა და ქართველებს შორის.

ახალი „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის მიხედვით, ოსმალეთის მხრიდან სოხოისტას ომში მონაწილეობას ღებულობდნენ არზრუმისა და დიარბექირის ფაშები, ხოლო ქართველთა მხრივ — იმერეთის მეფე ბაგრატ, ქართლის მეფე ლუარსაბი და ათაბაგი ქაიხოსრო. ქართულ ნარატიულ წყაროებში ვკითხულობთ „ჴეიბნეს სოხოიტს ზედა იმერელი მეფე ბაგრატ, და ქართლის მეფე ლუარსაბ, და ათაბაგი პატრონი ქაიხოსრო, და სრულად საჭართველო იყო, და ორი ფაშა იყო, და მეფენი მეოტ იქმნეს“[65].

ვფიქრობთ, რომ აქ აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე. შეუძლებელია, რომ ქაიხოსრო, რომლის „მოწვევითაც“ მოვიდა ოსმალთა ლაშქარი, ამ ბრძოლაში ქართველების მოკავშირე ყოფილიყო. ამასთანვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა ქაიხოსრო სამცხის ათაბაგად დასვეს, ცხადია, ასეთ ვითარებაში უნდა გამოირიცხოს ქაიხოსროს მონაწილეობის შესაძლებლობა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

[63] ვახუშტი, გვ. 243, 244; ქრონიკები, ტ. II, გვ. 387; ჰასან რუმლუ, გვ. 23, 24.

[64] ვახუშტი, გვ. 244.

[65] ვახუშტი, გვ. 244; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 499, 358.

ქართული წყაროების ამ შეუსაბამობას ყურადღება მიაქცია პროფ. გ. ტივაძემ. მისი აზრითაც, ქაიხოსრო თავიდანვე მოქმედებდა ოსმალთა მხარეზე. ავტორის მსჯელობაში ჩვენ სადავოდ მოგვაჩნია მისი დასკვნითი დებულება, რომ ამ საკითხის „გასარკვევად ჩვენ სხვა წყაროები არ მოგვეპოვება“[66]. ამას არკვევს ქართულ „ქრონიკებში“ დაცული შემდეგი ცნობა: „ქ“კსა, (1545 წ.) ლუარსაბ და ბაგრატ მეფენი ბასიანს სოხოსტაზედ ორს ფაშას და ქაიხოსრო ათაბაგს შეებნენ“[67].

სოხოისტას გამარჯვების შემდეგ „დაიპყრეს ოსმალთა სამცხე-საათაბაგო, და აღიღეს ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი სამცხისანი, და გაბატონეს ქაიხოსრო, ძე უუარყუარესი, და იქმნა ათაბაგ“[68].

ამგვარად, ქაიხოსრო ოსმალთა დახმარებით გაათაბაგდა სამცხეში. ცხადია, ამ გარემოებას უნდა გამოეწვია სამცხეში ოსმალთა გავლენის ზრდა.

XVI ს. 40-იან წლებში, ირანთან ომში გარკვეულ წარმატებების მიღწევის შემდეგ, სულეიმანმა განაახლა სამხედრო ოპერაციები ევროპაში, რომელთაც რაიმე საგრძნობი შედეგი ოსმალეთისათვის არ მოუტანია. 1547 წელს სულთანმა სულეიმან პირველმა ზავი დადო ავსტრიის იმპერატორთან და უნგრეთის მეფესთან. ამის შემდეგ სულთანი ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა.

1548 წ. სულეიმანმა ახალი დიდი ლაშქრობა დაიწყო ირანის წინააღმდეგ. ამ მიზნით 1548 წ. 29 მარტს სულეიმანმა დატოვა სტამბოლი და ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემგზავრა. ოსმალთა ლაშქარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. საფრანგეთის ელჩის ცნობით, რომელიც სულთანს თან ახლდა ამ ლაშქრობაში, ოსმალეთის არმია 200 000 კაცსა და 300 ზარბაზანს ითვლიდა[69], ხოლო კონსტანტინოპოლში მყოფი რომის პაპის მისიონერის ცნობით კი, ოსმალეთის ლაშქარი 200 000 კაცისაგან შედგებოდა[70]. რა თქმა უნდა, ოსმალთა ლაშქრის რიცხვი გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ, ცხადია, რომ იგი მტრისათვის საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

სულეიმანის ლაშქარი კონიასა და სივასზე გავლით ამასიაში ჩავიდა, იქიდან კი არზრუმისაკენ გაემართა და 25 ივნისს იქ დაბანაკდა.

---

[66] გ. ტივაძე, დასახ. შრ., გვ. 132.

[67] ქრონიკები, ტ. II, გვ. 387.

[68] ვახუშტი, გვ. 244; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 500.

[69] E. Charrière, Negociations..., v. II, p. 68.

[70] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. 1, p. 28.

ამ დროს არზრუმში სულთანთან ჩავიდა საფრანგეთის ელჩი დ'არამონი თავისი ამალით.

მეორე დღეს, 26 ივნისს, როდესაც ოსმალეთის ლაშქარი ჰასან კალასთან[71] იმყოფებოდა, სულეიმანთან გამოცხადდნენ ქართველი დიდებულები. მათ შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის საფრანგეთის ელჩის დ'არამონის მდივანი ჟან შესნო, რომელიც მონაწილე იყო ქართველებთან შეხვედრისა. იგი წერს: „ამ დროს გამოჩნდნენ ქართველი დიდებულები მოხდენილ პატარა ცხენებზე. ისინი ჩაცმული იყვნენ თავიანთი ქვეყნის წესისამებრ. მოსული იყვნენ, რათა სულთნის ხელს მთხვეოდნენ და თაყვანი ეცათ მისთვის. მათ სულთანს მიართვეს ცხვრები, ყველი და ხილი. ქართველებმა შეიტყვეს, რომ იქ იმყოფება საფრანგეთის ელჩი, მათ ინახულეს იგი და უთხრეს, რომ მათ გაგონილი აქვთ, რომ ის ეკუთვნის ქრისტიანთა ყველაზე დიდ მეფეს და რომ ისინიც აგრეთვე ქრისტიანები არიან და გამოსთქვეს სურვილი მისი (საფრანგეთის მეფის — მ. ს.) ნახვისა. ქართველებმა მოგვართვეს ცოტაოდენი დარჩენილი ყველი თავისი ქვეყნისა და ცოტა ქერი ცხენებისათვის. იმისათვის, რომ არ დავრჩენილიყავით ვალში დავალევინეთ ერთი ბოთლი მუსკატის ღვინო, რომელიც შემოგვრჩა ჩვენ სანოვაგეში და რომელიც მათ არ ჰქონდათ გასინჯული. ისინი დარჩნენ ძალიან კმაყოფილნი და გახარებული დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, რომელიც აქედან შორს არ არის"[72].

თუმცა ფრანგულ წყაროში არ არის მითითებული, თუ საქართველოს რომელი კუთხის მოციქულებზეა საუბარი, მაგრამ რიგი დეტალების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ესენი იყვნენ სამცხე-საათაბაგოს წარმომადგენლები. ფრანგი დიპლომატი აღნიშნავს, რომ ისინი „დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, რომელიც აქედან შორს არ არის"[73], ხოლო საქართველოს ყველა მხარეთგან ოს-

---

[71] ჰასან-კალა—მდებარეობს არზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ევხუშტის მიხედვით, ჰასან კალა მდებარეობდა ძველი ქართული პროვინციის ბასიანის ტერიტორიაზე. მას ჰასან-კალა იდენტიფიცირებული აქვს ჭ. ბასიანთან. უნდა აღინიშნოს, რომ Pasin იგივე ბასიანია თურქული წარმოთქმით. პლ. ოსელიანსაც იდენტიფიცირებული აქვს ბასიანი და ჰასან-კალა (დაწვრილებით იხ. ს. ჯიქია, ი. ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გვ. 105, შენ. 26). ევლია ჩელების დაწვრილებით აქვს აღწერილი ჰასან-კალა. მისი გადმოცემით, XV საუკუნის ბოლოს ჰასან-კალას ციხე-ქალაქი გაამაგრა და განაახლა უზუნ ჰასანმა (اوزون حسن, ტ. II, გვ. 118). ფრანგი ავტორების ცნობით, ჰასან კალა ნიშნავს ჰასანის ციხეს, და, შესაძლებელია, მას ეს სახელი ეწოდა იმის გამო, რომ ჰასანმა განაახლა და გაამაგრა ეს ციხე-ქალაქი. საერთოდ კი მისი უძველესი სახელია Passin-ი (J. Chesneau, op. cit. p. 77).

[72] იქვე.

[73] იქვე.

მალეთთან ტერიტორიულად ყველაზე უფრო ახლოს სამცხე მდებარეობდა, გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი ელჩები სულთანთან მივიდნენ ბასიანში, რომლის ჩრდილოეთით გადიოდა სამცხე-ოსმალეთის საზღვარი. ყველაზე მთავარი არგუმენტი კი ისაა, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის სამცხე იყო ოსმალეთის მოხარკე ქვეყანა[74], რომელიც ყოველგვარ საშუალებებს იყენებდა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მოტანილი ცნობიდან საყურადღებოა ის, რომ საფრანგეთის ელჩთან საუბრის დროს ქართველმა დიპლომატებმა ორ გარემოებაზე გაამახვილეს ყურადღება: 1. ქართველები, ისევე, როგორც ფრანგები, ქრისტიანები არიან. 2. მათ სურვილი აქვთ ინახულონ საფრანგეთის მეფე, რომელიც ქრისტიან ხელმწიფეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერთაგანია. ცხადია, ქართველ დიპლომატებს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება სჭირდებოდა იმის გამო, რომ საფრანგეთის მეფეს მათთვის მფარველობა გაეწია, როგორც ქრისტიანებისათვის მუსლიმანების, ე. ი. ოსმალების, ხელყოფის შემთხვევაში. მაგრამ ქართველების იმედები ოსმალთა მოძალების წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთის დახმარებისა ამაო გამოდგა, რადგანაც თვით საფრანგეთის მეფე ცდილობდა მუსლიმანური ოსმალეთი გამოეყენებინა ქრისტიანული ავსტრიის წინააღმდეგ. საფრანგეთის მეფე ჰენრიხ II დაინტერესებული იყო, რომ სულთანს რაც შეიძლება მალე დაემთავრებინა ომი სპარსეთთან და მთელი ძალები ევროპაში გადაესროლა, რათა გაეჩაღებინა ახალი ომი ავსტრიის წინააღმდეგ.

ჰასან-კალადან ოსმალეთის ლაშქარმა გეზი აზერბაიჯანისაკენ აიღო. შაჰ-თამაზი, ისევე როგორც წინათ, ოსმალეთთან ომის დროს, ახლაც ანხორციელებდა უკან დახევის სტრატეგიულ მანევრს. სპარსელები უკან დახევისას აპარტახებდნენ და აუკაცრიელებდნენ ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ომის უშუალო ან შესაძლო ასპარეზი გახდებოდა. ოსმალთა სამხედრო უპირატესობა აიძულებდა ირანელებს ყველაფერი მოესპოთ იმ გზაზე, სადაც ოსმალებს უნდა გაევლოთ. პირადად შაჰს ომის წარმოების მხოლოდ ეს გზა — გაპარტახებული ზონის შექმნა, მიაჩნდა ეფექტურ საშუალებად, სხვა ყველაფერს იგი სისულელედ და უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. შაჰი ასე მსჯელობდა: მეტი საშუალება არ არსებობს გარდა იმისა, რომ სადაც კი ხონთქრის ოლქს ხელში მოვიგდებთ, ერთ დღეს ერთ ადგილზე არ გაეჩერდეთ და ის

[74] გავიხსენოთ, რომ შესნოს ცნობით, ქართველებმა სულთანს მიართვეს ცხვრები, ხილი, რაც მოხარკეობის სიმბოლო იყო. ჩვენ არ გვხვდება მაგალითი იმისა, რომ ამ პერიოდში იგივე მიერთმიოს სულთნისათვის იმერეთის ან ქართლის მეფეს.

ქვეყნები ისე გავაუდაბუროთ და გავავერანოთ, რომ ათი დღის სავალზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდეს, რათა მათი მიმოსვლა აღიკვეთოს[75].

ასეთი პოლიტიკის წყალობით ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ოსმალეთის ლაშქარი რაც უფრო მეტად მიიწევდა წინ ირანის საზღვრებისაკენ, მით უფრო მეტად განიცდიდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას.

27 ივლისს ოსმალეთის ლაშქარი უბრძოლველად ირანის დედაქალაქ თავრიზში შევიდა. ოსმალებს ქალაქი დაცარიელებული დახვდა. ქალაქიდან 100 მილის მანძილზე სიცოცხლის ნასახი არ ჩანდა. ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა მძიმე იყო. მას აკლდა სურსათ-სანოვაგე, ფურაჟი. ჯარისკაცებში ავადმყოფობა გავრცელდა. ასეთ ვითარებაში სულთანს არ შეეძლო მტერს დადევნებოდა, რომელმაც კასპიის სანაპიროზე მდებარე მთებს შეაფარა თავი. თავრიზში ხუთი დღის ყოფნის შემდეგ, სულეიმანი იძულებული შეიქნა ქალაქი დაეტოვებინა და თავისი ლაშქრით უკან გამობრუნებულიყო[76].

14 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარი ქ. ვანის მახლობლად დაბანაკდა. ვანი საკმაოდ კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო, რომელსაც 2000 ყიზილბაში იცავდა. მეორე დღეს ოსმალებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს და მას ზარბაზნები დაუშინეს. საფრანგეთის ელჩის დ'არამონის რჩევით ოსმალებმა ცეცხლის მიმართულება შესცვალეს და მალე ციხის კედლის გარღვევა შესძლეს. 25 აგვისტოს ოსმალებმა ქ. ვანი აიღეს[77]. დ'არამონის სამხედრო კონსულტაცია კიდევ ერთხელ ცხადყოფს საფრანგეთის დაინტერესებას ოსმალეთის გამარჯვებაში. ოსმალეთის ლაშქრის ერთი ნაწილი, რომელსაც ალკას მირზა (ოსმალეთის მხარეზე გადასული შაჰ-თამაზის ძმა) სარდლობდა, ირანის სიღრმეში შეიჭრა და ქაშანსა და ყუმამდე მიაღწია.

სექტემბერში შაჰ-თამაზის ლაშქარი კონტრშეტევაზე გადავიდა, სომხეთში შეიჭრა და ზოგიერთი ადგილი — ადილჯაუზი მუში და ახლათი დაარბია. სულეიმანმა ირანელების წინააღმდეგ გაგზავნა მეორე ეჯრი აჰმედ-ფაშა, რომელმაც სპარსელები დაამარცხა და განდევნა.

ნოემბერში ოსმალეთის ლაშქარი საზამთროდ დიარბექირსა და ალეპოში დაბანაკდა. 26 ნოემბერს სულთანი ალეპოში ჩავიდა.

---

[75] კ. ტაბატაძე, ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო (შაჰ-თამაზ I-ის „თეზკერეს" მიხედვით), ნარკვევებში მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1947, გვ. 313.

[76] J. Chesneau, op. cit. pp. 83—86.

[77] იქვე, გვ. 87, 88.

1549 წლის გაზაფხულიდან ოსმალებმა ახალი ძალით გააჩაღეს ომი სპარსელების წინააღმდეგ. სულეიმანმა უპირველესად ყოვლისა გადაწყვიტა სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ გაელაშქრა და დაეპყრო იგი.

1548 წ. 8 ივლისს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ოსმალეთის ლაშქარი თავრიზის მახლობლად იმყოფებოდა, საფრანგეთის ელჩი დ'არამონი ჰენრიხ II წერდა, რომ სულთანს განზრახული ჰქონდა, თუ მას დრო დარჩებოდა, ქართველების წინააღმდეგ გაელაშქრა[78]. მაგრამ, როგორც ჩანს, სულთანმა თავისი განზრახვა 1548 წელს ვერ განახორციელა და იგი მომავალი წლისათვის გადადო.

ამასთანავე საინტერესოა, რომ 1548 წ. 22 სექტემბერს და 3 ოქტომბერს ვენეციაში მყოფი საფრანგეთის ელჩი ჰენრიხ II-ეს ატყობინებდა: „ამბობენ, რომ სულთანს გადაწყვეტილი აქვს ქართველების ქვეყნის წინააღმდეგ გაილაშქროს და ძალით თუ ნებით ისინი მორჩილებაში მოიყვანოს"[79]. ხოლო 1549 წ. 4 მარტს ვენეციიდან საფრანგეთის ელჩი ატყობინებდა ჰენრიხ II, რომ ამ წელს სულთანი ქართველების წინააღმდეგ გაილაშქრებს[80].

ფრანგი დიპლომატების პროგნოზი გამართლდა.

1549 წლის გაზაფხულზე სულთანმა არზრუმის მირმირანს მეჰმედ ფაშას უბრძანა საქართველოს დასაპყრობად წასულიყო.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სულთან სულეიმანი საფრანგეთის მეფე ჰენრიხ II-სადმი გაგზავნილ წერილში საქართველოში ოსმალთა ლაშქრობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ქართველები პირმოთნე ხალხია, ისინი ესაზღვრებიან ჩვენ იმპერიას, ისინი ხან ჩვენი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, ხან კი ემეგობრებიან სპარსელებს — ჩვენ მტერს. მათი შფოთი და მტრული მოქმედება ჩვენ გვაიძულებს მივიღოთ მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები"[81].

ვფიქრობთ, რომ სულთანი აქ აშკარად აყალბებს ისტორიულ სინამდვილეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1548 წ. 26 ივნისს, როდესაც სულთანი ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ მიემგზავრებოდა, მასთან გამოცხადდნენ სამცხის ათაბაგის ელჩები, სულთანს მორჩილება გამოუცხადეს და სურსათ-სანოვაგე მიართვეს (იხ. ზემოთ). ასე რომ, სამცხე-საათაბაგოს, როგორც ოსმალეთის მოხარკე ქვეყანას, არ დაურღვევია მასზე ნაკისრი ვალდებულებანი და სულთანს იურიდიულად

---

[78] E. Charrière, op. cit. v. II, 95.,

[79] იქვე.

[80] იქვე, გვ. 96.

[81] J. Chesneau, op. cit., p. 264.,

არ ჰქონდა მიზეზი სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ. ლაშქრობისა. მგზრამ, როგორც ჩანს, ამ დროს სულთანს აღარ აკმაყოფილებდა სამცხე-საათაბაგოს მოხარკეობა და მიისწრაფოდა მისი ინკორპორაციისაკენ.

ამ ლაშქრობის შედეგად ოსმალებმა სამცხეში შემდეგი ციხე-ქალაქები დაიპყრეს: ფარნაკი (ბარაკანი)[82], ქიამხისი (კომ̇ისა)[83] ფანაკი (ბანაკი)[84], პერნაკი, ქუჩუკი, სამაღარი[85] და ახა[86]. აქ ჩამოთვლილ ციხეებიდან ზოგი ბრძოლით იქნა აღებული, ზოგი კი ოვითონ დანებდა მტერს. ზემოდასახელებული ადგილები ოსმალეთის იმპერიას შეუერთეს[87].

ოსმალების ამ აშკარა აგრესიას ქართველებმა აჯანყებით უპასუხეს. ი. ფეჩევის ცნობით: „ამ ხანებში (1549 წ.) საქართველოს ურჯულოები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ"[88]. ხოლო დანიშნული წერს, რომ ქართველებმა ოსმალების მიერ დაპყრობილი ციხეების განთავისუფლება სცადეს[89]. როდესაც სულთანმა შეიტყო ქართველების აჯანყების ამბავი, საქართველოში ლაშქრობა გადასწყვიტა[90].

ამგვარად, ქართველების ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, სამცხეში ოსმალთა ახალი ლაშქრობის მიზეზი გახდა.

1549 წლის 25 აგვისტოს ოსმალთა 40 000 ლაშქარი, რომელშიაც მონაწილეობდნენ იანიჩარები, საქართველოსაკენ დაიძრა. ამ ლაშქრობას სარდლობდა მეორე ვეზირი ახმედ ფაშა. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე არზრუმის, ყარამანის, ზულყადრიისა და სივასიის ბეგლარბეგები.

სექტემბრის დასაწყისში ოსმალთა ლაშქარი არზრუმში ჩავიდა, აქ საჭირო სურსათ-სანოვაგით მომარაგდა და 10 სექტემბერს სამცხე-საათაბაგოსაკენ გაემართა[91].

---

[82] ფარნაკი (ბარაკანი) იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", წ. III, გვ. 505, 568.

[83] ქიამხისი, იქვე, გვ. 558, 559.

[84] ფანაკი (ბანაკი), იქვე, გვ. 560.

[85] სამღარი, იქვე, გვ. 355, 413, 594.

[86] ახა, იქვე, გვ. 593—595.

[87] چوچی خیرلر, ტ. I, გვ. 280, 281; თარგმ., გვ. 27; I. H. Danişmend, op. cit., c. II, s. 260.

[88] J. Chesnaeu, op. cit., p. 264.

[89] چوچی خیرلر, ტ. I, გვ. 283; თარგმანი, გვ. 27.

[90] I. H. Danişmend, op. cit., c. II, s. 261.

[91] იქვე.

ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალებს, თუმცა ოსმალთა ლაშქარი რიცხობრივადაც ჭარბობდა ქართველებს და შეუდარებლად უკეთ იყო აღჭურვილი.

13 სექტემბერს ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ჯ. თორთუმის ციხე-სიმაგრეს. თორთუმი ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ციხე-სიმაგრე იყო სამცხე-საათაბაგოში. ოსმალებმა მას ზარბაზნები დაუშინეს. დღე და ღამე ზარბაზნების ცეცხლი არ ცხრებოდა. 20 სექტემბერს „დიდი ბრძოლით აღებულ იქნა თორთუმის ციხე“[92].

ოსმალებმა ამ ლაშქრობის შედეგად, სამცხე-საათაბაგოში, გარდა თორთუმისა, შემდეგი ციხეები და ადგილები დაიპყრეს. ნიხახი, ამირახორი, ახჩაყალა, ფანასკერტი, მეორე ახჩაყალა, თალხისა, ლივანა, დადელის მხარე და სხვ.[93]. ი. ფეჩევის ცნობით: „ხსენებულ მხარეში დატოვებული იქნა თხუთმეტი ციხე, დანარჩენები მიწასთან იქნა გასწორებული. შემდეგ თორთუმი, თალხისი, ახჩაყალა და ლივანას ხევი განსაზღვრული იქნა როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს“[94].

სულთან სულეიმანი საფრანგეთის მეფე ჰენრიჰ II-სადმი გაგზავნილ წერილში ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით წერს: „მოკლედ, ბატრისაგან დაპყრობილი 35 ციხიდან 14 მოთხრილ იქნა, დანარჩენ 21 ციხეში ჩაყენებულ იქნა გარნიზონი და სამხედრო მმართველი. ქვეყანა ორგანიზებულ იქნა საბეგლარბეგოდ და დაიყო 4 სანჯაყად და მთლიანად იგი შეერთებულ იქნა იმპერიასთან.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ჩვენ ტრიუმფალურად დავბრუნდით ჩვენს დედაქალაქში“[95].

აღსანიშნავია, რომ სულთანს საქართველოში მოპოვებული წარმატება გაზვიადებული აქვს. ოსმალებმა ილაშქრეს არა მთელი საქართველოს, არამედ მხოლოდ სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ და მათ დაიპყრეს არა მთლიანად სამცხე-საათაბაგო, არამედ მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილი. ჩვენთვის ამ ცნობიდან საყურადღებოა ის, რომ ოსმალებმა სამცხეს დაპყრობილ ტერიტორიაზე საბეგლარბეგო დააარსეს, იგი 4 სანჯაყად დაყვეს და ოსმალეთის იმპერიას შეუერთეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოსმალებმა საქართველოს დაპყრობილ ტერიტო-

---

[92] I. H. Danişmend, op. cit., c II, s. 261; იქვე, J. Chesneau, op. cit., p. 264.

[93] جوجی, جیار, ტ. I, გვ. 283, 4; თარგმანი, გვ. 27, 28; زاده صولاق جیار, გვ 156; I. H. Danış mend, op. cit., c. II, s. 262.

[94] جوجی, جیار, ტ. I, გვ. 284; თარგმანი, გვ. 28.

[95] J. Chesneau, op. cit., pp. 265, 266.



სურ. 1 თორთუმის ციხე

რიაზე თავიანთი მართვა-გამგეობისა და თავიანთი სოციალურ-ეკონომიური სისტემის დანერგვას შეუდგნენ და აქ არსებული ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გაუქმება დაიწყეს (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

დაბოლოს, ამ დოკუმენტიდან საკმაოდ კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სულთანი საქართველოს დაპყრობის საკითხს.

ოსმალეთის სულთნის ამგვარმა პოლიტიკამ, სამცხე-საათაბაგოს მიმართ, მნიშვნელოვნად დაასუსტა ათაბაგის ხელისუფლება და ჩამოაშორა მას ისეთი მომხრეც კი, როგორიც იყო ქაიხოსრო ათაბაგი. ქაიხოსრომ ნათლად დაინახა, რომ მისი ქვეყანა მეტად სერიოზული საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა[96] და საჭირო იყო ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების გზის ძიება. ცხადია, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ათაბაგის საუკეთესო მოკავშირეები იქნებოდნენ ქართლისა და იმერეთის მეფეები, მაგრამ მათზე დაყრდნობა ათაბაგს არ შეეძლო, რადგანაც „ლუარსაბ მეფე ქაიხოსრო ათაბაგის ღალატს ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა და საქართველოს მოსისხლე მტერთან მიმხრობას ვერ აპატიებდა"[97].

ამავე დროს ქაიხოსრო ათაბაგს ეშინოდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების აღმოსაჩენად მოსული ქართლისა თუ იმერეთის მეფე, მის სამფლობელოებს დაიპყრობდა და სამცხეს თავის სამეფოს დაუმორჩილებდა.

ასეთ ვითარებაში ქაიხოსრო ათაბაგი უახლოვდება ირანს და ცდილობს გამოიყენოს იგი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალეთისაგან განსხვავებით, ირანი ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად სამცხე-საათაბაგოს ინკორპორაციას. ირანის ასეთი პოლიტიკა სამცხეს მიმართ მისაღები იყო ქაიხოსრო ათაბაგისათვის და მან გაწყვიტა კავშირი ოსმალეთთან და ირანს დაუახლოვდა.

ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობაში ქაიხოსრო ათაბაგის დაახლოება შაჰისათვის მეტად ხელსაყრელი იყო. თავის მხრივ, ირანის შაჰს არაერთი შემთხვევაში ხელს არ აძლევდა სამცხე-საათაბაგოში ოსმა-

---

[96] მესხეთის მიმართ თურქეთი სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას ადგა, ვიდრე სხვა კუთხეების მიმართ. მესხეთში იგი ხარკითა და ათაბაგის ვასალური დამოკიდებულებით აღარ კმაყოფილდებოდა (ასეთ წარმატებას მან ჯერ კიდევ XV ს-ის 70-იან წლებში მიაღწია) და XVI ს-ის პირველი ნახევრიდან ახორციელებდა ამ მხარის სრულ ინკორპორაციის პოლიტიკას (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965, ტ. II, გვ. 38).

[97] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 250.

ლეთის გაბატონება, სამცხის სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის გამო (ამაზე დაწვრილებით ზემოთ გვქონდა საუბარი) და მიისწრაფოდა გადაექცია იგი ოსმალეთის წინააღმდეგ ჩრდილო-დასავლეთის ფლანგზე შეტევისა თუ დაცვის ფორპოსტად. მაგრამ ათაბაგის ირანთან დაახლოების პოლიტიკას სამცხეში ყველა როდი იზიარებდა. სამცხის ფეოდალების ერთი ნაწილი ქართლის სამეფოსთან დაახლოების მომხრე იყო და ზოგი მათგანი აშკარადაც კი გამოდიოდა ათაბაგის წინააღმდეგ. „თვით მესხეთში, წერს ივ. ჯავახიშვილი, მოწინავე წრეებში მესხ თავადთა შორის ქაიხოსრო ათაბაგის პოლიტიკური გეზის მოწინააღმდეგენი ბევრნი აღმოჩნდნენ, რომელნიც ლუარსაბ მეფის მიმართულებასა და ქცევას უფრო ემხრობოდნენ და მისდევდნენ კიდეც. ამის წყალობით გმირ ქართველ მეფეს თვით მესხეთში მომხრენი და ზურგის გამმაგრებელნი ჰყავდა“[98].

1551 წელს, როდესაც შაჰ-თამაზი შაქში იმყოფებოდა, ქაიხოსრო ათაბაგმა მასთან რამდენიმე აზნაური გაგზავნა და დახმარება ითხოვა[99].

1551 წელს შაჰ-თამაზი მრავალრიცხოვანი ლაშქრით სამცხეში მოვიდა[100] და მის დარბევას შეუდგა. ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ შემოსულ მტერს. მოსახლეობის ნაწილი ტყეებში გამაგრდა. შაჰმა მათ ჯარი მიუსია, მაგრამ ქართველები მტერს თავგამოდებით ებრძოდნენ და ამიტომაც სპარსელებს ყოველი გამარჯვება ძვირად უჯდებოდათ, ზოგი ციხე-სიმაგრე აიღეს სპარსელებმა, ზოგის აღება ვერასგზით ვერ შესძლეს. ამ შემოსევის დროს სპარსელებმა გაძარცვეს და გაანადგურეს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძვირფასი ძეგლი, როგორიცაა ვარძია[101].

ირანის ლაშქრის მოახლოვების გამო, ოსმალეთის ლაშქარმა არტანუჯს ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა.

სამცხიდან შაჰ-თამაზი ქართლისაკენ გაემართა, ქართლის სოფლები დაარბია და დასაზამთრებლად ყარაბაღში წავიდა.

ამ დროს შაჰის კარზე მოვიდა ქაიხოსრო ყვარყვარეს შვილი მრავალი ძღვენით, და შაჰმა მას უწყალობა თმოგვის ციხე აყ-შეჰირთან ერთად[102].

ამგვარად, ქაიხოსრო ათაბაგმა, შაჰ-თამაზის დახმარებით, სამცხე-

---

[98] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 251.

[99] ჰ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ, გვ. 28, 29.

[100] ჰ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ, გვ. 28; Iskender Mounchi, pp. 448—449.

[101] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 252; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1965, ტ. II, გვ. 199—202.

[102] ჰ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ, გვ. 31; Iskender Mounchi, p. 450.

ში თავისი მოწინააღმდეგენი გაანადგურა, ოსმალთა შემოსევის საფრთხე თავიდან აიცილა და ამით გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა. მაგრამ ქაიხოსრო ათაბაგის ეს წარმატება უფრო მეტად პიროსის გამარჯვებას წააგავდა, ვიდრე მისი პოლიტიკის წარმატებით დასრულებას. შაჰ-თამაზის ამ შემოსევის შედეგად ქვეყანა საშინლად იქნა აოხრებული და გაძარცული. ამის შემდეგ იგი არასოდეს წელში აღარ გამართულა. ირანსა და ოსმალეთს შორის ბალანსირების პოლიტიკა არარეალური და დამღუპველი აღმოჩნდა სამცხისათვის.

1551 წლიდან შაჰ-თამაზის ლაშქარი ოსმალეთის წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით შეტევაზე გადავიდა[103].

ქაიხოსრო ათაბაგმა ირანის ლაშქრის დახმარებით ოსმალებს შეუტია, დად ელისაკენ გაემართა და ორი-სამი ციხე დაიპყრო[104].

თვით შაჰ-თამაზი სომხეთისაკენ წავიდა, ერჭიშს ალყა შემოარტყა და აიღო იგი. შემდეგ ადილჯევაზისაკენ გაემართა. ირანელებმა აიღეს აგრეთვე ხლათი. შემდგომ ირანელებმა ყარსსა და არზრუმს შეუტიეს. ამასთან დაკავშირებით შაჰი მოგვითხრობს: „ისმაილ მირზა შვიდი ათასი კაცით ყარსის ციხეზე გავგზავნეთ, რომ წასულიყო და ყარსის მოსახლეობა ამოეწყვიტა, დაერბია და იქიდან (ამავე მიზნით) არზრუმს წასულიყო". შაჰი აქვე კმაყოფილებით შენიშნავს: „ამირებმა არზრუმი მოითარეშეს და ჩემთან მოვიდნენო"[105].

ეს ამბავი ქართულ წყაროებშიაც არის აღწერილი: „მაშინ ყაენმან შაჰ-თამაზ შეიყარა სიმრავლენი სპათანი, და წარმოდგა, და მოვიდა არტანს. მაშინ გაგზავნა შაჰ-თამაზ ძე თჳსი მირზა ისმაილ კარს (ყარსი — მ. ს.), და დაიპყრა კარი, აღიღო ციხენი და სიმაგრენი, და რომელნი იყვნეს ყმანი ხვანთქრისანი მოსრნა პირითა მახჳლისათა, და განსდევნნა იგინი, და თჳთ დაიპყრა კარი"[106].

ამგვარად, შაჰ-თამაზი ოსმალების წინააღმდეგ მთელი ფრონტით შეტევაზე გადავიდა. ირანელთა ლაშქარმა ოსმალებს ორი მთავარი მიმართულებით შეუტია: ჩრდილო-დასავლეთიდან (სამცხე-საათაბაგო-

---

[103] ჰასან რუმლუ, გვ. 31, 32.

[104] იქვე.

[105] კ. ტაბატაძე, ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო (შაჰ-თამაზ 1-ის „თეზკერეს" მიხედვით), გვ. 234; ირანელთა შეტევის შესახებ დაწვრილებით იხ. აგრეთვე Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 900, 901; I. H. Danişmend, op. cit., c. II, s. 265—267.

[106] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 505, 364. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ქართულ წყაროებში ზემოთ აღწერილი ამბავი არასწორადაა დათარიღებული. მაგალითად, ე. წ. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში იგი 1556 წლითაა დათარიღებული, ხოლო ბერი ეგნატაშვილი კი ამ ამბავს 1546 და 1556 წლებს შორის მოგვითხრობს.

დან) და დასავლეთიდან (ჩრდილოეთ სომხეთიდან). ამ მიმართულებებით ირანელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და ოსმალებს მთელი რიგი ციხე-ქალაქები წაართვეს. ირანელთა წარმატებებმა საფრთხის ქვეშ დააყენა ოსმალთა მდგომარეობა ქვეყნის ამ რაიონში.

სულეიმან I ქ. ადრიანოპოლში იმყოფებოდა, როდესაც მან იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე ქართველებისა და ირანელების თავდასხმის ამბავი შეიტყო. სულთანი სასწრაფოდ დედაქალაქში დაბრუნდა და საგანგებო ზომები მიიღო. სულეიმანმა გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა მოეწყო და პირადად ჩასდგომოდა მას სათავეში. ეს იყო სულთან სულეიმანის ირანის წინააღმდეგ მესამე ლაშქრობა, რომელშიც იგი პირადად იღებდა მონაწილეობას[107].

1553 წლის 28 აგვისტოს სულეიმანმა სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. 8 ნოემბერს სულთანი ალეპოში ჩავიდა. ზამთრის მოახლოების გამო, მან ლაშქრობა მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადადო და ზამთარი იქ გაატარა.

ამავე დროს სულთანმა გადასწყვიტა ირანისათვის ჩრდილოეთიდანაც დაერტყა და ამ მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის გზა გამოეყენებინა. მოიპოვება ცნობა, რომ 961 (1553/4 წელს) სულთან სულეიმანმა კაზიმ-მირზა, შირვანის გამგებელთა გვარიდან, ოსმალთა ლაშქრითურთ, ჯაფასა და დარუბანდის გაელით, შირვანში გაგზავნა. კაზიმ-მირზას რაზმში იყვნენ იანიჩარები და მხედრები, ხოლო მისი რაზმის საერთო რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა შირვანში გამართულ ბრძოლებში, ითვლიდა 10 000 თურეს; იანიჩარსა და შირვანელს[108].

ჩრდილოეთ-კავკასიის გზით სულთანი აგრეთვე უკავშირდება შუა აზიის გამგებლებს და ცდილობს გამოიყენოს ისინი ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად[109].

1554 წლის 9 აპრილს სულეიმანმა დატოვა ალეპო და დიარბექირისაკენ გაემართა, სადაც 12 მაისს ჩავიდა. 15 მაისს სულთანმა სამხედრო საბჭო მოიწვია, რომელზედაც განხილულ იქნა ირანთან ომის წარმოების გეგმა. 20 მაისს სულთანმა დიარბეკირი დატოვა და ივლისის დამდეგს არზრუმში ჩავიდა, ხოლო იქიდან ოსმალეთის ლაშქარი ირანის საზღვრისაკენ გაემართა.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამჯერად როცა სულთანი ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ მიემგზავრებოდა, მასთან აღარ გა-

---

[107] Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 900.

[108] Hasan-i Rumlu, p. 142.

[109] J. Hammer, v. VII, pp. 103—104.

მოცხადდნენ სამცხე-საათაბაგოს წარმომადგენლები მორჩილების გამოცხადებისა და ოსმალთა ლაშქრისათვის სურსათ-სანოვაგის მირთმევისათვის. ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, სულთანი აიძულა თვითონ გამოეჩინა ინიციატივა და მან სამცხის ათაბაგთან ელჩი გაგზავნა. ამასთან დაკავშირებით მოიპოვება ცნობა კონსტანტინოპოლში მყოფი რომის პაპის ელჩისა. მისი გადმოცემით, კაცმა, რომელიც გაგზავნილი იყო იმ მიზნით, რათა სულთნის სახელით, მორჩილებაში მოეყვანა ქართველები, მიაღწია, რასაც ესწრაფოდა, მაგრამ ბრუნდებოდა რა უკან, მას თავს დაესხა 40 უცნობი, რომლებმაც მოკლეს იგი, მაგრამ მხლებლებისათვის ხელი არ უხლიათ. წაიღეს მხოლოდ წერილი, რომელიც ქართველმა მთავარმა (Prince Georgian) სულთანს გაუგზავნა. სულთანმა, როდესაც შეიტყო ეს ამბავი, დაეჭვდა ქართველების ლოიალობაში და ეჭვი მიიტანა, რომ ქართველები აპირებდნენ თავს დასხმოდნენ ოსმალთა დამხმარე რაზმს, რომელსაც ანატოლიიდან ოსმალთა ლაშქრისათვის სურსათ-სანოვაგე მიჰქონდა[110].

მართალია, ამ ცნობიდან არ ჩანს, თუ საქართველოს რომელი სამეფო-სამთავროს გამგებელთან გაგზავნა სულთანმა თავისი ელჩი, მაგრამ ის გარემოება, რომ სულთნის ელჩი ქართველ მთავრისაგან მოითხოვდა მორჩილებას, იმაზე მიუთითებს, რომ მორჩილების ობიექტი სამცხე-საათაბაგო უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოს სამეფო სამთავროებს შორის მხოლოდ სამცხე-საათაბაგო ითვლებოდა ოსმალეთის მოხარკე ქვეყნად და, ცხადია, სულთანიც ირანთან ლაშქრობის დროს მორჩილებას მისგან მოითხოვდა.

საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ სულთანი სამცხე-საათაბაგოსგან ამჯერად არ მოითხოვდა სურსათ-სანოვაგის მიწოდებას. ცხადია, სულთნისათვის ცნობილი იყო სამცხის ათაბაგის ირანთან დაახლოება; შექმნილ ვითარებაში მისი მთავარი ამოცანა იყო ჩამოეშორებინა ათაბაგი შაჰისაგან და უზრუნველეყო ოსმალეთის ლაშქრის უშიშროება სამცხე-საათაბაგოს მხრიდან. მაგრამ სულთანი არ იყო დარწმუნებული ათაბაგის ლოიალობაში და გადაწყვიტა გარკვეული ზომები მიეღო ამის მისაღწევად. იმავე ავტორის ცნობით: ამ მიზნით სულთანმა ქართველთა ქვეყანაში გაგზავნა ბეგლარბეგი მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ჯარით. მათ დავალებული ჰქონდათ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დაეცვათ ქვეყანაში წესრიგი და თავიანთი იქ ყოფნით აეცილებინათ ოსმალეთის ლაშქარზე შესაძლო თავდასხმა[111].

ამ ცნობიდან არ ჩანს, თუ, სახელდობრ, ოსმალთა ლაშქარმა სამ-

---

[110] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. 1, p. 38.

[111] იქვე.

ცხის რა ადგილები დაიკავა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სამცხეში შექმნილ ვითარებას, ანტიოსმალური განწყობილების უკიდურესად გამწვავებას ქართველთა შორის, უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალები ამჯერად არ შეუდგებოდნენ ახალი ტერიტორიის დაპყრობას და დაკმაყოფილდებოდნენ იმით, რომ თავის გარნიზონებს ჩააყენებდნენ მათ მიერ ადრე დაპყრობილ ციხე-სიმაგრეებში. მათ ებრძანათ არ დაერბიათ და ზიანი არ მიეყენებიათ ქართველებისათვის. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ სულთანი საათაბაგოს მიმართ აშკარად აღარ ამჟღავნებდა თავის დაპყრობით პოლიტიკას და მისი ლოიალობით კმაყოფილდებოდა.

საათაბაგოში ოსმალთა ლაშქრის ჩაყენებით, სულთანი არა მარტო თავიდან იცილებდა ქართველების შესაძლო გამოსვლას ოსმალთა წინააღმდეგ, არამედ ამით აგრეთვე ირანის შაჰს საშუალებას უსპობდა ამ მხრიდან ოსმალთა წინააღმდეგ შემოეტია.

ოსმალეთის ლაშქარი სწრაფად მიიწევდა წინ, ირანელები, ფაქტიურად, არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ მტერს, უკან იხევდნენ და გზადაგზა ანადგურებდნენ ყველაფერს.

18 ივლისს ოსმალთა ლაშქარმა ერევანი აიღო. ერევანი და მისი მიდამოები ოსმალებმა საშინლად გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს. 14 ივლისს ოსმალთა ლაშქარი მდ. არფაჩაისთან მივიდა, შემდგომ მან მდ. არაქსი გადალახა და ყარაბახში შეიჭრა, აქედან — ნახიჭევანში, რომელიც 28 ივლისს აიღო. როდესაც სულეიმანი ნახიჭევანში ჩავიდა, იგი მთლიანად დაცარიელებული იყო, ყველაფერი წაეღოთ და მხოლოდ სახლები დარჩენილიყო და ისიც უმეტესად დანგრეული. რის წაღება და განადგურება ირანელებმა ვერ მოასწრეს, იმას ოსმალები მისდგნენ. ოსმალები კიდევ უფრო სასტიკად მოიქცნენ: ქალაქები თუ სოფლები სასტიკად ააოხრეს და მიწასთან გაასწორეს[112].

მართალია, სულეიმანმა ირანის წინააღმდეგ ომში გარკვეულ გამარჯვებებს მიაღწია, მან ხელთ იგდო ირანის სამფლობელოების დიდი ნაწილი, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ტაქტიკური წარმატება იყო, რადგან მან ვერ შესძლო ირანის მთავარი სამხედრო ძალების განადგურება.

ნახიჭევანში ყოფნისას, ოსმალეთის ლაშქრის რიგები დღითიდღე მცირდებოდა, რადგან ჯარისკაცებს შორის გაჩნდა ავადმყოფობა და მწვავედ იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის, ფურაჟის და სხვათა ნაკლებობა, ზამთარი კი კარზე იყო მომდგარი. ასეთ ვითარებაში სულთანმა გადასწყვიტა უკან დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში. სწორედ ამ დროს სულეიმანს აცნობეს, რომ შაჰ-თამაზის შვილი, ისმაილი, ქართ-

[112] ცოტნე ბერძენიშვილი, ტ. I, გვ. 312, 314. თარგმანი, გვ. 29, 30.

ველების დიდი რაზმით თავს დაესხა ოსმალთა დამხმარე რაზმს, რომელსაც 3000 აჭლემზე დატვირთული სურსათ-სანოვაგე მოჰქონდა სულთნის ლაშქრისათვის და გაანადგურა იგი. ეს იყო მეტად შემაშფოთებელი ცნობა ოსმალებისათვის, რადგან ისინი ველარ აღიდგენდნენ შიმშილისაგან გამოფიტულ ძალებს. ამ ამბის გაგებისას, სულთანი ისეთმა რისხვამ შეიპყრო, რომ მან დააპირა მიებრუნებინა უკან რაზმები და პირდაპირ წასულიყო ქართველთა ქვეყნისაკენ. სულეიმანს არაფერი აკავებდა გარდა მოახლოებული ზამთრისა, რომელიც ამ მხარეში, ჩვეულებრივ, ძალიან მკაცრია. ასე რომ მან უმჯობესად ჩათვალა გაზამთრებლად ანატოლიაში დაბრუნება, ხოლო ქართველებზე შურისძიება მომავალი წლისათვის გადადო[113].

ნახიჭევანიდან სულთანმა ლაშქარი ლორესაკენ დაძრა, სადაც შაჰთამაზი იყო გამაგრებული. ლორეს მიდამოებიც მან ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა. მიუხედავად ამისა, სულეიმანმა ვერ შესძლო შაჰის დამარცხება და უკან გაბრუნდა.

ქართული და თურქულ-სპარსული წყაროებიდან არ ჩანს, რომ შაჰს რეალური წინააღმდეგობა გაეწიოს ოსმალთა ლაშქრისათვის და შეეჩერებინოს მისი წინსვლა; შაჰ-თამაზის საომარ მოქმედებას რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ იგი სულ უკან და უკან იხევს. სომხეთს და აზერბაიჯანს უბრძოლველად ტოვებს და სულეიმანის ლაშქარს აქ თარეშის სრულ თავისუფლებას აძლევს. საწინააღმდეგოდ ამისა, შაჰი ამაგრებს პოზიციას საქართველოში და ამ გზას უკეტავს თურქებს. შაჰ-თამაზი ლორეში გამაგრდა. ი. ფეჩევის აზრით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ლორე „ძნელად გადასასვლელი მთის ვიწრო გზაა“[114] და აქ შაჰი შედარებით ადვილად შესძლებდა თავის დაცვას ოსმალთა შეტევისაგან. საფიქრებელია, რომ შაჰმა არა მარტო თავდაცვის მიზნით მიაშურა ლორეს, არამედ იმიტომ, რომ სამხრეთიდან ქართლში შემოსასვლელი გზა ჩაეკეტა. ქართლში შაჰის მოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სულთნის საბრძოლო ოპერაციებთან. მას შემდეგ რაც სულეიმანმა დასტოვა განჯა-ყარაბახი და სომხეთის გავლით არზრუმისაკენ გაემართა, შაჰ-თამაზი კონტრშეტევაზე გადავიდა.

შაჰ-თამაზმა შაჰვერდი ბასიანში გაგზავნა, რომელიც მან სულთნის მისვლამდე დაარბია. სპარსელებმა დალაშქრეს აგრეთვე დიდ ელის მხარე და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. შაჰმა ლაშქარი გაგზავნა აგრეთვე ოლთისისაკენ. სპარსელები იქ შეებრძოლენ სინან-ბეგს. მრა-

---

[113] A Chonicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 40.

[114] روضة الصفا, ტ. I, გვ. 314, 315; თარგმანი, გვ. 30.

ვალი თურქი მოკლეს, ხოლო სინან-ბეგი დაატყვევეს და შაჰ-თამაზთან გაგზავნეს[115].

შაჰ-თამაზი ამ ამბავს „თეზკერეში“ შემდეგნაირად მოგვითხრობს: „ამის შემდეგ ჯარი გავგზავნე, რომ სინან-ბეგი მოეყვანათ, რომელიც ყურთის ციხეში იყო ბლოკირებული, იგი შაჰ-ყული აღას გავაყოლე, ზავის თაობაზე დიდებულ ხონთკარს წერილი მივწერე და გავატანე. ვწერდი, რომ, მართალია, დიდებულმა ხონთქარმა ჩემს მიმართ სიავე ჩაიდინა, მაგრამ ჩვენ სამაგიეროს სიკეთით ვუხდით და ზავს ვიღებთ მეთქი...

ელჩები რომ გავისტუმრე, თვითონ ლუარსაბის გურჯისტანზე გავილაშქრეთ“...[116].

შაჰ-თამაზი ლორედან დაიძრა და ლუარსაბის წინააღმდეგ საბრძოლველად საბარათიანოში შემოვიდა. იქიდან შაჰი ქართლში გადმოვიდა და გორი აიღო, შემდეგ ატენის ციხეს ალყა შემოარტყა და მოღალატე ქართველების დახმარებით იგი ხელთ იგდო. ატენის ციხის აღების შემდეგ, შაჰმა ლუარსაბის დედა და მრავალი ქართველი აზნაური დაატყვევა. ლუარსაბ მეფემ იმერეთს შეაფარა თავი. იმერეთში შესვლა შაჰმა ვერ გაბედა და ლტოლვილი მეფე გადაურჩა შაჰის ძალადობას.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შაჰი ქართლსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალებთან ბრძოლაში და როგორ ცდილობდა იგი საქართველოს ამ ნაწილში თავისი გავლენის გაძლიერებას, ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების წინ. შაჰს კარგად ესმოდა, რომ საზავო მოლაპარაკების დრო საქართველოს საკითხი უმნიშვნელოვანესთაგანი იქნებოდა და მისი გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა საზავო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას.

სექტემბრის დამდეგს სულთანი არზრუმში ჩავიდა. 3 სექტემბერს სულთანს აცნობეს საქართველოში შაჰის ლაშქრობის ამბავი. სულეიმანმა სასწრაფოდ შეკრიბა დიდძალი ჯარი; გამოიყო 4 000 იანიჩარი, რუმელიის, ანატოლიისა და ყარამანიის საბეგლარბეგოების ლაშქარი და მის სარდლად დაინიშნა დიდი ვეზირი ახმედ ფაშა[117].

9 სექტემბერს, როდესაც ოსმალეთის ლაშქარმა ოლთისს მიაღწია,

---

[115] Hasan-i Roumlu, p. 168.

[116] კ. ტაბატაძე, შაჰ-თამაზ 1-ის „თეზკერე“, როგორც წყარო ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისათვის (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1954, გვ. 166.

[117] I. H. Danişmend, op. cit., c. 11, s. 293; Mufassal Osmanlı Tarihi, c. 11, s 906.

აჰმედ ფაშამ შეიტყო, რომ სპარსელებმა ოსმალებთან ბრძოლას თავი აარიდეს და უკან გაბრუნდნენ[118].

21 სექტემბერს აჰმედ ფაშას ლაშქარი არზრუმში დაბრუნდა და სულთნის ჯარს შეუერთდა.

ამ დროს სულეიმანთან შაჰ-თამაზის ელჩი მივიდა და მას ზავი სთხოვა[119].

ამის გამო საყურადღებო ცნობას ვპოულობთ კარმელიტების არქივში.

შაჰის ელჩმა შთააგონა სულთანს, როგორც მუსლიმანს არ ჩაედინა ბოროტება სხვა მუსლიმანთა მიმართ, რადგან ეს მათი რჯულის საწინააღმდეგო იქნებოდა. მან ეს ისე მოხდენილად უთხრა სპარსულად, რომელიც სულთანმა შესანიშნავად იცოდა, რომ სულთანს ცრემლები მოადგა თვალებზე. თავისი სიტყვის ბოლოს იგი შეეცედრა სულეიმანს დაედო ზავი შაჰ-თამაზთან. ეს ვედრება იყო ისეთი მხურვალე, რომ სულეიმანი შეიპყრო სურვილმა იგი შეესრულებინა. მოხუცმა კაცმა (სპარსეთის ელჩმა — მ. ს.) უთხრა, რომ აქ მოსვლამდე იგი იყო შაჰ-თამაზთან და შეიტყო, რომ სპარსეთის მეფეს სურდა ზავის დადება, თუკი სპარსეთის ავტორიტეტი არ შეილახებოდა. მაგრამ სულთანს ოსმალეთის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის საჭიროდ მიაჩნდა ხელშეკრულებაში რამდენიმე მუხლის შეტანა, რომლითაც შაჰის ავტორიტეტი შელახული იქნებოდა. ბოლოს, შეთანხმდნენ, რომ ზავი დაიდებოდა იმ პირობით, რომ თითოეული მონარქი დაბრუნდებოდა იმ სამფლობელოებში, რომლებსაც ისინი ფლობდნენ ლაშქრობის დასაწყისში, ისე რომ ზავით დაქვემდებარებული და ხარკის გადამხდელი ქვეყანა ხელყოფილი არ იქნებოდა მეორის მიერ. ამრიგად, სულეიმანმა პირობა მისცა მოხუც სპარსელს, რომ არც ამჟამად და არც ზავის დადების შემდეგ, ქართველებს არავითარ ზიანს არ მიაყენებდა[120].

ამ ცნობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ირანის ელჩმა, სულეიმანთან საზავო მოლაპარაკებისას მას პირობა ჩამოართვა, რომ იგი არავითარ ზიანს არ მიაყენებდა ქართველებს. ამრიგად, შაჰი საქართველოს განიხილავდა, როგორც სპარსეთის მოხარკე ქვეყანას და ოსმალეთის ჩარევას ამ ქვეყნის საქმეებში დაუშვებლად თვლიდა.

ამრიგად, საქართველოს საკითხი ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში

---

[118] I. Danişmend, op cit., c II, s 293; Mufissal Osmanli Tarihi, c. II, s. 306.

[119] იქვე.

[120] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 40.

მეტად მწვავედ იყო დასმული. ერთი მხრით, ირანი და ოსმალეთი შეიარაღებული ძალებით თავს ესხმიან მას და არბევენ საქართველოს ქალაქებსა და ციხეებს, ხოლო, მეორე მხრით, ორივე მებრძოლი ქვეყნის მეთაურები ცდილობენ დიპლომატიურ შესაძლებლობათა გამოყენებას საქართველოში თავისი გავლენის გასაძლიერებლად. „როდესაც სულეიმანმა და სპარსეთის ელჩმა საზავო მოლაპარაკებისას გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს, მოხუცი სპარსელი დაპირდა, რომ ერთი თვის შემდეგ შაჰ-თამაზი გაგზავნიდა სულთანთან ელჩს, ზავის დადების რწმუნებით“[121].

28 სექტემბერს სულეიმანმა დატოვა არზრუმი და ქ. ამასიისაკენ გაემართა, სადაც 30 ოქტომბერს ჩავიდა და ზამთარი იქ გაატარა.

სულთნის ამ ნაბიჯმა დააფიქრა სპარსელები, მათ დაებადათ ეჭვი, რომ ამასიაში დაბანაკებას მოყვებოდა საომარი მოქმედების განახლება გაზაფხულზე. ამ ეჭვს შემდეგი საფუძველი ჰქონდა: ჩვეულებრივ, როდესაც სულთანი საომარი მოქმედების შემდეგ დედაქალაქში არ ბრუნდებოდა და დასაზამთრებლად ანატოლიის რომელიმე ქალაქში რჩებოდა, ასეთ შემთხვევაში, მომავალი წლის გაზაფხულისათვის იგი აახლებდა საომარ მოქმედებას. ასე მოხდა, მაგალითად, 1534—1535 და 1548—1549 წლების ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში.

ამავე დროს, შაჰ-თამაზის ლაშქრობამ ქართლში ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ და სამცხე-საათაბაგოში მდგომ ოსმალთა გარნიზონებზე სპარსელთა თავდასხმამ კიდევ უფრო გაამწვავა ირან-ოსმალეთის ურთიერთობა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მომავალი წლის გაზაფხულისათვის სულთანი განაახლებდა საომარ ოპერაციებს ირანის წინააღმდეგ და ამ ომში მთავარი საკითხი, ისევე როგორც 1549 წელს, საქართველო იქნებოდა. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ შაჰ-თამაზისაგან ლტოლვილმა ქართლის მეფემ იმერეთს შეაფარა თავი და იმერეთის მეფე ბაგრატ III, ირანის შაჰის მუქარის გამო, დახმარებისათვის სულთან სულეიმანს მიმართა, მაშინ სპარსელებს ეს ეჭვი კიდევ უფრო რეალურად უნდა ჩვენებოდა. ამიტომ ირანის შაჰის კარზე არ ჩქარობდნენ სულეიმანთან ელჩის გაგზავნას და სცადეს არაოფიციალური მოლაპარაკების გზით (უფრო დაბალ დონეზე) წინასწარ მოესინჯათ ნიადაგი ამ საკითხის გამოსარკვევად.

ამასთან დაკავშირებით მოიპოვება მეტად საყურადღებო დოკუმენტი. ესაა შაჰ-თამაზის დიდმოხელეების სევინდუქ ბეგისა და უსტაჯლუ

---

[121] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 40.

შაჰ-ყულუ ბენ ჰამზას მიერ გავლენიანი თურქი მოხელის არზრუმის ბეგლარბეგის აიას ფაშასადმი გაგზავნილი წერილი[122].

მართალია, ეს წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ მისი შინაარსის მიხედვით ლ. ფეკეტე ვარაუდობს, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1554 წლის აგვისტოს შემდეგ[123].

ჩვენი დაკვირვებით, ეს წერილი შედგენილი უნდა იყოს ცოტათი უფრო გვიან, სულეიმანის ამასიაში ჩასვლის, ე. ი. 1554 წ. 30 ოქტომბრის შემდეგ, რადგან წერილში საუბარია, რომ სულეიმანი ამასიაში დასაზამთრებლად ჩავიდა[124].

სევინდუკ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბენ ჰამზას წერილი არ წარმოადგენს ამბების ჩვეულებრივ თხრობას ან თავაზიან მოკითხვას, ესაა სერიოზულ ტონში დაწერილი დიპლომატიური ნოტა, რომლის მიზანი იყო ომის (1554—1555) ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპზე შეექმნა ხამშვილდობო განწყობილება ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხების გადასაწყვეტად[125]. წერილის ძირითად არსს შეადგენს საქართველოს საკითხი. ხოლო მეორეხარისხოვანი პრობლემა, ე. ი. გაქცეული თავადების საქმე, წარმოადგენს საქართველოს საკითხის დაქვემდებარებულ ნაწილს[126].

წერილში საუბარია 1554 წლის ზაფხულში შაჰ-თამაზის ლაშქრობის შესახებ ქართლში ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ. წერილის ავტორები მოითხოვენ მოისპოს ისეთი ვითარება, რომელიც ქართლისა და იმერეთის მეფეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ორი მეტოქე მუსლიმანური სახელმწიფოს უთანხმოებითა და წინააღმდეგობით და ჩამოაგდონ შუღლი მაჰმადიან სახელმწიფოთა შორის. ისინი უმტკიცებენ ოსმალებს, რომ ქართველები „ისლამის მტრები არიან“ და რომ მათ გამო მუსლიმანურმა ხალხებმა „არ უნდა დახოცონ ერთმანეთი“[127].

---

[122] ეს წერილი აღმოაჩინა თურქეთის არქივში ცნობილმა უნგრელმა ორიენტალისტმა ლ. ფეკეტემ.

L. F e k e t e, Zur Geschichte der Grusiner des 16. Jahrhunderts, Acta Orient. Hung. t. I, fasc. 1, 1950, S. 93—133.

[123] იქვე.

[124] იქვე.

[125] წერილი ეხება სამ საკითხს: ორს მოკლედ, ერთს — ვრცლად. მოკლედ განხილულ საკითხებში მსჯელობაა მებრძოლ მხარეთა დინასტიების წარმომადგენელთა ღალატზე, თავადების გაქცევაზე, მეორეში — ჯარებისა და მეფეების მოახლოებულ დაზამთრებაზე. წერილში უფრო ვრცლადაა განხილული საქართველოს საკითხი (L. Fekete, op. cit., p. 132..

[126] იქვე.

[127] იქვე.

როგორც ჩანს, ამ წერილმა გარკვეული ნაყოფი გამოიღო სულთანთან საზავო მოლაპარაკებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში.

1555 წლის მარტში ამასიაში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი[128] ფერუჯ ზადე ბეგი, რომელსაც შაჰისაგან მიცემული ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დადების რწმუნება.

სპარსეთის ელჩმა სულთან სულეიმანს ძვირფასი საჩუქრები მიართვა. საჩუქართა შორის იყო ძალიან ლამაზი კარავი, ოქროთი, ძვირფასი თვლებითა და აბრეშუმით ნაკეთები[129].

ირანთან ომის ამ ეტაპზე სულთან სულეიმანს მობეზრდა ძნელი და წარუმატებელი ლაშქრობანი ირანის წინააღმდეგ, იგი სიამოვნებით იხსენებდა ევროპაში მოპოვებულ გამარჯვებებს .ამიტომ, როდესაც ამასიაში მყოფ სულეიმანს ეწვია ჰაბსბურგთა იმპერატორის ფერდინანდის ელჩი ბუსბეკი, მან ადვილად გადაწყვიტა დაემთავრებინა საზავო მოლაპარაკება სპარსელებთან. სულეიმანის კარზე აღმოსავლურმა პოლიტიკამ დაკარგა აქტუალობა და „გურჯისტანის საკითხი" აღარ წარმოადგენდა მნიშვნელოვან „სახელმწიფო საკითხს"[130].

ამასთანავე, ამასიაში მყოფი საფრანგეთის ელჩი, თავის მხრივ, მოუწოდებდა სულთანს დაედო ზავი ირანთან, რადგან ამის შემდეგ ოსმალეთს საშუალება მიეცემოდა შეეტია საფრანგეთისადმი მტრულად განწყობილი ევროპის ქვეყნებისათვის, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

1555 წლის 29 მაისს, ამასიაში, საფრანგეთის ელჩის ჩარევით, ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო[131].

ამასიის ზავით დამთავრდა ოსმალეთ-ირანის პირველი ომი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ზავში აისახა ომის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში.

ჩვენთვის საყურადღებოა ამ ხელშეკრულების ის ადგილები, რომლებიც ამიერკავკასიის ქვეყნებსა და, კერძოდ, საქართველოს შეეხება. ამ ზავის პირობები ასახულია ქართულ წყაროებშიაც. ამასთან დაკავშირებით ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „მაშინ გაუგზავნა კაცი სულტანსა ოსმალისასა და მიუწერა ესრეთ": „ვყოთ მშვდობა ურთიერთას, რამეთუ სჯულითა ვართ მო-

---

[128] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 40.

[129] იქვე.

[130] L. Fekete, op. cit., p. 132.

[131] E. Charrière, Negotiations..., v. 11, p. 285.

სავნე მაჰმადისანი“, რამეთუ მაშინ ბრძოლა იყო მათ შორის. უსმინა სულტანმან და შერიგდენ. მაშინ განუყვეს ქუეყანანი და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა, ღო კარი საზღვრამდე აბოცისა და ერევნისა, სომხითი... ვიდრე ბაღდადამდე. ხოლო შაჰ-თამაზს დაუგდო ქართლი, კახეთი, ერევანი და ქურთისტანს აქათი. და მშვდობა ჰყვეს ურთიერთას“[132].

ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის შეფასებით, ყაენმა და ხონთქარმა „საქართველოს მეფეთ უნებურათ და შეუკითხავად საქართველო გაიყვეს“[133]. მისივე გადმოცემით, ოსმალეთ-ირანის ზავის პირობებს მხოლოდ ქართლის მეფე ლუარსაბ I არ სცნობდა სავალდებულოდ: „ამ გაყოფის სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს. მაგრამ მეფე ლუარსაბ არ სჯერიყო და კიდეც თაკილობდა, ამისათვის უფრო ურჩობდეს და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს“[134].

სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, ოსმალეთმა და ირანმა საქართველო შემდეგნაირად გაინაწილეს: მესხეთი, ქართლი და კახეთი ირანს ერგო, სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი, იმერეთი, ოდიში, გურია და ლაზის ქვეყანა ტრაპიზონისა და ტირიბულის საზღვრამდე — ოსმალეთს[135].

„ირან-ოსმალეთის 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების მთავარი დიპლომატიური ფორმულა იყო: ირანი სცნობს ოსმალეთის უფლებას დას. საქართველოზე, ოსმალეთი სცნობს ირანის უფლებას აღმ. საქართველოზე, ხოლო მესხეთი გავლენის სფეროებადაა განაწილებული“[136].

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას და აღრმავებდა მის პოლიტიკურ დაშლილობას.

---

[132] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 371, შდრ. 517; ჩვენ სავსებით ვიზიარებთ დოც. ვ. ჩოჩიევის აზრს იმის შესახებ, რომ ბერი ეგნატაშვილის მიერ ზემოთ მოტანილი ციტატ შეეხება არა 1576 წლის ამბებს, არამედ 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავს. ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, შაჰ-თამაზის შემოსვლისა და ერან-ოსმალეთის დაზავების თაოიღის გამო. სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1953, გვ. 35—100.

[133] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 215.

[134] იქვე

[135] Iskender Mounchi, p. 450.

[136] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 68, 69; მისივე, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 68, 69; ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, ირან-ოსმალეთის 1639 წ. ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 335, 336.

„ვიდრე თურქეთი და ირანი იცავდნენ 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობებს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ სამეფოებს არ უნდა ჰქონოდათ დახმარების იმედი ამ მოქიშპე სახელმწიფოებისაგან; ისინი მთლიანად დამოკიდებული რჩებოდნენ საკუთარ სუსტ ძალებზე“[137].

ცხადია, ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ართულებდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას.

2. 1555 წლის ამასიის ზავი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

ამასიის ზავის პირობები განსაკუთრებით მძიმე იყო სამცხე-საათაბაგოსათვის, რომელიც ორ დამპყრობელს შორის იქნა დანაწილებული. ტაო და შავშეთ-კლარჯეთი ოსმალეთს ერგო, ხოლო სამცხე — ირანს. სამცხე-საათაბაგოს ასეთი დანაწილება აიხსნება ირან-ოსმალეთის ინტერესების შეჯახებით, არც ერთს არ სურდა მიეცა შესაძლებლობა მეორე მხარისათვის მტკიცედ მოეკიდა ფეხი საათაბაგოში, რომელსაც ორივე მეტოქე სახელმწიფო განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგრამ სამცხის დაპყრობას ოსმალეთისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქედან მას გზა ეხსნებოდა ქართლ-კახეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შესაჭრელად.

ირანთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა მთელი ყურადღება გადაეტანა დაპყრობილი ქვეყნის გაოსმალებაზე, რათა აქ მტკიცედ მოეკიდა ფეხი. ამ ღონისძიების გატარებაში მას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ცენტრი (ქ. ახალციხე) და მისი გამგებელი ათაბაგი ოსმალეთის გავლენის სფეროს გარეთ რჩებოდა, ე. ი. ათაბაგისათვის მიუწვდომელი იყო ოსმალთა ხელში მყოფი სამცხის ტერიტორია და ამდენად მას აღარ შეეძლო ქვეყნის ამ ნაწილში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავედ გამოსვლა.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმლეთმა XVI საუკუნის პირველ ნახევარში დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი: ტაო, შავშეთი და კლარჯეთი და აქ თავისი ბატონობა დაამყარა.

გავარკვიოთ როგორი იყო ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ მოქცეული საქართველოს ამ ოლქების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

---

[137] ნ. ბერძენიშვილი, ტ. II, გვ. 94.

თურქული წყაროებისა და თურქი ისტორიკოსების ცნობებით. XVI ს-ის შუა წლებში ოსმალეთის მიერ საქართველოს გარკვეული ტერიტორიის დაკავების შემდეგ დაპყრობილ ადგილებში სანჯაყები დააარსეს[138]. ხოლო, თვით სულთან სულეიმანის განცხადებით, 1549 წელს საქართველოში დაპყრობილი ადგილები ოთხ სანჯაყად დაიყო და საბეგლარბეგო დაარსდა[139]. ვფიქრობთ, რომ სულთანი აშკარად აზვიადებს ფაქტებს. ჩვენი ვარაუდით, დროის ამ მონაკვეთში, საქართველოს მიტაცებულ ტერიტორიაზე არსდება მხოლოდ სანჯაყები, უფრო გვიან, როდესაც ოსმალთა შეტევა სამცხეზე ინტენსიურ ხასიათს იღებს, რის შედეგადაც ახალი მხარეები გადადის ოსმალთა ხელში, იქ დაარსებულ სანჯაყთა და ზემოხსენებულ ლივათა გაერთიანებით იქმნება უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეული ეიალეთი (ვილაიეთი). შეიძლება სულთანს მართლაც ჰქონდა განზრახული სამცხეში დაპყრობილ ტერიტორიაზე საბეგლარბეგოს დაარსება, მაგრამ მან იმის განხორციელება ვერ შესძლო. არსად, არც თურქულ და არც ევროპულ წყაროებსა და ლიტერატურაში, გარდა ზემოთ დასახელებულისა, ჩვენ არ შეგვხვედრია ამ დროის საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე საბეგლარბეგოს დაარსების შესახებ რაიმე ცნობა.

იმ პერიოდში ოსმალებს რომ საბეგლარბეგო (ეიალეთი) არ დაუარსებიათ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ „1573/4 წლის გურჯისტანის კანუნნამეში" არ არის მოხსენებული ბეგლარბეგი და იქ მხოლოდ სანჯაყბეგია დამოწმებული, ხოლო სამმართველო ერთეულად კი — ლივა (სანჯაყი)[140]. აქ რომ საბეგლარბეგო ყოფილიყო, მაშინ „1573/4 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამეში" აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხსენებული ბეგლარბეგი, როგორც ეს 1595 წლის გურჯისტანის კანუნნამეშია[141].

---

[138] جودت تاریخ, ტ. I, გვ. 191, თარგმანი, გვ. 25; I. H. Danişmend, op. cit., II, s. 190, 262.

[139] J. Chesneau, op. cit., p. 265. ამ შეხედულებას იზიარებს თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ი. დანიშმენდი. იგი წერს „საქართველოში დაპყრობილ ტერიტორიაზე დაარსებული სანჯაყები გაერთიანეს და ერთი ახალი ვილაიეთი დააარსეს" (I. H. Danişmend, op. cit. c., II, s. 262).

[140] O. L. B a r k a n, Kanunlar, s. 197—199; ქართული თარგმანი, ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალური დოკუმენტური წყაროები ამიერკავკასიის ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, ტ. II, თბ., 1962, გვ. 226—229.

[141] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარიები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1947. წ. I, თურქული ტექსტი, გვ. 3—5; თარგმანი, წ. II, თბ., 1941, გვ. 3—5.

სანჯაყი ანუ ლივა იყო ოსმალეთის ძირითადი სამხედრო სამმართველო ერთეული. თურქული სახელწოდება სანჯაყი და არაბული ლივა სინონიმებია და ნიშნავს დროშას ანუ სადროშოს. ამ სამმართველო ტერმინით იწოდებოდა ის ოლქი, რომელსაც განაგებდა სანჯაყბეგი ანუ მირი-ლივა.

სანჯაყი იყოფოდა უფრო მცირე სამმართველო ერთეულებად ყაზებად ანუ ყადილუქებად. არაბული სიტყვა ყადი, როგორც სამმართველო ტერმინი, თურქული ადმინისტრაციული დაყოფის სისტემაში აღნიშნავდა ტერიტორიას, რომელიც ეკუთვნოდა ყადის. სახელწოდებას ყადილუქი (არაბულ ყადისაგან „ყადი" — მსაჯული, მოსამართლე + თურქული სუფიქსი luk) ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, ოღონდ ის აღნიშნავდა, აგრეთვე, თვით ყადის წოდებასაც. თურქულ სახელმწიფო აპარატში ყადიები იყვნენ მართმსაჯულების წარმომადგენლები. ხოლო, რადგანაც თურქეთში ხშირად ყადიები ასრულებდნენ მმართველობის ფუნქციასაც, ამიტომ ყაზა ანუ ყადილუქი, როგორც ტერიტორია, რომელიც განეკუთვნებოდა ყადის, იყო რიგითი სამმართველო ერთეული ოლქში, სადაც მაჰმადიანები ცხოვრობდნენ[142]. ხოლო ისეთ სანჯაყებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არამუსლიმანები იყვნენ, სანჯაყი ნაჰიებად იყოფოდა[143]. ნაჰიე არაბულად სიტყვასიტყვით ნიშნავს ქვეყანას, მხარეს, რაიონს, ოლქს. ეს ტერმინი თურქულ ადმინისტრაციაში აღნიშნავდა უმცირეს სამმართველო ერთეულს. ნაჰიე თავის სამმართველოში რამდენიმე სოფელს აერთიანებდა.

სანჯაყს (ლივა) სანჯაყები (მირი-ლივა) მართავდა. მირი-ლივა განაგებდა სანჯაყის სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს. სანჯაყბეგს სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხელფასის (დირლიქის) ნაცვლად ხასი ეძლეოდა. სანჯაყბეგის წლიური შემოსავალი 200 000-დან 400 000 ახჩამდე აღწევდა.

სანჯაყებში ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები იყო გავრცელებული. როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიის სანჯაყები აღწერილი და რეესტრებში გატარებული იყო და მათი გამგებლობა წარმოებდა ოსმალური ნორმების მიხედვით, რაც ფიქსირებული იყო სათანადო კანონ-ნამეებში. სანჯაყებში მიწის ნაკვეთები ძირითადად დანაწილებული იყო ხასებად, ზეამეთებად და თი-

---

[142] Hazim Šabanović, Bosanski Pašaluk, Sarajevo, 1959, p. 111.

[143] მაგ. იხ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომლის მიხედვითაც ლიეება ნაჰიებად იყოფოდა.

მარებად. მათ მფლობელებს (სიფაჰებს) ეს მიწები სამხედრო სამსახურისათვის ეძლეოდათ[144].

ცხადია, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქებში სანჯაყების დაარსების შედეგად უნდა მომხდარიყო მისი აღწერა, დავთრებში გატარება და კანონ-ნამეს შედგენა. ყოველივე ამას კი უნდა გამოეწვია აქ არსებული ქართული ფეოდალური წესწყობილებისა და მისი სათანადო ინსტიტუტების მოშლა და მათ ნაცვლად ოსმალურის შემოღება. „საქართველოს სამხრეთი ნაწილის, უშუალოდ რომ ეკრა ოსმალეთს, გაოსმალებას ხონთქარი უკვე XVI ს-ის პირველ ნახევარში შეუდგა. ეს მტაცებელი სახელმწიფო მისთვის ჩვეული ძალადობით იპყრობდა აქაურ ქართულ ოლქებს, ახდენდა მათ ინკორპორაციას, ნერგავდა აქ „ოსმალობას“ (ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებას) ოსმალური მიწისმფლობელობის წესის შემოღებით“[145].

ამის აშკარა დამადასტურებელია „1573/4 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე“.

მართალია, იგი 1573/4 წელსაა შედგენილი, მაგრამ მისი ანალიზიდან ირკვევა, რომ მას წინ უნდა უსწრებდეს სხვა კანუნ-ნამე. 1573/4 წლის კანუნ-ნამე წარმოადგენს მასზე უფრო ადრე შედგენილი კანუნ-ნამეს შევსება-დამატებას. ამას გვაფიქრებინებს კანუნ-ნამეს შემდეგი ადგილები: „რადგან ზემოხსენებულ ვილაიეთში ძ ვ ე ლ ი დ ა ვ თ რ ი ს (ხაზი ჩვენია — მ. ს.) თანახმად არათავისუფალ თიმარებზე მიწერილი ცხვრის რაოდენობა გაანგარიშებული იყო მათი ახალ დავთარში გასატარებლად, პატიოსანი ბრძანება გამოიცა“[146].

მოტანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ „ა ხ ა ლ დ ა ვ თ ა რ შ ი“ გადასახადთა გასატარებლად გამოიცა სპეციალური ბრძანება. აქედან ცხადია, რომ „1573/4 წელს გურჯისტანის კანუნ-ნამეს“ უსწრებდა „ძ ვ ე ლ ი დ ა ვ თ ა რ ი“, რომელიც უფრო ადრე იყო შედგენილი და წინ დართული ჰქონდა კანუნ-ნამე.

ო. ლ. ბარკანის მიერ გამოცემულ კანუნ-ნამეთა კრებულში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც მოიპოვება ისეთი კანუნ-ნამე, რომლებშიც გამოთქმა „ძ ვ ე ლ ი დ ა ა ხ ა ლ ი დ ა ვ თ ა რ ი“ არ

---

[144] დაწვრილებით იხ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგეობა XVI ს-ში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 99—107.

H. Šabanović, op. cit., pp. 8—12; Veçhi Tönük, Turkiyede idare teşkilati, Ankara, 1945; J. Kaldy-Nagy, The Administration of the Sandjaq Registrations in Hungary, Acta Orient, t. XXI, pp. 181—223.

[145] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. გვ. 75.

[146] Ö. L. Barkan, Kanunlar, s. 198. თარგმანი, გვ. 22, 6.

გვხვდება. ასეთებია: ხუდავენდიგარის, აიდინის, ყარამანიის ვილაიეთების კანუნ-ნამეები და სხვა.

ჩვენი აზრით, ეს ის კანუნ-ნამეებია, რომლებიც პროვინციის აღწერისას ოსმალებმა პირველად შეადგინეს. სწორედ ასეთ კანუნ-ნამეებში არ გვხვდება გამოთქმა „ძველი და ახალი დავთარი".

საჭიროა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის იმპერიაში დროთა განმავლობაში, 20—30 წ. ერთხელ წარმოებდა ხელახალი აღწერა და ახალი დავთრის შედგენა, „ახალ დავთარში" შეჰქონდათ ამ ხნის განმავლობაში მომხდარი ცვლილებანი. ამასთან ერთად ხდებოდა დავთრისავის დართული კანუნ-ნამეს განახლება, რომელშიც ასახული იყო ცვლილებანი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მას ახალი მუხლებიც ერთვოდა[147]. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კანუნ-ნამეში ხშირად გვხვდება გამოთქმა „ძველი და ახალი დავთარი".

ამჟამად ზუსტად ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეადგინეს ოსმალებმა პირველად გურჯისტანის კანუნ-ნამე, ვინაიდან სათანადო საბუთები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი XVI ს. 40—50-იან წლებში უნდა ყოფილიყო შედგენილი, როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილი და იქ სანჯაყები დაარსეს[148].

---

[147] H. Inalcik, Ottoman methods of conquest, «Studia Islamica», Paris, 1954, t. II, pp. 108, 109; Х. Хаджибегич, Турецкие правовые памятники как исторический источник, Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, М., 1964, стр. 72.

[148] ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს 1554 წელს ოსმალეთის მიერ შედგენილი კანუნ-ნამე, მ. გოკბილგინის მიერ თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივიდან გამოქვეყნებული. აღწერის დავთრიდან (tahrir defteri) ირკვევა, რომ ოსმალების მიერ დაპყრობილი ჰანეთი ტრაპიზონის ლივაში იყო გაერთიანებული და ყაზებად დაყოფილი. ასე, მაგალითად, ჰანეთი შემდეგ ყაზებს შეიცავდა: 1. რიზე, 2. ჰემშინე, 3. ხოფა (Of,) 4. ათინა, 5. არჰავე. არჰავეს ყაზას ექვემდებარებოდა შემდეგი ნაჰიები: ლაზთა, ისკელეს, გონიოს, აგრეთვე იაგობითის ვილაიეთის კისესა და არჰავეს ციხეები.

ზემოთ დასახელებულ ყაზებში გვხვდება ოსმალური მიწისმფლობელობის ძირითადი კატეგორიები: ხასები, ზეამეთები, თიმარები. ასე, მაგალითად, რიზეს ყაზაში მოხსენებულია მირილივას ხასი, რომელიც შედგებოდა 8 სოფლის, 35 უბნისა და 2225 სახლისაგან და მისი შემოსავალი 192 681 ახჩას შეადგენდა.

ათინას ყაზაში მოხსენებულია ფადიშაჰისა და მირი-ლივას ისკანდერ-ბეის შვილის ამირ-ბეგის ზეამეთი.

ხოფას ყაზაში გვხვდება ზეამეთები და თიმარები და სხვ. ირკვევა, აგრეთვე, ჰანეთის მოსახლეობის რელიგიური შედგენილობა. ასე, მაგალითად, რიზეს ყაზაში 21 სოფელი და 3927 სახლი იყო (აქედან — 310 მუსლიმანის, 3617 — ქრისტიანის) 4569 მცხოვრებით.

ათინას ყაზაში 30 სოფელი იყო 4068 მცხოვრებით, 3683 სახლი და ბაშთინე (აქედან — 584 მუსლიმანის, 3096 ქრისტიანის).

დაახლოებით ამავე შეხედულებისაა ნ. შენგელია; „ირან-ოსმალეთს შორის წარმოებული 50-წლიანი ბრძოლა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის 1555 წ. ამასიის ზავით დამთავრდა. ამ ზავით სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი — ტაო, შავშეთი და კლარჯეთი ოსმალეთს ერგო... მას განზრახული ჰქონდა მთელი სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა და მისი ოსმალურ რიგზე ორგანიზაცია, მაგრამ ამასიას ზავის პირობებს მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა უნდა შეექმნა სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში. აქ ოსმალეთი დაუყოვნებლივ უნდა შესდგომოდა ოსმალური ინსტიტუტების შემოღებას. მართალია, ამასიის ზავით ოსმალეთის გავლენის სფეროდ დასახელებული ქართული ტერიტორიების გაოსმალებისა და იქ ოსმალური წესების გატარების შესახებ ჩვენ იმდროინდელი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ საფიქრებელია, რომ 1573/4 წ. გურჯისტანის კანონ-ნამე სწორედ საამისოდ იყო მოწოდებული. 1573/4 წ. შედგენილი კანონ-ნამე, ჩვენი აზრით, იმ ტერიტორიებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, რაც ოსმალეთმა 1555 წ. ზავის პირობებით მიიღო“[149].

მართალია, ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე პირველად შედგენილი კანონ-ნამე, მაგრამ ფაქტიურად, 1573/4 წ. გურჯისტანის კანონ-ნამე ასახავს სამცხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მდგომარეობას, სადაც ოსმალებმა XVI ს. შუა წლებში პირველი სანჯაყები შექმნეს“[150].

„1573/4 წლის გურჯისტანის კანონ-ნამე“, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიის პროვინციების სხვა კანონ-ნამეები, არსებითად ერთი და იგივე წესითაა შედგენილი. მას თავისი შინაარსით, როგორც ეს ნ. შენგელიას სპეციალურად აქვს გამოკვლეული, ბევრი რამ აქვს სა-

---

არჰაევის ყაზაში 49 სოფელი იყო 3070 მცხოვრებით, 2969 სახლი და ბაშთინე (აქედან 301 — მუსლიმანის, 2659 — ქრისტიანის) და სხვ. (M. T a y y i b C ö k b i l g i n, XVI yüzil başlarında Trabzon Livasi ve doğu Karadeniz bölgesi, «Belleten». c. XXVI, S. 102, Ankara, 1962, s. 294—337).

როგორც დავინახეთ, ოსმალების მიერ დაპყრობილი ჰანეთი ტრაპიზონის ლივაში იყო გაერთიანებული, იგი ყაზებად და ნაჰიებადაა დაყოფილი და იქ ოსმალური მართვა-გამგეობაა შემოღებული, რაც გამოიხატა ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების დანერგვაში. ამასთანავე ირკვევა, რომ მუსლიმანობის გავრცელება ახალი დაწყებულია, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანები არიან. საფიქრებელია, რომ როდესაც ოსმალებმა ტრაპიზონის ლივა აღწერეს და კანონ-ნამე შეადგინეს (1554 წ.) იმავე წელს, ან იმავე წლებში მის მეზობლად მდებარე საქართველოში დაპყრობილი ტერიტორიები აღწერეს და კანონ-ნამე შეადგინეს.

149 ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, 1753/4 წლის კანონ-ნამე, აღმოსავლური კრებული, თბ., 1960, გვ. 130.

150 იქვე, გვ. 188.

ერთო ოსმალეთის იმპერიის სხვა კანონ-ნამეებთან. ზოგჯერ ტრაპიზონის, არზრუმის, აიდინის, ჰუდავენდიგარის და სხვა პროვინციების კანონ-ნამის ზოგიერთი თავის სათანადო ადგილის შინაარსი პირდაპირ გადმოღებულია 1573/4 წ. გურჯისტანის კანონ-ნამეში[151].

მართალია, „1573/4 წლის გურჯისტანის კანონ-ნამეს“ თავისი შინაარსით ბევრი რამ აქვს საერთო სხვა ოსმალურ კანონ-ნამეებთან, მაგრამ იგი ითვალისწინებდა აგრეთვე ქვეყნის ადგილობრივ თავისებურებას, მის სპეციფიკას. თვით ის ფაქტი, რომ იმპერიის ყოველ პროვინციას და დაპყრობილ ქვეყანას ზოგჯერ რამდენიმე კანონ-ნამეც ჰქონდა შედგენილი, მაგალითად, სომხეთს[152], ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ნ. შენგელიას, რომ „გურჯისტანის კანონ-ნამე არ არის დაპყრობილი ქართული ტერიტორიისათვის საგანგებოდ შედგენილი. იგი ექვემდებარება ოსმალურ საერთო კანონმდებლობას და მის მიხედვით არის შედგენილი“[153]. მაშინ რატომ სჭირდებოდა ოსმალეთის მთავრობას იმპერიის პროვინციებისათვის ესოდენ დიდი რაოდენობით კანონ-ნამეების შედგენა?

ო. ბარკანისა და ჰ. თუნჯერის მიერ გამოქვეყნებული ოსმალეთის პროვინციების კანონ-ნამეებში არაერთგან გვხვდება გამოთქმა „არსებული ადათის თანახმად“, „ადგილობრივი წესის თანახმად“, „ქურთების წესების მიხედვით“, „აშარების ჩვეულების მიხედვით“ და სხვ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული იყო, დაპყრობილი ხალხების მედგარი წინააღმდეგობის გამო, გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო და ნაწილობრივ მაინც შეენარჩუნებინა დაპყრობილ ადგილებში ადრე არსებული წესები. ამან თავისი ასახვა ჰპოვა ამა თუ იმ კანონ-ნამეს სათანადო მუხლებში.

„1573/4 წელს გურჯისტანის კანონ-ნამე“ ოსმალების მიერ დაპყრობილი ქართული ტერიტორიებისათვის საგანგებოდ არის შედგენილი.

კანონ-ნამეს პირველ თავში ნათქვამია: „ვინაიდან გურჯისტანის ვილაიეთი ქვიანი ადგილია და მიწა (იქ) მცირეა, ამიტომ, ძველი დავთრის თანახმად, თითოეულ კაცზე იმ ადგილებითურთ, რომელსაც ის ძველი დროიდანვე ფლობს, დაწესებულ იქნა გამოსაღები ისფენჯი ოცდახუთ-ოცდახუთი ახჩა. ამ ისფენჯის გადახდის შემდეგ მათი მიწები-

---

[151] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 184—185.

[152] ასე, მაგალითად, ოსმალების მიერ დაპყრობილი სომხეთის მიწა-წყალზე შედგენილ იქნა არზრუმის, ერზინკას, კამახის, ხარბერდის და სხვათა კანონ-ნამეები.

[153] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

დან ჩიფთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები და დონუმის გამოსაღები არ აიღება“[154].

როგორც ვხედავთ, კანონ-ნამე ითვალისწინებს საქართველოს ბუნებრივ პირობებს და მის შესაბამისად განისაზღვრებოდა გადასახადის რაოდენობაც.

ოსმალური წესებისა და კანონ-ნამეს შემოღებას, ცხადია, უნდა გამოეწვია სამცხე-საათაბაგოში არსებული წესებისა და კანონმდებლობის გაუქმება, სახელდობრ, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის გაუქმება, რომელიც ჯერ კიდევ XIV საუკუნის დამდეგს იქნა შედგენილი სამცხე-საათაბაგოსათვის. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდან კარგად ჩანს, რომ სამცხეში განვითარებული ყოფილა ფეოდალური ურთიერთობა და მისი შესაბამისი ინსტიტუტები. სამცხე-საათაბაგოს სოციალურ წყობილებას ჰქონდა იერარქიული სტრუქტურა, დაფუძნებული მიწისმფლობელობაზე, გვარის წარჩინებულობაზე, სამსახურზე („მამული, გვარი და საპატიო ჯელი“).

ფეოდალური იერარქიის სათავეში იდგა მსხვილი მიწისმფლობელი — დიდებული (სენიორი) — პატრონი — ათაბაგი. მასზე იყვნენ დამოკიდებული სხვადასხვა კატეგორიის წარჩინებული ფეოდალები — დიდებულნი და აზნაურები, რომლებიც შეადგენდნენ მემამულეთა კლასს. ყმა-გლეხობა იყო ამ იერარქიის საფუძველი, მაგრამ მასში არ შედიოდნენ, რადგანაც ისინი ექსპლოატირებულ კლასს შეადგენდნენ და არ ჰქონდათ წოდებრივი და უფლებრივი პრივილეგიები.

გლეხების ძირითადი მასა მიმაგრებული იყო მიწაზე და ისინი ითვლებოდნენ ფეოდალების მემკვიდრეობით ყმებად[155].

გურჯისტანის „კანონ-ნამეში“ დაწვრილებითაა საუბარი სიფაჰების მფლობელობაზე და მათ რეაიებთან ურთიერთდამოკიდებულებაზე. რეაია (გლეხი) თაფუს საფუძველზე ფლობდა მიწას. რეაია მიწერილი იყო სიფაჰზე (ფეოდალზე). სიფაჰს შეეძლო გაქცეული გლეხის ძებნა და მისი უკან დაბრუნება. ოსმალეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გლეხი არ იყო თავისუფალი. ოსმალეთში მცხოვრები გლეხების ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ რეაია მიმაგრებული იყო გადასახადზე, ხოლო გადასახადი რეაიაზე.

კანონ-ნამედან ირკვევა, რომ ოსმალების მიერ დაპყრობილი საქართველოს მიწა-წყალზე ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმებია

---

154 Ö. L. B a r k a n, Kanunlar, s. 198; თარგმანი; გვ. 222.

155 ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი, ტექსტი, შესავალი ი. დოლიძისა, თბ., 1960, გვ. 9.

დანერგილი. მასში მოხსენებულია ხასი, ზეამეთი, თიმარი, თავისუფალი თიმარი, მულქი-მოურუსი და სხვ.[156].

კანუნ-ნამეში საკმაოდ ვრცლადაა საუბარი ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებზე, გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაციის ოსმალურ ფორმებზე, გადასახადების სახეობებსა და აკრეფის წესებზე და სხვ.

კანუნ-ნამეში მრავლადაა დასახელებული ოსმალური გადასახადები და გამოსაღებები: ბენაქი, უშრი, ბეჰრე, მურახასიე, ხუმსი, სალარიე, ჩიფთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები, დონუმის გამოსაღები, ბადჰავა, საქორწინო, საკვამლე, გამოსაღებები ყიშლაღებზე, იალაღებზე, ცხვარზე, ღორზე, ფუტკარზე, ხილზე და სხვა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ აქ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებია გავრცელებული.

ამასთანავე, ქრისტიანული მოსახლეობა ვალდებული იყო დამატებით გადაეხადა ისეთი გადასახადები, რომლებსაც მუსლიმანები არ იხდიდნენ. მაგალითად, ისფენჯი, მურახხასიე და სხვ. ყოველივე ამის გამო ქრისტიანული მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე მუსლიმანებისა[157].

კანუნ-ნამეში რეგისტრირებულია „აყრა-გაქცევისა“ და „დაფანტვის“ შემთხვევები. მოსახლეობის აყრა-გაქცევის შემთხვევაში კანუნ-ნამე ითვალისწინებს ათი წლის განმავლობაში მათ უკან დაბრუნებას[158]. აშკარაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გაქცევა გამოწვეული იყო „ოსმალობის“ გაძლიერებით.

სულთნის მთავრობა, დაპყრობილ ქვეყნებში თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ხშირად იყენებდა კოლონიზაციისა და მოსახლეობის მასობრივად გადასახლების (sürgün) შემუშავებულ სისტემას. იგი დიდად იყო დაინტერესებული ოსმალების დასახლებით დაპყრობილ ადგილებში. ოსმალურ წყაროებში ამის შესახებ არა ერთი საინტერესო ცნობა მოიპოვება. სულთნის მთავრობა მასობრივად ასახელებდა ოსმალურ მოსახლეობას ბალკანეთის ქვეყნებში, ხოლო ბალ-

---

[156] O. L. Barkan, Kanunlar, s. 197—199; თარგმანი, გვ. 223—228.

[157] სულთან სულეიმანის (1520—1566) მეფობის პირველ წლებში ოსმალეთის სახელმწიფოს ხაზინის შემოსავალი 5—5,5 მლნ დუკატს შეადგენდა, ხოლო 1554 წლისათვის მისი შემოსავალი 9 მლნ დუკატამდე გაიზარდა. (E. Alberi, Relazioni... t. I, p. 131; H. Inalcik, L'Empire Ottoman, Les peuples de l'Europe du Sud-Est et leur role dans l'histoire (XV—XX), Sofia. 1966, pp. 34—39).

სახელმწიფოს შემოსავლის ზრდა პირველ რიგში ხდებოდა ახალი ტერიტორიების დაპყრობებისა და მის მოსახლეობაზე გადასახადების გაწერის შედეგად.

[158] O. L. Barkan, Kanunlar, s. 198; თარგმანი, კანუნ-ნამე, გვ. 223.

კანეთის მოსახლეობას — ანატოლიაში. ასეთსავე ღონისძიებას სულთანი მიმართავდა, აგრეთვე, თავისი იმპერიის აღმოსავლეთის ქვეყნებს მიმართავ[159].

ამგვარი ღონისძიების გატარებით ოსმალეთის მთავრობას სურდა, ერთი მხრივ, მოეხდინა დაპყრობილი ხალხების ასიმილაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დაპყრობილ ქვეყნებში თურქული მოსახლეობის ჩასახლებით — აქ თავისი ძალაუფლების განმტკიცება.

მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა სულთნის მთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობილ ოლქებში ამგვარი ღონისძიების გატარების შესახებ, მაგრამ ზოგი რამ ამის მანიშნებელი მაინც გვხვდება.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ადგილებში ქურთთა ტომები სახლდებიან. მათ შესახებ „გურჯისტანის კანუნ-ნამეში" წერია: „ურუქისა და უზდეჯის ტომებს არ გააჩნიათ განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი"[160].

როგორც ჩანს, ოსმალეთის მთავრობა ხელს უწყობდა საქართველოს დაპყრობილ ადგილებში უცხო ეთნიკური ელემენტების ჩამოსახლებას.

გურჯისტანის კანუნ-ნამეში მრავლადაა დასახელებული სამხედრო-ადმინისტრაციული პერსონალი: მირი ლივა (სანჯაყ ბეგი), ემინი, ყადი, სუბაში, დიზდარი, სალარი, მევკუფჩი[161] და სხვ.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ოსმალების მიერ დაპყრობილ სამცხეში ოსმალური მართვა-გამგებლობა იყო შემოღებული და მისი შესაბამისი სამოხელეო აპარატი.

ამგვარად, 1573/4 წ. გურჯისტანის კანუნ-ნამე ძირითადად ასახავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ადგილების სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რომლებიც ოსმალებმა XVI ს. პირველ ნახევარში დაიპყრეს.

საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალები, თავიანთი წესებისა და იურიდიული ნორმების გატარებისას, დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ ქართველი ხალხის მხრივ და რიგ შემთხვევაში ოსმალთა ძალაუფლება უფრო მეტად ფორმალური იყო, ვიდრე ფაქტიური.

---

[159] O. L. Barkan, Osmanlı Imparatorluğunda bir Iskân ve Kolonizasyon metodu olarak Sürgündler, IUIFM. t. xv, 1953, 1954, pp. 209—237; H. Inalcik, Ottoman methods of conquest..., p. 141.

[160] O. L. Barkan, Kanunlar, s. 198; თარგმანი, გვ. 226.

[161] O. L., Barkan, Kanunlar, s. 198, 199; თარგმანი, გვ. 222-228.

სულთნის მთავრობა ანალოგიურ პოლიტიკას ანხორციელებდა არა მარტო საქართველოს დაპყრობილ მიწა-წყალზე, არამედ საქართველოს მეზობელი ქვეყნების მიმართაც. ასე, მაგალითად, როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს დასავლეთ სომხეთი, ქურთისტანი, ერაყი, მათ დაპყრობილი ქვეყნები აღწერეს, სანჯაყებად დაყვეს და კანონ-ნამეები შეუდგინეს. ამის საუკეთესო დამადასტურებელია ო. ბარკანისა და ჰ. თუნჯერის მიერ გამოცემული ოსმალური კანონ-ნამეები, რომლებშიაც მრავლად მოიპოვება ზემოთ დასახელებული ქვეყნებისათვის სპეციალურად შედგენილი კანონთა წიგნები[162].

სულთნის მთავრობა, დაპყრობილი ხალხების მედგარი წინააღმდეგობის გამო, ზოგჯერ იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო და დაპყრობილი ქვეყნების გაბატონებული კლასის ნაწილისათვის პრივილეგიები და შეღავათები შეენარჩუნებინა, მათი ოსმალთა სამსახურში ჩაყენებისა და დაპყრობილი ხალხების დამორჩილების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობა მოეპოვება მოლა მაჰმუდ ბაიაზიდს: „როდესაც სულთან სულეიმან კანუნი სტამბოლში დაბრუნდა (ირანთან ომის შემდეგ — მ. ს.), დედამ მას მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ჩემო შვილო, შენ კი დაბრუნდი, მაგრამ ქართველები და ყიზილბაშები არ დაარბევენ შენ სამფლობელოებს?“. სულთანმა უპასუხა: „ჩემო დედა, მე აღვმართე მაღალი კედელი ოსმალეთის იმპერიასა და ქართველებისა და ირანელების სახელმწიფოებს შორის, მტერი ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებს“. „როგორ შესძელ, — ჰკითხა მან, — კედლის აღმართვა ასეთ დიდ მანძილზე?“. სულთანმა უპასუხა: „„დედა, მე იგი ავაგე ხორცისა და სისხლისაგან. ამ ოლქების გამგებლობა ქურთ ტომებს დავავალე, მე ჩავამწკრივე ისინი, როგორც საველე სიმაგრენი საქართველოდან ბაღდადამდე, ბასრასა და შეჰრიზორამდე. მტერი ვერ შესძლებს მათზე გავლის გარეშე ისლამის სახელმწიფოში შემოჭრას“[163].

XVI ს. პირველ ნახევარში ირან-ოსმალეთის პირველი ომის მსვლელობის დროს ოსმალეთის მთავრობამ დაპყრობილი ქვეყნების გაბატონებული კლასის ნაწილს და განსაკუთრებით კი ქურთთა ტომების ბელადებსა და ამირებს მთელი რიგი პრივილეგიები და შეღავათები

---

[162] Ö. L. Barkan, Kanunlar; H. Tuncer, Osmanlı İmparatorluğunda Toprak Hukuku, Arazî Kanunları ve Kanun açıklamaları Ankara, 1962; Османские законы в Западной Армении (свод законов XVI—XVII вв). перевод, предисловие и комментарии А. Я. Сафрастяна и М. К. Зулаляна, Ереван, 1963 (на армянском языке).

[163] Архив А. Д. Жабы, ციტირებულია Шараф-хан Бидлиси Шарафнаме, Москва, 1967, I, стр. 54.

უბოძა. ცხადია, ამას ოსმალეთის სულთანი, როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდანაც ჩანს, გარკვეული სამხედრო სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნით აკეთებდა. სულთანს სურდა ისინი თავის სამსახურში ჩაეყენებინა და ამით საიმედო დასაყრდენი შეექმნა იმპერიის აღმოსავლეთის სასაზღვრო ოლქებში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოსმალების მიერ დაპყრობილი იმპერიის აღმოსავლეთ ოლქებში ამ დროს დაარსებულ იქნა მთელი რიგი სამხედრო ადმინისტრაციული სამმართველო ერთეულები, რომლებიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდნენ და, ცხადია, განსხვავდებოდნენ კიდეც საკუთრივ ოსმალური ინსტიტუტებისაგან.

ასეთები იყო სალიანეს მჭონე ვილაიეთები, თაიისუფალი სამირ-მირანოები, ჰუქუმეთები, იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები, აშარეთ-რეისები, რეისლიკები და სხვ[164].

იურთლუკისა და ოჯაკლიკის ტიპის სანჯაყები დაარსებული იყო აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ოლქებში. ჩვენი აზრით, ეს სანჯაყები დაარსებული უნდა ყოფილიყო სულთან სულეიმან I დროს, როდესაც ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს გარკვეული ტერიტორია დაიპყრეს[165]. საქართველოს ტერიტორიაზე დაარსებული იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა (ამაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება იმდროინდელი ქართული ნარატიული წყაროები. ჟამთა სიავის გამო ისინი განადგურდნენ, ხოლო XVII ს. ბოლოსა და XVIII საუკუნეში შედგენილი ქართული ნარატიული წყაროები ვერ ასახავენ მთელი სისრულით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობასა და იმ ცვლილებებს, რომლებიც ოსმალთა დაპყრობის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. მაგრამ ქართველი ისტორიკოსები — ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი და სხვ. ფაქტების ზოგადი ანალიზის შედეგად, თავისებურად აფასებენ და სწორად ესმით იმ დროს სამცხე-საათაბაგოში მომხდარი მოვლენების მნიშვნელობა.

---

[164] მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI ს-ში, გვ. 100—102; I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. 11 s. 572; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1533, 1534.

[165] М. Х. Сванидзе, О юрдлуках и оджаклыках, как одной из форм землевладения в Османскоїї империи (на примере Чилдырского эялета). Первый конгресс Балканских исследований, Сообщения советской делегации, М., 1966, стр. 1—14.

ამასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: „გარნა ტაო, შავშ-კლარჯნი ეპყრათ ოსმალთა და ხედავდა ქაიხოსრო მძლავრებასა და კირთებასა მათგან ქვეყანათათა და ვერა რაისა შეწევნისა მპოველი ვნებად მათდა“[166]. ცხადია, ვახუშტი ოსმალთა „მძლავრებასა და კირთებაში“ გულისხმობს სამცხეში ოსმალური წესების ძალით დანერგვას.

დაახლოებით ამგვარადვე აფასებს ამ მოვლენას ბერი ეგნატაშვილიც: „დაიპყრეს ოსმალთა სიმაგრენი და ციხეები სამცხისანი და ფრიად მძლავრობდნენ და უსამართლობდნენ და ქვეყანასა სამცხისასა“[167].

ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესასწავლად საყურადღებო ცნობებს ვხვდებით ქრ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში. მათ შორის უნდა დავასახელოთ სამცხის ათაბაგებისა და დიდგვარიანთა მოსახსენებლები და მცხეთის საბუთები[168].

„მოსახსენებლებს“ შორის ყურადღებას იპყრობს კოპასძეთა სახლში შედგენილი მოსახსენებელი, რომელიც, როგორც ქრ. შარაშიძე ვარაუდობს, დაწერილი უნდა იყოს XVI ს. 30-იან წლებში (არაუგვიანეს 1535 წლისა)[169]. საინტერესოა ამ ძეგლში მოცემული ყვარყვარე III (1515—1535) „ნავ-ყვარყვარე“ დახასიათება: „აგარიანთა მომსრველისა, გულოვნებით სახელგანთქმულისა, მტერთა შემაძრწუნებლისა, სარწმუნოებისა და ქრისტეს ჭეშმარიტისა სჯულისა მტკიცედ მპყრობელი“[170].

ასევე შემკობილად აგვიწერს „მოსახსენებლის“ ავტორი ყვარყვარე III მეუღლეს ანას „მთიებისა და ცისკროვნებრ ბრწყინვალისა სიმშჯდის მეძიებელისა და წერილთ (საღმრთო წერილი — მ. ს.) მოყვარულისა და ჯუართა და ხატთა პირად-პირადად მამკობელსა“[171].

ქრ. შარაშიძის მართებული შენიშვნით: „ხსენებული დახასიათებანი პიროვნებას, უპირველეს ყოვლისა, „ქრისტიანული“ თვალსაზრისით განიხილავენ. შესაძლებელია, ძეგლის შემდგენელი ეკლესიის მსახური იყო, რომლისთვისაც ასეთი მიდგომა სრულიად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

---

[166] ვახუშტი, გვ. 247, 248.
[167] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 359.
[168] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები გვ. 1—36.
[169] იქვე, გვ. 78.
[170] იქვე, გვ. 16.
[171] იქვე, გვ. 16.

შაგრამ ისიც საფიქრებელია, რომ ეს „ქრისტიანული“ საზომი: „აგარიანთა მომსრველისა“, „ქრისტეს სჯულისა მტკიცედ მპყრობელის“, საღვთო წერილის ცოდნისა და სხვ. უმაღლეს ზნეობრივ ღირსებად ჩათვლა XVI ს. 30-იანი წწ. საათაბაგოს წარჩინებული საზოგადოებისათვის მართლაც დამახასიათებელი ყოფილიყოს. სწორედ ამ ხანებში საჰხრეთ საქართველოს კარზე მომდგარია მრისხანე დამპყრობელი, რის გამო „ქართული ქრისტიანობისა“ და აგრესორის მაჰმადიანობის მკვეთრი დაპირისპირება ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს“[172].

მისივე დაკვირვებით, XV—XVI სს. ადამიანების რელიგიური განწყობილება მეღავნდება ერთ მეტად გავრცელებულ მოვლენაში — ამ პერიოდის ხელნაწერთა მინაწერებში შემონაზვნებულთა სახელების სიმრავლეში. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ კოპასძეთა მოსახსენებლებში[173].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მტკიცედ დაცვა და რელიგიური განწყობილების გაძლიერება, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო ოსმალთა კირთებითა და მძლავრობით, რადგან ქრისტიანობის დაცვა ნიშნავდა „ქართველობის“ (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა) დაცვას.

ზემოთ მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ ქაიხოსრო III ათაბაგი „სარწმუნოებისა და ქრისტეს სჯულის მტკიცედ მპყრობელია“, თავგამოდებული მებრძოლი და, ბუნებრივია, იგი ამით „აგარიანთა მოსვრის“ მოთავე იყო.

მცხეთის საბუთებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს საბა მტბევარის ერთგულების წიგნი, შედგენილი 1556 წელს[174]. მასში ნათქვამია: „ესე... წიგნი მოგაკსენე მე, მტბევარმა საბა, თქუენ,... სამოციქულოსა საყდარსა ... ქართლისა კათოლიკოზსა პატრიარქსა დომენტის — მას ჟამსა, როდესაც გუაკურთხეთ: თქუენის საყდრის ერთგულნი და თქუნისა ბრძანებისა მორჩილნი ვიყვენით. რაცა ჩუენის კელსაგან გამოვიდოდეს, რჯულისა სიმაგრესაცა მოვიჴიროთ“...[175].

მოტანილი საბუთებიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსები მცხეთაში იკურთხებოდნენ ამასიის ზავის (1555 წ.) შემდეგაც, როცა სამცხის დასავლეთი ნაწილი თურქეთის ხელში იყო გა-

---

172 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 78.

173 იქვე, გვ. 79.

174 იქვე, გვ. 36.

175 იქვე, გვ. 36.

დასული[176]. ეს კი იმას მოწმობდა, რომ ქართლის კათალიკოსს, ოსმალების მიერ საათაბაგოს დასავლეთი ნაწილის დაპყრობის შემდეგაც, არ დაუკარგავს მასზე თავისი ხელისუფლება, მაშინ როდესაც სამცხის ათაბაგს მასზე თავისი ძალაუფლება დაკარგული ჰქონდა. ეს გარემოება საშუალებას აძლევდა ქართლის კათალიკოსს და ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მოქცეული ეკლესიის მსახურთ გარკვეული ზომები მიეღოთ ქრისტიანობის დასაცავად საქართველოს ამ კუთხეში.

მართლაც, ამ საბუთის უკანასკნელი ფრაზა მოწმობს, რომ თურქეთისაგან სრული ანექსიის საფრთხის წინაშე მდგომი სამცხის საეპისკოპოსოების მეთაურებს ერთგულების ფიცში ახალი მუხლიც შეუტანიათ — „ჯუღულის სიმაგრის" დაცვის პირობა. ეს „სიმაგრე" ამ დროს ძნელად დასაცავი ჩანს. ამიტომაც, დასძენს საბა მტბევარი — „რაცა ჩუენის ჴელისაგან გამოვიდოდეს, ჯუღულის სიმაგრესაც მოვიჴიროთო"[177].

ამრიგად, ამ პერიოდის ქართული ეკლესიის მოღვაწეთ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ქრისტიანობის შესუსტება სამცხეში გამოიწვევდა ოსმალობის გაძლიერებას და ცდილობდნენ მის დაცვას. მაგრამ ეს ყოველთვის როდი იყო ასე. გავიხსენოთ მზეჭაბუკის (1500—1515 წწ.) ბრძოლა მცხეთის საკათალიკოზოსაგან სამცხის ეკლესიის გამოყოფისათვის[178] და სხვ. საერთოდ კი, ქართული ეკლესია ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველ ხალხს, მეფესა თუ ათაბაგს უჭერდა მხარს. იმ ეპოქაში ფაქტიურად ქრისტიანობის დაცვა ნიშნავდა ქართული სოციალურ პოლიტიკური წყობილების დაცვასაც.

ამგვარად, XVI ს. პირველ ნახევარში ოსმალეთის მიერ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ოლქების დაპყრობის შემდეგ სულთნის მთავრობამ დაპყრობილი ადგილები სანჯაყებად დაჰყო, აღწერა და კანონ-ნამე შეუდგინა. ამ ღონისძიების გატარებით სულთანს სურდა დაპყრობილი ქვეყნის ინკორპორაცია, აქ „ოსმალობის" (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) დამყარება. ამის შედეგად აქ იწყება ქართული ფეოდალური წყობილების რღვევა. ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობის გამო, ოსმალეთის სულთანი იძულებული იყო რიგ შემთხვევაში კომპრომისზე წასულიყო. ოსმალებმა ვერ შეძლეს დასახული მიზნის ერთბაშად განხორციელება და გაოსმალების პროცესი საუკუნეთა მანძილზე გაგრძელდა.

---

176 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები 1961, გვ. 99.

177 იქვე, გვ. 97.

178 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1948, გვ. 170—172.

თავი III

1578—1590 წწ.

ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო

1. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ წინააღმდეგობა ამ ორ სახელმწიფოს შორის არ შენელებულა. მართალია, ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ იგი არ იყო კმაყოფილი ზავის პირობებით და ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა ირანის წინააღმდეგ ახალი ომი გაეჩაღებინა.

ოსმალეთს განსაკუთრებით აინტერესებდა ამიერკავკასიის დაპყრობა, რადგანაც მისი ხელში ჩაგდებით, ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა უშუალოდ დაეწყო შეტევა ჩრდილოეთ-დასავლეთიდან საკუთრივ ირანის წინააღმდეგ. კასპიის ზღვის სანაპიროს დაპყრობით, ოსმალეთს შესაძლებლობა ეძლეოდა განემტკიცებინა ურთიერთობა შუა აზიის ხანებთან, რომლებიც აგრეთვე გამუდმებულ თავდასხმებს აწყობდნენ ირანზე. გარდა ამისა, ოსმალეთისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას. ოსმალეთი მიისწრაფოდა აგრეთვე ხელთ ეგდო ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალი, ევროპა-აზიის ეს ახალი სავაჭრო გზა.

ამიერკავკასიის დაპყრობით და ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებით ოსმალეთი უპირისპირდებოდა რუსეთს, რომელიც ამ დროს თანდათანობით სამხრეთისაკენ მოიწევდა და ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიის ხალხებს მფარველად ევლინებოდა.

ოსმალეთისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამიერკავკასიის დაპყრობას მისი ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების თვალსაზრისითაც.

ასეთ ვითარებაში შაჰ-თამაზ I დაინტერესებული იყო ოსმალეთთან ამასიის ზავის პირობების შენარჩუნებით.

1576 წელს სტამბოლში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი თოქმაქ ხანი და სულთანს ძვირფასი საჩუქრები მიართვა. თოქმაქ ხანის ელჩობის მიზანი იყო სულთან მურად III-სათვის ტახტზე ასვლის მილოცვა და 1555 წელს ირან-ოსმალეთის ზავის განახლება, სტამბოლში ირანის ელჩს ცივად შეხვდნენ და იგი მალე სამშობლოში დაბრუნდა[1].

1576 წელს გარდაიცვალა შაჰ-თამაზ I. მისი გარდაცვალების შემდეგ ირანში დაიწყო ბრძოლა ყიზილბაშ ამირებს შორის, ტახტზე მათთვის სასურველი უფლისწულის ასაყვანად[2].

შაჰ-თამაზ I სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა შაჰ-ისმაილ II, მაგრამ მას დიდხანს არ უმეფია და 1577 წელს ტახტზე აყვანილ იქნა მუჰამედ ხუდაბანდე, ნაბევრად ბრმა და სუსტი ნებისყოფის ადამიანი. ქვეყანაში შინაფეოდალური ბრძოლა გრძელდებოდა.

ირანში დაწყებული აშლილობა, ოსმალეთის მთავრობის თვალსაზრისით, ხელსაყრელი დრო იყო ირანის დასამარცხებლად და ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად. ოსმალეთის სულთანი ვარაუდობდა, რომ მას ყიზილბაშთა სახელმწიფო ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. მან გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება.

თურქი ისტორიკოსები, ირან-ოსმალეთის ომის დაწყების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ირანმა დაარღვია 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობები და ოსმალეთის საზღვარზე თავდასხმა მოახდინა[3].

თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ეს კონცეფცია არაა ახალი. იგი თავის დროზე წამოაყენა თურქმა ისტორიკოსმა მუნეჯიმ ბაშიმ. იგი წერდა: „წინათ, რაკი ირანის შაჰმა ისმაილმა ზავის საწინააღმდეგო საქმიანობა დაიწყო, ამიტომ ოსმალებმა მის წინააღმდეგ გალაშქრება განიზრახეს“[4].

---

[1] B. K ü t ü k o ğ l u, Osmanli-Iran siyasî münasebetleri 1578—1590, s. 4—7; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1313; I. H. D a n i ş m e n d, op. cit., s 14; J. Hammer, v. VII, pp. 67, 68.

[2] შაჰ-თამაზ I რვა შვილთაგან, ოთხი ქართველი ქალისაგან ჰყავდა. ტახტისათვის დაწყებულ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ირანში მყოფი გაყიზილბაშებული ქართველები. ისინი ცდილობდნენ ერთ-ერთი, დედით ქართველი უფლისწულის (ჰაიდარ-მირზას) აყვანას ტახტზე; Scheref-nameh, v. II, p. 179. კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1962, ტ. II, გვ. 175; B. K u t u k o ğ l u, op. cit., s. 9—16.

[3] B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s. 17—21; Mufassal Osmanli Tarihi, c. III, 1318; I. H. D a n i ş m e n d, op. cit., c. III, s. 14.

[4] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. II, თბ., 1968, გვ. 153.

მაგრამ თურქი ისტორიკოსების ამ ფალსიფიკაციას ამხელენ თვით ოსმალური წყაროები. ასე, მაგალითად, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით: „985 წლის პატიოსანი შეევალის თვეში (1577 12/XII—1578 წ. 9/I) ვანის ბეგლარბეგმა ხუსრევ ფაშამ სამეფო კარს არზა გაუგზავნა და მოახსენა: ირანის ქვეყანაში შაჰი ისმაილ II თამაზ შაჰის ძე გარდაიცვალა და მის ადგილზე დაჯდა მისი ძმა ბრმა და უსინათლო მეჰ̃ედ ხუდაბანდეს სახელით. ეს სწორედ მოსახერხებელი შემთხვეაა სანხედრო ნადავლის საშოვნელად და მტერზე შურის საძიებლად. როდესაც ეს ვითარება ბედკეთილ ფადიშაჰს მოახსენდა, მან დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება სარდლის დანიშვნისა და საომარი მზადების შესახებ“[5]. მოტანილი ცნობიდან ნათლად ჩანს ოსმალეთის დაპყრობითი ზრახვები ირანის მიმართ.

ყურადღებას იპყრობს თანამედროვე თურქი ისტორიკოსის დანიშვნდის მოსაზრება, რომ „საქართველოში ოსმალთა ლაშქრობას მნიშვნელოვანი საბაბი ჰქონდა“[6]. შემდეგ დანიშვნდი მოგვითხრობს, რომ შაჰ თამაზ I შვილმა და მემკვიდრემ ისმაილ II ალამუტის ციხიდან გაათავისუფლა ქართლის მეფე სიმონ I და იგი თბილისის გამგებლად დანიშნა დაუდ ხანის ნაცვლად. ამას საქართველოში ახალი საშინაო ბრძოლა უნდა გამოეწვია. დაუდ ხანმა სტამბოლში ელჩი გაგზავნა, სულთანს მორჩილება გამოუცხადა და ირანელების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. დანიშვნდს თავისი მოსაზრების დამადასტურებლად მოაქვს შემდეგი ციტატა „ქართლის ცხოვრებიდან“ (ბროსეს თარგმანით): „რა ეს ამბავი (სიმონ მეფის ტყვეობიდან გათავისუფლება — მ. ს.) თფილისის ქალაქს მჯდომს მეფეს დავითს მოუვიდა, იწყინა და ხვანთქართან ჩაფარი გაგზავნა, და ლაშქარი სთხოვა“[7]. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შემდეგი უნდა შევნიშნოთ. მართალია, 1576 წელს ირანის შაჰმა სიმონ I ტყვეობიდან გაათავისუფლა, მაგრამ იგი ქართლის გამგებლად არ დაუნიშნავს და სიმონი მაშინვე არ დაბრუნებულა საქართველოში. ირანის შაჰმა იგი საქართველოში დააბრუნა მხოლოდ ოსმალეთის საქართველოში შემოჭრის შემდეგ. ქართული წყაროების მიხედვით, სიმონი სამშობლოში 1579 წელს დაბრუნდა[8]. ამის გამო ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ დაუდ ხანს დახმარება ეთხოვოს სულთნისათვის. დავუშვათ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა სწორია და რომ დაუდ ხანმა ელჩი გაუგზავნა

---

[5] تواریخ چلبی, ტ. II, გვ. 36, 37; თარგმანი, გვ. 36, 37.

[6] I. H. Danişmend, op. cit. c. III, s. 17.

[7] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 518.

[8] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 372.

სულთანს და მას დახმარება სთხოვა. მაგრამ ის, თუ როგორ შეხვდა დაუდ ხანი მის „დასახმარებლად“ წამოსულ ლაშქარს, ნათელყოფს ოსმალეთის ჰეშმარიტ მიზანს. მეგობრული მიზნით წამოსულ ლაშქარს, როგორც ამას წარმოგვიდგენს დანიშმენდი, რასაკვირველია, მტრულად არ ხვდებიან. სრულიად საწინააღმდეგო ვითარება შეიქმნა საქართველოში; დაუდ ხანმა პასუხი არ გასცა ლალა ფაშას წერილს და მიმართა ისეთ უკიდურეს ზომას, როგორიცაა თბილისის გადაწვა, თვითონ კი მთებს შეაფარა თავი. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ოსმალები ქართლში მოდიოდნენ არა დაუდ ხანის მოწვევით, არამედ საკუთარი ინიციატივით, ქვეყნის დასაპყრობად.

დანიშმენდი აგრეთვე ცდილობს დაამტკიცოს, რომ დაუდ ხანის მსგავსად ამიერკავკასიის სხვა გამგებლებმაც დახმარება სთხოვეს ოსმალეთს და მას მორჩილება გამოუცხადეს[9]. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს .ალის „ნუსრეთ-ნამედან“ ვიცით, რომ ლალა მუსტაფა ფაშა, ვიდრე ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ ლაშქრობას დაიწყებდა, ამ ქვეყნების გამგებლებს წერილები გაუგზავნა და მათგან მორჩილება მოითხოვა[10]. ასეთი ხასიათის წერილების გაგზავნა სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამ ქვეყნების გამგებლები ლალა მუსტაფა ფაშას დახმარებას თხოვდნენ, არამედ, პირიქით, ლალა ფაშა მოითხოვდა მათგან დახმარებას. მართალია, ამიერკავკასიის ზოგიერთმა გამგებელმა ლალა ფაშას მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ ეს „მორჩილება“ იძულებითი იყო.

ამრიგად, თურქი ისტორიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამიერკავკასიაში ოსმალთა ლაშქრობა მოეწყო თვით ამ ქვეყნების გამგებლების „თხოვნით“, მათი „მოწვევით“, რაც არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

ოსმალეთში ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებას ყველა როდი უჭერდა მხარს. ასე, მაგალითად, ოსმალეთის დიდი ვეზირი მეჰმედ სოკოლუ ირანთან ომის დაწყების წინააღმდეგ გამოდიოდა. მისი აზრით, ოსმალეთის ლაშქარი, ირანის სამფლობელოების დაპყრობის შემთხვევაშიაც კი, ვერ შეძლებდა დაპყრობილი ტერიტორიის დამორჩილებას. ამავე დროს ომის შედეგად მოპოვებული ნადავლი ვერ დაფარავდა ომის ხარჯებს, რის გამოც ქვეყნის ეკონომიური ვდგომა-

---

[9] I. H. Danişmend, op. cit. c. III, s. 17; ბ. ქუთუკოღლუ მიუთითებს, რომ ამას რელიგიური საფუძველიც ჰქონდა. ასე, მაგალითად, მისი ცნობით: „მიიტი მმართველით აღშფოთებულმა შირვანელებმა დახმარებისათვის მიმართეს სტამბოლს და გაგზავნეს იქ თავისი წარმომადგენელი“ (B. Kütükoğlu, op. cit. s. 29, 102).

[10] نصرتنامه عالی, ფ. 15—17; J. Hammer, v. VII, pp. 76, 77.

რეობა კიდევ გაუარესდებოდა. დიდ ვეზირს თავისი პოზიციის გასამტკიცებლად მოჰყავდა სულეიმან ბრწყინვალეს მაგალითი, რომელმაც, მიუხედავად ირანთან ომში მოპოვებული სამხედრო წარმატებებისა, მაინც ვერ შეძლო დასახული მიზნის განხორციელება. ფეჩევი დიდი ვეზირის დამოკიდებულებას ირანთან ომის დაწყების საკითხში შემდეგნაირად ახასიათებს: „ირანზე გალაშქრება ეწინააღმდეგებოდა დიდი ვეზირის მეჰმედ ფაშის სურვილს. ამიტომ მან ომის თავიდან ასაცილებლად დიდი მონდომებითა და მცდელობით მიიღო ღონისძიებები. მან რამდენიმეჯერ მოახსენა უფალ ფადიშაჰს ომის საშიშროებისა და უარყოფით მხარეებზე. უპირველესად ყოვლისა, ამბობდა ის, ყულის ჯარი აღდგება, ჯარისკაცთა ჯამაგირი და სხვა ხარჯები გაიზრდება, რეაია გადასახადებისაგან და ჯარის თავდასხმისაგან გაჩანაგდება: ირანის ქვეყანა კიდევაც რომ დავიპყრათ, მისი მოსახლეობა მაინც არ მიიღებს ჩვენს ქვეშევრდომობას; სალაშქრო ხარჯებს პროვინციიდან შემოსული გადასახადები ვერ დაფარავს. თქვენმა დიდებულმა წინაპარმა ... სულთან სულეიმანმა რაები არ გადაიტანა; და როცა მათ შორის ზავი დაიდვა, რა სიმწარე და უბედურება შეხვდა. ვინც ამას არაფრად აგდებს, მან არ იცის, თუ რა არის ირანთან ომი; მას არ შეუძლია შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა. ათას ამგვარ დაბრკოლებებზე ილაპარაკა, მაგრამ რამდენიც არ ეცადა, შედეგს ვერ მიაღწია“[11].

ამგვარად, დიდი ვეზირის ცდა, ხელი შეეშალა ირანთან ომის დაწყებას, ამაო აღმოჩნდა. ომის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

ირანთან ომის დაწყების მომხრეთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლალა მუსტაფა ფაშა[12] (სულთნის აღმზრდელი და კვიპროსის დამპყრობი) და სინან ფაშა[13] (იემენისა და ტუნისის[14] დამმორჩილებელი).

1577 წლის ბოლოს სულთანმა გადაწყვიტა ომი დაეწყო ირანის წინააღმდეგ[15].

1578 წ. 2 იანვარს სულთანმა ირანის წინააღმდეგ ომში ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნა ლალა მუსტაფა ფაშა[16].

---

[11] جودت تاریخ, ტ. II, გვ. 36, 37; თარგმანი, გვ. 37.

[12] ლალა მუსტაფა ფაშას შესახებ დაწ. იხ. ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 98—100; Şeraîettin Turan, Lala Mustafa Paşa hakkında notlar ve vesikalar, «Belleten», c. XXII, № 85—88, Ankara, 1958, s. 551—593.

[13] სინან ფაშას შესახებ: Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1388, 1389.

[14] E. Charrière, Relationes..., v. III, p. 723; B. Kütükoğlu, op. cit. s. 27.

[15] E. Charrière, Relationes..., v. III, p. 723.

[16] B. Kütükoğlu, op. cit., s. 30.

ბუნებრივია, რომ ირანთან ომის შემთხვევაში სულთანი შეეცდებოდა ევროპის სახელმწიფოებთან დაზავებას. ეს ასეც მოხდა: 1577 წ. სულთანმა ზავი დადო ავსტრიის იმპერატორთან, 1578 წელს — პოლონეთთან. ამასთანავე სულთანმა გადადგა ნაბიჯი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის[17].

სურ. 2. ლალა მუსტაფა ფაშა

1578 წ. 5 აპრილს ლალა მუსტაფა ფაშამ სტამბოლი დატოვა და მრავალრიცხოვანი ლაშქრით ირანის წინააღმდეგ საომრად გაემართა. მას დავალებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა და მისი ოსმალეთისათვის დამორჩილება.

ოსმალეთის ლაშქარი მეტად მრავალრიცხოვანი იყო. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ოსმალეთის ლაშქარი 200 000 კაცისაგან შედგე-

[17] Н. А. Смирнов. Россия и Турция, т. I, стр. 126.

ბოდა; მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ფრიგიელები, პალესტინელები, იუდელები, პონტელები, ეგვიპტელები, უნგრელები, აფრიკელები, ბერძნები და სხვ.

აქედან 100 000 მეომარი იმ დროისათვის კარგად იყო შეიარაღებული. ლაშქარს თან ახლდა 500-მდე სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი[18].

მინადოის ცნობით, ოსმალთა ლაშქარი 300 000 კაცს შეადგენდა[19], ისქანდერ მუნშის — 100000[20].

ოსმალური წყაროები და თანამედროვე თურქი ისტორიკოსები ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრის რაოდენობას საგრძნობლად ამცირებენ. ლაშქრობაში მონაწილეობა ებრძანათ 5 000 იანიჩარს, რამდენიმე სიფაჰთა და ჯებელუთა ბოლუქს, მეზარბაზნეებს. მთავარსარდლის ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ არზრუმის, დიარბექირის, სივასის, ყარამანიის, მარაშისა და ჰალეპოს ბეგლარბეგები თავიანთი ლაშქრით. გარდა ამისა ომში მონაწილეობა დაეევალა აგრეთვე ყირიმის ხანს თავისი ლაშქრით[21].

ოსმალეთის ლაშქრის მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და საჰურველით დაევალა არა მარტო ანატოლიის (ოსმალეთის აზიური ნაწილი), არამედ რუმულიის (ევროპული ნაწილი), ეგვიპტესა და კუნძულ კვიპროსის გამგებლებსაც. ევროპიდან ლაშქრისათვის გათვალისწინებული ტვირთი გემებით ტრაპიზონისა და ბათუმის ნავსადგურებში ჩაჰქონდათ, ხოლო იქიდან კი ხმელეთით — არზრუმში[22].

ლალა მუსტაფა ფაშამ დატოვა სტამბოლი და ლაშქრითურთ უსქუდარში გადავიდა, იქიდან კი გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. ოსმალეთის ლაშქარმა გაიარა იზმირი, კონია, კაისერი, სივასი, ვანი და არზრუმში ჩავიდა. ლაშქრის ერთი ნაწილი ზღვით გაემგზავრა და ტრაპიზონში ჩავიდა.

გზადაგზა ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარს უერთდებოდნენ სხვადასხვა პროვინციების გამგებლები თავისი ლაშქრითურთ.

3 ივლისს ლალა ფაშა არზრუმში ჩავიდა და იქ 20 ღღეს დაჰყო.

ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია პროფ. გ. ტივაძის შეხედულება, რომ

---

18 Don Juan of Persia, Relaciones, p. 132.

19 T. M i n a d o i, Historia della guerra fra Turchi et Persiani, p. 25.

20 Iskender Mounchi, p. 472; ისქანდერ მუნში, გვ. 28.

21 جودی تاریخ, ტ. II, გვ. 38. თარგმანი, გვ. 37; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 138.

22 B. K ü t ü k o ğ l u. op. cit. s. 30—37.

„მუსტაფა ლალა-ფაშა მიუხედავად ზამთრის არახელსაყრელი პირობებისა, დაიძრა არზრუმისა და ყარსის მიმართულებით"[23].

არზრუმში ლალა მუსტაფა ფაშამ ლაშქარი დაასვენა და სურსათსანოვაგე მოიმარაგა.

კარმელიტი მისიონერების ცნობით, ლალა ფაშამ არზრუმში სამხედრო აღლუმი მოაწყო. რამდენიმე სპარსელი ტყვე კედელზე აიყვანეს იმ განზრახვით, რომ მათ კარგად დაენახათ თურქეთის ლაშქრის შეიარაღება და ძლიერება. ერთი ამ ტყვეთაგანი ლალა მუსტაფა ფაშამ გაათავისუფლა, დაასაჩუქრა და შაჰთან წერილით გაგზავნა. შაჰისადმი გაგზავნილ წერილში ლალა მუსტაფა ფაშა წერდა: „დიდად ბრწყინვალე სპარსეთის შაჰო! მე, ლალა მუსტაფა ფაშა, სულთან მურადის ვეზირი და ოსმალეთის იმპერიის მთელი ჯარების მთავარსარდალი, გაცნობებთ, რომ აქ მოსული ვარ ურიცხვი ქვეითი ჯარით, 300 000 ცხენოსანით და 600 ქვემეხით, ექვსი ათასი იანიჩარით, რათა დავსაჯო ისინი, ვინც თქვენი ძმის ისმაილის მოწამლაში დამნაშავეა და ამისათვის ქრისტიანი ქართველების ქვეყანა უნდა დავიკავო, ხოლო თუ თქვენი აღმატებულება გზას გადამიღობავს და ამ ხალხის დაცვას შეეცდება, მაშინ ჩემი ბრძანების თანახმად, იძულებული ვიქნები აგრეთვე თქვენ შეგებრძოლოთ. ეს დიდად სასახელო არ იქნება ჩემთვის, თუ კი, თურქეთის დიდი სულთანის მონა, — თქვენ, როგორც სპარსეთის მეფეს, დაგატყვევებდით; სულ საწინააღმდეგო რომ მოხდეს, თქვენ უსაზღვრო სახელს მოიხვეჭავთ მთელ ქვეყანაზე, თუ კი ისეთ კაცს, როგორც მე ვარ, ტყვედ ჩაიგდებს თქვენნაირი მეფე. გნებავთ ამაზე მიპასუხეთ, ვიდრე შირვანს მივადგებოდე და ამ ხალხს დავსჯიდე"[24].

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ი. ფეჩევის ცნობა: „ყიზილბაშებთან ჯერ კიდევ დაზავებასა და მშვიდობიანობაზე იყო ლაპარაკი, ოღონდ საქართველოს ბეგებიდან ზოგიერთები ურჩობდნენ და, ამიტომ, ამბობდნენ ისინი, მათ დასამორჩილებლად და დასაწყნარებლად მოვდივართო"[25].

როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, რადგანაც ოსმალეთს ირანთან ომის დაწყების საბაბი არ ჰქონდა, ამიტომ იგი ირანთან დაწყებული ომის მიზეზად იმას ასახელებდა, რომ საქართველოს ურჩი ბეგების „დასაწყნარებლად" მოდიოდა.

---

[23] გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში „მნათობი", 1947, № 10, გვ. 145.

[24] A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 16.

[25] ვახუშტი ბატონიშვილი, ტ. II, გვ. 38, თარგმანი, გვ. 38.

ლალა მუსტაფა ფაშამ წერილები გაუგზავნა აგრეთვე ამიერკავკასიის მფლობელ-გამგებლებს. მათ შორის კახეთის მეფეს ალექსანდრეს, ლევანის ძეს, დაუდ-ხანს, ლუარსაბის ძეს გიორგი იმერეთის მეფეს, მანუჩარს, გურიელს და დადიანს. ლალა ფაშა მათ მოუწოდებდა მორჩილნი ყოფილიყვნენ და ეომათ ირანის წინააღმდეგ[26].

ლალა მუსტაფა ფაშას წერილებიდან შეიძლებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ თითქოს თურქეთი კმაყოფილდებოდა მხოლოდ ვასალური დამოკიდებულებით. მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ მალე გამოამჟღავნა მისი ნამდვილი ზრახვები.

არზრუმიდან გამგზავრების წინ ლალა მუსტაფა ფაშამ სამხედრო საბჭო მოიწვია. მასზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაეკავებინათ ჯერ საქართველო, შემდეგ კი — შირვანი და დაღისტანი[27].

23 ივლისს ლალა ფაშამ არზრუმი დატოვა და აღმოსავლეთისაკენ გაემართა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწილებულმა საქართველომ ვერ შეძლო დამპყრობლის წინააღმდეგ თავისი ძალების გაერთიანება. საქართველოს მეფე-მთავრები თავისი პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ და თუ მათთვის ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა, ისინი ოსმალეთის სარდალს მორჩილებასაც კი უცხადებდნენ. ლალა მუსტაფა ფაშამ მოხერხებულად გამოიყენა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა ოსმალეთის ინტერესების სასარგებლოდ. ყოველივე ამის გამო, დამპყრობელმა, მიუხედავად ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლისა, შეძლო საქართველოში გარკვეული წარმატებების მოპოვება.

5 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარი არტაანში ჩავიდა. არტაანის აღმოსავლეთიდან იწყებოდა საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) საზღვარი. ამ დროს სამცხე-საათაბაგოში შიდაფეოდალური ბრძოლა მიმდინარეობდა, რის გამო ქვეყანა მტერს მოუმზადებელი შეხვდა[28]. ათაბაგის სახლის წევრებს შორისაც არ იყო სრული თანხმობა. 1573 წელს გარდაიცვალა ათაბაგი ქაიხოსრო II (1545—1573), მისი სიკვდილის შემდეგ კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა უფროსი ვაჟი ყვარყვარე IV, მაგრამ მას ხელისუფლებას ეცილებოდა მომდევნო ძმა მანუჩარი. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აგრეთვე აქ-

---

[26] عالی نصرتنامه, ფ. 15, 16, 17.

[27] Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1319.

[28] დაწვრილებით იხ. გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში, „მნათობი", № 10, 1947, გვ. 122—144; ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 153—162.

ტიურ მონაწილეობას იღებდა ქაიხოსრო II მეუღლე დედისიმედი (ყვარყვარესა და მანუჩარის დედა).

ლალა მუსტაფა-ფაშამ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობამდე მანუჩარს წერილი გაუგზავნა და მას მორჩილება მოსთხოვა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლალა მუსტაფა ფაშამ მორჩილების წერილი გაუგზავნა მანუჩარს და არა სამცხის ათაბაგს ყვარყვარე IV[29].

მანუჩარისათვის ნათელი იყო, რომ შექმნილ ვითარებაში ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქრისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ იქნებოდა ეფექტური. მან გადაწყვიტა ოსმალეთის სარდალთან მოლაპარაკება დაეწყო და აეძულებინა იგი გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. ამავე დროს მანუჩარი ლალა ფაშასთან მოლაპარაკებას აჭიანურებდა. იგი უცდიდა, თუ ირან-ოსმალეთის ბრძოლაში რომელი მხარე გამოვიდოდა გამარჯვებული.

ლალა მუსტაფა ფაშასა და მანუჩარს შორის დაწყებული მოლაპარაკება დაწვრილებითაა გადმოცემული ალის „ნუსრეთ-ნამეში“. მასში დაცულია ლალა ფაშას მიერ მანუჩარისადმი გაგზავნილი წერილების ასლები. სამწუხაროდ, „ნუსრეთ-ნამეში“ არ მოიპოვება მანუჩარის პასუხი ლალა ფაშასადმი, მისი შინაარსი ირკვევა მხოლოდ ლალა ფაშას წერილებიდან.

ჯერ კიდევ არზრუმში ყოფნის დროს, 1578 წ. ივლისში ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარს წერილი გაუგზავნა და მას მორჩილება მოსთხოვა[30].

მუქარით აღსავსე ეს წერილი, ფაქტიურად შეიცავს რამდენიმე ნაწილს: ლალა ფაშა უზომოდ აზვიადებს ოსმალთა ლაშქრის სიმრავლეს, მის საგმირო საქმეებს და მოითხოვს მანუჩარისაგან მორჩილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰპირდება ქვეყნის სრულ განადგურებას. შემდეგ მოდის კონკრეტული წინადადება, თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს მორჩილება: ოსმალეთის ჯარი მოამარაგოს საომარი ია-

---

[29] ამასთან დაკავშირებით ქრ. შარაშიძე წერს: „თურქეთის სარდალმა, ცხადია, კარგად იცოდა რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისი ლაშქრობის წარმატებისათვის საათაბაგოს მმართველ წრეებში არევ-დარევის შეტანას, მათს ზნეობრივად მოშლას. აი რატომ მიმართა მან ზემოთ აღნიშნულ წერილებით მანუჩარს. ეს დამპყრობელის ჩვეულებრივი ხერხი იყო. მაგრამ საყურადღებოა, რომ ადრესატად მან აირჩია არა ათაბაგი ყვარყვარე IV და არც მისი დედა პოლიტიკური ამბების მხურვალე მონაწილე დედისიმედი, არამედ მანუჩარი. ეტყობა მას წინასწარვე ჰქონდა ცნობა ამ პიროვნების ზნეობრივი აცლადიდებისა და მისი უზომო მთავრობისმოყვარეობის შესახებ“. (ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 166, 167.

[30] نصرتنامه عالی ფ. 37.

რაღით, სურსათ-სანოვაგით, და ოსმალებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში და მეგზურობა გაუწიოს მას. ყოველივე აქის საფასურად, ლალა მუსტაფა ფაშა მანუჩარს პირდებოდა, რომ მისი ქვეყანა „დაცული და გაშენებული იქნებოდა“.

გარდა ამისა ლალა მუსტაფა ფაშა მანუჩარს პირდებოდა, ზოგადად, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე, რომ იგი მიიღებდა „პატივისცემასა და ყურადღებას იმ დონეზე, რომელიც შენ აზრადაც არ მოგივა“, მაგრამ ჩანს მანუჩარს არ აკმაყოფილებდა სარდლის ასეთი გაურკვეველი დაპირებანი.

მანუჩარმა ლალა ფაშას საპასუხო წერილი გაუგზავნა და მას გარკვეული მოთხოვნა წაუყენა. ეს კარგად ჩანს ლალა ფაშას მიერ მანუჩარისადმი გაგზავნილი მეორე წერილიდან: „შენ მოგითხოვია წიგნი და პირობა მამაპაპეული და შენს მფლობელობაში მყოფი ციხეების განსაზღვრისა და ბოძების შესახებ“[31].

ამრიგად, მანუჩარი ლალა ფაშასაგან მოითხოვდა არა მარტო მის მფლობელობაში მყოფი მამულების შენარჩუნებას, არამედ კიდევ უფრო მეტი, მას სურდა დაებრუნებინა ის ადგილები და ციხეები. რომლებსაც ადრე მისი წინაპრები ფლობდნენ, ან მანუჩარს ჰქონდა დაკარგული შიდაფეოდალური ბრძოლის შედეგად (აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ძალიან ლეთი ნაწილი ადრე დაიპყრეს). ამგვარად, მანუჩარი ოსმალთა დახმარებით ცდილობდა როგორც ოსმალების მიერ ადრე დაპყრობილი მიწების, ისე შიდაფეოდალური ბრძოლის შედეგად დაკარგული მამულების დაბრუნებას.

ლალა მუსტაფა ფაშა ჩანს იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა მანუჩარის მოთხოვნა. იგი მანუჩარს წერდა: „ასე იყოს. სასწრაფოდ გამომიგზავნე ჩვენთან ელჩი და შენი შვილთაგანი ვინმე გამოცდილი, ანდა, შენი ძმათაგანი ვინმე, სწორად მოლაპარაკე, მკვირმეტყველი“[32]. მაგრამ ლალა ფაშა დასძენდა, რომ მისი ეს სურვილი დაკმაყოფილებული იქნებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მანუჩარი საქმით დაამტკიცებდა ოსმალეთისადმი ერთგულებას.

მანუჩარსა და ლალა ფაშას შორის მოლაპარაკება ამით არ დამთავრებულა. მანუჩარმა ლალა ფაშას კვლავ გაუგზავნა წერილი და მას ახალი მოთხოვნა წაუყენა. ამჯერად მანუჩარი მოითხოვდა, რომ ოსმალებს ხელი არ ეხლოთ ადგილობრივი მოსახლეობისა და რე-

---

[31] نصرتنامه عالی ფ. 71.

[32] იქვე.

ლიგიისათვის. ლალა ფაშა მანუჩარს წერდა: „მოითხოვ, რომ ეცნობოს შენს ქვეშევრდომებს, რათა თქვენი ქვეყანა დაცულ იქნას ძარცვა-გლეჯისაგან და გაცამტვერებისაგან, განსაკუთრებით კი სარწმუნოება. ამიტომ დაიწერა ეს მშვიდობიანი წერილი და პირობა გამოგეგზავნათ თქვენ. ასე იყოს“[33].

ამგვარად, ლალა მუსტაფა ფაშა კვლავ იძულებული შეიქნა ახალ დათმობაზე წასულიყო მანუჩარის მიმართ. სამცხე-საათაბაგოს რელიგიის (ქრისტიანობის) დაცვა ოსმალთა. ხელყოფისაგან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო „ქართველობის“ დაცვის საქმეში.

ამავე დროს ლალა ფაშა მანუჩარს აცნობებდა: „თქვენ თვითონ, თქვენს ქვეშევრდომებს, ციხეებს, ნაჰიებსა და თქვენს ნათესავებს ჯარისკაცთაგან არავითარი გზით არავინ არ გაეკარება და წინააღმდეგობას არ გაუწევს. თქვენ თვითონ ბედნიერად იქნებით და თქვენი ქვეშევრდომები კეთილდღეობაში იქნებიან. თქვენს მფლობელობაში მყოფი ადგილები, ისევე როგორც უწინ, თქვენს განკარგულებაში იგულეთ“[34].

მაშასადამე, ლალა ფაშა მანუჩარსა და ათაბაგის სახლის წევრებს უნარჩუნებდა მათ მფლობელობაში მყოფ მიწებს. იგი აგრეთვე პირდებოდა დაკარგული მამაპაპეული მამულების დაბრუნებასაც. და, საერთოდ, მათ მფლობელობაში მყოფი ადგილების ხელშეუვალობას.

ლალა მუსტაფა ფაშასა და მანუჩარის მიმოწერიდან აგრეთვე ირკვევა, რომ მანუჩარი მზად იყო გადაეხადა ოსმალეთის სასარგებლოდ გარკვეული რაოდენობის ხარკი[35].

თუ შევადარებთ ერთიმეორეს ლალა მუსტაფა ფაშას წერილებს მანუჩარისადმი, დავინახავთ, რომ თუ პირველი წერილი მუქარითა და მკვახე ტონით იყო დაწერილი, შემდგომ წერილებში ეს უკვე აღარ ჩანს. პირიქით, ლალა ფაშა მოუწოდებს მანუჩარს „გულმოდგინებითა და მუყაითად“, ‹„სულითა და გულით“ დაეხმაროს ოსმალეთის ლაშქარს.

ლალა მუსტაფა ფაშასა და მანუჩარის მოლაპარაკებიდან ირკვევა: ოსმალეთსა და სამცხე-საათაბაგოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე უნდა დამყარებულიყო. ოსმალეთი მანუჩარსა და ათაბაგის სახლის წევრებს უნარჩუნებდა მათ მფლობელობაში მყოფ მიწებს და აგრეთვე პირდებოდა დაკარგული

---

[33] نصرتنامه عالی, ფ. 71.

[34] იქვე.

[35] იქვე.

მამულების დაბრუნებასაც. თურქი სარდალი აგრეთვე პირდებოდა სარწმუნოების (ქრისტიანობის) და ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეუვალობას; თავის მხრივ, ლალა მუსტაფა ფაშა მანუჩარისაგან მოითხოვდა, ოსმალეთის ჯარი მოემარაგებინა საომარი იარაღით, სურსათ-სანოვაგით და მასთან ერთად მონაწილეობა მიეღო ოსმალეთა ლაშქრობაში და მეგზურობა გაეწია მათთვის.

ოსმალეთის სარდალი მზად იყო დაეკმაყოფილებინა მანუჩარის მოთხოვნა, მაგრამ მანუჩარი არ ჩქარობდა ოსმალეთის მხარეზე გადასვლას და აჭიანურებდა მოლაპარაკებას.

იმ დროს, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშასა და მანუჩარს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ოსმალებმა გადმოლახეს სამცხე-საათაბაგოს საზღვარი და მის დაპყრობას შეუდგნენ. არტაანში მცირეოდენი შესვენების შემდეგ, ოსმალთა ლაშქარი აღმოსავლეთისაკენ გამოემართა და ბეჰრე ჰათუნის ველზე დაბანაკდა. სწორედ, აქედან იწყებოდა საქართველოს საზღვარი.

7 აგვისტოს ოსმალებმა პირველი იერიში მიიტანეს საქართველოს საზღვრებზე მდებარე მგელ ციხეზე. ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს და მათ ვერ შეძლეს ციხის აღება. „მესხური მატიანე“ გვაუწყებს: „მარიამობისთუჱს 7, ხუთშაბათს დღესა ხუანთქარის ლაშქარი და ლალა ფაშა მგელციხის ციხეს მოადგეს, შეიბნეს. სამშაბათამდის ყოველთ დღეთ ომში იყუნეს ციხოანი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა — ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა და ღთის შეწევნით უკუყარნეს და ციხე ჩ̆ნეე დაგურჩა ჩ̆ნთა გაემარჯუა“[36].

8 აგვისტოს ოსმალებმა გააძლიერეს შეტევა და, მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, მთელი რიგი ციხეები დაიპყრეს. „პარასკევს დღესა, 8 მარიამობისთუჱსა ქაჯის ციხე, ველი და თეთრციხე წაგუართუჱს ურუმთა და ქაჯის ციხის მეციხოვნენი სრულად შემოეკოცნეს“[37]. ი. ფეჩევი იძულებულია აღიაროს, რომ „მაღალი ალლაჰის შემწეობით სასტიკი ბრძოლის შემდეგ“[38] დაპყრობილ იქნა ქართველთა ციხეები. ამ ციხეების დაპყრობის შემდეგ ოსმალთა ლაშქარი ჩილდირის ველზე დაბანაკდა.

ოსმალეთის ლაშქრის მოქმედებით შეშფოთებულმა ირანის შაჰმა სასწრაფო ზომები მიიღო მისი წინსვლის შესაჩერებლად. ჩილ-

---

[36] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 47.

[37] იქვე, I. H. Danişmend, op. cit. c. III, s. 21.

[38] ჯეჯე ჩელებ, ტ. II, გვ. 41; თარგმანი, გვ. 39.

დირის ველზე ოსმალებს ყიზილბაშებმა საქართველოში შესასვლელი გზა გადაუღობეს. ორივე მხარე ბრძოლის სამზადისს შეუდგა. ირანელთა ლაშქარს სარდლობდნენ თოქმაქ-ხანი, იმამ ყული-ხანი და ყარა-ხანი. 1578 წ. 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე ოსმალებსა და ირანელებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა. ირანელთა ლაშქარი 30.000 კაცს შეადგენდა. წყაროებიდან ირკვევა, რომ ირანელთა მხარეზე ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. ბრძოლის დაწყების წინა ღამეს კოკისპირული წვიმა მოვიდა, რამაც გააძნელა ოსმალთა ზარბაზნებისა და ცეცხლმსროლელი იარაღის მოქმედება, რაშიაც ოსმალებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ ირანელებზე. ჩილდირის ბრძოლა მეტად ცხარე ხასიათს ატარებდა და ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ოსმალებმა 500 ტყვე და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. 5000 ყიზილბაში ბრძოლის ველზე დაიღუპა[39].

„მესხური მატიანე" ჩილდირის ბრძოლას ასე აგვიწერს: „9 შაბათსა, დილასა ძურძნასა და წინწყალს შუა აზრუმისა და ვანის ფაშა მოვიდეს და სულთანი და ყარახან ბაზუქლუ, კიდევ, მუღალუს ბატონი, იქ შეიყარნეს. მაჰმადი-სულთან გორაზე წამოადგა; მისი ვინც იყო, გუერც მოიყენა და სხუაჲ ბატონები შეებნეს ურუმთა. პირველად გაიმარჯუეს ყიზილბაშთა და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯუეს"[40].

ჩილდირის ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ოსმალებს საშუალება ეძლეოდათ დაეწყოთ ლაშქრობა ქართლისა და შირვან-აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

ჩილდირის ბრძოლის მეორე დღეს, ე. ი. 10 აგვისტოს, როდესაც გაირკვა, რომ გამარჯვება ოსმალებს ხვდა წილად, მანუჩარმა გადაწყვიტა ოსმალებისათვის მორჩილება გამოეცხადებინა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ცნობა მოეპოვება ი. ფეჩევის: „ხსენებული მთავარი (მანუჩარი — მ. ს.) 6 ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის კალთებიდან გამარჯვებულს და დამარცხებულს თვალყურს ადევნებდა. იდგა იქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას აპატიებდა. და როგორც კი გაიგო, თუ რა ბედი ეწვია თოქმაქ-ხანს, წამოვიდა (მანუჩარი) და დილას ღირსეული სარდლის კარავში მოვიდა"[41].

---

[39] 62. ص, عالی نصرت : یچوی چیرتا ტ. II, გვ. 39—41; თარგმანი, გვ. 39—40.

[40] სამხრეთ საქათველოს ისტორიის მასალები, გვ. 48.

[41] یچوی چیرتا, ტ. II, გვ. 41; თარგმანი, გვ. 41

დაახლოებით იგივე შინაარსის ცნობა მოაქვს მეორე ოსმალო ისტორიკოს მუსტაფა სელანიქს: „დედაბრის შვილის (ასე უწოდებს მანუჩარის დედას დედისიმედს — მ. ს.) სახელით ცნობილი, ლივას მფლობელი მანუჩარი, რომელიც საქართველოს სახელოვან ამირთაგანი იყო, ძლიერ და განდიდებულ აზნაურებთან ერთად უცქეროდა დაელოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. როდესაც ისლამის თუღის ფუნჯებზე გამარჯვების ნიავმა გადაიქროლა, მახვილი და შურისძიება დაინახა. მთელი თავისი ქვეშევრდომებით მორჩილებით მოვიდა, თავისი ქვეყნის ციხეების გასაღებები მთავარსარდალს მოუტანა და ჩააბარა. რადგანაც ბედნიერების ცენტრის ზღურბლს სთხოვა, რომ სურვილი აქვს პატივნაცემი გახდეს ისლამის დიდებით, გაიცა ბრძანება მისი (თხოვნის) სტამბოლში გასაგზავნად“[42].

ლალა მუსტაფა-ფაშას მანუჩარის მორჩილება დიდად ესიამოვნა. მან მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა. ოსმალეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მანუჩარის მხარდაჭერას ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი დიდი ალერსით მიიღო და ამის შესახებ სულთანს აცნობა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, მომავალი დიდი ამბების დასაწყისის კარგი მომასწავებელი[43]. მინადოის ცნობით, მანუჩარის მოსვლამ ოსმალთა ბანაკში გააორკეცა მუსტაფას სიხარული. მან ბრძანა, რომ ყველა ფაშა და ჯარის ნაწილების სხვა მეთაურები სრული წესრიგით, დიდი ზეიმით, საყვირების დაკვრით, ზარბაზნების სროლით და სიხარულით მიგებებოდნენ მანუჩარს და მას წინ გაძღოლოდნენ მანამ, სანამ მანუჩარი მივიდოდა ლალა ფაშას კარავში. როცა მანუჩარი გამოცხადდა მუსტაფასთან, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, გაამეორებინა ზარბაზნებისა და თოფების სროლა და საყვირებისა და დაფდაფების ხმაური. მართალია, ლალა ფაშამ მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა, მაგრამ იქვე უსაყვედურა და დასძინა, რომ მისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, თუ იგი მის მოწოდებას დროზე გამოეხმაურებოდა და მასთან დაუყოვნებლივ გამოცხადდებოდა[44].

როდესაც მანუჩარი ლალა მუსტაფა ფაშასთან მივიდა და მას მორჩილება გამოუცხადა, ამ დროს მთავარსარდლის კარავის წინ მოიყვა-

---

[42] ۱۲۸۱ ،افندی استانبولی مصطفی ,تاریخ سلانیکی თარგმანი, გ. ფ უ თ უ რ იძ ე, მუსტაფა სელანიქი საქართველოს შესახებ, თ. ს. უ. შრომები, 1960, ტ. 91, გვ. 263.

[43] Don Jouan of Persia, Relaciones, p. 139.

[44] T. Minadoi, op. cit., p. 80.

ნეს რამდენიმე ათასი ტყვე ყიზილბაში და თავი წააცალეს. ეს აქტი, როგორც ჩანს, მანუჩარისა და მისი მომხრეების „დასამშვიდებლად“ იყო მოწყობილი. იბრაჰიმ ფეჩევის სიტყვებით, „ეს სანახაობა ქართველებისათვის დიდი მაგალითის მომცემი და ჩამაგონებელი შეიქმნა“-ო[45].

ამგვარად, ლალა ფაშამ მანუჩარს აგრძნობინა, რომ თუ იგი მორჩილებაზე უარს იტყოდა, მას იგივე ბედი ეწეოდა, რაც დატყვევებულ ყიზილბაშებს.

მანუჩარის „მორჩილებით“ ხლება ლალა ფაშას გარკვეულ წარმატებას მოწმობდა, მაგრამ ეს „ხლება“ მანუჩარის თვალსაზრისით, ჩანს, უპირობო მორჩილებას არ ნიშნავდა. ოსმალური და ევროპული წყაროების ანალიზი გვარწმუნებს, რომ „მორჩილების“ პოლიტიკურ ფორმაში სულ სხვადასხვა შინაარსს სდებდნენ მანუჩარი და ხონთქრის სარდალი.

მანუჩარისა და ლალა ფაშას მოლაპარაკებიდან ირკვევა, რომ მანუჩარი მოითხოვდა ოსმალებისაგან ეცნოთ იგი სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ქვეყნის მთავრად. ამას მოწმობს ალის „ნუსრეთ-ნამეში“ მოტანილი მანუჩარის შემდეგი მოთხოვნა: „მანუჩარმა ბრწყინვალე პორტას წერილი გაუგზავნა, თავისი მორჩილება აცნობა და მისი გამგებლობის ქვეშ მყოფი ადგილები რომ მისთვის ებოძა, ამის შესახებ უავგუსტოესის ხელშეკრულება (عهد نامه همایون) მოითხოვა“[46].

მანუჩარი, ცხადია, გულისხმობდა ისეთ ურთიერთობას (მოძალადის დასაკმაყოფილებლად), როგორსაც ოსმალეთი ჩვეულებრივ აღიარებდა ხოლმე საქართველოს იმ ნაწილში, სადაც დამპყრობელი იძულებული იყო კომპრომისის გზას დადგომოდა და მოხარკეობას დასჯერებოდა.

მანუჩარს კარგად ესმოდა, რომ შექმნილ ვითარებაში მოხარკეობაზე უფრო მსუბუქ ფორმას ის ვერ მოითხოვდა. სულ სხვას აპირებდა ოსმალეთის ლაშქრის სერასკერი. ლალა მუსტაფა ფაშა თავისებურად აკმაყოფილებდა მანუჩარის მოთხოვნას. იგი, მართალია,

---

[45] جوجی بیک, ტ. II, გვ. 41; თარგმანი, გვ. 41.

[46] عالی نصرتنامه, ფ. 71; საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩის ცნობით, მანუჩარმა ლალა ფაშას მოთხოვა მისთვის გადაეცათ 40 ქალაქი და 40 სოფელი. E. Alberi, Relazioni, serie, III, v. II, p. 442. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ქალაქები და სოფლები სამცხე-საათაბაგოში მდებარეობდნენ.

ბატონობას უნარჩუნებდა ათაბაგის სახლის წევრებს, მაგრამ მხოლოდ ოსმალეთისათვის მისაღებ ფორმაში. ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოში აკმაყოფილებდა არა მოხარკეობაზე დაფუძნებული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა, არამედ დაპყრობილი ქვეყნის სრული ინკორპორაცია, მისი საფაშოდ გადაქცევა, სანჯაყებად დაჭუცმაცება. ოსმალებს აქ მოხელე (ფაშა) სჭირდებოდათ და არა მთავარი (ათაბაგი). ოსმალეთს არ სურდა, რომ სამცხე-საათაბაგო ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული ყოფილიყო. ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარსა და მის სახლის წევრებს „შემდეგნაირად მიუგო პატივი: ქაიხოსროს შვილთაგანს ზემოხსენებულ მელიქ მანუჩარს — აწყურის სანჯაყი, მის ძმას მელიქ ყვარყვარეს ძველთაგანვე მისი დაბადების ადგილი — ოლთისის სანჯაყი და სხვა მის ძმებს — დიდი ზეამეთები და მათ დედას ზემოაღნიშნულ დედისიმედს — სამი სოფელი — სახასო მამული“[47].

ამავე დროს მანუჩარს გაეგზავნა ბედნიერების ნიშანი — სამეფო დროშა და ქვეყნის დამპყრობლის დაფი და ნაღარა; სახელოვანი სარდლისაგან ეწყალობა ოქროს უნაგირი, ვერცხლის რახტი და სრული მოწყობილობის კარავი, განსაკუთრებით კი სანუკვარი ხალათები და საფადიშაჰო დროშის შესაბამისად ნაირნაირი პატივისცემით იქნა შეწყალებული[48].

ამგვარად, ლალა მუსტაფა ფაშა ათაბაგის სახლის წევრებს (მანუჩარსა და ყვარყვარეს) სანჯაყებს უწყალობებდა, ხოლო დანარჩენებს (მის ძმას ბექას და დედამისს დედისიმედს) — მიწებს ხასისა და ზეამეთების საფუძველზე, ე. ი. ათაბაგის სახლის წევრებს მიწები ეძლეოდათ ოსმალური მიწისმფლობელობის საფუძველზე. ეს კი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ოსმალეთის მთავრობა საერთოდ მიღებულ წესს არღვევდა, ათაბაგის სახლის წევრებს ქრისტიანობით[49] და არა მაჰმა-

---

[47] نصرتنامه عالی, ფ. 73. ზოგიერთი ავტორის ცნობით, ოლთისი მანუჩარისათვის უბოძებია, ხოლო უმცროსს ძმას ბექას და დედისიმედს (დედამისს) რამდენიმე სოფელი იქტას წესით. I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 23; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1321; Hammer, v. VII, p. 85.

[48] نصرتنامه عالی, ფ. 73.

[49] მცდარია ზოგ მკვლევართა მტკიცება, რომ ამ დროს (1578 წ.) მანუჩარი გამაჰმადიანდა. منجم باشی, ტ. III, გვ. 539; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 22; Mufassal Osmanlı tarihi, c. III, s. 1321). ამ ლაშქრობის მონაწილის მ. ალის ცნობით, მანუჩარს „ისლამით გაპატიოსნების გარდა არც ერთი ნაკლოვანი მხარე არ დარჩა“. (نصرتنامه عالی ფ. 72). სინამდვილეში მანუჩარის გამაჰმადიანება უფრო გვიან მოხდა (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

დიანობით უმტკიცებდა მიწის ნაკვეთებს, რაც მეტად იშვიათი მოვლენა იყო ოსმალეთში[50].

როგორც ვნახეთ, ლალა ფაშამ ყვარყვარეს სანჯაყად ოლთისი უბოძა — მისი დაბადების ადგილი. ეს ფაქტი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ ოლთისი ოსმალებმა XVI ს-ის 40-იან წლებში დაიპყრეს და მასზე ყვარყვარეს უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი უფლება. ამით ლალა ფაშა ერთგვარად აკმაყოფილებდა მანუჩარის მოთხოვნას, უბოძებდა რა ყვარყვარეს დაკარგულ მამა-პაპეულ მიწა-წყალს.

ლალა მუსტაფა ფაშას ღონისძიებებიდან კარგად ჩანდა ოსმალთა ნამდვილი ზრახვები დაპყრობილი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი, ქვეყნის მიმართ. მათი განზრახვა აშკარაა, ქვეყნის სანჯაყებად დაყოფამ საწინდარი უნდა შექმნას მისი დამორჩილებისათვის, უნდა განაპირობოს აქ ოსმალური წესების შემოღება, ქვეყნის გაოსმალება (ოსმალები ამას უკვე ახორციელებდნენ სამცხე-საათაბაგოს მათთვის ადვილად მისაწვდომ ნაწილში, სადაც ოსმალებმა ადრევე შედგეს ფეხი).

ამავე დროს, ლალა ფაშა ათაბაგის სახლის წევრებს შორის მფლობელობის განაწილებით, ფაქტიურად, ახერხებდა ქვეყნის პოლიტიკურ დაქუცმაცებას („დაჰყავი და იბატონე"), თანაც ამგვარი ღონისძიება ათაბაგის სახლის წევრებს შორის თესავდა განხეთქილების ისეთ თესლს, რომლის გაღვივება მხოლოდ ოსმალეთისათვის იქნებოდა სასარგებლო.

ლალა ფაშა მარჯვედ მოქმედებდა. მას მხარს უჭერდნენ ათაბაგის მოღალატე ქართველი ფეოდალები.

ლალა ფაშას მიერ ქვეყნის სანჯაყებად დაყოფა აღნიშნულია ქართულ წყაროებშიც. „მესხური მატიანე" ზოგადად ადასტურებს ოსმალური წყაროების ცნობებს და რიგ შემთხვევაში, კიდევაც ავსწორებს და ავსებს მათ. ქართული წყარო ზემოთ აღნიშნული ამბის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „კუირას, 10 მარიამობისთუსსა პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა. ვერც ლაშქრის ომსა და ვერც ციხეების აღებას ვერ მიესწრა"[51].

---

[50] ანალოგიურ მოვლენას, რიგ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ოსმალების მიერ ბალკანეთის ქვეყნების დაპყრობისას. იხ. H. Inalcik, Ottoman methods of conquest, p. 115.

[51] ჩვენ საკუთარი ვიზიარებთ ქრ. შარაშიძის შეხედულებას, რომ ვახუშტის დასკვნა, თითქოს მანუჩარმა ქაჯის ციხესათვის „შემოიკრიბნა სპანი" — არ არის სწორი. ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 48, შენ. 9.

აგრეთვე არფაქსად ჰბირდებოდა ექუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძღუნა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა, იმწამს გამოოჰგუარეს, ციხეები გამოართუმს და ხახული სასანჯახოდ მისცეს.

პატრონმა მანუჩარ იზ ამავე თუმსა თმოგვის ციხე მისცა ლალა ფაშასა. ახალქალაქი უწინ წაართუმს — კოკოლას მეციხოვნე იდგა და იქიდამ მისცა თმოგუი"[52].

ლალა მუსტაფა ფაშას აღნიშნული ღონისძიებანი მხოლოდ „ოსმალობის" დასაწყისს ნიშნავდა. უფრო შორს წასვლა იმ დროს სახიფათო ჩანდა. ლალა მუსტაფა ფაშას თავისი ლაშქრით გზა ქართლისა და შირვან-აზერბაიჯანისაკენ ეჭირა. სანამ ეს ქვეყნები დასაპყრობი იყო, „მანუჩარის ერთგულებას" ოსმალეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ჩილდირის ველზე გამარჯვების შემდეგ, ოსმალებს გზა ქართლისაკენ გახსნილი ჰქონდათ და ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარი თბილისისაკენ გაემართა. ამ დროს ქართლის გამგებლად გამაჰმადიანებული დაუდ ხანი იჯდა. ლალა ფაშამ დაუდ ხანს წერილი გაუგზავნა და მორჩილება მოსთხოვა. ლალა ფაშას წერილს დაუდ ხანმა პასუხი არ გასცა. მან სცადა ოსმალეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა არარეალური იყო. თბილისის მოსახლეობა ქალაქიდან გაიხიზნა, დაუდ ხანმა თბილისი გადასწვა და ლორეს წავიდა: „გაირეს, წავიდეს თბილისის ქალაქზე, ის დაუდხან დაწვა და გაეცალა, ლორეს ჩავიდა"[53].

24 აგვისტოს ოსმალთა ლაშქარმა თბილისი დაიკავა. ქალაქის აღების შემდეგ ოსმალები აქ თავისი წესების შემოღებას შეუდგნენ: ქართლის დაპყრობას კი თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგოს დაარსება მოჰყვა. მის გამგებლად ლალა მუსტაფა ფაშამ კასტამონიის სანჯაყ ბეგი სოლაქ ფერჰად ფაშას ძე მეჰემედ ბეგი დანიშნა. ოსმალებმა ქალაქში ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, ხოლო თბილისის დასაცავად 1800 ჯარისკაცი (დონ ხუან სპარსელის ცნობით, 6000 ჯარისკაცი)[54] და 100 ზარბაზანი დატოვეს[55].

---

[52] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 48, 49.

[53] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 522.

[54] Don Jcuan of Persia, Relaciones, p. 143. عالی نصرتنامه, ფ. 74, 75.

[55] I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 23; Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 1321.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ თურქული წყაროები და თურქი ისტორიკოსები ტენდენციურად აშუქებენ ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობას და იმათ „საქმიანობას“. ასე, მაგალითად, ალის ცნობით, თბილისის ბეგლარბეგმა „ქალაქი სრულიად კეთილნაშენად აქცია და ააყვავა“[56]; თურქი ისტორიკოსი დანიშმენდი კიდევ უფრო შორს მიდის. იგი წერს: „ოსმალების მიერ თბილისის აღების შემდეგ, მოსახლეობამ ქალაქში დაბრუნება დაიწყო. ქალაქში კიდევ უფრო კარგი მდგომარეობა და წესრიგი დამყარდა, ვიდრე წინათ იყო“[57]. მისივე სიტყვით, „ოსმალებმა ქვეყანა ანარქიისაგან (არეულობისაგან) იხსნეს“[58].

დანიშმენდის ამ „მტკიცებას“ აქარწყლებენ ოსმალური და ევროპული წყაროები (სელანიქი, ფეჩევი, მინადოი, დონ ხუან სპარსელი), სადაც აღნიშნულია, რომ ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ ქალაქში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. თბილისი ფაქტიურად ალყა შემორტყმული იყო და ოსმალებს არ ჰქონდათ საშუალება ქალაქიდან გასულიყვნენ, ვინაიდან მათ თავს ესხმოდნენ ქართველთა პარტიზანული რაზმები. ქალაქში საშინელი შიმშილი და ეპიდემია დაიწყო. ოსმალებმა არაერთხელ სცადეს მიეწოდებინათ ალყაშემორტყმული თურქი მეციხოვნეებისათვის სურსათ-სანოვაგე და სამხედრო საჭურველი. ასეთ ვითარებაში ლაპარაკი ოსმალების ზრუნვაზე ქალაქის კეთილმოწყობისათვის ისტორიული სინამდვილის უხეში დამახინჯებაა.

ქართლისა და თბილისის დაპყრობის შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშა შეუდგა აქ ოსმალური მართვა-გამგებლობისა და ოსმალური წესების შემოღებას, რასაც უნდა გაეპირობებინა ქართლში ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარება, მისი ინკორპორაცია. ამაზე შემდეგი ფაქტები მეტყველებენ:

ქართლის მოსახლეობაზე გადასახადების გაწერის მიზნით ამ დროს ოსმალებმა თბილისი და მისი მიდამოები აღწერეს და თბილისის დავთარი შეადგინეს[59].

---

[56] نصرتنامه عالی, ფ. 77.

[57] I. H. D a n i ş m e n d, op. cit., c. III, s. 23.

[58] იქვე.

[59] თბილისის დავთრის ფრაგმენტი აღმოჩენილ იქნა ბულგარეთის არქივში ბულგარელი თურქოლოგის ვ. მუტაფჩიევას მიერ. ამ დავთრის მიკროფილმი ბულგარეთიდან ჩამოიტანა და ჩვენ გაგვაცნო დოც. კ. მეშველიანმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ქართლის (თბილისის) საბეგლარბეგოს ყოველწლიური შემოსავალი ერთ მილიონ ახჩას შეადგენდა[60].

ოსმალებმა თბილისის საბეგლარბეგოსთან ერთად გორში სანჯაყი დააარსეს. ქართული წყაროები ადასტურებენ ოსმალურ წყაროებში დაცულ ცნობებს: „ოსმალთ დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს თფილისი საფაშოდ, გორი აღაშენეს და ჰყვეს სანჯაყად“[61]. ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისისა და გორის გამგებლებად (ბეგლარბეგად და სანჯაყბეგად) საქართველოს სამეფო გვარის შთამომავალი, ან გამაჰმადიანებული ქართველი დიდებული კი არ დანიშნა, არამედ ოსმალო მოხელეები. ასე, მაგალითად, თბილისის ბეგლარბეგად დანიშნულ იქნა კასტამონიის სანჯაყბეგი სოლაკ ფერჰად ფაშას ძე მეჰმედ ფაშა, ხოლო გორის სანჯაყბეგად — ჰუსეინ ბეგი[62].

მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებების გატარებისა, ოსმალებმა ვერ შესძლეს დასახული მიზნის მიღწევა და სულ მალე ისინი იძულებული შეიქნენ კომპრომისის გზას დასდგომოდნენ.

ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ფაქტი: ლალა მუსტაფა ფაშა სანამ თბილისს აიღებდა, მან იმერეთის მეფეს გიორგის შესთავაზა დახმარება აღმოეჩინა ოსმალებისათვის თბილისის დაპყრობის საქმეში, სამაგიეროდ კი გამარჯვების შემთხვევაში, მის შვილს თბილისს ჰპირდებოდა. ლალა ფაშა იმერეთის მეფეს გიორგის წერდა: „სწრაფი მოსაზრებულობა გამოიჩინეთ, თქვენ თანამოღვაწეებთან, ხელქვეითებთან და თქვენ მომხრეებთან ერთად უნდა მოახერხოთ თბილისის ციხის აღება და დაპყრობა და იგი თქვენი შვილისათვის გვიბოძებია“[63].

მსგავსი შინაარსის წერილი გაეგზავნა კახთა მეფესაც. ლალა ფაშა მოუწოდებდა მას იმერეთის მეფესთან „ერთსულოვნად და შეთანხმებულად“ ემოქმედა[64].

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, მაშინ სავსებით ნათელი გახდება, რომ ლალა მუს-

---

[60] نصرتنامه عالی, ფ. 97; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 23; Mufassal Osmanlı tarihi, c. III, s. 1323.

[61] ვახუშტი, გვ. 44; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 522.

[62] نصرتنامه عالی, ფ. 97; J. Hammer, v. VII, p. 85; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 23; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1323.

[63] نصرتنامه عالی, ფ. 78; J. Hammer, v. VII, p. 85.

[64] იქვე.

ტაფა ფაშას სურდა ამ გზით კიდევ უფრო მეტად გაეღრმავებინა ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოებს შორის არსებული შუღლი და მტრობა.

საყურადღებოა, რომ თბილისის დაპყრობის შემდეგ, ლალა ფაშაქ ქალაქი იმერეთის მეფის შვილს არ უბოძა, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფეს კი თბილისის გადაცემის საფასურად გამაჰმადიანება მოსთხოვა. ალექსანდრემ უარჰყო ლალა ფაშას ეს წინადადება[65].

29 აგვისტოს ლალა ფაშამ თბილისი დატოვა და გეზი შირვანისკენ აიღო. ქალაქიდან გასვლის შემდეგ მასთან ალექსანდრე კახთა მეფის ელჩები გამოცხადდნენ და ოსმალო სარდალს მორჩილება აუწყეს. 1 სექტემბერს სართიჭალასთან ალექსანდრე კახთა მეფე, დიდებულებთან ერთად, პირადად შეეგება ლალა ფაშას. ქართულ წყაროში ნათქვამია: „აგრეთვე კახი მეფე, ბატონის ლევანის შვილი პატრონი ალექსანდრე, მიეგება ლალა ფაშასა, სართის-ჭალას შეეყარა“[66].

ალის „ნუსრეთ ნამედან“ ირკვევა, რომ ლალა მუსტაფა ფაშასა და ალექსანდრე კახთა მეფეს შორის მოლაპარაკება (წერილების გაცვლის გზით) ჯერ კიდევ მათ შეხვედრამდე გამართულა.

1578 წელს ივლისის თვის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა არზრუმში იმყოფებოდა, მან ალექსანდრე კახთა მეფეს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც იგი ალექსანდრე მეფისაგან მოითხოვდა მორჩილებასა და „ისლამით გაპატიოსნებას“, ხოლო სამაგიეროდ ჰპირდებოდა, რომ მისი ქვეყანა გადაურჩებოდა „ძარცვასა და იავარყოფას“[67].

ლალა მუსტაფა ფაშას წერილის საპასუხოდ, ალექსანდრე მეფემ მას, მორჩილების პირობად, მოთხოვა წინათ მის მფლობელობაში მყოფი მხარეების დაბრუნება და ქრისტიანობის შენარჩუნება[68].

ყურადსაღებია ის, რომ ალექსანდრე კახთა მეფე ოსმალეთთან ურთიერთობის პირობად აყენებს ქრისტიანობის შენარჩუნებას, ქართველობის დაცვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას და წინათ კახეთის სამფლობელოებში მყოფი მიწა-წყლის დაბრუნებას. ამრიგად, ალექსანდრე ცდილობს მტრული ძალა, ოსმალეთის ლაშქრის სახით, გამოიყენოს თავისი სამეფოს ინტერესების სასარგებლოდ.

შექმნილ ვითარებაში, ჩანს, ლალა მუსტაფა ფაშა იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა ალექსანდრე მეფის მოთხოვნილებანი. იგი

---

[65] نصرتنامه عالی, ფ. 78; J. Hammer, v, VII, p. 85.

[66] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 523.

[67] نصرتنامه عالی, ფ. 79.

[68] იქვე.



ალექსანდრე II კახეთის მეფის მოლაპარაკება ლალა მუსტაფა ფაშასთან

წიგნიდან W. E. D. Allen, Russian Embassiens to the Georgian Kings, 1589—1605, v. II, Cambridge, 1970.

ალექსანდრეს წერდა: „თქვენ გითხოვიათ უწინ თქვენი მამის ლევან მეფის სამფლობელოში და ამჟამად მოწინააღმდეგეთა ხელში მყოფი თქვენი ციხეებისა და მხარეების აღებისა და დაპყრობის შემდეგ, რადგანაც ესენი თქვენი მამა-პაპური ადგილებია, კვლავ თქვენვე მოგეცეთ ეს ქვეყანა, განსაკუთრებით გითხოვიათ არ ყოფილიყო თქვენთვის ისლამის მიღების წინადადება და დატოვებული ყოფილიყავით თქვენი ქვეყნის სარწმუნოებაში“[69]... ცოტათი უფრო ქვემოთ ლალა ფაშა განაგრძობს: „ოღონდ თქვენ გვაცნობეთ, თუ რამდენია ციხე-სიმაგრე, რომელიც ადრე მამათქვენის ლევანის მფლობელობაში იყო და ამჟამად მოწინააღმდეგეთა ხელშია, გარდა ამისა, რამდენი ციხე-სიმაგრეა კიდევ ახლა, რომ ფაქტიურად თქვენი სამფლობელოს მიწაზე მდებარეობს, ჩამოგვიწერეთ სახელები მათი საზღვრებითურთ, შეადგინეთ დაწვრილებითი სია და ზემოხსენებული ჰუსეინ ბეგის ხელით გამომიგზავნეთ“[70].

როგორც დავინახეთ, ლალა მუსტაფა ფაშასა და ალექსანდრე კახთა მეფეს შორის წინასწარი მოლაპარაკების შედეგად (წერილების გაცვლისა და ელჩების მეშვეობით) მიღწეულ იქნა გარკვეული შეთანხმება. ამიტომ მათი პირადი შეხვედრის დროს სწრაფად იქნა მიღწეული საბოლოო შეთანხმება. ი. ფეჩევის ცნობით, ალექსანდრე კახთა მეფეს „ებოძა უზენაესი სიგელი მასში, რომ ის იღებს თავის თავზე იხადოს წელიწადში ხარაჯა: ოცდაათი იუჴი აბრეშუმი, 10 ლამაზი ჭაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა ისპირის შეკარდენი და 10 ფრთა კიდევ ჰიჯაზის მიმინო და აგრეთვე, რომ ის იქნება თაკისი ქვეყნის მმართველი ბეგლარბეგის სახელწოდებით“[71].

ისჭანდერ მუნშისა და შერეფ-ხან ბითლისელის ცნობებით, ალექსანდრე კახთა მეფეს ოსმალეთის სასარგებლოდ „ბაჯ-ო ხარაჯა“ უნდა გადაეხადა[72].

საჭიროა გავარკვიოთ, თუ დამოკიდებულების რა პოლიტიკურ ფორმას გულისხმობდა „ბაჯ-ო ხარაჯას“ გადახდა. პროფ. ვ. გაბაშვილის აზრით, „ბაჯ-ო- ხარაჯას“, როგორც წესი, იხდიდნენ ირანის ფეოდალური სამთავროების მპყრობელ-მფლობელები. XVII ს-ის დამდეგამდე ირანის ტერიტორია მოფენილი იყო ვასალური სამთავროებით, რომელთა სათავეში ასწლობით იდგნენ მემკვიდრე დინასტიები. ასეთ

---

[69] عالی نصرتنامه, ფ. 79.

[70] იქვე.

[71] وقایع نویس, ტ. II, გვ. 43; თარგმანი, გვ. 42.

[72] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს.., გვ. 242.

შპყრობელ-მფლობელთა მიწებს, უკეთ ქვეყანას, ეწოდებოდა „მულქ-ი მოურუს“ („სამკვიდრო მულქი“). მულქ-ი მოურუსის მპყრობელი, როგორც ხელდებული ორგვარი მოვალეობით იყო დაკავშირებული ირანის შაჰთან: 1. გამოეღო ბაჯ ო ხარაჯა. 2. პირველ მოწოდებისთანავე გამოსულიყო თავისი ჯარით შაჰის სამსახურში... მულქ-ი მოურუსის მპყრობელ-მფლობელები, როგორც მემკვიდრე მმართველი, შაჰის ხელდებული — ვასალია და არა მოხელე[73].

პროფ. გაბაშვილის გამოკვლევით, XVI საუკუნეში კახეთი ირანს ბაჯ ო ხარაჯას უხდიდა. ირანის შაჰები ცნობდნენ კახეთის მეფეების მემკვიდრეობით უფლებას და ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას[74].

ლალა მუსტაფა ფაშას მიერ კახეთზე „ბაჯ-ო ხარაჯის“ დაღება იმას მოწმობდა, რომ ოსმალეთი კახეთთან დამოკიდებულების ისეთ ფორმას აწესებდა, რომელიც ადრე ირანსა და კახეთს შორის იყო დამყარებული. ერთი სიტყვით, ლალა მუსტაფა ფაშა ალექსანდრე კახთა მეფეს სთავაზობდა უარი ეთქვა ირანის შაჰის მორჩილებაზე და ოსმალეთის სულთნის ვასალი გამხდარიყო. ოსმალეთსა და კახეთს შორის ასეთი დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა, როგორც ჩანს, შექმნილ ვითარებაში ორივე მხარისათვის მისაღები იყო, უფრო შორს წასვლას ლალა მუსტაფა ფაშა ვერ ბედავდა, რადგან მას შირვან-აზერბაიჯანი ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა. ამგვარად, ოსმალეთსა და კახეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდა. შედარებით მსუბუქი ფორმის დაწესება, უპირველესად ყოველისა, ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობით აიხსნება. ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ აიძულა თურქი დამპყრობლები საქართველოს მიმართ თავისი თავდაპირველი გეგმა შეეცვალათ და ზოგან მაინც კომპრომისის გზას დასდგომოდნენ და მოხარკეობას დასჯერებოდნენ. ოსმალეთი ანგარიშს უწევდა აგრეთვე კახეთის ურთიერთობას რუსეთთან, რომელიც სწორედ XVI ს-ის 80-იან წლებში მკვეთრად დაუპირისპირდა ოსმალეთს იმიერკავკასიაში. რუსეთის აქტიური გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე უდიდესი ფაქტორი იყო მაჰმადიანური სახელმწიფოებით გარემოცული საქართველოსათვის. ალექსანდრე კახთა მეფემ მოხერხებულად გამოიყენა ახლო აღმოსავლეთში ძალთა დაპირისპირება და „სერხიანი, გეგმაშეწონილი პოლიტიკით ალექსანდრემ იმას მაინც მიაღ-

---

[73] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ გვ. 257, 261.

[74] იქვე, გვ. 561—563.

წია, რომ ოსმალო დამპყრობელი კახეთის შიგნით არ შეუშვა. ხონთქარი კახეთიდან ყოველწლიურ მცირე ხარკს დაკმაყოფილდა"[75].

ალექსანდრე კახთა მეფე რეალისტი პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო. შაჰ-აბასის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში შემდეგნაირად ახასიათებს ალექსანდრე კახთა მეფეს: „ალექსანდრე ხანმა, წერს ისქანდერ მუნში, რომელიც თავისი სწორი მსჯელობით და გამჭრიახობით უგანმოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო, ქართლის მეფის სიმონის საწინააღმდეგოდ გადასწყვიტა, რომ მისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ოსმალებისათვის მორჩილების გამოცხადება... ოსმალეთის ხონთქარს ერთგულებას უცხადებდა... თუმცა ოსმალებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა, კაცს შაჰის კარზე გზავნიდა, ერთგულებას უცხადებდა ხელმწიფეს, ძღვენსა და საჩუქრებს აგზავნიდა და ხელმწიფური წყალობის ღირსი ხდებოდა"[76].

მართალია, ისქანდერ მუნში ალექსანდრე კახთა მეფის საქმიანობას ირანული თვალსაზრისით აშუქებს, მაგრამ იგი ძირითადად სწორ შეფასებას აძლევს ალექსანდრეს პოლიტიკურ საქმიანობას და მის დიპლომატიურ ნიჭს.

ქართული, ოსმალური, სპარსული და ევროპული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ოსმალეთსა და კახეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდა: ალექსანდრე მეფე ქვეყნის საშინაო საქმეებში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. კახეთის მიწები არ იყო აღწერილი და რეესტრებში გატარებული. ეს ფაქტი იმის დამადასტურებელი იყო, რომ აქ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ადგილობრივი ფორმები და საგადასახადო სისტემა ხელუხლებელი რჩებოდა. ოსმალებს არ შეეძლოთ ქვეყნის შიგნით შესვლა, გადასახადებით დაბეგვრა ან სხვა მსგავსი ღონისძიებების გატარება. ალექსანდრე კახთა მეფე ოსმალეთის სასარგებლოდ ვალდებული იყო ორი მოვალეობა შეესრულებინა: 1. ყოველწლიურად ხარაჯა (ხარკი) გადაეხადა, 2. სულთნის მოწოდებისთანავე მონაწილეობა მიეღო ოსმალთა ლაშქრობაში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი თურქულ წყაროებში და თურქი ისტორიკოსების მიერ მოტა-

---

[75] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., ტ. IV, გვ. 22.

[76] ისქანდერ მუნში, გვ. 42, 43.

ნილი ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალებმა ამ დროს კახეთის საბეგლარბეგო დააარსეს, ხოლო მის ბეგლარბეგად კი ალექსანდრე კახთა მეფე დანიშნეს[77].

ლალა ფაშა, ალექსანდრე კახთა მეფესთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, თავისი ლაშქრითურთ შირვან-აზერბაიჯანისაკენ გაემართა. ოსმალო ჯარისკაცები სასტიკად იყვნენ დაჭანცული და უკმაყოფილებას აშკარად გამოსთქვამდნენ. ამასთანავე, მათ აკლდათ სურსათ-სანოვაგე. გზაში ოსმალთა ლაშქარს ქართველები და სპარსელები თავს ესხმოდნენ. ოსმალთა ერთმა რაზმმა უარი სთქვა შირვანში ლაშქრობაზე და უკან გაბრუნდა. გზაში მათ ქართველები დაესხნენ თავს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

ოსმალეთის ლაშქარი ნელ-ნელა წინ მიიწევდა. ოსმალებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა ალექსანდრე კახთა მეფე. ლალა მუსტაფამ ალექსანდრე მეფეს შაქის ციხის დაპყრობა დაავალა. კახელებმა შაქის ციხე აიღეს. ლალა ფაშამ შაქის სანჯაყბეგობა ალექსანდრეს შვილს ერეკლეს უბოძა[78].

ამ ღონისძიებით ლალა ფაშამ, ერთგვარად დააკმაყოფილა ალექსანდრე მეფის მოთხოვნა კახეთისათვის დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების შესახებ. რა თქმა უნდა, ეს იყო ლალა ფაშას მხრივ მხოლოდ ლამაზი ჟესტი ,სინამდვილეში შაქის ტერიტორიაზე სანჯაყის დაარსება მოწმობდა აქ ოსმალური გამგებლობის შემოღებას. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ლალა ფაშამ შაქის სანჯაყი კახეთს კი არ დაუმორჩილა, არამედ შირვანის საბეგლარბეგოს.

ქართული წყაროები ნაწილობრივ ადასტურებენ ოსმალურ წყაროებში დაცულ ცნობებს. ახალი ქართლის ცხოვრების ე. წ. მესამე ტექსტში ვკითხულობთ: ალექსანდრე კახთა მეფე „შაქისა და შირვანზე წავიდეს... შირვანი დაიპირეს, ციხე ააშენეს და ოსმან ფაშა შეაყენეს მისი ლაშქრით, და შემობრუნდნენ. ალექსანდრეს შვილი არაგვამდის მიჰყვა და დაბრუნდა“[79], ხოლო გიორგი მთაწმინდელის ოთხთავის მინაწერზე ვკითხულობთ: „ოსმალებმა „შაქისი და კახეთი დაიპირეს: ალექსანდრე მეფე კახეთისა მიეგება. წინა შემოეწყო მას. თემი(?) და შაქისი მას მისცეს“[80].

---

[77] نصرتنامه عالی, ფ. 97; تاریخی جودی, ტ. II, გვ. 43; თარგმანი, გვ. 42 I. H. Danişmend, op. cit., c. 111, s. 23;Mufassal Osmanlı Tarihi, c. 111, s. 1329.

[78] იქვე.

[79] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 523.

[80] ციტირებულია: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 277.

12 სექტემბერს ოსმალებმა არეში აიღეს. ლალა მუსტაფა ფაშამ აქედან ოსმალთა ლაშქარი სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა და მათ მთელი რიგი ქალაქები დაიპყრეს, მათ შორის: შემახა, კაბალა, ბაქო, შაბურანი (შაბრანი), დერბენდი, მაჰმუდაბადი და სალიანი[81].

შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ოსმალები აქაც თავისი წესების შემოღებას შეუდგნენ. მათ ქვეყანა აღწერეს და საბეგლარბეგო დააარსეს. შირვანის საბეგლარბეგო 14 სანჯაყად დაპყვეს. შირვანის საბეგლარბეგოს გამგებლად ოსმან ფაშა დანიშნეს[82].

„მესხური ქრონიკა“ ამ ამბავს მოკლედ ასე გადმოგვცემს: „დაიჭირეს შირვანი, ციხე ააშენეს და ოსმან-ფაშა შეაყენეს, მისით ლაშქრითა და შემობრუნდეს“[83].

ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალთა ამ ღონისძიებას მტრულად შეხვდა და დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ოსმალთა ლაშქრის მდგომარეობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თანდათან გართულდა.

8 ოქტომბერს ლალა ფაშა იძულებული იყო შირვანიდან უკან გაბრუნებულიყო. როდესაც ოსმალეთის ლაშქარი კახეთზე გაელით უკან ბრუნდებოდა, „მუსტაფა ფაშამ მაშინვე უბრძანა მთელ ჯარს, რომ თვითეულს, სიკვდილის დასჯის საშიშროების ქვეშ, ეკრძალებოდა ალექსანდრეს სამფლობელოში სიმშვიდის დარღვევა და ყოველი მათგანი ვალდებული იყო თავაზიანი და ზრდილობიანი ყოფილიყო“[84].

ლალა მუსტაფა ფაშას ამგვარი სიფრთხილე კახეთის მიმართ აიხსნება არა მისი ალექსანდრე მეფისადმი მეგობრული განწყობილებით, არამედ იმით, რომ ლალა მუსტაფა ფაშა შიშობდა, რომ თუ ოსმალეთის ლაშქარი კახეთის სოფლებს ძარცვას დაუწყებდა, მაშინ მოსალოდნელი იყო კახელების გამოსვლა ოსმალების წინააღმდეგ, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს და ოსმალეთის მდგომარეობა ამიერკავკასიაში უფრო მეტად გართულდებოდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როდესაც ლალა ფაშა კახეთის სამფლობელოს საზღვარზე იმყოფებოდა, ალექსანდრე კახთა მეფემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და მასთან არ გამოცხადდა[85].

---

[81] نصرتنامه عالی, ფ. 96; I. H. D a n i ş m e n d, op. cit., c. III, s. 26, 27; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1327.

[82] იქვე.

[83] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 50.

[84] T. M i n a d o i, op. cit., p. 148.

[85] იქვე.

კახეთზე გავლით ლალა ფაშა თბილისში ჩავიდა, ქალაქში საშინელი შიმშილი იყო, ამას თან დაემთხვა ეპიდემია. მრავალი ოსმალო მეციხოვნე ავადმყოფობით გარდაიცვალა. მინადოის ცნობით, ეს იმის გამო მოხდა, რომ, თბილისის გამგებელმა მეჰმედ ფაშამ მეციხოვნეებს აუკრძალა სიმაგრიდან გასვლა სანოვაგის საშოვნელად, მტრის შიშით. ლალა ფაშამ მეციხოვნეები გაამხნევა და მათ სურსათ-სანოვაგის მარაგი დაუტოვა და თვითონ ორი დღის შემდეგ თბილისიდან გავიდა, ახლო-მახლო სოფლები დაარბია.

ქართველების მიერ ოსმალებისათვის მიყენებული ზარალი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი 1578 წლის 2 ნოემბერს ჰენრიხ III ატყობინებდა: „ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ ქართველებმა ოსმალები დაამარცხეს და რომ ლალა ფაშა მოკლეს“[86].

ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის მონაწილე და მისი აღმწერელი ალი, აგრეთვე, სხვა თურქი ისტორიკოსები: ფეჩევი, მუნეჯიმბაში, სელანიქი და სხვები შირვან-აზერბაიჯანიდან ოსმალთა ლაშქრის სწრაფად უკან დაბრუნებასა და გზაში განცდილ დამარცხებებს აბრალებენ ამიერკავკასიაში ადრე დაზამთრებას. ეს მიზეზი უფრო თავის გამართლებას ჰგავს; სინამდვილეში, ოსმალთა წარუმატებლობა აიხსნება ამიერკავკასიის ხალხთა თავგანწირული ბრძოლით, პარტიზანული ომის ტაქტიკის მოხერხებული გამოყენებით.

ლალა მუსტაფა ფაშა მუხრანზე გავლით გორში ჩავიდა — „მუხრანს დადგა, გორი გაამაგრა“[87].

ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ, ლალა მუსტაფა ფაშამ ლაშქრის ერთი ნაწილი იმერეთისაკენ გაგზავნა. იმერეთისაკენ მიმავალ ოსმალებს ლიხის მთაზე დახვდა იმერეთის ლაშქარი, რომელმაც დაამარცხა და უკუაქცია ოსმალები.

ამგვარად, ოსმალთა ცდა, შესულიყვნენ იმერეთში, მარცხით დამთავრდა.

გორიდან მუსტაფა ლალა ფაშა სამცხისაკენ გაემართა და ალთუნ ყალაში ჩავიდა. ლალა ფაშასთან შესახვედრად გამოცხადდა დედისიმედი, ყვარყვარესთან ერთად და სარდალს ძღვენი მიართვა. ლალა ფაშამ თავაზიანად მიიღო ისინი. მან დედისიმედს მოსთხოვა, რომ მანუჩარი და ყვარყვარე სტამბოლში წასულიყვნენ, რათა სულთანს მათთვის წყალობა ებოძა. მანუჩარისა და ყვარყვარეს სტამბოლში გაგზავნა გარკვეულ პოლიტიკურ ამბებთან იყო დაკავშირებული, რაზედაც ქვემოთ

---

[86] E. Charrière, op. cit., v. III, p. 665.:

[87] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 49.

გვეჭნება საუბარი. „მესხური ქრონიკა“ ამ ამბავს შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„აიყარა ლაშქარი ღუინობისთუჱს ერთსა, პარასკევს დღესა, მოდენა დაიწყო აწყუჱრს ვიდექით. ორშაბათს პატრონი მანუჩარ გამოეშუა, წინათ მოვიდა. სამშაბათს — პატრონი ყვარყვარე წინ მიეგებაჲ — თუითან ლალა ფაშაც მოვიდა და გაღმა ლეკზე დადგა.

ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გავიდა ციხიდამა და ლალა ფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა და აქლემების ჯარი იყო. შაბათს, ცისკრისა აიყარა ღა წავიდა“[88].

1578 წლის 21 ნოემბერს ლალა ფაშა არზრუმში ჩავიდა. ამის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი საზამთროდ დაბანაკდა. ლალა მუსტაფა ფაშამ სულთან მურად III ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ამიერკავკასიაში ჩატარებული ბრძოლებისა და დაპყრობების შესახებ. ლალა მუსტაფა ფაშას არზრუმში ჩასვლით დამთავრდა 1578 წლის ოსმალეთის სამხედრო ოპერაციები ამიერკავკასიაში.

ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ოსმალეთი შავი ზღვის ნავსადგურებს ტრაპიზონსა და ბათუმს იყენებდა ირანის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრისათვის სამხედრო საჭურველისა და სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად. ოსმალებს ტვირთი გემებით ტრაპიზონსა და ბათუმში ჩაჰქონდათ, იქიდან კი საქარავნო გზით ოსმალეთის ლაშქარს აწვდიდნენ.

ქართლისა და შირვანის დაპყრობის შემდეგ ამ ქვეყნებში განლაგებული ოსმალთა ჯარების მომარაგება სამხედრო საჭურველითა და სურსათ-სანოვაგით მეტად გაძნელდა. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ ოსმალთა საკომუნიკაციო გზები ასეული და ათასი კილომეტრებით იყო დაშორებული ოსმალეთის მთავარ ბაზებს, არამედ იმითაც, რომ დაპყრობილი მოსახლეობა საბოტაჟს უწევდა მტერს, თავს ესხმოდა და დიდ ზარალს აყენებდა ოსმალთა სამხედრო რაზმებს, რომლებსაც სამხედრო საჭურველი და სხვა საჭირო საგნები მიჰქონდათ ამ ქვეყნებში განლაგებული ოსმალთა გარნიზონებისათვის.

ასეთ პირობებში ოსმალეთმა მთელი რიგი ზომები მიიღო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სულთანმა ყირიმის ხანს მუჰამედ გირეის უბრძანა თავისი ლაშქრით დახმარება აღმოეჩინა შირვანში მყოფი ოსმალთა ჯარებისათვის. 1578 წლის შემოდგომაზე ყირიმის ხანის ლაშქარი ჩრ. კავკასიის გზით შირვანში ჩავიდა და ოსმან ფაშას დახმარება აღმოუჩინა.

---

[88] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 50.

სულთანს აგრეთვე განზრახული ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასია თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და აქ ვასალური სამფლობელოები შეექმნა[89].

ამავე დროს სულთანმა გადასწყვიტა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოს დაპყრობაც[90]. ამით აპირებდა გაემაგრებინა თავისი პოზიცია ქართლში და ირანისათვის შეეტია: „თურქებმა 1578 წელს (ფოთის — მ. ს.) ციხე ააგეს. ამის მიზეზი იყო ის, რომ იმ ხანებში თურქების სულთანი ამურატი (მურად III — მ. ს.) ომობდა ირანელებთან. მან აიღო თბილისი და აპირებდა მთელი ირანის დაპყრობას. ამ საქმის შესასრულებლად მას უნდოდა საქართველოს გზა გაეხსნა თავისთვის და დაეჭირა ამ გზის გასაღები — ქალაქი ქუთაისი, რათა ჯერ ზღვით და მერე ფაზისით ჩქარა და ნაკლები ზარალით გაეგზავნა თავისი გალერები ფაზისში[91]“.

ოსმალების მიერ ფოთის დაპყრობა სხვა წყაროებში 1579 წლით არის დათარიღებული:

დანიშმენდი, რომელიც ეყრდნობა თურქულ საარქივო მასალას და, კერძოდ, ლალა მუსტაფას მიერ მურად III-სადმი გაგზავნილ „თეზქერეს“, წერს: 1579 წელს, ლალა მუსტაფა ფაშას ბრძანებით. ადმირალი კილიჩ ალი ფაშა 60 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტით შავი ზღვიდან მდინარე ფაზისის (რიონის) შესართავში შევიდა და ქ. ფოთში ციხე ააშენა[92].

ამ ცნობას აგრეთვე ადასტურებს ამ პერიოდში კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი მ. ჟუიე. იგი 1579 წლის 3 და 18 აგვისტოთი დათარიღებულ წერილებში საფრანგეთის მეფეს ჰენრიხ III ატყობინებდა ოსმალების მიერ ფოთის აღების ამბავს[93].

---

[89] ამ ომის დროს ოსმალეთის ურთიერთობაზე ჩრდილოეთ კავკასიასთან დაწვრილებით იხ. Н. А. Смирнов, Россия и Турция, т. I, стр. 126, 127; Е. Н. Кушева, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI—XVII вв., стр. 95—99.

[90] ამ მიზნით ოსმალეთის ფლოტი, რომელიც 40 გემისაგან შედგებოდა ადმირალ კილიჩ ალი ფაშას სარდლობით, შავ ზღვაში შევიდა და საქართველოს სანაპიროსაკენ გაემართა (B. Külükoğlu, op. cit., s. 34).

[91] არჭანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან, თბ., 1938, გვ. 172.

[92] I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 41; ალის „ნუსრეთ-ნამეში“ აღნიშნულია, რომ ოსმალებმა აგრეთვე აიღეს სოხუმი და იქ საბეგლარბეგო დააარსეს. (ალი, ფ. 97.) უფრო დეწვრილებითი ცნობები არ მოიპოვება.

[93] E. Charrière, op. cit., v. III, p. 808.

ეს ცნობები ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგანაც ისინი ეკუთვნის თვით ამ ამბების თანადამხვდურებს.

ფოთის დაპყრობის შემდეგ, როგორც ჩანს, ოსმალები მდ. რიონით ქუთაისისაკენ გაემართნენ და მისი დაპყრობა სცადეს. მაგრამ ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმალებს და აიძულეს ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ[94]. ამრიგად, ოსმალთა ცდა, აეღოთ ქუთაისი, მარცხით დამთავრდა.

ოსმალებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს ფოთი. ა. ლამბერტის ცნობით, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა. დადიანმა წამოიღო იქიდან ოცდახუთი ზარბაზანი[95]. სამწუხაროდ, ა. ლამბერტი არ მიუთითებს ფოთის ოსმალთაგან გათავისუფლების თარიღს.

ამგვარად, ოსმალთა ცდა, დაეპყროთ დასავლეთ საქართველო, მარცხით დამთავრდა.

2. ჩილდირის (ასალცისის) საფაშოს დაარსება

ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება სამცხე-საათაბაგოსადმი. სულთანი მურად III აღარ კმაყოფილდებოდა მესხეთის მოხარკეობით და იგი დღის წესრიგში აყენებდა სამცხე-საათაბაგოს გაუქმებისა და აქ საბეგლარბეგოს (საფაშოს) დაარსების საკითხს.

სამცხე-საათაბაგოში ამ მიმართულებით ოსმალებს უკვე ჰქონდათ ჩატარებული სათანადო სამზადისი. სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში ოსმალები ჯერ კიდევ XVI ს-ის პირველ ნახევარში შეუდგნენ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებასა და ქვეყნის სანჯაყებად დაყოფას, ხოლო სამცხის აღმოსავლეთ ნაწილში კი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ეს ცვლილებები მოხდა ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს. ამგვარად, სამცხე-საათაბაგოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმები იყო შემოღებული და ქვეყანა სანჯაყებად იყო დანაწილებული. მაგრამ, სულთნის თვალსაზრისით, საჭირო იყო სამცხეში შექმნილი სანჯაყების გაერთიანება და ერთი საბეგლარბეგოს (საფაშოს) დაარსება.

ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობდა აგრეთვე იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება. ირანთან დაწყებულ ომში ოსმალეთმა

---

[94] ლამბერტი, გვ. 172.

[95] იქვე.

გარკვეულ წარმატებას მიაღწია. ოსმალებმა დაამარცხეს ირანის ლაშქარი და ამიერკავკასიის ქვეყნები დაიპყრეს .დაკავებულ ტერიტორიაზე ოსმალებმა ოთხი საბეგლარბეგო დააარსეს: ქართლის, კახეთის, შირვანისა და აფხაზეთის[96]. მართალია, აღნიშნული ქვეყნები ჯერ კიდევ დასამორჩილებელი იყო, მაგრამ თვით ფაქტი საბეგლარბეგოების შექმნისა თავისთავად მეტყველებდა, რომ ოსმალები მსგავსი ღონისძიების გატარებას არ დააყოვნებდნენ სამცხე-საათაბაგოს მიმართაც.

ამ პერიოდში ირანის შაჰის მთავრობა საკუთარი ქვეყნის დაცვაზე ზრუნავდა და სამცხე-საათაბაგოსათვის (რომლის აღმოსავლეთ ნაწილს თავის სამფლობელოდ აცხადებდა) არ ეცალა.

სამცხე-საათაბაგოში საბეგლარბეგოს დაარსების მიზნით, სულთნის მოთხოვნით, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი და ყვარყვარე სტამბოლში გაგზავნა. საფიქრებელია, მანუჩარი და ყვარყვარე იმედოვნებდნენ, რომ სულთანი დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას (იხ. ზემოთ) და ამიტომ ისინი დათანხმდნენ სტამბოლში წასვლას. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ვფიქრობთ არ უნდა იყოს სწორი „მესხური ქრონიკის“ ცნობა, რომ მანუჩარი და ყვარყვარე მოტყუებით წაიყვანეს სტამბოლში: „პატრონი ყუარყუარე თან გაჰყუა მოტყუებით და აღარ დაბრუნდა. პატრონი მანუჩარიც თან წაჰყუა“[97].

მომდევნო ამბებიდან კარგად ჩანს, რომ სტამბოლში ჩასული მანუჩარი და ყვარყვარე ამ მისიისათვის კარგად იყვნენ მომზადებული და ყველაფერს აკათებდნენ იმისათვის, რათა თავისი მიზნისათვის მიეღწიათ, მაგრამ უშედეგოდ.

მანუჩარისა და ყვარყვარე ათაბაგის კონსტანტინოპოლში ჩასვლის ამბავი „მესხურ ქრონიკაში“ შემდეგნაირადაა ასახული: 1579 წ. „პატრონი ყვარყვარე და პატრონი მანუჩარ კოსტანტინოპოლს წავიდეს აზრუმიდამა. აპრილს 3 (29) ორშაბაჲთს გადგეს“[98].

ქართულ წყაროებში არ გვხვდება დაწვრილებითი ცნობები მანუჩარისა და ყვარყვარეს კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და მათი იქ ყოფნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი და ავსტრიის საელჩოს თანამშრომელი სოლომონ შვეიგერი:

---

[96] نصرتنامه عالی, ფ. 97; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 27; J. Hammer, v. VII, p. 89.

[97] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 51.

[98] იქვე, გვ. 51, 52.

„1579 წლის 3 ივნისს[99], წერს შეიგერი, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა ორი ქართველი თავადი, დაახლოებით 150 კაცის თანხლებით“[100]. ამავე წყაროდან ირკვევა, რომ ეს ორი ქართველი თავადი მანუჩარი და მისი ძმა ყვარყვარე ყოფილან. მანუჩარი და ყვარყვარე ოსმალეთის მთავრობამ დიდი პატივით მიიღო: „მათ შესახვედრად სკუტარში (სტამბოლის აზიური ნაწილი)[101] ორი გალერა გაგზავნეს, რაც საგანგებო პატივისცემის ნიშანი იყო. ასეთი პატივი ამ ქვეყნიდან ჩამოსული არცერთი ელჩისათვის არ უციათო“[102].

მანუჩარისა და ყვარყვარეს შესახვედრად მოსულან საბერძნეთის (რუმელიის ბეგლარბეგი) რაგუზის, ვალაჰეთისა და მოლდავეთის ელჩები[103].

---

[99] ამავე რიცხვით ათარიღებს მანუჩარისა და ყვარყვარეს კონსტანტინოპოლში ჩასვლას საფრანგეთის ელჩიც. E. Charrière op cit., v. III, p. 807.

[100] ციტირებულია გ. ნათაძის წერილიდან „საუკუნის სიღრმიდან, XVI ს-ის გერმანელი მისიონერი-მოგზაური საქართველოს შესახებ“, „დროშა“, 1961, თბ., № 11, გვ. 7. შემდგომ შემოკლებით შეიგერი; შეიგერის ეს ნაშრომი დამოწმებული აქვს მ. ბროსეს, Histoire de la Georgie, t. II, SPb., 1856, p. 225.

[101] ამრიგად ირკვევა, რომ მანუჩარი და ყვარყვარე, რომლებიც არზრუმიდან 1579 წ. 3(20) აპრილს გამოვიდნენ ხმელეთით, ანატოლიაზე გაელით, კონსტანტინოპოლში 3 ივნისს ჩასულან.

[102] E. Charrière op. cit., v. III, p. 807.

[103] E. Charrière, op. cit., v. III, p. 807. ჩვენთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს შეიგერის შემდეგი ჩანაწერი: იმ ხანებში, როდესაც ქართველები კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ, ჩვენ ხალხს (გერმანელებს) ძალიან დაუახლოვდნენ. გაიცნეს ერთმანეთი, მიმოსვლა ჰქონდათ არა მარტო უბრალო პირებს, არამედ ბატონებსაც, რომლებიც ერთმანეთს ასაჩუქრებდნენ კიდეც. ყვარყვარეს ავსტრიის ელჩისათვის, უბოძებია ერთი ოქროს ნიეთი 60 დუკატის ღირებულებისა, ხოლო სანაცვლოდ ავსტრიის ელჩს საათით დაუსაჩუქრებია. ავსტრიის ელჩისა და ყვარყვარეს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, მასვე ყვარყვარესათვის უწუქებია ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი „აუგსბურგის აღსარება“, ეს წიგნი ყვარყვარეს ქართულ ენაზე უთარგმნია. ყვარყვარეს ავსტრიის ელჩს ბევრს ესაუბრებოდა მისი ქვეყნის ჩვეულებებისა და სარწმუნეობის შესახებ. შეიგერს განსაკუთრებით მოსწონებია ყვარყვარეს ვაჟკაცური გარეგნობა და მისი პორტრეტი ჩაუხატავს. მისი გადმოცემით ყვარყვარე ფიზიკურად დიდი და მოსული კაცი იყო. არაფერ ამის მსგავსი არ მინახავსო არასოდეს 30 წლის ასაკში.

შეიგერი გვაძლევს აგრეთვე კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველების დახასიათებას: საზოგადოდ ქართველები წარმოსადეგი, მოსული, მაღალი, ძაგარი ხალხია, ფერით მოშავო—მოყავისფრო, როგორც პოლონელები და უნგრელები. ამასთანავე არიან უშიშარი, გულადი მეომრები, ისინი ქალაქში (კონსტანტინოპოლში) ისე დადიან, თითქოს ამ ქალაქის მოავალი წლის მაცხოვრებელნი იყვნენ. არაფის არაფერს ეკითხებიან, არაფერი აკვირვებთ, ანგარიშს არაფერს არ უწევენ.

განსაკურთებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონსტანტინოპოლში ჩასულ ქართველ ბერს იოსებს, რომელიც გამაჰმადიანებულა, შეიგერისათვის მიუწოდებია ქართული დამწერლობის ნიმუში და ფსალმუნის ტესტის ნაწყვეტი. შეიგერს ქართული ანბა-

სურ. 3. ვახტანგ IV, ხახული

ამ ფაქტს შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუ გავიხსენებთ, რომ იმ ეპოქაში რაგუზის, ვალაპეთისა და ტრანსილვანიის ქვეყნები ოსმალეთს მხოლოდ ხარკს უხდიდნენ და ქვეყნის საშინაო საქმეებში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, ხოლო დიპლომატიური წესის მიხედვით, რომელიმე სახელმწიფოს წარმომადგენლის მიღებისას მის შესახვედრად იწვევდნენ იმავე რანგისა და მდგომარეობის პირებს, ამიტომ საგულისხმოა, რომ ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოსთან აპირებდა იმ სახის ურთიერთობის დამყარებას, რომელიც მას ჰქონდა ზემოდასახელებულ ქვეყნებთან, ე. ი. მოხარკეობა და დამოუკიდებლობა საშინაო საქმეებში. ამას მხარს უჭერს იმავე შვეიგერის მემუარებიც: „როდესაც მუსტაფა ფაშამ სპარსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა, იგი შეხვდა ამ ქართველებს...(მანუჩარსა და ყვარყვარეს — მ. ს.), რადგან მათ დაინახეს, რომ თურქეთის იმდროინდელ სიძლიერესთან შედარებით ისინი გაცილებით სუსტები იყვნენ, დანებდნენ მას (მუსტაფა ფაშას) და სთხოვეს, რომ მან შეაწეროს მათ ყოველწლიური გადასახადი და დააბრუნოს ისინი თავის ქვეყანაში"[104].

ამგვარად, ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად სამცხე-საათაბაგოს წარგზავნილებს საზეიმო შეხვედრა გაუმართა, როგორც შეეფერებოდა მოხარკე ქვეყნის წარმომადგენლებს. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ფორმალური მხარე იყო და ფაქტიურად სულთანს სულ სხვა განზრახვა ამოძრავებდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა სამცხე-საათაბაგოს სრული ინკორპორაცია, აქ საბეგლარბეგოს (საფაშოს) შექმნა და მისი ოსმალეთის პროვინციად გადაქცევა. სამცხის ათაბაგი უნდა ყოფილიყო არა ოსმალეთის სულთნის ვასალი, არამედ მისი მოხელე (ფაშა).

9 ივნისს მანუჩარმა და ყვარყვარემ სულთანი ინახულეს და მას საჩუქრები მიართვეს. საჩუქართა შორის იყო მისი 10—12 წლის ძმისშვილი ან დისშვილი (neveu), რომელიც მაშინვე გაამაჰმადიანეს და სერალში მოათავსეს[105].

მართალია, წყაროებში არაა ასახული სულთანთან მანუჩარისა და ყვარყვარეს მოლაპარაკების მსვლელობა, მაგრამ მისი შედეგები ცნობილია.

ნი — ნუსხა-ხუცური თავი' წიგნში მოუთავსებია. (ეს წიგნი გამოქვეყნდა 1608 წ.) ამგვარად, ქართული ანბანი — ნუსხა-ხუცურის დამწერლობის სახით, სტამბური წესით დაბეჭდილა ჯერ კიდევ 1608 წელს, ე. ი. რომის ქართული (მხედრული) შრიფტით 1629 წ. დაბეჭდილ წიგნზე 21 წლით ადრე. (შ ვ ე ი გ ე რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 7, შდრ. M. B r o s s e t, Histoire de la Géorgie, t. II, p. 225).

[104] შვეიგერის დასახ. ნაშრ., გვ. 7; M. B r o s s e t, op. cit., p. 225.

[105] E. C h a r r i è r e, op. cit., v. III, p. 808.

შვეიგერი წერს: „ორივე ძმამ, საკმაო დრო დაჰყვეს სასახლეში, მაგრამ მათი სურვილი შეუწყნარებლად იყო დატოვებული და მათ გამოუცხადეს, რომ სულთანს გადაწყვეტილი აქვს, საბოლოოდ ჩამოაყალიბოს სანჯაყი[106] მათ ქვეყანაში, ან დაინიშნოს იქ ქვეყნის მმართველი“[107].

სულთანმა სტამბოლში მანუჩარი და ყვარყვარე ერთდროულად დაიბარა. სულთნის ეს ნაბიჯი, შეიძლება მოგვეჩვენოს როგორც სურვილი ძმების ერთმანეთთან დაპირისპირებისა და მათ შორის უთანხმოების გამოწვევისა. თუ ყვარყვარე, რომელიც სამცხის ათაბაგი იყო და კანონით ქვეყნის გამგებლობა მას ეკუთვნოდა, გამაჰმადიანებაზე უარს იტყოდა, მაშინ სულთანი ამ თანამდებობას, იმავე პირობით, მანუჩარს შესთავაზებდა. მართლაც, ეს ასე მოხდა.

ყვარყვარემ სულთნის ამ განზრახვას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და არ მოისურვა გამაჰმადიანება.

ამის გამო სულთანი იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო და ყვარყვარე ქრისტიანობით სანჯაყის გამგებლად დაემტკიცებინა. ამის შესახებ „მესხური ქრონიკა“ გვაუწყებს: „პატრონი ყვარყვარე ღთის წინაც შეურცხუმნელი და კაცთანაც ფალავანი დაეცა ხუანთქართანა და ქართველობით გამოეშუა, მისის საბაჯტონოს წყალობაჲ ექნა“[108].

სულთანის წყალობა იმით კი არ იყო გაპირობებული, როგორც „მესხურ ქრონიკაშია“ ნათქვამი, რომ ყვარყვარემ სულთნის ფალავანი ჰიდაობაში დაამარცხა, არამედ იმით, რომ სულთანი შექმნილ ვითარებაში ყვარყვარეს მორჩილებასა და მის მხარდაჭერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

სულ სხვა პოზიცია დაიკავა მანუჩარმა. იგი, როგორც ჩანს, უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო. ის დარწმუნდა, რომ ამ ვითარებაში წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო. მანუჩარმა დროებით უკან დაიხია, მიიღო სულთნის წინადადება, გამაჰმადიანდა და სულთანმა იგი ბეგლარბეგად დანიშნა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ მანუჩარი საბოლოოდ ხელს იღებდა ქართველობაზე. მოვლენათა სვლამ დაგვანახა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მანუჩარმა საიდუმლო კავშირი დაამყარა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან და მათ დახმარებას უწევდა.

მანუჩარი გამაჰმადიანდა, მას მუსტაფა ეწოდა და სულთნისაგან

---

106 შვეიგერი აქ შეცდომით საბეგლარბეგოს (საფაშოს) ნაცვლად სანჯაყს ხმარობს.

107 შ ვ ე ი გ ე რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

108 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 53.

ბეგლარბეგობა (ფაშობა) მიიღო. მანუჩარის გამაჰმადიანება სულთანის დიდი გამარჯვება იყო. სტამბოლში მანუჩარის „წინდაცვეთა და ბეგლარბეგად დანიშვნა დიდი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს“[109].

გასარკვევია, თუ რომელი პროვინციის ბეგლარბეგობა უბოძა სულთანმა მანუჩარს.

ქართულ წყაროებში ამის შესახებ პირდაპირი მითითება არ მოიპოვება. „მესხურ ქრონიკაში“ მხოლოდ აღნიშნულია, რომ მანუჩარისათვის „ფაშობაჲ ებოძა ხუანთქარსა“[110].

ამ საკითხის გასარკვევად მეტად საყურადღებო ცნობა მოეპოვება კონსტანტინოპოლში მყოფ საფრანგეთის ელჩს: „მანუჩარი... გამაჰმადიანდა, მუსტაფას სახელი მიიღო და ჩილდირის ფაშად დაინიშნა“[111]. ეს ფაქტი დასტურდება სხვა წყაროებიდანაც. ასე, მაგალითად, მუსტაფა სელანიქი[112], შერეფ-ხან ბითლისელი[113], ჟოზეფ ჰამერი[114] სტამბოლიდან სამშობლოში დაბრუნებულ მანუჩარს ჩილდირის ბეგლარბეგის წოდებით იხსენიებენ.

ყოველივე ამის გამო, ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია პროფ. გ. ტივაძის მოსაზრება, რომ სულთანმა სტამბოლში ჩასულ მანუჩარს ათაბაგობა უბოძა[115]. მანუჩარის მიერ ისლამის მიღება თავისთავად გამორიცხავდა ათაბაგად მის დანიშვნას, რადგან ათაბაგის ინსტიტუტი ქართველობასთან იყო დაკავშირებული.

ამრიგად, ოსმალეთის სულთანმა გამაჰმადიანებული მანუჩარი (ძუსტაფა) ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშნა.

ისმის კითხვა, სად მდებარეობდა ოსმალეთის მიერ დაარსებული ჩილდირის საბეგლარბეგო, რომელ ტერიტორიას მოიცავდა იგი?

ოსმალური წყაროების მიხედვით: „ახალციხის, არტაანისა და ჭოროხის ყელზე მდებარე ტერიტორიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ერთი ახალი საბეგლარბეგო ჩილდირის ეიალეთის სახელწოდე-

---

109 E. Charrière, op. cit., v. III, p. 808.

110 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 53; სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 168.

111 «Manutscher,... en embrassant l'islame, prit le nom de Mustafa et devint pacha de Tschildir,» E. Charrière op. cit., v. III, p. 807.

112 سلانیکی تاریخ، გვ. 187.

113 ციტირებულია ქ. ტაბატაძის ნაშრომიდან შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, ტ. II, თბ., 1962, გვ. 184.

114 J. Hammer, v. VII, p. 102.

115 გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში, „მნათობი“, № 10, 1947, გვ. 185.

ბით"[116]. ხოლო უზუნჩარშილის ცნობით — ოლთისისა და არტაანის გაერთიანების შედეგად[117].

ზემოდასახელებული ტერიტორიები: ახალციხე, არტაანი და ჭოროხის ყელი სამცხეში მდებარეობენ. მაგრამ საყურადღებოა ის, რომ აქედან არტაანი და ჭოროხის ყელი ოსმალებმა ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუა წლებში დაიპყრეს, ხოლო ახალციხის მხარე — 1578 წელს.

როგორც ვხედავთ, ჩილდირის ეიალეთში გაერთიანებული იყო სამცხე-საათაბაგოს ძირითადი ტერიტორია.

დასმული საკითხის გასარკვევად ანგარიშგასაწევია „მესხურ ქრონიკაში" დაცული ერთი ცნობა: „ფაშობაჲ (მანუჩარისათვის — მ. ს.) ებოძა ხუანთქარსა და სრულად მისი მამული"[118]. აქედან ჩვენთვის უპირველესად საყურადღებოა ის, რომ სულთანს მანუჩარისათვის უბოძებია „სრულად მისი მამული". ეს კი, ვფიქრობთ, იმას მოწმობდა, რომ სულთანი მანუჩარს სამმართველოდ უბოძებდა არა მარტო იმ ტერიტორიას, რომელსაც მანუჩარი ფლობდა 1578 წლისათვის (აღმოსავლეთ სამცხე-საათაბაგოში), არამედ დასავლეთ სამცხესაც, რომელზედაც მას თავისი ხელისუფლება დაკარგული ჰქონდა. ეს კი იმას ნიშნავდა რომ სულთანი ნაწილობრივ აკმაყოფილებდა მანუჩარის მოთხოვნას (იხ. ზემოთ), ე. ი. მას ებოძებოდა მამა-პაპის მიერ დაკარგული სამფლობელოების, მაგრამ ოსმალეთისათვის მისაღები ფორმით. მართალია გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) მთელი სამცხის გამგებლად ინიშნებოდა, მაგრამ ამიერიდან იგი სულთანის ვასალი (ათაბაგი) კი არ იყო, არამედ მოხელე (ფაშა).

ამგვარად, სულთანმა, ჩილდირის ეიალეთის შექმნის შედეგად, ძირითადად გააერთიანა სამცხეში სხვადასხვა დროს დაპყრობილი ტერიტორია და აქ ოსმალური მართვა-გამგებლობა დააწესა.

შევჩერდეთ ჩილდირის ეიალეთის სახელწოდებაზე. პროფ. ს. ჯიქია შენიშნავს: „უთუოდ სპეციფიკური ვითარებაა ის, რომ ოსმალეთის იმპერიის ამ ერთ-ერთ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულს — ეილაიეთს (ან ეიალეთს) ეწოდება ჩილდირის (ჩრდილის) ვილაიეთი და არ არის ცნობილი თავისი ადმინისტრაციული ცენტრის „ახალციხის" (ახისხას) სახელწოდებით"[119]. ისმის კითხვა, თუ რატომ უწოდეს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში შექმნილ საბეგლარბეგოს ჩილდირის ეიალე-

---

[116] I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 33.

[117] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. III, k. 2, s. 289.

[118] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 53.

[119] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, გვ. 47.

თი. სამცხე-საათაბაგოში, კერძოდ ახალციხის რაიონში, ჩილდირის სახელწოდებით გვხვდება სამი გეოგრაფიული პუნქტი: სოფელი ჩილდირი, ჩილდირის ველი და ჩილდირის ტბა. სახელწოდება ჩილდირი, პროფ. ს. ჯიქიას გამოკვლევით, წარმოსდგება ქართული სიტყვა ჩრდილისაგან. თურქულად ქართული სიტყვა „ჩრდილი" გადმოცემულ იქნა ჩილდირის ფორმით. შემდეგ კი, ეს სიტყვა ამ სახით გავრცელდა[120].

ჩვენი აზრით, ჩილდირის ეიალეთის სახელწოდება არ უნდა მომდინარეობდეს სოფელ ჩილდირიდან, იგი არც ჩილდირის ეიალეთს მმართველის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

ოსმალეთის ისტორიაში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც საბეგლარბეგოს მთავარი ქალაქის სახელით იწოდებოდა თვით საბეგლარბეგო. მაგალითად, ტრაპიზონის, არზრუმის, დიარბექირის, ბაღდადის და სხვათა საბეგლარბეგოები. მაგრამ არც ოსმალურ და არც ქართულ წყაროებში ჩვენ არსად შეგვხვედრია მითითება იმის შესახებ, რომ ჩილდირის ბეგლარბეგების რეზიდენცია დაბა ჩილდირი ყოფილიყო. ამის გამო, ჩვენ გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ჩილდირის ეიალეთის სახელწოდება სოფელ ჩილდირისაგან წარმოსდგებოდეს. აგრეთვე ნაკლებად მოსალოდნელია ჩილდირის ეიალეთის სახელწოდების წარმოშობა ჩილდირის ტბიდან. გვრჩება მხოლოდ მესამე შესაძლებლობა — ე. ი. ის, რომ ჩილდირის ვილაეთის სახელწოდება მომდინარეობს ჩილდირის ველიდან. თავისთავად, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს ადგილი არაფრით არ გამოირჩევა, მაგრამ ჩილდირის ველი მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით. 1578 წ. 9 აგვისტოს ამ ველზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის ლაშქარს შორის, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა (იხ. ზემოთ). სამცხე-საათაბაგოში მომხდარმა ამ ბრძოლამ ოსმალეთის ლაშქარს გამარჯვების სახელი მოუხვეჭა, ამიტომ, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ამ გამარჯვების აღსანიშნავად ოსმალეთის სულთანმა სამცხე-საათაბაგოში შექმნილ საბეგლარბეგოს ჩილდირის ეიალეთი უწოდა.

აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „ჩილდირის ეიალეთი" ქართულ წყაროებში არაა დამოწმებული. ქართულ საისტორიო მწერლობაში ჩილდირის ეიალეთის შესატყვისი სახელწოდებაა ახალციხის საფაშო. საფიქრებელია, რომ ჩილდირის ეიალეთს ახალციხის საფაშოს სახელწოდება იმის გამო უნდა მიეღო, რომ ჩილდირის ეიალეთის გამგებ-

---

[120] ს. ჯ ი ქ ი ა, მზვარე-ჩრდილი, თსუ, შრომები, ტ. 41, 1950, გვ. 185-195.

ლებს (ფაშებს) ახალციხეში ჰქონდათ რეზიდენცია. თურქი ისტორიკოსის უზუნჩარშილის ცნობით, ჩილდირის ბეგლარბეგის რეზიდენცია ახალციხეში იმყოფებოდა. ამასვე ადასტურებენ ქართული წყაროებიც[121]. ქართული წყაროები ჩილდირის ეიალეთის გამგებლებს ახალციხის ფაშად იხსენიებენ, ხოლო ფაშის საგამგებლოს — ახალციხის საფაშოდ.

ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის დაარსების თარიღთან დაკავშირებით საისტორიო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.

თურქი ისტორიკოსები დანიშმენდი და „ოსმალეთის ვრცელი ისტორიის“ ავტორები, რომლებიც თავის გამოკვლევებში მდიდარ საარქივო მასალას ეყრდნობიან, აღნიშნავენ, რომ ჩილდირის ეიალეთი დაარსდა 1578 წელს, ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის შედეგად[122], ხოლო უზუნჩარშილი — ჩილდირის ეიალეთის შექმნას 1579 წლით ათარიღებს[123].

ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია „მესხური ქრონიკის“ ცნობა: „1579 წ. გიორგობის თუეს, პატრონი მანუჩარ მოვიდა კონსტანტინოპოლიდამა, ფაშობაჲ ებოძა ხუანთქარსა“[124]. ამ ცნობაში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ იმდროინდელი ქართული წყარო, და ისიც მესხეთში შედგენილი, სტამბოლიდან დაბრუნებულ მანუჩარს ფაშის ტიტულით იხსენიებს. ხონთქრის ამ „წყალობის“ მნიშვნელობა ავტორისათვის სავსებით ნათელია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ქრონიკა“ ათაბაგს ფაშის წოდებით იხსენიებს.

ამ საკითხის დადგენის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონსტანტინოპოლში მყოფ საფრანგეთის ელჩის ცნობას, საიდანაც ირკვევა: „1579 წლის 25 ივნისს მანუჩარი გამაჰმადიანდა და სულთანმა იგი ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშნა“[125].

ამ ცნობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ჩილდირის ეიალეთის დაარსების თარიღის დაზუსტება. ჩვენი აზრით, ეს აქტი (მანუ-

---

121 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 125.

122 I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 33; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1327.

123 I. H. Uzunçarşılı, Osmanli Tarihi, c. III, k. 2, s. 290; გურჯისტანის ეიალეთის დიდი დავთარი, წ. III, გვ. 7, 48.

124 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 53.

125 E. Charrière, op. cit., v. III, p. 807.

ჩარის გამაჰმადიანება და ჩილდირის ბელგარბეგად დანიშვნა) უნდა მივიჩნიოთ ჩილდირის საფაშოს დაარსების თარიღად.

ამგვარად, 1579 წლის 25 ივნისს სულთანმა დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო და მის პირველ ბეგლარბეგად (ფაშად) გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) დანიშნა[126], მაგრამ ოსმალთა ხელისუფლების აქ საბოლოოდ გაბატონებისათვის სულთნის მთავრობას დიდი დრო დასჭირდა. ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსებით იწყება ახალი ეტაპი ქვეყნის გაოსმალების საქმეში.

3. ქართველი სალსის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ოსმალთა წარმატებებმა ამიერკავკასიაში აიძულა შაჰის მთავრობა შეეცვალა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. შაჰმა დაინახა, რომ დაუდ ხანი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამოდგებოდა. იგი არ სარგებლობდა მოსახლეობის მხარდაჭერით და არც საერთოდ რაიმე სამხედრო ნიჭი გამოუჩენია ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, ასეთ ვითარებაში, იგი არ გამოდგებოდა საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გამაერთიანებლის როლში. ამიტომ ირანის შაჰი სტოვებს თავის „ერთგულ ყმას“ დაუდ ხანს და სიმონ I უახლოვდება. ირანის შაჰმა ხუდაბანდემ 9 წლის განმავლობაში ტყვეობაში მყოფი სიმონ ქართლის მეფე ალამუტის ციხიდან გაათავისუფლა და საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნა.

ვახუშტის ცნობით, შაჰ ხუდაბანდეს დედამ ოთარ შალიკაშვილის ასულმა, „დაახვია ხრმალსა ლეჩაქი წარმოუგზავნა სვიმონ მეფესა (ვითარცა წესი არს ქართველთა) და მოუთხრა, რომელიცა გნებავს, აღიღე და წახვედ ქვეყანასა შენსა ნიჭითა დიდითა ბრძოლე ოსმალთა“. წარმოავლინეს და მისცეს წინათქმული დაუდხანისა ყოველნი და მის ზედა დაურთეს 900 თუმანი და ტყვენი ყოველნი საქართველოსანი, მუნ დატყვევებულნი“[127].

სიმონ I ტყვეობიდან გათავისუფლება ირანის შაჰის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი იყო. იგი ნიშნავდა საერთოდ შაჰის პოლიტიკის შეცვლას ქართლის სამეფოს მიმართ, მის მიმართ კომპრომისზე წასვლას. „ანტიოსმალური განწყობილების გაძლიერება ირან-ოსმალე-

---

[126] ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ახალციხის (ჩილდირის) საფაშო 1625 წელს იქნა დაარსებული. ეს არ უნდა იყოს სწორი. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. თავი VI.

[127] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 44; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 524.

თის ახალი ომის პირობებში, თავის მხრივ, შაჰის ხელისუფლებას ქართლის მიმართ პოლიტიკის შეცვლას უკარნახებდა. შაჰი ასეც მოიქცა. სიმონ I-ის ქართლში დაბრუნებით ირანი ორ მიზანს ისახავდა: „ერთგული მოკავშირის გაჩენას ქართლში ოსმალეთის წინააღმდეგ და ნდობის მოპოვებას ქართველ ფეოდალებს შორის. ნდობის მოსაპოვებლად კი საჭირო იყო ყიზილბაშობის შემოღების განზრახვაზე დროებით ხელის აღება. ქართველების „მოკავშირეობა" მხოლოდ ასეთ პირობებში ჩანდა შესაძლებელი... შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი კომპრომისი იყო და შაჰიც, ჩანს კომპრომისის გზას დაადგა.

ორმხრივი დათმობა იმას ნიშნავდა, რომ შაჰი ხელს იღებდა ქვეყნის გაყიზილბაშების განზრახვაზე; სიმონ მეფეს „ძმობით" უწერდა რაყამს და ამით მას დაუდ-ხანისაგან ასხვავებდა. სიმონ I კი, თავის მხრივ, ცნობდა შაჰის უზენაესობას და, როგორც „ყმა" (და არა მოხელე)..."[123].

სიმონ მეფე, ირანიდან დაბრუნების შემდეგ, სულ მალე გახდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის მებაირაღედ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

ქართველების ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ ირანსაც უმსუბუქებდა მდგომარეობას. მაგრამ ქართველები, რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ოსმალეთთან ომში ჩაბმული ირანი თავის მოკავშირედ მიაჩნდათ (ირან-საქართველოს მოკავშირეობა აღნიშნულ ხანაში სათანადოთაა ასახული იმდროინდელ აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში).

1578 წლის ოქტომბერში სიმონ მეფე ქართლში მოვიდა. ქართლში დაბრუნების შემდეგ აქ მას მეტად ხელსაყრელი ვითარება დახვდა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალთა მიმართ უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდებოდა. „სიმონის ქართლში ჩამოსვლით იწყება ახალი პერიოდი ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში თურქ დამპყრობათა წინააღმდეგ. სიმონის ირგვლივ დაირაზმა ქართლის მოწინავე საზოგადოება"[129].

ქართლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგო დააარსეს და აქ „ოსმალობის" შემოღებას შეუდგნენ. „ოსმალობის" საფრთხემ ქართული ფეოდალური საზოგადოების უმრავლესობა ოსმალთა წინააღმდეგ გააწყო.

---

[128] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 304.

[129] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, გვ. 232; W. E. D. Allen, A History of the Georgian People, p. 136.

ოსმალებმა ქართლში, სამცხე-საათაბაგოსაგან განსხვავებით (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), რამდენადმე მნიშვნელოვანი დასაყრდენი ვერ გაიჩინეს. ყველგან ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ცეცხლი ღვივოდა. სიმონ მეფეც ენერგიულად შეუდგა მებრძოლი ძალების გაერთიანებას[130].

1579 წლის 30 მარტს სიმონ მეფემ ირანელებთან ერთად ალყა შემოარტყა თბილისს. თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა ოსმალეთის სარდალს წერილს წერილზე უგზავნიდა, თავის მძიმე მდგომარეობას აუწყებდა და დახმარებას ითხოვდა[131]. მაგრამ ოსმალთა გარნიზონისათვის დახმარების აღმოჩენა ძალზე გაძნელდა. „მეფე სვიმონ არ მიუვიდა (ოსმალებს — მ. ს.), დაუწყო ბრძოლა და ქალაქისა და გორის ციხიდამ კაცს აღარ გამოუშვებდა, გზები შეუკრა. თუ არ დიდს ლაშქრით წყალსა და საჰმლისათვის კაცი ციხით ვერ გამოდიოდა და საცა, ურემს ნახვამდიან მოჰკლევდიან“[132].

ამ დროს „საქართველო თუმცა დაპყრობილი იყო, მაგრამ არ იყო დამორჩილებული“[133].

ყოველივე ამის გამო, 1579 წელს ოსმალთა სარდლის ლალა მუსტაფა ფაშას ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო ქართლში მისასვლელი გზების შეკეთება, ციხე-სიმაგრეების აგება, ქართლში გაწვლაგებული ოსმალთა გარნიზონებისათვის დახმარების აღმოჩენა და ქართველების მორჩილებაში მოყვანა.

ლალა მუსტაფა ფაშამ ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად გაგზავნა 12 ათასიანი ლაშქარი ზულყადრიის ბეგლარბეგის მუსტაფა ფაშას მეთაურობით[134].

1579 წლის 26 იელისს მუსტაფა ფაშას ლაშქარი ყარსიდან გამოემართა და 2 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა. ამ დროს ქალაქში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა. „ციხეში ალყაშემორტყმულთა შორის ხორბლის ქილა ათას ახჩად იყიდებოდა, ქერისა კი — რვაასად და, ბოლოს, ისიც არ დარჩა. ერთი აქლემი ოცი ათას ახჩად გაიყიდა. ბო-

---

130 ეფიქრობთ, ჰამერი ცდება, რომ ამ დროს ოსმალებმა სიმონ მეფეს სანჯაყად მისცეს გორი იმ პირობით, რომ მას თავი დაენებებინა სპარსელთა სამსახუროსათვის J. Hammer, v. VII, p. 92.

131 I. H. Danişmend, op. cit., c. III. s. 40; B. Kütükoğlu, op. cit., s. 92 , 3; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1334, 1335.

132 ფ. გორგიჯანიძე, გვ. 223.

133 «Mais la Georgie, bien que conquise, n'etait pas domptée» J. Hammer, v. VII, p. 104.

134 B. Kütükoğlu, op. cit., s. 95; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 40, 41; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1335.

ლოს ძაღლისა და კატის ხორციც ჭამეს. ისე რომ ერთი ძაღლი ორ-ორ ათასადაც გაიყიდა. ამ გაჭირვება-უბედურებაში მყოფ ალყაშემორტყმულ მეციხოვნეებში მხოლოდ შვიდასი კაცი გადარჩა«[135]. მუსტაფა ფაშამ ოსმალთა გარნიზონს სურსათ-სანოვაგე, ტყვიაწამალი და ხაზინა გადასცა. ამავე დროს ოსმალთა გარნიზონი თბილისში განახლებულ იქნა და ჩერქეზ კასიმ ბეის მეთაურობით ქალაქში 500 ჯარისკაცი იქნა დატოვებული. 17 სექტემბერს მუსტაფა ფაშამ თბილისი დატოვა და ყარსისაკენ გაემართა[136].

ოსმალთა მაშველი ლაშქრის თბილისიდან გასვლის შემდეგ ქართველებმა ქალაქს კვლავ ალყა შემოარტყეს, ხოლო თბილისიდან ყარსისაკენ მიმავალ ოსმალთა ლაშქარს გზაში თავს დაესხნენ და დიდი ზარალი მიაყენეს. ალყაშემორტყმულ ქალაქში პანიკა დაიწყო. ოსმალო ჯარისკაცთა დიდმა ნაწილმა ქალაქი დატოვა და გაქცევით უშველა თავს. ლალა მუსტაფა ფაშა კვლავ იძულებული შეიქნა გაეგზავნა თბილისში ახალი დამხმარე ძალები და სურსათ-სანოვაგე. ამ ამოცანის შესრულება მან დიარბექირის ბეგლარბეგს ბეჰრემ ფაშასა და დიდი ვეზირის მეპმედ სოკოლუს შვილს, მარაშის ბეგლარბეგს ჰასან ფაშას დაავალა[137].

18 სექტემბერს ოსმალთა ახალი დამხმარე ძალები ყარსიდან თბილისისაკენ გაემართნენ. ტ. მინადოისა და დონ ხუან სპარსელის ცნობით, როდესაც ოსმალთა 20 ათასიანი ლაშქარი თბილისისაკენ მიდიოდა, გზაში მათ თავს დაესხნენ სიმონ მეფე და ირანელთა სარდალი ალი ყული ხანი, ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენეს და ჰასან ფაშას ლაშქარმა ძლივს შეძლო თბილისში შესვლა[138].

თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა, რომელმაც ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება, გადაყენებულ იქნა, ხოლო მის ნაცვლად თბილისის ბეგლარბეგად დანიშნულ იქნა ჰაჯი ბეგი ზადე აჰმედ ფაშა.

ჰასან ფაშამ ოსმალთა გარნიზონი გააძლიერა და დატოვა 3000-ანი ლაშქარი, კარგად მომარაგებული და აღჭურვილი[139].

თბილისიდან ყარსისაკენ მიმავალ ოსმალთა ლაშქარს კვლავ თავს დაესხა სიმონ მეფე და ამჯერადაც დიდი ზარალი მიაყენა.

---

[135] جوی چیار, ტ. II, გვ. 58; თარგმანი, გვ, 54.

[136] B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s., 97—98; I. H. Danişmend, op., cit., c. III, s. 44; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1335.

[137] იქვე.

[138] T. M i n a d o i, op. cit., p. 138; Don Jouan of Persia, p. 157.

[139] B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s. 97; I. H. D a n i ş m e n d, op, cit., c. III, s. 44.

სიმონ მეფის მეთაურობით ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთ ეპიზოდს ფ. გორგიჯანიძე შემდეგნაირად აგვიწერს: „მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი, შუბდაგრძელებულნი, ცხენის ჭენებით მიეტევნეს ანაზდეულ, ვითარც ჩქაფის წვიმა, სეტყვის ღვარნი მთისაგან. გააპეს რაზმი ურუმთა და გარდმოყარეს მრავალნი და გაიარეს შიგა... ურუმნი გაკვირვებულ იყვნენ ამათს მამაცობასა, რომ ვისაც გარდმოაგდებდნენ, გასცილდიან, და თითქოს ქართველს ოთხი და ხუთი ურუმი ცხენიდან გარდმოეგდო“[140].

ჰასან ფაშას ლაშქარი დიდი დაბრკოლებებით ყარსში ჩავიდა და ლალა მუსტაფა ფაშას თბილისის ამბები მოახსენა.

ამავე წლის აგვისტო-სექტემბერში ოსმალებმა ყარსის ციხე გაამაგრეს[141].

„მესხური ქრონიკა“ ამ ამბებს მოკლედ შემდეგნაირად აღწერს: „მეორედ მოვიდა ლალა-ფაშა და კარი ააშენა. თფილის ქალაქს ლაშქარი გაგზავნა და ნუზლი შეიტანა“[142].

22 ოქტომბერს ლალა მუსტაფა ფაშა საზამთროდ ყარსიდან არზრუმში ჩავიდა და იქ დაბანაკდა. ფაქტიურად, 1579 წელს საომარი ოპერაციები ამით დამთავრდა. ოსმალებმა ვერ შეძლეს მათ მიერ დაპყრობილი ადგილების დამორჩილება.

სულთანი მურად III უკმაყოფილო იყო 1579 წლის ომის შედეგებით და ამის გამო მან ლალა მუსტაფა გადააყენა. ლალა მუსტაფა ფაშას გადაყენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მან ვერ შეძლო ქართველი ხალხის წინააღმდეგობის დაძლევა და სიმონ მეფის დამორჩილება.

სულთანი დარწმუნდა, რომ ქართველების წინააღმდეგობის დაძლევა სამხედრო ღონისძიებებით შეუძლებელი იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა სიმონ მეფის მიმართ, რომელიც ქართველთა ბრძოლას მეთაურობდა, გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. ამას ადასტურებს აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის ხუსრევ ფაშას მიერ სიმონ მეფისადმი გაგზავნილი წერილი. ხუსრევ ფაშა სიმონ მეფეს წერდა: „შენი ქვეყნის სხვისთვის გადაცემა აშკარა უსამართლობაა, დღეიდან თუ შენ მოითხოვ „წყალობის ხელშეკრულებას“ და დახმარებას აღმოუჩენ თბილისში

---

[140] ფ. გორგიჯანიძე, გვ. 223.

[141] I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 44.

[142] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 52, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 525.

მყოფ (ოსმალთა — მ. ს.) ჯარს, მაშინ შენი ქვეყანა „საფადიშაჰო ლივას“ სახით შენ გადმოგეცემა“[143].

ეს წერილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული შეიქნა ეღიარებინა, რომ სიმონ მეფის სამფლობელოს სხვისთვის გადაცემა „აშკარა უსამართლობა“ იყო. ამით იგი ფაქტიურად სიმონ მეფეს ცნობდა თავისი ოლქის კანონიერ გამგებლად, მაგრამ ოსმალეთისათვის მისაღები წესით. სიმონ მეფეს თავისი სამფლობელო გადაეცემოდა „ფადიშაჰის ლივას“ სტატუტით.

ამგვარად, სიმონ მეფე უნდა ყოფილიყო არა ქართული სამეფოს გამგებელი (მეფე), არამედ ოსმალური პროვინციის (ლივა) მოხელე (ფაშა). ამასთანავე, თბილისში უნდა დარჩენილიყო ოსმალთა გარნიზონი. მაშასადამე, ოსმალეთის მთავრობა არ აპირებდა ქართლში ქართული სამეფო ხელისუფლების აღდგენას, რომელიც მან 1578 წელს გააუქმა, მაგრამ იგი მზად იყო სიმონი ეცნო მის გამგებლად ოსმალური წესისამებრ.

ოსმალეთის მთავრობის ეს წინადადება სიმონ მეფისათვის მიუღებელი იყო. იგი სულთნისაგან მოითხოვდა, რომ ოსმალეთსა და ქართლის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარებულიყო (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

1580 წლის გაზაფხულზე სულთანმა აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად სინან ფაშა დანიშნა. არსებითად, სინან ფაშას წინაშე იგივე ამოცანა იდგა, რაც ლალა მუსტაფა ფაშას წინაშე — დაემორჩილებინა საქართველო და დაპყრობილ ამიერკავკასიის ქვეყნებში აეგო და გაემაგრებინა ციხე-სიმაგრეები.

1580 წლის 25 აპრილს სინან ფაშამ სტამბოლი დატოვა და აღმოსავლეთში სალაშქროდ გამოემართა.

ზაფხულის დასაწყისში სინან ფაშა არზრუმში ჩავიდა და იქ დაბანაკდა. სინან ფაშამ გადაწყვიტა პირველ რიგში ალყაშემორტყმული თბილისისათვის დახმარება აღმოეჩინა. 28 ივლისს სინან ფაშას ლაშქარი დმანისში ჩავიდა და აქ ერთი კვირა დაჰყო. სინან ფაშამ ბრძანება გასცა ციხის შეკეთებისა და აღდგენის შესახებ, მაგრამ ციხის მშენებლობას ხელი შეუშალა დიდმა წვიმებმა და ამ განზრახვაზე ოსმალებმა ხელი აიღეს.

სწორედ ამ დროს სტამბოლიდან სინან ფაშასთან ჩავიდა ქეთხუდა ჯემიშჯი ჰასან აღა, რომელმაც ვეზირობის ბეჭედი ჩამოიტანა და

---

[143] B. K ū t ū k o ğ l u, op. cit., s. 104.

სინან ფაშას აცნობა, რომ იგი სულთანმა დიდ ვეზირად დანიშნა. ეს ამბავი ოსმალთა ბანაკში დიდი ზეიმით აღნიშნეს. ამის შემდეგ სინან ფაშა თბილისისაკენ გაემართა. გზაში სინან ფაშას ლაშქარს ქართველთა პარტიზანული რაზმები თავს დაესხნენ და დიდი ზარალი მიაყენეს. სინან ფაშამ დიდი ბრძოლებისა და განსაცდელის შედეგად, შეძლო თბილისში ჩასვლა და ოსმალთა გარნიზონისათვის დახმარების აღმოჩენა. სარდალი ქალაქში წესრიგის დამყარებას შეუდგა[144].

სინან ფაშამ თბილისის ბეგლარბეგობიდან გადააყენა აჰმედ ფაშა ჰაჯი ბეგი ზადე და მის ადგილზე გიორგი ბეგი დანიშნა[145].

საინტერესოა გავარკვიოთ, თუ ვინ იყო გიორგი ბეგი, ეს მით უფრო საჭიროა, რადგან მის შესახებ ქართულ წყაროებში არაერთი ცნობა არ მოიპოვება.

გიორგის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ი. ფეჩევი: „საქართველოს ბეგებში კი ყველაზე უფრო გამჭრიახი იყო გიორგი ბეგი, რომელსაც მორჩილება უწინდელი სარდლისათვის (ლალა მუსტაფა ფაშისათვის — მ. ს.) გამოეცხადებინა; ეხლა მოვიდა, ისლამი მიიღო, სახელოვანი სერასქერის სეხნია გახდა. თბილისის ვილაიეთი ებოძა მას (გიორგის) იუსუფ ფაშას სახელით“[146].

ტ. მინადოის გადმოცემით, „იუსუფი ეროვნებით ქართველი, ფეოდალი იყო, რომელიც, სიმონისადმი ძველი მტრობის გამო, თურქებს მიემხრო“[147].

ჰამერის ცნობით, გიორგი (Gregoire) ლუარსაბის შვილი და სიმონის ძმა იყო[148], რაც არ უნდა იყოს სწორი.

ოსმალურ წყაროებსა და ლიტერატურაში გიორგი ბეგი იუსუფ სინან ფაშას სახელით არის ცნობილი.

ქუთუკოღლუს აზრით, გიორგი ბეგი ქართველი მეფეთაგანი იყო, რომელმაც ლალა ფაშას მორჩილება გამოუცხადა, გამაჰმადიანდა, იუსუფი ეწოდა და ახალი სარდლის „სინანის“ სეხნია გახდა[149].

საყურადღებოა აგრეთვე დონ ხუან სპარსელის „რელაციის“ ერთი ადგილი, სადაც მოხსენიებულია „გიორგის შვილი იუსუფი“. იგი მოხსენიებულია ალექსანდრე კახთა მეფისა და დაუდ ხანის გვერდით[150].

---

[144] ჯვეყ ჩარს, ტ. II, გვ. 64—66; თარგმანი, გვ. 60—61: B. Kütükoğlu, op. cit., s., 107; Mufassal Osmanlı tarihi, c. III, s. 1341.

[145] იქვე.

[146] ჯვეყ ჩარს, ტ. II, გვ. 66; თარგმანი, გვ. 61.

[147] T. Minadoi, op., cit., p. 53.

[148] J. Hammer, op. cit., v. VII, pp. 101—102.

[149] B. Kütükoğlu, op. cit., s. 106.

[150] Don Jouan of Persia, p. 143.

ეს გარემოება ჩვენ საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ იუსუფი იმერეთის მეფის გიორგის შვილია. დონ ხუან სპარსელის ეს ცნობა ანგარიშგასაწევია, რადგან იგი იყო ირან-ოსმალეთის ამ ომის მონაწილე და მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან.

საყურადღებოა, აგრეთვე, ალის „ნუსრეთ-ნამეში“ შემონახული ცნობა, რომლის მიხედვითაც, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა ამიერკავკასიაში ლაშქრობიდან უკან ბრუნდებოდა და გორში ჩავიდა, მასთან გამოცხადდა იმერეთის მეფის გიორგის ძმა მამია და სარდალს მორჩილება გამოუცხადა[151].

ქართულ წყაროებში გიორგი მეფის ძმა მამია არაა მოხსენიებული, სამაგიეროდ მ. ბროსეს მიერ შედგენილ ქართველ მეფეთა და მათ შთამომავალთა გენეალოგიურ ცხრილში მითითებულია, რომ იმერეთის მეფეს გიორგის მეორე ცოლის თამარისაგან (შერმაზან დიასამიძის ქალიშვილი) ჰყავდა სამი ვაჟიშვილი ალექსანდრე, როსტომი და მამია[152]. ჩვენი აზრით, „ნუსრეთ-ნამეში“ მოხსენიებული მამია გიორგი მეფის ძმა კი არ არის, არამედ მისი შვილი. საფიქრებელია, რომ გიორგი მეფე სწორედ ამ ვაჟიშვილისათვის (მამიასათვის) მოითხოვდა თბილისის გადაცემას და ამ მიზნით იგი გაგზავნა გორში ლალა ფაშასთან და მას მორჩილება გამოუცხადა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლალა ფაშამ თბილისის დაპყრობის შემდეგ არ შეასრულა თავისი პირობა, და გიორგი მეფის შვილს არ გადასცა თბილისი (ქართლი) საგამგებლოდ. ამ საკითხის გასარკვევად ანგარიშგასაწევია „მესხური მატიანეს“ ცნობა: „მასუკან მეორეს წელიწადს (ე. ი. 1580 წ. — მ. ს.) სინან ფაშა მოვიდა, ტფილის წავიდა და ორნივ (მანუჩარი და ყვარყვარე — მ. ს.) თან გაჰყვეს. პატრონი ყვარყვარე თრიალეთიდამ მოებრუნვებინა, იმერეთს მოციქულად გაეგზავნა და პატრონი მანუჩარ თან წაეტანა“[153].

მაშასადამე, სინან ფაშამ ყვარყვარე მოციქულად გაგზავნა იმერეთში. საფიქრებელია, სინან ფაშამ ყვარყვარეს შუამავლობით იმერეთის მეფეს შესთავაზა ის, რასაც ადრე ლალა ფაშა პირდებოდა მას, ე. ი. გიორგის შვილის თბილისის ბეგლარბეგის თანამდებობაზე დანიშვნას. ჩანს, ეს მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრებულა. სინან ფაშას იმერეთის მეფის გიორგის შვილი, გამაჰმადიანებული იუსუფი თბილისის ბეგლარბეგად უნდა დაენიშნა.

---

[151] عالی نصرتنامه, ფ. 110.

[152] M. Brosset, Histoire de la Géorgie, p. II, pp. 642, 643.

[153] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 53.

ის გარემოება, რომ ქართლის (თბილისის) ბეგლარბეგად დანიშნულ იქნა გამაჰმადიანებული, საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენელი და არა თურქი მოხელე, ნიშნავს ოსმალეთის უკან დახევას და დათმობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამით სულთანი თიშავდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, უპირისპირებდა რა ერთიმეორეს სიმონ ქართლის მეფესა და იმერეთის მეფეს გიორგის.

თბილისის ციხის გამაგრებისა და ოსმალო მეციხოვნეებისათვის სურსათ-სანოვაგისა და ხაზინის დატოვების შემდეგ, სინან ფაშა დმანისის გზით, უკან გაბრუნდა. გზაში მას სიმონ მეფისა და სპარსელთა ლაშქარი თავს დაესხა და დიდი ზიანი მიაყენა. დმანისზე გაელით, სინან ფაშა სამცხეში ჩავიდა და ჩილდირის ველზე დაბანაკდა. სამცხეში ოსმალთა ლაშქარს ქართველები მოსვენებას არ აძლევდნენ. „აქ, წერს ფეჩევი, ქართველ ბოროტგანმზრახველ ქურდთა თვალებს ძილი არ მიეკარა და ამის გამო არც ერთ კაცს ერთი საათითაც არ დაუსვენია“[154].

სამცხიდან სინან ფაშას ლაშქარი ყარსში ჩავიდა, ხოლო იქიდან საზამთროდ არზრუმში დაბანაკდა.

ამგვარად, ვერც ლალა მუსტაფა ფაშამ და ვერც სინან ფაშამ ვერ შეძლეს საქართველოს დამორჩილება.

ირანთან ომს ბოლო არ უჩანდა. ამასთანავე ოსმალთა წარმატებანი ამ ომში თანდათანობით მცირდებოდა. ოსმალებმა ვერ შეძლეს დაპყრობილი ქვეყნების დამორჩილება. პირიქით, ამიერკავკასიის ხალხები სულ უფრო მეტად აძლიერებდნენ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ. ომის წარმოება კი ახალ-ახალ სახსრებს მოითხოვდა. ხოლო ოსმალეთის სახელმწიფოს ხაზინას აღარ შეეძლო დაეფარა ომის ხარჯები. ასეთ ვითარებაში ოსმალეთის სულთნის კარზე გამოჩნდნენ ირანთან ზავის დადების პომხრენი. მათ რიცხვში იყო დიდი ვეზირი და ირანთან ომში ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდალი სინან ფაშა.

თავის მხრივ, ირანის შაჰი, რომელიც ოსმალეთთან ომისათვის მოუმზადებელი იყო და ამ ომში მარცხდებოდა, მზად იყო ოსმალეთთან ზავი დაედო, თუ კი ზავის პირობები ირანისათვის მეტად მძიმე არ იქნებოდა.

ირანის შაჰმა სტამბოლში სულთანთან საზავო მოლაპარაკების მიზნით მაყსუდ ხანი გაგზავნა. საყურადღებოა, რომ ამ მოლაპარაკებაში შუამავლობა ალექსანდრე კახთა მეფეს უკისრია. ტ. მინადოის ცნობით, როდესაც შაჰმა კონსტანტინოპოლში თავისი ელჩი გაგზავნა, მას

---

[154] سجل جبرلر, ტ. II, გვ. 68; თარგმანი, გვ. 62.

გააყოლა ალექსანდრე კახთა მეფის მოხუცი მღვდელი, როგორც საერთო მეგობარი და მშვიდობის დიდი მოსურვე[155].

არზრუმში ირანის ელჩი შეხვდა სინან ფაშას, რომელმაც დიდი პატივით მიიღო იგი და შემდეგ დედაქალაქში გაისტუმრა.

1580 წლის 4 აგვისტოს მაყსუდ ხანი სტამბოლში ჩავიდა. ოსმალეთის დედაქალაქში ირანის ელჩს დიდი პატივით შეხვდნენ. მან სულთანი მურად III ინახულა და ძვირფასი საჩუქრები მიართვა. ირანის ელჩმა სულთანს ზავი შესთავაზა იმ პირობით, თუ კი ოსმალეთი დასჯერდებოდა ყარსსა და თბილისს. თავის მხრივ, სულთანი მზად იყო ირანთან ზავის დადებაზე იმ პირობით, თუ კი შაჰი სულთანს დაუთმობდა იმ ტერიტორიას, რომელიც ოსმალეთმა ირანთან ომის შედეგად დაიპყრო. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

1580 წლის 21 სექტემბერს მაყსუდ ხანმა სტამბოლი დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა[156].

ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება ამით არ დამთავრებულა. 1581 წლის 7 ივნისს, როდესაც სინან ფაშა საზამთროდ არზრუმში იმყოფებოდა, მასთან გამოცხადდა შაჰის ელჩი ნაბუთ აღა (ავი ოსმალურ წყაროებში შაჰ კულუ სულთანის სახელწოდებითაც გვხვდება), რომელიც სულთან სულეიმან ბრწყინვალეს დროს ელჩად იყო ოსმალეთში და მისი მონაწილეობით 1555 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო[157].

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ირანის ელჩთან ერთად არზრუმში სინან ფაშასთან ჩავიდა სიმონ მეფის ელჩი[158].

ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ სიმონ მეფე მზად იყო ოსმალეთთან ზავი დაედო, თუ მას გადაეცემოდა თბილისი მულქი მოურუსად და მისი დაცვის გარდა, ყოველწლიურად ხარაჯას სახით 100000 ოქროს[159] გადაიხდიდა და თავის შვილს მძევლად მისცემდა[160].

ამრიგად, სიმონ მეფე სულთანისაგან მოითხოვდა, რომ ოსმალეთსა და სიმონ მეფეს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობაზე დამყარებულიყო. სიმონ მეფე ოსმალეთს ყოველწლი-

---

155 T. Minadoi, op. cit., pp. 155—158.

156 იქვე; B. Kütükoğlu, op. cit., s. 105, 106.

157 وجوه تاريخ, ტ. II, გვ. 70. თარგმანი, გვ. 64; B. Kütükoğlu, op. cit., s. 109.

158 J. Hammer, v. VII, p. 103.

159 ზოგან ფულის ეოთეულად დინარია მითითებული, ზოგან კი—დუკატი.

160 B. Kütükoğlu, op. cit., s. 108, 109; J. Hammer, v. VII, pp. 103, 104; منجم باشی, ტ. III, გვ. 548.

სიძრონ I ბრძოლა არზრუმის ფაშასთან.

წყაროდან W. E. D. Allen, Russian Embassiens to the Georgian Kings 1589—1605, v. II, Cambridge, 1970.

ურად ხარკს (ხარაჯას) სახით 100 000 ოქროს გადაუხდიდა, ხოლო ოსმალეთი სიმონ მეფეს სცნობდა თბილისის გამგებლად, მემკვიდრეობითი უფლებით. ერთი სიტყვით, სიმონ მეფე სულთნისაგან მოითხოვდა, რომ ქართლსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულების ისეთი პოლიტიკური ფორმა დამყარებულიყო, როგორც დაახლოებით, ოსმალეთსა და კახეთის სამეფოს შორის იყო (დაწვრ. იხ. ზემოთ).

როგორც ჩანს, სიმონ მეფის ეს წინადადება იყო პასუხი ოსმალეთის მთავრობის მიერ უფრო ადრე მისდამი გაგზავნილ წერილზე, რომელშიაც ოსმალეთის მთავრობა სიმონ მეფეს თავაზობდა თბილისის (ქართლის) ბეგლარბეგობას.

მუნეჯიმბაშის გადმოცემით, სიმონ მეფის მიერ ოსმალეთისათვის წაყენებული მოთხოვნა, სულთნის კარზე შეწყნარებულ იქნა და მისი შვილის (მძევლად) გაგზავნის შესახებ ბრძანება თითქოს გაიცა კიდეც[161].

მუნეჯიმბაშის ეს ცნობა არ უნდა იყოს სარწმუნო, რადგან ამის დამადასტურებელი რაიმე სხვა საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება. მისაძლებელია, საზავო მოლაპარაკება სიმონ მეფესა და ოსმალეთის მთავრობას შორის გაგრძელდა, რადგან მოიპოვება ცნობა, რომ 1582 წელს სიმონ მეფის ელჩი სტამბოლში ჩავიდა, სულთნის უფლისწულის წინდაცვეთის დღესასწაულზე. მაგრამ, ჩანს, ეს მოლაპარაკება ჩაიშალა და ომი ოსმალეთსა და სიმონ მეფეს შორის გრძელდებოდა.

სულთან მურად III გადაწყვიტა თავისი ვაჟიშვილის მეჰმედის საზეიმო წინდაცვეთა მოეწყო, რომელზედაც იგი უნდა გამოცხადებულიყო ტახტის მემკვიდრედ. ეს დღესასწაული დაინიშნა 1582 წლის 7 ივლისისათვის. მაგრამ მისთვის მზადება დაიწყო ერთი წლით ადრე.

უფლისწულის წინდაცვეთის დღესასწაულში სულთანი დიდ პოლიტიკურ შინაარსს აქსოვდა. ამ ზეიმზე მან მოიწვია ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები და სცადა მათთან, მშვიდობიან, სადღესასწაულო პირობებში, მოლაპარაკების წარმოება და ურთიერთობის გაუმჯობესება, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რადგანაც სულთანი არ აპირებდა ირანთან დაზავებას და ომის შეწყვეტას. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში იგი დაინტერესებული იყო მშვიდობიანი ურთიერთობით ევროპის სახელმწიფოებთან.

---

[161] منجم باشی, ტ. III, გვ. 568; თარგმანი ნ. შენგელიასი, გვ. 106.

ევროპის სახელმწიფოთა შორის როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსმალეთში ყველაზე დიდი გავლენითა და ავტორიტეტით საფრანგეთი სარგებლობდა.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟაკ ჟერმინმა შეძლო თურქეთთან კაპიტულაციის განახლება და დიდი ქრთამით გალატაში (სტამბოლის ერთ-ერთი რაიონი) კათოლიკური ეკლესიის შენარჩუნება. ეს ეკლესია სულთანს მეჩეთად უნდა ექცია.

ესპანეთთან დაიდო ზავი.

დამყარდა, აგრეთვე, მეგობრული ურთიერთობა ინგლისსა და ოსმალეთს შორის, რომელიც განმტკიცებულ იქნა ინგლისის დედოფლის ელისაბედის წერილით ოსმალეთის სულთნისადმი და მისი პასუხით (1582 წ. 15 ნოემბერი და 1583 წ. 18 მაისი). ამის შემდეგ ინგლისსა და ოსმალეთს შორის დამყარდა მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობა. ინგლისის პირველმა ელჩმა ოსმალეთში ჰერბონმა ოსმალეთთან დასდო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო ინგლისისათვის.

ჰერბონმა, აგრეთვე, სცადა ოსმალეთის ჩათრევა ესპანეთის წინააღმდეგ ომში. ოსმალეთი კი მოითხოვდა ინგლისისაგან, რომ მას მხარი დაეჭირა მისთვის ირანის წინააღმდეგ ომში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე ურთიერთობა ოსმალეთსა და ვენეციის რესპუბლიკას შორის.

ავსტრიის ელჩმა შეძლო ოსმალეთთან ზავის გაგრძელება.

შეგვარებულ იქნა, აგრეთვე, მთელი რიგი სადაო საკითხები პოლონეთთან[162].

ამ დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი იბრაჰიმ ხანი. მას დავალებული ჰქონდა, აგრეთვე, ოსმალეთის მთავრობასთან საზავო მოლაპარაკების წარმოება. 1582 წლის 29 მარტს იბრაჰიმ ხანი სტამბოლში ჩავიდა. 7 აპრილს იგი სულთანმა მიიღო და მან სულთანს შაჰისაგან გაგზავნილი ძვირფასი საჩუქრები და წერილი გადასცა.

ამ დროს სტამბოლში ჩავიდნენ საქართველოს ელჩებიც. სელანიქის ცნობით: „საქართველოს მბრძანებელთაგან: კახთა ხანისაგან, სიმონ ხანისაგან, დადიან ხანისაგან, მოსკოვისა და უნგრეთის ხელმწიფეებისაგან, გერმანიის, ჩეხეთის, საფრანგეთის, ვენეციის, დუბროვნიკის,

---

[162] ამ დღესასწაულის დროს ოსმალეთ-ევროპის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის შესახებ დაწვრილებით იხ. Н. А. Смирнов, Россия и Турция, т. I, стр. 130, 131; J. Hammer, v. VII, pp. 134—185.

ვალაჰეთისა და მოლდავეთის კაცებისაგან კანონით გათვალისწინებული საჩუქრები აღებულ იქნა და მათ თავისი სამსახური შეასრულეს"[163].

საქართველოს ელჩების ჩასვლას სტამბოლში ადასტურებენ, აგრეთვე, ევროპული წყაროებიც[164].

სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს გამართეს თუ არა რაიმე მოლაპარაკება საქართველოს ელჩებმა ოსმალეთის მთავრობასთან, მაგრამ საფიქრებელია ასეთი მოლაპარაკება შემდგარიყო.

ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ მცირე ხნით სიმშვიდე დამყარდა, ამით ისარგებლეს სპარსელებმა, რათა ალექსანდრე მეფე ისევ თავის მხარეს გადმოებირებინათ და სიმონ მეფეც უფრო მოემტკიცებინათ. სპარსელებს არც მისი ერთგულების იმედი ჰქონდათ. ამიტომ სპარსელებმა კახთ ბატონისა და ქართლის მეფის შერიგება სცადეს[165].

სიმონ მეფისა და ალექსანდრე კახთა მეფის შერიგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანისთვის ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სიმონ მეფესა და ალექსანდრე კახთა მეფეს შორის არსებული შუღლი და მტრობა ასუსტებდა ქართველი ხალხის ბრძოლის უნარს ოსმალთა წინააღმდეგ. ცხადია, როდესაც ირანის შაჰი სიმონ მეფისა და ალექსანდრეს შორის შემრიგებლად გამოდიოდა მას თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ობიექტურად იგი ამით დადებით საქმეს აკეთებდა.

შაჰი სიმონ მეფის ერთგულებაში დარწმუნებული არ იყო. მან სიმონ მეფეს თავისი ქალიშვილის ჰამზა-მირზაზე დაქორწინება შესთავაზა[166]. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ამ გზით მათ იმედი ჰქონდათ, რომ სიმონი მათ გადადგომას ვეღარ გაბედავდა. ქართლის მეფემ გარეგნულად თავისი თავი ბედნიერად მოაჩვენა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით სპარსელთა თხოვნას არ ასრულებდა. უეჭველია სიმონს არ სურდა ერთგვარი მძევლის მიცემით თავისი მომავალი პოლიტიკური მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა, მაგრამ ქართველთა სარწმუნოებრივ შეხედულებასაც ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: სიმონს, მის სახლობასა და მმართველ წრეებს არ უნდოდათ ქრისტიანი ქართველი ქალი მაჰმადიანისათვის მიეთხოვებინათ"[167].

სიმონ მეფე აყოვნებდა სპარსელთა წინადადების მიღებას, ამიტომ

---

[163] تاریخ سلانیکی, გვ. 165; თარგმანი, გვ. 266.

[164] J. Hammer, v. VII, p. 282.

[165] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 276.

[166] Iskender Mounchi, p. 453; ისქანდერ მუნში, გვ. 34.

[167] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 276.

მათ სამხედრო მუქარას მიმართეს და იძულებითი გზით თავის მიზანს მიაღწიეს. მაგრამ შაჰი ამითაც არ დაკმაყოფილდა და სიმონ მეფესა და ალექსანდრე კახთა მეფეს მძევლებად ვაჟიშვილების მიცემა მოსთხოვა. ისინიც იძულებული შეიქნენ შაჰის თხოვნა დაეკმაყოფილებინათ. სიმონ მეფემ ირანში თავისი შვილი ლუარსაბი გაგზავნა, ხოლო ალექსანდრე მეფემ — თავისი 12 წლის ვაჟი კონსტანტინე[168].

ალექსანდრე კახთა მეფეს ამის გარდა მოსთხოვეს 3000 ერაყული შაჰური თუმნის გადახდა იმ წლების ხარკის ფასად, როდესაც ის სპარსელებს გადაუდგა და ოსმალებს მიემხრო, 1000 თუმანი კიდევ სხვა ტახტის მემკვიდრისა და 1000 თუმანი სპარსელი სარდლებისა და დიდებულებისათვის საჩუქრად უნდა გამოეღო. კახთა ბატონი იძულებული იყო მთელი ეს მოთხოვნაც შეესრულებინა[169].

ამ დროს შამხალისა და დაღისტანის გამგებლებმაც კავშირი დაამყარეს ქართველებთან საერთო მტრის ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამის შესახებ განჯის გამგებელს იმამ-ყული-ხანს აცნობეს, ხოლო უკანასკნელმა ეს ამბავი ირანის შაჰს აუწყა. ფეჩევის ცნობით: „შამხალის და დაღისტანის სხვა მელიქები და საქართველოს თავადები ერთმანეთს დაუკავშირდნენ. შემდეგ ყველა შეთანხმდა და განჯის ხანს — იმამ ყული ხანს წერილი მისწერეს და აცნობეს. შემდეგ იმამ ყული ხანმა შაჰს მისწერა მათი შეთანხმებისა და შეკავშირების შესახებ. როდესაც შაჰმა გაიგო (1582 წ.) მათი ამგვარი შეთანხმება და კავშირი მან უყოყმანოდ თითონ აიღო მთავარსარდლობა და თავისი სახასო კორუჯიებიდან სამი ათასი კორუჯი გაგზავნა მასთან, მთლიანად კი — ჯარი ორმოცდაათ ათასზე ნაკლები არ გაუყოლებია. გაირკვა, რომ როცა ამათ საქართველოსა და დაღისტნის ჯარები შეუერთდებოდა, ძალიან დიდი ლაშქარი შედგებოდა“[170].

ამგვარად, ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ფართო კავშირი შეიქმნა, რომელშიაც ქართველებთან ერთად მონაწილეობდა შამხალის, დაღისტანის, შირვანის მოსახლეობა და ირანის შაჰის ლაშქარი. მათ გადაწყვიტეს შეეტიათ ოსმალებისათვის გაერთიანებული ძალებით. ამიერკავკასიაში ოსმალეთის ძირითადი დასაყრდენი თბილისი იყო და მათ მთავარი იერიში მის წინააღმდეგ მიიტანეს.

სიმონ მეფისა და იმამ-ყული-ხანის გაერთიანებული ლაშქარი თბილისს მიუახლოვდა და ქალაქს ზარბაზნები დაუშინა[171]. ოსმალთა

[168] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 276; ისქანდერ მუნში, გვ. 36; Iskender Mounchi, p. 459.

[169] იქვე.

[170] چچنی تاریخ, ტ. II, გვ. 78, 79; თარგმანი, გვ. 69.

[171] B. Kütükoğlu, op. cit., s., 115, 116.

მდგომარეობა თბილისში იმდენად კრიტიკული შეიქნა, რომ იტალიაში ხმები გავრცელდა, რომ თბილისი ქართველთა ხელში გადავიდა[172].

არზრუმის და ყარსის ბეგლარბეგებმა ამის შესახებ სასწრაფოდ სულთანს აცნობეს (25 cumâdelahire 990H. = 1582 წ. 18 ივნისს).[173]

წინდაცვეთის დღესასწაული დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სტამბოლში ეს ამბავი შეიტყვეს. სულთანმა სასწრაფო ზომები მიიღო. მან დიდი ვეზირი სინან ფაშა კვლავ დანიშნა აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლად[174].

ამასთანავე, გაიცა ბრძანება ირანის ელჩის იბრაჰიმ ხანის დაპატიმრების შესახებ[175].

სულთნის მთავრობას ეშინოდა, რომ მის წინააღმდეგ ახლად დაწყებული ბრძოლა მოედებოდა არა მარტო აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, არამედ გავრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ამიტომ გადაწყდა ოსმალეთის ლაშქრის ერთი ნაწილი სასწრაფოდ რუმელიიდან (ოსმალეთის ევროპული ნაწილი) კაფაში (ყირიმში) გაეგზავნათ, ხოლო იქიდან, ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლით, დერბენდსა და ბაქოში ჩასულიყვნენ და დახმარება აღმოეჩინათ იქ განლაგებული ოსმალთა გარნიზონებისათვის[176].

---

[172] T. M i n a d o i, op. cit., p. 182.

[173] B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s. 116.

[174] იქვე.

[175] იქვე.

[176] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლალა მუსტაფა ფაშამ შირვანის დაპყრობის შემდეგ (1578 წ.) აქ დაიარსა საბეგლარბეგო და მის გამგებლად დანიშნა თურქ მოხელე ოსმან ფაშა. შირვანელ ფეოდალებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალები მათ დამოუკიდებლობას მიანიჭებდნენ, მაგრამ ეს იმედები გაუცრუვდათ. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ირანის შაჰს დაუკავშირდა და ოსმალთ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა. მალე ოსმალთაგან მთელი რიგი ციხე-ქალაქები იქნა განთავისუფლებული. სულთანმა ოსმან ფაშას დასახმარებლად ყირიმის ხანის ლაშქარი გაგზავნა. ყირიმის ლაშქარი ჩრ. კავკასიის გზით (1578—1591 წწ) ოთხჯერ შეიჭრა აზერბაიჯანში და სასტიკად აოხრა იგი, მაგრამ ოსმალებმა ვერ შესძლეს ქვეყნის დამორჩილება. ყირიმის ხანის ლაშქარი რიგ ბრძოლებში დამარცხდა და ოსმან ფაშამ შეძლო მხოლოდ დერბენდსა და ბაქოში გამაგრება.

ოსმალთა საექსპედიციო კორპუსი, რომელიც 6000 ჯარისკაცს ითვლიდა, ამათგან 3000 იანიჩარი გემებით, კაფაში ჩავიდა. 1582 წ. 27 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარმა, კაფას ბეგლ რბეგის ჯაფარ ფაშას სარდლობით (ოფიციალურად ოსმალეთის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი ჩრდილოეთ კავკასიაში როგორც ყირიმის, ისე ოსმალთა ლაშქრისა იყო ყირიმის ხანი მუჰამედ გირეი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ყირიმის ხანის ლაშქარი შირვანში დამარცხდა, ხოლო ხანის ერთ-ერთი ძმა ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს, ყი-

სულთანმა მიიღო სასწრაფო გადაწყვეტილება ალყა შემორტყმული თბილისისათვის მაშველი ძალების გაგზავნის შესახებ. ამ ამოცანის შესრულება დაევალა დიარბექირის ბეგლარბეგს ჰადიმ ჰასან ფაშას. მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ არზრუმის ბეგლარბეგს მეჰმედ ფაშასა და ჩილდირის ბეგლარბეგს მუსტაფა (მანუჩარი) ფაშას[177].

1582 წლის აგვისტოს ბოლოს ოსმალთა 20 ათასიანი ლაშქარი, ჰადიმ მეჰმედ ფაშას მეთაურობით, არზრუმიდან, ყარსზე გავლით, ახალქალაქში ჩავიდა. აქ ოსმალთა ლაშქარს მუსტაფა (მანუჩარი) შეუერთდა.მუსტაფა ფაშას დაევალა, აგრეთვე, ოსმალთა იმ ლაშქრის მეგზურობაც, რომელიც თბილისში უნდა ჩასულიყო[178]. მუსტაფა ფაშას რჩევით, გადაწყდა, ოსმალთა ლაშქარი ბორჯომის ხეობაზე გავლით, თბილისში ჩასულიყო (ადრე ოსმალები ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად ლაშქარს დმანისის გზით გზავნიდნენ).

ამავე დროს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მეფეებს გაეგზავნათ ბრძანება თავს დასხმოდნენ სიმონ მეფეს და დაერბიათ მისი ქვეყანა[179].

ოსმალეთის ლაშქარმა გაიარა ალთუნყალა, კარაკალკანი[180], გორი[181] და მუხრანის (muhatarali) ველზე დაბანაკდა[182].

სწორედ ამ დროს „ჩაუხდა მეფე გიორგი ქართლს, დადიან-გურიელი თან ახლდნენ გაღმა-გამოღმართი სულ დალეწეს"[183]. სიმონ მეფემ „არა მიხედა მათ" და მან გადაწყვიტა მთავარი დარტყმა ოსმალებზე მიეტანა.

მუხრანის ველზე სიმონ მეფე თავს დაესხა ოსმალთა ლაშქარს და სასტიკი დამარცხება აგემა მას. გადარჩენილმა ოსმალებმა ძლივს შე-

---

რიმის ხანმა მუჰამედ გირეიმ. მიუხედავად სულთნის დაჟინებითი მოთხოვნისა, 1582 წელს უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ოსმალთა ამ ლაშქრობაში.) კაფა დატოვა და ქემებით ჩრ. კავკასიის სანაპირო მიადგა და იქიდან გეზი დერბენდისაკენ აიღო. Н. А. Смирнов, Россия и Турция т. I, стр. 126—127; Кушева, указ. соч., стр. 81—85; А. А. Рахманн, указ. соч., стр. 63—72; B. Kütükoğlu, op. cit., 78—163, 118—121 და სხვა.).

[177] B. Kütükoğlu, op. cit., s. 115, 116.

[178] იქვე.

[179] იქვე.

[180] კარაკალკანი (ქალკანიც) — არაგვის საერისთაო. დაწვრილებით იხ. ს. ჯიქია, თსუ შრომები, ტ. 99, თბ., 1962, გვ. 160—163.

[181] J. Hammer, v. VII, p. 105.

[182] B. Kütükoğlu, op. cit.. s. 116.

[183] თ. ეორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 419.

ძლეს თბილისში ჩასვლა. ქართველებმა დიდძალი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ, მათ შორის თბილისისათვის გათვალისწინებული ხაზინა[184].

ქართული წყაროები და, კერძოდ, ვახუშტი, თუმცა, ამ ამბავს შეცდომით 1581 წლით ათარიღებენ, მაგრამ ისინი ძირითადად სწორად ასახავენ ქართლში მომხდარ მოვლენებს: „შემდგომად ამისა, წერს ვახუშტი, — მოვიდა მაჰმად ფაშა ანუ სინან და სპათა ამისთა აღიღეს ლორე და ამან აღიღო გორის ციხე, შეაყენნა მცველნი და თჳით დასდგა მუხრანს: კვლავ გიორგი იმერთა მეფე სიტყვითა ფაშისათა მოუხდა ზემო-ქართლს, მოჰყენენ დადიანი და გურიელი, ვერ ჰპოვეს ხიზანნი, მოსწვეს გაღმართი და გამოღმართი და წარვიდნენ, ხოლო მეფემან-სვიმონ არა მიხედა მათ, არამედ დაესხა სინან-ფაშას მუხრანს სპითა თვისითა და მოსწყვიტნა სპანი მისნი, იელტოდა ფაშა და შევიდა ტფილისს ციხესა შინა“ (1581 წ.)[185].

თბილისის ბეგლარბეგმა იუსუფ სინან ფაშამ (იმერეთის მეფის შვილმა) ვერ გაამართლა ოსმალთა იმედები. არც იმერეთის მეფის გიორგის დახმარება აღმოჩნდა ეფექტური. ყოველივე ამის გამო, „იუსუფ სინან ფაშა გადააყენეს და მის ნაცვლად თბილისის ბეგლარბეგად ომერ ფაშა დანიშნეს“[186].

თბილისში მცირეოდენი შესვენებისა და ქალაქის დაცვის მიზნით ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, ჰადიმ მეჰმედ ფაშამ ქალაქი დატოვა, უკან გაბრუნდა და სამცხეში, ალთუნყალას მივიდა.

* * *

სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ჩილდირის საბეგლარბეგოს დაარსების (1579 წ.) შემდეგ, ოსმალები აქ კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგნენ ადგილობრივი წესების გაუქმებასა და ოსმალობის დანერგვას.

სტამბოლიდან სამცხეში დაბრუნების შემდეგ, მუსტაფა (მანუჩარი) და ყვარყვარე, ნებით თუ უნებლიედ, იძულებული იყვნენ ოსმა-

---

[184] ჰამერის აზრით, სიმონ მეფის ეს თავდასხვა ოსმალეთის ლაშქარზე გამოწვეული იყო იმით, რომ სულთანმა არ მიიღო სიმონის წინადადება გადაეცა მისთვის თბილისი მემკვიდრეობის უფლებით (H a m m e r, v. VII, p. 105).

[185] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 45, 46; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 527, 528; ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, მცდარია პროფ. გ. ტივაძის შეხედულება, რომ სიმონ მეფის მიერ ოსმალთ განადგურება მოხდა ბორჯომის ხეობაში მდინარე მტკვრის ერთ-ერთ გადასასვლელზე (გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან XVI ს-ში, გვ. 154.).

[186] B. K ū t ū k o ğ l u, op. cit., s. 117.

ლეთის მთავრობის მითითებანი გაეტარებინათ თავის ქვეყანაში. მანუჩარი (მუსტაფა) და ყვარყვარე კარგად ხედავდნენ, თუ რაოდენ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა: „ოსმალობის“ შემოღება მათ ქვეყანას. მაგრამ შექმნილ ვითარებაში, მათ არ შეეძლოთ აშკარად ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლა და რიგ შემთხვევაში იძულებულნი იყვნენ ოსმალთა ლაშქართან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ქართლის სოფლების დარბევაში“[187]. ამავე დროს ირკვევა, რომ მანუჩარი საიდუმლო კავშირს ამყარებდა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან, კერძოდ, სიმონ მეფესთან და დახმარებას უწევდა მათ. ევროპული და აღმოსავლური წყაროებიდან ვგებულობთ, რომ მუსტაფამ (მანუჩარმა) სიმონ მეფეს საიდუმლოდ აცნობა ოსმალთა ლაშქრის თბილისისაკენ მსვლელობის გეგმა და მისი ხელშეწყობით ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ მუხრანთან.

ჩანს, მუსტაფას (მანუჩარის) საიდუმლო კავშირი სიმონ მეფესთან ცნობილი გახდა ოსმალებისათვის. მაგრამ მეჰმედ ფაშამ ვერ გაბედა აშკარად გამოსულიყო მანუჩარის წინააღმდეგ, განიზრახა მისი ვერაგულად მოკვლა. მანუჩარის დასჯით, ჰადიმ მეჰმედ ფაშას სურდა „თავი გაემართლებინა იმ დამარცხებისათვის, რომელიც მან განიცადა ქართველთა თავდასხმის შედეგად“[188].

მეჰმედ ფაშამ შეიმუშავა მუსტაფა — მანუჩარის მოკვლის საიდუმლო გეგმა. ეს უნდა მომხდარიყო სამხედრო საბჭოზე, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოეწვიათ, თითქოსდა ახალი სამხედრო საკითხების განსახილველად. ჩანს, მანუჩარმა შეიტყო ოსმალთა ზრახვები და სათანადო ზომები მიიღო: მანუჩარი სამხედრო თათბირის ადგილას გამოცხადდა 50 ჯარისკაცით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ დაყვირების შემთხვევაში კარავში შევარდნილიყვნენ და მისთვის დახმარება აღმოეჩინათ. სამხედრო საბჭოზე მანუჩარმა მოისმინა სამხედრო ბრძანება, დაჰპირდა თურქებს მის შესრულებას და გამოსვლა დააპირა. ამ დროს ერთმა თურქმა იგი სახელოთი მოსწია და დაკავება დაუპირა. მანუჩარმა დაიყვირა, ხმალი გამოსტაცა და დაარტყა იგი მის წინ მდგომ მეჰმედ ფაშას მოადგილეს. ჯერ მარცხენა ხელით თავსაბურავი მოგლიჯა მას, შემდეგ მარჯვენათი ისეთი სიძლიერით დაარტყა, რომ თავიდან მუცლამდე შუაზე გააპო. ამის შემდეგ ხმლით მეორე ფაშაც დაჭრა და ელვის სისწრაფით მივარდა ზეზე წამოჭრილ ჰადიმ მეჰმედ ფაშას, რომელსაც 5 ჭრილობა მიაყენა. ამ დროს შემოვარდნენ მანუჩარის თანხლები პირები, რომლებმაც მას გზა გაუკაფეს და კარა-

---

[187] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 53.

[188] T. Minadoi, op. cit., pp. 196, 197.

ვიდან სწრაფად გავიდნენ. ამის შემდეგ ოსმალთა ლაშქარი სასწრაფოდ აიყარა და ყარსისაკენ გაემართა[189].

ამ ამბავს „მესხური ქრონიკა“ მოკლედ შემდეგნაირად მოგვითხრობს: „1582 წ. პატრონს მანუჩარს უღალატეს ურუმთა. პატრონი მორჩა. ორნივ ფაშანი მძიმედ დაიკოდეს და გაიქცეს და თემი ჩ[illegible]ვე დაგურჩა“[190].

მანუჩარმა ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ეს აჯანყება იმას მოწმობდა, რომ სამცხე-საათაბაგო ნებით თავის მიწა-წყალს ოსმალებს არ დაუთმობდა და სულთანს არ დამორჩილდებოდა. მანუჩარმა სწრაფად განავითარა მოქმედება და მრავალი ციხე და სოფელი მტრისაგან გაწმინდა და ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენა.

მანუჩარის ამბოხებამ საფრთხის ქვეშ დააყენა არა მარტო ოსმალთა ხელისუფლების არსებობა სამცხეში, არამედ საგრძნობლად გააუარესა ოსმალთა გარნიზონების მდგომარეობა ქართლის ციხე-ქალაქებში და, განსაკუთრებით კი, თბილისში.

მოსალოდნელი იყო, რომ მანუჩარის მაგალითისათვის მიებაძათ საქართველოსა და კავკასიის სხვა გამგებლებსაც. ამიტომ სულთანმა სასწრაფო ზომები მიიღო მანუჩარის მეთაურობით დაწყებული აჯანყების ჩასაქრობად.

მანუჩარი (მუსტაფა) გადააყენეს ჩილდირის ბეგლარბეგის თანამდებობიდან და მის ადგილზე დანიშნეს თბილისის ყოფილი ბეგლარბეგი იუსუფ ფაშა[191].

იუსუფ ფაშას დანიშვნა ჩილდირის ბეგლარბეგად გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. სულთნის ვარაუდით, გამაჰმადიანებული იუსუფ ფაშა, საქართველოს სამიფო გვარის (იმერეთის ბაგრატიონთა) შთამომავალი უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო სამცხის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მანუჩარის — ათაბაგთა სახლის (ჯაყელთა გვარის) შთამომავლის გადაყენების შემდეგ. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ოსმალეთის მთავრობა ჯერ კიდევ ვერ ბედავდა ჩილდირის ბეგლარბეგად ტომით თურქი მოხელის დანიშვნას, რადგანაც ეს გამოიწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გაძლიერებას. იუსუფ ფაშას ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშვნით, ოსმალეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ იგი შეძლებდა ქართველთა დახმარებით მანუჩარის დამარცხებას და სამცხეში თავისი პოზიციის დაბრუნებას. ოსმალეთის მთავრობას იუსუფ ფაშა სჭირდებოდა, აგრეთვე, ქართლში მდგომარეობის გაუმჯობესე-

[189] T. Minadoi, op. cit. pp. 196, 197.
[190] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 54.
[191] B. Kütükoğlu, op. cit., s. 117.

ბისა და, განსაკუთრებით კი, ალყაშემორტყმული თბილისისათვის დახმარების აღმოსაჩენად. იუსუფ ფაშა ადრე ხომ თბილისის (ქართლის) ბეგლარბეგი იყო და ქართლის საქმეებში ჩახედულ კაცად ითვლებოდა. ერთი სიტყვით, ოსმალეთის მთავრობა იუსუფ ფაშაზე დიდ იმედებს ამყარებდა.

დროის ამ მონაკვეთშივე (1582 წ.) ოსმალებმა ტრაპიზონს ბათუმის სანჯაყი დაუქვემდებარეს და ტრაპიზონის საბეგლარბეგო დააარსეს[192]. საფიქრებელია, რომ ბათუმის სანჯაყის მოსახლეობა ოსმალეთისაგან განკერძოების ტენდენციას ამჟღავნებდა. მანუჩარის აჯანყების შემდეგ ბათუმის სანჯაყის ამგვარი მდგომარეობა, ჩანს, ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო და მან გადაწყვიტა ბათუმი და მისი მხარე ოსმალეთისათვის უფრო საიმედოდ შემოემტკიცებინა, რადგან ზღვიდან ბათუმზე და აჭარაზე გავლით გზა სამცხისაკენ მიდიოდა.

ჩილდირის ბეგლარბეგს იუსუფ ფაშას მანუჩარის აჯანყების ჩასაქრობად და წესრიგის დასამყარებლად აზრუმის ყულებიდან 2000 ზაიმი და სიფაჰი გაეგზავნა[193].

ამავე დროს მას მიეცა წინადადება, რომ სასწრაფოდ არზრუმიდან ჩილდირზე გავლით მიეწოდებინა ხაზინა (20 იუქი ახჩა=2 მილ. ახჩა) და სურსათ-სანოვაგე თბილისში მყოფ გარნიზონისათვის, რადგან თბილისისათვის გაგზავნილი ხაზინა და სურსათ-სანოვაგე მტერს ჩაუვარდა ხელში[194]. ოსმალეთის სარდალს ეშინოდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჯარი ციხეს დატოვებდა და გაიფანტებოდა.

მაგრამ ოსმალეთის მთავრობის იმედები არ გამართლდა. იუსუფ-ფაშამ ვერ შეძლო ვერც მანუჩარის დამარცხება და სამცხეში ოსმალთა ძალაუფლების აღდგენა და ვერც ალყაშემორტყმული თბილისისათვის დახმარების აღმოჩენა.

ყოველივე ამის გამო, „1583 წელს იუსუფ ფაშა გადააყენეს ჩილდირის ბეგლარბეგის თანამდებობიდან და იგი ყარსის ბეგლარბეგად დანიშნეს“[195].

ამ ამბების შემდეგ სულთანი დარწმუნდა, რომ მანუჩარის დამარცხება იოლი საქმე არ იყო და გადაწყვიტა მას შერიგებოდა და მის მიმართ კომპრომისზე წასულიყო.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივის ფონდებში (Mühimme defteri) მოიპოვება მოხსენებითი ბარათები და ოქმები მანუჩა-

[192] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. III, k. 2. s. 280.

[193] B. Kütükoğlu, op. cit., s. 116.

[194] იქვე.

[195] იქვე.

რის ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყების შესახებ. სამწუხაროდ, ეს მასალა ჩვენთვის ხელმისაწვდომი არაა. თურქ ისტორიკოსს ბ. ქუთუკოღლუს, რომელიც გაეცნო ამ მასალას, მოაქვს იქიდან ზოგიერთი ცნობა. მართალია, ბ. ქუთუკოღლუს მიერ მოტანილი საბუთები ცალმხრივად და ტენდენციურადაა შერჩეული, მაგრამ მისი კრიტიკული ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება მანუჩარის ოსმალეთთან ურთიერთობის რიგი საკითხების გარკვევა, რომელიც დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი არ იყო.

ბ. ქუთუკოღლუს მიერ მოტანილი ცნობების მიხედვით: „1583 წელს მუსტაფა ფაშამ (მანუჩარმა — მ. ს.) გაგზავნა (სტამბოლში) თავისი კაცი ბოდიშის მოსახდელად, იმის გამო, რომ მან არ იცოდა არაფერი მისდამი მიმართული ცილისწამების შესახებ. (ეს მისი კაცი) აღნიშნულ თვეს უკან დაბრუნდა გამამხნევებელი და ნუგეშის მომცემი ბრძანებით. ჩილდირი მას (მანუჩარს — მ. ს.) ებოძა, ხოლო იუსუფ ფაშამ მიიღო ყარსის ბეგლარბეგობა“[196].

ამრიგად, ირკვევა, რომ სულთანმა მანუჩარი კვლავ დანიშნა ჩილდირის ბეგლარბეგად. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. მაშასადამე, ოსმალეთსა და მანუჩარს შორის უნდა დამყარებულიყო მანუჩარის აჯანყებამდე არსებული ურთიერთობა.

რით აიხსნება ოსმალეთის მთავრობის ასეთი კომპრომისი მანუჩარის მიმართ?

ოსმალეთმა ვერ შეძლო მანუჩარის აჯანყების ჩაქრობა სამცხეში. იგი სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებდა. ამასთან 1582 წელს აჯანყების შემდეგ მანუჩარმა სამცხეში აღადგინა ათაბაგობა, რომელიც ოსმალეთის სულთანმა, ფაქტიურად, 1579 წელს გააუქმა ჩილდირის საბეგლარბეგოს დაარსების შემდეგ. სამცხეში ათაბაგის ხელისუფლების აღდგენა ნიშნავდა აქ ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გაძლიერებას. მანუჩარ II უარყო მაჰმადიანობა და სამცხის ათაბაგი გახდა[197].

1583 წელს მანუჩარII ათაბაგმა ცოლად შეირთო სიმონ I ქალიშვილი ელენე[198]. მანუჩარის სიმონ მეფესთან დამოყვრება არა მარტო მათ დანათესავებას ნიშნავდა, არამედ იგი, ფაქტიურად, სამცხესა და ქართლის სამეფოებს შორის პოლიტიკური კავშირის დადებასაც მოასწავებდა. ცხადია, ეს კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო მიმართული. ამიერიდან სიმონ I-ს ოსმალ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში სამცხე-საათაბაგოც ამოუდგა მხარში. ეს კი

---

[196] B Kütükoğlu, op. cit. s. 118.

[197] 1581 წელს გარდაიცვალა ათაბაგი ყვარყვარე IV.

[198] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 54.

დიდ საფრთხეს უქმნიდა ოსმალთა ბატონობას როგორც ქართლში, ისე სამცხეში.

აჯანყების შემდეგ მანუჩარ ათაბაგი უკავშირდება ირანის შაჰსაც. ირანში დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ სიმონ მეფისა და მანუჩარის დამოყვრების გამო, რადგან იქ კარგად ესმოდათ, რომ ეს კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ იყო მიმართული[199].

თავის მხრივ, ირანი დაინტერესებული იყო მანუჩარით და დახმარებას უწევდა მას საერთო მტრის — ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მესხური მატიანეს“ ცნობით, მანუჩარის აჯანყების შემდეგ „ყაენი განჯას მოვიდა. და პატრონს მანუჩარს ჩალაბუთა მოსცა და პატრონს დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი“[200].

ცხადია, სულთნისათვის ნათელი იყო მანუჩარის საქციელის ნამდვილი არსი, მაგრამ მან შეგნებულად თვალი დახუჭა და არ „იჯერებდა“ მანუჩარის „ღალატს“. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა თურქულ წყაროში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც, „მთავარსარდალმა ფერჰად ფაშამ მიიღო მითითება იმის შესახებ, რომ თუ მან (მანუჩარმა — მ. ს.) აშკარა წინააღმდეგობის გაწევა არ დაიწყო, უყურადღებოდ დატოვოს მისი უკანასკნელი მოქმედებანი“[201].

უდავოდ, ოსმალეთის მთავრობა მანუჩარის „უკანასკნელ მოქმედებაში“ გულისხმობდა მის მიერ ოსმალთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას და მითითებას აძლევდა მთავარსარდალს, რომ ეს ამბავი მას „უყურადღებოდ დაეტოვებინა“.

ერთი სიტყვით, შექმნილ ვითარებაში მანუჩართან შერიგება ოსმალეთის სულთნისათვის მეტად საჭირო იყო.

როგორ შეხვდა მანუჩარი სულთნის მიერ მის დანიშვნას ჩილდირის ბეგლარბეგად?

ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ მანუჩარი, ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშვნის შემდეგაც, სიმონ მეფესთან ერთად კვლავ თავს დაესხა თბილისში მიმავალ ოსმალთა ლაშქარს და მას დიდი ზარალი მიაყენა[202].

ჩანს, მანუჩარი უკმაყოფილო იყო სულთანთან თავისი ელჩის მოლაპარაკების შედეგებით, რადგან იგი ჩილდირის ბეგლარბეგად დანიშვნის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ. ამის

---

[199] მინადოის ცნობით: „მათ (სპარსელებს — მ. ს.) ახარებდათ სიმონისა და მანუჩარის კავშირი“ (T. Minadoi, op. cit., p. 179).

[200] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 54.

[201] B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s. 118.

[202] იქვე.

გამო ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია თურქული წყაროს ცნობა, რომ მანუჩარის კაცი სამშობლოში „დაბრუნდა გამამხნევებელი და ნუგეშის მიმცემი ბრძანებით“. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მანუჩარი უნდა შეერიგებოდა ოსმალეთს და შეეწყვიტა მასთან ბრძოლა. სინამდვილეში კი მანუჩარისათვის „ნუგეშის მომცემი“ არაფერი არ იყო და იგი განაგრძობდა ბრძოლას.

რას მოითხოვდა მანუჩარი ოსმალეთისაგან?

წყაროებისა და ფაქტების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ 1582 წლის აჯანყების შემდეგ მანუჩარისათვის მიუღებელი იყო ოსმალეთთან უპირობო დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა. მანუჩარი სულთნისაგან მოითხოვდა, რომ ოსმალეთსა და სამცხეს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარებულიყო[203] და რომ მისი საგამგებლო ოსმალეთის საფაშო კი არ ყოფილიყო, არამედ საათაბაგო, ამისდა შესაბამისად თვითონ ყოფილიყო სულთნის ვასალი (ათაბაგი) და არა მისი მოხელე (ფაშა). ჩანს, მანუჩარი სულთნისაგან მოითხოვდა დაახლოებით იმას, რასაც ადრე მან მიაღწია ლალა მუსტაფა ფაშასთან მოლაპარაკების შედეგად. (იხ. ზემოთ).

რა თქმა უნდა, სულთნისათვის მიუღებელი იყო ჩილდირის საბეგლარბეგოს დაარსების შემდეგ მისი გაუქმება და აქ საათაბაგოს აღდგენა და ამიტომ მან უარყო მანუჩარის მოთხოვნა.

* * *

1582 წლის აგვისტოში ჯაფარ ფაშას სარდლობით გაგზავნილი ოსმალეთის ლაშქარი, 80 დღის განმავლობაში, დაბრკოლებების გადალახვის შედეგად, დერბენდში ჩავიდა და იქ ოსმან ფაშას ლაშქარს შეუერთდა.

ოსმალთა მაშველი ჯარების ჩასვლამ დერბენდში დიდი შეშფოთება გამოიწვია ირანის შაჰის კარზე, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალები დერბენდიდან შეტევას დაიწყებდნენ შირვანის წინააღმდეგ.

1583 წლის გაზაფხულზე შაჰმა იმამ-ყული-ხანის სარდლობით 50 000 ლაშქარი ოსმან ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. ამავე დროს იმამ-ყული-ხანმა საქართველოს მეფეებს წერილები გაუგზავნა და ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მოსთხოვა[204].

---

[203] ამას ადასტურებს ისქანდერ მუნშის თხზულებაში დაცული ცნობა, რომლის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

[204] عالم آرای, ტ. II, გვ. 79—81, თარგმანი, გვ. 71—73; B. Kütükoğlu, op. cit., s. 186.

1583 წლის 9 მაისს მდინარე სამურზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის, რომელიც ირანელების დამარცხებით დამთავრდა. 3000 ყიზილბაში ოსმალებს ჩაუვარდა ტყვედ. ამ გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა შემახა აიღეს და მთელი შირვანი დაიკავეს.

ყიზილბაშთა დასახმარებლად მოსულ ქართველებს ოსმალები სასტიკად გაუსწორდნენ: „ქართველების უმრავლესობა გაეწყვიტათ და, რაც მათ ებადათ, წაერთმიათ, ხოლო ორი მათი ბეგი და თხუთმეტამდე სახელოვანი „ძაღლი“ (სხვა თურქული წყაროების მიხედვით 30—40 აზნაური — მ. ს.) ხელფეხშებორკილი მოიყვანეს. მაღალღირსეულმა სარდალმა მაშინვე გაუგზავნა ესენი ზაგემის მბრძანებლის ლევან ხანის შვილს. ბედნიერი ფადიშაჰის მოხარკეები რომ ხართ, ეს რას ნიშნავსო — უსაყვედურა“[205].

როგორც ჩანს, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში კახელებიც იღებდნენ მონაწილეობას, ამიტომ ოსმალო სარდალმა ალექსანდრეს ქართველ მეომართა მოკლული თავები გაუგზავნა და შეახსენა, რომ იგი ოსმალეთის მოხარკე იყო და ყიზილბაშებთან ურთიერთობის შემთხვევაში მას იგივე ბედი ეწეოდა, რაც ამ ქართველებს. ი. ფეჩევი დასძენს, რომ „ამ მიდამოების მოსახლეობა მთლიანად მოჯანყე ხალხი იყო, მაგრამ ჩვენთან ხმლის შიშით ძალაუნებურად მეგობრობას იჩენენო“[206].

რასაკვირველია, ოსმალეთს არ აკმაყოფილებდა კახეთის ასეთი პოლიტიკა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ის სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა.

ამ დროს ოსმან ფაშამ სულთნისაგან ბრძანება მიიღო, სასწრაფოდ ჩასულიყო ყირიმში და დაესაჯა ყირიმის ხანი მუჰამედ გირეი, რომელმაც თვითნებურად დატოვა ჩრდილოეთ კავკასია და სამშობლოში დაბრუნდა.

1583 წლის 21 ოქტომბერს ოსმან ფაშამ შირვანი დატოვა და თავის მოადგილედ ჯაფარ ფაშა დანიშნა.

ოსმან ფაშა თავისი ლაშქრით, ჩრ. კავკასიაზე გავლით, ყირიმში ჩავიდა, მუჰამედ გირეი ტახტიდან გადააყენა და მის ნაცვლად ყირიმის ხანის ტახტზე აიყვანა ისლამ გირეი. ამის შემდეგ ოსმან ფაშა ტრიუმფით სტამბოლში დაბრუნდა[207].

---

[205] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 79—81; თარგმანი, გვ. 71—73; B. Kütükoğlu, op. cit. s. 186.

[206] იქვე.

[207] იქვე.

სულთანი უკმაყოფილო იყო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობით და საომარი ოპერაციების შედეგებით. ამის გამო მან გადააყენა სინან ფაშა და 1582 წლის დეკემბერში დიდ ვეზირად დანიშნა სიაუშ ფაშა, ხოლო რუმელიის ბეგლარბეგი ფერჰად ფაშა კი — აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად.

1583 წელს ოსმალეთის მთავარი სამხედრო ძალები ფერჰად ფაშას სარდლობით აღმოსავლეთ სომხეთისა და, კერძოდ, ერევნის ციხის დაპყრობით იყვნენ დაკავებული და არ შეეძლოთ საქართველოს საქმეებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექციათ.

1583 წლის ზაფხულში ფერჰად ფაშა 60 000 ლაშქრით აღმოსავლეთისაკენ გაემართა. არზრუმზე გავლით, ყარსში ჩავიდა, იქიდან კი ერევნის ციხის დასაპყრობად გაემართა. ოსმალთა ლაშქარმა ერევანი უბრძოლველად აიღო. ერევნისა და მისი მიდამოების დაპყრობის შემდეგ ფერჰად ფაშამ ერევნის საბეგლარბეგო დააარსა და მის გამგებლად ჯიგალ ზადე სინან ფაშა დანიშნა. ოსმალები შეუდგნენ ერევნის ციხის მშენებლობა-შეკეთებას და აქ თავისი მართვა-გამგებლობის დამყარებას.

ერევნის ციხის გამაგრებისა და ოსმალური მმართველობის ორგანიზაციის შემდეგ ფერჰად ფაშა არზრუმში დაბრუნდა და ზამთარი იქ გაატარა[208].

1584 წელს სულთანმა გადაწყვიტა გაეტეხა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და საქართველო დაემორჩილებინა. ამ ამოცანის განხორციელება სულთანმა ფერჰად ფაშას დაავალა.

1584 წლის ივლისის დასაწყისში ოსმალეთის ლაშქარმა ფერჰად ფაშას სარდლობით არზრუმი დატოვა და საქართველოსაკენ გაიოემართა[209].

ფერჰად ფაშამ გადაწყვიტა პირველ რიგში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარე ის ციხეები და ადგილები გაემაგრებინა, სადაც როგორც ჩანს, მანუჩარის აჯანყების შემდეგ, ოსმალთა ძალაუფლება შესუსტებული იყო. მან ლაშქარი გაგზავნა და გაამაგრებინა ციხე-სიმაგრეები: ახალქალაქში, ფოცხოვში, შავშეთში, ლივანაში, ზემო აჭარასა და მაჭახელაში. ქუთუკოღლუს ცნობით, ამ ციხეებს „არ შეეძლო ქართველთა თავდასხმისათვის წინააღმდეგობის გაწევა“[210], რაც ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია.

---

[208] ვახუშტი ბატონიშვილი, ტ. II, გვ. 86—88; თარგმანი, გვ. 75, 76; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 68; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1347, 1348.

[209] B. Kütükoğlu, op. cit., s. 137.

[210] იქვე.

ჩვენი აზრით, ზემოდასახელებული ადგილების მოსახლეობა თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა მანუჩარ ათაბაგსა და აჯანყებულ ქართველებს და არც აპირებდა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას.

თურქი ისტორიკოსის ეს ცნობა სხვა მხრივადაცაა საყურადღებო: ქართული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველებმა, მანუჩარის აჯანყების შედეგად, შეძლეს ახალციხისა და მისი სანახების გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან, ხოლო თურქული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ახალციხის მოსაზღვრე რაიონებისა და მის იქითაც (ახალქალაქი, ფოცხოვი, შავშეთი, ლივანა, მაჭახელა და ზემო აჭარა) მცხოვრებნი ქართველები მანუჩარს უჭერდნენ მხარს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფერჰად ფაშა ძირითადი ძალებით ქვემო ქართლისაკენ გაემართა და ლორეში ჩავიდა. ოსმალებმა ლორეს ციხე 12 დღეში შეაკეთეს და იგი დამატებით სამხედრო საჭურველით მოამარაგეს და მეციხოვნენი ჩააყენეს. ლორეს ბეგლარბეგად დაინიშნა მორეას სანჯაყ-ბეგი ბოსნიელი ფითუხ ალი ბეგი. აქედან ოსმალთა ლაშქარი დმანისში ჩავიდა. ფერჰად ფაშამ ეს ციხეც გაამაგრა და სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურველით მოამარაგა, ხოლო დმანისის ბეგლარბეგად დანიშნა სემენდერ ფაშა[211].

დმანისიდან ფერჰად ფაშამ ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად გაგზავნა 20000 ლაშქარი რიდვან ფაშას მეთაურობით. ოსმალებმა ალყაშემორტყმულ ქალაქს სურსათ-სანოვაგე და ხაზინა მიაწოდეს. თბილისის ბეგლარბეგად ახლახან გარდაცვლილ მირზა ალი ფაშას ნაცვლად დანიშნეს საფედის სანჯაყ-ბეგი ბალთაჯი ჰასან ფაშა[212].

ზოგიერთი ოსმალური წყაროს მიხედვით, ამ საქმეების დამთავრების შემდეგ ფერჰად ფაშა გორისაკენ გაემართა და ციხე გაამაგრა. ეს ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. გორის ციხის გამაგრება-აშენება ფერჰად ფაშას მეორე სარდლობის დროს (1587 წელს) მოხდა[213].

ამ დროს ფერჰად ფაშასთან გამოცხადდა სიმონ მეფის ძმა დაუდ ხანი. მან ოსმალო სარდალს განუცხადა: „საქართველოს გასაღები მე ვარ და მაღალი ღმერთის წყალობით (მისი) აღება და დაპყრობა ჩემით შეიძლებაო"[214]. ფერჰად ფაშამ დაუდ ხანი დიდი პატივით მიიღო და გადაწყვიტა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა, რათა იგი სიმონ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინა.

---

[211] იქვე, გვ. 139; I. H. D a n i ş m e n d, op. cit., c. III, s. 77.

[212] იქვე.

[213] იქვე.

[214] سلانیکی تاریخی, გვ. 185, 187; თარგმანი, გვ. 286.

სიმონ მეფის ირანის ტყვეობიდან გათავისუფლებისა და ქართლში დაბრუნების შემდეგ, დაუდ ხანმა ალექსანდრე კახთა მეფესთან შეაფარა თავი და იქ ცხოვრობდა. 1582 წელს, ირანის შაჰის ინიციატივით, მოხდა სიმონ ქართლის მეფისა და ალექსანდრე კახთა მეფის შერიგება. შაჰმა აიძულა ალექსანდრე და სიმონი თავისი ვაჟიშვილები გაეგზავნათ მძევლად შაჰის კარზე. მაგრამ ალექსანდრე მეფემაც შაჰს, თავის მხრით, მოსთხოვა, თავისი ძმა ისა ხანი საქართველოში დაებრუნებინა და შესაფერისად შეენახა. „ამით ალექსანდრე მეფეს სურდა, რომ თავისი თავისა და სამეფოს წინააღმდეგ სპარსეთისაგან გაიძვერობისა და ვერაგობის იარაღად გამოყენებული ადამიანი მისთვის ჩამოეშორებინა და უვნებელეყო. მაშინ სვიმონ მეფემაც ალექსანდრე მეფის მაგალითს მიჰბაძა და თავისი მოღალატე ძმის დაუდ ხანის, რომელიც ალექსანდრე მეფესთან იყო შეხიზნული, მიცემა მოითხოვა მსგავსივე პირობით. თუმცა სპარსეთის მთავრობისათვის ეს მოთხოვნა მეტად უსიამოვნო იყო, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოსთან მშვიდობიანობის ჩამოგდების გულისათვის იძულებული იყვნენ ამაზე თანხმობა გამოეცხადებინათ; ფიცი იყო ორთავესაგან ჩამორთმეული მხოლოდ რომ ამ გაქცეულ ბატონიშვილებს არაფერს ცუდს არ შეამთხვევდნენ. მაგრამ თავიანთი ფიცი არ შეასრულეს და მალე მათ ხმა გაავრცელეს, რომ გაცემულნი თავისით გარდაიცვალნენო“[215].

ალექსანდრე მეფემ ეს ხმა იმიტომ დაარხია, რომ მას არ სურდა დაუდ ხანის სიმონ მეფისათვის გადაცემა, მაგრამ დაუდ-ხანის თავისთან დიდხანს დატოვებაც აღარ შეეძლო. ცხადია, დაუდ-ხანმა კარგად იცოდა, თუ რა საფრთხე ელოდა მას სიმონის მხრიდან და ამიტომ იგი „გაექცა“ ალექსანდრე მეფეს და ოსმალო სარდალთან გამოცხადდა.

სულთანი იმედოვნებდა, რომ დაუდ ხანის დახმარებით შეძლებდა სიმონ მეფის დამარცხებას. სულთანმა დაუდ ხანს საქართველოში სიმონ მეფის მამულები ოჯაკლიკის წესით უბოძა[216]. მაგრამ სულთნის იმედები არ გამართლდა და მალე სულთანმა დაუდ ხანი მცირე აზიაში გაგზავნა და მარაშის ბეგლარბეგად დანიშნა[217].

უკან დაბრუნებისას ფერჰად ფაშამ გადაწყვიტა დაესაჯა მოღალატე მანუჩარი. მას განზრახული ჰქონდა დაეპყრო ახალციხე და მისი სანახები, გაემაგრებინა იგი და სასტიკად აეოხრებინა ქვეყანა. მანუჩარმა, როგორც ირკვევა, მტრის აშკარა რიცხობრივი უპირატესობის

---

[215] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 289.

[216] تاریخ سلانیکی, გვ. 187; თარგმანი, გვ. 268.

[217] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. III, k. 2, s. 106.

გამო, ოსმალებთან პირდაპირ შებრძოლებას თავი აარიდა და პარტიზანულ ბრძოლას მიმართა. ფერჰად ფაშა ჯერ გაეშურა ჯავახეთისაკენ. ჯავახეთისა და, კერძოდ, ახალქალაქის მოსახლეობა მთებში გაიხიზნა. ფერჰად ფაშა გზაზე ყველაფერს წვავდა და ანადგურებდა. ახალქალაქში ოსმალები 4 დღეს გაჩერდნენ, იქიდან ახალციხისაკენ გაემართნენ, მათ ქალაქი დაცარიელებული დახვდა[218]. ფერჰად ფაშამ განიზრახა ახალციხის აშენება-განახლება, მაგრამ თავისი გეგმა ვერ განახორციელა შემდეგი მიზეზების გამო: ერთი მხრით, ქართველები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ოსმალებს, მეორე მხრით, ოსმალთა ლაშქარში უკმაყოფილება და შიმშილი დაიწყო. ფერჰად ფაშა იძულებული შეიქნა სასწრაფოდ ახალციხიდან უკან გაბრუნებულიყო. ოსმალთა ლაშქარს გზაზე ქართველები თავს ესხმოდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ. „ურჯულო ქართველები, რომლებიც მანუჩარს ემორჩილებოდნენ, გზაზე დახვდნენ და მუსლიმანთა ქონებას დიდი ზარალი მიაყენეს; ქართველებმა თვით ფერჰად ფაშას კუთვნილი პირადი ურემი გაძარცვეს და მის პირად ნივთებთან — მურასა ხმალთან, მუზარადთან, ფართან, სიასამურთან და ფოცხვერის ტყავებთან ერთად, რომელიც ურემზე ეწყო, ფერჰად ფაშას საყვარელი მხევალი ქალიც მოიტაცეს“[219].

„მესხური მატიანე“ ამ ამბავს მოკლედ ასე აგვიწერს: „1584 წ. სარდალი ვარად-ფაშა მოვიდა ახალციხის საშენებლად. ველარ დადგა, წავიდა და თემი ჩ[ვ]ნვე დაგურჩა“[220].

„მესხურ მატიანეში“ მოხსენიებული ვარად ფაშა, ჩვენი აზრით, ფერჰად ფაშა უნდა იყოს.

ამგვარად, ოსმალთა ცდა დაემარცხებინათ მანუჩარი და აქ აღედგინათ თავისი ბატონობა, მარცხით დამთავრდა. „მესხური მატიანეს“ — სიტყვებით რომ ვთქვათ, „თემი ჩვენვე დაგვრჩა“, და ქვეყანა კვლავ ქართველთა ხელთ იყო.

სულთანი არც ფერჰად ფაშას მოღვაწეობით იყო კმაყოფილი, განსაკუთრებით აწუხებდა სულთანს სამცხეში შექმნილი მდგომარეობა, ამიტომ მან ფერჰად ფაშა გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშა.

---

[218] T. Minadoi, op. cit., p. 236.

[219] Cheref-nameh, v. II, p. 161. თაოგმანი, კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 139.

[220] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 54; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 529.

1585 წელს სულთანმა მიზნად დაისახა საკუთრივ ირანის ღაშარცხება, მისი დედაქალაქის — თავრიზის დაპყრობა და შემდგომ კი, მთელი ძალებით, საქართველოს დამორჩილება.

ამ მიზნით ოსმალეთის 200000 ლაშქარი, ოზდემირ ოღლუს სარდლობით, ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა და 1585 წლის 1 აგვისტოს არზრუმში ჩავიდა, ხოლო აქედან თავრიზისაკენ გაემართა. დიდი ბრძოლის შედეგად, სექტემბერში, ოსმალთა ლაშქარმა თავრიზი აიღო. ოსმალებმა თავრიზის ციხე-ქალაქი გაამაგრეს და შიგ მეციხოვნენი ჩააყენეს. 1585 წლიდან მოყოლებული თავრიზი 1603 წლამდე ოსმალთა ხელთ იმყოფებოდა. მიუხედავად ოსმალების მიერ ირანის დედაქალაქის დაპყრობისა, სპარსელები განაგრძობდნენ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ ლაშქრობის დროს ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშამ მანუჩარის წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა, მაგრამ, როგორც ჩანს, ოსმალებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. მართალია, ოსმალური წყაროების მიხედვით, მანუჩარი ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხდა[221], მაგრამ, საფიქრებელია, რომ ეს ცნობა გაზვიადებული იყოს, რადგან ამ ბრძოლას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

სიმონ მეფემ ისარგებლა ოსმალთა მთავარი ძალების განლაგებით თავრიზის მისადგომებში, ოსმალებს შეუტია და ლორე აიღო.

„ქსნა: სოგ (1585) მეფე სვიმონ და ფაშა შეიბნენ ლორეს და მეფეს გაემარჯვა და ფაშა გაქცეული ქალაქს შევიდა, და მოკლა ურუმი ორას სამოცდაცამეტი, აიღო ლორე და ქვაფთა“[222]. კიდევ „აქა მეფემან სვიმონ ლორე დაიჭირა“[223].

1586 წელს, ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშას გარდაცვალების შემდეგ, აღმოსავლეთში მთავარსარდლად მეორედ დაინიშნა ფერჰად ფაშა.

ოსმალთა ძირითადი სამხედრო ძალების თავრიზიდან გამობრუნების შემდეგ, ირანელებმა თავრიზს ალყა შემოარტყეს. ფერჰად ფაშა იძულებული შეიქნა ალყაშემორტყმული თავრიზის დასახმარებლად წასულიყო. 1586 წელს ოსმალეთის მთავარი სამხედრო ძალები ირანის წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული.

ფერჰად ფაშამ შესთავაზა ჰამზა-მირზას (შაჰ ხუდაბანდეს უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე) დაედოთ ზავი. ჰამზა-მირზა თანახმა იყო ზავის დადებაზე შემდეგი პირობით: ოსმალთა ჯარი უნდა გა-

---

[221] B. K ū t ü k o ğ l u, op. cit. s., 186.

[222] ქრონიკები, ტ. II, გვ. 423.

[223] იქვე.

სულიყო თავრიზიდან, ხოლო ოსმალებს დარჩებოდათ ამ ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიები. საბოლოოდ მიღებულ იქნა ფერჰად ფაშას მიერ შეთავაზებული კომპრომისული წინადადება. ჰამზა-მირზას თავისი შვილი — ჰაიდარ-მირზა — უნდა გაეგზავნა სტამბოლში სულთანთან, რათა ფადიშაჰს პირადად მისთვის გადაეცა თავრიზი. მაგრამ ჰამზა-მირზას სიკვდილმა (1586 წელს) ხელი შეუშალა ამის განხორციელებას[224].

ასეთ ვითარებაში მანუჩარმა სულთანთან მოლაპარაკება განაახლა. „აქა მაწყურელი გაგზავნეს კოსტანტინეპოლეს და საპატიონი მძევლად: შალიკაშვილი ედიშერ, შალიკაშვილი ელია და ამილახორიშვილი ქოიარ“[225]. ცხადია, მაწყვერელი ეპისკოპოსის გაგზავნა მანუჩარის დავალებით უნდა მომხდარიყო. სტამბოლში ეპისკოპოსისა და მძევლების გაგზავნა იმაზე მიუთითებს, რომ მანუჩარი სულთნისაგან მოითხოვდა ეცნო იგი ქრისტიანობით ათაბაგად და სამცხესა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა დაწყარებულიყო მოხარკეობის საფუძველზე.

სულთანთან მოლაპარაკება ჩაიშალა. „მძევლები დაიჭირეს, პატრონი მანუჩარ ველარ მიენდო“[226].

1587 წელს სულთანმა გადაწყვიტა გაეტეხა ქართველთა წინააღმდეგობა და საქართველო ერთხელ და სამუდამოდ დაემორჩილებინა. ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ფერჰად ფაშას სარდლობით საქართველოსაკენ დაიძრა. ფერჰად ფაშას განზრახული ჰქონდა მთავარი დარტყმა სიმონ I-ისა და მანუჩარ II ათაბაგის წინააღმდეგ მიემართა, რადგან ისინი იყვნენ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავენი.

1587 წლის 30 ივლისს ფერჰად ფაშა არზრუმიდან გაემგზავრა და ყარსში ჩავიდა[227].

---

[224] А. А. Рахмани, указ. соч., стр. 75.

[225] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 55; „მესხური მატიანეს“ ამ ცნობას ადასტურებს აგრეთვე კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩის რელაცია, რომლის მიხედვით, კონსტანტინოპოლში ჩავიდა საქართველოს პატრიარქი: «Arrivò in Constantinopoli il Patriarca dei Georgiani con prometter l'amiciti di questi paesi a Sua Maesta, il quale insimie col Alvaro Mendes era stato a baciar la man al Signore". Summario delle Relaz. Venet. 1586. (J. Hammer, v., VII, p. 195.).

საფიქრებელია, რომ აქ მოხსენიებული საქართველოს პატრიარქი მაწყვერელი ეპისკოპოსი იყოს.

[226] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 55.

[227] B. Kütükoğlu, op. cit., s. 186.

ოსმალო სარდალმა გადასწყვიტა, თავისი ძირითადი ლაშქრით, დმანისის გზით, თბილისში ჩასულიყო, ხოლო იქიდან კი — გორში. ლაშქრის მეორე ნაწილს, რომელსაც სარდლობდა ჩილდირის ბეგლარბეგი ისკანდერ ფაშას ძე ახმედ ფაშა და რომელშიაც შედიოდნენ ყარსის ბეგლარბეგი, ყარამანიის სანჯაყის სხვადასხვა სამხედრო მოლაშქრეები, დაევალა გაელაშქრა ახალციხის წინააღმდეგ, სადაც გამაგრებული იყო რჯულიდან გადამდგარი მანუჩარი[228].

ამასთანავე, ყარსისა და ბათუმის ბეგლარბეგებს გაეგზავნათ ბრძანება დახმარება აღმოეჩინათ ჩილდირის ბეგლარბეგისათვის ზემო აჭარის[229] სანჯაყში მდებარე ციხეების დაპყრობის საქმეში[230].

მანუჩარის წინააღმდეგ ბრძოლა და აჭარის დაპყრობა დაევალა. აგრეთვე, ბათუმის ბეგლარბეგსა და გურიის მთავარს[231].

ამგვარად, ფერჰად ფაშამ ფართო შეტევითი გეგმა შეიმუშავა სიმონ მეფისა და მისი მოკავშირე მანუჩარ ათაბაგის დასამარცხებლად. ფაქტიურად, ოსმალებს სიმონ მეფისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ შეტევა უნდა დაეწყოთ ყველა მიმართულებით და რკალში მოემწყვდიათ ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველები და გაენადგურებინათ ისინი.

ქართველების მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ 1587 წელს ირანის ტახტზე ავიდა შაჰ-აბას I და მან გადასწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა და ამ მიზნით სტამბოლში ელჩი გაგზავნა. ასეთ ვითარებაში ქართველებს ირანის დახმარების იმედი აღარ ჰქონდათ.

ოსმალებმა შეტევა ჯერ აჭარის წინააღმდეგ დაიწყეს. ბათუმის ბეგლარბეგის ლაშქარი და გურიის მთავრის მიერ გაგზავნილი სამხედრო ძალები ჩილდირის ბეგლარბეგს შეუერთდნენ, მანუჩარის სოფლები დაარბიეს და აჭარა ხელმეორედ დაიპყრეს[232].

აჭარის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მთელი ძალებით მანუჩარ ათაბაგს შეუტიეს.

როდესაც მანუჩარმა შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ ყარსიდან გამოგზავნილ იქნა სამხედრო ძალები, მან თავის სიმამრს — სიმონ მეფეს მიმართა დახმარებისათვის[233].

---

228 B. K ü t ü k o ğ l u, op. cit. s. 186.

229 ზოგიერთ თურქულ წყაროში იხსენიება როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარის სანჯაყი.

230 B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s. 187.

231 იქვე.

232 იქვე.

233 იქვე.

სიმონ მეფე თავისი ლაშქრით მანუჩარის დასახმარებლად სამცხისაკენ გაემართა.

ოსმალებმა მიიღეს სასწრაფო ზომები, რომ არ მიეშვათ მანუჩართან მაშველი ლაშქარი.

როგორც აღვნიშნეთ, ფერჰად ფაშა მთავარი ძალებით დმანისისაკენ გაემართა. 27 აგვისტოს ოსმალთა ლაშქარი დმანისში ჩავიდა. 26 აგვისტოს სამხედრო საბჭოზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — გორისაკენ წასულიყვნენ[234]. საფიქრებელია, რომ ოსმალებმა შეიტყვეს სიმონ მეფის სამცხისაკენ გამგზავრების ამბავი და სასწრაფოდ გადაწყვიტეს მის წინააღმდეგ გალაშქრება.

ფერჰად ფაშას ლაშქარი, თბილისზე გავლით, პირდაპირ გორისაკენ გაემართა და 11 სექტემბერს ოსმალები გორში შევიდნენ[235].

ფერჰად ფაშას გორში ასე სწრაფად ჩასვლა, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ მას სურდა გორიდან პირდაპირ ტაშისკარისაკენ წასულიყო და სიმონ მეფე თავისი ლაშქრით ბორჯომის ხეობაში მოემწყვდია და გაენადგურებინა.

სიმონ მეფემ როგორც კი შეიტყო, რომ ოსმალთა ლაშქარი გორისაკენ გამოემართა, იძულებული შეიქნა სასწრაფოდ ქართლში დაბრუნებულიყო[236]. ჩანს, სიმონ მეფე მიუხვდა ფერჰად ფაშას ზრახვებს და სასწრაფოდ სამცხიდან ქართლში დაბრუნდა.

ოსმალებმა ისარგებლეს სამცხიდან სიმონ მეფის წამოსვლით, შეუტიეს ახალციხეს, დაიპყრეს იგი და ახალციხე კელავ ჩილდირის საბეგლარბეგოს შეუერთეს[237].

„მესხური ქრონიკა“ ამ ამბებს ასე მოგვითხრობს: „ქ რკს სოე (1587) ახალციხე და გორი ააშენეს ურუმთა, აგვისტოსა, დასაბ(ა)მითგან წელთა შვიდია(თ)ას ორმოცდათოთხმეტსა.

მეფე სვიმონ საშველად მოვიდა; აღარ შეაბეს მესხთა. თემი დაარბიეს და წავიდეს“[238].

ოსმალების მიერ ახალციხის ხელახალი დაპყრობა, სამცხეში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების დიდი მარცხი იყო. ოსმალებმა, ფაქტიურად, სამცხეში შესძლეს ძველი მდგომარეობის აღდგენა და 1587 წლის მანუჩარის აჯანყების ჩაქრობა. მაგრამ მანუჩარი ფარხმალს არ ჰყრიდა და განაგრძობდა ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ.

---

[234] B. Kütükoğlu, op. cit., s. 186.
[235] იქვე.
[236] იქვე.
[237] იქვე.
[238] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 55—56.

ასეთ ვითარებაში, ოსმალები, მანუჩარისა და მისი მომხრეების საბოლოოდ დამარცხების მიზნით, იყენებენ არა მარტო სამხედრო ძალებს, არამედ სამცხის მოღალატე ფეოდალებსაც და მათი შეჭირვებით ცდილობენ მანუჩარ ათაბაგისა და მისი მომხრეების სამცხიდან განდევნას და აქ გაბატონებას (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი)[239].

ფერჰად ფაშამ გორის ციხე გაამაგრა, ზარბაზნებით აღჭურვა და შიგ მეციხოვნენი ჩააყენა[240].

გორში ყოფნის დროს, ფერჰად ფაშასთან გამოცხადდა „გულადი ვაჟკაცების თანხლებით ვაჟკაცობით სახელგანთქმული ჩერქეზი დირაზის ძე მაჰმუდ ხანი, რომელიც ძველთაგანვე გზადაბნეული შაჰის მსახური იყო. მან მორჩილება გამოაცხადა და პირობა დასდო, რომ თუ მას ბეგლარბეგობის სახით (გორის ბეგლარბეგობას — ე. ს.) უწყალობდნენ მის მიერ დაპყრობილ ადგილებს, თავგზააბნეულ და უსახლკარო სიმონ-ხანის (სიმონ პირველი — მ. ს.) ხელში ჩაგდებას იკისრებდა"[241].

საინტერესოა, გავარკვიოთ, თუ ვინ იყო ის პიროვნება, რომელიც ოსმალო სარდალს სიმონ მეფის დატყვევებას პირდებოდა.

ჩვენი გამოკვლევით, მაჰმუდ ხანი იყო არა დირაზის ძე, არამედ ვარაზას ძე და იგი იყო ქართველი და არა ჩერქეზი. თურქული წყაროების ცნობით, მაჰმუდ ხანს გამაჰმადიანებამდე კოკორა ერქვა[242].

---

239 ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ პროფ. გ. ტივაძის მტკიცებას იმის შესახებ, რომ 1587 წელს მანუჩარმა იკისრა ოსმალთა სასარგებლოდ ხარკის გადახდა და ამ ხარკის აკრეფის მიზნით, ოსმალებმა 1587 წელს პირველად მოახდინეს სამცხე საათაბაგოს აღწერა და შეადგინეს ე. წ. დავთარი ჯაბა (გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში, „მნათობი", 1947, № 10, გვ. 162).

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ არსად, არც ქართულ და არც ოსმალურ წყაროებში, არ მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ მანუჩარმა 1587 წელს ოსმალთა სასარგებლოდ ხარკის გადახდა იკისრა. პროფ. გ. ტივაძეს თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მოაქვს ცნობა ვახუშტის ისტორიიდან, რომელიც ქრონოლოგიურად შეეხება არა 1587 წ ლს მომხდარ ამბებს, არამედ— 1625 წლისას, რაც, რა თქმა უნდა, ამ დებულების დასამტკიცებლად არ გამოდგება.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ქვეყნის აღწერა საერთოდ და, ამ შემთხვევაში, სამცხე საათაბაგოსი— ნიშნავდა არა მოხარკეობის პოლიტიკური ფორმის დამყარებას, არამედ სრულ ინკორპორაციას.

240 .B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s. 188; Mufassal Osmanli tarihi, c. III, s. 1361.

241 سلانیکی تاریخ, გვ. 233, თარგმანი, გვ. 271.

242 დაწვრილებით იხ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, მუსტაფა სელიანიქის „ისტორიის" ერთი ადგილის განმარტებისათვის (იბეჭდება).

ქართულ წყაროებში და, კერძოდ, „მესხური დავითნის“ ქრონიკაში არა ერთგან გვხვდება შალიკაშვილი ვარაზას შვილი (ვარაზას ძე) კოკოლა[243].

შალიკაშვილები სამცხის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფეოდალები იყვნენ. კოკოლა შალიკაშვილის ბაბუა—ოთარ შალიკაშვილი ქაიხოსრო ათაბაგის (1545—1573) უახლოესი თანამებრძოლი და ნათესავი იყო. ოთარ შალიკაშვილის შვილი ვარაზა იყო ცოლის ძმა შაჰთამაზისა. ვარაზა შალიკაშვილსა და ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლეს დედისიმედს შორის განხეთქილება ჩამოვარდა და დედისიმედმა ვარაზა მოაკვლევინა. ამის შემდეგ შალიკაშვილებსა და ათაბაგის სახლის წევრებს შორის მოხდა განხეთქილება.

ვარაზა შალიკაშვილის შვილი იყო ჩვენთვის საინტერესო პიროვნება კოკოლა შალიკაშვილი.

1578—1590 წ.წ. ირან-ოსმალეთის ომის დაწყების წინ სამცხეში შიდაფეოდალური ბრძოლა გაჩაღდა. ათაბაგის სახლის წინააღმდეგ სამცხის ფეოდალთა დიდი ჯგუფი გამოდიოდა, მათ მეთაურობდა ათაბაგის სახლის ყველაზე შეურიგებელი მტერი — შალიკაშვილების ოჯახი. ამათგან ყველაზე უფრო აქტიურად იბრძოდა კოკოლა შალიკაშვილი[244].

1578 წელს ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისას კოკოლა შალიკაშვილი ენერგიულად იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო ოსმალების მიერ სამცხის დაპყრობის შემდეგ, კოკოლა შალიკაშვილი ირანელთა მხარეზე გადავიდა, გამაჰმადიანდა და მას მაჰმუდ ხანი ეწოდა. 1587 წლამდე იგი ირანელთა სამსახურში იძყოფებოდა.

რა იყო ამის მიზეზი, რატომ გადავიდა კოკოლა შალიკაშვილი ოსმალთა მხარეზე და რატომ სთავაზობდა ოსმალებს ეახმარებას სიმონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ჩანს, კოკოლა შალიკაშვილი საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი ამბების საქმის კურსში იყო და ასცადა შექმნილი ძლგომარეობა თავისი პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა. კოკოლა შალიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ თუ იგი დახმარებას აღმოუჩენდა ფერჰად ფაშას სიმონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში და შეძლებდა სიმონის დატყვევებას, სულთანი და, კერძოდ, ფერჰად ფაშა, წყალობის თვალით შეხედავდნენ მას. ამასთანავე, სიმონ მეფის დატყვევება, მანუჩარ ათაბაგის დამარცხებასაც ნიშნავდა. ცხა-

---

[243] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 43, 45, 46, 47, 49.

[244] ი ქ ვ ე, გვ. 155.

დია. სიმონ მეფის დამარცხების შემთხვევაში, კოკოლა შალიკაშვილი შეეცდებოდა გასწორებოდა თავის ძველ შტერსაც — მანუჩარ ათაბაგს.

კოკოლა შალიკაშვილის გადასვლა ოსმალთა მხარეზე, ფერჰად ფაშასათვის მეტად ხელსაყრელი იყო, რადგან მას ოსმალები დაუპირისპირებდნენ არა მარტო სიმონ მეფეს, არამედ მანუჩარ ათაბაგსაც. ერთი სიტყვით, ოსმალო სარდალს სურდა კოკოლა შალიკაშვილი საქართველოში ოსმალთა ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ფერჰად ფაშამ დააკმაყოფილა ვარაზას ძე მაჰმუდ ხანის (კოკოლა შალიკაშვილის) თხოვნა და იგი გორის ბეგლარბეგად დანიშნა[245].

ისევე, როგორც წინათ, როცა ფერჰად ფაშამ სცადა სიმონის ძმა დაუდ ხანი მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინა, ამჯერადაც ფერჰად ფაშამ არ დააყოვნა სიმონის წინააღმდეგ კოკოლა შალიკაშვილის გამოყენება. მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე ცდა, მარცხით დამთავრდა.

ამ პერიოდისათვის ფრიად დამახასიათებელი სურათი წარმოგვიდგება სამცხეში: კოკოლა შალიკაშვილისა და მისი მომხრეების ოსმალების მხარეზე გადასვლისა და ოსმალების მიერ ახალციხის აღების შემდეგ გააქტიურდნენ მანუჩარის მოწინააღმდეგე ქართველი ფეოდალები, კვლავ თავი იჩინა ღალატმა და მტრობამ. ამასთან დაკავშირებით „მესხური მატიანე“ წერს:

„ბევრ რიგი მოღალატე შემოაგდეს პატრონს მანუჩარს, ველარ დაუდგნა და ახალდაბას ცოლი წაიყვანა და წავიდა... და დიასამიძემ ელია დემოთიას ციხეს სავალინშვილი ხალალტოდ შეუყენა. ყალალტეს, ციხე წაართუმს და ბევრი საქონელი და სალარო დაიჭირეს.

და გოგორიშულმა ბეჟან ციხიჯუარი უკუიჭირა და მისცა ფაშას.

შემოგვიყენეს მოღალატენი და ველარც ჩ[illegible]ნ დაუდგენით და ჩავედით ახალდაბას მარტს ნახევარ“[246].

ამგვარად, მანუჩარ II ათაბაგი და მისი თანამებრძოლები იძულებული შეიქნენ, ერთი მხრივ, ოსმალთა სამხედრო შეტევისა და,

---

245 B. K ü t ü k o ğ l u, op. cit., s. 188; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1363.

246 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 55, 56; ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 253.

მეორე მხრივ, ბოღალატე ფეოდალების გამცემლური პოლიტიკის შედეგად, დაეტოვებინათ სამცხე, რაჰაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები.

ოსმალთა წარმატებებმა სამცხესა და ჭართლში, ჩანს, აიძულა ალექსანდრე კახთა მეფე გადაეხადა ოსმალეთის სასარგებლოდ დაკისრებული ხარკი. სელანიქის ცნობით, „კახთა ჰბრძანებელმა ალექსანდრე ხანმაც იკისრა ყოველწლიურად ათი ათასი ოქროს ღირებულების საუკეთესო აბრეშუმის გადახდა გარდაკვეთილი ფასით. მორჩილად შეგვატყობინა, რომ არსებულ ციხე-სიმაგრეებს სიძნელეებში დაეხმარებოდა და საკმარის სურსათს მიაწვდიდა“[247].

აქედან გამომდინარეობს, რომ კახთა მეფე ოსმალეთისათვის დაწესებული ხარკის გადახდას აყოვნებდა და ოსმალთა სამსახურს თავს არიდებდა. მაგრამ შექმნილ ვითარებაში მან ოსმალებს კვლავ „ერთგულება“ აღუთქვა.

ოსმალთა წარმატებებმა საქართველოსა და ამიერკავკასიაში და აქ ირანის პოზიციების შესუსტებამ აიძულა ალექსანდრე მეფე ახალი მოკავშირე გაეჩინა ოსმალთა მოძალებისაგან თავის დასაცავად.

კახთა მეფისათვის ნათელი იყო, რომ ოსმალები შესაფერის ვითარებაში შეეცდებოდნენ კახეთის გაოსმალებასაც. ოსმალეთის მხრივ მოსალოდნელმა საშიშროებამ კახეთის მეფე რუსეთს დაუკავშირა: „კახეთ-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის განახლებისათვის დროც მარჯვე იყო. ირანი ოსმალეთს დაეძალა და შაჰს კახეთის „პატრონობისათვის“ თავი არ ჰქონდა. ოსმალეთი კი მოძალადე იყო და კახეთის მეფეც საშუალებას სწორედ ამ მოძალადისაგან თავის დასაცავად ეძებდა“[248].

1587 წ. ალექსანდრე კახთა მეფემ რუსეთთან მფარველობის ტრაქტატი დადო[249].

მიუხედავად ოსმალთა წარმატებებისა საქართველოში, მათ მაინც ვერ შესძლეს სიმონ მეფის დამარცხება და მისი მორჩილებაში მოყვანა. ფერჰად ფაშა საქართველოში ჩატარებული სამხედრო ოპერაციების შესახებ სულთანს აცნობებდა: „რადგანაც საქართველოში ვერავითარი საშუალებით ვერ მოხერხდა წყეული სიმონის თავიდან მოცილება, საბოლოოდ სიმონის სატახტო ქალაქ გორში მაგარი ციხე აშენდა. ახალციხეშიც შეიკრიბნენ ბეგლარბეგები და ციხე გაამაგრეს... აშენე-

---

[247] کیلانیلاس خبرلری, გვ. 246; თარგმანი, გვ. 270.

[248] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 18.

[249] იქვე.

ბულ ციხეებში მეომრები ჩააყენეს, მოთავსდა ხაზინა და სურსათი, დაინიშნენ ბეგლარბეგები. ამის შედეგად დმანისი, ლორე, გორი და ახალციხე საქართველოს ნამდვილ ზღუდედ შეიქნა. თბილისის ციხის ასეთი გაძლიერებისათვის მრავალი სიძნელე განეიცადეთ და ხაზინა დაიხარჯა, მაგრამ ქვეყანა გამაგრდა"[250].

მართალია, ფერჰად ფაშა აზვიადებდა საქართველოში ოსმალთა წარმატებას, მაგრამ მას, ძირითადად, სწორად აქვს ასახული საქართველოში ამ დროს შექმნილი მდგომარეობა.

1588 წელს ფერჰად ფაშამ განჯა-ყარაბახსაც შეუტია და განჯა დაიპყრო. ოსმალებს მორჩილება გამოუცხადეს ყარაბახის ამირებმაც[251].

ყოველივე ამის გამო, ოსმალების ძალაუფლება ამიერკავკასიაში რამდენადმე განმტკიცდა.

ამ პერიოდში ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარებით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1588 წელს ალექსანდრე კახეთის მეფის უფროსი ვაჟი ერეკლე სულთანთან „გაიქცა". ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: „მართალია, მამა (ალექსანდრე კახეთის მეფე) საქვეყნოდ ჰგმობდა შვილს ამ ურჩობისათვის, მაგრამ მისი ამ ფიცის არავის სწამდა და ერეკლე ბატონიშვილს კახეთის მეფის მიერ ხონთქრის კარზე გაგზავნილ მძევლად სთვლიდნენ"[252].

შაჰ-აბას I უპირველესად ყოვლისა მიზნად დაისახა ოსმალეთთან დაზავება, რაც მას საშუალებას მისცემდა ქვეყნის შიგნით განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება და მხოლოდ ამის შემდეგ შესდგომოდა ოსმალეთთან ომის განახლებას. 1588 წელს მან ამ მიზნით სტამბოლში სულთანთან ელჩი გაგზავნა. საყურადღებოა, რომ ერეკლე, ალექსანდრე კახეთის მეფის შვილი, სწორედ ამ დროს „გაიქცა" ოსმალეთში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ერეკლე ბატონიშვილს შუამავლის როლი უნდა ეთამაშა ირან-ოსმალეთის ზავის დადების საქმეში. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ამგვარი ხასიათის დავალებით კახეთის მეფის წარმომადგენელი ირანის ელჩთან ერთად ჯერ კიდევ 1581 წელს სტამბოლში იქნა გაგზავნილი. დასაშვებია აგრეთვე ისიც, რომ ერეკლეს სიმონ ქართლის მეფისგანაც ჰქონდა მიღებული ანალოგიური ხასიათის დავალება. საყურადღებოა, რომ ერეკლე კახთა ბატონიშვილმა ჯერ კიდევ ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს დახმარება აღმოუჩინა ოსმალებს. ლალა ფაშამ მას შაჰი უწყალობა

---

[250] سلانیکی تاریخ, გვ. 225, 226; თარგმანი, გვ. 269.

[251] I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 87,; Mufassal Osmanlı Tarihi, c, III, s. 1362.

[252] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 31.

და ერეკლე მის ბეგლარბეგად დანიშნა. ისე ჩანდა, რომ ერეკლე ბატონიშვილი ოსმალეთის ორიენტაციისა იყო.

ოსმალეთთან ათი წლის სისხლისმღვრელი ომის შედეგად, საქართველოს სამეფოებს შორის, ქართლი ყველაზე მეტად აოხრებული და გაპარტახებული იყო. ქართლის მოსახლეობის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. საჭირო იყო შესვენება და ჭრილობების მოშუშება..

შექმნილ ვითარებაში სიმონ მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ პირისპირ ომის გაგრძელება არახელსაყრელად მიაჩნდა და გადაწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა.

ამასთან დაკავშირებით მოიპოვება სულთან მურად III მიერ ქართლის მეფე სიმონ I-სადმი გაცემული უავგუსტოესი ხელშეკრულების პირი[253].

ამ დოკუმენტისა და სხვა წყაროების ანალიზის შედეგად და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ 1588 წელს სიმონ I-სა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო[254].

ჩვენ მოსაზრებას მხარს უჭერს „ოსმალეთის ვრცელ ისტორიაში" დაცული ცნობა: 1588 წელს, განჯის ციხის აშენებისა და მის მიდამოებში ოსმალთა ბატონობის განმტკიცების შემდეგ, ქართლის მეფემ და ყარაბახის ზოგიერთმა ემირმა ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადეს[255].

ამ ფაქტს ადასტურებს, აგრეთვე, შემდეგი ადგილი ვახუშტის ისტორიიდან: „ამ ჟამებთა (საუბარი ეხება 1588 წელს) ვინადგან გარე-მტერთა არღა-რა აქვნდა ბრძოლა მეფესა, მოიხსენა შური გიორგი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა"[256].

ამ დროს საქართველოს მთავარი გარეშე მტერი, როგორც ცნობილია, ოსმალეთი იყო. და თუ „გარე-მტერთა არღა-რა აქვნდა ბრძოლა მეფისა", მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის სიმონ მეფეს ოსმალეთთან ზავი ჰქონდა დადებული.

სიმონ მეფის ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების შესახებ ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: „ამას წინათ დადგენილ იქნა, რომ ოსმალებთან დაზავება ისე, როგორც სულთან ჰამზა-მირზას სიცოცხლეში იყო მომზადებული, (მართლაც) მოხდა... საქართველოს ხელმწიფეთა-

---

[253] ს. ჯიქია, მ. სვანიძე, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588—1590 წწ. „მაცნე", 1966, ტ. 6, გვ. 223—236.

[254] იქვე, გვ. 226.

[255] Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1362.

[256] ვახუშტი, გვ. 253.

გან სიმონ ხანს, რომელიც ყოველთვის ამ მხარის (ირანის) ერთგული იყო და მუდამ ძალმიცემით ებრძოდა ოსმალებს, ამ დროს ფერჰად ფაშამ ალერსიანად (დაუწყო ლაპარაკი) და სასიამოვნო შეპირებებით და ძვირფასი საჩუქრებით მოატყუა. სიმონმაც, რომელიც ჭკვიანი და გამოცდილი კაცი იყო, სწორად შეაფასა ყიზილბაშთა მდგომარეობა, მათგან დახმარებისა და შეწევნის მიღებაზე გული გაუტყდა, ბედს მიენდო, ხელი აიღო ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რაც, მართლაც, აღემატებოდა მის ძალღონეს"[257].

ამგვარად, სპარსული წყაროც ადასტურებს სიმონსა და ფერჰად ფაშას შორის დაზავების ფაქტს. მართალია, ისქანდერ მუნში ამაზე ყურადღებას არ ამახვილებს და ცდილობს ეს ამბავი სიძნის სისუსტით ახსნას, რომ მან დაუჯერა „ალერსიან" სიტყვებსა და საჩუქრებით მოხიბლული მოტყუვდა, მაგრამ, მიუხედავად ასეთი ტენდენციურობისა, სპარსელი ისტორიკოსი მაინც იძულებულია აღნიშნოს, რომ სიმონს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რომ მტრის ძალები მის ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატებოდა და რომ დახმარების იმედი არსაიდან იყო.

ამრიგად, ოსმალეთის ამიერკავკასიაში სამხედრო წარმატებების შედეგად და, აგრეთვე, ირანის მიერ ოსმალეთთან დაწყებული საზავო მოლაპარაკებისა და საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო, სიმონ მეფე იძულებული შეიქნა ფერჰად ფაშასთვის მორჩილება გამოეცხადებინა და ოსმალეთს დაზავებოდა.

თავის მხრივ, ოსმალეთი დაინტერესებული იყო ზავის დადებით. ოსმალეთის ეკონომიური მდგომარეობა სულ უფრო მეტად რთულდებოდა. ირანთან ომის წარმოება დიდ სახსრებს მოითხოვდა. ოსმალეთის მთავრობა ახალ-ახალი გადასახადების განწესებით ცდილობდა კრიზისისაგან თავის დაღწევას, მაგრამ ეს ღონისძიება კიდევ უფრო ამწვავებდა მწარმოებელი კლასის მდგომარეობას, რის გამო სულ მალე ოსმალეთში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა.

არც საგარეო მდგომარეობა იყო სახარბიელო. მართალია, ოსმალეთს ავსტრიის იმპერატორთან ზავი ჰქონდა დადებული, მაგრამ მასთან ურთიერთობა რთულდებოდა და ომის დაწყება გარდაუვალი ჩანდა.

ამ პერიოდში თანდათანობით სამხრეთისაკენ მოიწევდა რუსეთი და მას სულ უფრო მეტად აინტერესებდა ამიერკავკასიის ქვეყნები. 1587 წელს ალექსანდრე კახეთის მეფემ რუსეთთან მფარველობითი

---

[257] ისქანდერ მუნში, გვ. 38, 39.

ტრაქტატი დადო. ამ ფაქტს უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან საქართველოს მეფეები ცდილობდნენ რუსეთის დახმარებით ოსმალეთისა და ირანის აგრესიისაგან თავი დაეცვათ[258].

რუსეთის გამოჩენა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე ოსმალეთს ძალზე აფიქრებდა.

ასეთ ვითარებაში მურად III დაინტერესებული იყო ირანთან ზავის დადებით. ოსმალეთის მთავარსარდალს ფერჰად ფაშას სულთნისაგან დავალებული ჰქონდა საბოლოოდ გაეტეხა ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგობა და აეძულებინა ისინი ოსმალეთისათვის მორჩილება გამოეცხადებინათ, რაც საწინდარი უნდა ყოფილიყო ირანთან ზავის დადების საქმეში. ამ მიზნის განხორციელებისათვის ფერჰად ფაშა, რიგ შემთხვევაში, იძულებული იყო კომპრომისის გზას დასდგომოდა. სიმონ მეფესთან დაზავების შემდეგ ირანთან ზავის დადებისათვის გზა, ფაქტიურად, გახსნილი იყო.

ქართულ წყაროებში არ გვხვდება ცნობები სიმონ ქართლის მეფესა და ფარჰად ფაშას შორის ზავის დადების შესახებ. მაგრამ ქართულ მატიანეებში თავისებურად აისახა სიმონ მეფის მოლაპარაკება ოსმალო ფაშასთან. მართალია, იქ არაა აღნიშნული, თუ რომელ ოსმალო ფაშასთან აწარმოა მოლაპარაკება სიმონ მეფემ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ფერჰად ფაშა უნდა იყოს. ეს ამბავი ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგნაირადაა მოთხრობილი: „მაშინ მოიხელოვნა და მოირთო ელჩად მეფე სვიმონ და მივიდა ფაშასთანა. სვიმონ მეფის მაგიერად წარმოუთხრნა სიტყვანი ესრეთ, ვითარმედ: „სვიმონ მეფემან მოგახსენათ: მეყოფა ამდენის ხმლის ქნევა და ომი ყაენის გულისათვისო, თუ გინდათ თქვენ იყავით ჩემი ბატონი, თუ უნდა ისო. აწ თქვენთვისა სჯობს და ჩვენთვისაც, შევრიგდეთ და მოვისვენოთ ამდენის ლაშქრობისგან“. მაშინ რა ესმა ფაშასა სიტყვები ესე, გაიხარა და შემოუთვალა ესრეთ, რომ კარგად შემოგითვლია და სჯობს, რომ შევრიგდეთო“[259].

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის ცნობა მოიპოვება ვახუშტის „ისტორიასა“[260] და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე. წ მესამე ტექსტში[261].

---

[258] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 24, 25.

[259] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 374. საყურადღებოა, რომ ბერ ეგნატაშვილს ეს ეპიზოდი 1586—1592 წლების ამბებს შორის აქვს მოთხრობილი.

[260] ვახუშტი, გვ. 47.

[261] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 580.

ქართულ წყაროებში ამ ფაქტის ასეთი ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: სიმონ მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი იყო, რაც ქართველი ისტორიკოსებისათვის შეუძლებელს ხდიდა დაეჯერებინათ, რომ სიმონ მეფე ოსმალეთთან ზავს დადებდა და მას მორჩილებას გამოუცხადებდა. ქართულ წყაროებში სიმონ მეფის ეს ნაბიჯი ახსნილია, როგორც ქართველი მეფის მოხერხებული ღონისძიება, ერთგვარი ხრიკი, შეცდომაში შეეყვანა ოსმალო ფაშა და შემდეგ მოულოდნელად თავს დასხმოდა მას და დაემარცხებინა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოსმალებთან ზავის დადების შემდეგ, სიმონ მეფე ფარულად კვლავ განაგრძობდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო შემდგომ (1598 წ.) გაანაახლა ომი ოსმალთა წინააღმდეგ .ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ზემოთ დასახელებული ქართული წყაროები შედგენილია XVIII საუკუნის დამდეგს და მათ ავტორებს, შესაძლებელია არ გააჩნდათ რაიმე საბუთი სიმონ მეფის ოსმალეთთან დაზავების შესახებ.

უავგუსტოესი ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ფერჰად ფაშასთან დაზავების შემდეგ, სიმონ მეფემ სტამბოლში სულთანთან ელჩები გაგზავნა, ფერჰად ფაშასთან დადებული ხელშეკრულების დამტკიცების (რატიფიკაციის) მიზნით[262]. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სიმონ მეფის ძმა[263], მისი ნათესავი, მოურავი[264] და ნდობით აღჭურვილი რამდენიმე პირი.

---

[262] ოსმალეთში წესად იყო შემოღებული, რომ ომის დროს მთავარსარდლის მიერ დადებულ ხელშეკრულებას სულთანი ამტკიცებდა. იყო შემთხვევები, როდესაც სულთანი არ ამტკიცებდა სარდლის მიერ დადებულ ხელშეკრულებას.

[263] სიმონ მეფეს ორი ძმა ჰყავდა, დავითი (დაუდ ხანი) და ვახტანგი. ჩვენი აზრით, სიმონ მეფემ სტამბოლში ვახტანგი გაგზავნა. დაუდ ხანის გაგზავნა სტამბოლში გამორიცხული ჩანს, რადგან სიმონ მეფესა და დაუდ ხანს შორის შეურიგებელი ბრძოლა წარმოებდა.

[264] აქ მოხსენიებული მოურავი, ჩვენი აზრით, გიორგი სააკაძის მამა, სიაუშ სააკაძე უნდა იყოს. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ იგი სამეფო კართან დაახლოებული იყო, მაღალი თანამდებობები ეკავა, 1590 წლის ერთ საბუთში სიაუშ სააკაძე სიმონ მეფის მოურავად არის მოხსენიებული (საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. II, თფ, 1909, გვ. 47), ამასთან დაკავშირებით პროფ. ს. კაკაბაძე და დოც. გ. ჯამბურია გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მართალია, ამ საბუთში არ არის ნათქვამი, თუ რის მოურავია სიაუში, მაგრამ საფიქრებელია, როს ის სწორედ თბილისის მოურავი იყო და შემდგომ ეს თანამდებობა მისმა შვილმა გიორგი სააკაძემ მიიღო მემკვიდრეობით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ამ დროს. (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, გიორგი სააკაძის ვინაობის შესახებ, საისტორიო კრებული, წ. 4, თფ., 1929 , გვ. 69; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, გიორგი სააკაძე, თბილისი 1964, გვ. 23.).

სიმონ მეფის მიერ სულთანთან გაგზავნილი ელჩები „ოსმალთა სახელმწიფოს შესაფერის პატივით იქნენ მიღებულნი“. საქართველოს წარმომადგენლების მიმართ „გამოჩენილ იქნა მზრუნველობა და მფარველობა“ სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ისმის კითხვა, როდის ჩავიდა სიმონ მეფის დელეგაცია სულთანთან? ბუნებრივია, რომ საქართველოს წარმომადგენლები სტამბოლში უნდა გამგზავრებულიყვნენ სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის ზავის დადების შემდეგ. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ეს ზავი 1588 წელს დაიდო. მაშასადამე, სიმონ მეფის ელჩები სტამბოლში უნდა ჩასულიყვნენ 1588 წლის ბოლოს ან 1589 წელს, არა უგვიანეს 1590 წლისა, ე. ი. ირან-ოსმალეთის ზავის დადებამდე, რადგან ეს დოკუმენტი გაცემულია ირან-ოსმალეთის ომის დროს[265].

საქართველოს წარგზავნილებს შეუსრულებიათ მათზე დაკისრებული მისია. სულთანმა დაამტკიცა სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ხელშეკრულება. ამის შესახებ მურად III სიმონ მეფეს წერდა: „შენი სურვილი და საწადელი კეთილად იქნება (ჩვენს მიერ) დაკმაყოფილებული... უწინ მიცემული ხელშეკრულების შესაბამისად“[266].

მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ პერიოდში სიაუშ სააკაძე თბილისის მოურავი არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან ამ წლებში დედაქალაქს ოსმალები ფლობდნენ. სიაუშ სააკაძე თბილისის მოურავი შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ 1606 წლიდან, როდესაც თბილისიდან ოსმალები განდევნილ იქნენ. სწორედ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სიაუშ სააკაძე 1590 წლის საბუთში და ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მოხსენებულია არა თბილისის, არამედ სიმონ მეფის მოურავად.

ამასთანავე, ამ პერიოდში იწყება სააკაძეების გვარის დაწინაურება და მათი მამულებით შეწყალება. ასე, მაგალითად, 1588 წელს სიმონ მეფემ სიაუშ სააკაძეს უწყალობა სოფ. ნოსტესა და ერთაწმინდის რამდენიმე გლეხი თავისი მამულით. ამავე წელს სიაუშ მეფის წყალობით, იძენს ჯავახიშვილების სოფ. ოძისს. ხოლო 1594 წელს სიმონ მეფე გიორგი სააკაძეს „ერთგულ თაყდადებითა ნამსახურს ყმას“ უწოდებს და მას წყალობად აძლევს სოფ. ლისს (თბილისის ახლოს.) სააკაძეების გვარის სხვა წარმომადგენლებიც ასევე დაწინაურდნენ და მეფისაგან სხვადასხვა სახის წყალობა მიიღეს. ს. კაკაბაძე, დას. ნაშრ., გვ. 67—75; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 23, 28, 41). ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სააკაძეები სიმონ მეფის ერთგული თანამებრძოლები იყვნენ და იზიარებდნენ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამიტომ საფიქრებელია, რომ სიმონ მეფემ თავისი მოურავი სიაუშ სააკაძე მეტად საპასუხისმგებლო დავალებით სტამბოლში გაგზავნა.

[265] ს. ჯიქია, მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 223-224.

[266] იქვე, გვ. 234.

უავგუსტოესი ხელშეკრულება, ჩვენი აზრით, არის სიმონ მეფისა და ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების პირობების დამტკიცება-დადასტურება, თუმცა იგი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც გამოწვეული იყო იმ დროს ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის შექმნილი ურთიერთობით. საქმე ისაა, რომ როდესაც სულთანს უნდა დაემტკიცებინა სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ზავი, მან ბეგლარბეგებისაგან მიიღო ცნობა, რომ სიმონ მეფე არღვევდა საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ამიტომ სულთანი სიმონ მეფეს აფრთხილებდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა — დაეცვა ხელშეკრულებების პირობები[267].

მურად III მიერ სიმონ მეფისადმი გაცემული უავგუსტოესი ხელშეკრულება დაწერილი უნდა იყოს სიმონ მეფის ელჩების სტამბოლში ჩასვლის შემდეგ და 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავის დადებამდე, ე. ი. 1589—1590 წლებში.

მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტი, მაგრამ უავგუსტოესი ხელშეკრულების შინაარსიდან ცნობილი ხდება ამ საზავო ხელშეკრულების პირობები.

ამ ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და კისრულობდა არ ჩარეულიყო მის საქმეებში. ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „შენს (სიმონ მეფის) უფლებაში მყოფი შენი ქვეყანა უწინდებურად შენს ხელში იყოს, შთამომავლობიდან შთამომავლობამდე იყავ მისი მფლობელი და სხვა ვინმეს ამაში ხელი არ ჰქონდეს და (ამ საქმეში) არ ჩაერიოს“[268].

საყურადღებოა, აგრეთვე, ის, რომ სულთანი სიმონ I-ს ქრისტიანობით უნარჩუნებდა მმართველობას, მურად III სიმონ I-ს შემდეგნაირად მიმართავდა: „იესოელთა დიდებული თავადების სიამაყევ, მესიელთა ხალხში წარჩინებულთა რჩეულო, ქრისტეს მაღიარებელ გვართომთა საქმეების კეთილად წარმმართველო, ქართლის ქვეყნის მფლობელო სიმონ ხან“[269].

ოსმალეთის მიერ სიმონ I ქრისტიანობით ქართლის მეფედ ცნობა ქართველი ხალხის გამარჯვება იყო, რადგან ქრისტიანობის შენარჩუნება ქართველობასთან (ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან) იყო დაკავშირებული.

[267] ს. ჯიქია, მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 234.

[268] იქვე.

[269] იქვე, გვ. 233, 234.

ხელშეკრულების ანალიზიდან ირკვევა, რომ ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავი დაფუძნებული იყო Uti possidetis პრინციპზე, ე. ი. ოსმალეთი ინარჩუნებდა იმ ტერიტორიებს, რომელიც მას დაპყრობილი ჰქონდა ომის შედეგად. ვინაიდან ზავის დადების დროისათვის ოსმალებს, ფაქტიურად, ქართლში მხოლოდ მთავარი ციხე-ქალაქები ეკავათ, ამიტომ ქართლის ციხეებში კვლავ ოსმალთა გარნიზონები რჩებოდნენ და სიმონ მეფის ხელისუფლება ქართლის დანარჩენ ტერიტორიაზე ერცელდებოდა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: „ბატონ სვიმონ ქართლში მეფობდა, მაგრამ ციხეები ურუმთ ეპირათ“[270].

სიმონ მეფე იძულებული იყო დათანხმებულიყო ქართლის ციხე-ქალაქებში ოსმალთა გარნიზონების დატოვებაზე, რადგან შექმნილ ვითარებაში, უკეთესი გამოსავალი არ არსებობდა. ოსმალეთთან დაზავებით, სიმონ მეფეს საშუალება ეძლეოდა ძალები მოეკრიბა, მოკავშირეები შეეძინა და ახალი შეტევა დაეწყო ოსმალთა წინააღმდეგ, მათი საქართველოდან საბოლოოდ განდევნისათვის.

სიმონ, ქართლის მეფე, როგორც ხსენებული დოკუმენტიდან ირკვევა, ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარაჯა (ხარკი) ეხადა[271]. ამგვარად, ოსმალეთსა და ქართლის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე მყარდებოდა. ეს კი იმას მოწმობდა, რომ ოსმალეთის სულთანი იძულებული იყო მიეღო სიმონ მეფის მიერ ადრე შეთავაზებული ზავის პირობები, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო ოსმალეთთან ურთიერთობის ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც მოხარკეობას გულისხმობდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, სიმონი არღვევდა ხელშეკრულების პირობებს და თავს ესხმოდა ოსმალებს.

ამასთან დაკავშირებით მურად III სიმონ მეფეს მოუწოდებდა და აფრთხილებდა: „შენ კიდევ შენს ხელქვეით მყოფი თავადები და აზნაურები გააფრთხილე და მიუთითე, რომ ციხეებში მიმავალ-მომავალ ჩემს ჯარისკაცებს სურსათისა და ხაზინის დამტარებლებს და გამვლელ-გამომვლელებს ნურავითარ შემთხვევაში ნუ ერჩიან და ნუ გადაეკიდებიან... რათა შეუძლებელი იყოს ენება და ზიანი მიეყენოს ვისიმე ქონებასა და სიცოცხლეს“[272].

---

[270] ფ. გორგიჯანიძე, გვ. 13.
[271] ს. ჯიქია, მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 234.
[272] იქვე.

სიმონ მეფის ოსმალეთთან ამგვარი ურთიერთობის გამო ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა წერდა: „ვინაიდან სიმონ ხანი მედგარი და დაუყოლებელი პიროვნება იყო, ოსმალებს თავს ესხმოდა. ამის გამო მას რჩევა-გაფრთხილების ფირმანი გაეგზავნა და მან ფორმალურად მორჩილება აღიარა, მაგრამ ხელსაყრელ დროს უცდიდა, რომ მშვიდობა დაერღვია"[273].

თავის მხრივ, სულთანი ვალდებულებას იღებდა დაეცვა სიმონ მეფის სამფლობელო ოსმალთა თავდასხმისა და შევიწროებისაგან და თუ ვინმე ოსმალთაგანი დაარღვევდა სიმონ მეფის საგამგებლოს, მკაცრად დაესჯა იგი.

ყურადღებას იქცევს ის, რომ მურად III ცდილობდა სიმონ მეფესთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა, სულთანი სიმონ მეფეს წერდა: „შენი კეთილიმზრუნველობით საჭიროა მშვიდობიანობა და სიწყნარე... მტრის მტერი იყავი და მეგობრის მეგობარი... რათა შენ გეღირსოს ჩემი მეფური წყალობა, რათა შენს ტოლებში გახდე ისეთი ადამიანი, რომ შენს ტოლებს შეშურდეს"[274].

სიმონ მეფე, მიუხედავად რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობისა, საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა. ოსმალეთთან დაზავების შემდეგ მან გადაწყვიტა ამის განხორციელება: „ამ ჟამებთა, — წერს ვახუშტი, — ვინადგან გარე-მტერთა არღა-რა აქვნდა ბრძოლა მეფესა, მოიხსენა შური გიორგი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა"[275].

ამ მიზნის მისაღწევად სიმონმა სცადა ოსმალთა ლაშქრის გამოყენებაც „აჩიკ ბაშის ქვეყნისაკენ, რომ გაემართეთ, წერდა მურად III სიმონ მეფეს, დახმარება ითხოვეთ, თბილისის ყულებიდან ჯარი მოგეცათ და მტერზე გაიმარჯვეთ"[276].

როგორც დავინახეთ, ოსმალეთმა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა მეფეს დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში. ოსმალეთის ასეთი პოლიტიკა აიხსნება იმით, რომ იგი ამ გზით, ერთი მხრივ, ცდილობდა სიმონ მეფის სამხედრო ძალები მიემართა დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ, დაექსაქსა მისი ლაშქარი, რათა სიმონ მეფეს არ ჰქონოდა საშუალება შეევიწროებინა ქართლის ციხე-სიმაგრეებში განლაგებული ოსმალთა გარნიზონები; მეორეს მხრივ, სულ-

---

[273] نعیما جلبی, ტ. III, გვ. 206; I. H. Uzunçarşili, Osmanli Tarihi, c. III, kism, 2, s. 107.

[274] ს. ჯიქია, მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

[275] ვახუშტი, გვ. 253.

[276] ს. ჯიქია, მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

თანი ვარაუდობდა, რომ იმერეთის წინააღმდეგ ლაშქრობის შემდეგ სიმონ მეფის ძალები დასუსტდებოდა და იგი უფრო მეტად დამოკიდებული გახდებოდა ოსმალეთზე. ამავე დროს, სიმონ მეფისათვის იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებით, ოსმალეთი აღრმავებდა და აღვივებდა საქართველოს სამეფოებს შორის არსებულ შუღლსა და მტრობას, რაც საბოლოო ჯამში ასუსტებდა გარეშე მტრების წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლის უნარს. სიმონ მეფე კი ფიქრობდა, რომ ოსმალთა დახმარებით იგი შეძლებდა დასავლეთ საქართველოსა და ქართლის სამეფოს გაერთიანებას, ამით კიდევ მეტად განამტკიცებდა თავის ძლიერებას და შემდგომ ადვილად შესძლებდა ოსმალთა დამარცხებას და მათ საქართველოდან განდევნას.

საზავო ხელშეკრულების მიხედვით, როგორც ვნახეთ, ქართლსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდა. სიმონ მეფე ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკი ეხადა. ოსმალეთი ცნობდა სიმონ I ქართლის მეფედ ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში.

ქართველმა ხალხმა სიმონ მეფის მეთაურობით, ათი წლის თავდადებული და გმირული ბრძოლის შედეგად, აიძულა სულთნის თურქეთი ხელი აეღო ქვეყნის ინკორპორაციაზე. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება.

* * *

სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დავაზების შემდეგ ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება განახლდა.

ამ დროს შაჰ-აბას I მდგომარეობა მეტად მძიმე იყო; ქვეყანაში ანარქია სუფევდა. ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს თავს ესხმოდნენ ოზბეგთა ხანები, ხოლო ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები დასუსტებული იყო.

ასეთ ვითარებაში შაჰ-აბასი იძულებული იყო მიეღო ოსმალეთის მიერ შეთავაზებული ზავის პირობები: 1. ირანის შაჰს უნდა ეცნო ოსმალეთის ხელისუფლება მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე. 2. შაჰს უნდა გაეგზავნა მძევალი, სეფიანთა უფლისწული, სულთნის კარზე.

შაჰ-აბასმა, ოსმალეთთან ზავის დადების მიზნით, სტამბოლში მეჰდი ყული ხანის მეთაურობით მრავალრიცხოვანი ელჩობა გაგზავნა და მას ძვირფასი საჩუქრები გაატანა. მასთან ერთად სტამბოლში გა-

გზავნეს სეფიანთა უფლისწული (შაჰ-აბას I-ის უფროსი ძმის ჰამზა მირზას ვაჟიშვილი ჰაიდარ მირზა).

1590 წლის 21 მარტს, სტამბოლში ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო[277]. საზავო ხელშეკრულების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო[278]. აღმოსავლეთ სომხეთი, მთელი ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილისა და ტალიშის გამოკლებით), ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთს დარჩა.

ხელშეკრულების პირობებით, ყიზილბაშებს თავი უნდა შეეკავებინათ სამი პირველი ხალიფას (აბუ-ბექრის, ომარისა და ოსმანის) საჯარო წყევლა-კრულვისაგან[279].

ამ ზავის შედეგად დამთავრდა ირანსა და ოსმალეთს შორის ერთერთი ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელი ომი, რომელიც გრძელდებოდა 11 წელიწადს, 11 თვესა და 16 დღეს.

შაჰ-აბასი ამ ზავის პირობებს ირანისათვის მეტად დამამცირებლად თვლიდა. ხელშეკრულების დადების ორი თვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ მეჰდი ყული ხანს (რომელმაც ხელი მოაწერა ამ ზავს) ყაზვინში თავი გააგდებინეს იმ მიზეზით, რომ მან სტამბოლში შელახა ირანის სახელმწიფოს პრესტიჟი[280]. ამ აქტით შაჰ-აბასმა აშკარად გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ზავისადმი. მახლობელ აღმოსავლეთში, და აგრეთვე ევროპაში, 1590 წლის ხელშეკრულებას იხილავდნენ, როგორც დროებით ზავს და არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ახლო მომავალში შაჰ-აბასი, როგორც კი შეძლებდა თავისი ძალაუფლების განმტკიცებას, მაშინვე განაახლებდა ომს ოსმალეთის წინააღმდეგ.

---

277 ეს ზავი ფერჰად ფაშას აქტიური მონაწილეობით დაიდო. მისი ამ ღვაწლის გამო ზოგიერთი თურქი ისტორიკოსი 1590 წლის ხელშეკრულებას „ფერჰად ფაშას ზავს უწოდებს". Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1391.

278 მართალია, 1590 წლის ზავით აღმოსავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ მესხეთი ოსმალეთს დარჩა, მაგრამ საჭიროა აქ აუცილებლად მხედველობაში იქნეს მიღებული ფერჰად ფაშასა და სიმონ მეფეს შორის დადებული ზავის პირობები.

279 B. Kütükoğlu, op. cit. s, 193—198; I. H. Danişmend, op. cit. c. III, s. 115—117; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1363—1365; J. Hammer, v. VII, pp. 222—224.

280 L. Bellan Chah Abbas I, sa vie, son histoire, Paris, 1932, p. 41.

თავი IV

ოსმალეთი და საქართველო XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე

1. ოსმალეთი XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე

ირანთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულმა ზრდამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. არასოდეს ოსმალეთის სამფლობელოები არ იყო ესოდენ ვრცელი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ოსმალეთის უკანასკნელი დიდი ომი, რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ირანთან ომმა კიდევ უფრო გააღრმავა და დააჩქარა ოსმალეთის დაცემა-დაქვეითების პროცესი, დაწყებული ჯერ კიდევ სულეიმან კანუნის ზეობის უკანასკნელ წლებში[1].

XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი ოსმალეთში კიდევ უფრო მწვავდება. ამ დროს მეტის-მეტად რთულდება ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობაც; გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი, კიდევ უფრო დაძაბული გახდა შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა.

---

[1] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ოსმალეთი XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე; მისივე, სოციალური მოძრაობები თურქეთში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", თბ., 1957, გვ. 272—283; გ. ტ ი ვ ა ძ ე, ოსმალეთის დერეშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, 1946; მისივე, მიწისმფლობელობის თიმარიოტული სისტემა როგორც სამხედრო ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი ოსმალეთში, თსუ შრომები, 1956, V. 63, გვ. 93—129; В. Д. С м и р н о в, Кочибей Гомюрджинский и другие Османские писатели XVII в. о причинах упадка Турции, СПб., 1873; В. В. Г о р д л е в с к и й, Внутреннее состояние Турции во второй половине XVI века, Соч., т. II, стр. 125; А. С., Т в е р и т и н о в а, Восстание Кара Языджи-Дели Хасана в Турции, Л., 1946; А. Д. Н о в и ч е в, История Турции, 1963, Л., стр. 115—139. Koçi Bey risalesi; M. A k d a ğ, Celali isyanlari 1555—1603; Ankara, 1963; H. I n a l c i k, l'Empire Ottoman,.. pp. 34—42 და სხვ.

ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერებას გლეხობამ აჯანყებით უპასუხა. უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის ტერიტორიაზე არა ერთგან დაინთო გლეხთა აჯანყების ცეცხლი.

1588 წლიდან მოყოლებული ანატოლია მრავალრიცხოვან აჯანყებათა ასპარეზი ხდება. 1595 წელს დაიწყო გლეხთა მძლავრი მოძრაობა, რომელმაც ისტორიაში მიიღო „ჯელალიების“ სახელწოდება. აჯანყება მოედო მცირე აზიის უდიდეს ნაწილს. 1598 წელს აჯანყებულ გლეხებს შეუერთდა ადგილობრივი ხელისუფლებით უკმაყოფილო საშუალო და წვრილი ფეოდალების — სიფაჰების დიდი ნაწილი, ყარაიაზიჯის მეთაურობით.

მათი უკმაყოფილება გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ჩამოართვეს ლენები იმის გამო, რომ თავი აარიდეს სამხედრო მოვალეობის შესრულებას ავსტრიასთან ომის დროს. ფეოდალების — სიფაჰების ერთი ნაწილი საერთოდ არ გამოცხადდა შეკრების ადგილზე, ხოლო მეორე ნაწილი, თავისი ჯარისკაცებითურთ, გაიქცა ბრძოლის ველიდან.

მართალია, ყარა იაზიჯი დელი-ჰასანის აჯანყება გლეხთა აჯანყება იყო, როგორც მონაწილეთა ძირითადი მასის შემადგენლობით, ისე აჯანყების წინაშე მდგარი ამოცანების მიხედვით, მაგრამ იგი ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენეს აჯანყების სათავეში მდგარმა წვრილმა ფეოდალებმა და მხედრებმა[2].

გლეხთა აჯანყებამ მნიშვნელოვნად შეარყია სულთნის ხელისუფლება და ოსმალთა სახელმწიფოს საფუძვლები და ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ძლიერდება ბალკანეთის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ოსმალეთის იმპერიის ძლიერების შესუსტებამ და სამხედრო დამარცხებებმა, რომელსაც იგი დასავლეთში განიცდიდა, ჩაგრულ ხალხებს გაუღვიძეს ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლების იმედი.

XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ბალკანეთის მთელ რიგ ქვეყნებში (ბულგარეთი, სერბია, ჩერნოგორია, ალბანეთი და სხვა) ადგილი ჰქონდა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებს. მართალია, ეს აჯანყებები მარცხით დამთავრდა, მაგრამ მათ ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა: ისინი არყევდნენ ოსმალეთის იმპერიის ძლიერებას, ასუსტებდნენ ოსმალო ფეოდალების დამპყრობ-

---

[2] А. С. Тверитинова, указ. соч., стр. 78.

ლურ მისწრაფებებს და ამზადებდნენ ნიადაგს დაპყრობილი ქვეყნების განთავისუფლებისათვის.

ასეთ ვითარებაში ოსმალეთში ჩნდება მთელი რიგი პოლიტიკურ-ეკონომიური ტრაქტატები, „რისალეები“, რომელთა ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ მათში აღწერილი იყო სახელმწიფოს მართვის ძირითადი პრინციპები, დახასიათებული იყო ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო სტრუქტურა, ჩამოთვლილი იყო ოსმალეთის სამფლობელოები და ხაზინის შემოსავალი .ამასთან ერთად, ტრაქტატში მოცემული იყო ცდა სხვადასხვა არეულობის მიზეზების ახსნისა, რომლებიც საფუძველს უთხრიდა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას და ასუსტებდა სულთნის ხელისუფლებას. „რისალეების“ ავტორები ცდილობდნენ მიეკვლიათ ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემის მიზეზებისათვის.

„რისალეები“ მიზნად ისახავდა დახმარებოდა სულთანს და უმაღლეს მოხელეებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ტრაქტატებში მოცემული იყო რჩევა-დარიგებანი, გამოთქმული ან პირდაპირი ფორმით, ან გადაკრულად, კანონების განმარტებების, თუ რაიმე კაზუსის ახსნის საშუალებით.

ამ ნაწარმოებთა ავტორებმ საკმაოდ ზუსტად აღწერდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემა-დაქვეითების სურათს, მაგრამ მათ არ შეეძლოთ სწორად გაეგოთ და აეხსნათ ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემის ნამდვილი ობიექტური მიზეზები. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ თურქეთში „... აუცილებელი დაცემის უტყუარი ნიშნები სულ უფრო და უფრო იჩენდენ თავს, რასაც უკვე ოსმალთა იმდროინდელი ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეც ამჩნევდა და საშიში სიმპტომების სწორად შეფასების უნარს მოკლებული სახელმწიფოს ძველი ჯანსაღობის აღსადგენ ზომებს უნაყოფოდ ეძებდა“[3].

ამ ხასიათის წყაროთა რიცხვს განეკუთვნებოდა კოჩი ბეი გორიჯელის (1640—1648 წ.წ.), ქათიბ ჩელების (ჰაჯი ხალიფა) (1653 წ.) ალი ჩაუშისა (1654 წ.) და სხვათა პოლიტიკურ-ეკონომიური ტრაქტატები.

ოსმალეთის დაცემა-დაქვეითების პროცესი, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, მეტად ნელა მიმდინარეობდა და იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნეშიც არ იყო დამთავრებული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა

---

[3] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 110.

და მას ანგარიშს უწევდნენ როგორც ევროპის, ისე აზიის სახელმწიფოები.

2. საქართველო XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე

ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ხალხებს შორის მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, აგრეთვე, ამიერკავკასიის ხალხები: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები. „XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ამიერკავკასიის ხალხების ჩაგვრამ გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია. ქვეყანაში გადასახადები გასამკეცდა. აღმოსავლეთ სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ხალხები თურქი ფაშების მძიმე უღელქვეშ იტანჯებოდნენ“[4].

ოსმალო დამპყრობლები დევნიდნენ ამიერკავკასიის ხალხების მშობლიურ ენებს, მათ კანონებს, კულტურას, სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებებს. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ და ნერგავდნენ დამპყრობლები თურქულ ენასა და ისლამს. მიუხედავად სასტიკი დევნისა და შევიწროებისა, ამიერკავკასიის ხალხები ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას არ ანელებდნენ[5].

ოსმალეთის ექსპანსიის მთელი სიმძიმის გადატანა მოუხდა საქართველოსაც.

ოსმალთა მფლობელობის ქვეშ მოქცეული საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების მდგომარეობა ერთნაირი როდი იყო. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს ოსმალებმა საქართველოს ამა თუ იმ მხარის დაპყრობა-დამორჩილება, ამისდა შესაბამისად ყალიბდებოდა მისი დამოკიდებულება ოსმალეთთან.

---

[4] История армянского народа, Ереван, 1951, стр. 219.

[5] ამ პერიოდში ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი აზერბაიჯანისა და სომხეთის მდგომარეობის შესახებ დაწვრილებით იხ. М. К. Зулалян, Движение джелалиев и положение армянского народа в Османской империи XVI—XVII вв., Ереван, 1966, (на армянском языке, резюме—на русском); Османские законы в Западной Армении, свод законов XVI—XVII вв. Перевод, предисловие и комментарии А. Я. Сафрастяна и М. Е. Зулаляна, Ереван, 1963. С. В. Тер-Аветисян, Город Джуга. Материалы по истории торговых отношений джульфинских купцов XV-XVII вв, Тб. 1937; И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII вв., Сбор статей по истории Азербайджана, Баку, 1949, А. Рахмани, «Тарих-и Алам арай-и Аббаси», как источник по истории Азербайджана, Баку, 1960, стр. 68—94. Collection d'historiens Armeniens, v. I—II H. Inalcik, op. cit., pp. 105—110; J. Kaldy-Nagy, op. cit., pp. 181—195.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ოსმალეთის მოხარკე ქვეყნები იყვნენ. ამასთანავე, ისინი ხარკს ყოველწლიურად კი არ იხდიდნენ, არამედ 2—3 წელიწადში ერთხელ, ზოგერ კი — სულთანი ათავისუფლებდა მათ ამ გადასახადისაგან[6]. ხარკის რაოდენობა შედარებით მცირე იყო. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქვეყნის შიგნით სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

ამ ომის დროს ოსმალებმა სცადეს დასავლეთ საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ეს მარცხით დამთავრდა. ოსმალებმა შეძლეს მხოლოდ სოხუმის აღება და აქ საბეგლარბეგოს დაარსება. როგორც ჩანს, ამ დროიდან იწყება ოსმალების მიერ აფხაზეთის თანდათანობითი დაპყრობა.

კახეთის სამეფო, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, ოსმალეთის მოხარკე ქვეყანა იყო, მაგრამ მისგან განსხვავებით, იგი ყოველწლიურად იხდიდა ხარკს. „კახეთი ამ დროს ერთადერთი „საქართველო“ იყო, სადაც არც „ოსმალობა“ იყო, არც „ყიზილბაშობა“[7].

ქართლის სამეფოს მდგომარეობა საგრძნობლად უფრო მძიმე იყო. მართალია, ქართველი ხალხის მედგარი ბრძოლის შედეგად, ოსმალები იძულებული იყვნენ ქართლის გაოსმალებაზე ხელი აეღოთ და მოხარკეობით დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ ქართლის მთავარ ციხე-ქალაქებში ოსმალთა გარნიზონები რჩებოდნენ, როგორც ჩანს, ხარკის ოდენობაც უფრო დიდი იყო[8], ვიდრე საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებში.

ოსმალეთთან დადებულ ზავს სიმონ მეფე დროებით საშუალებად თვლიდა. გამჭრიახი პოლიტიკოსი ამ დროის განმავლობაში ძალებს იკრებდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომის განახლებისათვის ემზადებოდა. ამ მიზნით, მან, ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად, აქტიური საქმიანობა გააჩაღა (დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ამასთანავე, სიმონ მეფემ დასავლეთ საქართველოს დამორჩილება და საქართველოს გაერთიანება სცადა და ამ მიზნით იქ რამდენიმეჯერ ილაშქრა[9].

---

[6] ვახუშტი, ტ. II, გვ. 44, 45, თარგმანი, გვ. 44.

[7] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 78.

[8] 1593 წელს სტამბოლში მყოფი რუსეთის ელჩი გ. ნაშჩოკინის ცნობით: «Симон зять Александра, отдал туркам 110 грузинских сел, с которых турки получают хлебный оброк» (И. А. Смирнов. Россия и Турция в XVI—XVII вв., т. I, стр. 148).

[9] დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 279—280.

3. სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მისედვით

საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის კვლავ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგო. 1579 წელს ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დააარსა. მანუჩარ III ათაბაგის ბრძოლა ოსმალთაგან სამცხის განთავისუფლებისათვის მარცხით დამთავრდა. 1587 წელს მანუჩარ ათაბაგი და მისი მომხრე ქართველები იძულებული გახდნენ სამცხე დაეტოვებინათ.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები მნიშვნელოვნად დასუსტდა. ქართლისა და საქართველოს სხვა სამეფოები, შექმნილ ვითარებაში, უძლური იყვნენ რეალური დახმარება აღმოეჩინათ სამცხე-საათაბაგოსათვის. 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავით, სამცხე-სააათაბაგო მთლიანად ოსმალეთს დარჩა. ზავის დადების შემდეგ ოსმალები კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგნენ აქ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა დაპყრობილი ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა. ოსმალეთის მთავრობის ამგვარი პოლიტიკა აისახა იმდროინდელ ოსმალურ წყაროში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, რომელიც ოსმალო მოხელეებმა შეადგინეს 1595 წელს, სამცხე-საათაბაგოს აღწერის შედეგად[10].

განვიხილოთ როგორი იყო ქვეყნის აღწერისა და დავთრის შედგენის წესი.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთის ლაშქარი რომელიმე ქვეყანას, მხარეს დაიპყრობდა და მას ოსმალეთის იმპერიას შეუერთებდნენ, ხდებოდა დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი რეესტრებში (დავთრებში) გატარება. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება დაკავშირებული იყო დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალური მართვა-გამგეობისა და მისი საგადასახადო სისტემის შემოღებასთან, ე. ი. ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარებასთან. „ვილაიეთის აღწერა

---

[10] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თურქული ტექსტი გამოსცა და თარგმნა ს. ჯიქიამ. თურქული ტექსტი, წ. I, თბ. 1947; წ. II, თარგმანი, თბ., 1941; წ. III, თბ., 1957, გამოკვლევა.

(tahrir) იყო ოსმალთა მმართველობის საფუძველი"[11]. ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ადგილზე სპეციალური თურქი მოხელის ხელმძღვანელობით აღირიცხებოდა ყველა რესურსები, რომლის გადასახადით დაბეგვრა შეიძლებოდა, და სათანადო მონაცემები შეჰქონდათ სააღრიცხვო დავთრებში.

ჩვენამდე მოაღწია 1575 წელს სპეციალურად შედგენილმა ინსტრუქციამ იმ მოხელეებისათვის, რომლებსაც უნდა ჩაეტარებინათ აღწერა ანატოლიასა და იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში. ამ ინსტრუქციის მიხედვით აღწერა შემდეგნაირად ხდებოდა:

1. აღწერას ატარებდა ემინი. მას ეხმარებოდა მისდამი დაქვემდებარებული მოხელე, რომელიც აწარმოებდა აღრიცხვას და შეჰქონდა მონაცემები დავთარში. ყოველ მათგანს საკუთარი ხარჯების დასაფარავად უფლება ჰქონდა აეკრიფა ერთი ახჩა თითოეულ მოსახლეზე მისდამი დაქვემდებარებულ რაიონში აღწერის განმავლობაში. 2. ემინი კრეფდა მონაცემებს მოსახლეობის, დასამუშავებელი მიწის, ვენახების, ბაღებისა და სხვათა შესახებ. ერთი სიტყვით, კრეფდა ყოველგვარ ცნობებს, რომ გადასახადის გარეშე რამე არ დარჩენოდათ. ემინს მეთვალყურეობას უწევდა ყოველ ცალკეულ რაიონში ადგილობრივი ყადი. 3. ყოველ ცალკეულ რაიონში დაბეგვრის დაწყებამდე ემინი შეეკითხებოდა თიმარის ყველა მფლობელს, ან მათ რწმუნებულთ და თხოვდა მოეწოდებინათ მისთვის მათ ხელთ არსებული სხვადასხვა იურიდიული საბუთი, ე. ი. ბარათები, ფირმანები, რომლებიც ასაბუთებდა მათ უფლებას თიმარზე ან ათავისუფლებდა გადასახადებისაგან და სხვა. 4. შემდეგ ემინი დადიოდა სოფლიდან სოფელში, ატარებდა შემოწმებას ადგილზე, ადარებდა რა მიმდინარე მონაცემებს წინა ჩანაწერებთან. 5. ყოველი თიმარის მფლობელი მოვალე იყო მიეწოდებინა ემინისათვის ცნობები სამხედრო ვალდებულების შემსრულებელ მამაკაცთა შესახებ. ემინს უნდა ჩაეწერა მათი სახელები და გვარები. ამ შემოწმების შედეგებს, რომელთაც წიგნის სახით ადგენდენ, სულთანს წარუდგენდნენ, რომელიც შემოწმების შემდეგ ამტკიცებდა მას. 6. ჯიზიესა (ამ სულადობრივ გადასახადს იხდიდნენ არამაჰმადიანები) და ავარიზის დავთრები (საგანგებო გადასახადი) განეკუთვნებოდა ყადის კომპეტენციას და შემდგომ გადაეცემოდა სულთანს. 7. ემინს აგრეთვე უნდა შეედგინა ანგარიში დასაბეგრავი რაიონის თავისებურებათა შესახებ და გაეთვალისწინე-

---

[11] H. Inalcik, Ottoman methods of conquest, Studia Islamica, Paris, 1954, t. 11, p. 109.

ბინა სხვაობები გადასახადებს შორის. ამას იხილავდა სულთანი და მის დამტკიცების შემდეგ, ეს იწერებოდა დავთრის პირველ გვერდზე. 8. ემინს აგრეთვე მოეთხოვებოდა ჩაებარებინა ანგარიში ყველა თიმარის მფლობელისა და მათი მსახურების შესახებ, შემდეგ უნდა მომხდარიყო თიმარების გადანაწილება მათი ტიტულების მიხედვით და უნდა გატარებულიყო ცალკე დავთრებში[12].

აღწერის ჩატარების შედეგად დგებოდა ორი სახის დავთარი: პირველი გვიჩვენებდა გადასახადებს მათი წყაროების დაწვრილებითი ჩვენებით — დიდი დავთარი (mufassal defteri), მეორეში აღნიშნული იყო წლიური შემოსავლის განაწილება მხედართა შორის — მცირე დავთარი (icmal defteri). ეს დავთრები არა მარტო განსაზღვრავდნენ ცალკეული გლეხებისაგან ასაკრეფი გადასახადების რაოდენობას, არამედ მათ იყენებდნენ აგრეთვე როგორც ოფიციალურ საბუთებს, რომელთა მიხედვით წესდებოდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის იურიდიული ნორმები. დიდ დავთარს, როგორც წესი, წამძღვარებული ჰქონდა კანუნ-ნამე. მასში ჩამოყალიბებული იყო აღწერილი ქვეყნის მოსახლეობის უფლება-მოვალეობანი, ოსმალური საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით. დროთა განმავლობაში, დაახლოებით 30 წელიწადში ერთხელ[13] ხდებოდა ხელახალი აღწერა და ახალი დავთრის შედგენა, რომელშიც შეჰქონდათ ამ ხნის განმავლობაში მომხდარი ცვლილებანი. ამასთან ერთად ხდებოდა დავთრისათვის დართული კანუნ-ნამეს განახლება, მასში შეჰქონდათ ცვლილებანი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ახალი მუხლები[14].

---

[12] H. Inalcik, op. cit., pp. 110, 111.

[13] 1540 წლის დასწყისში ლუტფი ფაშა წერდა, რომ გადასახადების რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს ყოველი 30 წლის შემდეგ; იგივეს ითხოვდა ასი წლის შემდეგ დიდი ვეზირი ქენან მუსტაფა ფაშა. ჩვენი კვლევის პროცესში გამოირკვა, რომ ეს მოთხოვნილება არ სრულდებოდა არც XVI და არც XVII საუკუნეებში. XVI ს-ში იმიტომ, რომ თურქეთის ადმინისტრაციული ორგანიზაცია იყო იმდენად დინამიური, რომ საჭიროებისთანაც (საწარმოო ძალთა ზრდა ან შემცირება), ხდებოდა რეგისტრაცია და ამასთანავე არა 30 წლის შემდეგ, არამედ ხშირად ყოველი 10 წლის შემდეგ. აღნიშნული ვადა არ იყო დაცული XVII ს-ში იმის გამო, რომ დაცემის გზაზე დამდგარი იმპერიის ადმინისტრაცია იმდენად იყო დასუსტებული, რომ მას არ შეეძლო ახალი აღწერის ჩატარება არა თუ 10, არამედ 30 წლის განმავლობაშიც კი. J. Kaldy-Nagy, The Administration of the Sanjaq Registrations in Hungary, Acta Orientalia, Bud., 1968, t. XXXI, fas., 2, pp. 181—225.

[14] დაწვრილებით იხ. მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI საუკუნეში, მახლობელი აღმოსავლეთის ის-

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ზემოთ-აღწერილი წესის მიხედვით არის შედგენილი. საჭიროა აღინიშნოს, რომ „გურჯისტანის ვილაიეთი“ და „ჩილდირის ვილაიეთი“ ერთი და იგივე ადმინისტრაციული ერთეულია. ეს საკითხი საკმაოდ დაწვრილებით გარკვეული აქვს პროფ. ს. ჯიქიას. „საერთოდ კი, წერს ს. ჯიქია, ჩვენი „დავთრის“ მიხედვით „გურჯისტანის ვილაიეთი“ თვით „დავთარშიც“ და მთლიანად თურქულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურასა და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, თურქულ ოფიციალურ საბუთებში ცნობილია „ჩილდირის“ (ჩრდილის) ვილაიეთად. უთუოდ სპეციფიკური ვითარებაა ის, რომ ოსმალეთის იმპერიის ამ ერთ-ერთ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულს — ვილაიეთს (ან ეიალეთს) ეწოდება ჩილდირის (ჩრდილის) ვილაიეთი და არ არის ცნობილი თავისი ადმინისტრაციული ცენტრის ახალციხის სახელით“[15].

თუ რატომ უწოდეს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში დაარსებულ ახალ ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეულს ჩილდირის ვილაიეთი და არა ახალციხისა, ეს გარკვეული გვაქვს II თავის 2 პარაგრაფში.

ისმის აგრეთვე კითხვა, რატომ უწოდებდნენ ოსმალები ერთსა და იმავე ადმინისტრაციულ ერთეულს „გურჯისტანის ვილაიეთსა“ და „ჩილდირის ვილაიეთს“. ჩვენი აზრით, ეს შემდეგნაირად უნდა აიხსნას: სახელწოდება „გურჯისტანის ვილაიეთი“ უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე — „ჩილდირის ვილაეთი“. „გურჯისტანის ვილაიეთი“ იმ დროს უნდა შემოსულიყო ხმარებაში, როდესაც ოსმალებმა საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი დაიპყრეს, აღწერეს, კანონ-ნამე შეუდგინეს და მას „გურჯისტანის ვილაიეთი“ (საქართველოს მხარე, ქვეყანა) უწოდეს. დროთა განმავლობაში, როდესაც ოსმალები საქართველოს ახალ-ახალ ტერიტორიას იპყრობდნენ, ტერმინი „გურჯისტანის ვილაიეთი“ უცვლელი რჩებოდა, ამიტომ 1595 წელს, ჩილდირის ვილაეთის აღწერისა და დავთრის შედგენისას, მას აღარ შეუცვალეს სახელწოდება და ჩვეულების თანახმად მას ძველი სახელწოდება, ე. ი. „გურჯისტანის ვილაიეთი“ დაუტოვეს[16].

ტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 103—106; Б. Джурджиев, Древнейший, сохранившийся турецкий дефтер (реестр) Сремского санджака, Восточные источники по истории народов Юго-Восточной Европы, М., 1963, стр. 126; H. Inalcık, op. cit., pp. 105—110; J. Kaldy-Nagy, op. cit., p. 191—195.

[15] დავთარი, წ. III, გვ. 47.

[16] მ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა „გურჯისტანის დიდი დავთრის მიხედვით“, თსუ შრომები, 1967, ტ· 121, გვ. 292, 293.

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისა“ და სხვა წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარს“ წინ უსწრებდა სხვა „გურჯისტანის დავთრები“, რომლებიც ოსმალებმა უფრო ადრე შეადგინეს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ 1595 წ. „გურჯისტანის დავთარში“ ხშირად გეხვდება გამოთქმა: „ძველი და ახალი დავთარი“.

ასე მაგალითად,

„ახალ (ხაზი ყველგან ჩვენია — მ. ს.) სასულტნო დავთარში ჩაწერილობისდა შესაბამისად...“[17]

დავთარში აგრეთვე ვკითხულობთ:

„ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე წყალთბილადან მომდინარე წყლის ნახევარი ძველი დროიდანვე სოფ. ვალეს სარწყავი წყალი იყო, ამიტომ (ეს გარემოება ასევე) ჩაიწერა ახალ დავთარში[18].

ან

„ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებან, რომ ტაძლახად წოდებულ სოფლიდან მომდინარე არხით რწყვის უფლება ძველი დროიდანვე სოფელ სტეფანწმინდას ჰქონდა, ახალ დავთარშიაც ჩაწერილ იქნა...“[19].

შდრ. აგრეთვე

„მიწა მუსტაფა იენიჩერისა ძველი დავთრიხ თანახმად იძლევა გამოსაღებსა და ბეჰრეს“[20].

და

„მიწა სინანისა — ციხესთან მდებარე, ძველი დავთრის თანახმად იძლევა გამოსაღებსა და ბეჰრეს“[21] და სხვა[22].

მოტანილი ცნობებიდან საყურადღებოა შემდეგი:

„გურჯისტანის დავთარში“ მოხსენებულ იმ სანჯაყებში (ფანაკი, დიდი არტაანი), რომლებიც ოსმალებმა 1578 წლამდე დაიპყრეს, როგორც წესი, გვხვდება გამოთქმა „ძველი დავთრის თანახმად“, ხოლო იმ სანჯაყებში (ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ყფოცხოვის, პეტრას) კი, რომლებიც ოსმალებმა 1578

---

[17] დავთარი, წ. II, ვვ. 2.
[18] იქვე, გვ. 39.
[19] იქვე, გვ. 309.
[20] იქვე, გვ. 333.
[21] იქვე.
[22] იქვე, გვ. 45, 51, 280, 316, 372, 387.

წლის შემდეგ დაიპყრეს — „ჩაიწერა ახალ დავთარში".

აქედან გამომდინარეობს, რომ ოსმალებმა „გურჯისტანის ვილაიეთი" სულ ორჯერ აღწერეს: პირველად 1578 წლამდე, ხოლო მეორედ 1578 წლის შემდეგ. 1578 წლის შემდეგ, როგორც ცნობილია, ოსმალებმა კვლავ აღწერეს სამცხე 1595 წ. და „გურჯისტანის დავთარი" შეადგინეს. საფიქრებელია, რომ 1578 წლამდეც არსებობდა „გურჯისტანის დავთარი", ამაზე მიუთითებს 1573/4 წლის „გურჯისტანის კანუნ-ნამე"[23].

„1573/4 წლის „გურჯისტანის კანუნ-ნამე" გვაფიქრებინებს, რომ კანუნ-ნამეს დაწერასთან ერთად უნდა მომხდარიყო დიდი დავთრის შედგენა, რადგან კანუნ-ნამე, როგორც წესი, წამძღვარებული ჰქონდა დიდ დავთარს და დიდ დავთრის გარეშე პროვინციის კანუნ-ნამეებს არ ადგენდნენ[24].

„1573/4 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამეს", როგორც პირველ თავში გვქონდა აღნიშნული, უნდა უსწრებდეს სხვა კანუნ-ნამე, რადგან მასშიც გვხვდება გამოთქმა „ძველი და ახალი დავთარი".

ამჟამად ზუსტად ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეადგინეს ოსმალებმა პირველად გურჯისტანის დიდი დავთარი, ვინაიდან სათანადო საბუთი ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, იგი XVI ს-ის შუა წლებში უნდა ყოფილიყო შედგენილი, როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილი და იქ სანჯაყები დააარსეს[25].

ამგვარად, ოსმალებმა სულ ცოტა სამჯერ აღწერეს სამცხე-საათაბაგო: პირველად XVI ს-ის შუა წლებში, მეორედ 1573/4 წელს და მესამედ 1595 წელს. აქედან პირველი ორი აღწერის შედეგად ოსმალებმა დავთრებში გაატარეს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის დასავლეთი ოლქები (რომლებიც მათ დაპყრობილი ჰქონდათ), ხოლო 1595 წელს აღწერის შედეგად კი სამცხის როგორც დასავლეთი, ისე აღმო-

---

[23] Ö. L. Barkan, Kanunlar, s. 196, 197.

[24] ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში მოიპოვება 1573/4 წელს შედგენილი გურჯისტანის ლივას აღწერის დიდი დავთარი. აი ამ ფონდის სათაური: «Gurcistan livasının nüfüsunu ve hasilatını, haslarının ve kanunamesini mübeyyin mufassal tahrir defteri.» sagi 525, Tarih 981 Miladi — 1565, sic!) (1573/4). (A. Melaşvili, Gürcistan, Istanbul, 1968, s. 234). საფიქრებელია, რომ ო. ბარკანს სწორედ აქედან აქვს ამოღებული და გამოცემული 1573/4 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე.

[25] ვ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, გვ. 293.

სავლეთი ოლქები. ერთი სიტყვით, ძირითადად, მთელი სამცხე-საათაბაგო.

ქვეყნის აღწერა და მისი რეესტრებში გატარება გულისხმობდა არა უბრალო ხელახალ რეგისტრაციას, არამედ წინა აღწერის შემდეგ მომხდარი ცვლილებების შეტანას. ამიტომ დაპყრობილი ქვეყნის ახალი აღწერის შედეგად კიდევ უფრო მეტად ძლიერდებოდა აქ ოსმალური წესების შემოღება, ქვეყნის „გაოსმალება". ამას ადასტურებს 1573/4 წლისა და 1595 წლის გურჯისტანის კანონ-ნამეების ურთიერთშედარება.

ნ. შენგელიამ სპეციალურად შეისწავლა და შეადარა 1573/4 და 1595 წლების გურჯისტანის კანონ-ნამეები. მისი დაკვირვებით, „დავთრისათვის" დართული კანონ-ნამე (1595 წლისა — მ. ს.) უფრო მეტად მოწმობს ოსმალობის გაძლიერებასა და განმტკიცებას სამცხე-საათაბაგოში, ვიდრე 1573/4 წლით დათარიღებული კანონ-ნამე... ეს დასტურდება სხვადასხვა დროს შედგენილი გურჯისტანის კანონ-ნამეების სათანადო თავების შინაარსის ურთიერთ შედარებით"[26].

1595 წლის გურჯისტანის კანონ-ნამესთან ერთად ოსმალებმა შეადგინეს აგრეთვე ახალციხის ლივას (სანჯაყის) კანონ-ნამეც[27]. გურჯისტანის კანონ-ნამეს იურისდიქცია ვრცელდებოდა გურჯისტანის მთელ ვილაიეთზე, ხოლო ახალციხის კანონ-ნამისა — ახალციხის ლივაზე, რომელიც იყო გურჯისტანის ვილაიეთის მთავარი სანჯაყი და ქ. ახალციხე — მისი ადმინისტრაციული ცენტრი.

სახელწოდება „გურჯისტანის ვილაიეთი", „ჩილდირის ვილაიეთი" და „ახალციხის საფაშო" — ერთი და იგივე ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინებია[28].

„გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის" მიხედვით, სამცხე-საათაბაგო სანჯაყებად (ლივა) იყო დაყოფილი: 1. ახალციხე, 2. ხერთვისი, 3. ახალქალაქი, 4. ჩალდირი, 5. ფოცხოვი, 6. პეტრე, 7. ფანაკი და 8. დიდი-არტაანი.

„გურჯისტანის ვილაიეთის" მთელი ფართობი 15117 კმ² იყო. ეს ტერიტორია მხოლოდ ნაწილია მესხეთის მიწისა, რომელიც ოსმა-

---

[26] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, გურჯისტანის 1573/4 წლის კანონ-ნამე, „მოსავლური კრებული, თბ., 1960, გვ. 191.

[27] H. Tuncer, Osmanlı Imparatorluğunda Toprak Hukuku, Arazi Kanunaçiklamalar, s. 167—170; თარგმანი მ. სვანიძე, ახალციხის ლივას „კანონ-ნამეები", მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968, გვ. 149—174.

[28] დავთარი, წ. III, გვ. 467.

ლებას ამ დროს ჰქონდათ დაპყრობილი. მესხეთის ამ ტერიტორიის მთელი ფართობი 34230 კმ² იყო და აქედან 15117 კმ²-ი ანუ 44,2% „გურჯისტანის ვილაიეთის“ სახით „დავთარში“ აისახა[29].

ჩვენი აზრით, „გურჯისტანის ვილაიეთი“ მარტო „დავთარში“ ჩამოთვლილი სანჯაყებით არ შემოიფარგლებოდა. მის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე სხვა სანჯაყები, რომლებიც საერთო აღწერას არ ექვემდებარებოდნენ და ამიტომ „დავთარში“ არ არიან მოხსენებული. ეს სანჯაყები იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით იყო გაცემული. ასეთებია: ლივანა, ნისფი ლივანა, შავშეთი და ფერთექრექი[30]. დასახელებული სანჯაყები (იხ. ფერიდუნ ბეი, აინი ალი, კოჩი ბეი, ალი ჩაუში და სხვა) ჩილდირის ვილაიეთის შემადგენლობაში შედიოდნენ, ხოლო ჩილდირის ვილაიეთი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, იგივეა რაც „გურჯისტანის ვილაიეთი“.

„ჩილდირის ეიალეთი“ (გურჯისტანის ვილაიეთი) ყოველთვის სანჯაყების ერთნაირ რაოდენობას როდი აერთიანებდა. დროთა განმავლობაში ხდებოდა სანჯაყების დანაწილება-დაჭუცმაცება. ამას ადასტურებენ ფერიდუნ ბეის, აინი ალის, კოჩი ბეის, ალი ჩაუშისა და სხვათა მონაცემები. საფიქრებელია, ოსმალეთის მთავრობის ეს ღონისძიება იმით იყო გამოწვეული, რომ სანჯაყების დაჭუცმაცებით მას სურდა შეესუსტებინა სანჯაყთა გამგებლების პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლება, რაც, რა თქმა უნდა, მისი მორჩილების საწინდარი უნდა ყოფილიყო.

„გურჯისტანის ვილაიეთი“, როგორც აღვნიშნეთ, ლივებად (სანჯაყი) იყოფოდა, ხოლო სანჯაყები თავის მხრივ — რაიონებად (ნაჰიე).

„გურჯისტანის ვილაიეთი“ ლივების მიხედვით შემდეგ რაიონებად იყოფოდა:

1) **ახალციხის ლივა:** 1. მ ზ ვ ა რ ე ს რ ა ი ო ნ ი, 2. ჩ რ დ ი ლ ი ს რ ა ი ო ნ ი, 3. უ დ ი ს რ ა ი ო ნ ი, 4. ქ ვ ა ბ ლ ი ა ნ ი ს რ ა ი ო ნ ი, 5. ა წ ყ უ რ ი ს რ ა ი ო ნ ი, 6. ა ლ თ უ ნ ყ ა ლ ა ს რ ა ი ო ნ ი, 7. ო ც ხ ე ს რ ა ი ო ნ ი, 8. ა ს პ ი ნ ძ ი ს რ ა ი ო ნ ი, 9. ჰ ა ჰ ა რ ა ქ ი ს რ ა ი ო ნ ი.

---

[29] ალ. ა ს ლ ა ნ ი ქ ა შ ვ ი ლ ი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ კარტოგრაფიული შესწავლის ზოგიერთი შედეგი. თსუ შრომები, 1956, ტ. 58, გვ. 188.

[30] დაწვრილებით იხ. М. С в а н и д з е, О юрдлуках и оджаклыках как об одной из форм землевладения в Османской империи (на примере Чилдырского эялета)... стр. 5—6.

2) **ხერთვისის ლივა:** 1. ხერთვისის რაიონი, 2. ტყიანი-ჯავახეთის რაიონი, 3. ბუზმარეთის რაიონი.

3) **ახალქალაქის ლივა:** 1. აკშეჰირის რაიონი, 2. თმოგვის რაიონი, 3. ნიალისყურის რაიონი.

4) **ჩალდირის ლივა:** 1. ჯანბაზის რაიონი, 2. ქანარბელის რაიონი, 3. მგელციხის რაიონი.

5) **ფოცხოვის ლივა:** 1. მზვარეს რაიონი, 2. ჩრდილის რაიონი.

6) **პეტრეს ლივა:** 1. პეტრეს რაიონი, 2. ქაშვეთის რაიონი.

7) **ფანაკის ლივა:** 1. ფანაკის რაიონი 2. ქიამხისის რაიონი, 3. ფანასკერტის რაიონი.

8) **დიდი-არტაანის ლივა:** 1. მზვარეს რაიონი, 2. ჩრდილის რაიონი, 3. ტყიანი რაიონი.

ზემოდასახელებული 8 სანჯაყი სულ 28 რაიონისაგან (ნაჰიე) შედგებოდა. ნაჰიე, თავის მხრივ, რამდენიმე სოფელსა (კარიე) და დასახლებულ პუნქტს აერთიანებდა. სულ, „დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელია დასახელებული.

„დავთრიდან“ არ ჩანს, თუ სად მდებარეობდა „გურჯისტანის ვილაიეთის“ ადმინისტრაციული ცენტრი. პროფ. ს. ჯიქია ვარაუდობს, რომ „დავთარში“ ახალციხე იგულისხმება „გურჯისტანის ვილაიეთის“ მმართველის — ვალის რეზიდენციად[31]. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ჩილდირის ვილაიეთის სატახტო ქალაქი ახალციხე იყო. ბუნებრივია, რომ ახალციხე „გურჯისტანის ვილაიეთის“ ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილიყო.

ამგვარად, „გურჯისტანის ვილაიეთი“ ადმინისტრაციულად შემდეგნაირად იყოფოდა: ვილაიეთი დანაწილებული იყო ძირითად სამხედრო-ადმინისტრაციულ სამმართველო ერთეულებად — ლივებად (სანჯაყი). ლივები — ნაჰიებად (რაიონი), ნაჰიები კი — კარიებად (სოფელი) და დასახლებულ პუნქტებად.

„გურჯისტანის ვილაიეთის“ სათავეში იდგა ბეგლარბეგი (მირ-მირანი). პროვინციის მართვა-გამგებლობა მის ხელთ იმყოფებოდა. „დავთრის“ მიხედვით, გურჯისტანის ვილაიეთის გამგებელი ხიდირ ფაშა იყო. იგი ჩილდირის მირ-მირანის წოდებას ატარებდა[32].

---

[31] დავთარი, წ. III, გვ. 47.

[32] „დავთარი“, წ. II, გვ. 24; ოსმალურ ბიოგრაფიულ ლექსიკონში „სიჯილ-ი ოსმანიში“-ში შემდეგი ცნობა მოიპოვება: „ხიდირ ფაშა— სულთნის კარზე კაფუჯი ბაში იყო.

„გურჯისტანის დავთარში“ მრავლად არის დასახელებული სამოხელეო-ადმინისტრაციული პერსონალი: ბეგლარბეგი (მირ-მირანი), ვეზირი, სანჯაყბეგი (მირი-ლივა), მირი ალემი, დევთერდარი, ემინი, ქეთხუდა, ყადი, სუბაში, ქათიბი და სხვა. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ გურჯისტანის ვილაიეთის მართვა-გამგებლობა ოსმალურ საფუძველზე იყო მოწყობილი. აღსანიშნავია ისიც, რომ გურჯისტანის ვილაიეთის სამმართველო-ადმინისტრაციული პერსონალის უმრავლესობას ოსმალები შეადგენდნენ.

1595 წელს სამცხე-საათაბაგოს აღწერა და მისი „დავთარში“ გატარება იყო ახალი ეტაპი — ქვეყნის შემდგომი გაოსმალების საქმეში. ოსმალური სამხედრო-ლენური სისტემა საქართველოს ამ კუთხეში სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს.

1595 წლის გურჯისტანისა და ახალციხის ლივას კანუნ-ნამეებში ფეოდალის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება სიფაჰი, ხოლო გლეხის — რეაია[33].

ოსმალეთის სამხედრო-ლენურ სახელმწიფოში სიფაჰები (ფეოდალები) წვრილი და საშუალო მიწისმფლობელები იყვნენ. ოსმალეთის სულთანი სამხედრო სამსახურისათვის სიფაჰებს ლენებს (თიმარებსა და ზეამეთებს) აძლევდა. თიმარი იყო ისეთი მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური შემოსავალი 20000 ახჩას არ აღემატებოდა, ხოლო ზეამეთი ეწოდებოდა ლენს, რომლის წლიური შემოსავალი 20000-დან 100000 ახჩამდე აღწევდა. თიმარის მფლობელს თიმარიოტი ეწოდებოდა, ხოლო ზეამეთისას — ზაიმი. სიფაჰებს თიმარები და ზეამეთები იმ პირობით ეძლეოდათ, რომ ომის შემთხვევაში ისინი ვალდებული იყვნენ გამოეყვანათ მეომრების გარკვეული რაოდენობა. თიმარის მფლობელს შემოსავლის ყოველ 3000 ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი (ჯებელი) გამოჰყავდა, ზეამეთის მფლობელს კი

---

996 წელს (1587—1588) მას არზრუმის ბეგლარბეგის თანამდებობა ეკავა და შემდეგ ვანისა და ბაღდადის ვალი იყო. 999 წლის ზი-ლ კადას თვეში (1591 წლის 21. VIII. 19. IX) გათავისუფლებულ იქნა თანამდებობისაგან. 1001 წელს (1592—1593) ჩილდირის მუჰაფიზი, ხოლო 1002 წელს კი (1593—1595) თავრიზის ვალი გახდა. 100 წელს (1597—1598) მოხსნილ იქნა სამსახურიდან და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა“. (سجل عثمانی, ტ. II, გვ. 279).

მართალია, აქ ხიდირ ფაშა მხოლოდ ჩილდირის მუჰაფიზად (კომენდანტად) იხსენიება, მაგრამ ეფიქრობთ, რომ იგი, ჩილდირის კომენდანტობიდან გათავისუფლების შემდეგ, 1002 წ. (1593/1594) ჩილდირის ბეგლარბეგად უნდა დაენიშნათ. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ „გურჯისტანის დავთარში“ ხიდირ ფაშა მოხსენიებულია მირ-მირანად. საეჭვოა, რომ „დავთრის“ შემდგენელს ზუსტად არ მიეთითებინა ხიდირ ფაშას ტიტული.

[33] დავთარი, წ. II, გვ. 1—6; ახალციხის ლივას კანუნ-ნამეები, გვ. 155—167.

ყოველ 5000 ახჩაზე — ერთი მხედარი. ომის დროს სიფაჰები თავისი მხედრებით მონაწილეობას იღებდნენ ლაშქრობაში. სამხედრო სამსახურის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სიფაჰს ღენი ჩამოერთმეოდა და სხვას გადაეცემოდა.

თიმარები და ზეამეთები ოსმალეთში იყო ფეოდალთა კლასის ბატონობის მატერიალური საფუძველი. თიმარებსა და ზეამეთებზე მიწერილ გლეხებს (რაიათი) სიფაჰები თაფუს უფლებით აძლევდნენ მიწას. თაფუ იყო სიფაჰზე გლეხის (რაიას) ფეოდალური დამოკიდებულების ფორმა. ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, ოსმალეთში გლეხები ვალდებული იყვნენ შეენახათ თავისი ექსპლოატატორები — ფეოდალები. გლეხი ვალდებული იყო მიწის ნაკვეთი დაემუშავებინა და თავისი ფეოდალისათვის განსაზღვრული რაოდენობის გადასახადები მიეცა. თავის მხრივ, ფეოდალი, როდესაც თაფუს გასცემდა, მოვალე იყო თვალყური ედევნებინა, რომ გლეხს არ მიეტოვებინა მიწის ნაკვეთი, არ გაქცეულიყო, დაუმუშავებელი არ დაეტოვებინა მიწა და გადასახადი დროულად გადაეხადა. გლეხები ოსმალეთში მემკვიდრეობით ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხებს მემკვიდრე არ რჩებოდა, მიწის ნაკვეთი, თაფუს წესით, სხვას გადაეცემოდა.

ევროპის ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში გლეხები ფეოდალების ყმები იყვნენ. ისინი მიმაგრებული იყვნენ არა მარტო მიწაზე, რომლის დატოვების უფლებაც მათ არ ჰქონდათ, არამედ ფეოდალის პიროვნებაზედაც და მთლიანად იყვნენ მასზე დამოკიდებული. ფეოდალები, რათა აეძულებინათ გლეხები, დაემუშავებინათ მათი მიწა, ფართოდ იყენებდნენ გარეეკონომიური ზემოქმედებას[34].

„გურჯისტანის დავთრის“ შედგენის შემდეგ ოსმალები ახალი ძალით შეუდგნენ თავიანთი სოციალ-ეკონომიური სისტემის დანერგვას, რასაც უნდა გამოეწვია აქ ოსმალობის (ოსმალეთის სოციალ-პოლიტიკური სისტემა) შემდგომი გაძლიერება.

ქვეყნის გაოსმალების პოლიტიკის წარმატება უპირველესად ყოვლისა ოსმალური მიწათმფლობელობის შემოღებაზე იყო დამოკიდებული, რადგან ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები მკვეთრად განსხვავდებოდა ფეოდალური საქართ-

---

[34] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 184—188; 326—345; გ. ფუთურიძე, ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 250—255; А. Д. Новичев, История Турции, т. I, стр. 118—127.

ველოს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებისაგან. ამგვარად, ოსმალთა მფლობელობის პოლიტიკური ორგანიზაციის დასამყარებლად ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის დარღვევა და მისი ოსმალურ საფუძველზე გარდაქმნა იყო საჭირო.

სამცხე-საათაბაგოში ქართული მიწათმფლობელობის გაუქმება ერთბაშად არ მომხდარა და ოსმალთა ბატონობის პირობებში მიწათმფლობელობის ქართული ფორმები დიდხანს ინარჩუნებდა ოსმალურისაგან განსხვავებულ თავისებურებებს. დ. ბაქრაძე სამართლიანად აღნიშნავდა — «В пределах Саатабаго, по завоевании его турками, не могла быть вдруг произведена в поземельном отношении ломка и грузинская ленная система несколько видоизмененная в духе турецкой системы, держалась долго»[35].

სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთის მთავრობა იწყებს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღებას და აქ არსებული ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის შეცვლას. სამცხე-საათაბაგოში იწყება მიწის გადანაწილება ქართული მიწათმფლობელობის ხარჯზე. საამისო პროცესი ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. სამცხე-საათაბაგოში თანდათანობით ფეხს იკიდებს ოსმალური მიწათმფლობელობის წესები. ასე, მაგალითად, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ოსმალური ფეოდალური მიწათმფლობელობის საკუთრების ფორმებიდან დასახელებულია ხასი, ზეამეთი, თიმარი, ვაკუფი, მულქი-მოურუსი, თავისუფალი თიმარი, ჩიფთლიქი და სხვა.

ყველაფერი ეს მიუთითებს ოსმალურ მიწათმფლობელობაზე (თუმცა მის საბოლოოდ აქ გაბატონება-გამარჯვებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა და ამის შემდეგაც ადგილობრივი, ე. ი. ქართული ფეოდალური ინსტიტუტების ანარეკლის კვალი უეჭველად შეინიშნება). „გურჯისტანის ვილაიეთის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში არსებობას იწყებს ოსმალური მიწათმფლობელობის ძირითადი კატეგორიები.

ამასვე ადასტურებს „დავთრის“ ნაგვიანევი მინაწერები. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ვ. გაბაშვილის შეხედულებას, რომ „მართებული არ უნდა იყოს გ. ტივაძე, რომ ზეამეთების და თიმარების არსებობა სამცხე-საათაბაგოში სწორედ ამ ნაგვიანევი მინაწერებით დას-

---

[35] Д. Бакрадзе, Исторический очерк турецкой системы землевладения, Приложение к протоколу кавказкого Юридического общества, №. 9, 1889, стр. 29.

ტურდება[36]. მართალია, საკუთრივ ტექსტში ხშირად პირდაპირი ჩვენება არ მოიპოვება ოსმალურ მიწათმფლობელობაზე, მაგრამ სათანადო მონაცემების ანალიზი გვირკვევს მის ადგილსა და მნიშვნელობას XVI ს-ის დამლევს"[37].

რით აიხსნება ის გარემოება, რომ „გურჯისტანის დავთარში" პირდაპირ არ არის მითითებული ზეამეთის, თიმარისა და სხვა მიწათმფლობელობის კატეგორიები?

სულეიმან კანუნის (1520—1566) დროს და უფრო გვიან XVI საუკუნეში დავთარი-რეესტრები, რომელთაც defter-i mufassal (დიდი დავთარი) ეწოდებოდა, შეიცავდა მხოლოდ დასახლებული პუნქტებისა და ფეოდალური მეურნეობის შემოსავლის დეტალურ აღწერას. მასში არ იყო აღნიშნული თიმარებად, ზეამეთებად და ხასებად დაყოფა, არ იყო მითითებული „მიწის პატრონის" (sahib-ı arz) სახელები, რომელთაც ეკუთვნოდა შემოსავალი. ეს ჩაწერილი იყო მცირე დავთარში (icmal defteri)[38].

„გურჯისტანის დავთარი", როგორც ცნობილია, 1595 წელსაა შედგენილი და წარმოადგენს დიდ დავთარს (defteri mufassal). იგი სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული წესის საფუძველზეა შედგენილი და ამიტომაა, რომ მასში არ არის მითითებული ზეამეთების, თიმარებისა და სხვა მიწათმფლობელობის კატეგორიები. მართალია, „გურჯისტანის დავთარში" უშუალოდ არ არის მითითება ზეამეთებისა და თიმარების არსებობაზე, მაგრამ დავთრისადმი წამძღვარებულ „კანუნ-ნამეში" პირდაპირ არის მითითება ამგვარი კატეგორიის მიწებზე. ასე, მაგალითად, „კანუნ-ნამეში" წერია: „თუ ისინი ცხოვრობენ ბეგლარბეგისა და მირილივას სახასო მიწებზე, ზაყიმთა თიმარსა და სხვა თავისუფალ თიმარზე"[39]. (ხაზი ყველგან ჩვენია — მ. ს.) და სხვ., აქედან აშკარად ჩანს, რომ სამცხე-საათაბაგოში არსებობდა ოსმალური მიწათმფლობელობის ძირითადი ფორმები: ხასი, თიმარი, თავისუფალი თიმარი და სხვა.

„დავთარში" მოხსენიებული ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმები მიუთითებს იმაზე, რომ სამცხე-საათაბაგოში მიწის გარკვეული ნაწილი ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებად იყო გამოცხა-

[36] დამოწმებულია: გ. ტ ი ე ძ ე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, „მნათობი", 1946, № 8, გვ. 13.

[37] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., გვ. 338.

[38] Б р о н и с л а в Д ж у р д ж е в, Древнейший сохранившиеся турецкий дефтер (реестр) Сремского санджака, Восточные источники по истории народов Юго-Восточной Европы, под редакцией А. С. Тверитиновой, М., 1964, стр. 124.

[39] „დავთარი", ნ. II, გვ. 3; თურქული ტექსტი, ნ. I, გვ. 3.

დებული. ცხადია, ამ მიწებზე ოსმალური გადასახადები უნდა ყოფილიყო დაწესებული. საამისო ცნობები უხვად მოიპოვება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. დავთარში მრავლადაა ჩამოთვლილი ის გადასახადები და გამოსაღებები, რომელთა გადახდა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას ევალებოდა. გადასახადების გაწერა, როგორც „დავთრიდან“ ჩანს, დაწესდა ცალკეულ სოფელზე. ყველა ცალკე სოფლისათვის მოცემულია მოსახლეთა გვარები, შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რა გადასახადები უნდა გადაეხადა მოსახლეობას, ბოლოს მოცემულია გადასახადების საერთო ჯამი. სულზე შეწერილი საერთო გადასახადი შემდგომში ნაწილდებოდა თითოეულ გლეხზე. სოფლის გამოსაღებთა საერთო ჯამში შეტანილია, აგრეთვე, მიწის იმ ნაკვეთის გადასახადები, რომლებიც გაცემული იყო იჯარის წესით. მაგრამ თვით მოიჯარადრეები არ არიან შეტანილი სოფლის მოსახლეობის სიაში და არ იხდიან, გარდა იჯარისა, გადასახადებს.

გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას შემდეგი გადასახადები და გამოსაღებები უნდა გადაეხადა: ისფენჯი, ბენაქი, უშრი, ჯიზიე, ბეჰრე. მურახხასიე, ხუმსი, სალარიე, ჩივთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები, დონუმის გამოსაღები, თაფუ-დეშთიბანი, ბადჰავა და საჭორწინო, საქვამლე, გამოსაღები ყიშლაღებზე, იალაღებზე, ცხვარზე, ღორზე, გამოსაღებები წისქვილზე, ფუტკარზე, ხილზე, ბოსტანზე და სხვ.

„გურჯისტანის დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოს ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 9.672.516 ახჩა, ან მისი ღირებულების შემცველი სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქცია[40].

სამცხე-საათაბაგოში ოსმალური გადასახადები შესწავლილი აქვთ გ. ტივაძეს[41], ვ. გაბაშვილს[42], ხოლო აღნიშნული საკითხი სპეციალურად შეისწავლა ნ. შენგელიამ[43]. ამის გამო, ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევაჩერებთ ყურადღებას.

---

[40] გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, „მნათობი“, 1946, № 8, გვ. 126.

[41] იქვე.

[42] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., გვ. 325—343.

[43] ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, თსუ შრ. № 31, 1950, გვ. 277—304.

სამცხე-საათაბაგოში ყველაზე მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში მწარმოებელი კლასი, გლეხობა იმყოფებოდა. ძირითადად, სწორედ მას აწვებოდა ოსმალური გადასახადების სიმძიმე. „მძიმედ დახარკული გლეხობა მხარს უჭერდა ათაბაგს და გაოსმალებას არ აპირებდა“[44].

როგორც მივუთითეთ, სამცხე-საათაბაგოს აღწერისა და მისი რეესტრებში გატარების შემდეგ, მის უზენაეს მესაკუთრედ ოსმალეთის სულთანი ხდებოდა. სამცხე-საათაბაგოს მიწების ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადება იმას ნიშნავდა, რომ ამ მხარეში ოსმალური საგადასახადო სისტემა წესდებოდა, რომლის მიხედვით, როგორც ცნობილია, რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანა ემთხვევა[45]. ქართველი გლეხისათვის ეს უჩვეულო ,მძიმე და აუტანელი რენტა-გადასახადი აპარტახებდა და ანიავებდა მის მეურნეობას. გლეხები ამგვარ გადასახადებს ვერ უძლებდნენ და მასობრივად გარბოდნენ თავიანთ მიწა-წყლიდან. ასე, მაგალითად, „გურჯისტანის დავთარში“ მრავლად მოიხსენიება „მოსახლეობისაგან თავისუფალი სოფლები“. აქ, ცხადია, ნაგულისხმევია „დაცარიელებული სოფლების“ ქართული მოსახლეობა, რომელიც ვერ უძლებდა „ოსმალობას“ და გარბოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პეტრეს ლივა. „დავთრის“ მიხედვით, პეტრეს ლივას 48 სოფლიდან 41 „ცარიელი იყო რაიასაგან“[46].

სახარბიელო მდგომარეობა არც სხვა ადგილებში იყო. გ. ტივაძის გაანგარიშებით, სამცხე-საათაბაგოში ამ დროისათვის დაცარიელებული იყო არანაკლებ 364 სოფლისა[47].

ოსმალეთის მთავრობა ხელს უწყობდა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე თურქული მოსახლეობის ჩასახლებას. ეს კარგად ჩანს გურჯისტანის კანონ-ნამედან, სადაც ჩაწერილია, „თუ სხვა რეაჲადან მოვიდა ვინმე, რომელიმე სოფელში დასახლდება და იცხოვრებს იქ 3 წელიწადს ისე, რომ ვინმეზე არ იჩნება მიწერილი, ის თიმარის მფლობელის ისეთივე რეაია ხდება, როგორც სხვები; არავის ემინთაგან და არც სხვას ვისმე ხელი არა აქვს ამ საქმეში და მას ნუ მოს-

---

[44] გ. ტივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.
[45] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნ. 2, გვ. 310.
[46] „დავთარი“, წ. II. გვ. 326—332.
[47] გ. ტივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

თხოვენ გამოსაღებს იმ მიზეზით, რომ ის მოსულიაო. აქ საზღვარია და ხალხის ჩასახლება საჭიროა"[48].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოსმალური კანონების მიხედვით, თუ რაია მიატოვებდა მიწის ნაკვეთს, მიწისმფლობელს უფლება ჰქონდა იგი მოენახა და უკან დაებრუნებინა 10 წლის განმავლობაში. გურჯისტანის კანონ-ნამეს მიხედვით კი, გაქცეული რაია თავისუფალი ხდებოდა 3 წლის შემდეგ. კიდევ მეტი, გარედან მოსული რაია თავისუფლდება გამოსაღების გადახდისაგან.

სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე, გარდა ოსმალებისა, ჩნდება აგრეთვე უცხო ეთნიკური ელემენტი მომთაბარე ჯურუქისა და ჯუზდეჯის ტომების სახით, რომელთა შესახებაც „გურჯისტანის კანონნამეში" სწერია: „არ გააჩნიათ განსაზღვრული (საცხოვრებელი) ადგილი"[49].

სამცხე-საათაბაგოში „ჩამოთესლებულ" ოსმალო მოხელეებს ეძლეოდათ ის მიწები, რომელთა მფლობელი ქართველი ფეოდალები „ქართველობას" არ თმობდნენ და ოსმალთა წინააღმდეგ დაუცხრომლად იბრძოდნენ.

უპირველეს ყოვლისა, მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ მანუჩარ II ათაბაგი, მისი მეუღლე ელენე, მანუჩარის დედა დედისიმედი, აზნაურები, საეკლესიო მსახურნი და სხვ. მათ შესახებ „დავთარში" ჩაწერილია:

„ვენახი მანუჩარისა ერთი ნაკვეთი — 5 ქილიანი, აწ ჩალდირის ვილაიეთის დავთრის ქეთხუდას ყაიას მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში იძლევა 30 ახჩას"[50].

ან

„სიმონის ასულის, მანუჩარის მეუღლის, ელენე ხათუნის ვენახი 2 ნაკვეთი და მიწა 20 ქილიანი საკალოო მიწითურთ და საბძელი, აწ ახალციხის მირალაის იადიგარის მფლობელობაში მყოფი, სასამართლო განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში იძლევა 20 ახჩას"[51] და სხვა[52].

---

[48] „დ ა ვ თ ა რ ი", წ. II, გვ. 4, 5. თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 4.

[49] ი ქ ვ ე, გვ. 3; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 2.

[50] ი ქ ვ ე, გვ. 25, თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 21.

[51] ი ქ ვ ე, გვ. 46; თურქული წ. I, გვ. 42.

[52] ი ქ ვ ე, გვ. 31, 32, 34, 40, 41, 43, 45, 49; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 27, 28, 42, 43.

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რათა ნათელი გახდეს სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკა ქართული მოსახლეობის მიმართ. ოსმალები სასტიკად სდევნიდნენ და ავიწროებდნენ ქართულ ეკლესიასაც. „დავთარი“ მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებებით ცდილობდა ოსმალეთის მთავრობა ეკონომიურად დაესუსტებინა სამცხე-საათაბაგოს ქართული ეკლესია, შეესუსტებინა იქ ქრისტიანობის გავლენა და მოემზადებინა ნიადაგი ისლამის გავრცელებისათვის. ქართული ეკლესიებისაგან ჩამორთმეულ ადგილ-მამულებს ოსმალები ვაკუფებად აქცევდნენ, ხოლო ეკლესიებს — მეჩეთებად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროს სამცხე-საათაბაგოში ჯერ კიდევ სუსტად იყო ფეხმოკიდებული ისლამი. ამას ადასტურებს „გურჯისტანის დავთარი“, საიდანაც ჩანს, რომ სამცხე-საათაბაგოში სავაკუფო მიწები მეტად მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა.

სამცხე-საათაბაგოში, „დავთრის“ მიხედვით, არსებობდა არა მარტო „დავთრის გარეშე“ მყოფი სანჯაყები, არამედ სოფლებიც. ასე, მაგალითად, „გურჯისტანის დავთრის“ მიხედვით, 53 სოფელი არ ექვემდებარებოდა ოსმალურ საგადასახადო სისტემას, მათზე არ ვრცელდებოდა ოსმალური კანონები და როგორც „დავთარშია“ ნათქვამი, ისინი „დავთრის გარეშე“ არიან დარჩენილი[53].

ამასთან დაკავშირებით გ. ტივაძე შენიშნავს, რომ „ამ სოფლების შემოსავალი ქართველი თავადაზნაურობის ერთი ჯგუფის საკუთრებას წარმოადგენდა და ამ სოფლებში მოქმედებდა გარკვეულ დროის მანძილზე სათანადო იმუნიტეტით უზრუნველყოფილი ქართული კანონმდებლობა“[54].

„დავთრის გარეშე“ დარჩენილი სოფლების შესახებ დავთარში მოცემულია მხოლოდ მათი დასახელება. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ასეთი სოფლები, ოსმალთა მიერ ქვეყნის აღწერის შემდეგაც, კვლავ გამაჰმადიანებულ ქართველ ფეოდალებს დარჩათ. ვინაიდან „დავთრის გარეშე“ მყოფი სოფლები არ იყო შეტანილი დავთარში, ამის გამო ასეთ სოფლებში არ იყო დამკვიდრებული ოსმალური საგადასახადო სისტემა. საფიქრებელია, რომ „დავთრის“ გარეშე მყოფი სოფლების მდგომარეობა ერთგვარად უნდა ემსგავსებოდეს აღწერის გარეშე მყოფ სანჯაყებს, რომლებიც იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით იყო გაცემული კერძო მფლობელობაში.

---

[53] „დავთარი“, წ. II, გვ. 381, 439, 502, 503.

[54] გ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

ოსმალეთის მთავრობა იძულებული იყო დაპყრობითი ომების დროს, რიგ შემთხვევაში, დაპყრობილი ქვეყნის გაბატონებული კლასის ერთი ნაწილისათვის შეენარჩუნებინა არა მარტო ქრისტიანობა, არამედ მიწის ნაკვეთიც კი. XV საუკუნიდან დაწყებული XVI საუკუნემდე ქრისტიანი ვოინუქები ბოსნიაში, სერბიაში, მაკედონიაში, ალბანეთში, თესალიასა და ბულგარეთში დიდი რაოდენობით შედიოდნენ ოსმალეთის ლაშქარში ასკერების სტატუტით.

სულთნის დადგენილებებით ქრისტიანი თიმარები და ვოინუქები ოსმალთა სახელმწიფოში ხშირად ინარჩუნებდნენ მდგომარეობას, რომელიც შეესაბამებოდა მათ უწინდელ სოციალურ სტატუტს. მათ ოსმალები მაქსიმალურად უნარჩუნებდნენ მიწათმფლობელობის უფლებას თიმარისა და ზეამეთების ფორმით. ამრიგად, დიდი ოჯახები (seigneur-ები, voyvod-ები) ხშირად ინარჩუნებდნენ თავიანთი გვაროვნული მემკვიდრეობითი მამულის უდიდეს ნაწილს, როგორც დიდი ოსმალური თიმარის მფლობელნი, და როდესაც ისინი მაჰმადიანდებოდნენ, მათ ეძლეოდათ ბეგის ტიტული[55].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თიმარის ქრისტიანი მფლობელნი და მათი გამუსლიმანებული ჩამომავალნი, თუმცა საერთოდ ინარჩუნებდნენ თავიანთ მემკვიდრეობას მამულზე, იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ თავიანთ მამულის ნაწილზე და ზოგიერთ განსაკუთრებულ ფეოდალურ უფლებებზე ახალი ოსმალური თიმარიოტული რეჟიმის პირობებში. ამასთანავე, დიდმა ოჯახებმა უდიდესი ზარალი განიცადეს და მან გამოიწვია გარკვეული წინააღმდეგობანი[56] ბალკანეთისა და აღმ. ევროპის ოსმალურ სამფლობელოებში.

რით იყო გამოწვეული, რომ ოსმალეთის მთავრობა ბალკანეთის ზოგიერთ ქვეყანაში მიწათმფლობელთა ერთ ნაწილს უნარჩუნებდა მამულს და ზოგჯერ ქრისტიანობასაც კი? რა თქმა უნდა, ეს არ აიხსნება ოსმალეთის მთავრობის „ლოიალური პოლიტიკით"[57] დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, როგორც ამას ამტკიცებს თანამედროვე თურქი ისტორიკოსი პროფესორი ჰალილ ინალჯიკი. ოსმალეთის ასეთი პოლიტიკა გამოწვეული იყო იმით, რომ გაეთიშა მოწინააღმდეგე, გარკვეული შეღავათებისა და პრივილეგიების შენარჩუნების გზით, მიემხრო მოწინააღმდეგის გაბატონებული ფენის ერთი ნაწილი

---

[55] Б. А. Цветкова, Новые данные о христианах-сипахиях на Балканском полуострове в период турецкого господства, „Византийский временник", Москва, т. 13, 1958, стр. 58.

[56] H. Inalcik, Ottoman methods of conquest,... p. 115.

[57] იქვე.

და მათი შემწეობით დაემორჩილებინა ქვეყანა. დამახასიათებელია, რომ ამ პრივილეგიებსა და შეღავათებს ოსმალეთის სულთანი სამარადისოდ არ იძლეოდა და დროთა განმავლობაში, ქვეყნის დამორჩილების შემდეგ, მათ თანდათანობით აუქმებდა.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დიდებულთა ოჯახები ბალკანეთის ქვეყნებში ასიმილირებულ იქნა ოსმალური თიმარიოტების მასებთან და გახდნენ მუსლიმანები. უკვე XVI ს-ში ქრისტიანი თიმარები იშვიათად მოიპოვებოდნენ იმავე მხარეებში. კიდევ მეტი, ჰ. ინალჯიკის ცნობით, ამ საუკუნეში ქრისტიანი თიმარების არსებობამ ხალხი შეაძრწუნა და გამოიწვია სპეციალური გამოძიების ჩატარების აუცილებლობა, რათა გამოერკვიათ მათი წარმოშობა (ჩამომავლობა). ფაქტიურად, ზოგი თიმარიოტის ქრისტიანული წარმოშობა მეღავნდებოდა მხოლოდ მათ მიერ იშვიათად ხმარებული გვარის მეშვეობით[58].

ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი წერდა: «В Боснии и Герцеговине дворянство славянского происхождения перешло в мусульманство в то время как масса народа осталась райей, т. е. христианами»[59].

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, რომ დაახლოებით ანალოგიურ პროცესს ადგილი ჰქონდა ოსმალების მიერ მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოს მიწა-წყალზე. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „ოსმალეთის მთავრობა მოქნილსა და ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებდა ქართველ ფეოდალებთან დამოკიდებულებაში. გამაჰმადიანებულ ქართველებს იგი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა, მაგრამ ამავე დროს, ჩანს, ითმენდა ზოგიერთი ფეოდალის ქრისტიანობას. ასეთ პოლიტიკას უნდა დაექსაჭსა ადგილობრივი ფეოდალური ძალები, ათაბაგისათვის უნდა ჩამოეშორებინა ქრისტიანობის დამცველი აზნაურები და გადაეყვანა ისინი ოსმალეთის მხარეზე

ოსმალეთში კარგად ესმოდათ და შეგნებული ჰქონდათ, რომ წარმატება სამცხე-საათაბაგოში მნიშვნელოვან წილად ათაბაგის მოწინააღმდეგე ქართველი ფეოდალების ღალატის წყალობით იყო გაპირობებული“[60].

---

[58] H. Inalcik, Ottoman methods of conquest... p. 115.

[59] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, стр. 374.

[60] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეში, გვ. 332.

„გურჯისტანის დავთარში“, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან მიწის მფლობელებად ქართველი ქრისტიანები.

მათ შესახებ დავთარში ჩაწერილია:

„მიწა ელიასი, ჩაირითურთ, აწ ბეჟან აზნაურის მფლობელობაში (მყოფი), იძლევა გამოსაღებსა და ბეჰრეს“[61] და სხვა[62].

„დავთრიდან“ არ ჩანს, თუ რით აიხსნება ოსმალების „წყალობა“, რომ ამ ქართველებმა ქრისტიანობით შეინარჩუნეს მიწის ნაკვეთები. საფიქრებელია, რომ მათ გარკვეული სამსახური გაუწიეს ოსმალებს ქვეყნის დაპყრობის საქმეში.

„გურჯისტანის დავთარში“ მოხსენიებული არიან აგრეთვე ზიმმები, ე. ი. არამუსლიმანები, რომლებიც ქრისტიანობით ფლობდნენ მამულებს. მათ შესახებ „დავთარში“ ვკითხულობთ:

„მამული ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი სოფელ ფანაკში მდებარე ნურაზიზის ძის გულაზიზ ზიმმის მფლობელობაში მყოფი. ძველ დავთრის თანახმად ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“[63] და სხვა[64].

მოტანილი წყაროდან ნათლად ჩანს, რომ ქართველებს, რომლებსაც ქრისტიანობით ჰქონდათ შენარჩუნებული მამულები, ოსმალეთის მთავრობის სასარგებლოდ სამხედრო სამსახური მართებდათ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. გაბაშვილი წერს: „საჭიროა აღინიშნოს, რომ აღწერილი გარემოება „დავთრის“ მიხედვით დამახასიათებელია მხოლოდ ფანაკის ლივისათვის, რომელიც უშუალოდ ეკრა ოსმალეთს. ფანაკის ლივას სოფლები დაცარიელებული იყო გლეხებისაგან. გარბოდნენ ფეოდალებიც (იმერეთში, ქართლში...). ამიტომ სულთნის მთავრობა, ჩვენი აზრით, ვილაიეთის სანაპირო ოლქებში... განსხვავებულ პოლიტიკას უნდა დასდგომოდა. ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ფანაკის ლივაში ქართველი ფეოდალების დიდს უმეტესობას შენარჩუნებული აქვს მიწები. ამავე დროს ოსმალეთის მთავრობა ოსმალურ წესებს იმითაც უხვევდა გვერდს, რომ ზიმიები (ქრისტიანი ფეოდალები) სამეფო ლაშქარში შეჰყავდა“[65].

ჩვენი დაკვირვებით, ასეთი სახის ქრისტიანი მფლობელები გვხვდება არა მარტო ფანაკის ლივაში, არამედ დიდი არტაანის ლი-

---

[61] „დ ა ვ თ ა რ ი“ წ. II, გვ. 297; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 281.

[62] ი ქ ვ ე, გვ. 338; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 326. 396, 470.

[63] ი ქ ვ ე, გვ. 335; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 324.

[64] ი ქ ვ ე, გვ. 351, 405, თურქული ტექსტი წ. I, გვ. 337, 392.

[65] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 334.

ვაშიც[66]. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ფანაკის და დიდი არტაანის სანჯაყები სამცხე-საათაბაგოში მდებარე იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყებს ესაზღვრებოდა. ქართველი მიწათმფლობელების უმრავლესობა, რომლებმაც სულთნის „წყალობა" მიიღეს, სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, მათთვის პრივილეგიების შენარჩუნებით ოსმალეთის სულთანი, ერთი მხრივ, აპირებდა ამ სასაზღვრო ზონაში ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მათ სულთნისათვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ დანარჩენი საქართველოს (ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ სამცხე-საათაბაგოს) დაპყრობის საქმეში.

ვ. გაბაშვილი სვამს კითხვას: „ხომ არ იყო ეს უკანასკნელი გარემოება მხოლოდ ძველი დავთრისათვის დამახასიათებელი?"[67].

ისევე როგორც ბალკანეთის ქვეყნებში, საქართველოშიც ოსმალები დასაწყისში იძულებული იყვნენ გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ და ქართველი ფეოდალებისათვის ქრისტიანობით მამულები შეენარჩუნებინათ. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი საშუალება იყო. „გურჯისტანის დავთარში" მრავლად არიან დამოწმებული ზიმმიები, რომლებსაც „ა ხ ა ლ ი დ ა ვ თ რ ი ს" მიხედვით მამულები ჩამორთმეული აქვთ.

ასე, მაგალითად, „დავთარში" იკითხება:

„ვენახი ზიმმისა სახელად ქრისტესასი I ნაკვეთი, აწ მეელანა მუსტაფა მუეზზინის მფლობელობაში (მყოფი), სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში გაიღებს 20 ახჩას"[68] და სხვა[69].

როგორც დავინახეთ, ზიმმიებს მამულები ჩამორთმეული აქვთ და მათ მაჰმადიანები ფლობენ. ზიმმიებს მიწის ნაკვეთი „ა ხ ა ლ ი დ ა ვ თ რ ი ს" შედგენის დროისათვის უნდა ჩამორთმეოდათ.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ოსმალებს სამცხე-საათაბაგოში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესები შემოაქვთ და გადასახადებს ოსმალური სისტემით აწესებენ. მაგრამ იმ დროს ოსმალებს არ შეეძლოთ ქვეყნის ასე ადვილად „გაოსმალება", რადგან ქართველი ხალხი დამპყრობლებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ „ოსმალობა", როგორც გარკვეული და ქართული ფეოდალუ-

---

[66] „დავთარი, წ. II, გვ. 405; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 413, 416.
[67] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.
[68] „დ ა ვ თ ა რ ი", წ. II, გვ. 189; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 175.
[69] „დავთარი", წ. II, გვ. 91; თურქული ტექსტი, წ. I, გვ. 88.

რი ურთიერთობისაგან განსხვავებული მოვლენა, ფეხს იკიდებს სამცხე-საათაბაგოში. ამის მთავარ დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს მიწების გადანაწილება. ე. ი. როდესაც მიწათმფლობელებად ოსმალო მოხელეები გვევლინებიან. ეს პროცესი მრავალი ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ასე, რომ ოსმალების ცდა — ხელის ერთი დაკვრით დაემყარებინათ აქ „ოსმალობა", მარცხით დამთავრდა. ისინი იძულებული იყვნენ ქვეყნის თანდათანობით გაოსმალების გზას დასდგომოდნენ, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე საშუალება საკმაოდ აშკარად მეტყველებს ოსმალთა აგრესიულ პოლიტიკაზე.

ვიდრე მანუჩარ II ათაბაგი და მისი მომხრე ქართველები განაგრძობდნენ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სამცხეში, აქ ოსმალთა ბატონობა ყოველთვის საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა.

4. ანტიოსმალური კოალიციის შექმნა

1590 წელს, ირანთან ზავის დადების შემდეგ, კვლავ შეიქმნა ოსმალეთის საფრთხე ევროპის ქვეყნებისათვის. „დასავლეთ ევროპა შეშფოთებული იყო ოსმალეთის ირანის წინააღმდეგ ომში მოპოვებული გამარჯვებებით. ირანის დაპყრობა, ყოველ შემთხვევაში მის ძნიშვნელოვან ნაწილში მაინც, ოსმალთა გაბატონება ამიერ თუ იმიერკავკასიაში ოსმალეთს შესაძლებლობას მისცემდა მთელი თავისი ყურადღება დასავლეთისაკენ მიეპყრო. ოსმალეთი კი იმ დროს ჯერ ისევ ძლიერი სახელმწიფო იყო, ოსმალეთის მუქარა ისევ თავზარს სცემდა დას. ევროპას... სწორედ ამ დროს და ასეთ ვითარებაში დას. ევროპის ბევრ ქვეყანაში შემუშავდა არა ერთი ანტიოსმალური კოალიციის პროექტი"[70].

ამ პერიოდში ოსმალეთი კვლავ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიუბრუნდა და მათ წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. 1593 წელს ოსმალეთმა ავსტრიის წინააღმდეგ ომი გააჩაღა. დასავლეთ ევროპა კვლავ ოსმალეთის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში ევროპის სახელმწიფოები ისევ დაინტერესდნენ ირანითა და საქართველოთი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა გადასწყვიტეს ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაებათ საქართველო და ირანი. ინიციატორებად გამოვიდნენ ავსტრიის იმპერატორი რუდოლფ II და რომის პაპი კლემენტ

---

[70] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI—XVII სს). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 77, 78.

VIII. ისინი აპირებდნენ კოალიციის შექმნას რუსეთის მონაწილეობით.

1593 წლის 17 სექტემბერს მოსკოვში ჩავიდა ავსტრიის იმპერატორის ელჩი ნიკოლოზ ვარკოჩი[71]. მას დავალებული ჰქონდა შეექმნა ფართო ანტიოსმალური კოალიცია რუსეთის მონაწილეობით.

7 ოქტომბერს ვარკოჩი შეხვდა ბორის გოდუნოვს და სთხოვა მას: ავსტრიისათვის დახმარების აღმოჩენა, მონაწილეობა მომავალ ანტიოსმალურ კოალიციაში, ამ მიზნით, ვარკოჩის სიტყვებით, ახლო მომავალში მოსკოვში ჩამოვიდოდნენ ავსტრიის იმპერატორისა და ესპანეთის მეფის ელჩები. ვარკოჩმა აგრეთვე შესთავაზა გოდუნოვს ზავი დაედო შვედეთთან და ისიც ჩაებათ ოსმალეთთან ომში. ავსტრიის ელჩი სთხოვდა მეფეს უზრუნველეყო უნგრეთის მიწა-წყლის უშიშროება ყირიმელი თათრების თავდასხმისაგან[72].

ვარკოჩის თხოვნით, იგი შეახვედრეს მოსკოვში მყოფ შაჰ-აბასის ელჩს. ვარკოჩმა ირანის ელჩს გადასცა ავსტრიის იმპერატორის რუდოლფ II თხოვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ირანი არ შეურიგდეს ოსმალეთს და იმპერატორთან ერთად ოსმალეთის მოწინააღმდეგე იყოს. ირანის ელჩმა უპასუხა, რომ თუ სამი დიდი ხელმწიფე შეერთებული ძალებით, ერთად, თავს დაესხმიან ოსმალებს, მაშინ ოსმალთა საქმე გათავებულია[73].

ამავე წელს რუსეთის მეფე ირანის შაჰს ატყობინებდა: „შენი ხალხისათვის ყველა ქვეყანაში გზის გახსნა ებრძანეთ და ნება დავრთეთ მათ ყოველგვარი შეფერხების გარეშე იარონ[74].

---

[71] ვარკოჩის მოსკოვში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე იქ ჩავიდა ოსმალეთის ელჩი რეზვან ჩაუში. მან რუსეთის მეფეს, თეოდორე ივანეს ძეს, გადასცა სულთან მურად III სიგელი. სულთნის სიგელში მთავარი ყურადღება ეთმობოდა დონის კაზაკების საკითხს. სულთანი პირდაპირ იმუქრებოდა, რომ იგი გაგზავნიდა ლაშქარს დონის კაზაკების გასანადგურებლად, თუ ისინი არ შეწყვეტდნენ აზოვზე თავდასხმებს. ამასთანავე სულთანი შეშფოთებული იყო რუსების გააქტიურებით კასპიის ზღვაზე, დერბენდის მახლობლად. სულთანი იმუქრებოდა, რომ გაწყვეტდა მეგობრულ ურთიერთობას რუსეთთან, თუ დონის კაზაკები თავს დაესხმოდნენ ოსმალებს და არ გაატარებდნენ მათ ჩრდილოეთ კავკასიის გზაზე დერბენდამდე. Н. А. Смирнов, Россия и Турция, т. I, стр. 150.

[72] Н. А. Смирнов, указ. соч., т. I, стр. 151; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[73] იქვე.

[74] თ. ტივაძე, ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში XVI—XVII სს. მიჯნაზე, თსუ შრომები, ტ. 113, გვ. 188.

ბორის გოდუნოვმა ვარკოჩს განუცხადა, რომ მას სურვილი აქვს გაერთიანდეს იმპერატორთან ოსმალეთის წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ამ კავშირში ,მონაწილეობას მიიღებენ რომის პაპი, ესპანეთისა და დანიის მეფეები, ვენეციის დოჟი, ლიტვის მეფე და სხვანი[75].

1594 წლის შემოდგომაზე, მოლდავეთსა და პოლონეთში კაზაკებთან გაიგზავნენ რომის პაპის საგანგებო ელჩები ალექსანდრე კომულევი და ერიხ ლიასოტა. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, კაზაკებმა მოლდავეთში ოსმალთა ძალების დაბანდება ითავეს, ელჩებმა კი მათ რომის პაპის მიერ გაგზავნილი ფული გადასცეს[76].

1594 წლის 30 მაისს რუსეთის მეფემ ანდრია ზვენიგოროდსკის მეთაურობით ირანში ელჩობა გაგზავნა. ზვენიგოროდსკის ევალებოდა ეზრუნა ირანთან სამხედრო პოლიტიკური კავშირის დადებისთვის მოლაპარაკების განახლებაზე, გამოერკვია, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ირანის ჩაბმა ევროპის ქვეყნების მიერ შექმნილ ანტიოსმალურ კოალიციაში, რა ვითარება იყო ირანში; ელჩს უნდა ეცნობებინა ირანის შაჰისათვის რუსეთის მეფის ნებართვა, რომლითაც ირანელ ვაჭრებს უფლება ეძლეოდათ უბაჟო ვაჭრობისა და იარაღის შესყიდვის; აგრეთვე, შეეტყობინებინა ავსტრიის იმპერატორის თხოვნა, — რომ შაჰს არ დაედო ზავი (ე. ი. არ გაეგრძელებინა დროებითი ზავი) ოსმალეთთან და მასთან ერთად გამოსულიყო ოსმალეთის წინააღმდეგ და სხვა[77].

როგორც ჩანს, მოსკოვის სამეფო კარზე გარკვეული ანტიოსმალური კოალიციის გეგმა შემუშავდა. ქართველი პოლიტიკოსები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში ანტიოსმალური კოალიციის მიზნით დაწყებულ მოლაპარაკებას. ისინიც ცდილობდნენ ამ საქმეში თავისი წვლილი შეეტანათ.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ალექსანდრე კახთა მეფის მიერ შემუშავებული ანტიოსმალური კოალიციის პროექტი. ეს საკითხი ამომწურავად აქვს შესწავლილი ნ. ბერძენიშვილს.

ალექსანდრე მეფე ანტიოსმალური გეგმის განხორციელებაში მთავარ როლს რუსეთს ანიჭებდა და მას დიდ პოლიტიკურ წარმატებებს აღუთქვამდა. „კახეთის მეფეს ახალი მომენტი შეჰქონდა მოს-

---

[75] Н. А. Смирнов, указ. соч., т. I, стр. 152.

[76] თ. ტივაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 214, И. Мохов, Очерки истории молдаво-русско-украинских связей, Киев, 1961, стр. 73—74.

[77] თ. ტივაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 188.

კოვის ანტიოსმალურ პოლიტიკაში. ქართულ სამეფო-სამთავროებზე მფარველობის ხელის დადებით. მოსკოვი ოსმალეთთან გადამჭრელ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო. ამ ბრძოლის მიზანი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: ოსმალეთის აღგვა და ქრისტიანობის აღდგენა ახლოაღმოსავლეთში... ამით ალექსანდრე მეფეს XV საუკუნის ქართველ პოლიტიკოსთა ანტიოსმალური გეგმა კვლავ გამოჰქონდა... განსხვავება ის იყო, რომ კახეთის მეფის ხერხიანი გეგმით საქართველოს გამოხსნა-აღდგომა წინასწარი პირობა იყო ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევის წარმატებისათვის. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ წამოყენებული ეს დიპლომატიური ფორმულა ორი საუკუნის მანძილზე მომჭმედ პროგრამად დარჩა რუს და ქართველ პოლიტიკოსთათვის: ოსმალეთის (თუ ერანის) წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მიზანია ქართულ სამეფო-სამთავროთა შემოკრება, საქართველოს მიზანია რუსეთის მფარველობის ქვეშ გაერთიანება და აღდგომა...“[78].

ქართული დიპლომატიის ანტიოსმალური გეგმის ყველა საკითხი სხვა ანტიოსმალური გეგმების (რუსულ-ევროპულის თუ ირანულის) იდენტური არ იყო და ვერც იქნებოდა, მაგრამ მთელი მისი დიპლომატიური ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგად პოლიტიკურ ღონისძიებებში მოხერხებულად და მარჯვედ იყო ჩართული საქართველოს საკუთარი ინტერესები. ანტიოსმალური კოალიციის წარმატებას საქართველო მაჰმადიანური გარემოცვისაგან უნდა გამოეხსნა[79].

ალექსანდრე საშამხლოს საკითხსაც უკავშირებდა ანტიოსმალურ გეგმას: „კავკასიაში საშამხლო-ოსმალეთის კავშირზე კახეთ-მოსკოვის კავშირის გამარჯვება რუსეთის მეფეს სტამბოლს ჩაიყვანს“[80]. ქართველები რუსეთის მეფეს არწმუნებდნენ: „როგორც კი მოსკოვის მეფე დარუბანდს მოვა, ჩვენი მეფე ალექსანდრე ალაზანზე ყიზილბაშის შაჰს შეეყრება და მეორეს მხრით ესენი წამოვლენ და ყველა ციხეს, ოსმალთა ხელში რომაა, გაათავისუფლებენო“[81].

ამგვარად, ალექსანდრე კახთა მეფე მოსკოვს უსაბუთებდა: „დარუბანდი მოსკოვის გაძლიერებისა და ოსმალეთის დასუსტება-დაღუპვის გამოსავალი წერტილია“[82].

ჩანს, ალექსანდრე კახთა მეფის ამ დიპლომატიურმა ნაბიჯმა გარ-

---

[78] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 44.
[79] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 87, 88.
[80] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 40.
[81] იქვე, გვ. 42.
[82] იქვე, გვ. 50.

კვეული ნაყოფი გამოიღო: მოსკოვში გადაწყდა შამხლის წინააღმდეგ გალაშქრება. რუსეთის ჯარს, ხვოროსტინის მეთაურობით, დაეკალა აეღო ტარკი, დაელაშქრა ყუმუხები, გაეხსნა და გაეწმინდა კასეთ-თერგის გზა[83].

1594 წელს რუსთა ჯარმა, ხვოროსტინის სარდლობით, კასპიის ზღვის სანაპირო ადგილები აიღო. მდინარე კოისუზე ციხე ააგო და მალე ტარკიც დაიკავა[84].

ალექსანდრე კახთა მეფემ, საერთო საქმეში მონაწილეობის მიზნით, კახეთის მოსაზღვრე ერთი მცირე დაღესტნური ტომი დაარბია[85].

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის მიერ წარმატებით დაწყებულმა სამხედრო ოპერაციებმა მალე მარცხი განიცადა. შამხალს ყუმუხები და ჩერქეზები მიეშველნენ და რუსთა სარდალს 3000 კაცი დაუხოცეს. ხვოროსტინი დამარცხებული ლაშქრით თერგს დაბრუნდა[86].

მიუხედავად ყოველივე ამისა, ალექსანდრე კახთა მეფე კვლავ დაჟინებით სთხოვს რუსეთს: საშამხლოს დაპყრობას, გზის გახსნას და ყაზიყუმში ციხის აგებას[87].

ასეთ ვითარებაში შაჰ-აბასმა რუსეთში თავისი ელჩი გაგზავნა. 1595 წლის 18 თებერვალს შაჰის ელჩი ანდი-ბეგი მოსკოვში ჩავიდა. ირანის ელჩმა, შაჰ-აბასის სახელით, რუსეთის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირი შესთავაზა[88].

ამრიგად, ოსმალეთის წინააღმდეგ მძლავრი კოალიცია იქმნებოდა. ამასთანავე, რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ზომები მიიღო. მართალია, რუსეთის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მარცხით დამთავრდა, მაგრამ მისი წარმატების შემთხვევაში, ოსმალეთის პოზიციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად დასუსტდებოდა. ცხადია, ოსმალეთი ამ ამბების მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა.

1595 წლის იანვრის ბოლოს სტამბოლში რუსეთისა და სპარსეთის ელჩები დააკავეს. ეჭვს გარეშეა, რომ ოსმალეთის მთავრობას გარკვეული მიზეზი ჰქონდა ამისათვის (თუმცა ეს მიზეზი, რა თქმა უნ-

---

[83] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV გვ. 51.
[84] იქვე, გვ. 52.
[85] იქვე, გვ. 53.
[86] იქვე, გვ. 56.
[87] იქვე.
[88] იქვე, გვ. 58.

და, მას იურიდიულ უფლებას არ აძლევდა უცხო სახელმწიფოების ელჩების დაპატიმრებისა).

ჟ. ჰამერს სტამბოლში ირანის და რუსეთის ელჩების დაპატიმრებასთან დაკავშირებით შემდეგი ცნობა მოეპოვება: „სულფიკარი (სპარსეთის ელჩი — მ. ს.) და რუსეთის ელჩი ჩავიდნენ სულთნის კარზე, რათა მიელოცათ მეჰმედისათვის ტახტზე ასვლა[89]. შემდეგ ორივენი უნდა გამგზავრებულიყვნენ საქართველოში, სადაც უნდა შეერიგებინათ ერთმანეთთან ქვეყნის ორი მეფე — სიმონი და ალექსანდრე. მაგრამ ისინი დააკავეს კონსტანტინოპოლში, რადგანაც თურქებს აშინებდა კავშირი მოსკოვს, სპარსეთსა და საქართველოს შორის, მიმართული ოსმალეთის წინააღმდეგ"[90].

გავარკვიოთ, რამდენად სწორია ეს ცნობა და რაოდენ შეესაბამება აქ გადმოცემული ფაქტები ისტორიულ სინამდვილეს.

სტამბოლში რუსეთის ელჩის დაკავება დასტურდება სხვა წყაროებითაც:

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი სტამბოლში რუსეთის ელჩის დაკავების გამო წერს: „ავსტრიის სამეფო კართან ურთიერთობიდან ვიგებთ, რომ დ. ისლენევი დაკავებულ იქნა კონსტანტინოპოლში ახალი სულთნის მეჰმედ III მიერ"[91].

ნ. სმირნოვს მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა XVI—XVII საუკუნეებში. მას თავის წიგნში განხილული აქვს სტამბოლში დანილა ისლენევის ელჩობაც[92]. მაგრამ სმირნოვი რატომღაც არ დაინტერესებულა სტამბოლში რუსეთის ელჩის დაკავების მიზეზების გარკვევით და დაემყოფილდა სოლოვიოვის „რუსეთის ისტორიიდან" (ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული) ცნობის მოტანით. ამასთანავე, სმირნოვი იქვე შენიშნავს, რომ „თურქეთის საქმეებში", სადაც დაცულია სტამბოლში ისლენევის ელჩობის წიგნი, ბოლოში გაკეთებულია მინაწერი: „Конца нет в книге сей"[93].

ჩვენ დავინტერესდით ს. მ. სოლოვიოვის ცნობით ისლენევის

---

[89] 1595 წლის 16 იანვარს გარდაიცვალა სულთანი მურად III და 27 იანვარს ტახტზე ავიდა მეჰმედ III (1595—1603 წწ).

[90] J. Hammer., v. VII, p. 316, 17; ჰამერს სქოლიოში მოაქვს იტალიური ტექსტი: «Gli ambassadori di Persia e di Moscovia non erano lasciati partir per il paese di Giorgiani sottoposto ad Alexandro e Simone; voce si era conchiusa lega fra quel Principe (Moscovita il Persiano e Georgia contra il Turcho)». იქვე.

[91] С. М. Соловьев., История России, второе изд., т. VII, стр. 626.

[92] Н. А. Смирнов, Россия и Турция XVI—XVII вв., т. I, стр. 153, 154.

[93] იქვე

სტამბოლში დაკავებასთან დაკავშირებით და შევისწავლეთ ამ პერიოდში რუსეთსა და ავსტრიას შორის დიპლომატიური მიმოწერა[94]. ამ მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა:

1597 წელს რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძე გერმანიის იმპერატორ რუდოლფ II ატყობინებდა, რომ მან ოსმალეთის სულთანთან გაგზავნა ელჩი დანილა ისლენევი და მას დაავალა ოსმალეთის სულთნისათვის განეცხადებინა: «Турскому Султану велели накрепко говорити, чтоб он брата нашего на Рудольфову Цесареву землю войною не ходил, тем любви и крепкой дружбы с ними не рушил»[95].

შემდეგ რუსეთის მეფე აუწყებს იმპერატორს, რომ ამის გამო, იგი: «Рудольфу Цесарю помогаем своею Царскою казною и за то Турский Магмет Султан посланника нашего у себя задержал третей год и к нашему Царскому Величеству и по ся места не отпустил..»[96].

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ სულთან მეჰმედ III რუსეთის ელჩი სტამბოლში დაუპატიმრებია ავსტრიისათვის მხარის დაჭერისათვის.

ისლენევის ელჩობა არ იყო საგანგებო მიზნით გაგზავნილი, ისლენევს დავალებული არ ჰქონდა რაიმე კონკრეტული საქმის მოწესრიგება ან ახალი სულთნისათვის ტახტზე ასვლის მილოცვა, ან საზეიმო ცერემონიალზე დასწრება. ჩვეულებრივ, ასეთი ელჩობები თავისი საქმის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში ბრუნდებოდნენ. სწორედ ასეთ ელჩობებს გზავნიდა რუსეთის მთავრობა ოსმალეთში. რუსეთს ამ დროს ოსმალეთში არ ჰყავდა თავისი მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი (მუდმივი დიპლომატიური კავშირი რუსეთმა ოსმალეთთან მხოლოდ პეტრე პირველის დროს დაამყარა); მაშინ როდესაც საფრანგეთს, ინგლისს, ავსტრიას, ვენეციასა და გენუის რესპუბლიკებს მუდმივი საელჩოები ჰქონდათ სტამბოლში.

ჩვენი აზრით, ისლენევის ელჩობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო დამყარებულიყო უშუალო დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე[97]: „... в

---

[94] Сношения Царя Федора Иоанновича и Бориса Годунова с императором Рудольфом II, 1594—1604 гг., СПб, 1852.

[95] იქვე. გვ. 597.

[96] იქვე.

[97] ფორმალურად ისლენევის ელჩობა სტამბოლში რეზვან ჩაუშის მოსკოვში ელჩობის (1593 წ. 2 ოქტომბერი — 1594 წ. ივლისი) საპასუხოდ მოეწყო. მოსკოვიდან ისლენევთან ერთად სტამბოლში გაემგზავრა ოსმალეთის ელჩი რეზვან ჩაუშიც (Н. А. Смирнов, указ. соч., т. I, стр. 153.

ссылке быти хотим свыше прежнего мимо всех государей». ამას მოითხოვდა რუსეთის საგარეოპოლიტიკური ინტერესები: ერთი მხრივ, რუსეთ-ოსმალეთის ინტერესების შეჯახება, ხოლო, მეორე მხრივ, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში დაწყებული მოლაპარაკება. რუსეთის მთავრობას სურდა ოსმალეთში მყოფი თავისი ელჩისაგან ცოდნოდა, თუ რა ხდებოდა ოსმალეთში, როგორი იყო მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მისი მომავალი გეგმები და სხვა.

ოსმალეთში გაგზავნის წინ დ. ისლენევს მიეცა სულთან მურად III-სათვის გადასაცემი სიგელი, დათარიღებული 1594 წლის 6 ივლისით[98].

რუსეთის მეფე სულთნისადმი გაგზავნილ სიგელში გამოსთქვამდა სურვილს შეენარჩუნებინა მასთან „მეგობრობა, ძმობა და სიყვარული".

ამასთან ერთად რუსეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა ბრალდებას იმის შესახებ, რომ თითქოს რუსეთის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიის რიგ მდინარეებზე, მათ შორის დონზე და კასპიის ზღვის პირას, დერბენდის პირდაპირ თავისი ქალაქები ააგო, საიდანაც თურქებს ავიწროვებდნენ[99]. „ყოველივე ამას ამბობენ ის პირები, რომლებმაც არ იციან საქმის ნამდვილი მდგომარეობა... დონზე აზოვის მახლობლად ჩვენი ქალაქები არ არის[100] — ნათქვამია სიგელში. «А на Тереке, на Сунше, в Кабардинской земле и в Шевкальской городы наши велели есьмя поставить для того, что изначала кабардинские и горские черкасские князи и шевкальской были холопи наши рязанских пределов»[101]. შემდეგ სიგელში განმარტებულია, რომ ამ ადგილებში ქალაქები აგებულია ადგილობრივი მთავრებისა და გამგებლების მოთხოვნით, ხოლო «А вашего государства городом, Дербени и Шемаки и Баке и иным городом, которые ты, брат наш, поймал у Кизылбашского шаха, и людем вашим тесноты и убытка и задоров чинить не велим... И дорогу

---

[98] ეს სიგელი გამოქვეყნებულია. იხ.: Кабардино-русские отношения в XVI—XVII вв., Москва, 1957, ч. I, стр. 69—72; ამ სიგელიდან აშკარად ჩანს, რომ დ. ისლენევი ოსმალეთში გაიგზავნა ჯერ კიდევ მურად III სიცოცხლეში. ამიტომ მცდარია ჰამერის მიერ მოტანილი იტალიური წყაროს ის ადგილი, რომლის მიხედვითაც, ელჩი ახალ სულთნის მეჰმედ III ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით იყო სტამბოლში გაგზავნილი.

[99] იქვე, გვ. 71.

[100] იქვე.

[101] იქვე, გვ. 71, 72.

твоим ратным и торговым людем через Кабардинскую землю отворите велели»[102].

ამავე დროს, თეოდორე ივანეს ძე სულთანს აცნობებდა, რომ რუსეთის სამეფო კარს თხოვნით მომართეს ევროპის მონარქებმა, კერძოდ, საფრანგეთისა და ესპანეთის მეფეებმა, აგრეთვე ირანის შაჰმა გაერთიანებულიყვნენ სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად[103], მაგრამ ვარკოჩთან მოლაპარაკების შესახებ სიგელში არაფერი არ იყო ნათქვამი.

ისლენევისადმი მიცემულ დანასაქმში (наказ) სწერია: თუ სულთანი შესთავაზებდა რუსეთს კავშირს ("стояти за один") გერმანიის იმპერატორისა და ირანის შაჰის წინააღმდეგ მაშინ მას არ უნდა მიეღო ეს წინადადება, იმ მიზეზით, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი იყო და ამის შესახებ მას არავითარი მითითება არ ჰქონდა[104].

როგორც დავინახეთ, არც რუსეთის მეფის მიერ სულთნისადმი გაგზავნილ სიგელში და არც ისლენევისადმი მიცემულ დანასაქმში არსადაა ნათქვამი, რომ რუსეთის ელჩს ევალებოდა დაეცვა ავსტრია ოსმალეთის ხელყოფისაგან.

ოსმალეთის სულთნის კარზე ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის საქმიანობას. ოსმალებს განსაკუთრებით აწუხებდა რუსეთის გააქტიურება დონსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. მათ აგრეთვე კარგად იცოდნენ ევროპის სახელმწიფოებსა და ირანს შორის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით დაწყებული მოლაპარაკების ამბავი. მართალია, რუსეთის მთავრობა ოსმალეთს „მეგობრობასა და ძმობას" ეფიცებოდა და უმტკიცებდა, რომ მან უარყო ევროპის მონარქებისა და ირანის შაჰის წინადადება ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირის შექმნის თაობაზე, მაგრამ სულთანს ამისი არ სჯეროდა და თავის „მეგობარს" ეჭვის თვალით უყურებდა.

ამგვარად, ისლენევის კონსტანტინოპოლში დაკავებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ვერსია: ერთის მხრივ, მისი დაპატიმრების მიზეზი იყო რუსეთის მიერ ავსტრიის ინტერესების დაცვა, ხოლო, მე-

---

[102] Кабардино-русские отношения в XVI—XVII в. в., Москва, 1957, ч. I, стр. 69—72.

[103] იქვე.

[104] Н. А. Смирнов, указ. соч., т. I, стр. 153.

ორე მხრივ, რადგანაც ოსმალეთი ავსტრიას ეომებოდა, ამიტომ მასთან კავშირი სულთანს მის წინააღმდეგ გამოსვლად მიაჩნდა. ჰამერის განმარტებით, რუსეთის ელჩის დაპატიმრება მოხდა იმის გამო, რომ ისლენევს დავალებული ჰქონდა სპარსეთის ელჩთან ერთად საქართველოში ჩასვლა, სადაც ერთმანეთისათვის უნდა შეერიგებინათ სიმონი და ალექსანდრე და შეეკრათ კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი უფრო შეეფერება სინამდვილეს და ამიტომ ჩვენც ჰამერის მოსაზრებას ვუჭერთ მხარს.

რუსეთის სამეფო კარი დაინტერესებული იყო ალექსანდრე კახთა მეფისა და სიმონ ქართლის მეფის შერიგებით. ამ საქმის მოგვარება დაევალა ალექსანდრე კახთა მეფეს, იგი რუსეთის მეფეს ატყობინებდა: «К нашему царьскому величеству писал еси в грамоте, что по нашего царьского величества повеленью з зятем своим с Симоном помирился еси вековым миром и начаешся Божьей милостш, которые земли от вас отстали Мингрелская и Гурпелская и Мамучарская, чтоб вам их к себе проворотит и под нашу царьскую руку их привести»[105].

მაშასადამე, რუსეთს საქართველოში ფართო პერსპექტივები ესახებოდა. ხოლო ამ გეგმის განსახორციელებლად კი, უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო ალექსანდრე კახთა მეფისა და სიმონ ქართლის მეფის შერიგება. საქართველოს გაერთიანების გეგმა რუსეთის დახმარებით ალექსანდრე მეფეს ეკუთვნოდა და მისი დიპლომატიური ნიჭის ნაყოფი იყო[106]. მაგრამ იგი ისე ოსტატურად იყო შენიღბული, რომ ამ საქმის ინიციატორად რუსეთი გამოდიოდა (სწორედ რუსეთი მოითხოვდა ალექსანდრესაგან სიმონ მეფესთან შერიგებას).

ჩანს, ამ დროს რუსეთის დიპლომატები იმდენად იყვნენ გატაცებული ამ გეგმით, რომ სტამბოლში მყოფმა რუსეთის ელჩმა გადაწყვიტა ალექსანდრე კახთა მეფისა და სიმონ მეფის შერიგების საქმეში შუამავლად გამოსვლა.

ჰამერის ზემომოტანილი ცნობა გამოყენებულია თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ნაშრომებშიც[107]. მაგრამ ისინი არაფერს წერენ სტამბოლში რუსეთისა და ირანის ელჩების დაკავების შესახებ და მხოლოდ მიუთითებენ, რომ ოსმალეთის მთავრობამ უფლება არ მისცა რუსეთისა და ირანის ელჩებს წასულიყვნენ საქართველოში და შეერიგებინათ სიმონი და ალექსანდრე მეფეები[108].

[105] С. Белокуров, Сношения России с Кавказом, стр. 267, 276.

[106] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 43, 46.

[107] Mufassal Osmanli Tarihi, c. III, s. 1696.

[108] იქვე.

ამგვარად, თურქი ისტორიკოსები არ უარყოფენ ჰამერის „ისტორიაში“ მოტანილ ცნობას, მაგრამ ცდილობენ მიჩქმალონ რუსეთისა და ირანის ელჩების სტამბოლში დაკავების ფაქტი.

აქვე „ოსმალეთის ვრცელი ისტორიის“ ავტორებს მოტანილი აქვთ (თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივიდან) ცნობები ამ პერიოდში რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ციხეების (მდ. თერგზე, შამხალში, კოისუზე და სხვ.) აშენებისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევის თაობაზე[109].

ჰამერის ცნობას ნაწილობრივ ადასტურებს აგრეთვე სპარსული წყაროც. შაჰ-აბასის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის გადმოცემით, ახალი სულთნის მეჰმედ III ტახტზე ასვლის მისალოცად სტამბოლში გაგზავნილ იქნა ზულფიყარ ხანი დიდი ძღვენითა და ძვირფასი საჩუქრებით. ირანის ელჩი იქ დიდხანს დარჩა, რადგან სულთანი ამ დროს ავსტრიის წინააღმდეგ სალაშქროდ იყო წასული[110].

ამ ცნობიდან არ ჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობამ ირანის ელჩი დააკავა. მაგრამ ირკვევა, რომ იგი იქ „დიდხანს დარჩა“ იმის გამო, რომ სულთანი ავსტრიის წინააღმდეგ სალაშქროდ იყო წასული[111].

მართლაც, სულთანმა მეჰმედ III-მ 1596 წლის 20 ივნისს დასტოვა სტამბოლი და ავსტრიის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა და იგი დედაქალაქში მხოლოდ 22 დეკემბერს დაბრუნდა[112].

თურქი ისტორიკოსების ცნობით, ირანის ელჩი სტამბოლში 1596 წლის ბოლოს ჩავიდა და სულთანმა იგი სტამბოლში დაბრუნების რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო[113], ე. ი. დაახლოვებით 25—31 დეკემბერს შორის.

თუ გავიხსენებთ, რომ სულთანი მურად III 1595 წლის 16 იანვარს გარდაიცვალა, ხოლო მეჰმედ III ტახტზე 27 იანვარს ავიდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ შაჰ-აბასმა ახალი სულთნისთვის მისალოცი ელჩობა იმავე წელს (1595 წ.) გაგზავნა. ამიტომ ეჭვს იწვევს თურქი ისტორიკოსების ცნობა, რომ სულთნის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებული მისალოცი ელჩობა ირანიდან სტამბოლში ასე დაგვიანებით ჩასულიყო (თითქმის ორი წლის შემდეგ!).

ჩვენი ვარაუდით, ირანის ელჩი ზულფიყარი სტამბოლში 1595 წელს უნდა ჩასულიყო და იმავე წელს იგი რუსეთის ელჩთან ერთად,

---

[109] Mufassal Osmanli Tarihi, c. III, s 1696.

[110] ისქანდერ მუნში, თარიხ-ი..., ტ. I, გვ. 512, 513.

[111] იქვე.

[112] I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 163—181.

[113] Mufassal Osmanli Tarihi, c. III, s. 1724.

სულთნის ბრძანებით, დააკავეს, ხოლო მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა ავსტრიის წინააღმდეგ ომში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და სულთანი ლაშქრობიდან სტამბოლში დაბრუნდა, ირანის ელჩი გაათავისუფლეს და სულთანს წარუდგინეს[114].

სულთანმა ირანის ელჩს აუწყა ავსტრიის წინააღმდეგ ომში მოპოვებული გამარჯვება და ირანის შაჰის მძევლის ჰაიდარ მირზას სიკვდილი[115].

1595 წელს რომის პაპმა თავისი ელჩი ალექსანდრე კომულეი მოსკოვის მეფესთან გაგზავნა. რომის პაპმა რუსეთის მეფეს არასახარბიელო სურათი გადაუშალა: თუ ოსმალები გაანადგურებდნენ ავსტრიას, უნგრეთსა და პოლონეთს, მაშინ ოსმალთა მფლობელობაში აღმოჩნდებოდა ლიტვაც და მის მეზობლად მდებარე სხვა ქვეყნებსაც ოსმალეთის უშუალო საფრთხე შეექმნებოდა და რუსეთი ოსმალთა მხრივ გარემოცული აღმოჩნდებოდა, რამდენადაც ირანელთა და ქართველთა დამარცხების შემდეგ, ოსმალები ერთი მხრიდან უკვე მიუახლოვდნენ მოსკოვის სამფლობელოებს. რომის პაპის ელჩს რუსეთის მეფისათვის უნდა მოეტანა ისეთი სახელმწიფოების დაღუპვის მაგალითი, როგორიც იყვნენ ბიზანტია, ტრაპიზონისა და ეგვიპტის სახელმწიფოები, რომელთა ხელმწიფენი ლოდინში იყვნენ, ნაცვლად იმისა, რომ აქტიური მოქმედებით და გაერთიანებული ძალებით ერთმანეთისათვის დახმარება აღმოეჩინათ. ეს რომ აღარ განმეორდეს, რომის პაპი წინადადებას აძლევდა მოსკოვის მეფეს, ერთი მხრივ, „წაექეზებინა სპარსელები და ქართველები, გაერთიანებული ძალებით დაერტყათ საერთო მტრისათვის და ესარგებლათ ხელსაყრელი შემთხვევით ბოლო ომში წართმეული ოლქების დასაბრუნებლად, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ შეეკავებინა ყირიმელი თათრები და ფულადი დახმარება აღმოეჩინა ომის საჭიროებისათვის“[116].

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ რომის პაპის ელჩი წერდა: „მე-

---

[114] 1597 წელს რუსეთის მეფე თეოდორე ივანეს ძე ავსტრიის იმპერატორს ატყობინებდა: «Турский Магмет Салтан посланника нашего у себя задержал третей год» (Сношения Царя Федора Иоановича... с императором Рудольфом, II, стр. 597) აქედან ირკვევა, რომ სულთანს რუსეთის ელჩი 1595 წელს დაუკავებია. უფრო გვიან (1597 წ). რუსეთის მეფემ შეიტყო, რომ სულთანმა გაანთავისუფლა მისი ელჩი. Сношения..., стр. 643. აქედან ჩანს, რომ, რუსეთის ელჩი სულთანს 1596 წლის ბოლოს ან 1597 წლის დამდეგს უნდა გაეთავისუფლებინა.

[115] Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1724.

[116] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91, 92; თ. ტივაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 212; Н. А. Смирнов, указ. соч., ст. I, стр. 153.

გრელები, ჩერქეზები, ქართველები და აზიის ბერძნები მოუთმენლად ელიან მოსკოვის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად"[117].

რომის პაპის წინადადებას მოსკოვში ფრთხილად შეხვდნენ. ასე ფართოდ გამიზნულ ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობას რუსეთი არ აპირებდა. ამიტომ რომის პაპის ელჩს მოსკოვში წარმატება არ ჰქონდა. სამაგიეროდ იგი უხვი დაპირებით ჰკვებავდა ქართველ მეფეებსა და ირანის შაჰს. მათ რომის პაპი მიაჩნდათ ოსმალეთის წინააღმდეგ ქრისტიან ხელმწიფეთა დამრაზმველად[118].

საქართველოსა და ირანში ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. სიმონ, ქართლის მეფე, ისევე როგორც შაჰ-აბას I, ოსმალეთთან დადებულ ზავს დროებით საშუალებად თვლიდა და ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალებს იკრებდა.

შაჰ-აბასი 1590 წლიდან მოყოლებული გამალებით ემზადებოდა ოსმალეთთან ომის განახლებისათვის. მის საომარ სამზადისში ამიერკავკასიის ქვეყნებსა და, განსაკუთრებით, საქართველოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიერკავკასიის ხალხები, სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ შაჰ-აბასთან დაკავშირებას. მათთვის „ოსმალობა" მიუღებელი იყო, თუმცა „ყიზილბაშობის" ოდინდელი „სიკეთეც" კარგად ახსოვდათ. მაგრამ ამ ვითარებაში ისინი უპირატესობას მაინც ირანულ-ყიზილბაშურ ორიენტაციას ანიჭებდნენ, რადგან ისტორიულად „ოსმალობა" მუდამ მძიმე იყო „ყიზილბაშობასთან" შედარებით.

ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად ქართველი მეფე-მთავრებიც ირანის ორიენტაციის გზას ადგნენ, „მაგრამ ეს წინასწარ აღიარებული უთუო და უთუმცაო დებულება სრულიად არ ყოფილა"[119].

1590—1603 წლებში შაჰს საქართველოზე ხელი არ მიუწვდებოდა. 1590 წლის ზავით, შაჰი ამიერკავკასიის ქვეყნებზე ოსმალეთის უფლებას სცნობდა, მაგრამ შაჰი ოსმალეთთან ომის განახლებისათვის ენერგიულად ემზადებოდა და „მომავალ ომში, ... „გურჯისტანს" ოსმალეთის წინააღმდეგ ომს ავალებდა"[120].

ქართველებს თანაბრად სძულდათ ირანელი და ოსმალო დამპყრობლები, მაგრამ ეხლა ქვეყანას საფრთხე უშუალოდ ოსმალეთის მხრიდან ადგა და ირანის სასარგებლო განწყობილებას საკმაო საფუ-

---

[117] ციტირებულია: თ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 213.
[118] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 92, 93.
[119] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ტ. IV, გვ. 116.
[120] ი ქ ვ ე.

ძველი მოეპოვებოდა. სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი საქართველოს მეფეების ირანულ ორიენტაციას შემდეგნაირად ასაბუთებს: „საქართველოს მეფეებს აგრეთვე განზრახული ჰქონდათ თავისი ქვეყანა სპარსელებისათვის გადაეცათ, რადგან მათ ოსმალები სასტიკად ჩაგრაედნენ...“[121] არაქელი, ცხადია, ზუსტად ვერ გადმოსცემს ქართველი მეფეების დამოკიდებულებას მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებისადმი. ქართველებს ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხში საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდათ.

საქართველოს მეფეები და ირანის შაჰი დადებითად შეხვდნენ რომის პაპის მოწოდებას ანტიოსმალური კოალიციის შექმნის თაობაზე. მათ გარკვეული ნაბიჯები გადადგეს ამ მიმართულებით.

1595 წელს სიმონ ქართლის მეფემ, ალექსანდრე კახთა მეფემ და შაჰ-აბას I-მა გადაწყვიტეს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა მოეწყოთ. ამ შეთანხმების შესახებ მათ წერილებით აცნობეს რომის პაპს, ავსტრიის იმპერატორსა და ესპანეთის მეფეს[122].

სიმონ, ქართლის მეფე ამ ამბავს ატყობინებდა ესპანეთის მეფეს ფილიპე II: „მე სიმონი, გურჯისტანის ხანი, ალექსანდრე, აღმოსავლეთის ხანი, შაჰ-აბას სპარსელი, ჩვენ სამთავე გავერთიანდით და შევკავშირდით“, ამასთანავე „მოვილაპარაკეთ, გადავწყვიტეთ და აღვთქვით, რათა ავმხედრდეთ ოსმალეთზე, გავათავისუფლოთ წმინდა იერუსალიმი და ვიხსნათ ქრისტიანები ოსმალთა ხელთაგან“[123].

სიმონ მეფე ესპანეთის მეფეს მოუწოდებდა: დაუკავშირდით იმპერატორს ისე, რომ თქვენ მანდედან შემოუტიოთ, ჩვენ კი აქედან შევუტევთ საერთო მტერსა. სიმონი ესპანეთის მეფეს თხოვდა, აგრეთვე, არ დაეშვა ავსტრიის იმპერატორის დაზავება ოსმალეთთან. შემდეგ სიმონ მეფე აღნიშნავდა, რომ ამგვარი შინაარსის წერილები დაეგზავნა რომის პაპსა და ავსტრიის იმპერატორს[124].

---

[121] Collection d'historiens Armeniens, v. I. p. 275.

[122] სიმონ I-ის ეს წერილები სომხური და ბერძნული ტექსტებით, ფრანგული თარგმანითურთ გამოაქვეყნა მაკლერმა. იხ. Revue des Etudes Armeniens, t. I, f. I, Paris 1920, pp. 73—89; სიმონ I-ის წერილი რომის პაპისადმი იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76—78; სიმონ I-ის ეს წერილები ისტორიულ ასპექტში გაანალიზებული და ამომწურავად შესწავლილი აქვს ვ. გაბაშვილს, დასახ. ნაშრ., გვ. 93—101. სიმონ მეფის წერილი ვენეციის დოჟისადმი, ბერძნულ ენაზე დაწერილი და სიმონ მეფის მიერ ქართულად ხელმოწერილი, ვენეციის არქივში აღმოაჩინა უნგრელმა მეცნიერმა ლ. ტარდიმ და გამოუგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

[123] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

[124] ი ქ ვ ე, გვ. 94, 95.

ამ წერილს სიმონ მეფე ასე ამთავრებდა: „დადგა ჟამი, როცა შეიძლება ხელიდან გამოვგლიჯოთ იერუსალიმი იესო ქრისტეს სარწმუნოების მტერს. ჩვენ სამთავემ, ორმა ქართველმა და ერთმა სპარსელმა ფიცი დავდეთ ამ ლიგაში დავიხოცოთ იესო ქრისტეს სარწმუნოებისთვის და ღვთის სიყვარულისათვის საკუთარი თვალით ვიხილოთ გათავისუფლებული იერუსალიმი"[125].

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სიმონ მეფე ესპანეთის მეფის, ავსტრიის იმპერატორისა და რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილებში ყველგან ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ანტიოსმალური კოალიციის ინიციატივა იმპერატორს ეკუთვნის და რომ მან პირველმა მიმართა სიმონ მეფეს წერილებითა და სიტყვებით.—ქრისტიანობის საქმის დასაცავად მოუწოდა[126].

ქართველი მეფეებისა და ირანის შაჰის მონაწილეობით შექმნილი ანტიოსმალური ლიგა „ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ როგორ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული დიპლომატია მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკის საკითხებთან და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ... ქართველი დიპლომატები სრულიადაც არ მოჩანან შესაძლებელი ანტიოსმალური კოალიციის პასიურ მონაწილეებად. საქართველოს მონაწილეობას ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობაში სათანადო ანგარიშს უწევენ დას. ევროპაში"[127].

სამთა ლიგის შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ამ კოალიციაში შემავალი სახელმწიფოებისათვის, არამედ აგრეთვე იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც იღწვოდნენ და საერთოდ ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის. ფაქტიურად ამ პერიოდში ეს იყო (1590 1603 წ.წ.) პირველი ანტიოსმალური ლიგა, რომლისთვისაც შემდგომ მხარი უნდა დაეჭირათ ევროპის სახელმწიფოებს და ამის შედეგად ჩამოყალიბებულიყო მძლავრი კოალიცია ოსმალეთის წინააღმდეგ. მართალია, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატივა რომის პაპისა და ავსტრიის იმპერატორისაგან მომდინარეობდა, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი აღმოსავლეთის ქვეყნებმა (ქართლი — კახეთი — ირანი) გადადგეს. სამთა ლიგის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვოდა ქართველ დიპლომატებს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართლ-კახეთის მეფეების შერიგებით და ოსმალეთის წინააღმდეგ ქართლ-კახეთ-ირანის კავშირის შეკვრით

---

[125] ვ. გაბაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 95.
[126] იქვე, გვ. 94.
[127] იქვე, გვ. 96.

დაინტერესებული იყო რუსეთის მთავრობა და მან ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯი გადადგა. მაშინ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რუსეთი „სამთა ლიგაში“ არ შევიდა?

მართალია, რუსეთი დაინტერესებული იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნით და ამ მიზნით იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა არა მარტო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთანაც, მაგრამ რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი ომის დაწყებას არ აპირებდა.

1594 წელს ჩრ. კავკასიაში ხვოროსტინის ლაშქრობის დამარცხებისა და 1595 წლის დამდეგს ოსმალეთის სულთნის მიერ სტამბოლში რუსეთის ელჩის დაპატიმრების შემდეგ, ცხადია, რუსეთის მთავრობა ოსმალეთის მიმართ უფრო ფრთხილ პოლიტიკას გაატარებდა. „იმიერკავკასიაში შემოსვლით, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — მოსკოვი ოსმალეთს შეეჯახა, მაგრამ ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილობრივი ხასიათის კონფლიქტი და მოსკოვი ოსმალეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი ხასიათის საერთო შეტევის დაწყებას ამით სრულებითაც არ აპირებდა“[128].

ყოველივე ამის გამო, რუსეთის მთავრობა ერიდებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას, რათა ამით კვლავ არ გაემწვავებინა მასთან ურთიერთობა.

ამასთანავე, ამ საკითხში არ შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს ირანის პოზიცია. შაჰ-აბასისათვის მიუღებელი იყო „სამთა ლიგაში“ რუსეთის მონაწილეობა: „შაჰ-აბასი სულ სხვა კოალიციას რაზმავდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ ომში რუსეთის ბელადობა შაჰ-აბასს გამორიცხულად მიაჩნდა“[129]. მაგრამ ამ ლიგის შექმნის გარკვეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, მას დასაშვებად მიაჩნდა რუსეთის მონაწილეობა.

შაჰ-აბასის ამგვარ პოლიტიკას ანგარიშს უწევდნენ ქართლ-კახეთის მეფეებიც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ „სამთა ლიგის“ წევრებმა ამ კავშირის შექმნის შესახებ რუსეთის მეფეს არაფერი აცნობეს[130]. „თუმცა, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს შეთანხმება მოსკოვისათვის უცნობი არ დარჩენილა“[131].

---

[128] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 34.

[129] იქვე, გვ. 70.

[130] სამთა ლიგის წევრებს შორის მხოლოდ ალექსანდრემ მისწერა თავის მფარველს რუსეთის მეფეს და შეატყობინა სიმონ მეფესთან შერიგების ამბავი, სხვა ცნობა მის წერილშიც არ არის.

[131] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

სამთა ლიგის წევრებმა ევროპაში გაგზავნეს ტერ იაკობი[132], მასვე გაატანეს წერილები რომის პაპისა და ევროპის მონარქებისადმი. იაკობს ჰქონდა გამოცდილება ამგვარ საქმეებში. უფრო ადრე იგი თვით რომის პაპმა გამოგზავნა საქართველოში სიმონ მეფესთან წერილითურთ[133], რომელშიც მოუწოდებდა სიმონს მონაწილეობა მიეღო ანტიოსმალურ კოალიციაში.

უნგრული და ტრანსილვანური ქრონიკებიდან დასტურდება ტერ იაკობის ევროპის ქვეყნებში ჩასვლის ფაქტი, მისი მოღვაწეობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით: „1597 წელს, — მოგვითხრობს ქრონიკონი, — სპარსეთის მეფემ და ორმა ქართველმა თავადმა გაგზავნეს ორი ლეგატი (ელჩი) რომის კეისართან, თურქეთთან ომის გაგრძელების მიზნით. 10 ივლისს, საღამოს ორი სომეხი — მამა და უფროსი ვაჟიშვილი — დონ-იაკობი ჯულფიდან (სომხეთის დედაქალაქიდან), რომელიც 14 გერმანიაში იყო, თურქულად ჩაცმული. მოვიდა ვენეციიდან, გრაცზე გავლით, ვენაში. მეორე დღეს იგი მიიღო ერცჰერცოგ მათეასმა. შემდეგ გაემგზავრა პრაღაში, 17-ში ჩავიდა და იქ ჩაიტანა სპარსეთის მეფის, სიმონისა და ალექსანდრე ხანის — ქართველი თავადების წერილები, რომის კეისარისადმი განკუთვნილი. მან მოაგონა, რომ მის უდიდებულესობას სურდა თურქეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელება (სპარსელ-ქართველთა მიერ — მ. ს.) და იმედოვნებდა, რომ ეს ჩამოაცილებდა უნგრეთის სიღრმეში შეჭრილ თვით თურქეთის სულთანს...“[134].

იმ დროს, როდესაც საქართველოს მეფეებისა და შაჰ-აბასის წარგზავნილები ევროპაში ჩავიდნენ, პოლიტიკური ვითარება იქ საკმაოდ შეიცვალა, ანტიოსმალური განწყობილება შესუსტდა. ამის მიზეზი შემდეგი იყო:

ოსმალეთ-ავსტრიის ომის დასაწყისში ავსტრიამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ოსმალეთი მარცხდებოდა.

1594 წელს სულთნის სამ ვასალს შორის: ტრანსილვანიის მთავარს სიგიზმუნდ ბატორს, მოლდავეთის გოსპოდარს არონ ვოევოდასა

---

[132] სიმონ მეფე რომის პაპს წერდა: „ჩვენი გულის ყველა ნატვრას მღვდელი ტერ იაკობი მოგახსენებს თქვენს სიწმინდესა“. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77—78.

[133] იმავე წერილში სიმონ მეფე რომის პაპს აცნობებდა: „მივიღეთ თქვენი უწმინდესი და პატიოსანი წერილი, რომელიც მოგვიტანა ეჩმიაწინელმა ტერ იაკობმა“. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[134] ციტირებულია Louis Tardy, Relations entre la Hongrie et la Georgie aux XIII—XVIII siecles, Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, v. XXV, Paris, 1968, p. 125.

და ვალაჰეთის გოსპოდარ მიხეილ გულადს შორის დაიდო საბრძოლო კავშირი ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების მიზნით. თავის მხრივ, მათ კავშირი შეკრეს ავსტრიის იმპერატორ რუდოლფ II-თან.

მიხეილ გულადმა და არონ ვოევოდამ გაერთიანებული ძალებით რამდენიმე დამარცხება აგემეს ოსმალთა ჯარებს და 1594 წლის დამლევს ბალკანეთის მთებამდე მიაღწიეს.

ამავე წელს სულთნის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა სერბიის მოსახლეობაც. აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა. ოსმალები განდევნილ იქნენ რამდენიმე ქალაქიდან. აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ ავსტრიისა და ტრანსილვანიის ჯარების დახმარებისა. მაგრამ მათ დახმარება ვერ მიიღეს და აჯანყებულნი დაამარცხა ოსმალეთის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა.

სერბიის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ოსმალეთის ლაშქარი მიხეილ გულადის წინააღმდეგ გაემართა. მიუხედავად ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრისა, 1595 წელს მიხეილ გულადმა ოსმალებს სასტიკი დამარცხება აგემა და მთელი ვალაჰეთი ოსმალთაგან გაანთავისუფლა.

სულთნის მთავრობას, რომელიც დაკავებული იყო ავსტრიასთან ომით, არ შეეძლო ხანგრძლივი ომი ეწარმოებინა მიხეილ გულადთან და იძულებული შეიქნა დაედო მასთან დროებითი ზავი. ზავი რამდენიმე წლით დაიდო. ოსმალეთის სულთანმა არსებითად დაჰკარგა თავისი სუვერენიტეტი დუნაის სამთავროებზე.

1596 წელს სულთნის მთავრობამ შესძლო არმიის განმტკიცება-გაძლიერება და იგი შეტევაზე გადავიდა. ავსტრიის წინააღმდეგ ლაშქრობას თვით სულთანი მეჰმედ III ჩაუდგა სათავეში. 1596 წელს ავსტრიის არმიამ დიდი დამარცხება განიცადა ერლაუსთან, მდ. ტისაზე. ამავე წელს სოფელ კერესტეცთან (ტრანსილვანია) ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს ტრანსილვანიის მთავარი სიგიზმუნდ ბატორი[135].

მოპოვებულმა გამარჯვებებმა ოსმალეთის მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ასეთ ვითარებაში ავსტრიის იმპერატორი რუდოლფ II პასიურად შეხვდა „სამთა ლიგის“ წინადადებას ფართო ანტიოსმალური კოალიციის შექმნისა და მასში ევროპის სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ. ესპანეთის მეფეს

---

[135] А. Д. Новичев, История Турции, т. I, стр. 137—140; L. Tardy, op., cit., pp. 123, 124; J. W. Zinkeisen, Geschichte des Osmanischen Reiches in Europa, Bd. II, Gotha, 1855, S. 592—594.

კი ამ დროს ინგლისთან ომი ჰქონდა და ოსმალეთისათვის არ ეცალა. რაც შეეხება რომის პაპს, იგი მხოლოდ დაპირებებს იძლეოდა და რაიმე რეალური ნაბიჯი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გადაუდგამს.

მიუხედავად ამისა, „სამთა ლიგის“ მონაწილენი ოსმალეთის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგნენ და თავისი გეგმის განსახორციელებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგეს: 1598 წელს სიმონ მეფემ ოსმალეთთან ომი განაახლა, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფემ ოსმალეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა, თავის მხრივ, შაჰ-აბასმა ოზბეგები დაამარცხა და მთელი რიგი ციხე-ქალაქები დაიპყრო და თავრიზის მახლობლად სამხედრო ძალების დემონსტრაცია მოაწყო. ამავე დროს შაჰმა ქურთისტანს ილაშქრა და ოსმალეთის მომხრე ქურთი ბეგები დაამარცხა[136].

1599 წელს სიმონ მეფემ, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, გაათავისუფლა ქალაქი გორი, რომელიც ქართლში ოსმალთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო. გორის ციხის აღება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩვენში ოსმალთა ბატონობას. ამასთანავე, შესაძლებელი იყო სიმონის მაგალითისათვის ამიერკავკასიის სხვა გამგებლებსაც მიებაძათ.

სულთანმა გადაწყვიტა სასწრაფო ზომები მიეღო. მან სიმონ მეფის წინააღმდეგ გამოგზავნა თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგი ჯაფარ ფაშა. ქართველებსა და ჯაფარ ფაშას შორის ცხარე ბრძოლა გაიმართა. მტრის ლაშქრის სიმრავლისა და ზოგიერთი ფეოდალის ღალატის წყალობით ქართველები დამარცხდნენ, ხოლო სიმონ მეფე ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს.

---

[136] 1599 წლის ივნისში მოსკოვიდან ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად ავსტრიის იმპერატორ რუდოლფ II-თან გაიგზავნა ათანასე ვლასიევი. მან იმპერატორს აცნობა, რომ რუსეთის მეფე მეგობრულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ირანის შაჰთან და შაჰი მზად იყო ანტიოსმალურ კავშირში შესასვლელად. ამავე დროს ვლასიევი ატყობინებდა კეისარს, რომ შაჰ-აბასმა და სიმონ მეფემ ოსმალებს მთელი რიგი ქალაქები წაართვეს. ვლასიევის განცხადებით, სიმონ მეფემ ოსმალეთის წინააღმდეგ ომი რუსეთის მეფის ბრძანებით დაიწყო. «...по повеленью Великого Государя нашего, Иверского Александра Царя зять Симон Князь ходил на Турского городы, которые близко Иверские земли взял у Турского три городы, которые были за Турским Иверские земли. И впредь Александр Царь Грузинской и зять его Симон и Кумытцкая земля против Турского учнуть стояти и воеваться». (Сношения Царей с имп. Рудольфом II, стр. 695). როგორც ჩანს, რუსეთის მეფე სიმონ მეფის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას და ალექსანდრესთან გაერთიანებას სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის დამსახურებად მიიჩნევდა.

სიმონ მეფის დატყვევება — ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მძიმე მარცხი იყო. „სულთანმა, — წერს სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი, — როდესაც სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი თავისი იმპერიის ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამი დღე-ღამის განმავლობაში ეუქმათ და ემხიარულათ“[137].

სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ ჯაფარ ფაშამ იგი თავრიზში ჩაიყვანა, სადაც ზამთარი და გაზაფხული გაატარა. შემდეგ კი სტამბოლში გაგზავნეს, „როდესაც სიმონი არზრუმში ჩაიყვანეს, იგი იქ დროებით გააჩერეს, რადგანაც ანატოლიაში ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულთა ხელმძღვანელმა ყარა იაზიჯიმ (1599—1603) გადაწყვიტა სიმონ მეფე ტყვეობიდან გამოეხსნა. მან უბრძანა თავის თანამებრძოლებს სიმონი მოენახათ, მცველებისაგან მოეტაცათ და მასთან მიეყვანათ“[138].

1600 წლის 21 ივნისს სიმონ მეფე სტამბოლში ჩაიყვანეს და იედი კულეს ციხეში მოათავსეს[139].

სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ შაჰ-აბასმა ოსმალეთთან ომის განახლებაზე დროებით ხელი აიღო და ყურადღება კვლავ ანტიოსმალური კოალიციის შექმნას მიაპყრო.

სულთნის კარზე თვალყურს ადევნებდნენ შაჰ-აბასის საჭმიანობას და კარგად იცოდნენ მისი ნამდვილი ზრახვები ოსმალეთის მიმართ. 1596 წელს სტამბოლში გარდაიცვალა ირანის მძევალი ჰაიდარ მირზა. სტამბოლში ხმები დაირხა, რომ ჰაიდარ მირზა მოაკვლევინა თვით შაჰ-აბასმა, რადგან მას ეშინოდა, რომ სულთანი გამოიყენებდა ჰაიდარ მირზას მის წინააღმდეგ[140]. ჰაიდარ მირზას გარდაცვალების შემდეგ ირანსა და ოსმალეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება სტამბოლში ახალი მძევლის გაგზავნის გამო. შაჰი, რომელიც ოსმა-

---

[137] Collection d'historiens Armeniens, v. I, p. 562.

[138] იქვე.

[139] I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 200; ქართულ ისტორიოგრაფიაში სიმონ მეფის დატყვევებისა და მისი სტამბოლში ჩაყვანის თარიღები არაზუსტადაა მითითებული, რაც ჩვენ მიერ შესწორებულია (დაწვრილებით იხ. მ. სვანიძე, სიმონ I ოსმალეთთან ურთიერთობის ზოგიერთი თარიღის დაზუსტებისათვის, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, ტ. I, გვ. 123).

[140] M. Mignot, Histoire de l'Empire Ottoman, Paris, 1889, t. II, p. 251; 1593 წელს სტამბოლში მყოფი რუსეთის ელჩი ნ. ნაშჩოკინი იუწყებოდა, რომ შაჰ-აბასი სულთანს თხოვდა დაებრუნებინა მისთვის თავისი ძმის შვილი ჰაიდარ-მირზა, ვინაიდან შაჰს ეშინოდა, რომ იგი სულთანს დროთა ვითარებაში არ დაესვა ირანის ტახტზე (Н. А. Смирнов, указ. соч., т. I, стр. 148).

ლეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა, არ ჩქარობდა და ყოველნაირად აჭიანურებდა მოლაპარაკებას. 1599 წელს სულთანმა შაჰს ელჩი გაუგზავნა და მას მძევლად ვაჟიშვილი სეფი-მირზა მოსთხოვა. შაჰმა სულთანს უარი შეუთვალა. ამით შაჰი არღვევდა 1590 წ. ზავის პირობებს, კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას.

ამის შემდეგ შაჰი უფრო ენერგიულად შეუდგა ოსმალეთთან ომის სამზადისს და ერთხელ კიდევ სცადა ევროპის ქვეყნებთან ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის დადება.

1599 წელს შაჰ-აბასმა, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით, დასავლეთ ევროპაში ანტონი შერლი და ჰუსეინ ალი ბეგი გაგზავნა. შაჰის ელჩები უნდა ჩასულიყვნენ მოსკოვის მეფესთან, ავსტრიის იმპერატორთან, რომის პაპთან, ესპანეთის მეფესთან და ტოსკანიის დიდ მთავართან და ამ საკითხზე ეწარმოებინათ მოლაპარაკება[141].

ამ ელჩობის საპასუხოდ, ავსტრიის იმპერატორმა რუდოლფ II 1602 წელს შაჰ-აბასთან თავისი ელჩი კაკაჩი გაგზავნა, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა და მისიის შესრულება მიენდო ელჩობის მდივანს გიორგი ტაქტანდერს[142].

საფიქრებელია, რომ ალექსანდრე კახთა მეფემ, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული, თავისი აგენტების მეშვეობით ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის საერთაშორისო ამბების შესახებ, იცოდა ტაქტანდერის მისიის მიზანი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამშობლოში მიმავალ ავსტრიის იმპერატორის ელჩს გზაში შეხვდა ალექსანდრე კახთა მეფე, რომელმაც ტაქტანდერი თავისთან მიიპატიჟა და სხვა საკითხებთან ერთად შეეკითხა, თუ იმპერატორმა რატომ მასაც არ გამოუგზავნა ელჩი, ქრისტიან მეფესაც, მაშინ როდესაც იგი ელჩს უგზავნიდა ურჯულო სპარსეთის მეფეს და დასძინა, რომ, თავის მხრივ, მას სურვილი აქვს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს მის უდიდებულესობასთან[143].

ალექსანდრე კახთა მეფის ტაქტანდერთან საუბრის შინაარსი არ შეიძლება ყურადღებას არ იქცევდეს. ალექსანდრე მეფის სიტყვები

---

[141] ამ ელჩობის შესახებ დაწვრილებით იხ. Sir Antony Scherley, His Relationes..., Don Jouan of Persia, Relaciones; K. B a y a n i, Les relations de l'Iran avec l'Europe Occidental à l'epoque Safavides, Paris, 1937.

[142] Iter Persicum, du description du vayages en Perse entrepris en 1602 par Etienne Kakasch Zalonkemeny, Paris, 1877. p. 3.

[143] ი ქ ვ ე, გვ. 66, 65.

„იმპერატორი რატომ მას აგრეთვე არ გამოუგზავნის ელჩს“, უნდა გავიგოთ როგორც საყვედური გერმანიის იმპერატორისადმი, რომელიც არ გამოეხმაურა 1595 წელს შედგენილ ანტიოსმალურ (სიმონ ქართლის მეფე, ალექსანდრე კახთა მეფე, შაჰ-აბასი) კოალიციას.

ამრიგად, შაჰ-აბასს ოსმალეთთან ომის დაწყების წინ აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა გაჩაღებული ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით. თავის მხრივ, ქართველი მეფეები ცდილობდნენ თავისი წვლილის შეტანას ამ საერთო საქმეში. ცხადია, ქართველებისა და შაჰ-აბასის ინტერესები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ მათ ერთმანეთთან აკავშირებდა საერთო მტრის — ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი.

თავი V

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა XVII ს-ის პირველ მესამედში

1. 1603—1612 წ.წ. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა

1603 წელს შაჰ-აბას I-მა საფუძვლიანი მომზადების შემდეგ დაარღვია 1590 წლის ზავი და ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა[1].

შაჰ-აბასი ამ ომში მიზნად ისახავდა 1590 წლის ზავით დაკარგული ქვეყნების უკან დაბრუნებას. ამ ომის დროს, ისევე როგორც წინათ, საომარი მოქმედების მთავარი ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები და, კერძოდ, საქართველო იყო.

ირანთან დაწყებულ ომში ოსმალეთი მარცხდებოდა. ამ ომში გამომჟღავნდა ოსმალეთის სამხედრო პოტენციალის სისუსტე და სამხედრო ლენური სისტემის კრიზისი, განსხვავებით ირანისაგან, სადაც შაჰ-აბასის რეფორმის შედეგად რეორგანიზებული ირანის ლაშქარი თავისი შეიარაღებითა და დისციპლინით სჯობდა ოსმალეთისას[2].

ირანის სამხედრო წარმატებებს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ 1593 წლიდან ოსმალეთი ეომებოდა ავსტრიას და, ამგვარად, მას

---

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში ირან-ოსმალეთის ამ ომის დაწყება 1602 წლით არის დათარიღებული. ოსმალურ, სპარსულ და ევროპულ წყაროებში ყველგან ამ ომის განახლების თარიღად 1603 წელია მითითებული. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი თარიღი (1603 წ.) უფრო სანდო უნდა იყოს.

[2] შაჰ-აბასის რეფორმების შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 101—105; 107—110, ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 105; И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX в. в. Л., 1949, стр. 83—144; Его же, Азербайджан в XVI—XVII вв. Сбор. статей по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века под редак. В. В. Струве, 1958, стр. 272—274; Рахмани, указ. соч., стр. 86—92; L. Bellan, Chah-Abbas, pp. 111—113.

ერთდროულად უხდებოდა ომის წარმოება აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ხოლო დავიწყებას მიეცა ის დრო, როდესაც ოსმალეთი წარმატებით დაპყრობით ომებს აწარმოებდა ერთდროულად ევროპასა და აზიაში.

ამავე დროს ოსმალეთის იმპერიის შიგნით გრძელდებოდა გლეხთა აჯანყებები, რომელიც ჯელალიების სახელითაა ცნობილი. ამ აჯანყებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ირანის მოსაზღვრე პროვინციებში, და შაჰ-აბასიც მარჯვედ იყენებდა ამ მოძრაობას ოსმალეთის დასასუსტებლად, თუმცა ამ მოძრაობის სოციალური საფუძვლები მას არ მოსწონდა.

და ბოლოს, ამიერკავკასიის ხალხები თუ მეფე-გამგებლები, რომლებიც ოსმალთა ბატონობის ქვეშ მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ნებით თუ უნებლიეთ ისინიც ირანის მოკავშირეებად იქცნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ გზით ცდილობდნენ ოსმალთა უღლისაგან თავის დაღწევას.

ყოველივე ამან განაპირობა ირანის წარმატებები ოსმალეთის წინააღმდეგ ომში.

პირველი დიდი ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის ლაშქარს შორის მოხდა აზერბაიჯანში. იქ მყოფი ოსმალთა სამხედრო ძალები არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო. შაჰ-აბასმა ალყა შემოარტყა თავრიზს და 18 დღის ალყის შემდეგ 1603 წლის 21 ოქტომბერს აიღო იგი[3].

ამის შემდეგ ირანელთა ლაშქარი ნახიჭევანისაკენ გაემართა, ხოლო შემდგომ კი — ერევნისაკენ. ოსმალებმა უბრძოლველად დატოვეს ნახიჭევანი და ერევნის ციხეს შეაფარეს თავი. ამგვარადვე იქნა აღებული ქ. ჯულფა. 16 ნოემბერს ირანელთა ლაშქარი ერევანს მიადგა და ალყა შემოარტყა მას. ერევანი ოსმალებს საგანგებოდ გაემაგრებინათ და შაჰ-აბასმა იგი ერთი დარტყმით ვერ აიღო, ალყა 9 თვესა და 16 დღეს გაგრძელდა. ციხის ასაღებად საჭირო იყო სამი გამაგრებული ხაზის დაძლევა, რომელსაც ზარბაზნებით იცავდნენ. ოსმალთა წინააღმდეგობის დასაძლევად შაჰ-აბასმა ბრძანა, რამდენიმე ზარბაზანი თავრიზიდან მოეტანათ, ხულა თოფჩიბაშს დაევალა ახალი ქვემეხების ჩამოსხმა. ზარბაზნების ძლიერი ცეცხლის შედეგად აღებულ იქნა ერთ-ერთი ციხეთაგანი, მაგრამ ზამთრის მოახლოვებამ ხელი შეუშალა ერევნის ციხის აღებას.

განახლებულ ომში შაჰ-აბასმა მოუწოდა ქართლისა და კახეთის მეფეებს მიეღოთ მასში მონაწილეობა. ოსმალების მიერ სიმონ მე-

[3] Mufassal Osmanli Tarihi, c. III, s. 1752—56; J. H a m m e r, v. VIII, p. 38; Iskender Mounchi, pp. 462—463.

ფის დატყვევების შემდეგ ქართველები უფრო ფრთხილად მოქმედებდნენ. „ქართლის მეფეს გიორგი სიმონის ძეს და ალექსანდრე კახთა მეფეს ყოყმანი შეექმნათ. მართლაც და ძნელი არჩევანი იყო: არავინ იცოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა[4] — ოსმალეთი თუ ირანი. მაგრამ მალე ისინი იძულებული გახდნენ თავიანთი ლაშქრითურთ შაჰ-აბასს ხლებოდნენ.

გიორგი X ქართლის მეფე და ალექსანდრე კახთა მეფე თავიანთი ლაშქრითურთ ერევნის მახლობლად შაჰ-აბასის ბანაკში გამოცხადნენ. შაჰს მეტად ესიამოვნა მათი მოსვლა[5].

ერევნის ციხის აღება შაჰ-აბასს მეტად გაუძნელდა. შაჰმა გადაწყვიტა ერევნის ციხეში გამაგრებულ ოსმალთა წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობა გამოეყენებინა. ციხის პირდაპირი იერიშით აღება შეუძლებელი იყო, საჭირო იყო ციხის კედლების გარღვევა და ამისათვის ცოცხალი ძალის გამოყენება. შაჰ-აბასმა აიძულა ადგილობრივი მოსახლეობა ირანელთა ლაშქარს წინ გაძღოლოდა და პირველი შეტევა ციხის წინააღმდეგ მას მიეტანა. მას გზა უნდა გაეკაფა ყიზილბაშთა ლაშქრისათვის. ციხე-სიმაგრეში მყოფი ოსმალების ცეცხლი სომხურ მოსახლეობას დაატყდა თავს. ამავე დროს ადგილობრივ მოსახლეობას დაევალა სანგრებისა და თხრილების ამოთხრა. ყოველივე ამის შედეგად სომხური მოსახლეობა დიდად დაზარალდა[6]. ამასობაში დამზადებულ იქნა დიდი ყალიბის ზარბაზნები, რამაც მნიშვნელოვნად გაადვილა ციხის აღება. ცხარე ბრძოლების შედეგად 1604 წლის 8 ივნისს ერევნის ციხე-სიმაგრე დაეცა. ერევანში მყოფი ოსმალთა გარნიზონის ნაწილი, შერიფ ფაშას მეთაურობით, შაჰის ჯარებს დანებდა, ხოლო მეორე ნაწილს, მეჰმედ ფაშას მეთაურობით, უფლება მიეცა ოსმალეთში წასულიყო; შაჰ-აბასმა ერევნის გამგებლად ამირგუნე ხანი დანიშნა[7].

შაჰ-აბასმა ერევნის ციხის აღების შემდეგ ქართველი მეფეები „უხვად" დააჯილდოვა. მათ ყოველწლიური ჯამაგირი დაუნიშნა და ირანში სოფლები აჩუქა. სამაგიეროდ შაჰმა ალექსანდრეს კაკ-ენისელის მხარე, ხოლო გიორგის ლორე-დებედას ხეობა გამოსთხოვა. ლორეს მხარისაგან მან მუსლიმანური სასულთნო შექმნა. დებედას

---

[4] საქართველოს ისტორია, წ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1946, გვ. 328.

[5] ისქანდერ მუნში, გვ. 41—44; Iskender Mounchi, pp. 462, 463; J. Hammer, v. VIII, p. 47.

[6] История армянского народа, стр. 219.

[7] Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1723—1733; J. Hammer, v. VIII, p. 48.

ხეობაში კი თურქმანული ტომი — „ბორჩალუ“ ჩამოასახლა და აღჯაყალასი ირანელ ციხისთავს დაუმორჩილა. ამ ღონისძიებით შაჰ აბასმა ორი საქმე გააკეთა: „1. ქართლში შემოსასვლელი ბუნებრივი სიმაგრის კარი შემოარღვია და 2. ყიზილბაშური ტომების აქ დასახლებით პლაცდარმი შექმნა საქართველოს წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლისათვის. ამავე ხასიათისა იყო კახეთის მიმართ შაჰ-აბასის განზრახვანიც“[8].

ოსმალთა ხელში რჩებოდა ყარაბახი და შირვანი და ისეთი დიდი ქალაქები როგორიც იყო განჯა, შემახა, ბაქო და დერბენდი. შაჰ-აბასმა ვერ გაბედა დაეწყო პირდაპირი შეტევა მათ დასაპყრობად, რადგან მისთვის ცნობილი იყო, რომ მოუხდებოდა ბრძოლა ოსმალთა ძირითად სამხედრო ძალებთან, რომლებიც ბრძოლაში ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩაბმული.

მალე შაჰ-აბასმა მიიღო ცნობა ოსმალთა ლაშქრის მოახლოვების შესახებ ჯიღალ ოღლუ სინან ფაშას სარდლობით. შაჰ-აბასმა გადაწყვიტა არ შეეშალა ხელი სინან ფაშასთვის შესულიყო კავკასიის სიღრმეში. გადაწყდა მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირი გაემაგრებინათ და აქ გაეწიათ წინააღმდეგობა ოსმალთა ლაშქრისათვის. შაჰ-აბასმა გადაწყვიტა ამ ბრძოლაში მიემართა თავისი წინაპრების ტრადიციული მეთოდისათვის: გადაბუგული მიწის ტაქტიკისათვის — მთლიანად გაეუკაცრიელებინა მდ. არაქსის მარცხენა ნაპირზე მდებარე რაიონი, გადაესახლებინა მთელი მოსახლეობა — აზერბაიჯანელები და სომხები. შაჰის მეომრებს უნდა წაეღოთ მთელი სურსათ-სანოვაგე და ფურაჟი, რის წაღებასაც ვერ შეძლებდნენ, უნდა გაენადგურებინათ.

წინასწარ გაიგზავნა ჯარის ნაწილები ყარსის ოლქსა და მის მახლობელ რაიონებში იმ მიზნით, რომ გაენადგურებინათ ოსმალეთის ლაშქრის მსვლელობის გზაზე ყველა დასახლებული პუნქტი და სურსათ-სანოვაგე.

შაჰის ლაშქარმა დაიწყო ერევნის, ნახიჭევანისა და ჯულფის მოსახლეობის გადასახლება. ამ აყრა-გადასახლების დროს სომხებმა და აზერბაიჯანელებმა არნახული ტანჯვა-წამება და მატერიალური ზარალი განიცადეს[9].

---

[8] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, გვ. 261.

[9] დაწვრილებით იხ. Тер-Аветисян, Город Джуга, Материалы по истории торговых сношений Джульфинских купцов XV—XVII вв., Тб., 1937; Antonio de-Gouvea, op. cit., pp. 256—259; Collection d'historiens Armenies, v. 1, pp. 296—303.

შაჰმა, თავისი წინაპრების მსგავსად, მთელი აღმოსავლეთ სომხეთის სოფლები და ქალაქები უდაბურად აქცია. ამით მას სურდა გაეუკაცრიელებინა ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული ვრცელი ტერიტორია, რათა ოსმალეთს საშუალება არ ჰქონოდა გამოეყენებინა ამ ქვეყნის სურსათ-სანოვაგე თავისი ლაშქრის მოსამარაგებლად. „თურქეთისაგან მოსალოდნელი შემოსევების დროს შესაძლებელი იყო აღმოსავლეთ სომხეთი ოსმალეთს კვლავ დაეკავებინა, შაჰი „წინდახედულობას იჩენდა“, სოფლებსა და ქალაქებს წვავდა, მოსავალს ანადგურებდა და მოსახლეობას მასობრივად ატყვევებდა, შიდა ირანში ერეკებოდა.

შაჰს სხვა მიზანიც ჰქონდა. სომეხი გლეხები ინტენსიურ მეურნეობას მისდევდნენ. შიდა ირანში მათი დასახლება ხელს შეუწყობდა ირანის მეურნეობის აყვავებას, კარგ მაგალითს მისცემდა სპარსელ გლეხებს. შაჰს სხვა მიზანიც ჰქონდა — სომეხი ვაჭრები განთქმული სოვდაგრები იყვნენ. ესენი ამიერიდან შაჰის ხელის შემყურენი ხდებოდნენ და შაჰის ხაზინას გაამდიდრებდნენ. ამიერიდან ჯულფის სომეხი ვაჭრები ისფაჰანში უნდა დაესახლებინათ“[10].

გადასახლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო: 350000 ადგილობრივი მკვიდრი გადასახლებულ იქნა ირანში[11].

ერევნის აღების შემდეგ შაჰმა გიორგი ქართლის მეფე ლაშქრით საქართველოში დააბრუნა და თბილისის ოსმალთა გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. ალექსანდრე კახთა მეფე კი, როგორც არასანდო პიროვნება, თავისთან დატოვა და ირანში იახლა.

შაჰ-აბასი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის განვითარებას. 1604 წელს კახეთში ჩამოვიდა რუსეთის ელჩობა, რომელიც ტახტის მემკვიდრესთან, გიორგი ბატონიშვილთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. რუსეთის ელჩები გიორგი ბატონიშვილისაგან კვლავ მოითხოვდნენ რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცის მიღებას. ამას გარდა, მათ დავალებული ჰქონდათ ხელმწიფე ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის საცოლე, ხოლო ქალისათვის — საქმრო შეერჩიათ. ამ მიზნით თეიმურაზ ბატონიშვილის რუსეთში წაყვანა სურდათ.

---

[10] И. Гі. Петрушевский, указ. соч., стр. 341; ვ. გაბაშვილი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, გვ. 181; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 262.

[11] A. Gouvea, op. cit., p. 503; Тер-Аветисян, указ. соч., стр. 48.

1605 წლის 1 იანვარს, რუსი ელჩების მოთხოვნით, გიორგი ბატონიშვილმა რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო[12].

ყოველივე ეს შაჰისათვის კარგად იყო ცნობილი. შაჰის თვალსაზრისით, ალექსანდრე მეფე, რომელიც შაჰის ერთგული უნდა ყოფილიყო, აშკარად ღალატობდა ირანს და რუსეთი მოჰყავდა საქართველოში.

ამავე დროს 1605 წლის იანვარში რუსთა ლაშქარი საშამხლოს შეესია, ტარკი აიღო და ყუმუხები დაამარცხა. რუსეთის აქტიური გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე მიმართული იყო როგორც ოსმალეთის, ისე ირანის წინააღმდეგ. „ერან-ოსმალეთის ომისას რუსეთის ეს აქტიური გამოსვლა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამიერიდან ამიერკავკასიის ასპარეზზე ორი კი არა, სამი დიდი ძალა ეჭიშპებოდა ერთიმეორეს. ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთათვის რუსეთი ამიერიდან მართლაც „უფრო ახლო იყო“, ვიდრე სტამბოლი ან ყაზვინი...“[13].

ამ დროიდან ამიერკავკასიის ხალხები რუსეთის დახმარებით კიდევ უფრო აძლიერებენ ბრძოლას ოსმალეთისა თუ ირანის წინააღმდეგ.

შაჰ-აბასმა გადაწყვიტა შური ეძია ალექსანდრე კახთა მეფეზე. მისი ხელშეწყობით 1605 წელს კახთა მეფე ალექსანდრე მისმა შვილმა კონსტანტინემ მოკლა. მაგრამ კახელებმა მამის მკვლელი და გამაჰმადიანებული კონსტანტინე კახეთის მეფედ არ ისურვეს, აჯანყდნენ და კონსტანტინე მოკლეს. 1606 წელს შაჰ-აბასი იძულებული შეიქნა კახეთში ქრისტიანი თეიმურაზი გაემეფებინა[14].

ამასობაში ოსმალეთის ლაშქარი ჯიღალ ოღლუ სინან ფაშას სარდლობით ერევნისა და ნახიჭევანის მხარეში შეიჭრა, სადაც მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირანელების მიერ წინასწარ ამ მხარის დაცარიელება-გაუკაცრიელება მეტისმეტად საგრძნობი იყო, სუსხიანი ზამთარიც კარზე იყო მომდგარი. ყოველივე ამან გამოიწვია ოსმალეთის ლაშქარში არევ-დარევა და სინან ფაშა იძულებული შეიქნა ზამთრის გასატარებლად ვანში დაბრუნებულიყო.

ამ დროს ოსმალთაგან გაათავისუფლეს შირვანის დიდი ნაწილი. ეს ოპერაცია ჩაატარა ირანელთა და ქართველთა ლაშქარმა, რომელსაც კონსტანტინე მირზა სარდლობდა. ქართველებისა და ირანელების ლაშქარმა ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრე ყაბალას. შირვანის გამგე-

---

[12] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 120.
[13] იქვე, გვ. 120, 121.
[14] იქვე, გვ. 149.

ბელმა მაჰმუდ ფაშამ (ჯიღალ ოღლუს შვილმა) სცადა დახმარება აღმოეჩინა ალყაშემორტყმული გარნიზონისათვის. მდ. ახუსთან ბრძოლის დროს ოსმალები დამარცხდნენ. მაჰმუდ ფაშამ თავი შემახას შეაფარა. ციხე-სიმაგრე ყაბალა და აგრეთვე შირვანის სხვა ციხეები შაჰის ლაშქრის ხელთ გადავიდა. მაგრამ ოსმალთა ხელთ რჩებოდა ქალაქები შემახა, ბაქო და დერბენდი[15].

შაჰ-აბასმა დაიწყო მზადება ჯიღალ ოღლუს შეტევის შესაჩერებლად, რომელიც ამ დროს ვანში იმყოფებოდა. ოსმალთა ლაშქრის მოსალოდნელი შეტევის შემთხვევაში შაჰმა საგრძნობლად გაამაგრა ქ. თავრიზი. ამის შემდეგ ვანის მხარეში ოსმალთა წინააღმდეგ შაჰმა 30.000 ლაშქარი გაგზავნა ალავერდი ხანის (უნდილაძე) მეთაურობით. ოსმალები ირანელთა შეტევას მოუმზადებელი შეხვდნენ და სასტიკად დამარცხდნენ. ჯიღალ ოღლუმ გაქცევით უშველა თავს (1605 წ.).

ამ დამარცხების შემდეგ ჯიღალ ოღლუმ კვლავ შეკრიბა ლაშქარი და ირანელების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. ოსმალეთის ლაშქარი ურმიის ტბის ჩრდილოეთისაკენ გაემართა. შაჰის ჯარებმა დაიხიეს მარდანისა და სუფიანის მიმართულებით. გადამწყვეტი ბრძოლა სუფიანთან მოხდა. ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. ჯიღალ ოღლუმ კვლავ გაქცევით უშველა თავს (1605 წ. 7 ნოემბერი). ირანელებმა მდიდარი ნადავლი იგდეს ხელთ[16].

ამ გამარჯვების შემდეგ შაჰის ლაშქარი შეტევაზე გადავიდა, ყარაბაღში შეიჭრა და ალყა შემოარტყა განჯას.

ამ დროს უეცრად გარდაიცვალა გიორგი X, ქართლის მეფე[17]. ქართველებმა შაჰ-აბასთან მოციქულები გაგზავნეს, გიორგის გარდაცვალება აცნობეს და სთხოვეს გიორგის შვილი 14 წლის ლუარსაბი მეფედ დაემტკიცებინა. შაჰმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა. შაჰთან ჩასულ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისას გამოაყოლეს მოჰამედ ბეგ ბიქდელი შამლუ, რომლის ხელით ლუარსაბს და მის დედას ქართლის დედოფალს თამარს — წყალობის სიგელი ეგზავნებოდა. ლუარსაბს კი, მეფედ დამტკიცების ნიშნად, ხალათი ებოძა[18].

განჯის ალყა 4 თვეს გაგრძელდა. ამასობაში შაჰის ჯარებს შეუერთდა ყარსიდან მოსული ალავერდი ხანის ლაშქარი. 1606 წლის 5 ივლისს ირანელებმა განჯა აიღეს.

---

[15] Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1721—39.

[16] იქვე.

[17] ტრაქელ თავრიზელის ცნობით, შაჰ-აბასმა გიორგი მეფეს ხანგრძლივი მოქმედების საწამლავი შეაპარა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა. (Collection d'historiens Armeniens, v. I, p. 317).

[18] Iskender Mounchi, p. 470, ისქანდერ მუნში, გვ. 64—66.

ამის შემდეგ შაჰ-აბასი თბილისისაკენ გამოემართა. თვითონ ალგეთზე დადგა. ლაშქრის ერთი ნაწილი კი, ალი ყული ხანის მეთაურობით, თბილისის ციხის ასაღებად გამოგზავნა. თბილისში მყოფი ოსმალთა გარნიზონი უბრძოლველად დანებდა ირანელებს. ალი ყული ხანმა ციხეში ყიზილბაშები ჩააყენა და თვითონ შაჰ-აბასთან დაბრუნდა, ალგეთზე. ამის შემდეგ შაჰ-აბასიც მოვიდა თბილისში. თბილისის ციხისთავად მან დელუ მოჰამედი (მოჰამედ სულთან შამსედდინლუ) დანიშნა. შაჰ-აბასი, ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ, შემახიისაკენ გაემართა[19].

თბილისიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ, ქართლში, ფაქტიურად, დამთავრდა ე. წ. „პირველი ოსმალობა“ (1578—1606 წ.წ.), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. მართალია, შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეები დაამტკიცა და ქართლის ციხეებიდან ოსმალები განდევნა, მაგრამ ქვეყანას თავისუფლება მაინც არ მოუპოვებია. ქართლის ციხეებში ოსმალების ნაცვლად ახლა ყიზილბაშები ჩადგნენ.

როგორც დავინახეთ, ოსმალეთი ირანთან ომში მარცხდებოდა. ამავე დროს იგი ევროპაში ავსტრიას ეომებოდა. საკუთრივ ოსმალეთში კი კვლავ გლეხთა აჯანყებანი გრძელდებოდა. ასეთ ვითარებაში სულთან აჰმედ I (1603—1617) გადაწყვიტა ირანს დაზავებოდა და შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაეგზავნა ტყვეობაში მყოფი სიმონ ქართლის მეფე.

ვიდრე შევეხებოდეთ ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკებას, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ოსმალთა ტყვეობაში მყოფი სიმონ მეფის საქმიანობაზე და ტყვეობიდან მისი გათავისუფლების ცდებზე.

სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ ქართველებმა ენერგიული ზომები მიიღეს მის დასახსნელად. „ქართველთ დაუწყეს ხონთქარს ხვეწნა და მეფის სვიმონის გამოშვებას ეაჯნეს. მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტი და (sic) გაუგზავნეს და გიორგი მეფის შვილი დავით მძევლად მიჰგვარეს, რომ სვიმონ წამოიყვანონ“[20].

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის ცნობა მოიპოვება „პარიზის ქრონიკაში“: „მოციქულობა დაუწყეს ხონთქარსა და ქრთამი გამოუგზავნეს და მძევლად გიორგის მეფის შვილი დავით სიმონ მეფის

---

[19] Iskender Mounchi, p. 470, ისქანდერ მუნში, გვ. 570, 471.

[20] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 16.

გამოშვებისათვის გაუგზავნეს, სიმონ მეფე ედი კულეში მოკლეს და ბატონის შვილი დავით დაიკარგა"[21].

აი ყოველივე ის, რაც ქართულ წყაროებშია შემონახული გიორგი X ძე დავით ბატონიშვილზე.

საქართველოს ისტორიის მკვლევარები არ იხსენიებენ დავით ბატონიშვილს. კიდევ უფრო მეტი, საქართველოს მეფეებისა და სამეფო გვარის გენეალოგიაში, შედგენილ მარი ბროსეს მიერ, ქართლის მეფის გიორგი X შვილებს შორის არ არის დასახელებული დავით ბატონიშვილი[22].

დავით ბატონიშვილზე ახალსა და მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 1605—1610 წწ. კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი ჟან დე გონტო ბირონ ბარონ დე სალინიაკი.

მისი ცნობები დავით ბატონიშვილზე მოთავსებულია 1609 წ. 2 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში სათაურით: „თურქების მიერ საქართველოს ახალგაზრდა უფლისწულის დატყვევება — ამ უფლისწულის მედგარი პროტესტი".

სალინიაკი საფრანგეთის მეფეს ატყობინებდა: რამდენიმე წლის წინათ გიორგი მეფემ უფროსი შვილი დავითი კონსტანტინოპოლში გამოგზავნა თავისი მამის (სიმონის) ტყვეობიდან გათავისუფლების მიზნით. საფრანგეთის ელჩი ქართველ ბატონიშვილს შემდეგნაირად ახასიათებს: „ეს ახალგაზრდა ვაჟი ჯერ კიდევ არაა 14 წლის, მაგრამ მეტად ჭკვიანი და კეთილი ბუნებისაა.." დავით ბატონიშვილი რამდენჯერმე ყოფილა მიპატიჟებული სადილად საფრანგეთის ელჩთან და სხვა[23]. ამ დავითის დაა გულჩარა.

შაჰ-აბასის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, ოსმალების მიერ სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ, სტამბოლში გაგზავნეს „ქართველი ქალი სახელად გულჩარა, რომელიც მისი უდიდებულესობა შაჰის (შაჰ თამაზ I — მ. ს.) კარზე იმყოფებოდა და ოჯახის (დინასტიის) ნათესავთაგან იყო და მომხდარი ამბების (სიმონ მეფის ტყვეობიდან გათავისუფლების — მ. ს.) შემდეგ სიმონ მეფესთან ერთად

---

[21] პ ა რ ი ზ ი ს ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოჲსა, რედ. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, თბ., 1903, გვ. 22. სხვა ქართულ წყაროებში (ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების ე. წ. მესამე ტექსტი), თითქმის იგივე შინაარსის ცნობები მოიპოვება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათში არაა მოხსენებული გიორგი X-ძე დავით ბატონიშვილის სტამბოლში გაგზავნის ფაქტი.

[22] M. B r o s s e t, Histoire de la Georgie, 11, I liv., p. 626.

[23] Gonteaut Biron, L'Ambassade en Turquie... v. 11, p. 320. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ერთი ფურცელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან „ცისკარი", 1967, 3, გვ. 140—142.

საქართველოში დაბრუნდა და როდესაც სიმონ მეფე, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, ოსმალთა ტყვე გახდა და იგი სტამბოლში წაიყვანეს, იმ გვარის (დინასტიის) მანდილოსნებმა ზემოხსენებული ქალბატონი სტამბოლში გაგზავნეს, რათა მას მომსახურეობა და ზრუნვა აღმოეჩინა. გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის პატივცემულ დედას, რომელსაც იმ ოჯახში დიდი გავლენა ჰქონდა, და მოხერხებული ქცევით და წესიერი სამსახურით მისი ნდობა მოიპოვა და რამდენიმე ხანს სტამბოლში დაჰყო"[24].

ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ისქანდერ მუნშიც იოანში მყოფ სიმონ მეფის ნათესავთა შორის ასახელებს გულჩარას, რომელიც, როგორც ჩანს, მეტად დაახლოვებული ყოფილა სიმონ მეფესთან.

საყურადღებო ცნობას გვაწვდის აგრეთვე შაჰ-აბას I კარზე მყოფი პორტუგალიის ელჩი ანტონიო გოვეა. მისი გადმოცემით, სტამბოლში ჩავიდა ქართველი ქალი გულჩარა (გულკარა) და სულთნის დედის ნდობა დაიმსახურა. ანტონიო გოვეა გულჩარას შეცდომით სიმონ მეფის მეუღლედ თვლის[25]. როგორც ქართული წყაროებიდანაა ცნობილი, სიმონს ცოლად ჰყავდა ლევან კახთა მეფის ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი.

ბ. გიორგაძე, რომელიც ეყრდნობა ა. გოვეას ამ ცნობას, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გულჩარა სიმონ მეფის ხასა უნდა ყოფილიყო[26].

ვ. გაბაშვილის აზრით, გულჩარა „სიმონის მახლობელი ქართველი მანდილოსანი ქალი იყო"[27].

შევეცადოთ დავადგინოთ, ვინ იყო ეს ქართველი ქალი, რომელიც ესოდენ ენერგიულად იბრძოდა სიმონ მეფის გათავისუფლებისა და ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის.

გულჩარას ვინაობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიურ და რუსულ წყაროებში დაცულ ცნობებს.

1603 წელს კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩის ავგუსტინო ნანის ცნობით, სიმონ მეფემ, ტყვეობიდან გათავისუფლების მიზნით, თავისი ულამაზესი შვილიშვილი ჰარამხანაში მისცა და კიდევ მეორე შვილიშვილი, მაგრამ მის ამ ცდას არ ჰქონდა წარმატება[28].

---

[24] ისქანდერ ბეგ თურქმანი, „თარიხ-ი ალემ არა-ი აბასი," ტ. I. გვ. 720.

[25] A. Gouvea, op. cit., p. 313.

[26] ბ. გიორგაძე, უცხოელი მწერალი საქართველოს შესახებ, „ახალგაზრდა კომუნისტი", 1953, 11—18. IV.

[27] ვ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღები" გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი", 1953, ტ. III, გვ. 151.

[28] Baozzi e Berchet, Relazioni... v. 1, part., 1, p. 33.

აქედან ირკვევა, რომ გიორგი X სიმონ მეფის დასახსნელად სტამბოლში გაგზავნა არა მარტო თავისი შვილი დავითი, როგორც ეს ქართული წყაროებითაა ცნობილი, არამედ თავისი უმშვენიერესი ქალიშვილიც.

სტამბოლში გიორგი მეფის შვილების (დაეითისა და მისი დის) ყოფნა დასტურდება აგრეთვე რუსული დიპლომატიური საბუთებიდანაც. ასე, მაგალითად, გიორგი X რუსეთის ელჩს ერთ-ერთი საუბრის დროს განუცხადა: «...за веру христьянскую дед мой и отец стояли против Турских и Кизылбашских людей и голову свою отец мой за то дал, — и ныне в полону у Турского с ними дети мои...» (ხაზი ჩვენია — მ. ს.)[29].

გიორგი X შვილებში უნდა ვიგულისხმოთ დავითი და მისი და, რომლის სახელი ჩვენთვის უცნობია. სტამბოლში ჩასულ უფლისწულ დავითზე, როგორც უკვე მივუთითეთ, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი. დავითის დის საქმიანობის შესახებ კი წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, სტამბოლში ჩასული გულჩარა გიორგი X ქალიშვილი უნდა იყოს.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ერთ-ერთი იტალიური წყაროს მიხედვით, სიმონ მეფის შვილიშვილი, რომელმაც უარი თქვა გათურქებაზე, სულთნის წერილითა და ჩაუშის უმაღლესი ტიტულით ირანში გაიგზავნა[30]. ანტონიო გოვეასა და ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულებებიდან კი ირკვევა, რომ ამგვარი დიპლომატიური დავალებით სულთანმა ირანში შაჰ-აბასთან გულჩარა გაგზავნა. ამგვარად, გულჩარა და სიმონის შვილიშვილი ერთი და იგივე პიროვნება ჩანს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისქანდერ მუნშის გადმოცემით, გულჩარა სიმონ მეფის ნათესავია, მაშინ ეს მოსაზრება კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება.

საქართველოდან სიმონ მეფის გათავისუფლების მიზნით დელეგაციის გამგზავრება ოსმალეთში 1600—1603 წლებში (ე. ი. სიმონ მეფის სტამბოლში ჩაყვანიდან ირან-ოსმალეთის ომის დაწყებამდე) უნდა მომხდარიყო. ამ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს თურქულ წყაროებში დაცული ცნობა: 1011 წელს ჰიჯ. (1602/3 წელი) სტამ-

---

[29] С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом в 1578—1613 гг., стр. 498.

[30] J. Hammer, v. VIII, p. 59.

ბოლში ჩაიტანეს ალექსანდრე კახთა მეფისა და სიმონ მეფის შვილის გიორგის ხარაჯა და ფეშქაში[31].

თურქულ წყაროში ნახსენები ფეშქაში, ვფიქრობთ, სიმონ მეფის გასათავისუფლებლად სულთნისათვის მისართმევი საჩუქარი უნდა ყოფილიყო.

ირან-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ სიმონ მეფის ტყეეობიდან გათავისუფლება შეუძლებელი გახდა, რადგან ამ ომში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანელებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას.

მიუხედავად ამისა, სტამბოლში ჩასული ქართველები იმედს არ კარგავდნენ და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ სიმონ მეფის დახსნას.

ევროპული წყაროების მიხედვით, დავით ბატონიშვილი სტამბოლში შეხვდა საფრანგეთისა[32] და ვენეციის რესპუბლიკის ელჩებს[33]. საფიქრებელია, დავითი მათ თხოვდა დახმარებას სიმონ მეფის გათავისუფლების საქმეში, აგრეთვე ის, რომ ქართველები შეეცდებოდნენ დაკავშირებოდნენ სტამბოლში მყოფ ევროპის სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც და მათაც თხოვდნენ დახმარებას.

როგორც ჩანს, ქართველებმა მათგან სასურველი დახმარება ვერ მიიღეს. ეს აიხსნება იმით, რომ ამ დროს ევროპის სახელმწიფოები დაინტერესებული იყვნენ ოსმალეთთან კარგი ურთიერთობით და თავიანთი სავაჭრო-ეკონომიური პოზიციის განმტკიცებით. ამავე დროს, ევროპის სახელმწიფოებს ხელს აძლევდა ირან-ოსმალეთის ომის გაჭიანურება, რადგან ამით დასუსტდებოდა ოსმალეთიცა და ირანიც, ასევე შესუსტდებოდა ოსმალეთის ექსპანსია ევროპის ქვეყნების მიმართ.

სიმონ მეფის გასათავისუფლებლად საჭირო იყო სხვა გზების ძებნა.

1603 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა სულთან მეჰმედ III და ტახტზე ავიდა 14 წლის აჰმედ I (1603—1617 წ.წ.) ამ დროს მთელ სახელმწიფო საქმეებს ფაქტიურად სულთნის დედა განაგებდა[34].

---

[31] I. H. Uzunçarşılı. Osmanlı Tarihi, c. III, kism. 2, s. 100.

[32] Gonteaut Biron, L'Ambassade... v. II, p. 320, 321. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ერთი ფურცელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 140.

[33] J. H a m m e r, v. VIII, p. 149.

[34] საინტერესოა აღინიშნოს, რომ აჰმედ I ტახტზე ასვლიდან ორი კვირის შემდეგ სასახლის კარზე დაწინაურდა გურჯი (ქართველი) მეჰმედ ფაშა და იგი სასახლის აღად დანიშნეს. შესაძლებელია მეჰმედ ფაშამ გარკვეული დახმარება აღმოუჩინა სტამბოლში ჩასულ ქართველებს თავიანთი მიზნის განხორციელებაში. იხ. გვ. 265, სქ. 98.

ასეთ ვითარებაში გულჩარამ სცადა თავისი გეგმის განხორციელება. იგი დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა.

ირანთან ომში ოსმალეთი ზედიზედ მარცხდებოდა. ამავე დროს იგი ევროპაში ავსტრიის იმპერიას ეომებოდა. საკუთრივ ოსმალეთში კი კვლავ გლეხთა აჯანყებები გრძელდებოდა.

ოსმალეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ირანთან დაზავების შედეგად. სულთანმა და მისმა დედამ შაჰ-აბასთან მოლაპარაკება ტყვეობაში მყოფ ქართველ მეფეს სთხოვეს. შესაძლებელია, ეს იდეა, სიმონ მეფის მითითებით, თვით გულჩარამ შესთავაზა მათ. პორტუგალიის ელჩის ანტონიო გოვეას ცნობით, სიმონ მეფე გაათავისუფლეს და იგი გულჩარასთან ერთად შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა[35].

სულთნისა და მისი დედის ასეთი პოზიცია სავსებით გასაგებია: „ამ დროს მათთვის საჭიროა სიმონისთანა გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ირანში თავის დროზე პატივისცემით იყო მიღებული და რომელსაც ირანულ პოლიტიკურ წრეებში გარკვეული წონა ჰქონდა"[36].

სიმონ მეფის შუამავლობას იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ ომში „გურჯისტანის საკითხი" კვლავ ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო და მისი გადაწყვეტა ბევრად გაადვილებდა მოწინააღმდეგე მხარეების დაზავებას. ამასთანავე, ამ ომში გორგი X სიმონის ძე — ქართლის მეფე შაჰ-აბასის მოკავშირე იყო და შესაძლებელია მას გარკვეული ზეგავლენა მოეხდინა შაჰზე. დაბოლოს, სიმონ მეფესა და შაჰ-აბასს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა, რაც ალბათ, ერთგვარად გაადვილებდა სიმონის მისიას.

თავის მხრივ, სიმონ მეფე დაინტერესებული იყო ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადებით: ამით შეწყდებოდა ირან-ოსმალეთის სისხლისმღვრელი ომი, რომლის ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები და, კერძოდ, საქართველო იყო.

ერთი სიტყვით, შაჰ-აბასის ყოფილ მოკავშირეს, ამჟამად ოსმალეთის ტყვეს, სიმონ მეფეს შაჰისათვის ოსმალეთთან ზავის დადება

---

[35] A. Gouvea, op. cit., p. 313.

[36] ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI ს-ის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, 1953, გვ. 58; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1943, გვ. 265.

უნდა ეთხოვა და ამ რთული დავალების შესრულებაში მას გულჩარა დახმარებოდა.

სულთანი ფრთხილად მოქმედებდა და სიმონ მეფის გათავისუფლების პირობად ირანთან ზავის დადებას მოითხოვდა.

სიმონ მეფე და გულჩარა კონსტანტინოპოლიდან ექვსი თუ შვიდი დღის გამგზავრებულები იყვნენ, როცა სულთანმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა, გოვეას სიტყვით, მან სიმონ მეფე უკან დააბრუნა და შაჰ-აბასთან მხოლოდ მისი მეუღლე (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. გოვეა შეცდომით გულჩარას სიმონ მეფის მეუღლედ სთვლის — მ. ს.) გაგზავნა[37].

ამგვარად, ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება მთლიანად გულჩარას დაევალა.

რა იყო მიზეზი, რისთვის შესცვალა სულთანმა თავისი გადაწყვეტილება? ა. გოვეას აზრით, ამის მიზეზი იყო არა მარტო სულთნის შიში, რომ სიმონ მეფე არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა უკან, არამედ ისიც, რომ იგი შაჰს გააცნობდა თურქეთის იმპერიის ნამდვილ მდგომარეობას, იმ უმწეობასა და არეულობას, რაც კონსტანტინოპოლში სუფევდა. ამავე დროს, გულჩარა უფრო მეტი ენერგიითა და თავგამოდებით შეეცდებოდა ირანთან ზავის დადებას და ამ გზით შეძლებდა ტყვეობაში მყოფი სიმონის გათავისუფლებას[38].

ამ ცნობიდან ჩანს, რომ სულთნისათვის მეტად საშიში იყო ირანთან ზავის დადებამდე სიმონ მეფის გათავისუფლება, რადგანაც ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ სიმონი არ იქნებოდა დაინტერესებული ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებით.

გულჩარა მთელი ენერგიითა და მონდომებით შეუდგა ძნელი დიპლომატიური მისიის შესრულებას. უეჭველია, იგი გამოიყენებდა სიმონ მეფის ავტორიტეტს ირანის შაჰის კარზე. თუ როგორ გაართვა მან თავი ამ რთულ ამოცანას, მოთხრობილია აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში, სადაც აისახა ნიჭიერი, ენერგიული, დარბაისელი დიპლომატი ქალის როლი ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადების საქმეში.

1606 წლის ზაფხულზე გულჩარა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დერვიშ ფაშამ მას თან გააყოლა თურქი ჩაუში მურად აღა.

---

[37] A. Gouvea, op. cit., p. 313.

[38] იქვე.

შაჰ-აბასმა დიდი პატივით მიიღო გულჩარა (შაჰი ამ დროს სევანის ტბის მიდამოებში იმყოფებოდა) და მასთან გამართულ მოლაპარაკებაში ომის შეწყვეტის პირობად 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის აღდგენა მოითხოვა[39].

შაჰ-აბასი დათმობაზე არ მიდიოდა და 1555 წლის ზავის პირობებში რაიმე ცვლილებების შეტანას მიუღებლად თვლიდა. თავის მხრივ, არც ოსმალეთის მთავრობა აპირებდა მიღწეულის დათმობას და 1590 წლის ზავის შემდეგ 1555 წლის ზავის პირობების აღდგენას. ამ მოლაპარაკებას შედეგი არ გამოუღია, მაგრამ იგი ამით არ შეწყვეტილა. იმდროინდელი წყაროებიდან ჩანს, რომ გულჩარა რამდენჯერმე გაემგზავრა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად.

ირანთან საზავო მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ, სულთანმა გადაწყვიტა ავსტრიას დაზავებოდა და შემდგომ მთელი ძალები ირანის წინააღმდეგ მიემართა.

1606 წლის 11 ნოემბერს სიტვატორაკში (უნგრეთი) ოსმალეთსა და ავსტრიას შორის ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულებით არც ოსმალეთსა და არც ავსტრიას არავითარი ტერიტორიალური გაფართოება არ მიუღია. სულთანმა უარი თქვა ავსტრიისაგან ყოველწლიური ხარკის (30 ათასი დუკატის ოდენობის) აღებაზე. სამაგიეროდ, ავსტრიას ოსმალეთის სასარგებლოდ ერთდროულად უნდა გადაეხადა 200 000 დუკატი. ორივე მხარე აღიარებულ იქნა თანასწორუფლებიანად. პირველად ხელშეკრულებაში ავსტრიის კეისარი მოხსენიებულ იქნა იმპერატორად და არა „ვენის მთავრად". ამ ხელშეკრულებაში აისახა ოსმალეთის საგარეო-პოლიტიკური ძლიერების დასუსტება[40].

1607 წლის დამდეგიდან შაჰ-აბასმა ახალი ძალით შეუტია ოსმალებს.

1607 წლის 9 იანვარს შაჰის ლაშქარმა ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრე შემახას. ალყა რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

სწორედ ამ დროს ქ. ბაქოს მოსახლეობა აჯანყდა ოსმალების წინააღმდეგ. ოსმალთა მმართველი მოკლულ იქნა, როდესაც ამის შესახებ შაჰმა შეიტყო, აჯანყებულთა დასახმარებლად ლაშქარი გაგზავნა და ბაქო დაიკავა.

ბაქოს მაგალითს დერბენდის მოსახლეობამაც მიბაძა. შაჰ-აბასმა აჯანყებული დერბენდის დასახმარებლად მანუჩარ ბეგის მეთაურობით ლაშქარი გაგზავნა და ქალაქი ოსმალთაგან გაანთავისუფლა.

---

[39] A. Gouvea, op. cit. pp. 313, 314; Iskender Mounchi, p. 478; ისკენდერ მუნში, გვ. 66—68; L. Bellan, Chah Abbas, p. 186.

[40] J. Hammer, v. VIII, p. 111.

მიუხედავად იმისა, რომ ბაქო და დერბენდი განთავისუფლებული იყო, შემახაში მყოფი ოსმალთა გარნიზონი მედგრად იცავდა თავს. 1607 წლის 27 ივნისს შაჰმა შემახა აიღო და სასტიკად გაუსწორდა ოსმალებს.

შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, შაჰ-აბასმა აქ ყიზილბაში გამგებლები დანიშნა და თავისი მართვა-გამგებლობის წესების შემოღებას შეუდგა.

ამავე დროს, 1607 წლის ზაფხულში, ქართველების დახმარებით, ირანელებმა ახალციხე აიღეს და იქიდან ოსმალები განდევნეს. მანუჩარ II-ის მეუღლემ ელენემ შაჰ-აბასს სთხოვა ახალციხის გამგებლად მისი შვილი მანუჩარი დაენიშნა. შაჰმა დააკმაყოფილა ელენეს თხოვნა[41].

ახალციხის დაპყრობით შაჰ-აბასმა ფაქტიურად დაიბრუნა 1555 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეყნები. მაგრამ შაჰი ეხლა მიღწეულით აღარ კმაყოფილდებოდა და უფრო შორის იყურებოდა. შაჰ-აბასს ოსმალეთის წინააღმდეგ ფართო შეტევითი გეგმები ესახებოდა. შაჰს განზრახული ჰქონდა დასავლეთ საქართველოსა და სამცხე საათაბაგოს დასავლეთი ნაწილის დაპყრობა და შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა, ხოლო იქიდან, უმოკლესი გზით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირება. შაჰ-აბასს კარგად ესმოდა, რომ ამ გეგმის რეალურად განხორციელებას იგი იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დახმარებას აღმოუჩენდნენ მას. ამასთან დაკავშირებით 1608 წლის დასაწისში შაჰ-აბასმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის მიზნით, ახალი ელჩობა გაგზავნა რობერტ შერლის მეთაურობით[42].

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები შაჰ-აბასს მარტო დაპირებებით ჰკვებავდნენ და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას არ აპირებ-

---

[41] Iskender Monchi, p. 471; ისქანდერ მუნში, გვ. 72. დაწვრილებით ამის შესახებ მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

[42] B a y a n i, Les relations de l'Iran avec l'Europe Occidental, pp. 67, 68; L. Bellan, Chah Abbas, p. 173. შაჰის ანტიოსმალური კოალიციის გეგმების შესახებ დაწვრილებით იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 100—110; A Chronicle of the Carmelites in Persia, p. 147—149 შაჰ-აბასს ის გარემოება აფიქრებდა, რომ ოსმალეთ-ავსტრიის ხავის დადების შემდეგ, თუ ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის წინააღმდეგ ომს არ განაახლებდნენ, მაშინ ოსმალეთს საშუალება მიეცემოდა სამხედრო ძალები ევროპიდან ირანის წინააღმდეგ გადაესროლა. ეს კი შაჰ-აბასის გეგმების რეალიზაციას მეტად გაართულებდა.

დნენ. მალე შაჰ-აბასი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იგი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან დახმარებას ვერ მიიღებდა და გადასწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა.

„დას. ევროპაში ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მოვლენების განვითარებას მახლობელ აღმოსავლეთში. ევროპის პოლიტიკური აგენტები ცდილობდნენ გაეჭვრიტათ შაჰის გამარჯვებათა მოსალოდნელი შედეგები. დას. ევროპაში ეშინოდათ, რომ აჯანყებათა ცეცხლში გახვეული ოსმალეთის სულთანი შაჰს ზავს შესთავაზებდა, ხოლო ეს უკანასკნელი ზავზე უარს არ იტყოდა. დას. ევროპაში სასურველად არ მიაჩნდათ ირან-ოსმალეთის ომის შეწყვეტა. გასაგებიცაა: ევროპული სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეყენებინათ აღმოსავლეთის ამ ორი მუსლიმანური სახელმწიფოს მეტოქეობა თავიანთ სასარგებლოდ. მათ იმის იმედიც ჰქონდათ, რომ ირანი და ოსმალეთი ხანგრძლივი ომით ერთმანეთს დაასუსტებდნენ“[43].

ოსმალეთში კარგად ესმოდათ, რომ ირანის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების წარმატებას მნიშვნელოვნად ხელს შეუშლიდა ის გარემოება, რომ ამ დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში და იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში კვლავ გრძელდებოდა ჯელალიების აჯანყებანი. ყარა იაზიჯი-დელი ჰასანის დამარცხების შემდეგ (1603 წ.) აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მუჰამედ ფაშა კალენდერ ოღლუ. სულთანმა გადაწყვიტა მთავარი ძალები მის წინააღმდეგ საბრძოლველად გადაესროლა. კალენდერ ოღლუს აჯანყების ჩასაქრობად გაემართა დიდი ვეზირი მურად ფაშა. 1608 წლის 5 აგვისტოს ალაჯას ველზე მოხდა დიდი ბრძოლა, სადაც კალენდერ ოღლუ სასტიკად იქნა დამარცხებული. ამ დამარცხების შემდეგ ჯელალიებმა, რომლებსაც ოსმალთა ლაშქარი დაედევნა, გადალახეს ირანის საზღვარი და თავშესაფარი ირანში ჰპოვეს.

შაჰ-აბასმა კალენდერ ოღლუ და მისი თანამებრძოლი ჯელალიები, რომელთა რაოდენობა დაახლოვებით 15 000 კაცს შეადგენდა, დიდი პატივით მიიღო და ისინი ძვირფასი საჩუქრებით დააჯილდოვა. შაჰის ასეთი დამოკიდებულება ჯელალიებისადმი აიხსნება იმით, რომ მას სურდა ჯელალიები გამოეყენებინა, ერთი მხრივ, ირანის დასავლეთ ოლქებში მცხოვრები ქურთების დასამორჩილებლად, ხოლო, მეორე მხრივ კი — ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ შაჰ-აბას-

---

[43] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 106.

მა თავისი გეგმა ვერ განახორციელა, რადგან ჯელალიებს შორის მოხდა განხეთქილება; მათი დიდი ნაწილი ოსმალეთში დაბრუნდა, ხოლო ნაწილი დაიფანტა[44].

1608 წელს ოსმალებმა ახალციხის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი გაგზავნეს ჯელალ ფაშას (ყირიმის ხანის სარდალი) მეთაურობით; მას შეუერთდა, აგრეთვე, ფერჰად ფაშა, მოჰამედ ფაშას შვილი, ფანაკის გამგებელი, რომელმაც მაჰმადიანობა მიიღო და ფაშის წოდებას ატარებდა. 1608 წლის მიწურულს ოსმალებმა ახალციხე დაიპყრეს[45].

1609 წელს ოსმალეთის ლაშქარმა, რომელშიაც მონაწილეობდნენ ყირიმელი თათრები, თრიალეთი გადმოლახა და ქართლში შემოიჭრა. ქართველებმა, გ. საკაძის მეთაურობით, ქვიშხეთთან ოსმალებს ბრძოლა გაუმართეს და სასტიკად დაამარცხეს.

1610 წლის 29 აპრილს ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დიდი ვეზირის მურად ფაშას სარდლობით, ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. მას დავალებული ჰქონდა ხელთ ეგდო თავრიზი და მთელი აზერბაიჯანი. სწორედ ამ დროს დაიწყო ოსმალთა სამხედრო ტყვეების აჯანყება ციხე-სიმაგრე კახკაში. მაგრამ ეს აჯანყება მალე იქნა ჩაქრობილი. დასაწყისში ოსმალთა ლაშქარმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია და აიღო ქ. თავრიზი, მაგრამ იქ გამაგრება ვერ შეძლო და იძულებული შეიქნა დაეტოვებინა იგი[46].

1610 წელს შაჰ-აბასი აზერბაიჯანში იმყოფებოდა. შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეები ლუარსაბი და თეიმურაზი თავისთან დაიბარა. ისქანდერ მუნშის ცნობით, ლუარსაბსა და თეიმურაზს შაჰ-აბასისათვის თხოვნით მიუმართავთ: თეიმურაზს შაჰთან ზოგიერთ ურჩ კახელ ფეოდალებზე უჩივლია და მათი დასჯა მოუთხოვია. ლუარსაბს კი თბილისის ციხის (რომელშიაც 1606 წლიდან ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა) დაბრუნება უთხოვია. შაჰი ამაზე დათანხმდა და თბილისი ლუარსაბს დაუბრუნა.

რით აიხსნება თბილისიდან ყიზილბაშთა გარნიზონის გაყვანა და ციხის დაბრუნება ლუარსაბ მეფისათვის? რა თქმა უნდა, ეს შაჰ აბასის ნებაყოფლობითი აქტი არ იყო (მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა შაჰ-აბასის აგრესიული ზრახვები საქართველოს მიმართ).

---

[44] А. А. Рахманин. указ. соч., стр. 213—215.

[45] Iskender Mounchi. p. 473.

[46] Mufassal Osmanli Tarihi, c. III, s. 1736.

ისქანდერ მუნშის ცნობით, „თბილისის ციხე სიმონ მეფის კეთილმოსურნეობისა და ერთგულების საზღაურად მის შვილიშვილს, ლუარსაბ მეფეს ეწყალობა[47]“.

ამგვარად, ისქანდერ მუნში შაჰ-აბასის ამ წყალობას სიმონ მეფის „კეთილმოსურნეობისა და ერთგულების“ საზღაურად მიიჩნევს. რაში გამოიხატებოდა ოსმალთა ტყვეობაში მყოფი სიმონ მეფის „ერთგულება“ ირანის შაჰის მიმართ? ეს „ერთგულება“ გამოიხატებოდა იმ ღვაწლში რომელიც მიუძღოდა სიმონს ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკებაში. ცხადია, რომ მოლაპარაკებისას სიმონ მეფე საქართველოს ინტერესებსაც არ ივიწყებდა. შაჰ-აბასიც, ვიდრე გრძელდებოდა ირან-ოსმალეთის ომი, იძულებული იყო ანგარიში გაეწია თავისი მოკავშირეებისათვის და გარკვეულ ვითარებაში დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა.

ამის შემდეგ საომარი მოქმედებები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. როგორც ოსმალეთი, ისე ირანი დაინტერესებული იყო ზავის დადებით. ირანსა და ოსმალეთს შორის ჯერ კიდევ ადრე დაწყებული საზავო მოლაპარაკება ახალი ენერგიით განახლდა. ამჯერადაც მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ქალი გულჩარა[48].

1610 წელს, როდესაც ოსმალეთის ლაშქარმა, მურად ფაშას სარდლობით, ირანს ახალი ძალით შეუტია, შაჰ-აბასმა კვლავ დაიწყო საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან. შაჰ-აბასმა, 1555 წლის ამასიის შეთანხმებაზე ოსმალეთის დაყოლიების მიზნით, ახალი მომენტი შეიტანა საზავო მოლაპარაკებაში: ის ყოველწლიურად 200 საპალნე აბრეშუმს აღუთქვამდა ოსმალეთს, თუ ეს უკანასკნელი 1555 წლის ზავის პირობებზე დათანხმდებოდა[49].

1612 წლის 27 სექტემბერს ირანის დელეგაცია, ყადი ხანის მეთაურობით და ქართველი დიპლომატი ქალის თანხლებით, სტამბოლში ჩავიდა ოსმალეთთან ზავის დასადებად. ჯ. ჰამერი მიუთითებს, რომ ეს

---

[47] ისქანდერ მუნში, თარიხი-ი.... ტ. II, გვ. 816.

[48] სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი გინტო ბირონ ბარონ დე სალინიაკი 1609 წლის 5 სექტემბერს თავის მეფეს წერდა: „ქალი, რომელიც სპარსეთის საზღვრიდანაა, ქალი, რომელიც ამ საქმეებში გამოცდილია, თავისუფლად ახსულობს სპარსეთის შაჰსა და სულთანს. აი სამი დღეა რაც ჩამოვიდა აქ მათ შორის ზავის დასადებად“. Gonteaut Biron. L'Aambassade en Turquie..., v. II, p. 301; A Chronicle of the Carmelites in Persia, p. 161.

[49] ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 342; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III, s. 1739; J. Hammer, v. VIII, p. 175, 176.

ის დიპლომატი ქალია, რომელსაც ადრე ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ირანთან ზავის დადება დაავალა[50].

აქედან ცხადი ხდება, რომ ეს ქართველი ქალი გულჩარაა. „საქართველოს ელჩმა... თავისი სილამაზით, ბრწყინვალებითა და მშვენიერმეტყველებით კონსტანტინოპოლი განაცვიფრა"[51].

ჟ. ჰამერი წერს: „ეს მეორე შემთხვევა იყო, როდესაც კონსტანტინოპოლში დიპლომატად ქალს აგზავნიდნენ[52]. ქართველი დიპლომატი ქალი ენერგიულად ებრძოდა ოზბეგების წარმომადგენლებს, რომლებიც სულთანს აქეზებდნენ გაეგრძელებინა ომი ირანთან"[53].

როგორც დავინახეთ, გულჩარამ არა მარტო თავისი სილამაზით, ბრწყინვალებითა და მშვენიერმეტყველებით მოხიბლა კონსტანტინოპოლი. მისი ენერგიული ჩარევის შედეგად ჩაიშალა ოზბეგთა წარმომადგენლების ზრახვები — ხელი შეეშალათ ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის.

იმ დროს მეტად უჩვეულო შემთხვევა იყო ქალისათვის ესოდენ საპატიო საქმის დავალება.

1612 წლის 17 ოქტომბერს სულთანმა მიიღო ირანის ელჩობა და დათანხმდა შაჰ-აბასის მიერ შეთავაზებული ზავის პირობებზე[54].

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება[55].

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულებას ოსმალეთის მხრიდან ხელს ურთავდა არა რეისულქუთაბი ან ნიშანჯი, როგორც ამას არსებული წესი მოითხოვდა, არამედ შეიხულ ისლამმი მუჰამედ ეფენდი[56].

---

[50] J. Hammer, v. VIII, p. 182.

[51] «Une ambassadrice de la Georgie... etonna Constantinople par sa beauté, son luxe, et son eloquance», A. Lamartine, Histoire de la Turquie, t. V, p. 305.

[52] ჰამერის ცნობით, პირველად ასეთი შემთხვევა მოხდა მეჰმედ II (ფათიჰის) დროს, როდესაც სულთანი ტრაპიზონის დასაპყრობად მიემგზავრებოდა. უზუნ ჰასანმა მას თავისი დედა ელჩად გაუგზავნა და ზავი შესთავაზა.

[53] J. Hammer, v. VII, p. 182.

[54] نعيما ,تاريخ, ტ. II, გვ. 84.

[55] Mufassal Osmanli Tarihi, c. III, s. 1740; სპეციალურ ლიტერატურაში ამ ზავის თარიღად მიღებულია 1613 წელიც (დაწვრილებით იხ. ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 342). ეს არ უნდა იყოს მართებული. ის ავტორები, რომლებიც ამ ზავის თარიღად 1613 წელს მიიჩნევენ, არ მიუთითებენ კონკრეტულად თუ რომელ თვესა და რიცხვში იქნა იგი ხელმოწერილი და მხოლოდ ზოგად ვარაუდზე ამყარებენ თავიანთ მოსაზრებას, რის გამოც მათი ეს მოსაზრება ნაკლებად დასაჯერებელი ჩანს.

[56] Mufassal Osmanli Tarihi, c. s. III, s. 1740; J. Hammer, v. VIII, p. 190.

ჩვენი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ შაჰ-აბასმა სტამბოლში ზავის დასადებად გაგზავნა ყადი ხანი, რომელიც შიიტური რელიგიის მეთაური იყო და ოსმალეთის მთავრობამაც მას შესაბამისი რანგის პიროვნება შეახვედრა.

ამგვარად, განსახვავებით ირან-ოსმალეთის წინა საზავო ხელშეკრულებებისა, ისევე როგორც შემდგომი დროისა, 1612 წლის საზავო ხელშეკრულებას ოსმალეთისა და ირანის მხრიდან ხელი მოაწერეს ამ ქვეყნების უმაღლესმა სასულიერო პირებმა.

ამ ზავის დადებაში გარკვეული წვლილი მიუძღვოდა ქართველ დიპლომატ ქალს გულჩარასაც. ჰამერი მიუთითებს, რომ „ქართველი ქალი აწარმოებდა საზავო მოლაპარაკებას ოსმალეთსა და ირანს შორის“[57].

1612 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების პირობები შემდეგი იყო:

ირანს ოსმალეთისათვის ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 200 იუქი აბრეშუმი[58].

ირანსა და ოსმალეთს შორის ძირითადად უნდა აღდგენილიყო სულთან სულეიმან კანონისა და შაჰ-თამაზის დროს დადგენილი საზღვარი. მაგრამ ის ადგილები, რომლებიც ოსმალებს ეკავათ, კვლავ მათ რჩებოდათ.

სინჯარ ოღლუ მუბარექინის მფლობელობაში მყოფი ტერიტორია, რომელიც ბაღდადის ეიალეთში შედიოდა, კვლავ ბაღდადის ეიალეთს დაექვემდებარებოდა.

შეჰრიზორის ეიალეთი და ჰალო ხანის ხელში მყოფი ქურთისტანის ერთი ნაწილი ოსმალეთს უნდა გადასცემოდა, რასაც არ უნდა გამოეწვია სპარსელთა წინააღმდეგობა.

ირანელი პილიგრიმები მათი უშიშროების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, ამიერიდან იმგზავრებდნენ არა ბაღდად-ბასრის გზით, არამედ ალეპო-დამასკოთი.

შამხალისა და დაღესტნის სხვა გამგებლები და ქვეყნები, რომლებიც ოსმალების მიმართ ერთგულებას იჩენდნენ, არ უნდა ყოფილიყვ-

---

[57] «Une georgienne negocia la paix entre la Perse et la Porte», J. Hammer, v. XV, p. 148. როგორც ზემოთ მივუთითეთ, სულთანი ზავის დადების შემთხვევაში სიმონ მეფეს ტყვეობიდან გათავისუფლებას ჰპირდებოდა. მაგრამ სიმონ მეფე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო (გარდაიცვალა 1611 წელს) და მისი ტყვეობიდან გათავისუფლების საკითხი თავისთავად მოიხსნა (იხ. მ. სვანიძე, სიმონ I-ის ოსმალეთთან ურთიერთობის ზოგიერთი თარიღის დაზუსტებისათვის, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები,“ ტ. I, გვ. 79, 80.

[58] 200 იუქი აბრეშუმი უდრის 59 ათას კილოგრამს

ნენ ირანელების მხრივ შევიწროებული და დაზარალებული: იმ შემთხვევაში, თუ სულთნის ბრძანებით, რუსების მიერ თერგზე აგებული ციხე დაინგრეოდა, ირანელებს ამისათვის წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიათ.

თურქებს ირანში მცხოვრები სუნიტები არ უნდა აემხედრებინათ ირანელების წინააღმდეგ. სუნიტები, რომლებიც ირანელების მიერ დაკავებულ ადგილებში იმყოფებოდნენ, ძალით არ უნდა მოექციათ შიიტურ სარწმუნოებაზე, სპარსეთის ხელისუფლებას არ უნდა გაეწია წინააღმდეგობა იმ სუნიტებისათვის, რომლებიც თავისი სურვილით სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვდნენ.

ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს შორის სადემარკაციო ხაზის დასადგენად გამოიყო სპეციალური კომისია. ოსმალეთის მხრიდან მის შემადგენლობაში შედიოდნენ ბაღდადის ბეგლარბეგი მაჰმუდ ფაშა და ვანის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა, ხოლო ირანის მხრიდან — ჩუჰურ-საადის გამგებელი — ამირგუნე ხანი[59].

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ირან-ოსმალეთის საზღვრის დადგენის საკითხს შეეხება.

ზოგიერთი თურქი ისტორიკოსი შენიშნავს, რომ 1612 წლის ზავით, ძირითადად, აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავის პირობები, ხოლო ზოგი კი მიუთითებს, რომ ოსმალეთს დარჩა ის ადგილები, რომლებიც მას ეკავა.

მართლაც, ხელშეკრულებაში (თურქული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიხედვით) პირდაპირ არის მითითებული, თუ რომელი ოლქები უნდა დაებრუნებინა ოსმალეთს. ცხადია, ეს ის ოლქებია, რომლებსაც ირანი ზავის დადების დროისათვის ფლობდა, მაგრამ 1555 წლის ზავით — ოსმალეთს ეკუთვნოდა. ზავის პირობებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ირანს უნდა დაებრუნებოდა ის ტერიტორია, რომელსაც იგი 1555 წლის ზავით ფლობდა, და რომელიც ზავის დადების დროისათვის ოსმალეთის ხელთ იმყოფებოდა.

მაგალითად, ამ ზავის დადებისას ოსმალეთს ეკავა აღმოსავლეთ მესხეთი, ქ. ახალციხითურთ, რომელიც 1555 წლის ზავით ირანს ერ-

---

[59] 1612 წლის ზავის პირობების შესახებ დაწვრილებით იხ. ისქანდერ მუნში. გვ. 79, 82, اسما نعیما بخارى, ტ. II, გვ. 113—114; Mufassal Osmanli Tarihi, c. III. s. 1740, I. H. Danişmend, op. cit., 258; J. Hammer, v. VIII, p. 190; G. Norandounghian, Recueil d'actes internationaux de l'Empire Ottoman, Paris, 1897, v. I, p. 46; L. Bellan, Chah Abbas, p. 221.

გო.ახალ ხელშეკრულებაში კი არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ ეს მხარე ირანს უნდა დაბრუნებოდა.

ამ საკითხის გასარკვევად საყურადღებო ცნობა მოეპოვება ისქანდერ მუნშს: „რადგან აწ სამოთხეში მყოფი ზემოხსენებულ მეფეთა მიერ (სულეიმან კანუნი და შაჰ-თამაზ I) ზავის დადების შემდეგ განვლო დიდმა დრომ და ჟამთა სიავისა და ბედის უკუღმართობის გამო მასში მრავალი რამ სადავო გახდა: მაგალითად, საქართველოში მესხეთი და ახალციხე, რომელნიც ძველი ხელშეკრულების მიხედვით (1555 წ.) ამ მხარეს (ირანს) ეკუთვნოდა, ბოლომდე ოსმალეთის მფლობელობაში რჩებოდა, ხოლო ზოგიერთი ციხე და ოლქი არაბეთისა და ბაღდადის, რომლებიც ოსმალეთში შემავალი იყო ახლა კი ირანის მფლობელობაშია. ვინაიდან ჯარის გაყვანა და მათი ევაკუაცია სიძნელეებთანაა დაკავშირებული, უკეთესი იქნება, რომ თანახმად ხელშეკრულებისა, ის, რაც თითოეული მხარის მფლობელობაშია, უკლებლივ, უცვლელი დარჩეს“[60].

ისქანდერ მუნშის მიხედვით, ოსმალეთსა და ირანს შორის საზღვარი Uti possidetis საფუძველზე უნდა ყოფილიყო გავლებული, ე. ი. ოსმალეთისა და ირანის მფლობელობაში რჩებოდა ის ტერიტორია, რომელსაც ორივე მხარე ფლობდა ზავის დადების დროისათვის. ამასთან, ისქანდერ მუნშის მიაჩნია, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის საზღვრების საკითხის ამ საფუძველზე მოგვარება „უკეთესი იქნება“, რადგან ურთიერთ შორის ტერიტორიების გაცვლა და ჯარის გაყვანა დიდ „სიძნელეებთან იყო დაკავშირებული“.

შაჰ-აბასის ისტორიკოსის თხზულების ეს ადგილი მის დიპლომატიურ ნიჭსა და უნარზე მეტყველებს, შესაძლოა, მან შაჰისათვის უსიამოვნო ფაქტი ისე ფრთხილად და შენიღბულად იმის გამო წარმოადგინა, რომ თითქოს ეს პოზიცია ორივე მხარისათვის სავსებით მისაღები ყოფილიყო — ჯარების გამოყვანა ძნელია და ამიტომ უკეთესია ყველაფერი უცვლელად დარჩესო. სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ირანს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა ბაღდადისა და არაბეთის ოლქებში გარკვეული ტერიტორია, რომელსაც, ჩანს, ოსმალეთი ფლობდა 1555 წლის ზავით. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 1612 წლის ირან-ოსმალეთის ზავით უნდა მომხდარიყო ირანსა და ოსმალეთს შორის ტერიტორიების გაცვლა (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), მაშინ ნათელი იქნება ამ არგუმენტის უსაფუძვლობა.

---

[60] ისქანდერ მუნში, თარიხ-ი... ტ. II, გვ. 864.

საფიქრებელია, ისქანდერ მუნში, რომელიც შაჰ-აბასის ოფიციალური ისტორიკოსი იყო, გამოხატავდა შაჰის სურვილსაც, რომელსაც არ უნდოდა. რომ საზავო ხელშეკრულებაში აღმოსავლეთ მესხეთი და ახალციხე ოსმალეთის სამფლობელოდ ყოფილიყო აღიარებული. ჩანს, სპარსელი დიპლომატების თხოვნით, ეს არ იქნა ფიქსირებული ხელშეკრულებაში.

ამგვარად, ირანი ოსმალეთს უთმობდა არა მარტო იმას, რაც მას 1555 წლის ზავის პირობებით ეკუთვნოდა (ტერიტორიები ბაღდადისა და შეჰრიზორის რაიონში), არამედ აღმოსავლეთ მესხეთსაც. ამდენად 1612 წლის საზავო ხელშეკრულების პირობები საზღვრების საკითხში სრულიადაც არ იყო 1555 წლის ხელშეკრულების გამეორება.

ამავე დროს 1555 წლის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, 1612 წლის ხელშეკრულებით ირანს ოსმალეთისათვის ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 200 იუქი აბრეშუმი.

1612 წლის ზავით, შამხალი და დაღისტნის სხვა გამგებლები ოსმალეთის გავლენის სფეროდ რჩებოდა. ამით ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა არა მარტო შეენარჩუნებინა თავისი გავლენა ჩრდ.-აღმოსავლეთ კავკასიაში, არამედ საჭიროების შემთხვევაში, გამოეყენებინა ეს ქვეყნები როგორც პლაცდარმი ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა ზეგავლენა მოეხდინა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებზე და, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოებზე.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ხელშეკრულებაში სპეციალურადაა მითითებული, რომ სულთნის ბრძანებით უნდა მოთხრილიყო თერგის ციხე-სიმაგრე, რომელიც რუსეთის მიერ იყო აგებული. ამ ციხის დანგრევით, სულთანი კეტავდა იმ მთავარ გზას, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფოები რუსეთს უკავშირდებოდნენ. როგორც ჩანს, სულთანი ზომებს იღებდა, რათა არ დაეშვა რუსეთის ჩარევა ამიერკავკასიის ქვეყნების საქმეებში და, თავის მხრივ, მოუწოდებდა ირანს მხარი დაეჭირა მისთვის. ამ ღონისძიებით ოსმალეთი მიზნად ისახავდა ხელი შეეშალა რუსეთ-ირანის დაახლოებისათვისაც.

მართალია, ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი საქართველოს შესახებ, მაგრამ როგორც ზემოთ მივუთითეთ, 1612 წლის ზავით, ძირითადად, აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავის პირობები, რომლის მიხედვითაც, საქართველო ოსმალეთსა და ირანს შორის ორად იყო გაყოფილი: ქართლ-კახეთი ირანს რჩებოდა, ხოლო დასავლეთი სა-

ქართველო და სამცხე — ოსმალეთს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზავის დადების დროისათვის ირანის გარნიზონები ქართლ-კახეთის ციხეებში არ იმყოფებოდნენ. სავარაუდოა, სულთანი ირანისაგან მოითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოებსა და ირანს შორის დამყარებულიყო პოლიტიკური ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც მას ჰქონდა დამკვიდრებული დასავლეთ საქართველოში (მოხარკეობა და დამოუკიდებლობა ქვეყნის საშინაო საქმეებში). თუმცა ამის შესახებ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ მოვლენათა შემდგომი სვლა ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს.

. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ 1612 წლის ზავით სამცხე ირანსა და ოსმალეთს შორის ორად იყო განაწილებული: დასავლეთ სამცხე ოსმალეთს რჩებოდა, ხოლო აღმოსავლეთი — ახალციხის ჩათვლით ირანს. ეს შეხედულება შესწორებას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ ახალციხე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაზავებამდე ხელიდან ხელში გადადიოდა, ზავის დადების დროისათვის კი ახალციხე ოსმალეთის ხელში იყო. ამრიგად, ხელშეკრულების მიხედვით, ახალციხე (თუმცა იქ ეს ფიქსირებული არაა) ოსმალეთის მფლობელობაში რჩებოდა.

1612 წლის ზავი ზუსტად ვერ ასახავს ომის შედეგად შექმნილ ვითარებას. სინამდვილეში, ოსმალეთის პოზიცია 1612 წლის ზავის მიხედვით უკეთესი იყო, ვიდრე 1555 წელს, მის ხელთ იმყოფებოდა აღმოსავლეთ მესხეთი ახალციხითურთ, რომელსაც დიდი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

1612 წლის ირან-ოსმალეთის ზავი, 1590 წლის ზავთან შედარებით, შაჰ-აბასის გამარჯვების მომასწავებელი იყო. მაგრამ შაჰი არ იყო კმაყოფილი ზავით იმ მხრივ, რომ მან ვერ შეძლო მთლიანად აღედგინა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები.

როგორი იყო ირან-ოსმალეთის ომის შედეგები საქართველოსათვის?

ამ ომის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოებმა თავი დააღწიეს ოსმალთა ბატონობას. მართალია, საქართველოს ამ ქვეყნებიდან ოსმალების განდევნის შემდეგ მათი ადგილი ყიზილბაშებმა დაიკავეს, მაგრამ შაჰმა მთლიანად ვერ შეძლო ქართლ-კახეთში ირანის ძველი პოზიციების აღდგენა. შაჰი იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო — საქართველოდან ირანის ჯარები გაეყვანა, თეიმურაზი და ლუარსაბი ქრისტიანობით კართლ-კახეთში გაემეფებინა და სხვა. შაჰის ამგვარი პოლიტიკური სვლა განაპირობა ორმა გარემოებამ — ქართველი ხალხის მედგარმა ბრძოლამ დამპყრობლების წინააღმდეგ და

და ირან-ოსმალეთის ომმა. ამასთანავე, ქართველები იყენებდნენ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობასაც თავისი ინტერესების დასაცავად. ამის დამადასტურებელია ქართველი დიპლომატი ქალის მონაწილეობა ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკებაში. ოსმალეთმა, რომელმაც დაკარგა თავისი ძალაუფლება ქართლ-კახეთზე, მომხრე იყო, რომ ეს ქვეყნები ირანზე უფრო ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული, რაც ქართველებისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო. ერთი სიტყვით, 1612 წლის ზავის შედეგად ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ირან-ოსმალეთის ომის დაწყებამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

2. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა საქართველოში შაჰ-აბასის ლაშქრობების დროს

1612 წლის ზავის შემდეგ წინააღმდეგობა ირანსა და ოსმალეთს შორის არ შენელებულა. ორივე მხარე მომავალი ომის სამზადისში იყო.

ზავის პირობებით განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო შაჰ-აბას I. მას არა მარტო უმძიმდა 200 საპალნე აბრეშუმის გადახდა ოსმალეთისათვის, არამედ იგი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ვერ შეძლო ქართლ-კახეთის მტკიცედ დამორჩილება. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ სამცხეს აღმოსავლეთი ნაწილი, ახალციხითურთ კვლავ ოსმალეთს რჩებოდა.

შაჰ-აბასმა ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა „გურჯისტანის საკითხი" ერთხელ და სამუდამოდ ირანის სასარგებლოდ გადაეჭრა. საამისოდ მას საჭიროდ მიაჩნდა საქართველოს სრული დაპყრობა-დამორჩილება, ქართველების აყრა-გადასახლება და მათ მიწა-წყალზე თურქმანების ჩამოსახლება, ქართლ-კახეთის სამეფოების გაუქმება და საქართველოს ირანის სახანოდ გადაქცევა.

ერთი სიტყვით, შაჰ-აბასის აგრესია საქართველოს მიმართ მიზნად ისახავდა ქვეყნის ისეთივე საშუალებებით „გაყიზილბაშებას", რითაც თავის დროზე ოსმალები აპირებდნენ მის „გათურქებას". ამგვარად, ახლა ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის „გაყიზილბაშების" საფრთხე შეიქნა. „საქართველოს ქრისტიან მმართველებს (მეფეები, მთავრები) თავისი ქვეყნები ირანის განუყოფელ ნაწილად სრულიადაც არ მიაჩნდათ და თავიანთ თავს უფლებამოსი-

ლად სთვლიდნენ შესაფერის პირობებში ამ მოძალადეს ჩამოშორებოდნენ და, თუ ამას საქართველოს ინტერესები მოითხოვდა ირანის მტრის მხარეზედაც კი დამდგარიყვნენ"[61]. იმის მიხედვით, თუ რა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას შაჰ-აბასის ირანი, ძლიერდებოდა ოსმალეთის მომხრეთა რიცხვი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. ქართველები ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ ოსმალეთი ირანისათვის.

საქართველოს საქმეების მოსაგვარებლად, შაჰ-აბასის თვალსაზრისით, საერთაშორისო მდგომარეობა ხელსაყრელი იყო. მართალია, ამ დროს დამთავრდა რუსეთში შინაური არეულობა, მაგრამ ვიდრე რუსეთი საქართველოს სარბიელზე კვლავ გამოჩნდებოდა შაჰ-აბასმა სცადა მისთვის დაესწრო და ამით რუსეთი უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა.

ოსმალეთთან ზავი ახლად დადებული იყო და შაჰს იმედი ჰქონდა, რომ დიპლომატიური მოლაპარაკების გზით თავიდან აიცდენდა ოსმალეთის ჩარევას საქართველოს საქმეებში. ამასთან დაკავშირებით შაჰ-აბასმა საქართველოში ლაშქრობის წინ ოსმალეთის დიდ ვეზირთან ნასუჰ ფაშასთან გაგზავნა ელჩი მუჰამედ-ბეგ თალეში, რათა მისთვის საქართველოში ლაშქრობის „ნამდვილი მიზანი" ეცნობებინა[62].

„ოსმალეთში ესმოდათ, რომ ირანის შესაძლო წარმატება ქართლ-კახეთში" ოსმალეთის აგრესიული გეგმების ჩაშლას უდრიდა. თუ შაჰ-აბასი თავის მიზნებს განახორციელებდა, მაშინ აღმ. საქართველოს მხრიდან ოსმალეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა ირანის ადმინისტრაციულ ერთეულად გადაქცეული „გურჯისტანის" სახანო და სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები დას. საქართველომდე გადაიწეოდა და, თუ ეს ასე მოხდებოდა, ირანსა და ოსმალეთს შორის გაჩრებოდა ისეთი ქვეყანა, რომელიც, მართალია, არც ოსმალეთის ბატონობას ითმენდა, მაგრამ (თუ საქართველოს ინტერესები ამას მოითხოვდა) შეიძლებოდა მისი „მოკავშირე" გამხდარიყო ირანის წინააღმდეგ ომში. ოსმალეთი, თუ თვითონ ვერ შეძლებდა საქართველოს დაპყრობას, იმის მომხრე იყო, რომ ის ვერც ირანს დაეპყრო. „გურჯისტანის" სახანოს ნაცვლად მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ფეოდალური საქართველოს მეზობლობა"[63].

---

[61] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. III.

[62] Iskender Mounchi, pp. 474, 475; ისქანდერ მუნში, გვ. 82.

[63] ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 343.

1613 წლის შემოდგომაზე შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემართა და თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შაჰ-აბასის საქართველოში პირველი ლაშქრობის თარიღად 1614 წლის შემოდგომა ითვლება[64].

ამ ბოლო დროს გ. ჟორდანიამ და ნ. ნაკაშიძემ სცადეს ამ თარიღის დაზუსტება.

გ. ჟორდანიას ვარაუდით, შაჰ-აბასის საქართველოში პირველი ლაშქრობა დაიწყო არა უგვიანეს 1614 წლის ივნისისა და გრძელდებოდა 3—4 თვეს, ამავე წლის ნოემბრამდე[65]. ხოლო ნ. ნაკაშიძის მტკიცებით, შაჰ-აბასის შემოსევა საქართველოში 1614 წლის გაზაფხულზე მოხდა[66].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვერცერთ ამ შეხედულებას.

წყაროების ანალიზმა და ამ პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების გათვალისწინებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ უფრო სწორი უნდა იყოს იმ წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვითაც, შაჰ-აბასის პირველი ლაშქრობა საქართველოში დაიწყო 1613 წლის შემოდგომაზე.

ქვათახევისა და ყანჩაეთის გულანებში ვკითხულობთ: 1613 წ.: „აქა მოვიდა შაჰაბაზ ყეენი; ბატონი თეიმურაზი იმერეთს მორჩა და ბატონი ლუარსაბ თან წაიტანა, კახეთი ამოაგდო და ქართლი ბატონს ბაგრატ მეფეს უბოძა და ისე ქსნის ერისთავად დასო“ (ქვათახევის გულანი)[67]. 1613 წ. „აქა ლუარსაბ მეფე ყაენთან წავიდა, თვესა აგვისტოსა“. (ყანჩაეთის გულანი)[68].

შაჰ-აბასის საქართველოში ლაშქრობა ზოგიერთ „მცირე ქრონიკაში“ აგრეთვე 1613 წლით არის დათარიღებული[69].

ქართული წყაროების ეს ცნობები მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.

---

[64] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1965, ტ. II, გვ. 290; გ. ჯამბურია, გ. სააკაძე, თბ., 1964, გვ. 89—91 და სხვ.

[65] გ. ჟორდანია, ქართული ებრაშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ, „ცისკარი“, 1963, № 5.

[66] Н. Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, стр. 67.

[67] თ. ჟორდანია. ქრონიკები, ტ. II, გვ. 440.

[68] იქვე.

[69] მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარიები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 31, 41, 48, 62.

რუსულ წყაროებში ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი ცნობა მოიპოვება:

1614 წლის ოქტომბერს, თერგზე მყოფი რუსი ვოევოდა პ. გოლოვინი მოსკოვში ატყობინებდა: «Приехавший из Ардебиля «кумычанин Бытуй» рассказал Головину, что отправление шахом против Теймураза 20 тыс. армии окончилось безрезультатно. Тогда шах послал к нему «оманом» и обещал воцарение в случае явки к нему. Теймураз ответил... «А на земле де своей буду царем попрежнего после твоего разорения в третий год[70]», т. е. в 1615 году, если считать 1613 год началом похода шаха на Грузию»[71].

1624 წელს თეიმურაზის ელჩი თეოდოსი რუსეთის მეფის მთავრობას აცნობებდა, რომ თეიმურაზ მეფე „...от гоненья шахова поддался турскому лет с 11"[72].

აქედან ნათლად ჩანს, რომ შაჰ-აბასმა თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ 1613 წელს გაილაშქრა.

სომხური წყაროების მიხედვითაც, შაჰის ლაშქრობა საქართველოში 1613 წელს მომხდარა.

არაქელ თავრიზელი შაჰ-აბასის პირველ ლაშქრობას საქართველოში 1613 წლის ოქტომბრით ათარიღებს[73].

საქართველოში შაჰ-აბასის ლაშქრობის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდიან ირანში მყოფი რომის პაპის აგენტები, კარმელიტი მისიონერები. მათი ცნობით: „1613 წლის სექტემბერში ან ოქტომბრის დასაწყისში შაჰ-აბასი გაემგზავრა საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ"[74].

ისჰანდერ მუნშის ცნობის მიხედვით, შაჰ-აბასი „რამაზნის თვის ორს, ხუთშაბათს დღეს (1613 წლის 16 ოქტომბერი) სამღვთო ომისათვის საქართველოსაკენ დაიძრა"[75].

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს შაჰ-აბასის კარის ისტორიკოსის ისჰანდერ მუნშის ამ ცნობას, რომელშიაც მითითებულია არა მარტო ლაშქრობის წელი, არამედ თვე და რიცხვიც.

---

[70] Н. В. Веселовский, Памятники..., т. II, стр. 354.

[71] Н. Т. Накашидзе, указ. соч., стр. 65.

[72] М. А. Полиевктов, Материалы..., стр. 63.

[73] Collection d'historiens Armeniens t. I, p. 581. მ. ბროსეს ეს თარიღი შეცდომით აქვს მითითებული. სომხური კალენდრის 1062 წელი გადმოტანილი აქვს 1612 წლით, ნაცვლად 1613 წლისა.

[74] A Chronicle of the Carmelites in Persia, p. 211.

[75] ისჰანდერ მუნში, გვ. 81.

ამგვარად, აღმოსავლური და ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ შაჰის საქართველოში პირველი ლაშქრობა 1613 წლის ოქტომბერში დაიწყო.

ამ თარიღის სისწორეს, აგრეთვე, ადასტურებს ერთი მეტად საყურადღებო გარემოებაც, დაკავშირებული შაჰის ლაშქრობასთან საქართველოში.

ისქანდერ მუნშის ცნობით, როდესაც შაჰ-აბასი საქართველოში სალაშქროდ გამოემართა, მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთის სულთანს ელჩი გაუგზავნა და მას საქართველოში ლაშქრობის ამბავი აცნობა[76].

ირკვევა, რომ შაჰ-აბასის ეს ელჩი სტამბოლში 1613 წლის ბოლოს ჩასულა[77]. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ შაჰის ელჩის სტამბოლში ჩასვლამდე, აჴ ჩასულან საქართველოს ელჩებიც და სულთნისათვის შაჰ-აბასის საქართველოში ლაშქრობა უცნობებიათ[78] (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამავე წყაროს ცნობით, თეიმურაზ მეფემ (Thebris han king of Georgia) 1613 წელს თავისი სამეფო დასტოვა და დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი[79].

მოტანილი ცნობებიდან სავსებით ნათელი ხდება, რომ 1613 წლის ბოლოს სტამბოლში საქართველოსა და ირანის ელჩების ჩასვლასა და დასავლეთ საქართველოში თეიმურაზ მეფის გაქცევას წინ უსწრებდა შაჰის ლაშქრობა საქართველოში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ შაჰის საქართველოში პირველი ლაშქრობა 1613 წლის შემოდგომაზე მოხდა.

ქართლ-კახეთი მტერს მოუმზადებელი შეხვდა. თეიმურაზი და ლუარსაბი იძულებული შეიქნენ იმერეთში გადასულიყვნენ და იქ შეეფარებინათ თავი.

საქართველოში მოსვლისას შაჰი შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. შაჰმა განსაკუთრებით აოხრა კახეთი, ხელთ იგდო ათასობით ტყვე და თეიმურაზ მეფის ბიძაშვილი გამაჰმადიანებული ისახანი კახეთის გამგებლად დასვა[80].

---

[76] ისქანდერ მუნში, გვ. 81.

[77] R. Knoelles, The Generall historie of the Turkes, p. 1334.

[78] იქვე.

[79] იქვე, გვ. 1340, 1341.

[80] შაჰ-აბასის ამ ლაშქრობის შესახებ დაწვრილებით იხ. დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 312—315; გ. ჯამბურია, გ. საყაძე, გვ. 89—100 და სხვა.

შაჰ-აბასის საქართველოში ლაშქრობის მიზანი მარტო ქართლ-კახეთის დაპყრობა არ ყოფილა; შაჰს განზრახული ჰქონდა, აქედან, იმიერკავკასიაშიც, უაბარდო-დაღესტანშიც გაელაშქრა[81].

დასავლეთ საქართველოში ჩასვლის შემდეგ თეიმურაზ მეფემ აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა გააჩაღა. თეიმურაზ მეფესა და ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით შაჰ-აბასის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო საკმარისი. საჭირო იყო გარეშე ძალის გამოყენება და მათაც დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართეს.

1613 წლის ბოლოს სტამბოლში ჩავიდნენ საქართველოს ელჩები, მათ შორის ერთი ეპისკოპოსი და სამეგრელოს წარმომადგენელი. მათ აცნობეს სულთანს საქართველოში სპარსელების შემოსევის ამბავი და დახმარება სთხოვეს[82].

მ. პოლიევქტოვის მიერ გამოქვეყნებული რუსული მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სტამბოლში თეიმურაზის მიერ გაგზავნილი ელჩი არქიეპისკოპოსი თეოდოსი უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, ინგლისურ წყაროებში მოხსენებული ქართველი ეპისკოპოსი და რუსული წყაროს არქიეპისკოპოსი თეოდოსი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.

შემდეგ სტამბოლში ჩავიდა სპარსეთის ელჩი, მაგრამ სულთანმა არ მოისურვა მისი მიღება[84].

ჩანს, საქართველოს ელჩებისაგან სულთანმა მიიღო საფუძვლიანი ინფორმაცია, მისთვის სავსებით ნათელი გახდა შაჰის ნამდვილი ზრახვები საქართველოს მიმართ, ამიტომ სულთანმა არ მოისურვა შაჰის ელჩისაგან ამის შესახებ ახსნა-განმარტების მოსმენა. ეს კი იმას მოწმობდა, რომ სულთანი არ იწონებდა შაჰის ლაშქრობას საქართველოში.

საფიქრებელია, სულთანი პირდებოდა ქართველ ელჩებს ირანის წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთ

---

[81] დაწვრილებით იხ. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღისტანის ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს., თბ., 1968, გვ. 71—76.

[82] R. Knoelles, op. cit., p. 1134.

[83] М. А. Полиевктов, Материалы по истории русско-грузинских взаимоотношений 1615—1640 гг., Тб., 1937, стр. 62, 63.

[84] R. Knoelles, op. cit., p. 1334; ჩვენი აზრით, სტამბოლში ჩასული სპარსეთის ელჩი მუჰამედ ბეგ თალეში უნდა იყოს, რომელიც შაჰმა ლაშქრობის წინ საქართველოში გაგზავნა.

საქართველოს მეფე-მთავრები (დადიანი და გურიელი) ოსმალეთთან ზავს დადებდნენ და მათზე დაკისრებულ ხარკს გადაიხდიდნენ[85].

ამ მიზნით სულთანმა გურიელთან და დადიანთან ომარ ფაშა გაგზავნა. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტამბოლში მყოფი საფრანგეთის საელჩოსთან მყოფი ფრანგი ბერი ლუი გრანჟე[86].

გრანჟეს ცნობით, როდესაც სამეგრელოს ელჩი სტამბოლიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, სულთანმა მას გააყოლა ომარ ფაშა, რომელსაც, სულთნის სახელით, ადგილზე მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა დადიანთან და გურიელთან[87].

სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი ბარო სანჩუსი (Baro Sanchus) ამ მოლაპარაკებით დიდად იყო დაინტერესებული [88]. ეს გასაგებიცაა, რადგან საფრანგეთის ელჩმა კარგად იცოდა, რომ ოსმალეთის მოლაპარაკება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ლოკალური ხასიათისა არ იყო და იგი გარკვეულად დაკავშირებული იყო ირან-ოსმალეთის მომავალი ომის საკითხთან. ეს კი საფრანგეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. საფრანგეთი, ტრადიციულად, დაინტერესებული არ იყო ირან-ოსმალეთის ომით, რადგან იგი ოსმალეთს აშორებდა ევროპის საქმეებს. ბუნებრივია, საფრანგეთის ელჩი შეეცდებოდა მომავალი ირან-ოსმალეთის ომის აცილებას. ჩანს, ქართველმა დიპლომატებმა კარგად იცოდნენ საფრანგეთისა და მისი აგენტების პოზიცია ამ საკითხში და მათთან შეხვედრისას გაურბოდნენ პოლიტიკურ თემაზე საუბარს, და განსაკუთრებით კი იმას, რაც შეეხებოდა ირანთან მომავალ ომს.

გრანჟე იძულებულია აღიაროს, რომ ქართველები მათ მიმართ უნდობლობას იჩენდნენ და რომ ადგილობრივ ხალხს ჩვენზე ცუდი წარმოდგენა შეექმნაო[89].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, არ შეგვიძლია გავიაზროთ ს. როდონაიას მოსაზრება, რომ „ფრანგი ბერები უთუოდ, საფრანგე-

---

[85] ჩანს, ამ დროს სამეგრელოსა და გურიის მთავრები ოსმალეთის მორჩილებას თავს არიდებდნენ და ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკის გადახდას აყოვნებდნენ.

[86] ლ. გ რ ა ნ ჟ ე ს წერილი იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 134—142, 631; Гисьмо посланное с Востока отцом Луи Гранже..., сб. Материалы описания местностей и племен Кавказа, Тифл. 1915, кн. 4. стр. 31—32;

[87] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 134; Гранже. стр. 32.

[88] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 194, 631.

[89] Л. Г р а н ж е, указ. соч., стр. 50.

თის ელჩის მითითებით შუამავლის როლს ასრულებდნენ მოლაპარაკების დროს და, დადიანზე ზემოქმედების გზით დააჩქარეს, თურქთა სასარგებლოდ საზავო ხელშეკრულების დადება ოდიშის მთავართან"[90].

საფრანგეთის ელჩის დავალებით, ომარ ფაშასთან ერთად დასავლეთ საქართველოში ჩასულ ორ ფრანგ ბერს, კათოლიკური რელიგიის პროპაგანდის ნიღაბ ქვეშ, ევალებოდა თვალყური ედევნებინა ომარ ფაშისა და დადიანსა და გურიელის მოლაპარაკებისათვის და მისთვის დაწვრილებითი ინფორმაცია მიეწოდებინა.

1614 წლის მაისში სამეგრელოს ელჩი ომარ ფაშა და ორი ფრანგი მღვდელი გემით დასავლეთ საქართველოსაკენ გაემგზავრნენ.

გრანჟეს ცნობით, 1614 წლის 13 დეკემბერს ქ. ბათუმში გურიელსა და ომარ ფაშას შორის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, მათ შორის ზავი დაიდო და გურიელმა ოსმალეთს ხარკი გადაუხადა[91].

1615 წლის თებერვალში ასევე მოხდა დაზავება დადიანსა და ოსმალეთს შორის და დადიანმა ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკის გადახდა იკისრა[92].

სამეგრელოში ყოფნის დროს გრანჟე შეხვედრია თეიმურაზ-კახეთის მეფეს. იგი თეიმურაზ მეფეს Thebris Khan-ს უწოდებს. მისი ცნობით, თეიმურაზი „ქართველი მთავარია, რომელიც შარშან სპარსეთის მეფემ თავისი საბრძანებლიდან განდევნა"[93].

გრანჟესთან შეხვედრის დროს თეიმურაზი დიდხანს ესაუბრებოდა მას სხვადასხვა საკითხებზე[94]. სამწუხაროდ, წყაროდან არ ჩანს, თუ სახელდობრ რა თემაზე იყო საუბარი. აქაც, როგორც ჩანს, გრანჟე დიდ სიფრთხილეს იჩენს.

გრანჟეს წერილიდან არ ჩანს, მონაწილეობდა თუ არა ოსმალეთთან მოლაპარაკებაში თეიმურაზ მეფე. მაგრამ ერთი რამ ცხადია, იგი ამ საქმის კურსში იყო და დიდად იყო დაინტერესებული მისი წარმატებით დამთავრებით. სამეგრელოსა და გურიის ოსმალეთთან დაზავების შემდეგ კიდევ უფრო რეალური უნდა გამხდარიყო ოსმალეთის დახმარება საქართველოსათვის ირანის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე-

---

[90] ს. რ ო დ ო ნ ა ი ა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. პირველ ნახევარში, თბ., 1961, გვ. 13.

[91] ვ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 139; Г р а н ж е, стр. 45.

[92] ი ქ ვ ე. გვ. 141, იქვე, გვ. 49.

[93] ი ქ ვ ე.

[94] ი ქ ვ ე.

სურ. 4. თეიმურაზი და მისი მეუღლე ხორეშანი

ში, რადგან საქართველოს სამეფო-სამთავროები გამოვიდოდნენ ოსმალეთის მოკავშირეებად მომავალ ომში.

ამავე დროს, როგორც ჩანს, სწორედ თეიმურაზ მეფის ინიციატივით მოხდა საქართველოს მეფე-მთავრების გაერთიანება შაჰ-აბასის წინააღმდეგ. 1615 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი რუსეთის აგენტი მეფეს ატყობინებდა: «А соединачалися-де, государь, ныне на шах Баса кизылбашского с Теймуразом царем 6 царей крестьянских. А на сю-де весну для войны на шах Баса и турский царь хочет им людей дати»[95].

ამგვარად, საქართველოს მეფე-მთავრები ირანის წინააღმდეგ გაერთიანდნენ, ხოლო ოსმალეთის სულთანი მათ დახმარებას დაპირდა.

აღმოსავლური და ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის დიდი ვეზირი ნასუჰ ფაშა შაჰ-აბასთან საიდუმლო კავშირში იმყოფებოდა. მალე მისი საქმიანობა გამომჟღავნდა და 1614 წელს, 17 ოქტომბერს სულთნის ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს. ოსმალეთმა ირანს 1612 წელს ზავის პირობების დარღვევა დააბრალა და ირანთან ომის სამზადისს შეუდგა.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი ირან-ოსმალეთის ომის დაწყების საბაბად ორ მიზეზს ასახელებს:

1. ირანის მიერ ოსმალეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 200 იუქი აბრეშუმის გადახდის დაყოვნება და 2. შაჰ-აბასის ლაშქრობა საქართველოში[96].

ყოველივე ამის გამო, სულთანმა გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ომი დაეწყო[97].

1615 წლის 22 მაისს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ოქუზ მეჰმედ ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგ-

---

[95] М. А. Полиевктов. Материалы.... стр. 25.

[96] Mufassal Osmanli Tarihi, c. IV, s. 1800; J. Hammer, v. VIII, p. 213.

[97] ისქანდერ მუნში ოსმალეთ ირანის ომის დაწყებას მიაწერს სულთნის მოუთმენლობასა და ქართველების ინტრიგებს. მისი აზრით, ოსმალეთს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ზავის დარღვევისა და ირანთან ომის დაწყებისათვის. „ამ (ე. ი. ირანის) მხრიდანაც არ მომხდარა არავითარი ისეთი საქმე, რომელიც პირობის დაზიანების და მოშლის საფუძველი გახდებოდა. სულთანმა ამ დროს მოუთმენლობა გამოაჩინა და ორი ეშეცარი ქართველის ტყუილი სიტყვებითა და საქართველოსა და შირვანში ამ წელს მომხდარი იმ მცირე აშლილობით წაქეზებულმა... აგრეთვე რამდენიმე თავისი დაახლოებული პირების წაქეზებით... „ზავი და პირობა დაშლისა და დაიწყების თახჩაზე შესდო". ისქანდერ მუნში, გვ. 95.

ზავრა, ხოლო დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება დაევალა გურჯი მეჰმედ-ფაშას[98].

დასავლეთ საქართველოში მყოფმა თეიმურაზმა კახელებს ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება შეატყობინა. ამ ამბავმა კახელები გაამხნევა და ისინი ირანის წინააღმდეგ აჯანყების სამზადისს შეუდგნენ. აჯანყებისათვის ნიადაგი უკვე შემზადებული იყო.

კახეთის აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობას დაიწყო. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა დავით ჯანდიერი. ალავერდის ეკლესია-გალავანი ირანელების მიერ ციხე-სიმაგრედ იყო გადაქცეული და შიგ ყიზილბაში მეციხოვნენი იდგნენ. 15 სექტემბერს საეკლესიო დღესასწაულის საბაბით, ქართველებმა ეკლესიაში შეშვება ითხოვეს. დავით ჯანდიერი შაჰის მიერ კახეთის მმართველის, ხანის მოადგილედ იყო დანიშნული. მისი ხათრით მეციხოვნეებმა უარი ვერ უთხრეს ქართველებს და ფარულად შეიარაღებულ „მლოცველთა“ დიდი რაზმი ეკლესიის გალავანში შევიდა. ქრისტიანული სადღესასწაულო ცერემონიალის შესრულების შემდეგ. დათქმულ ნიშანზე ქართველები ყიზილბაშებს ეცნენ და მუსრი გაავლეს. ეს იყო კახეთში აჯანყების დაწყების ნიშანი. თეიმურაზთან კაცი აფრინეს და კახეთში მიიწვიეს.

დასავლეთ საქართველოდან თეიმურაზი კახეთისაკენ გამოემართა. მას იმერეთის მეფე, დადიანი და გურიელი თავიანთი ლაშქრით გაჰყვნენ და არაგვამდე მიაცილეს. აქ მას დავით ჯანდიერის მეთაურობით ქართველები შეეგებნენ. თეიმურაზი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას და ყიზილბაშთაგან კახეთის ციხეების განთავისუფლება განაგრძო[99].

კახეთის აჯანყებას შირვანიც აჰყვა, რომელიც არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. შირვანელების აჯანყებას სათავეში ჩაუდგა შაჰის ერთ-ერთი სარდალი, წარმოშობით შირვანელი დელი

---

[98] გურჯი მეჰმედ ფაშა წარმოშობით ქართველია, ჩვენი ვარაუდით მეჰმედი (გურჯი) სულთან სულეიმან კანუნის მეფობის უკანასკნელ წლებში უნდა მოეტაცათ საქართველოდან და ტყვედ გაეყიდათ ოსმალეთში. იგი მოხვდა დიდი ვეზირის რემიზ ალი ფაშას მსახურთა რიცხვში. შემდეგ კი ალი ფაშამ სულთანის სასახლეში მიიყვანა. სულთან აჰმედ პირველის (1603—1617) ტახტზე ასვლის ორი კვირის შემდეგ იგი სასახლის აღად დანიშნეს. ამის შემდეგ გურჯი მეჰმედ ფაშა სწრაფად დაწინაურდა და ოსმალეთის სახელმწიფოში სხვადახსვა მაღალი თანამდებობა ეკავა: იგი იყო ეგვიპტისა და ბოსნიის ბეგლარბეგი. სამჯერ იყო დიდი ვეზირის მოვალეობის აღმსრულებელი და სხვა. 1626 წლის აგვისტოში გურჯი მეჰმედ ფაშა 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. (Mufassal Osmanlı Tarihi, c. IV, s. 1848).

[99] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა. გ. ს ა ა კ ა ძ ე, გვ. 100—106; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 310—317.

მელიქი. მან თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და ერთგულება განუცხადა[100].

კახელებისა და შირვანელების გაერთიანებულმა ლაშქარმა კახეთისა და შირვანის ციხეები აიღო და ორივე ქვეყანა ყიზილბაშებისაგან გათავისუფლდა.

კახეთ-შირვანის აჯანყება სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. შაჰ-აბასმა კახეთის აჯანყების ამბავი რომ შეიტყო, სასწრაფო ზომები მიიღო და საომარ სამზადისს შეუდგა.

სპარსელებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ოსმალეთის ლაშქარი, რომელიც ირანის წინააღმდეგ საომრად გაემართა, მეტად ნელა მოქმედებდა. ამან კი შაჰს საშუალება მისცა ძირითადი სამხედრო ძალები სასწრაფოდ კახეთის აჯანყების ჩასაქრობად გადაესროლა.

ოსმალეთის ლაშქარი დიდი ვეზირის სარდლობით, რომელიც 1615 წლის 22 მაისს სტამბოლიდან გაემგზავრა, მხოლოდ 26 აგვისტოს ჩავიდა ალეპოში.

ამასობაში ოსმალეთში დიდ ვეზირ ნასუჰ ფაშასთან გაგზავნილი ელჩი მოჰამედ ბეგ თალეში ირანში დაბრუნდა[101].

სტამბოლიდან დაბრუნებულმა ირანის ელჩმა მოჰამედ-ბეგ თალეშმა შაჰ-აბასს მოახსენა, რომ „საქართველოს მეფეების, ლუარსაბისა და თეიმურაზისაგანაც ხონთქარს მოუვიდა უმდაბლესი არზები. ისინი თავის თავს ოსმალეთის ხელმწიფის ქვეშევრდომებად აცხადებენ და ოსმალებს აქეზებენ ამ მხარესთან (ირანთან) ზავი დაარღვიონ“[102].

აქ, ცხადია, ირანის ელჩს საუბარი აქვს სტამბოლში ჩასულ ქართველ ელჩებზე, რომლებიც სულთანს დახმარებას თხოვდნენ შაჰის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისქანდერ მუნშის გადმოცემით, როდესაც მუჰამედ ბეგ თალეში ოსმალეთიდან ირანში ბრუნდებოდა, გზად საქართველოში შეიარა და შეიტყო, რომ საქართველოს საზღვარზე ბოროტმოქმედებმა შეიპყრეს ინჯილე ჩაუში (ირანში მყოფი ოსმალეთის ელჩი) თავისი ამალით[103].

---

[100] И. Г. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII вв., Сбор. статей по истории Азербайджана. вып. I, Баку, 1949, стр. 249.

[101] ისქანდერ მუნში. თარიხ-ი..., ტ. II, გვ. 879, ისქანდერ მუნში, გვ. 92, 93.

[102] იქვე.

[103] ისქანდერ მუნში. თარიხ-ი... ტ. II, გვ. 879.

ცნობიდან არ ჩანს, თუ ვინ იყვნენ ეს „ბოროტმოქმედნი“, რომლებმაც შეიპყრეს ოსმალეთის ელჩი. სპარსელი მემატიანე შეგნებულად არ ასახელებს მათ. მუნშის თხრობიდან შეიძლება გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ ესენი იყვნენ მეამბოხე ქართველები, რომლებიც მოქმედებდნენ ირან-ოსმალეთის „სამშვიდობო ხელშეკრულების საზიანოდ“[104]. თვით მუნშის მოაქვს მუჰამედ ბეგ თალეშის ცნობა, რომელიც მოწმობს ქართველ მეფეთა ორიენტაციას ოსმალეთზე ამ პერიოდში. ამიტომ ქართველების მიერ სულთნის ელჩის დატყვევება არ იყო მოსალოდნელი.

ამ საკითხის გასარკვევად საყურადღებო ცნობები მოიპოვება რუსულ დიპლომატიურ წყაროებში.

1615 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საქართველოში მყოფ შაჰ-აბასთან გამოცხადდა ოსმალეთის ელჩი და შაჰს სხვა საკითხებთან ერთად შემდეგი განუცხადა: „... О Грузинской земле говорил (турецкий посол — М. С.), что шах разорил напрасно за шерстью, а та де Грузинская земля ни с кем не воевалась, жили де они промеж великих государств, Турского и Московского и Кизылбашского мирны все их окрестные государи жаловали, берегли»[105].

ეს ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ისიც ადასტურებს ოსმალეთის ელჩის ყოფნას საქართველოში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ოსმალეთის სულთანი საქართველოს სცნობდა ნეიტრალურ სახელმწიფოდ, რომელიც მშვიდობიან მეზობლურ ურთიერთობაში იყო რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის სახელმწიფოებთან. ამგვარად, ოსმალეთი შაჰის წინაშე რუსეთს ოფიციალურად აღიარებდა მესამე დიდ სახელმწიფოდ. რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოთი.

შაჰმა ოსმალეთის ელჩს განუცხადა, რომ „საქართველო ძველთაგანვე მისი ხელდებულია და რომ მან ქართველები ღალატის გამო დაისჯა და თურქებს ამაში არავითარი საქმე არა აქვთ“[106].

სხვა ცნობიდან ირკვევა, რომ შაჰ-აბასმა სულთანს მოსთხოვა თეიმურაზ მეფე მისთვის გადაეცა, წინააღმდეგ შემთხვევაში... „Турской царь, грузинского царя отдади ему не велити, и у него дей у шах Бас, с ним, с турским царем, миру и братство и до веку не бывати»[107].

---

[104] ისქანდერ მუნში, თარიხ-ი..., ტ. II, გვ. 879.

[105] Н. И. Веселовский, Памятники, т. II, стр. 229.

[106] იქვე.

[107] იქვე, ტ. 3, გვ. 352.

ამგვარად, საქართველოს საკითხში ირანის შაჰისა და ოსმალეთის სულთნის პოზიციები რადიკალურად ერთმანეთის საპირისპირო იყო და შექმნილ ვითარებაში დიპლომატიური მოლაპარაკების გზით შეუძლებელი იყო მათი მორიგება.

შაჰ-აბასი ოსმალეთთან ურთიერთობაში ოფიციალურად აცხადებდა, რომ ქართლ-კახეთის მეფეები მისი ვასალები იყვნენ და რომ იგი ამ ქვეყნების საქმეში ოსმალეთის ჩარევას არ დაუშვებდა.

ყოველივე ამის გამო შაჰ-აბასი სულთნის ელჩის დემარშით უკმაყოფილო იყო «и на турскови де посла шах кручинился»[108].

საფიქრებელია, რომ სწორედ საქართველოში, შაჰ-აბასთან შეხვედრის შემდეგ მოხდა ოსმალეთის ელჩისა და მისი ამალის შეპყრობა და ეს შაჰის ბრძანებით უნდა ყოფილიყო ჩადენილი.

ოსმალეთის სულთნის კარზე შექმნილმა სიტუაციამ, რომელიც შაჰს გააცნო მოჰამედ ბეგ თალეშმა და განსაკუთრებით კი კახეთში დაწყებულმა აჯანყებამ, აიძულა შაჰ-აბასი სულთანთან მოლაპარაკების გზით თავიდან აეცდინა ოსმალეთთან ომი და ამ მიზნით შაჰმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა.

შაჰ-აბასმა ოსმალეთის ელჩი ინჯილუ ჩაუში პატიმრობიდან გაათავისუფლა და მასთან ერთად სტამბოლში გაგზავნა თავისი ელჩი ყასემ ბეგი, — მაზანდერანის სარდალი[109].

ყასემ ბეგს უნდა გადაეცა სულთნისათვის ძვირფასი საჩუქრები[110] და შაჰის წერილი, რომელშიც ეწერა: „ჭეშმარიტების მიზნით წარმატების მიღწევა საღვთო ომში სიმშვიდის საფუძველია. ზოგიერთმა ურჯულო ქართველმა, რომლებიც ძველთაგანვე იყვნენ ამ დინასტიის ქვეშევრდომნი და ხარკის გადამხდელნი, ამაზე უარი თქვეს და ურჩობა გამოავლინეს. ისლამის კეთილდღეობის მიზნით და მეამბოხეთა დასჯისა და დარღვევის აღმოფხვრისათვის, ამ მხარეს (საქართველოს) მოულოდნელად თავს დავესხით, საღვთო ომში გამარჯვე-

---

[108] Н. И. Весселовский, Помятники, т. III, стр. 352.

[109] ისჭანდერ მუნში. თარიხ-ი..., ტ. II, გვ. 879.

[110] ისჭანდერ მუნშის ცნობით, სულთანისათვის მისართმევ საჩუქრებს შორის იყო საქართველოდან წამოღებული ძვირფასი თვლებით მოჭედილი და ინკრუსტაციით დამშვენებული გვირგვინი, რომელიც ეკუთვნოდა ალავერდის ეკლესიის ეპისკოპოსს (ისისჭანდერ მუნში, დასაბ. ნაშრომი, გვ. 879, 874). მ. ნაიმას ცნობით, ირანის ელჩმა სტამბოლში აგრეთვე ჩაიტანა საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აბრეშუმი. (تاريخ نعيما, ტ. II, გვ. 135). ზემოთ მოტანილი ფაქტების გათვალისწინების შემდეგ მცდარია „ოსმალეთის ვრცელი ისტორიის“ ავტორთა შესედულება, რომ ირანის ელჩის, ყასემ ბეგის დაპატიმრების მიზეზი იყო ის, რომ მას სტამბოლში ჩასვლისას არ ჰქონდა არც საჩუქრები და არც წერილი (Mufassal Osmanli Tarihi, c. IV, s. 1800).

ბას მივაღწიეთ და მრავალი ქრისტიანული ეკლესია და ტაძარი ისლამის ხალხისა და რელიგიის მეჩეთებად ვაქციეთ"[111].

ყასემ ბეგის ოსმალეთში ელჩობის მიზანი იყო დაერწმუნებინა სულთანი, რომ შაჰ-აბასის ლაშქრობა საქართველოში გამოწვეულ იყო ისლამის საერთო ინტერესების დაცვით: შაჰის მტკიცებით, „ჯეშმარიტების მიზნით წარმატების მიღწევა საღვთო ომში იყო საფუძველი სიმშვიდისა", რასაც ბუნებრივია, არ უნდა გამოეწვია სულთნის გულისწყრომა. შაჰ-აბასი მაქსიმალურად იყო დაინტერესებული დაემალა სულთნისათვის საქართველოში ლაშქრობის ნამდვილი მიზეზი. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დიპლომატიურმა ფანდმა შედეგს ვერ მიაღწია. ოსმალეთისათვის ნათელი იყო შაჰის მოქმედების ნამდვილი არსი. სულთანი უკმაყოფილო იყო შაჰ-აბასის პასუხით, ამიტომ ოსმალეთში ჩასული ირანის ელჩი[112] პროტესტის ნიშნად, სულთნის ბრძანებით, დააპატიმრეს[113].

ამგვარად, თუ გავაანალიზებთ 1613—1615 წლების ირან-ოსმალეთის ურთიერთობას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ შაჰ-აბასის ლაშქრობა საქართველოში იყო მთავარი მიზეზი ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებისა (1615 წ.).

ალეპოში მყოფი დიდი ვეზირი, ოქუზ მეჰმედ ფაშა, მეტად ნელა მოქმედებდა. დაზამთრდა. ზამთრის მოახლოვების გამო, ოსმალეთის ლაშქარი ალეპოს მიდამოებში დაბანაკდა და ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა მომავალი წლის (1616 წ.) გაზაფხულისათვის გადაიდო.

1616 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემართა. გზაზე მას ამიერკავკასიის მაჰმადიანი სამფლობელოების მმართველები უერთდებოდნენ თავიანთი ლაშქრით.

კახეთს ორი მხრიდან შეუტიეს: დასავლეთიდან, ქართლის მხრიდან შაჰ-აბასმა, ხოლო შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ ხანი აღმოსავლეთიდან, შირვანის მხრიდან უნდა შეჭრილიყო კახეთში. შაჰი ქართლში შემოვიდა და თბილისს მოაღწია. ქართლის მმართველად

---

[111] ისჰანდერ მუნში, თარიხ-ი..., ტ. II, გვ. 879, 880.

[112] 1615 წლის 26 აგვისტოს, როდესაც ოსმალეთის დიდი ვეზირი ოქუზ მეჰმედ ფაშა ალეპოში იმყოფებოდა, მას აცნობეს, რომ შაჰ-აბასის ელჩი ყასემ ბეგი, ირანში მყოფ ოსმალეთის ელჩ ინჯილუ ჩაუშთან ერთად, ერევანში ჩავიდნენ. დიდმა ვეზირმა მათ ყურადღება რა მიაქცია და ისინი პირდაპირ სტამბოლისაკენ გაემგზავრენ (Mufassal Osmanlı Tarihi, c. IV, s. 1800).

[113] ი ქ ვ ე. ყასემ ბეგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს აჰმედ I-ის (1617 წ. 22 ნოემბერს) სიკვდილის შემდეგ.

ბაგრატ-ხანი (დაუდ-ხანის შვილი) დანიშნა, შემდეგ კახეთში გადავიდა და იქ დაბანაკდა.

თეიმურაზი ვარაუდობდა, რომ ოსმალეთის ლაშქარი, რომელიც ალეპოს მიდამოებში იყო განლაგებული, 1616 წლის გაზაფხულიდან შეტევას დაიწყებდა ირანის წინააღმდეგ და მნიშვნელოვნად შეავიწროებდა ირანელებს. ეს კი საგრძნობლად გააუმჯობესებდა კახეთის მდგომარეობას და საშუალებას მისცემდა ქართველებს დაეცვათ თავი შაჰის აგრესიისაგან. მაგრამ თეიმურაზის იმედები არ გამართლდა.

თეიმურაზი აღმოჩნდა გამძვინვარებული შაჰ-აბასის პირისპირ. დადგა საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღე. მეორე ლაშქრობის დროს შაჰ-აბასმა საშინლად აოხრა საქართველო[114].

1616 წლის 18 აპრილს დიდი ვეზირი — ოქუზ მეჰმედ ფაშა ალეპოდან არზრუმისაკენ გაემართა. გზაში მას ახალ-ახალი სამხედრო ნაწილები უერთდებოდა. არზრუმიდან დიდი ვეზირი ყარსში ჩავიდა, ციხე გაამაგრა და იქ 4300 მეციხოვნე ჩააყენა. ყარსიდან ოქუზ მეჰმედ ფაშა ერევნისაკენ გაემართა და ქალაქს ალყა შემოარტყა. შაჰმა ერევნის ციხის დაცვა ამირგუნე ხანს დაავალა. ოსმალებმა ვერ შეძლეს ერევნის აღება, 5 ნოემბერს ოქუზ მეჰმედ ფაშამ ერევანს ალყა მოხსნა და არზრუმში დაბრუნდა. დაზამთრდა. დიდმა ვეზირმა გადაწყვიტა ირანს დაზავებოდა. მართლაც, მებრძოლ მხარეთა შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც განახლდა 1612 წლის ზავის პირობები[115].

სულთანი უკმაყოფილო იყო ირანთან ომის შედეგებით, მან დიდი ვეზირი ოქუზ მეჰმედ ფაშა გადააყენა და მის ადგილზე, 1617 წელს, დანიშნა ჰალილ ფაშა.

1617 წლის 15 ივნისს ჰალილ ფაშამ სტამბოლი დატოვა, ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა და აგვისტოში ლაშქარი დიარბექირში ჩავიდა. ვინაიდან ოსმალეთის ლაშქარი მეტად დაქანცული იყო დიდი მანძილის გავლით, მთავარსარდალმა გადაწყვიტა ომში არ ჩაბმულიყო და საზამთროდ დიარბექირში დაბანაკებულიყო.

როდესაც შაჰ-აბასმა შეიტყო, რომ ოსმალები აპირებდნენ ახალი შეტევის დაწყებას ირანის წინააღმდეგ, მან ყარჩიხა-ხანს დაავალა შეჭრილიყო არზრუმისა და ვანის ოლქებში და სასტიკად აეოხრებინა

---

[114] დაწვრილებით იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 312—317; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 106—114.

[115] نعيما تاريخ, ტ. II, გვ. 143; Mufassal Osmanli Tarihi, c. IV, s. 1801.

ეს მხარეები, რათა ოსმალეთის ლაშქარს დიდად გაძნელებოდა ამ აღგილებში გავლა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ჰალილ ფაშა დასაზამთრებლად დაბანაკდა არა არზრუმსა და ვანში, არამედ დიარბექირში[116].

დიარბექირში ჩასვლის შემდეგ, დიდმა ვეზირმა გურიის ბეგისაგან წერილი მიიღო, მასში აღნიშნული იყო, რომ ირანალები აპირებენ თავს დაესხან იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს. ამასთან დაკავშირებით ბათუმის ბეგლარბეგს ომერს, ჩილდირის ბეგს მურთაზას და საფარ ფაშას, ეიალეთისა და სანჯაყების გამგებლებს — ბრძანება მიეცათ თავისი ლაშქრით საქართველოსაკენ წასულიყვნენ. ასეთივე ბრძანება გაუგზავნეს, აგრეთვე, არზრუმსა და ტრაპიზონში მყოფ იანიჩარებსაც[117].

შაჰ-აბასის მიერ კახეთში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თეიმურაზ მეფე იძულებული შეიქნა კვლავ დასავლეთ საქართველოში წასულიყო. იქიდან „შეჰირვებულ-მან თეიმურაზ წარავლინა კაცი წინაშე ხონთქრისა სტამბოლს და ითხოვა სადგურ და შეწევნა მისგან"[118]. სტამბოლში გაგზავნილმა თეიმურაზის ელჩმა შეასრულა დავალება: „ხოლო მუნ მოვიდა წარგზავნილი სტამბოლიდამ და აღუთქვა შეწევნა და მწე ყოფა ხონთქარსა და მოებოძა გონია და ახალ-ციხის გამო რომელნიმე დაბნები"[119].

ქართული წყაროებიდან არ ჩანს თუ ვინ იყო თეიმურაზის ელჩი და როდის გაემგზავრა იგი სტამბოლს. ქართული წყაროების მონაცემებს აზუსტებენ, ავსებენ და ბევრ ახალ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან რუსული წყაროები. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ ელჩის ჩვენება რუსეთის სამეფო კარზე. «А посылал-де Теймураз царь просить людей на помочь к турскому и х крымскому его игумена Харитона. И турской-де, по ево прошенью, ратных людей на шаха дал его Теймураза царю отпустил з грамотою. И Теймураз царь прислал в Крым о помочи его же, и крымский -де царь ратных людей отпустил же. И он-де ис Крыму опять сздил к государю своему... И Теймураз-де опять послал бы ево к турскому Асман-салтану. И он-де с турскими и с крымскими

---

[116] نعيما چيلر, II, s. 143. Mufassal Osmanli Tarihi, c. IV, s. 1801.
[117] ვახუშტი, გვ. 180.
[118] იქვე.
[119] იქვე.

ратными людьми встретился, а они сошлись в городе в Ызруме многие люди. И он-де опять воротился к государю своему»[120].

ამ ცნობიდან საყურადღებოა შემდეგი: თეიმურაზ მეფემ სულთანთან გაგზავნა იღუმენი ხარიტონი. იგი სტამბოლში ორჯერ ყოფილა და იქიდან ყირიმშიაც იმოგზაურა. მართალია, აქ არაა მითითებული წლები ხარიტონის მიმოსვლისა, მაგრამ ისტორიული სინამდვილის ანალიზი გვაძლევს ამის დადგენის შესაძლებლობას.

ჩვენი აზრით, პირველად ხარიტონი სტამბოლში ჩავიდა 1617 წლის 22 ნოემბრამდე (ე. ი. აჰმედ I სიკვდილამდე), რადგან ერთ-ერთი ცნობით:

«И дал-де ему (Теймуразу — М. С.) Ахмет салтан своих городов блиско рубежа грузинские земли 3 города: город Олтис, город Намурдан, город Артанес со всеми уездны, с села и з деревнями»[121].

ქართულ წყაროებიდან კი ცნობილია, რომ სწორედ ამ ელჩობის შედეგად უბოძა სულთანმა თეიმურაზს მიწები გონიოსა და ახალციხის საფაშოში.

სტამბოლიდან ხარიტონი თეიმურაზის დავალებით ყირიმში უნდა ჩასულიყო 1617 წლის დასასრულს ან 1618 წლის დამდეგს, ხოლო იქიდან კი ადრე გაზაფხულზე თეიმურაზთან უნდა დაბრუნებულიყო.

მეორედ ხარიტონი სტამბოლში უნდა ჩასულიყო 1618 წლის 26 თებერვლის შემდეგ, რადგან ამ დროს ავიდა ტახტზე ოსმან II (აჰმედ I სიკვდილის შემდეგ ტახტზე აიყვანეს გონებასუსტი მუსტაფა I, მაგრამ სულ მალე იანიჩარებმა იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და ოსმან II გაამეფეს). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეორედ ხარიტონი მიუღია ოსმან II (Асман султан), ე. ი. ხარიტონი სტამბოლიდან უნდა დაბრუნებულიყო 1618 წლის მაისამდე, ოსმალეთის გალაშქრებამდე ირანის წინააღმდეგ.

რა იყო მიზეზი, რისთვის გაგზავნა თეიმურაზმა ხელმეორედ ხარიტონი სტამბოლში? ჩვენი აზრით, ხარიტონს სულთნისათვის უნდა ეცნობებინა ყირიმის ხანთან მოლაპარაკების შედეგი, მაგრამ მთავარი მიზეზი იღუმენის ჩასვლისა სხვა იყო. თეიმურაზ მეფე უდაოდ დიდად იყო შეწუხებული ოსმალეთის ჯარების მთავარსარდლის ჰალილ ფაშას უმოქმედობით, რომელიც 1617 წ. დიარბექირში იდგა და ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად არავითარი რეალური ნაბიჯი არ გადაუდგამს. ცხადია, თეიმურაზ მეფეს ახალი სულთნისაგან სურ-

[120] М. Полиевктов, Материалы..., стр. 41.

[121] იქვე. გვ. 63.

და გაეგო ირანის წინააღმდეგ მომავალი ლაშქრობის გეგმები, რის გამორკვევაც ხარიტონისათვის უნდა დაევალებინა. ხარიტონმა ჭარმატებით შეასრულა რთული დიპლომატიური მისია სტამბოლსა და ყირიმში, სულთანმა აჰმედ I თეიმურაზ მეფეს სარჩოდ უბოძა აღგარლები გონიოსა და ახალციხის საფაშოში. ხოლო სულთან ოსმან II-მ და ყირიმის ხანმა თეიმურაზს სამხედრო დახმარება აღუთქვეს. მათი ლაშქარი არზრუმში შეიკრიბა და ემზადებოდა ირანის წინააღმდეგ შეტევის დაწყებისათვის.

1618 წლის მაისში ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰალილ ფაშას სარდლობით, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობას იღებდა ყირიმის ხანის 15 ათასიანი კავალერია, შეტევაზე გადავიდა ირანის წინააღმდეგ. შეტევის მთავარი მიმართულება სამხრეთ აზერბაიჯანი იყო.

ჰალილ ფაშას ევალებოდა აგრეთვე საქართველოსაკენ გაეშვა, თბილისის დაკავება და თეიმურაზის აღდგენა ტახტზე[122]. ირანის წინააღმდეგ ომში თეიმურაზ მეფის მეთაურობით ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას: შაჰ-აბასის კარზე მყოფი ესპანეთის ელჩის დონ გარსია დე-სილვა ფიგეროას ცნობით, 3 ათასი ქართველი, თეიმურაზის წინამძღოლობით, ოსმალთა მეწინავეში ირანელების წინააღმდეგ იბრძოდა[123]. თეიმურაზის მონაწილეობას ირანის წინააღმდეგ ომში ადასტურებენ აგრეთვე რუსული წყაროებიც[124].

ოსმალეთის ლაშქარი, ბითლისისა და ვანზე გავლით, პირდაპირ თავრიზისაკენ გაემართა. შაჰის ბრძანებით თავრიზი ევაკუირებულ იქნა და ქალაქი უბრძოლველად დანებდა ოსმალებს. თავრიზიდან ოსმალთა ლაშქარმა გეზი არდებილისაკენ აიღო.

1618 წლის სექტემბრის დასაწყისში ოსმალეთის ლაშქარი არდებილს მიუახლოვდა (და ის იყო ქალაქი მტერს უნდა დანებებოდა), ირანი პანიკამ მოიცვა, ხოლო თვით შაჰ-აბასი შიშმა შეიპყრო. შაჰ-აბასი შეეცადა რაც არ უნდა დაჯდომოდა, ოსმალეთთან ზავი დაედო. გადმოგვცემენ, რომ შაჰ-აბასმა საიდუმლოდ ოსმალეთის ელჩს ქრთამი შესთავაზა ზავის დადების შემთხვევაში.

---

[122] Pietro Della Vallé, Voyages, v. IV, p. 131, 132.

[123] L'Ambassade Don Garsias de Silva Figueroa en Perse, pp. 266, 267.

[124] «Августа в 19-м числе (1618 г.-М. С.) меж Тевриза и Родисля был бой Кърчеге беку с турского людьми, и Божиею помощью шаховы люди Кагчага бек турского царя людей побил и многих живых взял, а на том дей бою был крымский Джан бек Гирей царь, да грузинской Теймураз царь», (Н. И. Веселовский, Памятники..., т. III, стр. 402, 422.).

სამხედრო გამარჯვებებით წახალისებულმა დიდმა ვეზირმა ჰალილ ფაშამ შაჰ-აბას გაუგზავნა ელჩი ოსმან აღა და ზავი შესთავაზა. დიდმა ვეზირმა ზავის დადების პირობად შემდეგი მოთხოვნები წამოაყენა: ირანი ოსმალეთს დაუბრუნებდა 1590 წლის ზავით დაპყრობილ ტერიტორიებს, სეფიანთა უფლისწულს მძევლად სტამბოლში გაგზავნიდა და ყოველწლიურად აბრეშუმის გარკვეულ რაოდენობას გადაიხდიდა[125].

შაჰ-აბასმა უარყო ზავის პირობები, მაგრამ მოლაპარაკება ამით არ შეწყვეტილა. ოსმალეთმა, უნიჭო სარდლობის გამო, უპირატესობა ვერ გამოიყენა და ომი წააგო. სერაფის მახლობლად ოსმალეთის ლაშქარი დამარცხდა და ირანი აშკარა განადგურების საფრთხეს გადაურჩა[126].

1618 წლის 26 სექტემბერს ოსმალეთსა და ირანს შორის სერაფში (სამხრეთ აზერბაიჯანი) ზავი დაიდო. ამ ხელშეკრულებით განახლებულ იქნა 1612 წლის ზავის პირობები, იმ განსხვავებით, რომ ირანი ოსმალეთს გადაუხდიდა არა 200 იუქ, არამედ 100 იუქ აბრეშუმს[127].

სერაფის ზავის პირობები ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო. სულთანმა ეს ზავი არ დაამტკიცა და ჰალილ ფაშა გადააყენა დიდი ვეზირის თანამდებობიდან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სულთნის უკმაყოფილოების მიზეზი ამჯერადაც ახალციხის საფაშოს საკითხი იყო, რომელიც ფაქტიურად ოსმალეთის გავლენის სფეროდ რჩებოდა. მაგრამ ხელშეკრულებაში იურიდიულად ეს არ იყო გაფორმებული.

1619 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასმა სულთანთან ძვირფასი საჩუქრებით თავისი ელჩი ბურუნ ყასემი გაგზავნა. ოსმალეთთან მოლაპარაკების შედეგად, 1619 წლის 29 სექტემბერს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი განახლდა (ზოგი ისტორიკოსი მას რატიფიკაციას უწოდებს).

ზავის პირობების მიხედვით, ირანსა და ოსმალეთს შორის ძირითადად დადგინდა ის საზღვარი, რომელიც სულთან სულეიმან კანუნის დროს იყო დაწესებული. იმ ცვლილებით, რომ ახალციხის ეიალეთი ოსმალეთს დარჩებოდა, ხოლო ბაღდადის ეიალეთში მდებარე დერნესა და დერთენკის სანჯაყები ირანს გადაეცემოდა. ირანს ოსმა-

---

[125] L. Bellan, Chah Abbas, p. 239.

[126] L. Bellan, Chah Abbas, p. 237; Mufassal Osmanlı Tarihi, c. IV, s. 1802, 1803.

[127] Mufassal Osmanlı Tarihi, c. IV, s. 1807; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 152; J. Hammer, v. VIII, p. 242, 243; L. Bellan, Chah Abbas, pp. 241—248.

ლეთის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ყოველწლიურად 100 იუქი აბრეშუმი და სხვა[128].

1619 წლის საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი ის იყო, რომ შაჰ-აბასი ამჯერად იძულებული შეიქნა ოფიციალურად ეცნო ახალციხის ეიალეთი ოსმალეთის სამფლობელოდ[129]. მართალია, ოსმალეთი ირანს სანაცვლოდ დერნესა და დერთენგის სანჯაყებს უთმობდა, მაგრამ ამ სანჯაყების ხვედრითი წონა მეტად უმნიშვნელო იყო.

ამგვარად, ამ ზავით ირანმა ახალციხე ოსმალეთს „დაუთმო". ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ირანი ოფიციალურად, ე. ი. სათანადო ხელშეკრულებით ცნობდა ოსმალეთის „უფლებას" ახალციხის ეიალეთზე. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ირანი ახალციხეზე საბოლოოდ ხელს იღებდა. შაჰ-აბასი დროებით უკან იხევდა, ძალებს იკრებდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ახალი ომისათვის ემზადებოდა.

1615—1618 წლების ირან-ოსმალეთის ომის შედეგად თეიმურაზ მეფემ თავის მიზანს ვერ მიაღწია. მან ვერ შეძლო ოსმალეთის დახმარებით აღედგინა თავისი ხელისუფლება კახეთში. მაგრამ ვერც შაჰ-აბასმა მოახერხა „გურჯისტანის საკითხის" ერთხელ და სამუდამოდ ირანის სასარგებლოდ გადაჭრა.

ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ, თეიმურაზ მეფემ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა (იმერეთი, სამეგრელო, გურია) გადასწყვიტეს დახმარებისათვის რუსეთის მეფისათვის მიემართათ. ამ მიზნით, 1618 წლის ოქტომბერში, მათ რუსეთის მეფესთან თავიანთი ელჩი იღუმენი ხარიტონი გაგზავნეს და რუსეთის ხელმწიფეს დახმარება და მფარველობა სთხოვეს[130].

ხარიტონმა რუსეთის მთავრობას განუცხადა: «А вперед-де ему ни турского и на крымского ненадежно, потому что оне мусульманские веры, а не их крестьянские»[131].

ამგვარად, შექმნილ ვითარებაში, საქართველოს მეფე-მთავრებს

---

[128] Mufassal Osmanli Tarihi, c. IV, s. 1807; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 152; J. Hammer, v. VIII, p. 242 243; L. Bellan, Chah Abbas, pp. 241—248.

[129] ისქანდერ მუნშის ცნობით, „თუმცა მისი უდიდებულესობა შაჰი არ თანხმდებოდა ახალციხის დათმობაზე, მაგრამ... ორივე მხარის ქეთილმსურველთა თხოვნის გამო თანახმა შეიქნა". ისქანდერ მუნში, გვ. 116.

[130] М. А. Полиевктов, Материалы..., стр. 40—46; დაწვრილებით ამ ელჩობის შესახებ იხ. Н. Т. Накашидзе, указ. соч., стр. 60—75.

[131] М. А. Полиевктов, Материалы..., стр. 41.

ერთმორწმუნე. ქრისტიანული რუსეთი მიაჩნდათ ერთადერთ რეალურ ძალად, რომელიც შეძლებდა მათთვის დახმარების აღმოჩენას.

იმ დროისათვის რუსეთში შექმნილი საშინაო და საგარეო მდგომარეობა რუსეთს საშუალებას არ აძლევდა აქტიური დახმარება გაეწია საქართველოსათვის. ეს ცნობილი იყო ქართველი დიპლომატებისათვის, ამიტომ ისინი რუსეთის ხელმწიფისაგან მოითხოვდნენ მხოლოდ დიპლომატიურ მხარდაჭერას.

ირანში გაგზავნილ რუსეთის ელჩებს მიცემული ჰქონდათ მითითება მოეთხოვათ შაჰისაგან, რომ მას უარი ეთქვა საქართველოს წინააღმდეგ მტრულ მოქმედებაზე, დაებრუნებინა თეიმურაზისათვის მისი სამეფო და გაეთავისუფლებინა ირანში მყოფი თეიმურაზის დედა და შვილები. თავის მხრივ, მოლაპარაკების მსვლელობაში შაჰ-აბასი მოითხოვდა, რომ რუსეთის მეფეს ზეგავლენა მოეხდინა თეიმურაზზე და ჩამოეცილებინა იგი ოსმალეთისაგან[132].

შაჰ-აბასი ყველა საშუალებას მიმართავდა, რათა გაეწყვიტა თეიმურაზის კავშირი ოსმალეთთან, მაგრამ ამაოდ. თეიმურაზმა კარგად იცოდა შაჰის ნამდვილი მიზნები საქართველოს მიმართ და მას არ ენდობოდა[133].

თეიმურაზ მეფის აზრით, ამ დროს ოსმალეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო სამხედრო საფრთხე შეეჭმნა ირანისათვის. მან მიიღო გადაწყვეტილება წასულიყო სტამბოლში და პირადად ეთხოვა დახმარება სულთნისათვის ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თეიმურაზ მეფის სტამბოლში ელჩობის თარიღთან დაკავშირებით წყაროებში ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოიპოვება. ამ თარიღების დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ ელჩობის შედეგების გასათვალისწინებლად.

ვახუშტი თეიმურაზის სტამბოლში ჩასვლას 1620 წლით ათარიღებს, მაგრამ იმასაც მიუთითებს, რომ თეიმურაზი „კეთილად შეიწყნარა სულტანმა მუსტაფამ“[134]. აქ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობაა, რადგან სულთანი მუსტაფა 1620 წელს არ მეფობდა. მუს-

---

[132] დაწვრილებით იხ. Н. Т. Накашидзе, указ. соч., стр. 60—63, 67—75.

[133] ცხადია, შაჰ-აბასს არც თეიმურაზ მეფის რუსეთთან კავშირი მოსწონდა, შაჰ-აბასმა გადასწყვიტა ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირის გამო შური ეძია თეიმურაზის ოჯახის წევრებზე. 1620 წ. თეიმურაზის ვაჟები ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შედეგად უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა და რამდენიმე წლის შემდეგ წამებით გარდაიცვალა. უფრო გვიან დიდი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯა თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი. 1622 წელს შაჰ-აბასმა მოაკვლევინა პატიმრობაში მყოფი ქართლის მეფე ლუარსაბი.

[134] ვახუშტი, გვ. 180.

ტაფა I ორჯერ იმეფა: პირველად 1617 წ. 22 ნოემბრიდან — 1618 წ. 26 თებერვლამდე და მეორედ — 1622 წ. 22 მაისიდან — 1623 წლის 10 სექტემბრამდე[135]. ვახუშტის ცნობებიდან, თუ რომელია სარწმუნო, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

არჩილსა და ბერი ეგნატაშვილის ცნობებით (ისინი თარიღს არ მიუთითებენ), თეიმურაზი სტამბოლში მიიღო სულთანმა იბრაჰიმმა[136]. არც ესაა სწორი, რადგან სულთანი იბრაჰიმ I 1640—1647 წლებში მეფობდა. არჩილის ეს მცდარი ცნობა თავის დროზე უარყო მ. ბროსემ[137].

სხვა ქართულ წყაროებში თეიმურაზის სტამბოლში ელჩობის თარიღი არაა მოცემული.

1624 წელს რუსეთის სამეფო კარზე თეიმურაზის ელჩს არქიეპისკოპ თეოდოსის შემდეგი განცხადება აქვს გაკეთებული სტამბოლში თეიმურაზის ელჩობასთან დაკავშირებით: А как-де турского Ахмет салтана не стало, а на ево месте учинился в Царе-городе сын ево Асман салтан, и Асман салтан присылал к Теймуразу царю, чтоб он с ним видился. И Теймураз-де царь, по ево присылке, к Асман салтану в Царь город приезжал и у Асман салтана был тому лет с пять»[138].

ეს ცნობაც ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია. აჰმედ I სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა არა ოსმანი, არამედ მუსტაფა I და მხოლოდ მისი ჩამოგდების შემდეგ გამეფდა ოსმან II (1618 წ. თებერვალი). ოსმანის ტახტზე ასვლის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზმა 1618 წელს სტამბოლში ელჩად გაგზავნა იღუმენი ხარიტონი. თეოდოსის ცნობის მიხედვით, თეიმურაზი სტამბოლში ყოფილა 1619 წელს არა საკუთარი ინიციატივით, არამედ თვით ოსმან II მიწვევით, რაც აგრეთვე არადამაჯერებლად გვეჩვენება. საქმე ისაა, რომ 1619 წ. სექტემბერში, როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო და მეტად საეჭვოა, რომ ირანთან ზავის დადებისთანავე ოსმანს მიეწვია თეიმურაზი, ან თვითონ თეიმურაზი ჩასულიყო მასთან. თეოდოსის ეს სიტყვები, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ გამოცდილი ქართველი დიპლომატი ცდილობს რუსეთის სამეფო კარზე შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თეიმურაზ მეფე თვით ოსმალეთის სულთნის მიწვევით ჩავიდა სტამ-

---

135 Muiassal Osmanli Tarihi, c. IV, s. 1795, 1826.

136 არჩილი, ტ. II, გვ. 67; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 322.

137 M. Brosset, Histoire de la Georgie, P. II, SPb, 1856, p. 165.

138 М. Полиевктов, Материалы..., стр. 65.

ბოლში და თეიმურაზ მეფის იქ ყოფნა რაც შეიძლება იქით გადასწიოს. ეს მას იმისათვის სჭირდება, რომ შექმნას შთაბეჭდილება, რომ მეფემ სტამბოლში უშედეგო მისიის შემდგ კი არ გაგზავნა იგი (თეოდოსი) ელჩად რუსეთში, არამედ გარკვეული წლების გასვლის შემდეგ. ცხადია, თეოდოსი თეიმურაზის ელჩობას ოსმალეთში უფრო ადრე ვერ გადასწევდა, რადგან თეიმურაზის ელჩი ხარიტონი 1919 წლის მარტში ჩავიდა მოსკოვში და იქ თეიმურაზის წერილი ჩაიტანა. თეოდოსის ცნობას რომ დავუჯეროთ, გამოდის რომ თეიმურაზმა ხარიტონი მოსკოვში გაგზავნა რუსეთის მეფესთან დახმარების სათხოვნელად, თვითონ კი სტამბოლში გაემგზავრა. რაც ჩვენ ნაკლებად დამაჯერებლად მიგვაჩნია.

თეიმურაზ მეფე არც 1620 წელს უნდა ჩასულიყო სტამბოლში, რადგანაც ამ წელს ოსმალეთმა ომი დაიწყო პოლონეთთან და ამ ომში ოსმან II პირადად იღებდა მონაწილეობას. ეს ამბავი არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა თეიმურაზს და ასეთ ვითარებაში სტამბოლში წასვლას აზრი არ ჰქონდა.

ჩვენი აზრით, თეიმურაზ მეფე სულთანთან უნდა გამგზავრებულიყო ხარიტონის მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ (რომელიც მოსკოვიდან წამოვიდა 1621 წ. 13 აპრილს) და ჩამოუტანა თეიმურაზს არც თუ ისე გამამხნევებელი ამბავი. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ თეიმურაზი ოსმალეთში ჩავიდა პოლონეთთან ზავის დადების შემდეგ (ეს ზავი დაიდო 1621 წ. 6 ოქტომბერს).

თეიმურაზ მეფის ელჩობა სტამბოლში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. ამას ისიც მოწმობს, რომ მისი ამალა 500 კაცისაგან შედგებოდა და არ შეიძლება რომ ეს ელჩობა წინასწარ ყოველმხრივ არ ყოფილიყო მომზადებული. თეიმურაზი ამალითურთ სტამბოლში უნდა ჩასულიყო 1622 წლის გაზაფხულზე. იქ ქართველები მოწმე გახდნენ სახელმწიფო გადატრიალებისა და არეულობის. პოლონეთთან ომში დამარცხების შემდეგ ოსმანმა გადაწყვიტა იანიჩართა კორპუსის რეორგანიზაცია, იანიჩარებმა ეს შეიტყვეს, აჯანყდნენ და ოსმან II ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს. 1622 წ. 22 მაისს ხელმეორედ აიყვანეს ტახტზე გონებასუსტი მუსტაფა I (1622—1623 წ. 10 სექტემბერი). ამ დროს სახელმწიფოს მთელ საქმეებს განაგებდნენ სულთნის დედა და 90 წლის ღრმა მოხუცი გურჯი მეჰვედ ფაშა.

ამგვარად, თეიმურაზ I სტამბოლში უნდა ჩასულიყო ოსმან II ზეობის უკანასკნელ თვეებში და, მისი ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, თეიმურაზი უნდა შეხვედროდა ახალ სულთანს მუსტაფა I.

ჩვენი აზრით, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგიერ-

თი წყაროს მიხედვით, თეიმურაზი შეხვდა სულთან ოსმანს, ზოგან კი — მითითებულია მუსტაფა[139].

ამ დროს ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მეტად მძიმე იყო: პოლონეთთან ომში დამარცხება, კაზაკთა გამძლებული თავდასხმები შავი ზღვის მცირე აზიის სანაპიროზე, იანიჩართა თარეში, პროვინციის ფაშების ამბოხებანი და სხვა. ასეთ ვითარებაში ოსმალეთისაგან რაიმე დახმარების მიღება გამორიცხული იყო. პირიქით. ამ დროს ოსმალეთი დაინტერესებული იყო ირანთან ზავის შენარჩუნებით. თეიმურაზ მეფე იმედგაცრუებული გამობრუნდა სტამბოლიდან.

სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ[140], თეიმურაზ მეფე აპირებდა რუსეთში გამგზავრებას[141], მაგრამ, როგორც საფიქრებელია, შაჰ-აბასის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ გააქტიურებამ (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი) შეაცვლევინა თავისი გადაწყვეტილება.

1624 წლის მარტში თეიმურაზ მეფემ რუსეთში გაგზავნა გამოცდილი დიპლომატი არქიეპისკოპოსი თეოდოსი[142]. იგი ჩილდირიდან გაემგზავრა ტრაპიზონის, სტამბოლის, კაფასა და აზოვზე გავლით 1624 წ. დეკემბერში მოსკოვში ჩავიდა[143].

1619 წელს ოსმალეთთან დაზავების შემდეგ შაჰ-აბასი ენერგიულად შეუდგა ირანის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას.

1622 წელს შაჰ-აბასმა მოხერხებულად ისარგებლა ინგლისელებსა და პორტუგალიელებს შორის არსებული წინააღმდეგობით და ინ-

---

[139] ნ. ნაკაშიძე თეიმურაზის სტამბოლში ელჩობას 1618 წლით ათარიღებს (Н. Т. Накашидзе, указ. соч., стр. 60); მ. ბროსე კი ვარაუდით, ეს ელჩობა 1919 ან 1620 წელს უნდა მომხდარიყო. მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ უკიდურეს შემთხვევაში თეიმურაზი სტამბოლში უნდა ჩასულიყო ოსმან II მეფობის დროს და დაბრუნებულიყო მუსტაფა I მეორედ გამეფების შემდეგ (M. Brosset. Histoire de la Géorgie, P. II, p. 165).

[140] პარიზის ქრონიკის ავტორის ცნობით, თეიმურაზ მეფე სტამბოლიდან წაჰყოლია სულთან მურად IV დროს (მურად IV ტახტზე ასულა 1623 წ. 10 სექტემბერს). „სულთან მურად ჰონთკარს მოახსენეს ბატონ თეიმურაზ წასულაო“ პარიზის ქრონიკა, თფ., 1903, გვ. 45.

[141] არჩილი, ტ. II, გვ. 67; ვახუშტი, გვ. 180.

[142] საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თეიმურაზის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩები ჯერ ხარიტონი და შემდეგ თეოდოსი, მოსკოვში ჩასულმდე, ორივენი სხვადასხვა დროს თეიმურაზის დავალებით (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ) სტამბოლში იყვნენ დიპლომატიური მისიით.

[143] თეოდოსის ელჩობა რუსეთში დაწვრილებით და ამომწურავად აქვს შესწავლილი ნ. ნაკაშიძეს, მაგრამ იგი თეოდოსის მოსკოვში ჩასულას შეცდომით 1623 წლით ათარიღებს (Н. Т. Накашидзе, указ. соч., стр. 85).

გლისელების დახმარებით პორტუგალიელები კუნძულ ჰორმუზიდან განდევნა. ჰორმუზის დაპყრობით შაჰ-აბასს საშუალება ეძლეოდა ირანის აბრეშუმი ზღვით სამხრეთ ირანიდან დასავლეთ ევროპაში გაეტანა.

1623 წლის გაზაფხულზე შაჰმა ოზბეგები დაამარცხა და ყანდარი დაიპყრო.

სამხრეთ და აღმოსავლეთ ირანში საქმეების მოგვარების შემდეგ შაჰი კვლავ ოსმალეთს მიუბრუნდა. ეხლა შაჰმა მთელი თავისი ყურადღება ოსმალეთს მიაპყრო და ენერგიულად შეუდგა მის წინააღმდეგ ომის სამზადისს.

შაჰ-აბასმა წარმატებით ისარგებლა ბაღდადში შექმნილი არეულობით და 1623 წლის 28 ნოემბერს ბაღდადი აიღო.

1624 წლის გაზაფხულზე ირანელებმა დაიკავეს მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი.

ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, შაჰ-აბასის ბრძანებით, ამირგუნეხანმა თავისი ჯარებით სამცხეში გაილაშქრა, ახალციხე ოსმალებს ხელიდან გამოჰგლიჯა და ახალციხის გამგებლად სელიმ-ხან შამს ად-დინლუ დანიშნა[144].

ჰორმუზის, ყანდარისა და ბაღდადის დაპყრობის შემდეგ შაჰ-აბასის მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა. იმპერიის სამხრეთ-აღმოსელეთ და დასავლეთ საზღვრებზე მოპოვებული გამარჯვებების შედეგად ირანის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამ დროს შაჰ-აბასის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია.

მაგრამ შაჰს ჯერ კიდევ მოუგვარებელი ჰქონდა „გურჯისტანის საკითხი“ და მან გადაწყვიტა ერთხელ და საბოლოოდ ეს საკითხი ირანის სასარგებლოდ გადაეჭრა.

ამ დროს საქართველოში კვლავ ძლიერდება ანტიირანული განწყობილება. ნაიმას ცნობით: „ფეიჭარ სულთანი (ირანელი სარდალი — მ. ს.) ქართველების სიმრავლემ შეაფიქრიანა და შაჰს შეუთვალა: ქართველები ისევ გამრავლდნენ, აჯნყებაა მოსალოდნელი. ახლა მათი 10 000 ხმალს ითვლიან. ქართველები დაირაზმენ. როგორი იქნება თქვენი ბრძანება“[145]. ხოლო ისქანდერ მუნშის ცნობით, „ქართველ დიდებულებს საიდუმლო კავშირი ჰქონდათ თეიმურაზთან (იგი ამ დროს ოსმალეთში ცხოვრობდა — მ. ს.) და მოსალოდნელი იყო არეულობის დაწყება“[146].

---

144 ისქანდერ მუნში, გვ. 118, 119; Iskender Mounchi, p. 435; L. Bellan, Chah Abbas, p. 269,.

145 نعیما خیارث, ტ. II, გვ. 350.

146 Iskender Mounchi, p. 489; ისქანდერ მუნში, 121.

შაჰ-აბასმა საქართველოს მიმართ საგანგებო ზომები მიიღო:

1625 წლის დასაწყისში შაჰ-აბასმა ყარჩიღა-ხანი საქართველოში გამოისტუმრა და იგი საგანგებო ძალაუფლებით აღჭურვა[147]. ყარჩიხა ხანს შაჰისაგან საქართველოს საქმეების მოგვარება ჰქონდა დავალებული. ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ჯარი, ყარჩიხა-ხანის მეთაურობით და გ. სააკაძის თანხლებით, საქართველოში მოვიდა. შაჰ-აბასს საქართველოს საქმეების მოგვარება შემდეგნაირად ჰქონდა განზრახული: „კახელები, როგორც თეიმურაზ მეფის თავდადებული მომხრეები, უნდა საბოლოოდ ამოეწყვიტათ. კახეთი სულ ყიზილბაშებითა და სხვა თურქმან-თათრებით დაესახლებინათ, ლუარსაბისა და თეიმურაზის მომხრე ქართლის თავადები ირანს უნდა ჩაერეკნათ"[148].

შაჰ-აბასი თავისი ვერაგული გეგმის განხორციელებას გიორგი სააკაძის ხელით აპირებდა. შაჰი მოსტყუვდა, მოურავი შაჰ-აბასის ვერაგულ გეგმას მიუხვდა და სათანადო ზომები მიიღო. საქართველოში ირანის წინააღმდეგ აჯანყება მომწიფებული იყო. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა გ. სააკაძე. მან მისთვის ჩვეული ენერგიით აჯანყების გეგმა შეიმუშავა.

1625 წლის 25 მარტს (ახალი სტილით 7 აპრილს) ქართველებმა მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა ლაშქარი ამოჟლიტეს და ირანელების წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალეს[149].

მარტყოფის ველზე გამარჯვების შემდეგ სააკაძემ მტერს მოფიქრების საშუალება არ მისცა, თბილისი აიღო და ციხეში გამაგრებულ ყიზილბაშთა გარნიზონს ალყა შემოარტყა. ამის შემდეგ მოურავმა განჯა-ყარაბაღის ქვეყნებზე გაილაშქრა და ყიზილბაშები სასტიკად დაამარცხა. ამავე დროს ქართველებმა კახეთში გაილაშქრეს და იქ შემოსახლებული თურქმანები ამოწყვიტეს.

ამასთან ერთად მოურავმა სამცხეში ლაშქარი გაგზავნა, რათა ახალციხე ყიზილბაშთა ხელიდან გამოეგლიჯათ: ქართველებმა ახალციხეს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს[150].

---

147 L. Bellan, Chah Abbas, p. 272.

148 საქართველოს ისტორია, (ნ. ბერძენიშვილის რედ.) გვ. 340.

149 ქართულ ისტორიოგრაფიაში ითვლებოდა, რომ მარტყოფის ბრძოლა მოხდა 1623 წლის გაზაფხულზე, ხოლო მარაბდისა— 1624 წელს. რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ეს თარიღები დაზუსტდა. მარტყოფის ბრძოლა თარიღდება 1625 წლის 25 მარტით, ხოლო მარაბდისა— 1625 წლის 1 იელისით. იხ. მ. სვანიძე, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების თარიღების დადგენისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და მეცნიერ მუშაკთა IV კონფერენციის თეზისები, თბ., 1953. გვ. 56; ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 352.

150 ვახუშტი, გვ. 63.



სურ. 5. გიორგი საააკძე

ოსმალეთის დიდ ვეზირს ჰაფიზ ფაშას, რომელიც ამ დროს დიარბექირში იმყოფებოდა და ბაღდადის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა, მოურავმა ყიზილბაშთა მოჭრილი თავები გაუგზავნა, ირანზე გამარჯვება აუწყა და ოსმალებს ამიერკავკასიაში ყიზილბაშთა წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდა. გ. სააკაძის ელჩები დიდ ვეზირთან 1625 წლის 3 ივლისს ჩავიდნენ. ჰაფიზ ფაშამ მოურავის წინადადება არ მიიღო[151].

შაჰ-აბასი მაზანდარანში იმყოფებოდა, როდესაც საქართველოში ყიზილბაშების გაჟლეტის ამბავი გაიგო. საქართველოში აჯანყების ჩასაქრობად შაჰ-აბასმა სასწრაფოდ ზომები მიიღო. მან კარგად იცოდა, რომ გ. სააკაძე ოსმალეთის სარდალს ჰაფიზ ფაშას ამიერკავკასიაში ირანელების წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდებდა. საფრთხის თავიდან ასაცილებლად, შაჰ-აბასმა გადაწყვიტა თავისი საუკეთესო ჯარის ნაწილები, ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით, საქართველოში გამოეგზავნა, ხოლო თვითონ, დარჩენილი ჯარის ნაწილებით, ქ. სულთანიესაკენ გაემართა, სადაც ამ დროს ოსმალეთის დიდი ვეზირი ჰაფიზ-ფაშა იმყოფებოდა, რათა ამით ოსმალეთის სარდალს საშუალება არ ჰქონოდა გ. სააკაძის დასახმარებლად ლაშქრის გაგზავნისა. ოსმალეთის სარდალს ჰაფიზ-ფაშას კარგად ესმოდა, რომ თუ იგი გ. სააკაძის დასახმარებლად საქართველოში ლაშქარს გაგზავნიდა, მაშინ შაჰი შეეცდებოდა საქართველოში შემოსული ოსმალეთის ლაშქრისათვის სამხრეთიდან გზა მოეჭრა და, ამგვარად, ოსმალეთის ჯარები ალყაში მოემწყვდია, ხოლო შემდეგ კი — გაენადგურებინა. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჰაფიზ ფაშამ ვერ გაბედა საქართველოში გ. სააკაძის დასახმარებლად ჯარების გაგზავნა.

ოსმალეთის სარდლობა იმედოვნებდა, რომ საქართველოში ირანის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება ოსმალეთის ლაშქარს ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა ბაღდადის დასაპყრობად[152].

ოსმალეთის სარდლობა იმით დაამაყოფილდა, რომ მურთაზა ფა-

---

[151] جوی چیار, ტ. II, გვ. 403, 404; თარგმანი, გვ. 83, 84; L. Bellan, Chah Abbas, p. 274; Iskender Mounchi, p. 492. ნაიჰასა და სტამბოლში მყოფი ვენეციის ელჩების ცნობით, ქართველებმა ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები, დროშებთან და იარაღთან ერთად სტამბოლში ჩაიტანეს და სულთანს მიართვეს. لعیل چیار, ტ. II, გვ. 356; J. Hammer, v. IX, p. 61.

[152] ისქანდერ მუნში, გვ. 134, 135.

შას მეთაურობით 1625 წელს სამცხეში ჯარები გაგზავნა, ახალციხე დაიპყრო და იქიდან ყიზილბაშები განდევნა[153].

მარტყოფთან ყიზილბაშების გაწყვეტის შემდეგ, ქართველებმა თეიმურაზ I მოიწვიეს და აღიარეს ქართლ-კახეთის მეფედ. აშკარად ცდება ლ. ბელანი, როდესაც წერს, რომ თეიმურაზი ტახტზე ავიდა ოსმალეთის მფარველობით[154].

მარტყოფის აჯანყებამ შაჰ-აბასს თავზარი დასცა. მან ცხადჰყო, რომ ქართველები თავისი ქვეყნის მაჰმადიან სახანოდ გადაქცევას არ დაუშვებდნენ და ცოცხალი თავით სამშობლოს ირანელებს არ დაუთმობდნენ.

შაჰ-აბასმა კარგად შეაფასა მდგომარეობის სერიოზულობა და სასწრაფოდ ზომები მიიღო: „ორი თვის ბოლოს, — წერს სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი, — ყიზილბაშებმა ხელმეორედ ქართველების წინააღმდეგ გაილაშქრეს"[155]. შაჰ-აბასმა ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით საქართველოში აჯანყების ჩასაქრობად თავისი ყველაზე საუკეთესო ლაშქარი გამოგზავნა.

1625 წლის 1 ივლისს ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის მარაბდასთან სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა[156]. მართალია, მარაბდის ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდნენ და კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და თავდადებით განაგრძეს ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ქართველებმა ირანელების წინააღმდეგ პარტიზანული ომი გააჩაღეს.

ასეთ ვითარებაში შაჰ-აბასი იძულებული შეიქნა კომპრომისზე წასულიყო და თეიმურაზს შერიგებოდა.

თეიმურაზსა და შაჰ-აბასს შორის მოლაპარაკების საქმეში ინიციატივა შაჰ-აბასს ეკუთვნოდა. კომპრომისი შაჰისათვის უფრო სასარგებლო იყო, რადგან შაჰი იმ დროს თურქეთის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა და თეიმურაზის ვასალობასა და ერთგულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

---

153 ისქანდერ მუნში, გვ. 132, 133; Iskender Mounchi, p. 495.

154 L. Bellan, Chah Abbas, p. 274.

155 Collection d'historiens Armeniens t. 1, p. 583.

156 Iskender Mounchi, p. 432; L. Bellan, Chah-Abbas, p. 274; ისქანდერ მუნში, გვ. 128.

სურ. 6. დაუდ ხან უნდილაძე

თეიმურაზ მეფესა და შაჰ-აბასს შორის მოლაპარაკების საქმეში შუამავლად დაუდ ხანი[157] გამოვიდა, რომელიც 1626 წელს თბილისში იმყოფებოდა[158].

დაუდ ხანი თეიმურაზ მეფისაგან, შაჰ-აბასის სახელით, მოითხოვდა ოსმალეთთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას, რომ თეიმურაზსა და მის თანამებრძოლებს „თურქული ხალათი გაეხადათ და ირანული — ჩაეცვათ“[159].

შაჰ-აბასი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო თეიმურაზ მეფესთან შერიგებით, რათა ამის შემდეგ მას საშუალება ჰქონოდა მთელი თავისი ძალები ოსმალეთის წინააღმდეგ მიემართა.

1626 წელს თეიმურაზ I და დაუდ-ხანს შორის წარმოებული მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა. შაჰ-აბასმა თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ იცნო[160].

ქართველი ხალხის თავდადებულმა და მედგარმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე ხელი აეღო. „და თუ მან ვერ შეძლო საქართველოს საკითხის ლიკვიდაცია, ამის მიზეზი მხოლოდ ქართველი ხალხის ის ამოურწყველი სასიცოცხლო ძალა და გმირობა იყო, რომლის წინაშე — ისე როგორც ყველა სხვა წინ თუ შემდეგდროინდელი მტაცებელი — ეს დამპყრობელიც უძლური აღმოჩნდა“[161].

შაჰ-აბასმა, თეიმურაზ მეფესთან შერიგების შედეგად, ფაქტიუ-

---

[157] დაუდ-ხანი ირანის პირველი ყულარაღასის და ფარსის ბეგლარბეგის ალავერდი ხანის (უნდილაძე) შვილი იყო. მისი ძმა იმამ ყული-ხანი ფარსის ბეგლარბეგი იყო. უნდილაანთ ფეოდალური სახლი ნათესაური ურთიერთობით იყო დაკავშირებული ქართველ მეფე-ფეოდალებთან. თეიმურაზ I-ის და ელენე, ცოლად ჰყავდა დაუდ ხანს, იმამ ყული ხანის ქალი — ანდუყაფარ ამილახვარს, მეორე ქალი გათხოვილი იყო დაუდ-ბეგ სააკაძეზე, ირანის ამირსპასალარის და — თავრიზის ბეგლარბეგის ძმაზე. (ვ. გაბაშვილი ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII ს-ში, გვ. 359). დაუდ-ხანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გ. სააკაძესთან. გ. სააკაძემ დაუდ ხანს გააცნო მარტყოფის აჯანყების გეგმა. იგი თანაგრძნობით შეხვდა ამ აჯანყებას, მაგრამ მასში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის ცნობით, დაუდ-ხანმა ურჩია გ. სააკაძეს ყეელაფერი გაეკეთებინა ყიზილბაშების წინააწღმდეგ, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო. დაუდ-ხანის დახმარება აჯანყებული ქართველებისადმი იმაში გამოიხატა, რომ მან არ შეასრულა შაჰის ბრძანება და არ შეუერთდა ყორჩი-ბაშის ლაშქარს, რომელიც შაჰმა საქართველოში აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და განჯაში დარჩა (Collection d'historiens Armeniens, t. II, p. 23; Z. Avalishvili, „Gcorgica„, № 4/5, London, 1937, pp. 17—43).

[158] Iskender Mounchi, p. 496; ისქანდერ მუნში, გვ. 140, 141.

[159] იქვე.

[160] იქვე.

[161] ნ. ბერძენიშვილი, ტ. IV, გვ. 113.

რად თეიმურაზი გიორგი სააკაძეს დაუპირისპირა, ამას კი მოჰყვა საბოლოო განხეთქილება თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. ქართულ ისტორიოგრაფიაში თეიმურაზ მეფისა და გ. სააკაძის კონფლიქტს უმთავრესად ქართველი ფეოდალების ინტრიგებს მიაწერენ, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ გ. სააკაძის ესოდენ განდიდებას[162]. ჩვენი აზრით, სინამდვილეში ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შაჰ-აბასს მიუძღვის, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული ქიშპი. „შაჰი ახლაც ქართული ფეოდალური ძალების დაქსაქსვის ნაცად გზას დაადგა. ოსმალეთის იზოლაციის განზრახვა (თეიმურაზ — სააკაძის ბრძოლაში) შაჰს უკარნახებდა კომპრომისის გზას დასდგომოდა და „გურჯისტანის საკითხში“ ის დაეთმო, რასაც იგი 1641—1624 წწ. არა გზით არ სთმობდა“[163].

თეიმურაზ მეფესთან განხეთქილების შემდეგ გ. სააკაძე სამცხეში ჩავიდა. აქ მან ყიზილბაშები მთელი რიგი ციხეებიდან განდევნა.

სამცხიდან გ. სააკაძემ გაგზავნა სულთან მურად IV-თან ელჩი გ. ქართველიშვილი და მას დახმარება სთხოვა[164].

შაჰ-აბასმა, ქართლ-კახეთის საქმეების მოგვარების შემდეგ, ისახან ყორჩიბაშის სარდლობით, ირანის ლაშქარი სამცხეში გაგზავნა და მას ახალციხის დაპყრობა უბრძანა. ირანის ლაშქარმა ახალციხეს ალყა შემოარტყა. ოსმალები ერთხანს თავს იცავდნენ, მაგრამ როდესაც ნათელი გახდა, რომ ციხეს ვერ შეინარჩუნებდნენ, მურთაზა ფაშამ ირანელებს აცნობა, რომ იგი შეწყვეტდა წინააღმდეგობის გაწევას იმ პირობით, თუ ოსმალებს დართავდნენ ნებას ციხიდან უვნებლად გასვლას, ხოლო ის, ვინც მოისურვებდა ტყვედ დანებებას, მას შეიწყნარებდნენ და არავითარ ზიანს არ მიაყენებდნენ. შეთანხმება მიღწეულ იქნა. მურთაზა ფაშამ ციხე ჩააბარა ყორჩიბაშს (1626 წ.)[165].

ამ ამბების შემდეგ, როგორც ჩანს, გ. სააკაძე ტოვებს სამცხეს და დასავლეთ საქართველოში გადადის. აქ გიორგი სააკაძე მოლაპარაკებას აწარმოებს იმერეთის მეფე გიორგისთან და სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანთან თავისი გეგმის განხორციელების მიზნით. ამის შემდეგ მოურავი კვლავ ქართლში ბრუნდება[166].

---

[162] გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 143, 154; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 353.

[163] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 361.

[164] ვახუშტი, გვ. 66; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 410.

[165] Iskender Mounchi, p. 495. L. Bellan, Chah Abbas, p. 286.

[166] დაწვრილებით იხ. გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 145—156.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. სააკაძემ სულთანს ელჩი გაუგზავნა და დახმარება სთხოვა. ამასთან დაკავშირებით მოიპოვება სულთან მურად IV (1623—1640) მიერ გ. სააკაძისადმი გაგზავნილი სიგელი[167].

ამ სიგელს თარიღი არა აქვს. ს. ჯიქია ამ დოკუმენტს 1624 წლით ათარიღებს[168], ხოლო, ვ. ჩოჩიევი 1625 წლით[169].

ს. ჯიქიას და ვ. ჩოჩიევის შეხედულებით, ეს სიგელი გაცემული უნდა იყოს მარტყოფის ველზე ყიზილბაშების განადგურების შემდეგ, როდესაც სააკაძემ დახმარებისათვის მიმართა ოსმალეთს და ირანის წინააღმდეგ საერთო ძალებით შეტევისაკენ მოუწოდა[170]. მაგრამ, თუ ჩვენ ყურადღებით ჩავუკვირდებით ამ ფირმანს, დავინახავთ, რომ მასში სულ სხვა ვითარებაზეა საუბარი.

სიგელის ანალიზიდან ირკვევა, რომ გ .სააკაძე სულთნისაგან დახმარებას ითხოვს არა საქართველოდან და ამიერკავკასიიდან ყიზილბაშების გასადევნად და მათ წინააღმდეგ დაწყებული შეტევის გასაფართოვებლად, არამედ ირანელებისაგან თავის დასაცავად. ფირმანში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „ყიზილბაშებს სწადიან მაგ მხარეები დააზარალოს“, „საქართველოს ქვეყნის დაპყრობა“, „საქართველოს „საზღვრებისათვის ზიანის მიყენება“, „უკეთუ მტერი თქვენზე წამოვიდა, თავს დაგესხათ და მოინდომა საქართველოს დაპყრობა“ და სხვა.

ჩვენი აზრით, ხონთქრის მიერ მოურავისადმი გაცემული სიგელი დაწერილი უნდა იყოს თემურაზ მეფისა და შაჰ-აბასის შერიგების შემდეგ, როდესაც საბოლოოდ მოხდა განხეთქილება გ. სააკაძესა და თეიმურაზს შორის და მოურავმა დატოვა ქართლი, სამცხეში ჩავიდა და იქიდან სულთანს დახმარებისათვის მიმართა, ე. ი. 1626 წელს.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ შემდეგი ფაქტები მეტყველებენ:

---

[167] ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი მოთავსებულია ფენიდენ ბეის კრებულში. ამ დოკუმენტის თურქული ტექსტი, ქართული თარგმანი, კომენტარებით გამოსცა ს. ჯიქიამ. იხ. „ენიმკის მოამბე“, 1943, ტ. XIII, გვ. 236—242.

[168] ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. დასახ. ნაშრ., გვ. 236, 327.

[169] ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის სულთნის მურად IV-ის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელის თარიღის შესახებ, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1959, ტ. VII, გვ. 101—105.

[170] იქვე.

სიგელიდან ირკვევა, რომ სულთანმა გ. სააკაძეს ანატოლიის ვილაიეთში ერთ-ერთი სანჯაყი უბოძა და აცნობებდა მოურავს, რომ იგი „შენ მიერ დასაკავებლად მზადაა“[171].

თუ გ. სააკაძემ, სიგელის გაცემის დროისათვის, საქართველოდან ყიზილბაშები განდევნა და მათ ამიერკავკასიიდან ერეკებოდა და „თავისი სახელით ფულიც კი მოჰრა“[172], მაშინ რატომ დასჭირდა სულთანს „ქართლის მოურავისათვის“ სანჯაყის ბოძება ანატოლიაში? ცხადია, აქ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე.

საფიქრებელია, სიგელის გაცემის დროისათვის გ. სააკაძეს ქართლში თავის მამულებზე ხელი არ მიუწვდებოდა და სულთანმა მას ანატოლიაში სანჯაყი უწყალობა.

ასევე მოხდა ადრეც, როდესაც შაჰ-აბასისაგან დევნილმა თეიმურაზ მეფემ დახმარებისათვის სულთანს მიმართა და მან თეიმურაზ მეფეს საქართველოს საზღვართან გონიო და სხვა ადგილები უბოძა (იხ. თავი V.)

სულთნის მიერ გ. სააკაძისადმი გაცემულ სიგელში არ არის ნახსენები თეიმურაზ მეფე. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სიგელის გაცემის დროისათვის თეიმურაზს გაწყვეტილი აქვს კავშირი ოსმალეთის სულთანთან და იგი ირანის შაჰის მხარეზეა. სულთნის სიგელი რომ ამ შეთანხმებამდე ყოფილიყო გაცემული, მაშინ მასში აუცილებლად მოხსენიებული უნდა ყოფილიყო თეიმურაზ მეფე, რადგან იგი, როგორც ვიცით, 1613—1625 წლებში სულთნის ერთ-ერთი აქტიური მოკავშირე იყო შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ სულთან მურად IV სააკაძეს „ქართლის მპყრობელს მოურავ ხანს“[173] უწოდებს. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ სულთანი სააკაძეს ფაქტიურად აღიარებდა ქართლის გამგებლად, მის მთავრად.

ჩვენი აზრით, ხონთქრის მიერ მოურავისადმი გაგზავნილი სიგელი ასახავს ბაზალეთის ომის (1626 წ.) წინ საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციას.

ბაზალეთის ომი არ იყო თეიმურაზ მეფესა და გ. სააკაძეს შორის მომხდარი უბრალო განხეთქილების შედეგი, რომელიც ლოკალურ ხასიათს ატარებდა, არამედ მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა.

---

171 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 1240.

172 تاريخ نعيما, ტ. II, გვ. 365.

173 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 236.

ბაზალეთის ომი ფაქტიურად ასახავდა საქართველოში ირანული და ოსმალური ორიენტირების დაპირისპირებას. საქართველო ორ ბანაკად გაიყო: სააკაძეს მხარს უჭერდა ოსმალეთი, ხოლო თეიმურაზ მეფეს კი — ირანი[174].

„ბაზალეთის ომმა ცხადყო მოპირდაპირე ფეოდალური ძალების მკვეთრი დაპირისპირება. ამ ომში ფაქტიურად მონაწილეობდნენ ირანის და ოსმალეთის მომხრე ფეოდალური დაჯგუფებანი“[175].

სულთან მურად IV ითვალისწინებდა ბაზალეთის ომის წინ საქართველოში შექმნილ ვითარებას და მის მნიშვნელობას ოსმალეთისათვის. ხონთქარი მოურავს წერდა: „ვინაიდან ხსენებული (საქართველოს — მ. ს.) საზღვრებისათვის დახმარების აღმოჩენა ჩემს რელიგიურ და სახელმწიფო საქმეებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია (ხაზი ჩვენია — მ. ს.), ამიტომ შენს მეშველად დაინიშნენ...“[176].

სულთანმა გ. სააკაძისათვის დახმარების გაწევა დაავალა ჩილდირის ვილაიეთის გამგებლებს საფარს, მურთაზა-ბეგს, ბათუმის ბეგლარბეგს ომერ ფაშას[177]. აგრეთვე ტრაპიზონის, არზრუმისა და ანატოლიის ვილაიეთების გამგებლებსა და იმ მხარეებში განლაგებულ იანიჩარებს.

მოურავისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით ბრძანებები გაეგზავნათ იმერეთის მეფეს, სამეგრელოსა და გურიის მთავრებს და აგრეთვე დაღისტნის გამგებლებსაც[178].

ხონთქარი მოურავს მოუწოდებდა: „შენს განკარგულებაში მყოფი საქართველოს ჯარის გარდა, შესაძლებლობისდა გვარად, (სხვადასხვა) კუთხეებში მყოფი საქართველოს ბეგები და წარჩინებულები

---

[174] ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ბაზალეთის ომში, გ. სააკაძის მხარეზე მონაწილეობდა ოსმალეთის ლაშქარი, ხოლო თეიმურაზ მეფისა კი — ირანისა. რუსი ვაჭარი გ. ტარაკანოვი ასტრახანის ვოევოდებს აცნობებდა «Да Курчибашу хану же, пошли в сход многие кизылбашские ратные люди и ханы. А про Курчибаши хана рассказывают, что идти ему со всеми ратными людьми к грузинскому Темирязу царю и с Тейхуразем идти им вместе с ратными людьми против Маврова. А Маврову де сказывают дал Абаза паша турских ратных людей 30.000» (Е. С. Зевакин, Материалы..., ч. II, стр. 59). ქართულ წყაროებში ასახულია ბაზალეთის ომში საფარ ფაშასა და იმერეთის ლაშქრის მონაწილეობა, (ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 67; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 411), მაგრამ არაფერია ნათქვამი ირანისა და ოსმალეთის ჯარების მონაწილეობაზე.

[175] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 361.

[176] ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდ მოურავისადმი გაცემული სიგელი, გვ. 237, 238.

[177] იქვე გვ. 238.

[178] იქვე ,გვ. 239.

კეთილი გულით მიიმხრე, მოიხმე შენთან და ყოველი ღონე იძიე. რათა შენმა ლაშქრის შენაერთებმა დღითიდღე იმატოს."[179].

ამგვარად, სულთანი ბაზალეთის ომის წინ მოურავს ავალებდა მიემხრო საქართველოს სხვადასხვა კუთხის მფლობელები და ამით გაეზარდა მის მომხრეთა რიცხვი.

ბაზალეთის ომში (1626 წ. გვიან შემოდგომა) გ. სააკაძე დამარცხდა. ამის შემდეგ გ. სააკაძე იძულებული იყო საქართველო დაეტოვებინა, ოსმალეთში წასულიყო და სულთნის სამსახურში ჩამდგარიყო.

1627 წელს შაჰ-აბასმა ოსმალეთში ელჩი გაგზავნა და სულთანს შესთავაზა აღდგენილიყო სულთან სულეიმან კანუნის დროს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავის (1555 წ.) პირობები, ხოლო შაჰ-აბასის მემკვიდრე ცნობილი ყოფილიყო ბაღდადის გამგებლად. სულთანმა უარყო შაჰის ეს წინადადება[180].

ოსმალეთის მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ სურდა შექმნილ ვითარებას შერიგებოდა და ახალციხე ყიზილბაშთა სამფლობელოდ ეცნო. ოსმალეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ იგი კვლავ დაებრუნებინა. მაგრამ ოსმალეთის განზრახვის განხორციელებას ის გარემოება უშლიდა ხელს, რომ ამ დროს არზრუმის გამგებელი აბაზა ფაშა ოსმალეთის მთავრობას კვლავ აუჯანყდა, განზე განუდგა და შაჰ-აბასთან კავშირი დაამყარა. აბაზა ფაშა მეტად დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ოსმალეთის ჯარებს, რომლებიც ამ დროს ირანის წინააღმდეგ ომში იყვნენ ჩაბმული. ოსმალეთის მთავრობისათვის ნათელი იყო, რომ ახალციხიდან ირანელების განდევნისა და მისი დაპყრობისათვის აუცილებელი იყო აბაზა ფაშის აჯანყების ჩაქრობა, რომელიც ოსმალეთის ჯარს ახალციხეში მიმავალ გზებს უკეტავდა. და ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ განიზრახა, პირველ რიგში, არზრუმის დაპყრობა და აბაზა-ფაშის დამორჩილება.

1627 წელს ოსმალეთის დიდი ვეზირი ჰალილ ფაშა აბაზა ფაშის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. მაგრამ მან მარცხი განიცადა, რის გამო ჰალილ ფაშა გადააყენეს, ხოლო დიდ ვეზირად ხუსრევ ფაშა დანიშნეს, რომელიც 1628 წლის ივნისის დასაწყისში აბაზა ფაშის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გ. სააკაძე მონაწილეობას იღებდა აბაზა ფაშის წინააღმდეგ მოწყობილ ორთაეე ლაშქრობაში. 1628 წლის 4 სექტემბერს ხუსრევ ფაშამ არზ-

---

179 ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, გვ. 240.

180 نعیما تاریخ, ტ. II, გვ. 411, 412; J. Hammer, v. IX, p. 97.

რუმს ალყა შემოარტყა. აბაზა ფაშა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შაჰ-აბასმა აბაზა ფაშის დასახმარებლად, ზამსი ხანის წინამძღოლობით, ირანის ჯარები გაგზავნა, ალყაშემორტყმული არზრუმის ციხე-ქალაქი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და 14 დღის ალყის შემდეგ აბაზა ფაშამ ოსმალეთის დიდ ვეზირთან შესარიგებლად მოლაპარაკება გამართა. საფიქრებელია, რომ ირანის ჯარების მოახლოების შიშით დიდი ვეზირი დათმობაზე წავიდა და აბაზა ფაშას მორჩილების პირობად წარსულის პატიებასა და საზოგადოდ, უვნებლობას დაჰპირდა. ამ საფუძველზე 1628 წლის 18 სექტემბერს მებრძოლ მხარეთა შორის შეთანხმება მოხდა[181].

არზრუმის აღებისა და აბაზა ფაშის დამორჩილების შემდეგ, ოსმალეთის ლაშქარს ახალციხისაკენ მიმავალი გზები გახსნილი ჰქონდა. ოსმალებმა ახალციხის დასაპყრობად ლაშქარი გაგზავნეს და 1627 წელს ახალციხე აიღეს[182].

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ოსმალებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ახალციხის საფაშოში მაგრად ფეხის მოკიდებისა და აქ მყარი მდგომარეობის შექმნისა. ამის მიზეზი ირან-ოსმალეთის ომი იყო. მხოლოდ 1639 წელს, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო ზავი[183], რომლითაც ირანმა საბოლოოდ სცნო ოსმალეთის უფლება სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე და შეწყდა სისხლისმღვრელი, ხანგრძლივი ომი, ოსმალეთს შესაძლებლობა მიეცა ეზრუნა საქართველოს ამ მხარის „გაოსმალებაზე“ და იქ დამკვიდრებაზე. ამას მოჰყვა ქართველი ხალხის ენერგიული წინააღმდეგობა, რამაც ხანგრძლივი დროით გადასწია ახალციხის საფაშოს ოსმალური პოლიტიკური ერთეულად გარდაქმნა.

---

[181] جودت چلبي, ტ. II, გვ. 408; თარგმანი, ჯიქია, გვ. 88; J. Hammer, v. IX, p. 101—103.

[182] იქვე, გვ. 140.

[183] ამ ზავის შესახებ დაწვრილებით იხ. ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 373—377; მისივე, Документы по истории агрессивной политики Турции и Ирана, Труды Цхинвальского пединститута, 1958, т. V.

თავი VI

ოსმალეთი და სამცხე-საათაბაგო XVII ს-ის პირველ ნახევარში

1. ოსმალეთის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოში პატრონებისათვის

XVII საუკუნის დამდეგს ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში მკვეთრად შეიცვალა. ამ დროს ანტიოსმალურმა განწყობილებამ მთელ ამიერკავკასიაში უმაღლეს წერტილს მიაღწია, საკუთრივ ოსმალეთში კი შინაური ვითარება მეტისმეტად დაძაბული იყო და მალე ანატოლიის უდიდესი ნაწილი გლეხთა აჯანყების ცეცხლში გაეხვია. მანუჩარ II ათაბაგი და მისი მომხრე ფეოდალები ოსმალოა წინააღმდეგ ბრძოლაში ამ მოვლენებსაც ითვალისწინებდნენ.

1603 წელს შაჰ-აბას 1 ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა. მანუჩარ ათაბაგი შეეცადა ეს ომი გამოეყენებინა თავისი ქვეყნის დახსნისათვის ოსმალთა ბატონობისაგან. ისქანდერ მუნშის თხზულებიდან ჩანს, რომ შაჰ-აბასს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მანუჩარ II ათაბაგთან, მის სახლის წევრებსა და მესხ ფეოდალებთან.

მანუჩარ II ათაბაგმა, როგორც ჩანს, ახალ ვითარებაში განაახლა XVI საუკუნის სამცხის ათაბაგების ის პოლიტიკა, რომელიც „უმცირესი ბოროტების" მიხედვით იყო გამართული და ხან ოსმალეთისკენ, ხან კი ირანისკენ იხრებოდა. XVII ს-ის დამდეგის წყაროებიდან ირკვევა, რომ მანუჩარი ირანთან დამოკიდებულების პოლიტიკურ ფორმას მოხარკეობის საფუძველზე ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისქანდერ მუნშის შემდეგი ცნობა: „სიმონ მეფის ასული და მანუჩარ ათაბაგის ცოლი, რომელმაც მცირეწლოვან შვილთან და ერთგულ მხლებლებთან ერთად ოცდახუთი წლის განმავლობაში მთებს და ტყეს შეაფარა თავი, სანამ ქართველთა ქვეყანა ოსმალებს ემორჩილებოდა, დაჟინებით ცდილობდა, რათა ოსმალებს ქვეყანა, სამცხე-საათაბაგოდ წოდებული, მისი შვილისათვის მიეცათ და ხარკიც, საქართველოს წესისამებრ. აქაც ისევე აეკრიფათ, რო-

გორც საქართველოს სხვა ნაწილებში, მაგრამ ოსმალები ამას არ თანხმდებოდნენ"[1].

ამგვარად, ოსმალები სამცხე-საათაბაგოს აღწერის შემდეგ უარს ეუბნებოდნენ ათაბაგის მეუღლეს ელენეს და მის ვაჟს მანუჩარს სამცხეში შემოეღოთ ოსმალური ხარკის ის ფორმა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში ჰქონდათ დაწესებული. ის, რაც მიუღებელი იყო ოსმალეთის სულთნისათვის, მისაღები ჩანდა ირანის შაჰისათვის. შაჰ-აბასი, როგორც ჩანს, მზად იყო ეცნო „პატრონყმური" (ვასალური) ურთიერთობა ათაბაგთან. ერთი სიტყვით, ათაბაგს შაჰისაგან უნდა მიეღო ის, რაზედაც სულთანი მას უარს ეუბნებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ საამისო მოლაპარაკება წარმოებდა ისფაჰანში, სადაც მანუჩარ ათაბაგი პორტუგალიის ელჩს ანტონიო გოვეას შეხვდა[2].

საფიქრებელია, რომ ეს შეხვედრა 1605 წლამდე მომხდარიყო[3].

შაჰის ამგვარი პოლიტიკა სამცხე-საათაბაგოს მიმართ მანუჩარ ათაბაგსა და მის მომხრე მესხ ფეოდალებს ირანთან აახლოვებდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1603—1612 წლების ირან-ოსმალეთის ომის დროს ბრძოლა სამცხისათვის, განსაკუთრებით კი ახალციხისათვის, კიდევ უფრო გამწვავდა. მანუჩარ ათაბაგი და მისი მომხრე ფეოდალები ცდილობდნენ ქართლის სამეფოსა და ირანის დახმარებით სამცხიდან ოსმალების განდევნას.

ამიერკავკასიაში მოპოვებული სამხედრო წარმატებების შემდეგ შაჰ-აბასმა თბილისიდან ლაშქარი ახალციხის ასაღებად გაგზავნა. 1607 წლის 23 ივლისს სპარსელებმა ქართველების დახმარებით ოსმალთა სარდალი შაჰ-იუსუფ ფაშა[4], 150 თურქი მეომრითურთ, დაატყვევეს და ახალციხე აიღეს[5].

---

[1] Iskender Mounchi, p. 471; ისქანდერ მუნში, გვ. 71.

[2] A. Gouvea, op. cit., p. 477.

[3] ა. გოვეას თხზულებაში მისი შეხვედრა მანუჩართან 1610 წლით არის დათარიღებული. ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს სწორი. (A. Gouvea, დასახ. ნაშრ., გვ. 477). ამის საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ გოვეას ცნობით, მანუჩართან ერთად სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო ალექსანდრე კახთა მეფე. ასე რომ, ა. გოვეას შეხვედრა მანუჩართან მომხდარა 1605 წლამდე, ალექსანდრე კახთა მეფის სიკვდილამდე.

[4] მ. ბროსეს ვარაუდით, შაჰ-იუსუფ ფაშა ბექა III-ის (საფარ-ფაშა) შვილია (Iskender Mounchi, p. 471, n. 8.)

[5] Iskender Mounchi, p. 472; L. Bellan, Chah Abbas, p. 167.

ახალციხის განთავისუფლების შემდეგ მანუჩარ II მეუღლემ, ელენემ, შაჰ-აბასს სთხოვა. რომ მისი 16 წლის შვილი[6] ეცნოთ სამცხე-საათაბაგოს გამგებლად, მოხარკეობის საფუძველზე. შაჰმა ელენეს თხოვნა დააკმაყოფილა[7].

ამგვარად, ამ პერიოდში შაჰ-აბასი სამცხის დაპყრობას ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად და ვასალობას სჯერდებოდა, მაშინ როდესაც ოსმალეთი სამცხის მიმართ ინკორპორაციის გზას ადგა და მოხარკეობას საქართველოს ამ კუთხისათვის განვლილ ეტაპად თვლიდა.

ირანის ეს პოლიტიკა სამცხე-საათაბაგოს მიმართ გამოწვეული იყო შემდეგი მოსაზრებით: სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილში ქართველებისათვის შედარებით მისაღები პოლიტიკური ფორმის დამყარებით, შაჰ-აბასს სურდა სამცხის ფეოდალები თავის მხარეზე გადაებირებინა და მათი დახმარებით ოსმალები სამცხის დასავლეთი ნაწილიდან განედევნა. შაჰ-აბასის ამ პოლიტიკის გატარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ყიზილბაშებს იმთავითვე სუსტად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილში და აქ ანტიირანული განწყობილება ძლიერი არ იყო.

---

[6] მ. ბროსეს საეჭვოდ მიაჩნია ვახუშტის ცნობა, რომლის მიხედვითაც. მანუჩარ II ათაბაგი 1614 წელს გარდაიცვალა. მ. ბროსეს აზრით, მანუჩარ ათაბაგი უფრო ადრე უნდა იყოს გარდაცვლილი. ვიდრე ეს ვახუშტისთან არის მოცემული (Iskender Mounchi. p. 472, n. 1). ჩვენ საკმაოდ ვეთანხმებით მ. ბროსეს. მართლაც, მანუჩარ II ათაბაგი ამ დროს ცოცხალი რომ ყოფილიყო, მაშინ, ცხადია შაჰ-აბასი ახალციხის გამგებლად მანუჩარ II ათაბაგს დანიშნავდა და არა მის მცირეწლოვან ვაჟიშვილს. ისკანდერ მუნშის „ისტორიიდან" ჩანს, რომ ამ დროს მანუჩარ II ათაბაგი არ იყო ცოცხალი. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ამ ცნობის წინ ისკანდერ მუნშის მოგვითხრობს: „სანამ მანუჩარ ხანი ცოცხალი იყო, ის ცდილობდა დახმარებოდა სიმონ მეფეს" Iskender Mounchi, p. 471).

ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, შაჰ-აბასის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარი ლ. ბელანი, 1607 წლის ამბების გადმოცემისას ელენეს (მანუჩარ II-ის მეუღლეს) „მანუჩარის ქვრივად" იხსენიებს (L. Bellan, Chah Abbas. p. 167).

მანუჩარ II ათაბაგის გარდაცვალების თარიღის დასადგენად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: 1607 წლის იანვარ-მარტში მანუჩარ II ათაბაგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბაქოსა და დერბენდის აღებაში (A. Gouvea, op. cit., p. 323; L. Bellan. Chah-Abbas. p. 162). მაშასადამე, 1607 წლის მარტში მანუჩარ ათაბაგი ჯერ კიდევ ცოცხალია და აქტიური მებრძოლი ოსმალთა წინააღმდეგ. 1607 წლის ივლისში ახალციხის აღების შემდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანუჩარ II ქვრივი ელენე თხოვს შაჰს ახალციხეს მცირეწლოვანი ვაჟისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მანუჩარი გარდაიცვალა 1607 წ. ივლისამდე. საფიქრებელია. რომ მანუჩარ II ათაბაგი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

[7] Iskender Mouchi, p. 471; L. Bellan, Chah Abbas, p. 167.

შაჰ-აბასი მოსაჩვენებლად მხარს უჭერდა „ქართველობისათვის“ მებრძოლ ძალებს, რათა ამით საიმედო დასაყრდენი შეექმნა მესხეთში. ჭრისტიან ათაბაგს უნდა გაეძლიერებინა აქ შაჰის მომხრეთა რიცხვი. „ოსმალობის“ მოწინააღმდეგეთა დახმარებით შაჰი სამცხის დაპყრობას ვარაუდობდა.

ქართველებს ამ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდათ. სამხრეთ საქართველოში „ქართველობის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ირანის მხრიდან კი უშუალოდ საფრთხე ქვეყანას არ ემუქრებოდა. პირიქით, აქაური ქართველები ცდილობდნენ თავის სასარგებლოდ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობის გამოყენებას. ერთი სიტყვით, მოცემულ ვითარებაში მთავარი იყო „ოსმალობის“ შესუსტება და ოსმალთა სამცხიდან განდევნა.

ქართველებმა დიდხანს ვერ შეძლეს ახალციხეში გამაგრება. ოსმალებმა ახალციხის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაძრეს ჯელალ ფაშას (ყირიმელი ხანის სარდალი) მეთაურობით, რომელსაც შეუერთდა აგრეთვე ფერჰად ფაშა, მოჰამედ ფაშის შვილი, ფანაკის გამგებელი, რომელმაც მაჰმადიანობა მიიღო და ფაშის წოდებას ატარებდა. 1608 წლის მიწურულს ოსმალებმა ახალციხე აიღეს. ათაბაგი და მისი დედა ელენე იძულებული შეიქნენ ქართლში თავის ბიძასთან (ლუარსაბ მეფესთან) ჩასულიყვნენ[8].

ოსმალები, როგორც აღვნიშნეთ, დაჟინებით ეჯიდებოდნენ ახალციხეს. სადაც მათ, ისქანდერ მუნშის მოწმობით, მაგარი ციხე ააგეს, შიგ ოსმალო მეციხოვნეები ჩააყენეს, ხოლო ქვეყნის მმართველად გამაჰმადიანებული მესხი ფეოდალი შაჰ-იუსუფ ფაშა დააყენეს[9].

ახალციხის შემომტკიცებას ოსმალები ყოველნაირად ცდილობდნენ და აქ „ოსმალობის“ განმტკიცებას შეუნელებლად განაგრძობდნენ. ახალციხის ირანისათვის დათმობა, აქ ირანელთა დახმარებით ათაბაგის აღდგენა ძველ უფლებებში, ოსმალეთის წარმატებებს, მოპოვებული ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, წაშლიდა და შეასუსტებდა გამაჰმადიანებული მესხი ფეოდალების პოზიციას. უეჭველი იყო, რომ „ქართველობისათვის“ მებრძოლნი, უპირველეს ყოვლისა, ამ რენეგატებს გაუსწორდებოდნენ. ამით კი ოსმალეთს ის დასაყრდენი მოეშლებოდა, რომლის შექმნასაც მან დიდი ენერგია მოანდომა. ყველაფერი ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული სტამბოლში.

სულთნის მთავრობა სხვა მნიშვნელოვან მომენტებსაც ითვალისწინებდა. შაჰის საბოლოო მიზანში გურჯისტანის „გაყიზილბაშება“

---

[8] Iskender Mounchi, p. 471; L. Bellan, Chah Abbas, p. 167.

[9] იქვე, გვ. 471-472.

ისევე შედიოდა, როგორც სულთანის პოლიტიკაში სამცხის „გასამალება“. თუ ოსმალეთის სულთანი იძულებული იყო შერიგებოდა შაჰ-აბასის მიერ შექმნილ წახურის სასულთნოს, რომელიც ყიზილბაშებმა დააარსეს აღმოსავლეთ კახეთის ხარჯზე[10], სამაგიეროდ, ოსმალეთისათვის ყოვლად შეუწყნარებელი იყო მის კარიბჭესთან მდებარე მესხეთის გაყიზილბაშება. „ახალციხის საკითხი“ კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას, რომელშიაც რთულად იყო გადახლართული ბრძოლა გურჯისტანისათვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის.

ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობით გამოწვეულ სიტუაციას უნდა გაეძლიერებინა და გააძლიერა კიდეც „ქართველობისათვის“ ბრძოლა სამხრეთ საქართველოში. ოსმალეთის დამარცხებას ქართველები მჭიდროდ უკავშირებდნენ აქ, ქართველი ისტორიკოსების ენით რომ ვთქვათ, შერყვნილ წესების „კვალსავე თვისსა მოვებას“. ომი დასასრულს უახლოვდებოდა და მის შედეგებს ქართველები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

1603—1612 წლების ომის შეღეგად შაჰ-აბასმა ვერ შეძლო თავისი „უფლების“ აღდგენა აღმოსავლეთ მესხეთზე. 1612 წლის ზავით ახალციხე და აღმოსავლეთ მესხეთი ოსმალეთს დარჩა, ხოლო 1619 წლის ირან-ოსმალეთის ზავით შაჰ-აბასმა ოფიციალურად აღიარა ოსმალეთის „უფლება“ სამცხეზე (დაწვრილებით იხ. თავი V). ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რომლის შემდეგაც შაჰ-აბასი განაგრძობდა ბრძოლას სამცხისათვის.

თავის მხრივ, ოსმალეთი სამხედრო ღონისძიებებთან ერთად, განაგრძობდა სამცხეში თავისი წესების განმტკიცებას. ამის დამადასტურებელია ის, რომ 1620 წელს ოსმალებმა განაახლეს ახალციხის ლივას კანონ-ნამე[11]. ამ კანონ-ნამეს ფრაგმენტიდან ჩანს, რომ აქ ოსმალური წესები კიდევ უფრო მეტად გავრცელდა[12].

ოსმალეთმა, რომელიც ანტიირანულ განწყობილებას მარჯვედ უხამებდა ქართველთა „მფარველობას“, XVII ს. პირველ მეოთხედში თანდათან მოამზადა პირობები სამცხეში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად.

---

[10] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან „მიმომხილველი“, ტ. III, გვ. 76, 77.

[11] Hadiye Tunçer, Osmanlı Imparatorluğunda Toprak Hukuku... ს. 102; თარგმანი მ. სვანიძე, ახალციხის ლივას კანონ-ნამეები, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები. გვ. 156, 167.

[12] იქვე.

2. სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური სამოსახლოს გაუქმება

XVII ს-ის 20-იანი წლებიდან სამცხის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მიუხედავად მანუჩარ ათაბაგის დაუღალავი ბრძოლისა, ოსმალების მოძალების შედეგად, ქართველები თანდათან ტოვებენ თავიანთ სარწმუნოებას და ადათ-ჩვეულებებს. „არამედ მანუჩარ ჯერ ვერ შურ-აგო ვინადგან მიიქცეოდნენ და დაუტევებდნენ წესსა და რიგთა სჯულსა მესხნი მძლავრობითა ოსმალთათა“[13].

მანუჩარს კარგად ესმოდა, რომ სამცხის მოსახლეობის გაოსმალება ასუსტებდა მის გავლენას და „მცდელობდა ყოვლითა ძალითა თეისითა, რათა მოაგოს კვალსავე პირველსა“[14].

მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. არსაიდან დახმარების იმედი არ ჩანდა, ხოლო ქვეყნის შიგნით სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ ის ძალები, რომელნიც ოსმალთა მომძლავრებას უმკლავდებოდნენ. ქართლი და კახეთი ამ დროს ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა. ქართლსა და კახეთს არ ძალუძდა რეალური დახმარება გაეწია სამცხისათვის ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კიდევ მეტი: ყიზილბაშებისაგან დევნილი თეიმურაზ მეფე ოსმალეთს დახმარებას და შველას სთხოვდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალეთი სიამოვნებით კისრულობდა „დამხმარე-მფარველის“ როლს და ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ სამცხე-საათაბაგოში მტკიცედ ფეხი მოეკიდებინა. ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს ოსმალეთს სამცხეში თავისი აგრესიული ზრახვები განემტკიცებინა.

მძიმე და აუტანელ მდგომაეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა ნელ-ნელა სტოვებდა თავის რჯულსა და წეს-ჩვეულებებს. „არამედ გარდიცვლებოდნენ წესნი და ვიეთნი ზოგნი პატივისათვის ნებით, ზოგნი მძლავრობით ოსმალთათა გამაჰმადიანდებოდნენ და იქმნებოდიან უმორჩილონი ათაბაგისანი“[15]. ოსმალთა ამგვარი პოლიტიკის არსი სავსებით გასაგებია. გამაჰმადიანებული მოსახლეობა, ცხადია, ვერ იქნებოდა ოსმალების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. ოსმალთაგან შევიწროებული და დევნილი მანუჩარ III ათაბაგს როგორც შეეძლო ისე ებრძოდა ოსმალებს. ამისათვის ის ოსმალთ არზრუმის ფაშასთან შეასმინეს. მის წინააღმდეგ არზრუმის ფაშამ წარმოავლინა ლაშქარი. მანუჩარი ამ მრავალრიცხოვან ლაშქარს „ვერ წინ აღუდგა“ და ახალ-

---

[13] ვახუშტი, გვ. 254.
[14] იქვე.
[15] იქვე.

დაბას მოვიდა. „ხოლო მანუჩარ მძლავრობდა მათ და არა პატივსა უყოფდა. ამისთჳს შეასმინეს ოსმალთა და მათ არზრუმის ფაშასა. მაშინ აზრუმის ფაშამ წარმოავლინა სპანი 1624 წ., ვერ წინ — აღუდგა მანუჩარ და ჩამოვიდა ახალ-დაბას“[16].

XVII ს-ის 20-30-იან წლებში ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლა სამცხეში ბატონობისათვის კვლავ განახლდა. ორივე აგრესიული სახელმწიფო დაჟინებით ცდილობდა სამცხეში გაბატონებას. ისე ჩანდა, რომ ორთავე სახელმწიფოს გადაწყვეტილი ჰქონდა აქ მოწინააღმდეგისათვის საბოლოოდ ფეხი ამოეკვეთა და თავისი ბატონობა დაემყარებინა.

ყიზილბაშთა ირანი ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ სამცხის მნიშვნელოვანი ნაწილი, ახალციხის ჩათვლით, ოსმალეთის ბატონობის ქვეშ რჩებოდა. შაჰ-აბასს კარგად ესმოდა, რომ თუ იგი ვერ შეძლებდა სამცხის მთლიანად დაპყრობას, ყოველ შემთხვევაში, ახალციხის დაპყრობა და აქ ყიზილბაშების მტკიცედ ფეხის მოკიდება, მას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. ახალციხის დაპყრობით იგი მნიშვნელოვნად გაიმაგრებდა თავის პოზიციებს როგორც ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, ისე ქართლ-კახეთის შემომტკიცების საქმეში.

XVI ს-ის განმავლობაში და XVII ს. პირველ ათეულში სეფიანთა ირანის ცდები სამცხეში ყიზილბაშური წესწყობილების შემოღებისა ჯერ კიდევ სუსტი იყო. XVII ს-ის მესამე ათეულის შუა წლებიდან ყიზილბაშური ირანი მკვეთრად ცვლის თავის პოლიტიკას სამცხის მიმართ და მის სრული ინკორპორაციისაკენ მიისწრაფვის. ამის დამადასტურებელია ის, რომ შაჰ-აბასი, ახალციხის დაპყრობის (1626) შემდეგ, მის გამგებლად ირანის მაჰმადიან მოხელეს სელიმ-ხან შამსედინლუს ნიშნავს[17]. ახლა სამცხეს ირანის მხრიდან „გაყიზილბაშების“ სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ირანის აგრესია სამცხის მიმართ მიზნად ისახავდა ქვეყნის ისეთივე საშუალებებით „გაყიზილბაშებას“, როგორსაც ოსმალო დამპყრობლები ახორციელებდნენ. ასეთ ვითარებაში მანუჩარ ათაბაგს მიზანშეწონილად მიაჩნდა დახმარებოდა ქართლ-კახეთს ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან, თუ ქართლ-კახეთში ყიზილბაშები გაბატონდებოდნენ, მაშინ იგი დაკარგავდა ყველაზე საიმედო მოკავშირეს, როგორც „ოსმალობის“, ისე „ყიზილბაშობის“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

---

[16] ვახუშტი, გვ. 254.

[17] Iskender Monchi, p. 435.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ მარაბდის ომში (1625 წ.) ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი რაზმით მონაწილეობა მიიღო მანუჩარ III ათაბაგმა. ამ ომში მას უკანასკნელად მოუხდა ბრძოლა სამშობლოს დასაცავად. ქართული წყაროების მიხედვით, მარაბდის ომში მონაწილეობის შემდეგ მანუჩარ III სამცხეში დაბრუნდა. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იგი სტამბოლში წავიდა სულთნისაგან შეწყნარებისა და წყალობის სათხოვნელად.

ოსმალეთი მოხერხებულად სარგებლობდა ირან-საქართველოს შორის ბრძოლით და ყველაფერს აკეთებდა, რომ თავისი მიზნებისათვის მიეღწია.

იმ პირობებში, როდესაც ოსმალეთის სულთანი, საქართველოს დახმარებით, ირანის წინააღმდეგ დიდ შეტევას აპირებდა, მანუჩარ III სტამბოლში ჩასვლა და სულთნისათვის მორჩილების გამოცხადება, ოსმალეთისათვის დიდად საჭირო და სასარგებლო საქმე იყო. სულთანი მანუჩარის დახმარებას ირანის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. თუ მანუჩარი ოსმალეთს მხარს დაუჭერდა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ ოსმალეთს რამდენადმე შეუმსუბუქდებოდა ირანის წინააღმდეგ ომის წარმოება. ამავე დროს, მანუჩარის თავის მხარეზე გადმობირებით ოსმალეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ ამ გზით ქართლ-კახეთში გაიზრდებოდა ოსმალეთის ორიენტაციის მომხრეთა რიცხვი. ოსმალეთის ხონთქარს, ასეთ ვითარებაში, დასაშვებად მიაჩნდა დროებით „დათმობაზე“ წასულიყო და მანუჩარისათვის ქრისტიანობით ათაბაგობა მიეცა. ქრისტიანი მანუჩარ ათაბაგი ყიზილბაშების წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი იქნებოდა. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ხონთქარმა მანუჩარ III თხოვნა შეიწყნარა და „მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა“[18]. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ოსმალეთი ხელს იღებდა სამცხე-საათაბაგოზე, პირიქით, ეს ოსმალეთის მთავრობის დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რომლითაც ოსმალეთის სულთანი ცდილობდა შეენიღბა თავისი აგრესიული ზრახვები სამცხის მიმართ.

მანუჩარ III ათაბაგი როდესაც სამშობლოში ბრუნდებოდა, გზაში მას ბიძა ბექა (საფარ-ფაშა) შეხვდა, რომელმაც სტუმრად მიიწვია. ძმისწული და საწამლავით მოაკვლევინა იგი, რის შემდეგ თვითონ წავიდა სტამბოლს „იქმნა მაჰმადიან, მოსცა ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა და პატივი-სცეს

---

[18] ვახუშტი, გვ. 255.

ორითა თუღითა. მერმე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს 1626 წელს«[19].

ვახუშტის ამ ცნობის საფუძველზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო შეხედულება, რომ სწორედ ამ დროს დაარსდა ახალციხის საფაშო.

ჩვენი აზრით, ბექას მიერ მანუჩარ ათაბგის მოკვლისა და სულთნის მიერ მისი ჩილდირის ფაშად დანიშვნის შედეგად სამცხეში საბოლოოდ მოისპო აქ შემორჩენილი ათაბაგის ხელისუფლება.

რაც შეეხება ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს დაარსებას, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, იგი სულთანმა 1579 წელს დაარსა.

ეჭვს იწვევს ვახუშტის ცნობა, რომ ბექამ მანუჩარ III მოკვლის შემდეგ მიიღო მაჰმადიანობა და იწოდა საფარ ფაშად. „მესხურ ქრონიკიდან“ ვიცით, რომ 1582 წელს ბექა სტამბოლში წაიყვანეს[20]. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს უნდა მიეღო მას მაჰმადიანობა, ამასთანავე საყურადღებოა, რომ ოსმალურ წყაროებსა და ლიტერატურაში ბექა 1625 წლამდეც საფარ-ფაშას სახელწოდებით იხსენიება[21].

დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე ბექას (საფარ-ფაშას) ახალციხის ფაშად დანიშვნის თარიღიც.

თურქული წყაროების მონაცემებისა და იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ამ მოვლენის დათარიღება 1628 წლით.

სულთან მურად IV მიერ გ. სააკაძისადმი გაგზავნილ სიგელში საფარ ფაშა იხსენიება როგორც არფალიკის წესით სანჯაყის მფლობელი[22]. ეს ფირმანი ანგარიშგასაწევია იმ მხრივ, რომ იგი ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური დოკუმენტია და ასეთი ხასიათის ოსმალურ საბუთებში ზუსტად იყო ფიქსირებული ოსმალეთის სახელმწიფოს მოხელეების თანამდებობა და წოდებანი. საფარ ფაშა ამ სიგელის შედგენის დროისათვის (1626 წ.) ახალციხის ფაშა რომ ყოფილიყო, მაშინ იგი ამ დოკუმენტში მოხსენებული იქნებოდა ან რო-

---

19 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 255.

20 სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 110.

21 نعيما تاريخ, ტ. II, გვ. 151; Mufassal Osmanlı Tarihi, c. IV, 1802; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 240.

22 ს. ჯ ი ქ ი ა, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, „ენიმკის“ მოამბე, ტ. XIII, გვ. 238.

გორც ახალციხის ფაშა, ან როგორც ჩილდირის ბეგლარბეგი და არა არფალიკის წესით სანჯაყის მფლობელი, როგორც ეს სიგელშია.

ამ პერიოდში ირანსა და ოსმალეთს შორის ახალციხისათვის ცხარე ბრძოლები გაჩაღდა. იგი რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადავიდა: 1624 წელს ახალციხე ირანმა დაიპყრო, 1625 წელს ახალციხე ოსმალებმა დაიბრუნეს, 1626 და 1627 წლებში ახალციხე სპარსელების ხელთაა, ხოლო 1628 წელს ოსმალებმა ახალციხე ხელახლა დაიბრუნეს. აქედან 1625—1626 წლებში ახალციხეს ოსმალო მოხელე მურთაზა ფაშა განაგებდა. ამრიგად, ამ პერიოდში ახალციხის გამგებელად საფარ-ფაშა არ შეიძლება ყოფილიყო, 1626—1627 წლებშიც ახალციხე ირანელების ხელთაა და ამ დროსაც საფარ ფაშას ახალციხის გამგებლობა გამორიცხული ჩანს.

ჩვენ უფრო სანდოდ მიგვაჩნია მუჰამედ სურეიას ცნობა საფარ-ფაშას შესახებ, დაცული ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეების ბიოგრაფიულ კრებულში, რომლის მიხედვით, „საფარ ფაშა სულთან მურად IV (1623—1640) დროს ემირთაგანი იყო და ყარსის ციხისთავი გახდა. 1628 წელს ირანელებზე გაიმარჯვა და ახალციხისა და ჩილდირის ბეგლარბეგი გახდა“[23].

ამგვარად ირკვევა, რომ 1628 წელს საფარ ფაშას მიუღია ახალციხის (ჩილდირის) ბეგლარბეგობა.

ვახუშტის ასევე შეცდომით აქვს მოცემული საფარ ფაშას გარდაცვალების თარიღი 1635 წელი[24].

იმავე მუჰამედ სურეიას ცნობით, საფარ ფაშა დიდი ხნის განმავლობაში იყო ახალციხის ბეგლარბეგი და იგი 1651 წელს გარდაიცვალა[25].

ამ მონაცემებს მხარს უჭერს აგრეთვე სხვა ოსმალური წყაროებიც. ასე, მაგალითად, კოჩი ბეი გორიჯელის მეორე რისალეში, რომელიც XVII ს-ის 40-იან წლების დასაწყისშია შედგენილი, საფარ ფაშა ჩილდირის ბეგლარბეგადაა მოხსენიებული[26].

საფარ ფაშას შესახებ მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება ევლია ჩელების, რომელმაც 1649 წელს ახალციხის საფაშოში იმოგზაურა და ესტუმრა საფარ ფაშას. მისი დახასიათებით, ახალციხის

---

[23] سجل عثمانی, ტ. III, გვ. 41.

[24] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

[25] سجل عثمانی, ტ. III, გვ. 51.

[26] Koçi Bey risalesi, Istanbul, 1939, s. 101.

„ვილაიეთის ვალი საფარ ფაშა, წარმოშობით ქართველი, გულადი, უნარიანი, მოასპარეზე ადამიანია“[27].

ევლია ჩელების ეს ცნობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან მას პირადად უნახავს საფარ ფაშა.

მაშასადამე, საფარ ფაშა 1628—1651 წლებში განაგებდა ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს.

ისმის კითხვა, თუ 1579 წელს ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ახალციხის (ჩილდირის) საფაშო დააარსა, მაშინ რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სამცხის გამგებლები (ყვარყვარე IV, მანუჩარ II და მანუჩარ III) ატარებდნენ ათაბაგის ტიტულს. თითქოს აქ აშკარა წინააღმდეგობაა, მაგრამ იგი იხსნება ისტორიული სინამდვილის ანალიზით.

1579 წელს დაარსდა ახალციხის (ჩილდირის) საფაშო. სულთანმა მის პირველ გამგებლად დანიშნა გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა). მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1582 წ. მანუჩარი აუჯანყდა ოსმალებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლაც დაიწყო. ამიტომ იგი ჩილდირის ბეგლარბეგობიდან გადაყენეს. მანუჩარი და ათაბაგის სახლის სხვა წევრები, სხვადასხვა საშუალებით, თავდადებით იბრძოდნენ სამცხეში თავისი უფლებების აღდგენისათვის. რიგ შემთხვევაში ოსმალეთის სულთანი იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ სულთანმა ჩილდირის საფაშო გააუქმა. 1579 წლიდან მოყოლებული 1628 წლამდე და მის შემდგომაც ახალციხის საფაშო ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციას შეადგენდა. ამას ადასტურებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ფერიდუნ ბეის კრებულში დაცული „დავთარი“, აინი ალისა და კოჩი ბეის „რისალეები“ და სხვ.

1579 წლიდან სამცხის ათაბაგები ფაქტიურად კარგავენ თავის ხელისუფლებას სამცხეზე. ამიერიდან სამცხეს ჩილდირის ბეგლარბეგები (ფაშები) მართავენ[28]. ქართველი ათაბაგები, ზოგჯერ მთლიანად განდევნილი სკუთარი მიწა-წყლიდან. ზოგჯერ კი ნაწილობრივ,

---

[27] اولیا چلبی ‘سیاحتنامه‌سی, ტ. II, გვ. 146; თარგმანი, გვ. 242.

[28] 1587 წელს ჩილდირის ბეგლარბეგად იხსენიება ჩერქეზ ისქანდერ ფაშის შვილი აჰმედ ფაშა (B. Külükoğlu, op. cit., s. 186). 1595 წ. „გურჯისტანის დავთარში“ ჩილდირის ბეგლარბეგად დასახელებულია ხიდირ ფაშა (გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 24), ხოლო 1604—1605 წლებში ჩილდირის ვალად დასახელებულია კარაკაშ ფაშა (منجم‌باشی, ტ. III, გვ. 621). ზემოდასახელებული ჩილდირის გამგებლები წარმოშობით ქართველები არ უნდა იყვნენ.

ნომინალურად ატარებდნენ ათაბაგის ტიტულს. მაგრამ ამ ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შექმნილ ვითარებაში. იგი მოწმობდა, რომ ქართველები არ ცნობდნენ ოსმალების მიერ სამცხის დაპყრობას და იბრძოდნენ მისი განთავისუფლებისათვის. სულთანს შეგნებული ჰქონდა, რომ ახალციხის საფაშოში ოსმალთა ბატონობის საბოლოოდ განმტკიცებისათვის საჭირო იყო მანუჩარ II და შემდგომ მანუჩარ III-ის დამორჩილება და აქ ათაბაგის ინსტიტუტის საბოლოოდ გაუქმება, რადგან ქართველი ათაბაგები მეთაურობდნენ სამცხეში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს.

1579—1628 წწ. სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში ესაა პერიოდი, როდესაც ჩილდირის საფაშოს დაარსების შემდეგ, ქართველები იბრძვიან სამცხიდან ოსმალთა განდევნისა და აქ ათაბაგის ხელისუფლების აღდგენისათვის.

1628 წელს საფარ ფაშის ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგად დანიშვნით, ოსმალეთმა, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, მოსპო სამცხეში ათაბაგის სახით შემორჩენილი ადგილობრივი ხელისუფლება.

ქართველი ხალხის ბრძოლა სამცხიდან ოსმალების განდევნისა და აქ ათაბაგის ხელისუფლების აღდგენისათვის მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს ქართულმა ფეოდალურმა სამთავრომ შეწყვიტა პოლიტიკური არსებობა, ათაბაგის ადგილი სულთანის მოხელემ, ფაშამ დაიჭირა. ამიერიდან სამცხის გამგებლები „არღა-რა იწოდებოდნენ ათაბაგად თუნიერ საქართველოთაგანთა. გარნა ახალციხის ფაშად"[29]. მიუხედავად ამისა, ქართველები ახალციხის ფაშას „კვალად ათაბაგადვე უწოდებდნენ". ეს კი იმის დამადასტურებელი იყო, რომ ქართველები არ ცნობდნენ ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს გაუქმების ფაქტს და მას კვლავ საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ.

3. ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს პოლიტიკური ორგანიზაცია

ახალციხის საფაშოს პოლიტიკური ორგანიზაცია ოსმალურ საფუძველზე იყო მოწყობილი. ახალციხის საფაშოს მართვა-გამგებლობა და ადმინისტრაციული დაყოფა ოსმალური წესის მიხედვით წარმოებდა. მიუხედავად ამისა, იგი ინარჩუნებდა მთელ რიგ თავისებურებებს, რითაც იგი განსხვავდებოდა ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებისაგან.

---

[29] ვახუშტი, გვ. 256.

ეიალეთი (საფაშო) იყო უმაღლესი სამმართველო ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. ეიალეთს ბეგლარბეგი (მირ-მირანი) განაგებდა. ბეგლარბეგს სულთანი ნიშნავდა და იგი უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ოსმალეთში კანონით დაუშვებელი იყო პროვინციების მართვა-გამგებლობის მემკვიდრეობითი წესი. ბეგლარბეგს ეიალეთის გამგებლობა გარკვეული ვადით ეძლეოდა. ჯერ სამი წლით, შემდეგ ორით და ბოლოს — ერთი წლით. რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ. თუ ფირმანი განახლებული არ იქნებოდა, ფაშა პრაქტიკულად კარგავდა ძალაუფლებას. სულთნის მთავრობას სურდა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდა პროვინციის გამგებლები, არ დაეშვა მათი უფლებების გაძლიერება და განმტკიცება[30].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სულთანმა საფარ ფაშას ახალციხის ფაშობა (ჩილდირის ბეგლარბეგობა) მემკვიდრეობით უბოძა. „ხოლო ვინად-გან მოეცა ხონთქარსა ფირმანი მკვიდრობისა საფარ ფაშისათჳს, შემდგომად სიკუდილისა მამათა მათთათა წარვიდიან სტამბოლს და მისციან ქრთამი და მათ წარმოავლინიან ფაშად“[31]. ჯაყელის (ათაბაგი) გვარის გამაჰმადიანებულმა შთამომავლებმა მემკვიდრეობითი უფლება ახალციხის საფაშოზე შეინარჩუნეს XVIII ს. მეორე ნახევრამდე. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სულთანი იძულებული გახდა სამცხის მიმართ გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო და საერთო წესისათვის გვერდი აეცლო.

ჩილდირის ეიალეთს (ახალციხის საფაშოს) ორი ან სამთუღიანი[32] ფაშა (ბეგლარბეგი) განაგებდა.

---

[30] M. D'Ohsson, Tableau general de l'Empire Ottoman. Paris, 1820. v. VII, p. 277; ვ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI საუკუნეში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, გვ. 106.

[31] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

[32] თუღი (ιυğ) იყო სიმბოლო უმაღლესი სამხედრო სარდლისა სულთნიდან—სანჯაყ-ბეგამდე. იგი ცხენის ძუისაგან მზადდებოდა. მოოქროვებულ ბირთვით დაბოლოებულ ხის გრძელ ტარზე (შუბზე) მიმაგრებული ასეთი კუდი წარმოადგენდა ოსმალეთის სახელმწიფო დროშას. ასეთი ალამი ჰქონდა სულთანს, დიდ-ვეზირს, ვეზირებს, ბეგლარბეგებს, სანჯაყ-ბეგებს. მხოლოდ ისინი განსხვავდებოდნენ ცხენის ძუის რაოდენობით, რომელსაც განსაზღვრავდა ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება და ამით მიუთითებდა იმაზე, თუ ვის რა უფლება და თანამდებობა ჰქონდა. თუღი გამგებელთა უფლების აღმნიშვნელი ნიშანი იყო. ოსმალური წესების მიხედვით, სულთანი ცხრა თუღას ატარებდა. მისი თუღათა რაოდენობა არ იყო დაკანონებული, მაგრამ არ შეიძლებოდა ფადიშაჰს შვიდ თუღაზე ნაკლები ჰქონოდა. დიდ ვეზირს ხუთი თუღა ჰქონდა ნაბოძები, ხოლო ვეზირს კი—სამი თუღა. პროვინციის (ეიალეთისა და სანჯაყის) გამგებლები ატარებდნენ სამიდან ერთ თუღამდე. ეიალეთის (ვილაეთის) გამგებელი ბეგლარბეგი (ფაშა) სამ ან ორ თუღას ატარებდა, ხოლო სანჯაყის გამგებელი, სანჯაყ ბეგი— ერთ თუღას.

ბეგლარბეგი განაგებდა ეიალეთის სამოქალაქო, სამხედრო და ნაწილობრივ სასამართლო საქმეებს. ის ომის დროს ეიალეთის ლაშქრის სარდალი იყო. ეიალეთის წარმადგენლობაში შემავალი სანჯაყბეგები ეიალეთის ბეგლარბეგს ემორჩილებოდნენ.

ჩილდირის ბეგლარბეგის რეზიდენცია ახალციხე იყო, მას „ფაშა-ლივას“ უწოდებდნენ. ეიალეთის საქმეების განსახილველად ბეგლარბეგის თავმჯდომარეობით დივანი იკრიბებოდა. ეიალეთის დივანს „ფაშა-დივანსაც“ უწოდებდნენ.

დივანი სათათბირო უფლებებით სარგებლობდა. იგი შედგებოდა საფაშოს სამოქალაქო, სასულიერო-იურიდიული და სამხედრო ხელისუფლების პირველი რიგის მოხელეებისაგან.

დივანის საქმეებს დივნის ეფენდი აწესრიგებდა. ეიალეთის გადასახადების, სახელმწიფოს შემოსავლის საქმეებს „მალ დეფთერდარი ანუ „ხაზინე დეფთერდარი“ აწესრიგებდა. მის კომპეტენციაში შედიოდა სამონეტო საქმე, ნაღდი ფულის მიღება-გასტუმრება, ფეოდალური საკარგავების, ფინანსების მოწესრიგება, რადგანაც საკარგავები გულისხმობდა ჯამაგირის მაგიერ სარჩოს (დირლიქის) გაცემას. ეიალეთის ზეამეთის საქმეებს — „თიმარის ქედჰუდა“ და თიმარის საქმეებს კი — „თიმარის დეფთერდარი“ გაანაგებდა. ეიალეთის დივანში თიმარ დეფთერდარსა და თიმარ ქედჰუდას მოხელეების გარდა, შედიოდნენ, აგრეთვე, ყადი, სუბაში და ფაშის თესქერეჯიებიც.

დივანში მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა სათანადო უწყებების მოხელეებს ევალებოდა. რელიგიისა და სამართლის საქმეებს კი ყადი განაგებდა. ყადი გასამართლებას შარიათის მიხედვით აწარმოებდა. მისი განაჩენი სისრულეში მოყავდათ სუბაშებს. საპოლიციო სამსახური აგრეთვე სუბაშებს ევალებოდათ. ისინი იცავდნენ წესრიგს სავაჭრო რიგებში, ბაზრებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. მათ განკარგულებაში იყო იანიჩართა რაზმი, რომელსაც ქალაქის დაცვა ევალებოდა. სუბაში ყადის ემორჩილებოდა. სამხედრო საქმეებისათვის თვალყურის დევნა ევალებოდა ალაი ბეგს.

ომის დროს, როდესაც ბეგლარბეგი სალაშქროდ გაემგზავრებოდა, მის თანამდებობაზე დროებითი რწმუნებული რჩებოდა, რომელსაც მუთესალიმი ეწოდებოდა. ომში ეიალეთის ბეგლარბეგის მეთაურობით მონაწილეობდნენ ეიალეთში შემავალი სანჯაყბეგები, ზაიმები, თიმარიოტები, თავიანთი ლაშქრითურთ.

ოსმალეთის მთავრობა ბეგლარბეგებს სამხედრო-ადმინისტრაცი-

ული სამსახურისათვის ხელფასის (დირლიქი) ნაცვლად ხასს აძლევდა. ბეგლარბეგის ხასის წლიური შემოსავალი 400 000 ახჩაზე[33] ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ჩილდირის ბეგლარბეგის და, კერძოდ, საფარ ფაშის ხასის ყოველწლიური შემოსავალი 925 000 ახჩას შეადგენდა[34].

ოსმალური წყაროების მიხედვით, XVII ს. პირველ ნახევარში ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთი 13 სანჯაყისაგან შედგებოდა:

1. ოლთისი, 2. ხერთვისი, 3. არტანუჯი, 4. დიდი არტაანი[35], 5. ჭაჭარაქი, 6. ფოცხოვი, 7. მაჭახელი, 8. აჭარა, 9. ფანაკი, 10. ფერთექრექი[36], 11. ლიეანა, 12. ნისფი ლივანა და 13. შავშეთი[37].

ოსმალების მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის ნაწილი სხვა ეიალეთებში იყო გაერთიანებული. ასე, მაგალითად, ბათუმის სანჯაყი ტრაპიზონის ეიალეთს დაუქვემდებარეს, ხოლო თორთუმი, ისპირი, ნამერავანი, ბასიანი და პატარა არტაანი — არზრუმის ეიალეთს[38].

სანჯაყი, ანუ ლივა იყო ოსმალეთის ძირითადი სამხედრო სამმართველო ერთეული, რომლებზედაც იყოფოდა ეიალეთი (ვილაიეთი). სანჯაყს სანჯაყ-ბეგი (მირი ლივა) განაგებდა. იგი მართავდა სანჯაყის სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს. სანჯაყ-ბეგს სამხედრო ადმი-

---

[33] ახჩა—თურქული ვერცხლის მონეტა. XVII საუკუნის დამდეგს იგი 1 1/2 კარატს და 80% სინჯს უდრიდა. ხოლო XVII საუკუნის შუა წლებში — 1 კარატს და 50% სინჯს. А. С. Тверитинова, Аграрный строй Османской империи XV—XVII вв., Документы и материалы, стр. 133.

[34] Koçi Bey risalesi, s. 102.

[35] დიდი არტაანის სანჯაყის სახელწოდება, კოჩი ბეის მეორე რისალეს თანამედროვე თურქულ ენაზე გამომცემელს აღი ქემალ ასკუთს შეცდომით ორ სანჯაყად— არტაანად და ბეზრეკად (Ardalıan, Bezerek) მიუჩნევია. ეს შეცდომა იმით არის გამოწვეული, რომ გამომცემელს, ჩანს ვერ გაუგია „ბეზრეკის" მნიშვნელობა (بزرك). „ბოზორგ" სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „დიდს". ეს სიტყვა ტექსტში არტაანის მსაზღვრელად (დიდი არტაანი) იხმარება და არა საკუთარ სახელად. ეს შეცდომა გაამორა აგრეთვე ა. ტვერიტინოვამ, რომელმაც კოჩი ბეის ეს რისალე რუსულად თარგმნა (Л. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея, УЗИВ АН СССР, 1953, т. IV, стр. 213—268).

[36] ფერთექრექი ჩვენ შეცდომით ფანასკერტად მივიჩნიეთ (მ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა... გვ. 294; ავრეთვე О юрдлуках и оджаклыках... стр. 2). ეს შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ ამ გეოგრაფიული ადგილის დასახელება თურქულ წყაროებსა და ლიტერატურაში სხვადასხვანაირად გვხვდება: يوتكرك, Yotekrek, Potekrek, Pertekrek და სხვ.). ბ. ჭყონიოღლუს წიგნში დართულ რუკაზე ფერთექრექი არტანუჯსა და ისპირს შორის მდებარეობს მდინარე ჭოროხის შუა წელზე. იხ. რუკა წიგნში (B. Kütükoğlu, op. cit.)

[37] Koçi Bey risalesi, s. 102.

[38] იქვე.

ნისტრაციული სამსახურისათვის ხელფასის (დირლიქი) ნაცვლად ხასი ეძლეოდა. სანჯაყ-ბეგის ხასის წლიური შემოსავალი საშუალოდ 200 000-დან 400 000 ახჩამდე აღწევდა.

ჩილდირის ეიალეთის ხასების ყოველწლიური შემოსავალი 4.563.444 ახჩას შეადგენდა[39]. აქედან:

1.	ოლთისის მირი	ლივას	ხასი	200 017	ახჩას
2.	ფერთექრექის	„	„	462 190	„
3.	არტანუჯის	„	„	280 000	„
4.	დიდი არტაანის		„	300 000	„
5.	შავშეთის	„	„	658.000	„
6.	ლივანას	„	„	60 000	„
7.	ხერთვისის	„	„	200 500	„
8.	ჭაჭარაქის	„	„	360 000	„
9.	ფოცხოვის	„	„	206 500	„
10.	მაჭახლის	„	„	203 229	„
11.	აჭარის	„	„	200 000	„
12.	ფანაკის	„	„	200 000	„[40]

სანჯაყებში ოსმალური მიწათმფლობელობის წესები იყო გავრცელებული. იქ მიწის ნაკვეთები (ლენი), გარდა ხასებისა, დანაწილებული იყო ზეამეთებად, თიმარებად, თესქერეს მქონე, უთესქერო თიმარებად და სხვ.

---

[39] M. B e l i n, Du regime des fiefs militaires dans l'islamisame et principalement en Turquie, «Journal Asiatique», 1870, t. XV., p. 280.

[40] Ayni Ali risalesi, s. 222—23; عينى عالى, قوانين آل عثمان در حلاصه مضامين دفتر ديوان, استانبول, ١٢٨٥، ص ٥٨-٥٩. აინი ალის „რისალეს“ მონაცემები ჩილდირის საფაშოს შესახებ თითქმის უნიკალურია, ამდენად ამ წყაროს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, გამომცემლის (ჰ. თუნჯერი) მიზეზით მასში გაპარულია შეცდომები და უზუსტობანი; ეს შეეხება გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემას, სანჯაყების, თიმარებისა და ზეამეთების რაოდენობის აღნიშვნას, ხასების შემოსავლის ჩვენებას და სხვ. ასე, მაგალითად, ჩილდირის ვილაიეთის ზოგიერთი სანჯაყის სახელწოდება დამახინჯებულადაა მოცემული: აჭარა—Icarenik (გვ. 7), Icare (გვ. 13, 99), Acat (გვ. 188), ფანაკი—Nebek (გვ. 13, 24); Pebek (გვ. 188—229), მაჭახელი—Mahçil (გვ. 229); Mahçıl (გვ. 188), Mahç bele (გვ. 13) და სხვ. ფანაკის ლივაში ერთი მონაცემის მიხედვით 89 თიმარია (გვ. 36), მეორეს მიხედვით კი — 895 (გვ. 76). ზოგჯერ შეუძლებელია სანჯაყის სახელწოდების ამოკითხვა: Hesbir (გვ. 24, 104), Oztehne? (გვ. 36) და სხვ. რეცენზია აინი ალის „რისალეს“ ამ გამოცემაზე იხ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, თსუ, შრომები, ტ. 118, გვ. 295—301.

ჩილდირის ეიალეთში 656 კილიჩი (ხმალი), 97 ზეამეთი, 559 თესქერეს მქონე და უთესქერო თიმარი იყო[41].

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, სანჯაყებში ზეამეთები და თიმარები შემდეგნაირად იყო დანაწილებული:

	ზეამეთი	თიმარი
1. ოლთისის ლივა	3	123
2. დიდი არტაანის „	9	86
3. არტანუჯის „	4	9
4. ჭაჭარაქის „	2	23
5. ხერთვისის „	12	39
6. ფოცხოვის „	11	18
7. ფანაკის „	8	54
8. Hesbir (sic)	2	4
9. ისპირის „	4	14[42]

ტრაპიზონის ეიალეთში შემავალი ბათუმის სანჯაყში იყო 13 ზეამეთი და 73 თიმარი[43].

თიმარიოტები და ზაიმები ვალდებული იყვნენ თავიანთ ნაკვეთზე ეცხოვრათ, მთავრობის პირველ დაძახილზე საომრად გამოსულიყვნენ და თან შეიარაღებულ მოლაშქრეთა დაწესებული რაოდენობა გამოეყვანათ. თიმარიოტს ყოველ 3000 ახჩა შემოსავალზე ერთი შეიარაღებული მეომარი უნდა გამოეყვანა, ზაიმს ყოველ 5000 ახჩაზე — ერთი შეიარაღებული მოლაშქრე. ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ლენის დაკარგვას მოასწავებდა. თიმარები და ზეამათები მემკვიდრეობით გადადიოდა (მამაკაცის ხაზით) მამიდან შვილზე იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი სულთნის წინაშე სამხედრო სამსახურს განაგრძობდა, მაგრამ მას არ შეეძლო თიმარის გაყიდვა, გასაჩუქრება და გასხვისება. იმ შემთხვევაში თუ ვინმეს მემკვიდრე არ ჰყავდა, ლენი ხელახლა სახელმწიფო ხაზინას გადაეცემოდა. ასე რომ, მიწის მფლობელობა, ძირითადად, სამხედრო სამსახურით იყო გაპირობებული, ხოლო მიწათმფლობელი, როგორც წესი, აუცილებლად მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო.

---

[41] Aınî Ali risalesi, s. 23. عینی علی, გვ. 58.

[42] იქვე, გვ. 24, 104; იქვე, გვ. 59.

[43] იქვე, გვ 25; Aynî Ali, Osmanlı Imparatorluğunda Eyâlet Taksimati, Toprak dağitimı ve bunların malî güçleri, çeviren H. T u n ç e r, Ankara. s. 35, 75.

ჩილდირის ეიალეთში აგრეთვე გვხვდება თესქერიანი და უთესქერო თიმარებიც. თესქერე ეწოდებოდა ბეგლარბეგის მიერ საკარგავის მფლობელად რეკომენდებული პირის იმ საბუთს, რომელიც პროვინციიდან სატახტო ქალაქის დევთერ-ხანებში იგზავნებოდა. 1530 წლიდან ბეგლარბეგს ჩამოერთვა საკარგავის გაცემის უფლება და მფლობელობაზე „ბარათის“ მიცემა. ბარათს ამიერიდან სულთნის კარი იძლეოდა. ბეგლარბეგი მხოლოდ ასახელებდა საკარგავის მფლობელის კანდიდატს. გამონაკლისს შეადგენდა მცირე თიმარები, რომელთა შემოსავალი 3000 ახჩას არ აღემატებოდა. ამის მიხედვით თიმარები იყოფოდა ორ ჯგუფად: რეკომენდებული თიმარები („თესქერიანი“) და თიმარები, რომელთაც ასეთი რეკომენდაცია არ სჭირდებოდათ („უთესქერო“).

ომის დროს ჩილდირის ბეგლარბეგს, კანონის მიხედვით, 1720-მდე კაცი უნდა გამოეყვანა[44].

ვახუშტი სამცხეში ამ პერიოდში სამხედრო ბეგარის შემოღებასთან დაკავშირებით წერს: „კვალად ჟამსავე ამისსა განაწესეს სპანი და შეჰკვეთეს მამულიანთა გამოსაღებითა მათითავე ფაშას, ბეგს, ალაი ბეგს, სანჯახს და აღას და რაოდენნიცა კაცნი დააწესეს უწოდეს ხრმალი და სადაცა უხმდათ წარიყვანიან, არათუ ქრისტეანეთა, არამედ მაჰმადიანთა მოლაშქრედ“[45].

როგორც დავინახეთ, ვახუშტის კარგად ესმის, რომ ოსმალეთში ლაშქრის გამოყვანა დაკავშირებული იყო „მამულთა გამოსაღებთან“, მის ყოველწლიურ შემოსავალთან, ხოლო მოლაშქრეთა „ხმალი“ (შდრ. თურქ. კილიჩ) გამოყვანა ევალებოდათ ფაშას, ალაი ბეგს, აღას და სხვ., ე. ი. გამაჰმადიანებულ ქართველ ფეოდალებს.

ჩილდირის საფაშოს მთავარ ციხე-ქალაქებში განლაგებული იყო იანიჩართა სამხედრო ნაწილები: ახალციხეში, აწყურში, ხერთვისში, ოლთისში და სხვ. იანიჩართა გარნიზონებს ევალებოდათ არა მარტო ციხე-ქალაქების დაცვა, არამედ ამ ოლქში წესრიგის დაცვაც.

ვილაიეთის ზეამეთების, თესქერიანი და უთესქერო თიმარების ყოველწლიური შემოსავალი 9 686 000 ახჩას შეადგენდა[46].

მთლიანად ჩილდირის ვილაიეთის ყოველწლიური შემოსავალი 14 249 444 ახჩას უდრიდა[47]. ევლია ჩელების ცნობით კი, ჩილდირის

---

[44] Aynî Ali risalesi, s. 23; Koçi Bey risalesi, s. 102.

[45] ვახუშტი, გვ. 258.

[46] M. Belin, op. cit., p. 280.

[47] იქვე.

საფაშოს 1060 სოფლიდან ყოველწლიურად 320 ქისე[48] შემოდიოდა[49].

ყოველივე ზემოთქმული იმას ადასტურებს, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში ჩილდირის ვილაიეთში საკმაოდ ფეხმოკიდებული ყოფილა ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები და მისი შესაბამისი ინსტიტუტები. გურჯისტანის ვილაიეთთან შედარებით, ჩილდირის ეიალეთის მდგომარეობა XVII ს-ის პირველ ნახევარში გაცილებით უფრო მძიმე იყო და იგი ოსმალურ პროვინციად გამოიყურებოდა.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ჩილდირის ეიალეთში ქართული წესები მთლიანად გაუქმებული იყო, ხოლო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესები საბოლოოდ გაბატონებული. საყურადღებოა, რომ ჩილდირის ეიალეთის ოთხი სანჯაყი—ფერთექრექი, ლივანა, ნისფი ლივანა და შავშეთი — ბოძებული იყო ოჯაკლიკისა და იურთლუკის წესით კერძო საკუთრებაში[50].

სელიმ I დროს (1512—1520) აღმოსავლეთ ანატოლიაში, ქურთების ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ, დაარსებულ იქნა იურთლუკისა და ოჯაკლიკის ტიპის სანჯაყები[51].

ოსმალური წყაროების ცნობით (აინი ალი, ალი ჩაუში), იურთლუკები და ოჯაკლიკები განეკუთვნებოდა სახელმწიფო კატეგორიის მიწებს (araz—i miriye). მათში იყო ზეამეთები, თიმარები და მათი შემოსავალი ჩაწერილი იყო დავთარში. ომის შემთხვევაში ამ სანჯაყთა მფლობელებს ევალებოდა ლაშქრის გარკვეული რაოდენობის გამოყვანა ბეგლარბეგის სარდლობით. მათ გამგებლებს ჰქონდა დროშა და დოლი. მათ ხელთ მყოფი საბუთის ძალით, არავის შეეძლო რომელიმე მათგანის მოხსნა და მის ადგილზე სხვა პირის დანიშვნა. ამ სანჯაყებს ფლობდნენ მემკვიდრეობის წესის საფუძველზე. იურთლუკის და ოჯაკლიკის გამგებლის სიკვდილისა ან გადად-

---

[48] ქისე (كيسه) — საფულე: ფულის გარკვეული თანხა. XV ს-ში ქისე უდრიდა 30000 ახჩას ან 10000 ალთუნს (ოქროს). XVII ს-ში მისი ღირებულება გაიზარდა ჯერ 40000, ხოლო შემდგომ 50000 ახჩამდე. (А. С. Тверитинова, Аграрный строй Османской империи..., стр. 203).

[49] چلبی اولیا, ტ. II, გვ. 323.

[50] Ayni Ali risalesi, s. 13, 27; Koçi Bey risalesi, s. 102.

[51] I. H., Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. II, s. 572, 573; Mufassal Osmanlı Tarihi, c. III s. 1533, 1534; H. A. Gibb and H. Bowen, Islamic society and West, London, 1931, p. 147.

გომის შემთხვევაში, მისი უფლებები გადაეცემოდა მის ვაჟს, ძმას ან ნათესავს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა უცხო პირს — იმ დრომდე, ვიდრე ცოცხალი იყვნენ მისი შვილები ან ნათესავები. მათი სიკვდილის შემთხვევაში კი, ჩვეულებრივ, იურთლუკსა და ოჯაკლიკს უბოძებდნენ ხოლმე დიდ გამოჩენილ მოხელეს, და მას უკვე აღარ ეწოდებოდა ოჯაკლიკი ან იურთლუკი. მისი პირველი გამგებელი (რომელიც არ იმყოფებოდა ნათესაურ კავშირში ყოფილ მფლობელთან) განაგებდა მას საერთო წესის მიხედვით, როგორც ჩვეულებრივ სანჯაყს[52].

იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები შემდგომ დაარსებულ იჭნა დიარბექირის, ვანისა და ბაღდადის ეიალეთებში[53].

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, იურთლუკებისა და ოჯაკლიკების სანჯაყები დაარსებული იყო მხოლოდ ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე. მართალია, დასაწყისში სულთანი ამგვარ სანჯაყებს უბოძებდა ხოლმე ქურთთა ბეგებს, მაგრამ, როგორც წყაროებიდან ირკვევა, შემდგომში ასეთი ტიპის სანჯაყები გაცემულ იქნა ოსმალეთის იმპერიაში შემავალ სხვა პროვინციების წარჩინებულთათვის.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ჩილდირის ეიალეთის ოთხი სანჯაყი ბოძებული იყო იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩილდირის ეიალეთში ოსმალების მიერ დაარსებული იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა, რითაც იგი განსხვავდებოდა იმპერიის სხვა პროვინციებში დაარსებულ ამ ტიპის სხვა სანჯაყებისაგან. საქმე ისაა, რომ ჩილდირის ეიალეთში დაარსებული ოჯაკლიკისა და იურთლუკის ოთხი სანჯაყი კერძო (mülkiyet) საკუთრებაში იყო ბოძებული[54].

ამ ფაქტს აგრეთვე ადასტურებს ევლია ჩელები. იგი წერს: „ფერთექრექს, ლივანას, ნისფი ლივანას და შაშეთს იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით ფლობენ, როგორც საკუთარ მამულს“[55].

---

[52] Аграрный строй Османской империи XV—XVII вв., Документы и материалы, составление, перевод и комментарии А. С. Твертиновой, стр. 100; Aynî Ali risalesi, s. 6.

[53] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. II, s. 573.

[54] Aynî Ali risalesi, s. 13; Koçi Bey risalesi, s. 102; Gib and Bowen, op. cit., p. 147.

[55] اولیا چلبی, II, გვ. 322.

ამგვარად, იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით ბოძებული ჩილდირის ეიალეთის სანჯაყები კერძო მფლობელობაში იმყოფებოდნენ და ისინი განეკუთვნებოდნენ არა სახელმწიფო მიწების (araz-i miriye) კატეგორიას, არამედ კერძო (mülkiyet) მიწებს. კერძო საკუთრებაში გაცემული სანჯაყები კი „დავთარში“ არ ტარდებოდა.

ამასთანავე ირკვევა, რომ ჩილდირის ეიალეთში მყოფ იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყებში ზეამეთები და თიმარები არ იყო[56].

ჩილდირის ეიალეთში მყოფი ამ სახის სანჯაყების ხასიათის გასარკვევად საყურადღებო ფირმანი მოეპოვება დ. ბაქრაძეს. მას მოტანილი აქვს 1640 წელს სულთან იბრაჰიმ I (1640—1648) მიერ გაცემული ფირმანი გამაჰმადიანებული ქართველი სანჯაყ ბეგისადმი.

„არზრუმის ბეგლარბეგმა, ნათქვამია ფირმანში. მოახსენა ჩვენ ბედნიერ კარს, რომ ჩვენი წინაპრების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, მეჰმედ ბეგმა ყველა ქართველ ბეგებზე ადრე გამოგვიცხადა მორჩილება და მიიღო ისლამის ნათელი და იგი ჩვენი აწ განსვენებული წინაპრების სულთან სულეიმან-ხანისა და სელიმ-ხანის დროიდან, მათი უმაღლესი ბრძანების თანახმად, მემკვიდრეობით ფლობდა მის ხელში მყოფ სანჯაყს... ამჟამად, მისი სიკვდილის გამო, მისი შვილი ხოსროვი, წარჩინებული ამირების სიამაყე, ულირსესი დიდი ღვთის წყალობისა, ხსენებული სანჯაყის მფლობელი, შიშობს, რომ მთავრობის განკარგულება საქართველოს ოლქის სანჯაყთა აღწერის შესახებ, მიუხედავად მის მიერ ქონებული უმაღლესი ფირმანისა, არ გავრცელდეს მის სანჯაყზეც და შუამდგომლობს მისი უფლების განახლების შესახებ მის სანჯაყზედ და თანაც დასძენს, რომ ასეთი განახლება ერთხელ კიდევ მომხდარა განსვენებული ჩვენი მშობლის მურად ხანის (1623—1640) დროს. ამის გამო მე ვინებე გაცემა ამ უმაღლესი ფირმანისა. ამასთანავე ვბრძანებ, ამიერიდან ხოსროვი ფლობდეს თავის სანჯაყს იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც ქართველი ბეგები ფლობდნენ თავის მამულებს, და სანამ იგი დარჩება ერთგული ჩვენი პიროვნების და რელიგიის, მანამ ახდენდეს განკარგულებას მემკვიდრეობით და დაუბრკოლებლად მის მიერ კუთვნილ ციხე-კოშკებზე, სოფლებზე, გლეხებზე და ისარგებლოს თავისი მამულების შემოსავლით. უმაღლესი ვეზირებიდან, ბეგლარბეგებისანჯაყბეგებიდან და სამხედრო მოხელეებიდან არავინ გადასახადე-

---

[56] Aynî Ali risalesi, s. 13.

ბის აჭრეფის სახით არ შეეხოს ხოსროვის სამფლობელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევი ამ უმაღლესი ჩვენი ნება-სურვილისა ცნობილ იქნება დამნაშავედ უმაღლესი ღვთის წინაშე"[57].

ამ ფირმანიდან ჩანს, რომ ქართველ ფეოდალს მეჰმედ ბეგს „ნებაყოფლობით" მორჩილება გამოუცხადებია ოსმალეთის სულთნისათვის, მაჰმადიანობა მიუღია და ოსმალეთის წინაშე დამსახურებისათვის სულთანს მისთვის მემკვიდრეობით სანჯაყი უბოძებია. საყურადღებოა ის, რომ ფირმანში პირდაპირაა მითითებული, რომ ამ სანჯაყის გამგებელი ხოსროვი მანამ იქნებოდა მისი მფლობელი, „სანამ იგი დარჩება ერთგული ჩვენი პიროვნების და რელიგიისა". ამგვარად, სანჯაყის ფლობის პირობა იყო სულთნის ხელისუფლებისა და ისლამის რელიგიისადმი ერთგულება. სამწუხაროდ, ეს ფირმანი არ არის დედნის ზუსტი თარგმანი და მასში არ არის მითითებული, თუ სახელდობრ სად მდებარეობდა ამ სანჯაყის ტერიტორია. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პირველად ასეთი სახის ფირმანი სულეიმან I (1520—1566) დროს ყოფილა გაცემული. ცნობილია, რომ ოსმალებმა სულეიმან კანუნის დროს დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, არტანუჯი, არტაანი...) და დაპყრობილი ტერიტორია სანჯაყებად დაანაწილეს. აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ ზემოთ მითითებული ხოსროვის სანჯაყი ამ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე უნდა ყოფილიყო დაარსებული. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით ბოძებული ოთხი სანჯაყი სწორედ ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დასავლეთ რაიონებში მდებარეობდნენ. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ხოსროვისადმი ბოძებული სანჯაყი ერთ-ერთი იმ სანჯაყთაგანი უნდა ყოფილიყო, ან ყოველ შემთხვევაში, იმ ტიპისა, რომლებიც ჩილდირის საფაშოში მდებარეობდა და იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით იყო გაცემული. დასახელებული სანჯაყები აღწერის გარეშე არიან დატოვებული, ე. ი. არ იყვნენ დავთარში გატარებული და საერთო აღწერას არ ექვემდებარებოდნენ. ამიტომ, ცხადია, ეს სანჯაყი ჩილდირის საფაშოში მდებარე იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით გაცემული ერთ-ერთი სანჯაყთაგანი უნდა ყოფილიყო. მოტანილი ფირმანის ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ სანჯაყში დაცული ყოფილა ადგილობრივი ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი წესები. ამგვარი სანჯაყები ხელშეუვალი იყო და არავის ჰქონდა უფლება სანჯაყში შესვლი-

[57] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, Петербург, 1879, стр. 30, 31.

სა და გადასახადების აკრეფის. სანჯაყის მთელი შემოსავალი გამაჰმადიანებული ქართველი ბეგის კუთვნილებას შეადგენდა, ხოლო თვით სანჯაყ-ბეგი ადმინისტრაციული დამოუკიდებლობითა და მართლმსაჯულების უფლებებით სარგებლობდა.

ახალციხის საფაშოში მოგზაურობის დროს ევლია ჩელები შენიშნავს, რომ „შავშეთის სანჯაყს ყადი (მოსამართლე—მ. ს.) არ ჰყავსო“[58]. ეს კი იმხრივაა საყურადღებო, რომ შავშეთის სანჯაყი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ოჯაკლიკისა და იურთლუკის წესის საფუძველზე იყო გაცემული და ყადის ამ სანჯაყში არყოფნა იმის დამადასტურებელი იყო, რომ აქ მართლმსაჯულება წარმოებდა ადგილობრივი ადათ-ჩვეულებების საფუძველზე.

ამგვარად, მესხეთის ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილი რჩებოდა სანახევროდ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ფენად. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ოსმალური მიწათმფლობელობა ერთგვარად მაინც არ ეხებოდა გამაჰმადიანებული ქართველი ბეგის მიწა-წყალს. საქმე ისაა, რომ გამაჰმადიანებულ ქართველ ბეგს თავისი სანჯაყის მფლობელობის უფლება ოსმალეთის სულთნისაგან უნდა მიეღო, ასე რომ, წესით, მისი მიწების უზენაეს მესაკუთრედ სულთანი გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ადგილობრივი წესები ამ შემთხვევაში ძირითადად ხელუხლებელი რჩებოდა.

სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე იურთლუკისა და ოჯაკლიკის ტიპის სანჯაყების დაარსება დაკავშირებული იყო დაპყრობილი ქვეყნის გაბატონებული კლასის გარკვეული ნაწილის თავის მხარეზე გადმობირებასთან. ეს იყო ერთგვარი კომპრომისი დამპყრობელსა და დაპყრობილი ქვეყნის პრივილეგირებული კლასის გარკვეულ ნაწილს შორის. გამაჰმადიანებული ქართველი ბეგებისათვის იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყების ბოძებით სულთანს სურდა ისინი თავის სამსახურში ჩაეყენებინა და მათი დახმარებით, ერთი მხრივ, დაემორჩილებინა ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო, მეორე მხრივ, დაეცვა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი თავისი იმპერიის საზღვარი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობა. იგი შავშეთის მხარის შესახებ წერს, რომ მისი მოსახლეობა შედგება „ქართველი აზნაურებისაგან“[59],

---

[58] اولیا چلبی, ტ. II, გვ. 325, თარგმანი, გვ. 249.

[59] იქვე, გვ. 312.

ევლია ჩელების ეს ცნობა იმ მხრივ იქცევს ყურადღებას, რომ იგი პირდაპირ ასახელებს ქართველი ფეოდალების აღმნიშვნელ ტერმინს „აზნაურს“. ცხადია, ევლია ჩელები „ქართველ აზნაურში“ გარკვეულ შინაარსს დებდა. სამწუხაროდ, იგი არაფერს წერს, თუ რით განსხვავდებოდნენ „ქართველი აზნაურები“ ოსმალო ფეოდალებისაგან. მაგრამ თვით ფაქტი „აზნაურის“ აღნიშვნისა მეტად საყურადღებოა. ირკვევა, რომ ოსმალების მიერ შავშეთის დაპყრობის დაახლოებით ასი წლის შემდეგ და უფრო გვიანაც, აქ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველი აზნაურები, რომლებმაც შეინარჩუნეს გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები[60].

ჩილდირის ეიალეთში იყო არა მარტო იურთლუკისა და ოჯაკლიკის სახის სანჯაყები, არამედ იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით ბოძებული სამემკვიდრეო მამულებიც. ასეთი სამფლობელოები გვხვდება ახალციხის[61], ახალქალაქისა[62] და აჭარის ლივებში[63].

ამ სახის სამფლობელოები „დავთარში“ იყო გატარებული და სახელმწიფო მიწის კატეგორიას განეკუთვნებოდა, მათზე ოსმალური საგადასახადო სისტემა ვრცელდებოდა და შემოსავალი ამ საკარგავის მფლობელის საკუთრებას შეადგენდა. ამ სახის სამფლობელოები მემკვიდრეობით გადადიოდა შვილზე და უახლოეს ნათესავზე.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩილდირის ეიალეთში მულქის საფუძველზე გაცემული იურთლუკებისა და ოჯაკლიკების ტიპის სანჯაყების გარდა, რომელნიც „დავთრის გარეშე“ რჩებოდნენ, არსებობდა „დავთარში“ გატარებული იურთლუკისა და ოჯაკლიკის ტიპის მამულები, რომელნიც ეკუთვნოდნენ სახელმწიფო მიწების კატეგორიას[64].

---

[60] XIX ს-ის 40-იან წლებში შავშეთში ქართველი აზნაურების არსებობის ფაქტს ადასტურებს აგრეთვე ქართველი მოგზაური გიორგი ყაზბეგი. «До введения же новой организации (танзимата — М. С.) здесь были азнауры, остатки старинных дворян. Ію сведениям, в Шавшете насчитывалось до 90 дворянских фамилий привелегия которых состояла в том, что они могли владеть крестьянами и обязаны были бекам только службой на войне. Беги в свою очередь пользовались владельческими правами». Г. Казбег, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРРО; кн. X, вып. I, Тифлис, 1876, стр. 71.

[61] ს. ჯიქია, XVIII ს-ის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 161—185.

[62] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 257.

[63] ა. ალავიანი, მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 56

[64] М. Х. Сванидзе, О юрдлуках и оджаклыках..., стр. 7.

ამგვარად, ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ვერ შეძლო აქ მთლიანად ქართული ფეოდალური წყობილების მოსპობა და იგი საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდა მთელ რიგ თავისებურებებს. ყოველივე ეს აშკარად ადასტურებს ადგილობრივი, ქართული სოციალ-ეკონომიური წყობილების გამძლეობას და „ოსმალობის“ სამეურნეო-ეკონომიური წყობის სისუსტეს.

თურქულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომ თითქოს ოსმალური ფეოდალიზმი წარმოადგენს ადრინდელი ისლამური საზოგადოებების უშუალო განვითარებას. ამ შეხედულების მომხრენი უარყოფენ ოსმალური ფეოდალიზმის კავშირს სხვა ქვეყნების ფეოდალიზმთან. ეს დებულება ოსმალეთის იმპერიის დასავლეთ რაიონების (ბალკანეთის ქვეყნები) მიმართ გააკრიტიკა ა. ტვერიტინოვამ[65]. მისი აზრით, დამპყრობელთა საზოგადოება ყალიბდებოდა მჭიდროდ დასახლებულ დაპყრობილ ხალხთა ტერიტორიაზე, რომელნიც იდგნენ გაცილებით უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ დონეზე, ვიდრე ოსმალო დამპყრობლები, ამიტომ ბუნებრივია, მთელი რიგი ფეოდალური ინსტიტუტებისა ოსმალებმა შეითვისეს ადგილობრივი ფეოდალური წყობილებიდან[66].

სამცხის ტერიტორიაზე იურთლუკისა და ოჯაკლიკის ტიპის სანჯაყები უნდა განვიხილოთ როგორც ფაქტი — ადგილობრივი ქართული ფეოდალური ინსტიტუტების არსებობისა ოსმალურ ფეოდალურ საზოგადოებაში[67].

საფარ ფაშას ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგად დანიშვნა წარმოადგენდა ახალ ეტაპს ახალციხის საფაშოს გაოსმალების საქმეში.

საფარ ფაშას დროიდან სამცხეში სწრაფად ვრცელდება „ოსმალობა“. ოსმალებმა სამცხე აღწერეს და „შეჰკვეთეს ხარკი ქრისტეანეთა სულზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ ჭვიდის-თავი ცხვარზე 2 შაური, ზროხაზედ — აბაზი, ცხენსა და კამ-

---

[65] А. С. Тверитинова. Фальсификация средневековой истории Турции в Кемалистской историографии, „Византийский временник“, т. XXVI, 1965, стр. 58—66.

[66] В. П. Мутафчиева. К вопросу о землевладении в Сирии в XIV—XVI вв., «Византийский временник», т. XXVI, 1965 г. стр. 58—66.

[67] ჩილდირის ეიალეთში იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყების არსებობის ფაქტს ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ ჯიბმა და ბოუენმა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ეიალეთის მაგალითზე აეხსნათ ამ სანჯაყების რაობა. მათი სიტყვებით: „ჩილდირის მფლობელობა მთლად ნათელი არ არის“ Gibb, H. A. and Harold Bowen, Islamic Society and the West, p. 163.

ბეჩზედ ექვსი შაური: ხოლო საფაშოთ ხარკი დრაჰკანის მესამედი, რომელ არს ათი შაური წესისამებრ ოსმალთათა".

სამცხის აღწერა-დაბეგვრა „წესისამებრ ოსმალთა" დაკავშირებული იყო ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების გავრცელებასთან. ამის წყალობით, ქართული მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები თანდათან უქმდება და ვრცელდება ოსმალური. ცხადია, ეს გამოიწვევდა ქვეყნის გარდაქმნას ოსმალურ ყაიდაზე. სამცხეში მომხდარმა ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა ვახუშტის საისტორიო თხზულებაში.

„ხოლო ამა ჟამებთა შინა არღა-რა იყო სახელნი თავადთა, მთავართა და აზნაურთა. არამედ უწოდდენ ფაშად, ბეგად, ალი-ბეგად, სანჯახად და აღად, რამეთუ ახალ-ციხეს და ოლთის იყო ათაბაგი ახალ-ციხის ფაშად წოდებული, კოლას სჯდა ფაშა, შავშეთს, აჭარას ბეგნი და სხვათა ადგილებთა ალაი-ბეგი და აღანი. გარნა მორჩილებასა და ლაშქრობასა ჴვეშე ახალ-ციხის ფაშისასა"[68]. აქ, მართალია, ვახუშტის ერთი მეორეში აქვს არეული წოდებრივ-სამოხელეო და ადმინისტრაციული თუ ფეოდალური ინსტიტუტები, მაგრამ ძირითადად ზუსტად აქვს გადმოცემული „ოსმალობის" გავრცელების შედეგი. მას ნაჩვენები არა აქვს მომხდარი ცვლილებების ეკონომიური საფუძველი, სახელდობრ, ოსმალური მიწათმფლობელობის გავრცელება სამცხეში, რომლითაც ფაქტიურად გაპირობებული იყო ვახუშტის მიერ აღნიშნული მოვლენების წარმოქმნა-განვითარება.

ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიის" შესავალში „აწინდელისა წესისათვის" საუბრის დროს აღნიშნულია, რომ როსტომის (1632—1658) დროიდან სამცხეში ოსმალური წესები ვრცელდება. „სამცხეს და კახეთს შემოერიათ, — მათ ურუმთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან, — წესნი რაიმე მათნი", უფრო ქვემოთ, როდესაც ვახუშტი „აწინდელის ხელისუფალთა შეცვლილთა სახელთათვის" საკითხს ეხება, ნათქვამია: „ხოლო სამცხეს, ვითარცა ოსმანთა რიგნი, ეგრეთ იმყოფებიან ჩვეულებითა და წესითა"[69].

„აწინდელთა მთავართა გვართათვის" გამო გამართულ საუბარში ვახუშტი სამცხის შესახებ წერს: „არღარა იწოდებიან გვარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად, და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალ, განა დაეიდუმეთ"[70].

---

[68] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 260.

[69] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბეროძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 23, 24.

[70] იქვე, გვ 26.

მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ როსტომის დროიდან სამცხეში ვრცელდება „ურუმული წესი", „ურუმული რიგი". ყოველივე ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ სამცხეში ქართული წესი და რიგი უქმდება და მის ადგილს „ოსმალური რიგი" იკავებს.

მაჰმადიანურ სახელმწიფოებში სხვა სარწმუნოების ხალხები შეიწროებასა და დევნას განიცდიდნენ. ჯერ კიდევ მეორე ხალიფა ომარმა (634—644) დაადგინა ურწმუნოთათვის — არამაჰმადიანთათვის რელიგიური და საყოფაცხოვრებო შეზღუდვანი: 1) მათ ეკრძალებოდათ ეკლესიების შეკეთება; 2) ევალებოდათ თავაზიანობა მაჰმადიანებისადმი (მათი შემოსვლისას ფეხზე ადგომა, ადგილის, გზის დათმობა); 3) მაჰმადიანებისაგან განსხვავებულად ჩაცმა; 4) ურწმუნოთ არ ჰქონდა უფლება შეკაზმულ ცხენებზე ჯდომისა; 5) იარაღის ტარებისა; 6) ღვინის გაყიდვისა; 7) თმების გაზრდისა: 8) საჯაროდ ჯვრისა და საღვთო წერილის ტარებისა; 9) აგრეთვე ეკრძალებოდათ სახლებში ხმამაღალი სიმღერა და ხმაური; 10) მაჰმადიანებს შეეძლოთ ქრისტიანების მიერ მიტოვებული სასაფლაოების დახვნა და დამუშავება; 11) ქრისტიანებს არ შეეძლოთ ჰყოლოდათ მონები[71].

ოსმალეთის იმპერიაში „ურწმუნოთა" მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდებოდა სახალიფოს დროინდელი მდგომარეობისაგან.

ოსმალეთის იმპერიაში ურწმუნოთათვის აკრძალული იყო:

1) ცხენით სიარული

2) სიასამურის ქურქისა და ატლასის ქუდის ტარება, როგორც ეს მაჰმადიანებს ჰქონდათ.

3) ქალების მიერ ფერაჯეს ტარება, როგორც ეს მაჰმადიანებს ჰქონდათ.

4) მაჰმადიანთან შეხვედრისას უნდა დაეთმოთ მათთვის გზა[72].

მარქსი ოსმალეთში ქრისტიანების უუფლებო მდგომარეობის შესახებ წერდა: «Он один (мусульманин — М. С.) имеет право носить оружие, и самый высокопоставленный христианин должен при встрече уступать дорогу самому низкостоящему мусульманину»[73].

ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანული მოსახლეობა სასტიკ დევნას განიცდიდა. მათ ყოველნაირად ამცირებდნენ და ავიწროებდნენ. ქრისტიან მამაკაცს იარაღის ტარების და ცხენზე ჯდომის უფლებაც არ ჰქონდა. უკიდურეს საჭიროების შემთხვევაში, თუ ის ცხენზე შეჯდე-

---

[71] В. В. Гордлевский, Соч., т. IV, стр. 58.

[72] იქვე, გვ. 59.

[73] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. XI, стр. 374.

ბოდა და გაივლიდა იმ ადგილებში, სადაც მუსლიმანები იმყოფებოდნენ, იგი ცხენიდან უნდა ჩამომხტარიყო და ასე გაეგრძელებინა გზა. ქრისტიანი ქალები თავიანთი ჩაცმა-დახურვით უნდა გამორჩეულიყვნენ მუსლიმან ქალებისაგან. ქრისტიანებს თავიანთ სახლებზე განმასხვავებელი ნიშნები უნდა გაეკეთებინათ, რათა მუსლიმანთა საცხოვრებლისაგან გაერჩიათ და სხვ.

საფარ ფაშისა და როსტომ ფაშის დროიდან დაწყებული, სამცხეში სწრაფად ვრცელდება მაჰმადიანობა. ამ დროიდან ოსმალები უფრო მეტი გულმოდგინებითა და ძალდატანებით ნერგავდნენ და ავრცელებდნენ მაჰმადიანობას.

ოსმალთა დაპყრობამდე სამცხე-საათაბაგოში შემდეგი საეპისკოპოსო იყო:

1. „მ ა წ ყ უ ე რ ე ლ ი გკრგკნ-ბისონიანი არს, ამისი სამწყსო ყვიბის კორტანეთის შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზეით ხევობა და სადგერი, სულ აწყუერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წულის გაღმართი და გურიის წადგომამდის.

2. კ უ მ უ რ დ ო ე ლ ი ს სამწყსო ხერთვისის ზევით სულ ჯავახეთი ხვეთამდი.

3. ი შ ხ ნ ე ლ ი ს სამწყსო გურჯიბოღაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი, არტანუჯს თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი, გაღმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა.

4. ა ნ ჩ ე ლ ი ს სამწყსო სამწყალს აქეთი ხანცხას და ოპიზას შუა დახატულა, იმას ქვემოთი ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღმა რითი გონიას სამზღურამდინ.

5. მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს სამწყსო დახატულას ზედათი ანაკერთს აქეთი სულა შავშეთი მიჰხიანთ ბატონის კათალიკოზის, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა, აჭარა დანდალოთი ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

6. წ უ რ წ ყ ა ბ ლ ი ს სამწყსო ხურსიძის სახლი სულა, ბოცოხევი ხერთვის ქვეით მისია.

7. წყაროთხუშლის სამწყსო ზევითი და იმას ზეით პალაკაციო კოლს სამზღურამდინ მტკუარს აქეთი. აქ არტანი.

8. ე რ უ შ ნ ე ლ ი ს სამწყსო ტალაშოს ზეითი სულა, არტანი კოლის სამზღურამდინ.

9. ვალაშკერტელის სამწყსო ყაღზევანს ზეითი, ვალაშკეთს აქეთ ხინუსი და დევაბოინს აქეთი.

10. ანელის სამწყსო სულა ზარიშტიანი და შირავოინი და მაღასბერეთი.

11. კარელის სამწყსო სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდმოღმა გგჩევანი და კაღზევანი.

12. ბანელის სამწყსო სულა ბანი, ტაოს-კარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხევობა, სულა ოლთისი და ნამურაკიანი.

13. დადაშნელის სამწყსო სულა კოლა და ხორტევანი ყარასალზედ მიდგმამდი.

ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია. ამის ხელთ არის ყველა"[74].

XVII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიმ. მას მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანთა მდგომარეობის შესახებ. მაკარის გადმოცემით, საქართველოს ამ ნაწილში 12 საეპისკოპოსო იყო, რომელთაგან დარჩა მხოლოდ ერთი[75]. სამწუხაროდ, მაკარი არ მიუთითებს, სახელდობრ, რომელი საეპისკოპოსო იყო ამ დროს მოქმედი.

პატრიარქ მაკარის ცნობით, ოსმალების მიერ საქართველოს ამ მხარის დაპყრობამდე „მასში იყო მრავალი ღირსშესანიშნავი საღვთო ძეგლი, როგორიცაა: წმინდა ჯვრის დიდი ნაწილები, წმინდანთა ნაწილები, ხატები ოქროთი მოჭედილი და თვლებით დამშვენებული, ძვირფასი სახარებანი და სხვა წიგნები და ფრიად დიდებული ეკლესიანი. მაგრამ დროთა განმავლობაში ქრისტიანთა რაოდენობა ამ მხარეში იმდენად შემცირდა, რომ მათ დარჩათ, მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი, რაც შეეხება ზემოხსენებულ წმინდა ძეგლებს, მათი ერთი ნაწილი ჩამოტანილ იქნა საქართველოში, სადაც დღესაც ინახება, მეორე ნაწილი ახალციხის საეპისკოპოს მცხოვრებთ აქვთ უმეტესი ნაწილი კი დარჩა მეფეთა და დიდებულთა ადგილობრივ ეკლესიაში, შესანიშნავ მონასტრებსა და კერძო სახლებში. ყოველივე ეს მოაგროვა როსტომ ფაშამ (1644—1659), ეროვნებით ქართველმა, მათი პირველი მეფის შთამომავალმა. ამ მმართველმა მოხსნა ხატებს თვალმარგალიტნი და დაწვა ისინი ერთ ადგილას, სახარებასა და ჯვრებთან და

---

[74] Д. Бакрадзе, указ. соч., стр. 81, 82.

[75] Гі. Жузе, Грузія в 17 столетіи по изображенію Патріарха Макарія. Казань, 1905, стр. 46, 47, 48. საათაბაგოს ზოგიერთი საეპისკოპოსოების სახელწოდებანი დამახინჯებულად აქვს ამოკითხული.

სხვა საეკლესიო საგნებთან ერთად, რომლებიც ისე ბევრი იყო, რომ მათგან მსგავსად წყლისა მოედინებოდა ოქრო და ვერცხლი"[76].

როგორც დავინახეთ, რენეგატობის გზაზე დამდგარი ახალციხის ფაშები თვითონ უწყობდნენ ხელს სამცხეში ქრისტიანობის დათრგუნვასა და მუსლიმანობის გავრცელებას.

თავდაპირველად მაჰმადიანობა განსაკუთრებით წარჩინებულთა წრეში ვრცელდებოდა. ოსმალთა სამსახურში პირადი დაწინაურებისა და წარმატების მიზნით ისინი ღალატობდნენ ქართველობას. ქრისტიანულ ეკლესიასა და სამღვდელოებას მოაკლდა ათაბაგისა და დიდგვარიანი ფეოდალების მფარველობა, მას შეუმცირდა მრევლი და შემოსავალი. ეკლესიამ დაკარგა მამული, ზოგი ეკლესია ოსმალებმა მეჩეთებად გადააქციეს. ოსმალები სასტიკად დევნიდნენ ქართულ სამღვდელოებას. ამის გამო ეკლესია-მონასტრებმა დაიწყო დაცარიელება. საეკლესიო განძეულობა და ჭონება გურია-იმერეთსა და ჭართლ-კახეთში გაჰქონდათ. სამცხეს მოსახლეობა, ოსმალთაგან დევნილი და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი, მასობრივად გარბოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. „ვინადგან მიუხვნეს ოსმალთა სრულიად მამულ-შეწირულობანი და არღარა-ვინ იყო მეტრფე მონოზონებისა და წარაქვნდათ მუნიდამ სიწმინდენი ხატითა, ჯვართა და ნაწილთა სამცხესა, ქართლს, იმერეთს... რამეთუ არღა-რა იყო ეპისკოპოსნი, ანუ მონასტერნი, ვინად-გან რისხვითა ღუთისათა გამამაჰდიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამ ქვეყნისანი და დაიწყეს მიერით თათრობა, რამეთუ ჟამთა ამათ მოაკლდებოდა ქრისტეანობასა. არა იყო მორჩილება კათალიკოზისა ანუ ეპისკოპოსისა და სამღუდელოთა. არამედ ოხრება ეკკლესია-მონასტერთა და შენება ჯამეთა: ხოლო მორწმუნენი ჰფარავდნენ და მალავდნენ ხატთა, ჯუართა და ნაწილთა წმიდათათ და სხუათა წარაქუნდათ პირველისა-ებრ იმერეთს და ქართლს და ივლტოდიანცა-წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა"[77].

ყველაზე თავგამოდებით ოსმალო დამპყრობელთაგან თავს გლეხობა იცავდა. სწორედ გლეხობა ინარჩუნებდა აქ საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანულ სარწმუნოებას. გლეხებს შორის მაჰმადიანობა მეტად ნელა იკიდებდა ფეხს. გლეხობა მტკიცედ ინახავდა ეროვნულ კულტურას, მშობლიურ ენას, ზნე-ჩვეულებებს, ნაციონალურ ტრადიციებს იმ დროს, როდესაც ქართველი ფეოდალების ნაწილი რენე-

---

[76] Г. Ж у з е, Грузия в 17 стелетии по изображению Патриарха Макария, стр. 49.

[77] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 255, 256.

De Dignitatibus.

Orientales Equites carent etiam Titulo Illust^m Domini Illustris, &
aliorū, utpote Ecc^m Eminentissimi Altissimus Maiestatis quia soli Deo
hec omnia soli DEO competere hominibus vere aliquid tribuere
ceps Rex & cetera

Magni habent Deum.

Circumfertur ab omnibus Orientalium magnū esse peccatū tribuere ho
minibus quod soli DEO competit, & Sanctis suis

Baxia Benefactor.

maxia Arrabadu sanctae dicunt de hoc nostrorum milites in orientē allemanni
nostros nostrorum Missionariorum maxime Gaietta Amicum Reginæ Elenæ.

სურ. 7
ახალციხის ბეგლარბეგი როსტომ ფაშა

გატობის გზას დაადგა. „ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი და გლეხნი ქრისტეანენი“[78].

ვახუშტის ეს ცნობა დასტურდება აგრეთვე სხვა წყაროებითაც. ასე, მაგალითად, პატრიარქ მაკარის გადმოცემით „ხსენებულმა ვეზირმა (ლალა მუსტაფა ფაშამ — მ. ს.) უფლება მისცა ამ ქვეყნის ყველა დიდგვაროვან პირსაც დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად და შეენარჩუნებინათ ყველა თავისი თანამდებობა და მამული, ამ უკანასკნელის ვაჟიშვილებისათვის გადაცემის უფლებით. ეს ვითარება არსებობდა ხსენებულ როსტომ ფაშას დრომდე, რომელმაც დაადგინა, რომ ყოველმა დიდმა მოხელემ უნდა თქვას უარი თავის რელიგიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კარგავდნენ თავის თანამდებობებს. დიდ მოხელეთა უმეტესი ნაწილი იქცა რენეგატებად, რათა როგორმე შეენარჩუნებინათ თავიანთი მიწები და თანამდებობანი, სხვებმა კი დასთმეს ისინი (ამქვეყნიური სიამენი) და ამჯობინეს მათ თავისი რწმენა. ჩვენს დროში ქრისტიანებად დარჩნენ უმთავრესად გლეხები, ახლა მხოლოდ გლეხებიღა იხდიან ხარაჯსა და სხვა გადასახადებს“[79].

სამცხეში მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ქრისტიანული რელიგიის მსახურთა რიცხვი, რის შედეგადაც ქრისტიანული მოსახლეობა ფაქტიურად უმწყემსო დარჩა. „გარნა თუნიერ ადგილად-ადგილ იპოვებოდნენ მღუდელნი და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და სჯულითა მათითა და აღშენდებოდიან მეჩითნი: არამედ დაშთენ გლეხნი და იგინიცა უმწყსელნი, ვითარცა პირუტყვნი“[80]. თანდათანობით უცხო სარწმუნოება გლეხებშიც ვრცელდებოდა, რაც დაკავშირებული იყო გლეხების მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებასთან: გაუთავებელი ოსმალური გადასახადებით დაბეგრილი, წელში გატეხილი გლეხობა თავისუფლდებოდა ქრისტიანობისათვის დაწესებული გადასახადებისაგან.

ისლამის გავრცელებასთან ერთად, გაოსმალების მიზნით შემოტანილ იქნა დაპყრობილი ხალხისათვის უცხო თურქული ენა. სამაგიეროდ იდევნებოდა მშობლიური ქართული ენა, ქართული წიგნები,

---

[78] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა, გვ. 123.

[79] Гл. Ж у з е, ук. соч., стр. 49.

[80] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 258.

სურ. 8. როსტომ ფაშას ასული ელენე. სპარსეთის დედოფალი.

ნადგურდებოდა ხელოვნების იშვიათი და ღირსშესანიშნავი ძეგლები. ისლამი ვერ ურიგდებოდა უცხო კულტურას, სპობდა ყველაფერ ქართულს. ყოველივე ამის შედეგად, თანდათანობით თურქული ენა მოსახლეობაში ფეხს იკიდებდა თურქული ენა, ისლამის მსგავსად, პირველ რიგში ქართული მოსახლეობის მაღალ ფენებში ვრცელდებოდა „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებათა ანუ ურთიერთის მეგობართა შინა იტყჳან ქართულსავე“[81].

ქართული ენა საშინაო, საოჯახო ენის ადგილს იჭერდა, ხოლო მშობლიურ ენაზე განათლება და წერა-კითხვა დავიწყებას ეძლეოდა.

ოსმალეთის სახელმწიფო თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისახავდა დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხების ძარცვა-ექსპლოატაციას. საამისოდ მომარჯვებული იყო მისი სახელმწიფო აპარატი.

ფ. ენგელსი აღმოსავლეთის სახელმწიფოების მთავრობების შესახებ წერდა: «Правительства на Востоке всегда имели только три ведомства: финансов (ограбление своей страны), войны (ограбление своей страны и чужих стран) и общественных работ (забота о воспроизводстве)»[82].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ოსმალეთშიც სამხედრო და საფინანსო უწყებებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, რადგან ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს დაპყრობილი და საკუთარი ხალხების ძარცვა-ყველფა წარმოადგენდა. ოსმალეთში სუსტად იყო განვითარებული მესამე უწყება, აღწარმოებას რომ ისახავდა მიზნად. ამით აიხსნება, რომ სულთნის სახელმწიფოში შემოსავლის წყაროებს ჰქმნიდა ომი და ძირითადი მწარმოებელი კლასის ველური ექსპლოატაცია, საფინანსო უწყების საშუალებებით გადასახადების აკრეფა-მითვისების ბასკაკური ფორმები.

იგივე ბედი ეწვია საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიასაც. ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოდან აურაცხელი სიმდიდრის გაზიდვის გამო, თანდათან პარტახტდებოდა და ცარიელდებოდა ეს კუთხე. სამცხე-საათაბაგოში საწარმოო ძალების განვითარება დიდი ხნის განმავლობაში შეფერხებულ და შეჩერებულ იქნა. ოსმალთა ბატონობა სამცხე-საათაბაგოში მის ეკონომიურ განვითარებას ახშობდა და აბრკოლებდა. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ევროპის ქვეყნები. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ «... Присутствие турок в Европе представляет

---

[81] ჯ ა ვ ა ხ შ ვ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა, გვ. 123.

[82] К. М а р к с и Фр. Э н г е л ь с, Соч., М., 1962, т. 28, стр. 221.

собою серьезное препятствие для развития естественных богатств фракийско-иллирийского полуострова»[83].

კ. მარქსის ეს დებულება სავსებით ვრცელდება ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოზედაც.

ოსმალებმა აქ მძიმე და აუტანელი რეჟიმი დაამყარეს. მათ თავიანთ ხელისუფლებას დაუმორჩილეს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო და სასამართლო ფუნქციები. მარქსი თურქ დამპყრობლებს სამხედრო ოკუპანტთა კლასს უწოდებდა: «Этот класс военных оккупантов объединяет в своих руках все общественные функции — как военные, так гражданские и судебные»[84].

საინტერესოა, რომ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის ნაწილი კათოლიკდებოდა და ამ გზით ცდილობდა მუსლიმანობისაგან თავის დაღწევას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ოსმალები ქართველ კათოლიკებს არ დევნიდნენ. საფიქრებელია, რომ საქართველოში კათოლიკობის გაძლიერებით ოსმალებს სურდათ შეესუსტებინათ აქ მართლმადიდებლობა, რომელიც საქართველოს რუსეთთან აკავშირებდა.

სამხრეთ საქართველოში ქართული მოსახლეობის გაკათოლიკების შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვებათ მ. თამარაშვილს, დ. ბაქრაძეს, ზ. ჭიჭინაძეს და სხვებს, რომელთა ნაშრომებიდანაც კარგად ჩანს სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა მოძალების შედეგად თანდათანობით დაწყებული გაკათოლიკების პროცესი.

კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული საქართველოს ეს მხარე, ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელ ქვეშ, დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა, რადგან ოსმალეთი თავისი სამეურნეო და კულტურული დონით დაპყრობილ ხალხზე უფრო დაბლა იდგა. „ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მის ეროვნულ კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა«[85].

ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსებით ოსმალეთმა ხელსაყრელი პლაცდარმი შექმნა: ერთი მხრივ, მას შესაძლებლობა მიეცა

---

[83] К. Маркс и Фр. Энгельс. Соч., т. IX, стр. 374.

[84] К. Маркс и Фр. Энгельс, Соч., т. IX, стр. 374.

[85] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 326,

თვალყური ედევნებინა დასავლეთ საქართველოსა და ქართლ კახეთისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მას გზა გაეხსნა ჩრდილოეთის მხრიდან ირანზე დასარტყმელად და კავკასიის მთიელ აბრაგებთან დასაკავშირებლად. მალე ახალციხის საფაშო ტყეის სყიდვისა და მთიელ აბრაგების საბუდრად გადაიქცა, საიდანაც ორი საუკუნის განმავლობაში, ახალციხის ფაშების ხელშეწყობით, ავაზაკთა ბანდები გამუდმებით თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ, ტყვედ იტაცებდნენ და ავიწროებდნენ ქართველებს.

* * *

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობილი ადგილების ოსმალურ საფუძველზე გარდაქმნას და აქ ოსმალური წესების დანერგვას ოსმალეთი XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან შეუდგა. დაახლოებით ამ დროიდან მოყოლებული სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური საზღვრები თანდათან იკვეცებოდა ახალციხის მიმართულებით. სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი თანდათან ოსმალური სანჯაყებით მოიფინა.

XVI საუკუნის 80-იან წლებში ოსმალეთმა დღის წესრიგში დააყენა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის გაოსმალება და დაპყრობილი ადგილების გაერთიანება და აქ საფაშოს დაარსება, რაც განახორციელეს 1579 წელს — ჩილდირის (ახალციხის) საბეგლარბეგოს დაარსების შედეგად.

დაპყრობილი ქვეყნების გაოსმალების მიზნით, მათ ქვეყანა არა ერთხელ აღწერეს (XVI ს-ის 50-იან წლებში). 1573 და 1595 წლებში, და XVII საუკუნის პირველ ნახევარშიაც. ქვეყნის აღწერა კი, როგორც წესი, უცხო ძალის (ამ შემთხვევაში ოსმალეთის) მფლობელობასთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამას თან სდევდა ქვეყნის გამაჰმადიანების ცდა. ოსმალები საამისოდ იყენებდნენ არა მარტო ცეცხლსა და მახვილს, არამედ სხვა საშუალებებსაც: მუქარას, საჩუქრებს, მოსყიდვას. ქართული ფეოდალური სინამდვილე ამ საშუალებების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა და ოსმალებიც მათ მარჯვედ იყენებდნენ. ოსმალთა ამგვარი ღონისძიებების წყალობით მესხ ფეოდალთა ერთი ნაწილი შინაგამცემლობის გზას დაადგა. სამაგიეროდ ხალხის დამორჩილება უფრო ძნელი აღმოჩნდა. ხალხის წინააღმდეგობამ „ოსმალობის“ ყველა სფეროში თანაბრად გამოვლინებას, ქვეყნის „გაოსმალების“ პროცესს ხანგრძლივი ვადა დაუდო. ამის საუკეთესო მოწმობაა სამხრეთ-საქართველოს გლეხობის დამოკიდებულება მაჰმადიანობისადმი.

„ოსმალობის“ გავრცელებას ბევრი ქართველი ფეოდალიც შეწევდა წინააღმდეგობას. ქართველ ფეოდალთა შორის ყველა როდი იყო ოსმალთა ერთგული და მორჩილი. აქაურ ქართველ ფეოდალთა ერთი ნაწილი ენერგიულად იბრძოდა კლასობრივი ბატონობის ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის შესანარჩუნებლად. ოსმალთა ამ მოწინააღმდეგე ძალის დამრაზმველი ათაბაგი იყო. ათაბაგის ხელისუფლების მომხრე ქართველი ფეოდალები ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისათვის იბრძოდნენ და იცავდნენ ქართულ ფეოდალურ მიწათმფლობელობას სწორედ იმის გამო, რომ ფეოდალური საკუთრების ქართული ფორმები მათი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის საფუძველი იყო. ახალციხის საფაშოს, ე. ი. ოსმალთა მფლობელობის პოლიტიკური ორგანიზაციის გასამტკიცებლად კი საჭირო იყო ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის დარღვევა და მისი გარდაქმნა ოსმალურ საფუძველზე.

საამისო ღონისძიებების გატარებას ოსმალები, როგორც ვნახეთ, უკვე XVI ს-ის 40-იან წლებიდან შეუდგნენ და როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ამისათვის ისინი მოხერხებულად იყენებდნენ შიდაფეოდალურ განხეთქილებას, მტრობას აღვივებდნენ საკუთრივ ათაბაგის სახლის წევრებს შორისაც. ამას გარდა, ისინი ათაბაგს უპირისპირებდნენ არა მარტო მესხ უფლისწულებს, არამედ მესხ ფეოდალებსაც.

მიუხედავად ამისა, სამცხე-საათაბაგოს გაოსმალების საკითხის ერთბაშად გადაჭრა შეუძლებელი აღმოჩნდა. ოსმალებს საამისოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდათ... ისინი არა ერთხელ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ და კვლავ ქრისტიანი ათაბაგი დაესვათ ქვეყნის მმართველად.,

ოსმალთა ხშირი მარცხი ქვეყნის გაოსმალების საქმეში უპირველეს ყოვლისა ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობით აიხსნება. მაგრამ მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ყიზილბაშთა ირანი სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილს არ ეშვებოდა და აქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის, ოსმალთა მფლობელობის ამ მთავარი საწინდრის, ხელის შემშლელ ძალად გამოდიოდა. რა თქმა უნდა, ირანი სრულიადაც არ იყო დაინტერესებული აქ ქართველობის დაცვით. პირიქით, შესაძლებელ შემთხვევაში იგი თვითონ ცდილობდა „ყიზილბაშობის“ შემოღებას, მაგრამ იმდენად, რამდენადაც „ოსმალობა“ თავისთავად გამორიცხავდა მის გავლენას საქართველოს ამ ნაწილში, „ოსმალობა“ მისთვისაც მიუღებელი იყო. ქართველები იყენებდნენ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობებს, კერძოდ, სამხრეთ საქართველოს საკითხშიაც. დამახასიათებელია, რომ „ქართვე-

ლობისათვის“ ბრძოლა, ახალი ვითარების შესაბამის ფორმებში, არ შემწყდარა მას შემდეგაც. როცა 1639 წლის ზავით ირანმა საბოლოოდ ხელი აიღო სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე.

ახალციხის (ჩილდირის) საფაშო მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა, რითაც იგი განსხვავდებოდა ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებისაგან.

ქართველი ხალხის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოს ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის არასოდეს არ შეწყვეტილა. მაგრამ საქართველოს საკუთარი ძალებით ოსმალთაგან ამ მხარის განთავისუფლების ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის დახმარებით იწყება ოსმალების მიერ საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების პროცესი.

1828 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ქართველების აქტიური მონაწილეობით ახალციხე და მისი სანახები გათავისუფლებულ იქნა ოსმალთა ბატონობისაგან. ახალციხის საფაშო საბოლოოდ მოისპო.

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ТУРЕЦКИХ ОТНОШЕНИЙ В XVI—XVII вв.

Резюме

Предлежащее исследование является первой попыткой монографического изучения истории грузино-турецких отношений в XVI—XVII вв.

Вопрос грузино-турецких отношений представляет немаловажный научный интерес не только в деле исследования исторических отношений двух сопредельных стран, но также и для изучения политической истории Грузии в данную эпоху. Сложная политическая обстановка того времени — непрекращающиеся турецко-иранские войны — непосредственно отразилась на положении страны, ибо и турецкие и персидские захватчики грабили и разоряли Грузию. Все это пагубно отразилось на исторической судьбе народа, способствовало ослаблению государственности, культурному и экономическому упадку страны, усиливало феодальную междоусобицу, что, в свою очередь, еще больше истощало страну. Однако грузинский народ сумел сохранить свою независимость, самобытность, родной язык и религию. Несмотря на тяжелые испытания, народ сумел выйти победителем в этой длительной борьбе.

В монографии на основе анализа восточных и европейских первоисточников и научной литературы исследованы основные формы грузино-турецких политических отношений в XVI—XVII вв., многочисленные походы турецких войск, сопротивление, оказанное местным населением туркам, различные средства борьбы: война, партизанское движение, восстания и др.

В монографии уделено внимание грузино-турецким дипломатическим отношениям. Рассмотрены дипломатические и мирные переговоры, неоднократные посольства грузин в Стамбул, условия и значения мирных договоров и соглашений, заклю-

ченных с Турцией. Так например, в результате анализа источников нами установлено, что в 1588 г. между царем Картли Симоном I и турецким сераскером Ферхадом пашой был заключен мир, основанный на принципе (Uti possidetis), т. е. Турция сохраняла завоеванную территорию в Картли. Так как к моменту заключения мира, Турция фактически владела в Картли только лишь главными крепостями, поэтому в них по-прежнему оставались турецкие гарнизоны, власть же царя Симона I распространялась на остальную территорию. Политическая форма зависимости между Турцией и Картли была основана на взимании дани. Турция признавала Симона христианским царем Картли, не требуя от него принятия ислама и не вмешиваясь во внутренние дела страны.

В 1589 г., с целью ратификации мирного договора, Симон отправил в Стамбул делегацию. Мурад III утвердил условия этого договора.

Вопросы грузино-турецких отношений исследованы на фоне международного положения на Ближнем Востоке. Подчеркнуто значение «гюрджистанского вопроса» в ходе турецко-персидских войн и дипломатических переговоров в XVI—XVII вв., существующие между ними разногласия и противоречия умело использовали грузинские политические деятели в интересах своей страны. Ярким доказательством этого является активное участие грузинки-дипломата Гульчоры Багратиони в деле заключения турецко-персидского договора 1612 г.

В книге особое внимание уделено русско-грузинским политическим связям. В борьбе за независимость, защищаясь от посягательств Турции и Ирана, грузинские цари неоднократно обращались за помощью к единоверной России, появление которой в конце XVI—XVII вв. на политической арене Кавказа и Ближнего Востока имело большое международное значение.

В труде особое внимание уделено Юго-Западной Грузии (Самцхе-Саатабаго), так как она находилась в непосредственном соседстве с Турцией и испытала на себе всю тяжесть турецкого ига. История Самцхе- Саатабаго в данную эпоху является одной из центральных проблем нашего исследования. Стремясь к полнейшему и быстрейшему отуречиванию этой части Грузии, турки в 1595 г. произвели перепись Самцхе-

Саатабаго и составили «Пространный реестр Вилайэта Гюрджистан».

Изучение «Пространного реестра» и других турецких документов дает основание сделать вывод, что турецкие чиновники произвели перепись западной части этой провинции еще в 1573/4 г. Этот факт подтверждается наличием «Канун-наме Гюрджистана», составленного в 1573/4 г. Как известно, «Канун-наме» обычно прилагалось к пространному реестру (defteri mufassal), который составлялся в результате всеобщей переписи (tahrir).

Анализ «Канун-наме» Гюрджистана 1573/4 г. свидетельствует, что ему предшествовал «старый реестр» и что для составления «нового реестра» был издан специальный приказ. В настоящее время мы не располагаем сведениями, которые позволили бы нам точно указать время составления первого «Канун-наме Гюрджистана»; с нашей точки зрения, оно было составлено в середине XVI в., когда турки захватили западную часть Самцхе и создали там санджаки.

Таким образом, процесс переустройства грузинского феодального строя на турецкий лад в Самцхе-Саатабаго не был однократным актом, он протекал медленно, несмотря на усердия турецких властей, в результате упорного сопротивления местного населения, и не был завершен даже к моменту составления «Пространного реестра» (1595 г.) и продолжался далее. В работе прослежен процесс создания в Самцхе Ахалцихского (Чилдырского) пашалыка , уничтожения института атабага.

В работе изучены политическая организация и социально-экономическое положение Ахалцихского пашалыка, выявлены специфические особенности, характерные для этой провинции. В этой связи привлекает внимание то обстоятельство, что султанское правительство было вынуждено пойти на компромисс и пожаловать Ахалцихский пашалык в наследственное владение принявшим ислам грузинским феодалам, членам семьи атабага (дома Джакели). Однако, несмотря на то, что в Ахалцихском пашалыке были установлены османская система землевладения и землепользования и соответствующие ей институты, туркам не удалось полностью уничтожить здесь грузинские феодальные устои и окончательно внедрить османские по-

рядки. Грузинские формы землемладения в несколько изменением виде существовали в течение веков. В пользу этого положения говорит тот факт, что четыре санджака Ахалцихского эялета были пожалованы принявшим ислам грузинским беям в частное владение (мюльк) на правах юрдлука и оджаклыка. Доходы этих санджаков не облагались налогом и полностью принадлежали бею, который пользовался административной независимостью и правом юрисдикции. Владения этого типа не вносились в реестр. В этих санджаках отсутствовали также зеаметы и тимары. Следует отметить, что в них встречаются «азнаури» — отпрыски грузинских дворянских фамилий, сохранившие определенные льготы и привилегии.

В книге по-новому освещен ряд значительных вопросов грузинско-турецких отношений: история создания Ахалцихского (Чилдырского) пашалыка в 1579 г., восстание в Самцхе против турецких властей в 1582 г., мирный договор, заключенный царем Картли Симоном I с Турцией в 1588 году, роль грузинки-дипломата в деле заключения турецко-персидского мирного договора в 1612 г.; социально-экономическое положение Самцхе по «Пространному реестру Гюрджистанского вилайэта»; политическая организация и специфические особенности Ахалцихского пашалыка; статут санджаков типа юрдлука и оджаклыка, созданных на этой территории и т. д.

В монографии выявлены и изучены новые материалы, касающиеся видных политических деятелей: Симона I, Теймураза I, Давида царевича, Георгия Саакадзе, Манучара II атабага, Сафара паши, Коколы Шаликашвили и др.

В работе установлены и уточнены такие значительные даты истории турецко-грузинских отношений как: время создания Ахалцихского (Чилдырского) пашалыка и уничтожения института атабагства, дата пленения и смерти Симона I; первого вторжения турок в Западную Грузию и первого похода шаха Аббаса в Грузию, даты Марткопской и Марабдинской битв, а также уточнена датировка грамоты пожалованной султаном Мурадом IV Георгию Саакадзе.

Таким образом, в данной книге, изучены с одной стороны, грузино-турецкие дипломатические отношения в свете международного положения на Ближнем Востоке, а, с другой — прослежен процесс постепенного захвата султанской Турцией Самцхе-Саатабаго и отуречивания этого края.

M. SVANIDZÉ

L'HISTOIRE DES RELATIONS GÉORGIENO-TURQUES AUX XYI-XYII SIÉCLES.

RESUMÉ

La présente étude est le premier essai des recherches monographiques sur l'histoire des rélations turco-géorgienne aux XVI—XVII siècles.

Le problème des rélations turco-géorgiennes présente un intérêt scientifique assez important non seulemeut pour l'étude des relations historiques des deux pays limitrophes, mais aussi pour l'étude de l'histoire politique de la Géorgie à cette époque. La situation politique et complexe de l'époque—les guerres incessantes entre la Turquie et l'Iran, eut une influence directe sur la position du pays-car les envahisseurs turcs et iraniens cherchaient à conquérir la Géorgie. Pourtant le peuple georgien, malgré les rudes épreuves qu'il eut à passer, sut remporter la victoire dans cette lutte de longue durée.

La monographie se compose d'une introduction et de six chapitres: 1. Aperçu des sources et de la littérature (pp. 5-35). 2. L'histoire des relations turco-géorgiennes durant la première moitié du XVI siècle (pp. 35-94). 3. La guerre turco-iranienne de 1578-1590 et la Géorgie (pp. 95-181). 4. La Turquie et la Géorgie à la limite des XVI—XVII siècles (pp. 182-229). 5. Les relations turco-géorgiennes durant le premier tiers du XVII siècle (pp. 230-292). 6. La Turquie et le Samtzkhé-Saatabago pendant la première moitié du XVII s. (pp. 293-330).

Sur la base de l'analyse des sources orientales et européennes et de la littérature scientifique cette monographie étudie les nombreuses campagnes des troupes turques, la resistance opposée aux envahisseurs par la population autochtone, les différents moyens de lutte:

guerre, guerilla, révolte, insurrection etc; c'est à dire les formes essentielles des relations politiques turco-géorgiennes aux XVI—XVII siecles.

La monographie accorde une attention particulière aux relations diplomatiques entre la Géorgie et la Turquie. Les pourparlers de paix et diplomatiques, les ambassades répétées des Georgiens à Istanbul, les conditions et la portée des traités de paix et des accords, conclus avec la Turquie, y sont examinés. Ainsi, par exemple, en analysant certaines sources nous avons constaté qu'en 1588, entre le roi de Kartli Simon I et le sérasker turc Ferhad-Pacha avait été conclu un traité de paix, fondé sur le principe (Uti possidetis) c'est-à- dire que la Turquie gardait le territoire conquis au Kartli. Puisque, au moment où la paix avait été conclue, la Turquie ne possédait pratiquement au Kartli que les forteresses principales, les garnison turcs y étaient maintenus, tandis que le pouvoir du roi Simon I était exercé sur le reste du territoire. La forme politique de la dépendance entre la Turquie et le Kartli se basait sur la perception d'un tribut. La Turquie reconnaissait Simon comme roi chrétien du Kartli sans l'obliger à embrasser la foi islamique, et sans intervenir dans les affaires intérieures du pays.

En 1589 Simon I a envoyé à Istanbul une délégation ayant pour but la ratification du traité de paix; Mourad III a ratifié les clauses de ce traité.

Les problemes des relations turco-géorgiennes sont étudiés sur le fond de la situation internationale au Proche-Orient. L'emportance de „la question gurdjistanienne" au cours des guerres et des pourparlers diplomatiques turco-persans aux XVI—XVII siècles est mise en relief; les différends et les contradictions qui existaient ente eux étaient savamment mis à profit des intérêts de leur pays par les hommes politiques georgiens. Comme preuve frappante de cela est la participation active de la femme-diplomate georgienne Goultchora Bagrationi à la conclusion du traité de paix turco-persane de 1612. L'ambassadrice georgienne negocia la paix entre la Porte et la Perse (J. Hammer).

Le livre accorde une attention aux rapports politiques entre la Russie et la Géorgie. Dans leur lutte pour l'indépendance, en se défendant contre les attentats de l'Empire Ottoman et de l'Iran, les rois georgiens faisaient appel au secours de la Russie coréligion-

naire, dont l'apparation, à la fin des XVI—XVII s., sur l'arène politique du Caucase et du Proche-Orient eut une grande importance internationale.

L'oeuvre prête une attention particulière à la principauté Samtzkhé-Saatabago (Meskheti) au Sud-Ouest de la Géorgie car se trouvant à la frontière de la Turquie elle passa par toutes les épreuves du joug turc. L'histoire de Samtzké-Saatabago à l'époque en question est un des problèmes centrals de notre étude. En 1595 les Ottomans ont recensé le Samtzkhé-Saatabago et dressé „L'ample régistre du vilayet Gurgjistan" (Defteri mufassal vilayeti Gurcistan).

L'étude de „L'ample régistre" et d'autres documents turcs permet d'en venir à la conclusion que les fonctionnaires ottomans avaient déjà recensé la partie occidentale de cette principauté en 1573/74. Ce fait est confirmé par l'existence du Kanun-name (codes ottomans) du Gurdjistan, rédigé en 1573/74. Comme on le sait, Kanun-name servait ordinairement d'annexe à l'ample régiste (defteri mufassal) qui était rédigé à la suite du recensement général (tahrir).

L'analyse du Kanun-name du Gurdjistan de 1573/74 témoigne qu'il a été précédé de „l'ancien régistre" et que pour la rédaction du „nouveau régistre" un ordre spécial a été donné. Pour le moment nous ne disposons pas de renseignements qui nous permettraient de préciser le temps de la rédaction du premier Kanun-name du Gurdjistan; selon nous il a été rédigé au milen du XVI s. lors de la conquête par les Turcs de la partie occidentale du Samtzkhé et de la création des sandjaks. Ainsi, le processus de la réorganisation du régime féodal géorgien à la manière turque à Samtzkhé-Saatabago a été un acté réitéré, malgré le zèle des autorités ottomanes, il s'effectuait lentement, l'opposition opiniâtre de la population autochone a fait si bien que ce processus n'a pas été terminé même au moment de la rédaction de „L'ample régistre" (1595) et il a duré encore par la suite.

L'oeuvre suit le processus de la création à Samtzkhé du pachalik D'Akhaltzikhé (de Tchildir), l'abolition de l'institution de l'atabague. En 1628, Atabag Beka III, le dernier, fut obligé de se convertir à l'islamisme et recut le titre de Saphar-Pacha beylerbey de Tchildir. Aprés son installation Saphar-Pacha gouverna suivant la manière des musulmans. „Il fit un recensement du pays, et établit un impôt d'un drahcan par tête, du septième sur tous les pro-

duits de la terre et sur les fruits des arbres, de deux chaours par mouton, d'un abaz par boeuf, de six chaours par cheval et buffle, enfin du tiers d'un drahkan ou de 10 chaours au profit du pacha: le tout d'après l'usage des Osmanils." (Wakhouchti). L'Osmalisation de Samtzkhé sé fit rapidement.

L'organisation politique et la situation économique et sociale du pachalik d'Akhaltzikhé sont étudiées dans l'oeuvre, les particularités spécifiques, typiques pour cette province, y sont mises en évidence. En cette occasion il est à noter que le gouvernement du sultan a été obligé de transiger et de conférer le pachalik d'akhaltzikhé en possession héréditaire au féodaux géorgiens ayant embrassé l'Islam, aux membres de la famille de l'atabague (de la maison Djakéli). Cependant, en dépit de l'institution au pachalik D'Akhalzikhé du système ottoman de la propriété foncière et de l'exploitation du sol, avec les établissements qui lui étaient conformes, les Turcs ne sont jamais arrivés à y faire totalement disparaître les us et coutumes féodaux georgiens et à implanter définitivement les coulumes ottomanes. Les formes de ces particularités de la vie georgiennes, quelque peu modifiées, ont subsisté durant des siècles. Le fait, que quatre sandjaks de l'eyalet de Tchildir ont été conférés en possession privée (mülk), à titre de yurdluk et d'odjaklik, aux beys georgiens qui avaient embrassé l'Islam, témoigne en faveur de cette thèse. Les revenus de ces sandjaks n'étaient pas imposables et appartenaient entièrement au bey qui usait d'une indépendance administrative et du droit de juridiction. Les propriétés de ce type n'étaient pas portées sur le règistre. Dans ces sandjaks il n'y avait de même ni zeamet ni timars. Il est à noter qu'on y trouve des aznaours—des descendants de la noblesse georgienne, qui avaient gardé certains privilèges et prérogatives.

Le livre interprète d'une façon toute nouvelle tout un nombre de questions importantes concernant les relations turco-géorgiennes l'histoire de la création du pachalik d'Akhaltzikhé (de Tchildir) en 1579, l'insurrection à Samtzkhé contre les autorités ottomanes en 1582, le traité de paix, conclu par le roi du Kartli Simon I avec la Turquie en 1588, le rôle de la femme-diplomate georgienne dans la conclusion du traité de paix turco-persane en 1612, l'ambassade de Theimouraz I à Istanbul, la position sociale et économique du Samtzkhé d'après „L'ample régistre du vilayet Gurdjistan", l'organisation politique et les particularités specifiques du pachalik d'Akhal-

tzikhé le statut des sandjaks du type d'yurdluk et odjaklik, crées sur ce territoire etc...

La monographie étudie de nouveaux documents rélévés, qui concernent les hommes politiques éminents comme: Simon I, Theimouraz I, le Prince David, Guiorgui Saakadzé, Manoutchar II l'atabague, Saphar-Pacha, Kokola Chalikachvili et d'autres.

L'oeuvre établit et précise les dates les plus importantes de l'histoire des relations turco-géorgiennes, comme: l'epoque de la création du pachalik d'Akhaltzikhé (de Tchildir) et de l'abolition de l'institution de l'atabague, la date de la capture et du décès de Simon I; celle de la première ivasion des Turcs dans la Géorgie Occidentale et de la première campagne du Chah-Abbas I en Géorgie, les dates des batailles de Martkopi et Marabda, même a été précisée la date de la charte conférée par le sultan Mourad IV à Guiorgui Saakadzé.

Ainsi ce Livre étudie, d'un côté. les relatios diplomatiques turco-géorgiennes sur le fond de la situation internationale au Proche Orient et de l'autre, il examine la conquête progressives du Samtzkhé-Saatabago par L'Empire Ottoman et suit le processus de la Osmalisation de ce pays.

საძიებლები

პირთა

ა

აბაზა ფაშა 291, 292
აბას I 18, 20, 21, 27, 119, 165, 171, 180, 181, 209, 212, 218, 220, 221, 223, 224, 228—235, 237, 240, 242—250, 252—260, 264—265, 267—271, 273—276, 279—281, 283, 284, 286—289, 291—297, 299
აბუ ბექრი (ხალიფა) 181
აბულაძე ც. 11
ავალიანი ა. 31, 316
ავილოვი ფ. 26
აიას ფაშა 19, 77
აინი ალი 12, 194, 303
ალავერდი ხანი (უნდილაძე) 236, 286
ალბერი ე. 25
ალექსანდრე I 294
ალექსანდრე II (კახეთის მეფე) 14, 15, 103, 116—121, 143, 144, 147, 148, 158, 161, 170, 171, 179, 210—213, 217, 221, 223, 224, 226, 228, 229, 232, 234, 235
ალექსანდრე (იმერეთის მეფე გიორგის-ძე) 142
ალექსანდრე (კახეთის მეფე თეიმურაზ I ძე) 276
ალექსანდრე (იმერეთის მეფე) 41, 42
ალთუნდაღი შ. 34
ალი 8, 13, 14, 98, 110, 111, 114, 122, 124, 142
ალი ბეგი 318
ალი ყული ხანი 138, 237
ალი ჩაუში (სოფიიდან) 12, 184, 194, 311
ალკას მირზა 62
ალენი ვ. 23, 33
ამილახვარი ანდუყაფარ 286
ამილახორი შვილი ქოიარ 164
ამირ ბეგი ისქანდერ ბეგის შვილი 94
ამირგუნე ხანი 232, 251, 270, 286
ანდი ბეგი 212
ანელი 321
ანთელავა ი. 32
ანჩაბაძე ზ. 32
დ'არამონი 25. 60, 62, 63
არაქელ თავრიზელი 21, 22, 221, 227, 236, 258, 284
არონ ვოევოდა 224, 225
არჩილი 8, 277, 279
ასკეთ ალი ქემალ 307
ასლანიკაშვილი ალ. 9, 194
აჰმედ I 237, 241, 265, 269, 272, 273, 277
აჰმედი 145
აჰმედ ფაშა 62, 64, 74, 75
აჰმედ ფაშა ჰაჯი ბეგი ზადე 138, 141
აჰმედ ფაშა ისკანდერ ფაშას-ძე 165
აჰმედ ფაშა (ჩერქეზი) ისკანდერ ფაშას-ძე

ბ

ბაგრატ III (იმერეთის მეფე) 56, 57, 58, 59, 76
ბაგრატ მეფე 257
ბაგრატ ხანი 270
ბაიანი კ. 33
ბაიეზიდ II 40, 47

ბალთაჯი აჰმედ ფაშა 160
ბანელი 321
ბარკანი ო. ლ. 10, 81, 83, 86, 90
ბარო სანზუსი 260
ბაქრაძე დ. 29, 30, 138, 313
ბელანი ლ. 33, 264
ბელოკუროვი ს. 23
ბერძენიშვილი ნ. 29, 31, 36, 40, 67, 80, 119, 170, 171, 174, 184, 186, 210—212, 217, 220, 223, 230, 235, 256, 281, 286, 297, 327
ბეჟან აზნაური 206
ბექა III (საფარ-ფაშა) 4, 111, 271, 290, 294, 300, 301, 302, 303, 304, 305, 307, 117 320
ბექა ოპიზარი 327
ბექა აღბუღა 87
ბეჰრემ ფაშა 138
ბოცვაძე თ. 260
ბროსე მ. 21, 33, 41, 42, 97, 127, 142, 238, 277, 279, 295
ბუბეკი 78

გ

გაბაშვილი ვ. 9, 31, 36, 37, 54, 79, 83, 117, 118, 136, 197—200, 205—209, 211, 219—222, 230, 234, 239, 245, 246, 286, 297, 290
გამყრელიძე გ. 9
გარიტიშვილი დ. 32, 68, 136, 233, 234, 257, 259, 265, 270, 287
გიორგაძე ბ. 26, 239
გიორგი X (ქართლის მეფე) 232, 234, 236, 238, 240, 241, 242
გიორგი (იმერეთის მეფე) 103, 115, 141, 142, 143, 150, 151, 179, 287
გიორგი ბატონიშვილი 234, 235
გიორგი ბეგი (იუსუფ სინან ფაშა) 4, 141, 142, 151, 153, 154, 155
გიორგი მთაწმინდელი 120, 327
გოგორიშვილი ბეჟან 169
გოგორიშვილი როინ 107
გოდუნოვი ბორის 209, 210, 234
გოვეა ანტონიო 23, 240, 242, 243, 294
გოლოვინი პ. 258
გორგიჯანიძე ფარსადან 7, 8, 79, 137, 138, 139, 178, 237
გორდლევსკი მ. 32
გოქბილგინი მ. 34, 84
გრანვე ლუი 260, 262
გულაზიზ ნურაზის ძე 206
გულჩარა 238, 239, 240, 242, 243, 244, 248, 249, 250
გურიელი 49, 56, 58, 103, 151, 260, 261, 263, 265, 271
გურჯი მეჰმედ ფაშა 241, 265, 278

დ

დადიანი 13, 56, 103, 125, 146, 151, 260, 261, 262, 265
დადიანი ლევან 287
დანიშმენდი ი. 34, 61, 65, 81, 96, 97, 98, 111, 114, 124, 134
დაით უფლისწული (გიორგი X-ძე) 25, 237, 238, 240, 241
დაუდ ხანი (სიმონ I ძმა) 15, 97, 98, 103, 113, 135, 136, 160, 161, 169, 175
დაუდ ხან (უნდილაძე) 285, 286
დედისიმედი 104, 109, 111, 122, 123, 156, 202
დელი მელიქი 265, 266
დელუ მოჰამედი 237
დერვიშ ფაშა (დიდი ვეზირი) 243
დიასამიძე ელია 169
დიასამიძე შერმაზან 142
დიე სულთან რუმლუ 52
დოლიძე ი. 87
დომენტი პატრიარქი 93
დონდუა ვ. 32
დონ ხუან სპარსელი 27, 100, 101, 109, 113, 114, 138, 141, 142
დორნი ბ. 21
დუმბაძე მ. 32

ე

ევნატაშვილი ბერი 8, 50, 78, 79, 91, 92, 174, 238, 277
ევლია ჩელები 16, 17, 42, 43, 60, 302, 303, 310, 111, 312, 315, 316
ელენე (სიმონ I ასული) 155, 202, 245,

294, 295, 296
ელენე როსტომ ფაშას ასული (სპარსეთის დედოფალი) 325
ენგელსი ფ. 326
ერეკლე (ალექსანდრე II ძე) 120, 171, 172
ერუშელი ბერი 107
ეფენდიევი ო. 32, 46, 48
ექვთიმე მთაწმინდელი 327

ვ

ვალე პიეტრო დელა 28
ვარად ფაშა 162
ვარკოჩი ნიკოლოზ 209, 216
ვახუშტი (ბაგრატიონი) 6, 29. 40—42, 45, 49, 50, 58—60, 91, 92. 112, 115, 134, 135, 150, 151, 167, 169, 172, 174, 179, 238, 271, 276, 277, 281. 287, 290, 295, 298—302, 304, 305, 310. 318, 322, 324
ვესელოვსკი ნ. 23
ვლასიევი ათანასე 226

ზ

ზევაკინი ე. 23
ზვენიგოროდსკი ანდრია 210
ზულალიანი მ. 10, 32

თ

თამაზ I 19, 61, 62, 68, 69. 72—77, 79, 95, 96, 168, 250, 257
თამარ დედოფალი (ლუარსაბ I დედა) 236
თამარაშვილი მ. 221, 224, 260, 261, 262. 327
თაყაიშვილი ე. 6
თევდორე ივანეს ძე (რუსეთის მეფე) 209, 214, 216, 219
თეიმურაზ I 235, 247, 254, 257—260, 262—267, 270—273, 275—281, 284, 286—290
თეიმურაზ ბატონიშვილი 234
თეოდოსი 258, 260, 277, 278, 279
თოქმაკ ხანი 96, 108
თუნჯერი ჰ. 11, 86, 90, 309

ი

იაკობი ტერ 224
იბრაჰიმ I 277, 313
იბრაჰიმ ფაშა (დიდი ვეზირი) 55
იბრაჰიმ ხანი 146, 149
ჟემიშჯ პასან აღა 140
იმამ ყული-ხანი 108, 148, 286
ინალჯიკი ჰ. 34, 204, 205
ინჯილე ჩაუში 266, 268, 269
იოსელიანი პლ. 60
ისა ხანი 161, 259, 265
ისა-ხანი-ყორჩიბაში 283, 284, 286, 287
ისლამ გირეი 158
ისლენევი დანილა 213, 214. 215, 216, 217
ისმაილ I 47, 50, 51, 52
ისმაილ II 96, 97, 102
ისმაილ მირზა 69, 72
ისქანდერ მუნში 7, 20, 21, 79, 101. 117, 119, 147, 148, 158, 172, 173, 218, 236—240, 244, 245, 247, 248, 251—253, 256, 258, 259, 266—269, 275. 280, 283, 284, 286, 295
იუსუფ ხანი 269
იუსუფ სინან ფაშა იხ. გიორგი ბეგი

კ

კაზიმ-მირზა 70
კაკაბაძე ს. 67, 9, 175, 176
კაკაში ე. 228
კარაკაშ ფაშა 303
კარელი 321
კარლოს V 55
კასიმ ბეი (ჩერქეზი) 138
კაციტაძე დ. 7, 21
კიკნაძე რ. 19
კილიჩ ალი ფაშა 124
კლემენტი VIII (რომის პაპი) 208, 209
კნოელზი რ. 27
კომულევი ალექსანდრე 210, 219
კონსტანტინე (ალექსანდრე II ძე) 148, 235
კოპასძე 92
კოჩი ბეი გოჩიჯელი 12, 184, 194, 302, 303
კრაჩკოვსკი ი. 16

კუშეკი ე. 32
კუცია კ. 10, 20

ლ

ლავალე თ. 33
ლალა მუსტაფა ფაშა 13, 14, 17, 95, 96, 98—107, 109—112, 117, 118, 120—126, 129, 134, 137, 139, 140—143, 149, 157, 171
ლამარტინი ა. 33
ლამბერტი არქანჯელო 124, 125
ლევან (კახეთის მეფე) 13, 117
ლევან ბატონიშვილი (თეიმურაზ I ძე) 276
ლელო 27.
ლეარსაბ I (ქართლის მეფე) 8, 58, 59, 67, 68, 74, 76, 77, 79, 141, 148, 236, 247, 248, 254, 257, 266, 276, 281, 296
ლუტფი ფაშა 189
ლიასოტა ერიხ 210
ლომოური ო. 29
ლუკაჩი დ. 33

მ

მათეას ეპისკოპოსი 224
მაისურაძე ი. 9
მაკარი (პატრიარქი) 321, 324
მაკლერი 221
მამია (იმერეთის მეფის გიორგის ძე) 142
მანუჩარ II ათაბაგი 4, 14, 15, 20, 24, 25, 52, 53, 105—113, 122, 123, 126, 127, 132, 134, 135, 150—157, 159, 160, 161, 163, 164—169, 202, 208, 244, 245, 293—295, 303, 304
მანუჩარ III ათაბაგი 187, 294, 295, 298, 300, 301, 303
მარქსი კ. 33, 201, 205, 319, 326, 327
მაყსუდ ხანი 144
მაწყვერელი ეპისკოპოსი 164
მაჰმუდ ფაშა (ჯილალ ოღლუს შვილი) 236
მაჰმუდ ფაშა 251
მაჰმუდ ხანი (ვარაზას ძე) იხ. შალიკაშვილი კოკოლა
მევლანა მუსტაფა მუეზზინი 207
მესხია შ. 32
მეშველიანი კ. 114
მეჰდი ყული ხანი 180, 181
მეჰმედ II (ფათიჰი) 35, 40, 249
მეჰმედ III 139, 145, 213, 214, 215, 218, 225, 241
მეჰმედ ბეგი 313, 314
მეჰმედ ფაშა (არზრუმის ბეგლარბეგი) 150
მეჰმედ ფაშა (ვანის ბეგლარბეგი) 251
მეჰმედ ფაშა (სოლაქ ფერჰად ფაშას ძე, თბილისის ბეგლარბეგი) 113, 122, 138
მეჰმედ ფაშა სოკოლუ (დიდი ვეზირი) 98, 99, 138
მეჰმედ ხანი 56, 63
მზეჭაბუკი ათაბაგი 41, 44, 45, 48, 49, 52, 59, 94
მილერი ა. 32
მინადოი ტომაზო 26, 27, 101, 169, 114, 122, 138, 141, 143, 156
მირზა ალი ფაშა 65
მიხეილ გულადი 225
მოლა მაჰმუდ ბაიაზიდი 90
მოჰამედ ბეგ ბიქდელი შამლუ 236
მენეკიმ-ბაში 17, 43, 96, 122, 145
მურად III 13, 96, 123—125, 139, 144, 145, 171, 174, 176—179, 209, 213, 215, 218
მურად IV 13, 279, 287, 288, 289, 290, 301, 302, 313
მურად აღა 243
მურად ფაშა (დიდი ვეზირი) 246, 247, 248
მურთაზა ფაშა 271, 283, 287, 290, 302
მუსტაფა I 276, 277, 278, 279
მუსტაფა იენიჩარი 191
მუსტაფა ფაშა 137, 138
მუტაფჩიევა ვ. 33, 114
მუჰამედ-ბეგ თალეში 256, 260, 266, 267, 268
მუჰამედ გირეი 123, 149, 150, 156
მუჰამედ ეფენდი 249
მუჰამედ ფაშა კალენდარ ოღლუ 246

მეჩეთი სურეა 302
მეჩეთი ხუდაბანდე 96, 97

ნ

ნაბეთ აღა (შაჰ ყულე) 144
ნათიძე გ. 127
ნაიმა მუსტაფა 18, 179, 283
ნაკაშიძე ნ. 32, 257, 279
ნასუჰ ფაშა 256, 264, 266
ნაშჩოკინი გ. 186, 227
ნაჯარიანი უ. 32
ნოვიჩეკი ა. 32
ნოეოსელცევი ა. 32

ო

ოდიშელი ჯ. 7, 257
ომარ (ხალიფა) 181, 319
ომარ ფაშა 260, 261, 262
ომერ ფაშა (ბათუმის ბეგლარბეგი) 271, 290
ოსმან II 272, 273, 277, 278, 279
ოსმან ფაშა ოზდემირ ოღლუ, 120, 121, 123, 149, 158, 162, 163
დ'ოსონი 33
ოქუზ მეჰმედ ფაშა 264, 269, 270

პ

პეტრე I 214
პეტრუშევსკი 32
პოლიევქტოვი მ. 23, 266

ჟ

ჟერმინი ჟაკ 114
ჟორდანია გ. 257
ჟორდანია თ. 7, 42, 150, 257
ჟუჟე მ. 124

რ

რახმანი ა. 32
რეზვან ჩაუში 209, 214
რემიზ ალი ფაშა 265
რიდვან ფაშა 160
როდონაია ს. 39, 260, 261, 262
როსტოძ (იმერეთის მეფის გიორგის ძე) 142
როსტომ (ქართლის ვალი) 318
როსტომ ფაშა 320, 321, 323, 324
ოედოლფ II 209, 214, 225, 226, 228
რუსთაველი შოთა 327

ს

საკაძე გ. (მოერავი) 13, 15, 17, 18, 175, 176, 247, 281—283, 286—291, 301
საკაძე დაუდ ბეგი 286
საკაძე სიაუშ 175, 176
საბა მტბევარი 93, 94
სავალიშვილი 169
სალინიაკი გონტი ბირონ დე 25, 238
სარკაჯაგი ზაქარია 22, 286
საფარ-ფაშა იხ. ბექა III
საფრასტიანი ა. 10
სევინდუქ ბეგი 19, 76, 77
სელიანიქი მუსტაფა 14, 15, 17, 18, 109, 114, 122, 131, 147, 170
სელიმ I 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 91, 311, 313
სელიმ ხან შამს ად-დინ-ლუ 280, 299
სემენდერ ფაშა 160
სერთოღლუ მ. 34
სეფი მირზა 228
სვანიძე მ. 9—13, 16, 24, 83, 91, 167, 172, 176, 178, 179, 189, 190, 192, 193, 227, 238, 241, 250, 281, 297, 305, 307, 308
სიაუშ ფაშა 159
სიგიზმუნდ ბატორი 224, 225
სიმონ I 4 ,8, 13, 15, 17, 20, 25, 97, 119, 135—141, 143—152, 155, 156, 160, 161, 163—186, 202, 213, 217, 220—224, 226, 227, 229, 231, 232, 237—243, 248, 250, 293, 295
სინან ბეგი 73, 74
სინან ფაშა 99, 140—144, 149, 159
სინან ფაშა ჯიღალ ოღლუ 233, 235, 236
სინჯარ ოღლუ მუბარექინი 250
სიხარულიძე ი. 9
სმირნოვი ე. 32

სმირნოვი ნ. ა. 32, 213
სოლაქ ზადე 17, 43
სოლოვიოვი ს. 213
სულეიმან I, კანუნი 13, 25, 41, 42, 49, 53—55, 58—60, 62, 63, 65, 70, 72—78. 81, 88, 90, 91, 99, 182, 199, 250, 252, 265, 274, 291, 313, 314
სულფიკარი 213, 218

ტ

ტაბატაძე კ. 19, 20, 22, 32. 62, 69, 74, 96, 131, 162
ტარდი ლ. 33, 221
ტარაკანოვი გ. 290
ტეტკანდერი გ. 28, 228
ტვერიტინოვა ა. 10, 32
ტივაძე გ. 31, 101—103, 131, 151, 167, 182, 198, 199, 200, 201, 203
ტივაძე თ. 200, 209, 210, 219
ტონგა ე. 33

უ

უზუნჩარშილი ი. 34, 44. 132, 134
უზუნ ჰასანი 60, 249
უმიკაშვილი ბ. 30

ფ

ფეიქარ სულთანი (ხანი) 280
ფეკეტე ლ. 20, 33, 77
ფერდინანდი 78
ფერიდუნ ბეი 12, 48, 194, 288, 303
ფერუხ ზადე ბეგი 78
ფერჰად ფაშა 156, 159, 160—171, 173—177, 180, 181, 296
ფერჰად ფაშა მოჰამედ ფაშას-ძე 247
ფეჩევი იბრაჰიმ 15, 16, 17, 18, 43, 56, 57, 60, 64, 65, 73, 97, 99, 102, 107, 108, 116, 114, 117, 120, 122, 141, 148, 158, 159
ფიგეროა დონ გარსია დე სილვა 28, 273
ფითუხ ალი ბეგი 160
ფილიპე II 221
ფილიპოვიჩი ჰ. 33
ფიშერი ბ. 33, 44
ფორე ლა 55
ფრანცისკო I 55
ფრონელი ალ. 30
ფუთურიძე გ. 12, 15, 17, 109, 167. 182
ფუთურიძე ვ. 19, 21

ქ

ქათიბ ჩელები (ჰაჯი ხალფა) 184
ქართველიშვილი გ. 287
ქაიხოსრო I ათაბაგი 40, 44
ქაიხოსრო II ათაბაგი 52, 57, 58, 59. 68, 69, 92, 93, 103, 104, 168
ქეთევან დედოფალი 276
ქენან მესტაფა ფაშა 189
ქოფრულუ მეჰმედ 13
ქუთუკოღლუ ბ. 34, 98, 141, 155. 307

ყ

ყადი ხანი 243, 250
ყაზბეგი გ. 30
ყარაიაზიჯი 183
ყარა იაზიჯი — დელი ჰასანი 183, 227, 246
ყარაჩელები ზადე 18
ყარახან (ბაზუქლუ) 108
ყარჩიღა ხანი 270, 281
ყასემ ბეგი 268, 269, 274
ყვარყვარე III (ნავ-ყვარყვარე) ათაბაგი 52, 53, 56, 57, 92, 93
ყვარყვარე IV ათაბაგი 25, 103, 104, 111, 112, 122, 123, 126—128, 129. 130, 142, 151—153, 155, 303
ქიზილ-აჰმედ ოღლუ 52, 53

შ

შაბანოვიჩი ჰ. 33
შალიკაშვილი კოკოლა (მაჰმუდ ხანი) 4, 67, 113, 168, 169
შალიკაშვილი ვარაზა 15, 168
შალიკაშვილი ედიშერ 164
შალიკაშვილი ელია 164
შალიკაშვილი ოთარ 58, 135, 168
შამსი ხანი 292

შარაშიძე ქრ. 92, 103, 104, 112
შარიერი ე. 24
შაჰვერდი 73
შაჰ-იუსუფ ფაშა 294, 296
შაჰ ყულუ ალა 74
შაჰ ყული ბოინუქერი 47
შეიგერი სოლომონ 123, 126, 127, 130
შენგელია ნ. 9, 11, 16, 17, 18, 31, 81, 85, 86, 96, 145, 194, 200
შერეფ-ხან ბითლისელი 20, 117, 131
შერეფ ფაშა 232
შერლი ანტონ 27, 28, 228
შერლი რობერტ 245
შესნო ჟან 25, 60

ჩ

ჩელები ზადე 17
ჩოჩიევი ვ. 13, 31, 79, 248, 249, 256, 281, 288, 292

ც

ცვეტკოვა ბ. 33
ცინცაძე ი. 32

ჭ

ჭიჭინაძე ზ. 29, 30, 40, 238, 327

ხ

ხარიტონი 272, 273, 275, 277, 278, 279
ხვოროსტინი 212, 223
ხიდირ ფაშა 195, 196, 303
ხორეშანი (თეიმურაზ I მეუღლე) 263
ხოსროვი 313, 314
ხუდაბანდე (მოჰამედ ხოდაბანდე ირანის შაჰი) 135, 163
ხუსრევ ფაშა 97, 139, 290

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 6, 7, 14, 20, 21, 23, 26, 31, 37, 39, 40, 41, 45, 67, 68, 94, 120, 147, 148, 161, 162, 176, 186, 242, 327
ჯამბერია გ. 32, 175, 176, 257, 259 265, 270, 287
ჯანაშია ს. 327
ჯანდიერი დ. 265
ჯაფარ ფაშა 138, 226, 227
ჯეზარი მ. 34
ჯელალ ფაშა 247, 296
ჯიქია ს. 9, 11, 12, 13, 16, 18, 42, 60, 81, 99, 132, 133, 150, 172, 176, 178, 179, 187, 190, 195, 242, 288, 289, 290, 292, 301, 316

ჰ

ჰადიმ მეჰმედ ფაშა 150, 151, 152
ჰადიმ ჰასან ფაშა 150
ჰადირ ოღლუ 48, 49
ჰაიდარ მირზა 96, 164, 181, 219, 227
ჰალილ ფაშა 270, 271, 272, 273, 274, 291
ჰალო ხანი 250
ჰამად ფაშა 48
ჰამერი ჟ. 10, 14, 33, 54, 131, 137, 141, 146, 151, 213, 215, 217, 218, 248, 249, 250
ჰამზა მირზა 147, 163, 164, 172, 181
ჰაფიზ ფაშა 15, 281, 283
ჰასან ბეგზადე 18
ჰასან ფაშა 138, 139
ჰასან რუმლუ 19, 52, 53, 58, 68, 69
ჰენრიხ II 25, 61, 63, 65
ჰენრიხ III 122, 124
ჰერბონი 146
ჰუსეინი 43,
ჰუსეინ ალი ბეგი (იგივე ღონ ხუან სპარსელი) 228
ჰუსეინ-ბეგი 117

A

Аббас I 334
Абуладзе Ц. 9
Александр I (царь Кахети) 186.
Али Чауш из Софии 12.

Б

Багратиони Гюльчара 332
Бакрадзе Д. З. 30, 198, 314.
Белокуров С. А. 23, 217, 240.

В

Васильева Е. И. 20
Веселовский Н. И. 23, 258, 267, 273

Г

Гордлевский М. 32
Гранже Луи 260, 261, 262.

Д

Давид царевич 334
Джакели 333
Джурджиев Б. 190, 199.

Ж

Жаба А. Д. 90.
Жордания Г. 55.
Жузе П. 321, 322, 324.

З

Зевакин Е. С. 23.
Зулалян М. К. 10, 32, 90, 96.

К

Казбег Г. 316.
Кочи бей (Гомюрджинский) 12.
Крачковский И. Ю. 16.
Кушева Е. Н. 32, 124, 150.

М

Макарий 321.
Манучар II (атабаг) 334.
Маркс К. 205, 319, 326, 327.
Мохов И. 210.
Мурад III 332.
Мурад IV 334.
Мутафчиева В. 317.

Н

Наджарян У. Х. 32.
Накашидзе Н. Т. 257, 258, 275, 276, 279
Новичев А. Д. 46, 54, 182, 197, 225
Новосельцев А. П. 32.

П

Петрушевский И. П. 32, 185, 230, 234, 266.
Полиевктов М. А. 23, 258, 260, 264, 272, 275, 277.

Р

Рахмани А. А. 32, 105, 164, 185, 230, 247.
Рудольф II 23, 214.

С

Саакадзе Гиорги 334.
Сафар паша 334.
Сафрастян А. Я. 10, 17, 90, 185.
Сванидзе М. Х. 91, 194, 316.
Симон I 186, 332, 334.
Смирнов В. Д. 12.
Смирнов Н. А. 32, 55, 100, 124, 146, 150, 182, 186, 209, 210, 213, 214, 216, 219, 227.
Соловьев С. М. 213.
Струве В. В. 230.

Т

Теймураз 258, 264, 271, 272.
Тер-Аветисян С. В. 185, 233, 234.
Тверитинова А. С. 10, 12, 44, 182 183, 199, 307, 311, 312, 317.

Ф

Ферхад паша 332.

Х

Хюсейн 44.

Ц

Цветкова Б. 204.

Ш

Шаликашвили Кокола 334.

Э

Эвлия Челеби 17.
Энгельс Фр. 205, 319, 326, 327.
Эфендиев О. А. 32, 51.

A

Abbas I 340
Akdağ M. 182
Alberi E. 25, 88, 110
Alexandro 213
Allen W. E. D. 23, 33, 136
Altundağ Şinasi 34
D'Aramon 25
Avalishvili Z. 286
Aynî Ali 12, 308, 309, 311, 112

B

Babinger Fr. 12, 13, 14, 18
Bagrationi Goultchara 337
Barkan O. L. 10, 81, 82, 84, 87, 88, 89, 90, 192
Baro Sanchus 260
Barozzi 25, 239
Bayani K. 3, 228, 245
Beka III (atabag) 338
Belin M. 308
Bellan L. 33, 181,230, 244, 245, 251, 274, 275, 280, 281, 283, 284, 287, 294, 226
Berchet 25, 239.
Bowen H. G. 311, 312, 317
Browne E. G. 48
Burian. O. 27

C

Chalikachvsli Kokola 340
Charmoy F. B. 20
Charrière E. 24, 59, 63, 78, 99, 122, 124, 127, 129, 130. 131, 134
Chesneau J. 25, 60, 63, 64, 65, 81

D

Daniŝmend I. H. 34, 49, 57, 64, 69, 74, 81, 96—98, 107, 113—115, 120. 121, 124, 126, 132, 134, 137,—139, 163, 171, 181, 218, 227, 251, 274, 275, 301
David (prince) 340
Djakeli 339
Don Juan of Persia 27, 100, 101, 109, 138, 141, 228

E

Ekrem Reşat 55

F

Feketc L. 9, 20, 77, 78
Ferhad-Pacha 337
Figeroa Don Garcia de Silva 28, 273
Fisher S.33, 34

G

Gibb H. A. 311, 312, 317
Gökbilgin M. Tayyib 34, 84, 85
Gouvea Antonio 28, 233, 234, 239, 242, 243, 244, 294,
Guboglu M. 16

H

Hammer J. 10, 13, 33, 46,—51, 54, 57, 70, 96, 98, 111, 115, 126, 131, 137, 141, 144, 147, 150, 151,164, 181, 213, 232, 240, 241, 244, 248—251, 264, 274, 275, 283. 292, 337
Hasan-i Rumlu 19, 70, 74

I

Inalcik H. 34, 84, 88, 89, 112, 182, 185, 188, 189, 190, 204, 205
Iskender Mounchi 68, 79, 101, 147, 148, 231, 232, 236, 237, 244, 245, 247, 256, 280, 284, 287, 295, 296, 299

K

Kaldy-Nagy J 83, 185, 189, 190
Knovelles R. 27, 259, 266,
Koçi-Bey 12, 182, 302, 307, 311, 312
Kütükoğlu B. 34, 96, 98, 99, 124, 137, 140, 141, 144, 148—151, 153—159, 161, 163—167, 169

L

Lamartine A. 33, 249
Lavallé T. 33,
Lelo 27

M

Mango A 23
Manoutchar II 340
Melaşvili A. 192
Mignot M. 227
Minadoi Thomaso 26, 101, 109, 121, 138, 141, 144, 149, 152, 153, 156, 162
Mourad III 337
Mourad IV 340

N

Norandounghian G. 251

O

D'Ohsson M. 33, 305

S

Saakadzé Guiorgui 340
Salignac Jean Gonteaut Biron de 25, 238, 241, 248
Sapar Pacha 336
Scheref oud-din 20
Seddon C. N. 19
Sertoğlu M. 34
Sherley Anthony 28, 228
Simon I 213, 337, 339, 340
Stripling L. 51
Svanidzé M. 336
Šabanovič H. 82, 83

T

Tardy L. 224, 225
Theimuraz I 339, 340
Tongas M. 33
Tönük Veçhi 83
Tuncer H. 11, 12, 90, 193, 297, 303
Turan Şerafettin 99

U

Urbano VIII 28
Uzunçarşili I. H. 34, 44, 48, 91 132, 134, 154, 161, 179, 241, 311, 312

V

Valé Pietro della 28, 273
Vincent S. 55

W

Wakhouchti 339

Z

Zalomkemeny Etienne Kakasch 28, 228
Zinkeisen J. W. 225

اسکندر منشی—20, 218, 233, 248, 252, 244, 247, 248, 294, 295, 294
اولیا چلبی—42, 40, 303, 312, 315
پچوی—15, 56, 64, 65, 72, 73, 81, 97, 101, 102, 103, 107, 108, 110, 117, 183, 146, 143, 144, 148, 157, 158, 154, 186, 283, 292
سلانیکی—109, 131, 160, 161, 167, 170, 171,
صولاق زاده—44, 65
عالی—13, 98, 103, 306, 108, 110, 113—116, 120, 121, 176, 142
عینی عالی—300, 308
فریدون بك—13, 48
منجم باشی—44, 111, 144, 145, 303
نعیما—18, 179, 249, 251, 270, 271, 280, 283, 289, 301.

ა

აბოცი 79
ადილჯაუზი 62, 69
ადრიანოპოლი (ედირნე) 46, 70
ადრიატიკის ზღვა 35
ავნიკი 55
ავსტრია 24, 54, 55, 61, 146, 173, 183, 200, 209, 213, 214, 216—219, 224, 225, 230, 237, 242, 244
აზერბაიჯანი 16, 32, 55, 61, 73, 149, 165, 231, 247, 297
„ „ სამხ. 55, 181, 273, 274
„ „ ჩრ. 181
აზია 16, 35, 37, 46, 51, 53, 95, 231
„ „ მცირე 161, 183, 279
„ „ შუა 95
აზოვი 38, 39, 209, 279
ათინა 84
აიდინი 84, 86
ალავერდი 265
ალაზანი მდ. 211
ალამუტი 135
ალაჯას ველი 246
ალბანეთი 183, 204
ალგეთი 237
ალეპო 51, 55, 62, 70, 266, 269, 270
ალეპო-დამასკო 250
ალთუნ ყალა 122, 194, 150, 151
ამასია 20, 59, 76—78, 80, 85, 93, 95, 248
ამიერკავკასია 16, 17, 21, 22, 24, 27, 28, 35, 36, 38, 55, 78, 80, 85, 95, 96, 98, 100, 121—123, 126, 134—136, 142, 148, 149, 170, 171, 173, 174, 208, 220, 226, 230, 231, 235, 242, 253, 283, 288, 289, 293, 294
ანატოლია 46, 51, 71, 73, 76, 89, 101, 183, 188, 227, 289, 290, 311
„ „ აღმოსავლეთი 246
არაბეთი 252
„ „ დასავლეთი 51
არაგვი მდ. 120, 265
არაქსი მდ. 72, 233
არდებილი 181, 273
არეში 121
არზრუმი 55, 56, 59, 60, 64, 69, 70. 73—76, 86, 101—104, 116, 123, 126, 127, 139, 140, 144, 150, 159, 163, 164, 227, 270—273, 291
ართვინი 57
არტაანი 103, 107, 131, 132, 314
არტანუჯი 68. 307, 308, 309
არფაჩაი მდ. 72
არჰავე 84,85
ასპინძა 194
ატენი 74
აფრიკა 16, 51
აფხაზეთი 36, 186
აღმოსავლეთი ახლო (მახლობელი) 4, 23, 27, 33, 35, 51, 78, 118, 168, 181, 210, 211, 215, 221—223. 228, 235, 245, 257, 293
აყ-შეჰირი 68, 195
აწყური 194, 310
აჭარა 45, 154, 165, 308, 316, 318
„ „ ზემო 159, 160, 165
„ „ ქვემო 165
ახა 64. 87, 84, 86, 115, 137
ახალდაბა 169, 238, 239
ახალქალაქი 56, 113, 150, 159, 160, 162, 316
ახალციხე 8, 80, 131, 132, 134, 160, 161, 165, 166, 169, 170, 171, 190, 193, 195, 245, 247, 251—255, 280, 281, 284, 287, 291, 292, 294—297, 299, 302, 310, 316, 328, 330
ახალციხის (ჩილდირის) საფაშო 4, 16, 25, 29, 125, 131—135, 151, 187, 130, 193, 194, 202, 272, 274, 275, 290, 292, 301, 303, 304, 305, 314, 315, 317, 327—330
ახე (მდ.) 236
ახჩაყალა 65
„ „ მეორე 65
აჭლათი 55, 62, 69

ბ

ბაზალეთი 289, 290, 291
ბათუმი 101, 123, 154, 262, 290
ბალკანეთის ნახევარკუნძული 35
ბალკანეთის ქვეყნები 10, 88, 204, 205, 207, 317, 183
ბასიანი 58, 60, 61, 73, 307
ბასრა 90
ბაქო 121, 149, 233, 236, 244, 245 295
ბაღდად-ბასრა 250
ბაღდადი 55, 79, 90, 252, 253, 280, 283, 312
ბელგრაღი 35, 53
ბეჰრე ჰათუნის ველი 107
ბიზანტია 37, 219
ბითლისი 273
ბორჯომის ხეობა 150, 166
ბოსნია 204
ბუდა 54
ბუზმარეთი 195
ბულგარეთი 114, 183, 204, 225

გ

გალატა 146
განჯა 73, 148, 156, 171, 233, 236
განჯა-ყარაბახი 73, 171, 281
გგეჩეანი 321
გელათი 41, 42, 43
ვენუა 214
გერმანია 146, 224
გონიო 84, 272, 273, 289
გორი 74, 113, 122, 137, 142, 150, 151, 160, 164, 166, 167, 170, 171, 226
გრაცი 224
გურია 36, 38, 79, 186, 275
გურია-იმერეთი 322
გურჯისტანი 74, 296, 297

დ

დადელი 65, 69, 73
დადაშნელი 321
დამასკო 51
დანია 210
დაღესტანი 103, 148, 250, 253, 290
დევაბოინა 321
დემოთეს ციხე 169
დერბენდი (დარუბანდი) 70, 121, 149, 209, 211, 215, 233, 236, 244, 245, 295
დერთენკა 274, 275
დერნე 274, 275
დიარბექირი 15, 51, 62, 70, 270, 271, 272, 283, 312
დიდი არტაანი 307, 308, 309
დმანისი 140, 143, 160, 164, 165, 166, 171
დონი მდ. 35, 39, 215, 216
დუბროვნიკი 146
დუნაი მდ. 225

ე

ეგვიპტე 51, 101, 219
ედირნე იხ. ადრიანოპოლი
ევროპა 16, 24, 26, 27, 33, 35, 51—53, 59, 78, 95, 100, 145, 146, 181, 197, 208, 210, 215, 216, 222, 223, 224, 225, 228, 231, 237, 241, 242, 245, 246, 261, 326
„ „ აღმ. 225
„ „ დას. 10, 27, 28, 54, 268, 222, 223, 228, 245, 246, 230
„ „ სამხრეთ-აღმ. 55
ერაყი 90, 280
ერევანი 72, 79, 159, 231, 232, 233, 235, 269, 270
ერზინკა (ერზინკანი) 43, 44
ერთაწმინდა 86, 176
ერლაე 225
ერჭიში 69
ესპანეთი 146, 210
ეჩმიაძინი 21

ზ

ზაროშანი 321

თ

თავასკერი 57
თავრიზი 50, 52, 55, 62, 63, 163, 164, 226, 227, 231, 236, 247, 273, 286

თალხისა 65
თბილისი 14, 98, 113--116. 122, 124. 137--145, 184—156. 160, 171. 176. 179, 234, 237. 247. 248. 269, 273. 281, 286, 294
თეთრი ციხე 107
თერვი 212, 218, 258
თერგის ციხე 251, 253
თესალია 204
თმოგვი 52, 68, 113, 195
თორთუმი 65, 307
თრიალეთი 142

ი

იაგობითი 84
იედი კულე 227, 238
იემენი 99
იერუსალიმი 221, 222
იზმირი 101
იმერეთი (აჩიკბაში), 36, 41, 42, 50. 74, 76, 79, 122, 142, 179. 180, 186. 206, 257, 275, 321, 322
ლიხთ-იმერეთი 40
ინგლისი 27, 146, 214, 226
ირანი 7, 8, 18, 22—25, 27, 28, 35, 36, 38--40, 45—47, 49, 56, 59, 61—63, 67—71, 76, 78—80, 90, 95—100, 102. 109, 117, 118, 124, 129, 136, 143—146, 156. 161, 163, 165, 173, 174, 276, 277, 279, 280. 281, 283, 286, 287, 288—294, 296, 298—300, 302, 327, 329, 330
ირან-ოსმალეთი 14, 19, 20, 21, 24, 26, 27, 33, 35, 36, 40, 50, 67, 75, 76, 78, 79, 85, 90, 95, 96, 104. 123. 135, 142, 144, 147, 168, 171, 176, 272, 294, 296, 297
ირან-საქართველო 19, 136, 300
ისკელე 84
ისპირი 57, 307, 309
ისფაჰანი 234, 294
იტალია 149

კ

კაბალა 121
კავკასია 15, 22, 38, 39, 95. 211. 233, 328
კავკასია იმიერ 118, 208
„ „ ჩრ. 32, 38. 39, 70, 95. 123, 124, 149, 150, 153, 158, 209, 212, 215, 216, 218, 223, 264
კაირო 51
კაისერი 101
კაკ-ენისელი 232
კამახი 86
კარაკალკანი (კალკანი) 150
კასპიის ზღვა 95, 209, 212, 215
კასპიის ზღვის სანაპირო 62
კაფა 44, 70, 149, 150, 279
კაღზევანი 321
კახეთი 36, 80, 116, 118—122, 145, 158, 186, 231. 234. 247, 255. 259. 256, 268—271, 275, 281, 296. 318
კახეთი, აღმ.
კახეთ-მოსკოვი 211
კახეთ-შირვანი 265
კერესტიცა 225
კესკინი (კესკიმი) 57
კვიპროსი 101
კლარჯეთი 57, 80, 85, 314
კოი სუ 218
კონია 55, 59, 101
კონსტანტინოპოლი იხ. სტამბოლი
კოლა 318, 321

ლ

ლაზეთი 79
ლივანა 65, 159, 160, 194, 307, 308, 311, 312
ლისი 176
ლიხის ჭოა 122
ლონდონი 14
ლორე 73, 74, 113, 160, 163, 171, 232
ლორე-დებედა 232
ლურისტანი 181
ლივანა 210. 217

მ

მაზანდარანი 283
მაკედონია 204
მარაბდა 281, 284, 300
მარაში 161
მარდანი 51, 236

მარტყოფი 281, 284, 286, 288
მარტყოფის ველი 18
მაღასბერთი 321
მაჭახელი 159, 160, 307, 308
მაჭმუდაბადი 121
მგელციხე 107, 195
მედინა 51
მესხეთი 45, 67, 68, 79, 125, 134, 166, 194, 296, 297, 315
„ „ აღმ. 181, 251, 253, 254
მექა 51
მზვარე 194, 195
მოლდავეთი 46, 127, 147, 210
მორეა 160
მოსკოვი 146, 209, 210, 212, 214, 219, 220, 223, 226, 258, 279
მოსული 51
მურჯახეთი 56
მუში 62
მუხრანი 122, 150, 151, 152
მცხეთა 93

ნ

ნამერავანი 307
ნამურაკანი 321
ნარიმანი 57
ნახიჭევანი 72, 73, 231, 233, 235
ნახიხი 63
ნიალისყერი 195
ნისფი ლივანა 194, 307, 311, 312
ნოსტე 176

ო

ოდიში 79, 260
ოლთისი 57, 73, 74, 111, 132, 307—310, 318, 321
ოლთისი მდ. 57
ოსმალეთი (თურქეთი) 3—7, 9, 10, 12, 14, 15, 21—26, 28, 31—39, 43—47, 50—56, 61, 62, 64, 65, 67—69, 75, 76, 78—80, 81—90, 94—100, 102, 103, 106, 108, 110, 112, 113, 116—119, 123, 125, 129, 136, 140, 143, 144—146, 148, 155—157, 164, 165, 170—175, 177—184, 186, 187, 190, 197, 201, 204, 205, 208—212, 214—217, 219—221, 223—232, 234, 235, 237, 240—256, 260, 262, 264—269, 274—280, 283, 287—293, 297—300, 302, 316, 317, 326—328, 330
ოსმალეთ-ავსტრია 224, 245
ოცხე 194
ოძისი 176

პ

პალესტინა 51
პარიზი 14
პატარა არტაანი 307
პერნაკი 64
პეტრე 195
პოლონეთი 100, 146, 210, 219, 278, 279
პრაღა 224

რ

რაგუზა 127, 129
რიზე 84
რიონი 125
როდოსი 51, 53
რუმელია 101, 149
რუსეთი 22, 28, 32, 46, 55, 95, 100, 118, 170, 173, 174, 186, 209—212, 214—220, 223, 234, 235, 253, 256, 267, 275, 276, 278, 279, 326, 330
რუსეთ-ირანი 253
რუსეთ-თურქეთი 32, 213, 215, 330

ს

საბჭოთა კავშირი 10
სალიანი 121
სამაღარი 64
სამეგრელო 36, 186, 260, 262, 275
სამურა მდ. 158
სამცხე-საათაბაგო 4—7, 9, 11, 19, 25, 29—31, 36—41, 44, 45, 49, 51—53, 56—61, 63—65, 67—69, 71, 72, 76, 79—81, 85, 87, 89, 91—93, 103, 104, 106, 107, 110—112, 125, 126, 129, 132, 133, 137, 140, 153, 155, 167, 187, 190, 192, 193, 195—203, 205, 207, 208, 245, 292—295, 298,

300. 303, 304, 307. 314, 315, 317, 321, 326—330
სამცხე 81, 85, 87, 89, 92. 94. 122. 129, 132, 143, 151, 153—157, 162, 164. 166, 168—170, 192, 208, 254. 255, 281, 284, 287, 293—299, 301, 303, 304, 317—319, 324
სართიჭალა 116
საფრანგეთი 24, 25, 55. 78, 146. 214, 260
საქართველო 3—8, 14—16, 18, 19—29, 33, 35—41, 43, 44, 47, 49, 56, 57. 63, 65, 67, 71, 73—81, 85, 87, 89—91, 94, 95, 98, 103, 108. 110, 115, 118, 135—137, 140, 141. 143, 146—148, 153, 159—161, 163, 164. 168—74, 176, 178—180, 182, 184. 186. 187, 190, 196, 197, 201, 207, 213. 217, 220, 224, 230. 232, 234, 235, 239, 240, 242, 247, 253, 254. 289—291, 294, 295, 300. 304. 313, 315, 326—330
საქართველო აღმ. 79, 161. 181. 321
„ „ დას. 36—38, 41—44. 50, 79, 124, 125, 179, 180, 186. 245, 248, 252—262, 264, 267—273, 275, 276, 280. 283, 284, 286. 288
„ „ სამხ. 7, 83. 327, 328, 296
„ „ სამხ. დას. 12, 15, 16, 30, 37, 40, 74. 80, 83—85, 87, 89. 91, 93, 94. 159. 192, 259, 328
საქართველო-ოსმალეთი 3—8. 12. 15, 17. 21, 22, 29, 31, 33, 35, 230, 255
საშამხლო 211, 235
საშამხლო-ოსმალეთი 211
სევანის ტბა 244
სერაფი 274
სერბია 183, 204. 225
სივასი 46, 59, 101
სირია 51
სიტვატორაკი 244
სკუტარი 127
სოგმენი 48, 50
სომხეთი 32, 55, 56, 62, 69, 70, 73, 79, 86, 159, 181, 185, 297
„ „ დას. 10, 90
„ „ აღმ. 234
სოხოისტა 58, 59
სოხუმი 38, 186
სტამბოლი (კონსტანტინოპოლი) 3, 5, 14, 23—27, 37, 43, 46, 54, 55, 57, 59, 70, 71. 90, 95, 96. 100, 101, 109, 110, 122, 124, 126, 127, 130, 131, 134, 140, 143—147, 149, 151, 154, 158, 164, 165, 171, 175—177, 180, 181, 186. 211—219, 223, 227, 235. 238—243, 248—250, 259, 260. 264, 266, 268—279, 283, 296, 300. 301, 313
სტეფანწმინდა 191
სულთანიე 283
სუფიანე 236

ტ

ტალიში 181
ტაო 57, 80, 84, 85. 92. 314
ტახსკარი 321
ტარკი 212, 235
ტაშისკარი 166
ტაძლახა 191
ტისა მდ. 225
ტირიბული 79
ტრანსილვანია 129. 225
ტრაპიზონი 35, 37, 40—44, 47. 48. 79, 84—86, 101, 123, 154. 219, 249. 271. 279, 307, 309
ტუნისი 99
ტყიანი 195
ტყიანი ჯავახეთი 195

უ

უდე 194
უნგრეთი 46, 53, 54, 146, 219, 224, 244
უსკუდარი 101
ურმოის ტბა 236

ფ

ფაზისი (რიონი) 124
ფანაკი (ბანაკი) 64, 195, 206, 247, 296, 307—309
ფანასკერტი 65, 195, 307, 321

ფარნაკი (ბარაკანი) 64
ფარსი 286
ფერთექრექი 194, 307, 308, 311, 312
ფოთი (ფაზისი) 38, 124, 125
ფოცხოვი 159, 160, 307—309

ქ

ქანარბელი 195
ქართლი 8, 36, 38, 40, 68, 73, 74, 76, 79, 94, 98, 108, 113, 114, 115, 122—124, 135—137, 140, 142, 145, 152, 153, 156, 161, 166, 170, 171, 177—180, 186, 187, 206, 226, 231, 233, 237, 247, 257, 269, 281, 287, 289, 294, 296, 298, 321
ქართლ-კახეთი 237, 253, 254, 255, 259, 260, 268, 284, 286, 287, 299, 321, 328
ქართლი ზემო 79, 151
„ „ სამხ. 73
„ „ ქვემო 160
ქართლ-კახეთი 18, 222
ქართლ-კახეთ-იმერეთი 116
ქართლ-კახეთ-ირანი 222, 223
ქაშვეთი 195
ქაჯის ციხე 107, 112
ქვაბლიანი 194
ქვათახევი 257
ქვიშხეთი 247
ქიამხისი (კომკისა) 64, 195
ქუთაისი 41, 42, 124, 125
ქურთისტანი 51, 79, 90, 181, 226, 250, 280
ქუჩეკი 64

უ

უაბალა 235, 236
უაბარდო-დაღესტანი 260
უაზვინი 181, 235
უაზიყუმი 212
უანდარი 280
უანჩეთი 257
უარა-არდაჰანი 53
უარაბაღი 68, 72, 73, 171, 172, 233, 236
უარამანია 84
უარასალი
უარსი (კარი) 55, 69, 79, 102, 137—139, 143, 144, 150, 153, 159, 164, 233, 235, 270, 302, 321
აღზევანი 321
ყირიმი 35, 37, 44, 149, 158, 272, 273
ყუბანი მდ. 38
ურთის ციხე 74

შ

შავი ზღვა 37, 38, 123, 124, 279
შავი ზღვის საქართველოს სანაპირო 38, 124
შაბურანი (შაბრანი) 121
შავშეთი 16, 80, 85, 159, 160, 194, 307, 268, 311, 312, 314, 315, 316, 318
შამხალი 148, 212, 218, 250, 253
შაქი 68, 120
შემახა 121, 233, 236, 237, 244, 245
შეჰრიზორი 90, 250, 253
შირვანი 14, 70, 102, 103, 116, 120, 121, 148, 149, 158, 235, 236, 264, 266, 321
შირვან-აზერბაიჯანი 108, 113, 118, 120, 121, 122, 245

ჩ

ჩალდირანი 50
ჩერნოგორია 183
ჩეხეთი 146
ჩილდირი (ჩრდილი), 107, 108, 113, 133, 143, 154, 194, 195
ჩილდირის ეიალეთი (საფაშო) იხ. ახალციხის საფაშო
ჩუხურ საადი 251

ც

ციხიჯუარი 169

ძ

ძურძანი 108

წ

წინწალი 106

ე

ვანეთი 37, 40, 45, 84, 85
ვაჟარაქი 194, 307, 308, 309
ვოროხი მდ. 38, 131, 132

ხ

ხარბერდი 86
ხახული 113
ხერთვისი 113, 195, 307, 308, 309, 310
ხინუსი 321
ხმელთაშუა ზღვა 35
ხორტევანი 321
ხოფა 84
ხუდაენდიგარი 84, 86

ჯ

ჯანბაზი 195
ჯულფა 224, 231, 233

ჰ

ჰარიზის ხეობა 321
ჰორმუზი 280

А

Ахалцихский (Чилдырский) пашалык 333, 334

Б

Ближний Восток 332, 335
Босния 205

Г

Герцоговина 205
Грузия 331, 332, 334
Грузия Западная 334
Грузия Юго-Западная 332

Е

Европа 326

И

Ирак 332

К

Кавказ 332
Картли 332

М

Марабда 334
Марткопи 334

Р

Россия 332

С

Самцхе 33, 334
Самцхе-Саатабаго 332, 335, (198?)
Стамбул 332

Т

Турция 332, 334, 335

A

Akhaltzikhé pachalik (de Tchildir) 338, 339, 340
Ardahan 307

B

Bezerek 307

C

Constantinopoli 164

G

Georgia 213
Géorgie 137, 249, 336, 337, 340
Gurjistan 338

H

Hesbir 308, 309

I

Iran 336
Istanbul 337, 339

K

Kartli 337

M

Marabda 340
Martkopi 340
Mesketi 338
Moscovi 213

O

Oï 84
L'Empire Ottoman 337, 340

P

Pasin 60
Perse 337
Persia 213
Pertekrek, 307
Potekrek 307
Proch-Orient 337, 338, 340

R

Russie 338

S

Samtzkhé 338, 339, 340
Samtzhé-Saatabago 336, 338, 340

T

Tschildir 131
Turquie 336, 337, 338, 339

შინაარსი

თავი I

შესავალი 3
წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა 5
წყაროები 5
ლიტერატურა 29

თავი II

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს-ის პირველ ნახევარში 35
„გურჯისტანის საკითხი" ოსმალეთ-ირანის ომის დროს XVI ს-ის პირველ ნახევარში 35
1555 წლის ამასიის ზავი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო . . . 80

თავი III

1578—1590 წწ. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო . . 95
ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში 95
ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსება 125
ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 135

თავი IV

ოსმალეთი და საქართველო XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე . 182
ოსმალეთი XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე 182
საქართველო XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე 185
სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით . 187
ანტიოსმალური კოალიციის შექმნა 208

თავი V

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა XVI ს-ის პირველ მესამედში 230
1603—1612 წწ. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა 230

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა საქართველოში შაჰ-აბასის ლაშქრობების დროს 255

თავი VI

ოსმალეთი და სამცხე-საათაბაგო XVII ს-ის პირველ ნახევარში 293
ოსმალეთის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოში გაბატონებისათვის . . . 293
სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური სამთავროს გაუქმება 298
ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს პოლიტიკური ორგანიზაცია 304
რეზუმე რუსულ ენაზე 330
რეზუმე ფრანგულ ენაზე 335
საძიებლები 340

СОДЕРЖАНИЕ

Введение 3

Глава I

ОБЗОР ИСТОЧНИКОВ И ЛИТЕРАТУРЫ . . . 5

Источники 5
Литература 29

Глава II

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ТУРЕЦКИХ ОТНОШЕНИЙ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XVI в. 35

Турецко-иранская война в первой половине XVI в. и Грузия . . 35
Амасийский мирный договор 1555 г. и Самцхе-Саатабаго . . . 80

Глава III

ТУРЕЦКО-ИРАНСКАЯ ВОЙНА 1578—1590 гг. И ГРУЗИЯ . . 95

Поход Лала Мустафы-паши в Закавказье 95
Создание Чилдырского (Ахалцихского) пашалыка . . . 126
Борьба грузинского народа за независимость . . . 135

Глава IV

ТУРЦИЯ И ГРУЗИЯ НА РУБЕЖЕ XVI—XVII вв. . . . 182

Турция на рубеже XVI—XVII вв. 182
Грузия на рубеже XVI—XVII вв. 185
Административное деление и социально-экономическое положение Самцхе-Саатабаго по «Пространному реестру вилайэта Гюрджистан» 187
Создание антитурецкой коалиции 208

Глава V

ГРУЗИНО-ТУРЕЦКИЕ ОТНОШЕНИЯ В ПЕРВОЙ ТРЕТИ XVII В.

Ирано-турецкая война 1603-1612 гг. и Грузия 230
Грузино-турецкие отношения в период вторжения шаха Аббаса I в Грузию 255

Глава VI

ТУРЦИЯ И САМЦХЕ-СААТАБАГО В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XVII вв.

Борьба Турции за установления своей власти в Самцхе-Саатабаго в первой половине XVII в. 293
Ликвидация грузинского феодального княжества Самцхе-Саатабаго . 304
Политическая организация Чилдырского (Ахалцихского) пашалыка . 330
Резюме на русском языке 335
Резюме на французском языке 340
Указатель

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ვ. გაბაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. გაგოშიძე

გადაეცა წარმოებას 30.6.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.III.71;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 22.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 20.96; უე 01253; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1759.
ფასი 2 მან. 27 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის, 15
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15